გიორგი ალნიაშვილი

ჟამთგასაყარი



გიორგი ალნიაშვილი

ჭამთგასაყარი

გამომცემლობა „იბერი“
2018

გიორგი აღნიაშვილი
ჟამთგასაყარი

რედაქტორი
დალი ყარაულაშვილი

მხატვარი
თეონა ყარაულაშვილი

ტიპოგრაფიკა
პაატა მამფორია

ISBN 978-9941-27-822-8

გულდასმით წავიკითხე გიორგი აღნიაშვილის წიგნი „ჟამთგასაყარი“, რომლის რედაქტორობა და გამოცემა მე მხვდა წილად და ვფიქრობ, რა შემიძლია ვთქვა ამ გოლიათივით კაცზე, რომელსაც საგულეში წრფელი, მამულის სიყვარულით გაჯერებული სათუთი გული უძგერს. ამ ადამიანის სულის ძახილი ჰგავს აკვანს, სადაც პატრიოტული გრძნობით, ადათ-წესების პატივისცემით, ჩვენი მიწა-წყლის სიყვარულით, ჩვენი მუხის ფესვების სიძლიერით, ჩვენი ვაზის ნაჟურით გაჟღენთილი გრძნობა ირწევა, რომელიც მზის სინათლეს უერთდება და მკითხველის გულს და გონებას ათბობს და ანათებს.

წარმატება მინდა ვუსურვო გიორგის იმ რთულ აღმართზე, რომელსაც ის შეუდგა და მიჰყვება... და რომელსაც მწერლობა ჰქვია! მჯერა, რომ მისი გულწრფელი ფრაზები, რომელიც ქართველი კაცის, ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი ერის დღევანდელ პრობლემებს დასტრიალებს თავს, ბევრს დაანახვებს სწორი ბილიკს და სწორ გზას წინ მომავლისაკენ!

გიორგი აღნიაშვილის სიტყვა კიდევ ერთი პატარა საძირკველია ეროვნულობისა და ქართველობისა, რომელზეც მომავლის მყარი კედლები აშენდება სამშობლოს სიყვარული რომ ჰქვია სახელად.

„ენა, მამული, სარწმუნოება“ ეს არის გიორგი აღნიაშვილის კრებულის მთავარი თემა, ტკივილი და სიყვარული!

დალი ყარაულაშვილი
მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი,
ჟურნალისტი, პუბლიცისტი, დრამატურგი მწერალი,
ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურიატი

როდესაც ბატონ გიორგი აღნიაშვილის შემოქმედებას ეცნობი, არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგრჩეს მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი ფერებით შემოთავაზებული ეპიზოდური თუ ძირითადი დეტალების სისადავე. ავტორი ადამიანის ინტიმური თუ ფსიქოლოგიური კონტაქტებით მკითხველში ცნობისმოყვარეობას ერთიორად აღვიძებს. ყოველ ეპოქას თავისი ლიტერატურული ხელწერა აქვს და არც ჩვენი დროის, 21 საუკუნის ქართველი მწერლები და პოეტები არიან გამონაკლისები. ხელოვნება უკვდავებაა და ამავდროულად ცხოვრებისეული გამოცდილებაც და მასთან წაგებული ომი არ არსებობს, რამეთუ მწერლის შემოქმედება ერთიანი მთლიანი ფენომენია. იგი შემოქმედის სიცოცხლე გახლავთ.

მწერალი სრულყოფილი მხოლოდ ხალხის სიყვარულით და აღიარებით ხდება, ვფიქრობ, რომ მწერალი მაშინაა „გამარჯვებული“ როცა მისი ნაწარმოები მკითხველის ყურადღებას იმსახურებს. დიახ, სწორედ ეს არის მწერლის, როგორც შემოქმედის უდიდესი გამარჯვება. ბატონი გიორგი თავის ნაწარმოებებში თანამედროვეობის ურთულესი საკითხებით დატვირთულ, თემატურად უაღრესად მაშტაბურ საკითხებს გადმოგვცემს მხატვრული ხერხებით და ღრმა ფსიქოლოგიური დეტალებით ახერხებს სიუჟეტის სრულყოფას, რასაც მისი ფანტაზიით შექმნილი პესონაჟები განასახიერებენ, რამეთუ ადამიანი ბუნების ყველაზე ლამაზი ქმნილება და სიცოცხლის გვირგვინია. ავტორს სწორედ ადამიანის სულიერ ფასეულებებზე აქვს ყურადღება გამახვილებული. ბატონი გიორგის შემოქმედება ნამდვილად დაიმკვიდრებს ადგილს ქართულ ლიტერატურაში.

ეს წიგნი არც პირველია და არც უკანასკენელი არ არის მის ლიტერატურულ ისტორიაში და ვფიქრობ, ავტორმა მოახერხა თავისი სიტყვა დაემკვიდრებინა.

წარმატებები ბატონო გიორგი.

ნანა ბერაია

ბატონ გიორგი აღნიაშვილის შემოქმედებაზე თაობები უნდა იზრდებოდნენ. ქართული ზვრებივით გაშლილი და მადლიანია მისი გულიდან ამოსული ყოველი ფრაზა! ალალად, სადად, დამაჯერებლად მიაქვს მკითხველამდე სათქმელ-საწუხარი. სწორედ ამიტომ ასე ადვილად აღწევს მკითხველის გულამდე, რათა აგაფორიაქოს, დაგაფიქროს და შეგახსენოს „ვისი გორისა“ ხარ! წარმატებები ბატონ გიორგის! ქართველ მკითხველს კი ვულოცავ ამ შესანიშნავი კრებულის დაბადებას!

პატივისცემით ხათუნა შავგულიძე

პატივცემულო მკითხველო!

სასიხარულოა, რომ დღის სინათლე იხილა შესანიშნავი პროზაიკოსის, ბატონი გიორგი აღნიაშვილის ამ ნათელმა და ქართული სულიერებით აღსავსე წიგნმა. ჩემის აზრით, კრებულში შესული ნაწარმოებები ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას მოემსახურება, რადგან ისინი გაჯერებულია ქრისტესმიერი სიყვარულის, სამშობლოსადმი თავდადების, ადამიანური კეთილშობილების, სიკეთის, უანგარო მეგობრობისა და შრომისმოყვარეობის მაგალითებით.

თავისი შემოქმედებით ბატონი გიორგი ეხმაურება მამულისათვის საჭირბოროტო საკითხებს და მკითხველს პრობლემების საკუთარ ხედვას სთავაზობს. აღსანიშნავია წიგნში ასახული ისტორიული წიაღსვლები და წარსულში მომხდარი მოვლენების ავტორისეული გააზრება. კრებულში შესული ნაწარმოებები განკუთვნილია ყველა ასაკის მკითხველისთვის, ავტორის თხრობის სტილი და ენა თანამედროვე და ყველასათვის გასაგებია, ნაწარმოებების პერსონაჟები კი კოლორიტული და დასამახსოვრებელია.

ვულოცავ ბატონ გიორგისა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს ახალი, მეტად საინტერესო წიგნის დაბადებას და ვფიქრობ, რომ იგი მკითხველის ერთ-ერთი საყვარელი წიგნი გახდება.

მაია მახარაშვილი
მწერალთა კავშირის წევრი,
მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიისა და
პროზა-პოეზიის პრემია „ივერიის“ ლაურიატი,
პოლიციის პოლკოვნიკი.
17. 10.2017.
„საზოგადოების ერთგული მსახური“

გიორგი აღნიაშვილი ინდივიდუალური ხელწერის მქონე, ამოუწურავი შესაძლებლობების მწერალია, რომელიც „საზოგადოების ერთგული მსახურის ფიცს“ არასდროს ღალატობს. მისი შემოქმედება ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თავად სამყარო, არაერთგვაროვნად დინამიური და შთამბეჭდავი. უკვდავი კლასიკური ლიტერატურისა, თუ მდიდარი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით ნასაზრდოები, გარემოპირობებთან ჭიდილში, სამყაროს შეცნობადობის პროცესში გამოწრთობილი მწერლის ხედვა ყველაფერს სწვდება, რაც მის გარშემოა. იგი ყველა მოვლენას თავისებურად აღიქვამს, განიცდის და გონების ფილტრში ატარებს. ცოდნასა და ინტელექტთან ერთად, მსუბუქი იუმორით გაჯერებული მისი აზროვნება, პოეტურად ხატოვანი და სიღრმისეულია, ენა — მსუბუქი, თხრობა — დამაჯერებელი, მაშინაც კი, როცა წარმოსახვით, ილუზორულ სამყაროს ქმნის და არცთუ იშვიათად, უსულო საგნებსაც ასულიერებს...

მწერალი კარგად იცნობს ცხოვრების ცალკეულ გამოვლინებას. მან იცის სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების, ოჯახის ფასი. მას კარგად აქვს გათავისებული სხვადასვა პროფესიის ადამიანების საქმიანობის ნიუანსები და მათი ყოველდღიური რუტინა, რომელთა აღწერისას, იგი დიდი პასუხისმგებლობით, სიმართლის გრძნობით, მიზანმიმართულად ინარჩუნების აზრის მხატვრული ხერხებით გადმოცემის ტრადიციულ ფორმას და მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე, სამწერლო კულტურის იმ ღონიერ ფესვზე, ქართული სიტყვის მადლს რომ გაგრძნობინებს და სამშობლოს კიდევ უფრო მეტად შეგაყვარებს, თუმცა ასევე ოსტატურად ახერხებს იგი ადამიანის ფილოსოფიურ — ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვას და შინაგანი „მეს“ გახსნას, როგორც პროტოტიპის შექმნის, ისე მისგან დამოუკიდებლად არსებული პერსონაჟის საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და შინაგანი სამყაროს „გაშიშვლების“ თვალსაზრისით, რაც ავტორის შემოქმედებით მრავალფეროვნებას განსაზღვრავს...და მაინც მწერლისთვის მთავარია — „ადამიანში ეძებოს ადამიანი“.

ბადრი სულაძე
პოეტი. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

... უკვე მეოთხე წელია, რაც ბატონ გიორგისთან ვმეგობრობ, მის შემოქმედებას ვიცნობ და სულ ვფიქრობ — რა საოცარია ბუნება, არა?

გიორგის პროფესია — ჰიდრო-ინჟინერი...

თითქოს არაფერი აქვს საერთო ლიტერატურასთან...

... და მაინც ძალიან დიდი სალიტერატურო გზა... ნაწარმოები, აღსავსე ადამიანური სიყვარულით, გმირები საოცარი ადამიანები, რომლებსაც სწამთ სიკეთის, ახლოს არიან ღმერთთან. სწორედ ამ ადამიანური ურთიერთობების შესახებ მწერალს თავისი შეხედულებები აქვს. უყვარს მშრომელი ადამიანი, პატივს სცემს მას. მისი რესპოდენტები გონიერი, მოაზროვნე ადამიანები არიან. საოცრად სათუთი დამოკიდებულება აქვს ბავშვების მიმართ. მოსწონს პატარების გულწრფელობა, პატივს სცემს მათ აზრს, წრფელ დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ. თითქოს სხვა სამყაროა, ნათელი და წრფელი, მეგობრობა მყარი, უშურველი, ისეთი, როგორიც თავად იცის!

ბატონი გიორგი გასაოცარი დაჟინებით დაეძებს სიკეთეს ადამიანებში და როცა აღმოაჩენს ბედნიერია. ამის ნათელი მაგალითია მისი, ინტერვიუ გლეხთან, სადაც საუბარია იმაზე თუ როგორ უნდა მოიპოვო სიყვარული, ბედნიერება, რომელსაც მერე მთელი ცხოვრება უზიარებ სხვას და რაც უფრო მეტს გასცემ, მით უფრო მდიდარი ხარ. რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი მონაპოვარი. მწერალი ყველა მტკივნეულ, მაგრამ ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხებს ეხება. „ინტერვიუ პოლიტიკოსთან“ — აქ მწერალი გვიზიარებს საინტერესო მოსაზრებებს, მისი აზრით „არ შეიძლება იმის ქადაგება, რასაც თავად უარყოფ...“ მაგრამ ჩვენს სინამდვილეში, სწორედ ასე ხდება.

მწერალს აწუხებს, რომ თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილი მოტივირებულია საშოვარზე. ადამიანები, რომლებიც საზოგადოებას მოუწოდებენ ქადაგებით, ვერაფერს აძლევენ ხელჩასაჭიდსა და გონივრულს ამ უკანაკნელთ. მათი ქადაგება არ შეიცავს არაფერს ისეთს, რაც ადამიანის სულის გამოჯანსაღებას ემსახურება, რაც ერის გამთლიანებისაკენ წაგვიყვანს. ვინ უნდა იზრუნოს ადამიანებზე, საით მივყავართ სისტემას, რომელიც ამ უკანასკნელთა კეთილდღეობაზე ფიქრით უნდა იყვეს დაკავებული.

... აი, ეს საწუხარი ჩანს მწერლის შემოქმედებაში, საწუხარი, რომელიც მხოლოდ შეჭივრებულს სტკივა და საშველს ვერ ხედავს, იმიტომ, რომ მისთვის არავის სცალია.

... ერს გულშემატკივარი სჭირდება, იგი კი არსად ჩანს.

გიორგი აღნიაშვილის გმირები თავს დაცულად ვერ გრძნობენ, მათ თავისი სიმართლე აქვთ, ისინი ცდილობენ ადამიანების ცნობიერებაში შეაღწიონ და თავისი სათქმელი თქვან. ადამიანები გრძნობენ, რომ რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. თითქოს გზას ავცდით და წინამძღოლიც არსად ჩანს. ამიტომაც ასაუბრებს გლეხს და პოლიტიკოსს. გიორგი აღნიაშვილის გლეხი, ქართული თავაზიანობით ქადაგებს სიბრძნეს. მისი საუბარი მარტივია და გულთან ახლოს მიდის.

...საით მივდივართ, საით მივექანებით? ფიქრობს მწერალი და ჯანსაღი აზრის ძიებაში სასაუბროდ იწვევს ადამიანებს: მშრომელ გლეხს თავისი მიუკიბავ-მოუკიბავი პასუხებით, პოლიტიკოსს, რომელიც თავად სიმართლის ძიების პროცეშია, მანდილოსანს, რომელიც ლამაზი, ბავშვური სიყვარულისა და ერთგულების ამბავს ჰყვება ზღაპრული დასარულით...

მწერალმა ამ წიგნით თავისი სათქმელი თქვა და „ჩვენი დროც ამოიწურა...“

აქ ყველაფერი შენზეა მკითხველო...

წაიკითხე, ბოლო სიტყვა ყოველთვის შენ გეკუთვნის!!!

ინგა გოგიბერიძე
2017 წელი. 21 ნოემბერი

ისეთი მწერალს, როგორიცაა გიორგი აღნიაშვილი, ვფიქრობ, თავის ნოველებში ტექნიკა დაფუძნებული აქვს ზეპირი თხრობის ტრადიციაზე. მომხიბლავად მოთხრობილი ამბები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, ის აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, საიმედო კავშირს ამყარებს ცხოვრებისეულ საფუძველებთან, აბსტრაქციებში გაბედულად ეფლობა, არ ავიწყდება სიუჟეტი და არასოდეს წყვეტს კავშირს მასთან.

მწერალი იზიდავს მკითხველს განყენებულ ფიქრებსა და მრავალრიცხოვან ასოციაციურ კავშირებში უდიდესი შინაგანი ძალით. მწერლისეული შეხედულება ხშირად ტრაგიკომიკურ შემთხვევაზე იქმნება, მაგრამ განსაკუთრებით მუხტავს მას სულიერი მდგომარეობა ადამიანისა და ჩვენს წარმოსახვას მიაქანებს მაღლა. ის რაციონალურად აგებს სინთეზური თხრობის სახეს. მწერალი იყოლიებს მკითხველს და არამც და არამც არ ეყრდნობა მკითხველის მოწყალე დამოკიდებულებას, არამედ მოქმედებს გრძნობებზე. მისი ნოველები გარკვეულად პრეტენზიულნი არიან და ახდენენ ზემოქმედებას სულიერ სამყაროზე. ნოველები მაღალმხატრულია, ზოგიერთი ნოველა ელეგანტურიც კი არის, ნოველის ჟანრში მწერალი თითქოს რაღაც დიდი ტვირთისაგან თავისუფლდება, რადგან ზოგი მათგანი ვულკანის ამოფრქვევას ედრება, სადაც მკაფიოდ ჩანს მწერლის ინდივიდუალობა.

დავით არახამია

ბატონი გიორგის მოთხრობები გამოირჩევა საოცარი დინამიკით, სინაზით, სისადავით, აქტუალობით, სადაც მთავარ პრიორიტეტებს ავტორი ანიჭებს ადამიანურ გრძნობებს, ურთიერთობებს, სამშობლოს სიყვარულს. სულის შემძვრელია თითოეული მისი მოთხრობა სადაც ავტორი გვერდიდან გვანახვებს ცხოვრებას, მთელი თავისი სინამდვილით და სიმუხთლით.

ბატონი გიორგი, დიდაქტიკოსი მწერალია.

ავტორი თავის მოთხრობაში „ბედნიერების ლომბარდი“, მთელი სიზუსტით, გადაუჭარბებლად მოგვითხრობს და გვიხსნის ბედნიერების არსს, თუ რა არის ადამიანისთვის მთავარი, ფული თუ ბედნიერება. მისი დიალოგი ლიუციფერთან, ბედნიერების ფენომენის განსაზღვრაა, მთელი სინამდვილით და სისასტიკით გადმოცემული.

მეტად გულისამაჩუყებელია მოთხრობები: „წერილი დედას“, სადაც ავტორი ნათლად ასახავს, ემიგრანტი შვილის გაუცხოებას სამშობლოსთან და მშობლებთან. აგრეთვე, „პირჯვარი გადასწერეთ სამხრეთს“, საოცარია, რომლის წაკითხვაც ცრემლის გარეშე შეუძლებელია.

„სულიერი ასული“ , ეს მოთხრობა ჰუმანიზმის, მამაშვილური, ნათელ-მირონული გრძნობების და მოვალეობის ნათელი დასტურია.

რომელი ერთი მოთხრობა დავასახელო ისეთი, სადაც ვერ იგრძნობთ ავტორისეულ სინაზეს, სიფაქიზეს, ვაჟკაცურ შემართებას, ცხოვრებასთან მებრძოლი ადამიანის რეალურ ისტორიებს, რომელიც სამაგალითო და ყურადსაღებია.

ალბათ არ არსებობს მკითხველი ბატონი გიორგის ეს მოთხრობები რომ არ მოეწონოს. მისი დახვეწილი ქართული თხრობით და ოდნავ ქალაქური სლენგით.

დიდებულია, დიდებული! წარმატებებს ვუსურვებ ავტორს. მრავლად შეექმნას ასეთი ლამაზი ისტორიები და გაეხარებინოს ქართველი მკითხველი.

მანანა ტონია

ეძღვნება თაფლო ზარიძეს

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ 1

— ბავშვებო დასხედით და გთხოვთ ნუ იხმაურებთ — მოგვმართა დამრიგებელმა გაიცანით, ჩვენი კლასის დამრიგებელი, საშუალო სიმაღლის, ოდნავ სრული, მრგვალსახიანი, თბილი, ბრდღვიალა თვალებით. ტკბილმოუბარ და სათნო ადამიანს ჩააბარეს ჩვენი აღზრდა, ხო, აღზრდა, თორემ ჩვენისთანა კლასს სახრით და კომბლით თუ მოარჯულებ.

— გიორგი!

მომმართა დამრიგებელმა.

— შენი აზრით ვინ არის პოეტი?

— ლექსებს ვინც წერს მასწ.

სხაპასხუპით მიუგე მე.

— ხო, გიორგი, პოეტი ლექსებით წერს მარადისობის, სულისა და ადამიანთა ვნების ქარტეხილის მუდმივ ეპოპეას, მე მინდა თქვენი, თითქმის თანატოლი პოეტის ლექსი შემოგთავაზოთ.

მასწავლებელი ფეხზე წამოდგა და კლასი გაისუსა.

„მინდა მგრძნობდე როგორც სინათლეს,
დაუშრეტელს და დაუსაბამოს...
მინდა მგრძნობდე როგორც სინაზეს,
ვარდთა სუნთქვას და სევდას უცნაურს,
მე მინდა მგრძნობდე როგორც გაყინულ
მიწის საბანზე დარჩენილ ყვავილს.
მე მინდა მგრძნობდე როგორც ბავშვის გულს,
უბოროტოს და ტირილით დაღლილს.
მე მინდა მგრძნობდე თეთრი ხელებით...
თოვლის ზეწარზე დავარდნილ ფიფქად...
თვალს მაყოლებდე როგორც ანგელოზს,
ნაცნობ ზღაპარში ბავშურად მცინარს.
მე მინდა მგრძნობდე როგორც სიყვარულს,
ლაჟვარდის ზღვაში ავარდნილს ტალღად...

და ხარბად მხვრეპდე თეთრი მკლავებით,
და ჩემი ღელვა დაგდევდეს მარად...“

მასწავლებელმა ლექსი დაასრულა და გადმოგვხედა, ალბათ ჩვენ თვალებს აკვირდებოდა...

— პოეტი სივრცეა, ცისარტყეელაა, წვიმის წვეთებში მზის სხივების ნაირფერად აკიაფება. პოეტი ამბობს: — „მე მინდა მგრძნობდე როგორც სინათლეს, დაუშრეტელს და დაუსაბამოს“. შემოქმედება, ეს ის ფენომენია, რომლის ასაკი, ეპოქალური მაჯისცემით განისაზღვრება და არა მისი „დღევანდელი“ აღქმით. როგორ გგონიათ, ლექსი გარითმულ სიტყვათა ერთობლიობაა? სცდებით, პოეტი ამბობს: — „სულის სიმძიმე სხეულით დამაქვს, დარდმაც იპოვა თავშესაფარი“. სულის სიმძიმე, სულიერი, მორალური და საზოგადოებრივი ზნეკეთილობის გაუფასურებით გამოწვეული სიმძიმეა, ისიც ამ საზოგადოების წევრია და იქნებ საზოგადოების ლიბერალურმა დამოკიდებულებამ მანკიერების მიმართ, ათქმევინა პოეტს: — „დარდმა იპოვა თავშესაფარი“.

რას ეძებს პოეტი? სიტყვაკაზმული სიტყვებით გაჯერებულ თავმომწონე სტრიქონებს? ის ამბობს: — „ღვიძლი სისხლს სულის ტკივილით წამლავს, შხამმაც იპოვა თავშესაფარი...“. „ღვიძლი სისხლი“ — ეს პოეტის მრწამსია, კრედოა, ეს შინაგანი „მე“-ა, რომელიც უგნური დროებით გამოწვეულ სასოწარკვეთას და სულიერ ტკივილს დაუპყრია, დიახ, მთლიანად აუვსია პოეტის „არსი“.

იმედგაცრუება, გაუცხოვება, მარადიულ ფასეულობათა უარყოფა, აი ეს არის „შხამი“, რომელიც წამლავს ადამიანს...

— მასწ, ეს გოგო ისეთ ლექსებს წერს, რომ გეგონება ერთი ცხოვრება უკვე გაუვლია და...

— შემოქმედი ადამიანი, ეს იქნება პოეტი, პროზაიკოსი, მხატვარი თუ სხვა დარგში მოღვაწე ხელოვანი, ცდილობს შექმნას ფასეულობა, რომელიც დროის კანონებს არ ემორჩილება, პოეტი საკუთარ გულში აგებს ტაძარს, სიმართლის და ზნემაღალი იდიალებით გაჯერებულ ხატებას, რომლსაც კურთხევას საზოგადოება აძლევს და სიმართლით ემსახურება მარადიულ ჭეშმარიტებას.

მასწავლებელი გაჩუმდა, კლასს გადახედა. მეტყველი, თბილი თვალებით გვიმზერდა დამრიგებელი...

— ბავშვებო! ხვალისთვის მოამზადებთ თავისუფალ თემას, ახალგაზრდა პოეტის შემოქმედების თქვენეულ ხედვას გაგვიზიარებთ. მე მინდა მისი ერთი ლექსი წაგიკითხოთ, რომელიც ძალიან მომეწონა.

„უკვე გაუშლიათ თმები, სველი შემოდგომის ქარებს..
ძაძებს იხურავენ მთები, ხენი მიაგვანან გვამებს...
ჩემი მოკისკისე ქუჩა, უკვე ავსებულა კვამლით...
კვდება სიცივისგან მუზა, მაინც ფეხშიშველი დადის...
მუზა — გოგონაა ცივა, მძიმე — უსაშველო დარდით..
ხშირად ენარცხება მიწას, ხშირად — მწვერვალებზეც დადის...
სული არ ატკინოთ ოღონდ, მას არ ეშინია ყინვის...
მხოლოდ სიყვარულით ცოცხლობს, შორის ზეცისა და მიწის...
მუდამ ილამაზებს ფიქრებს, უფრო უმიწოა მგონი..
უფრო უსხეულო ვიდრე — თითზე ჩამომდნარი თოვლი..
მუდამ უძილოა მუზა, მუდამ თვალებს იფშვნეტს დიდრონს..
მხოლოდ მოფერება უნდა, მხოლოდ მოფერებას ითხოვს...“

— მოგეწონათ ბავშვებო? ახლა კი საშინაო დავალებაზე გადავიდეთ...

— ოოოო, რა უდროოდ ჩამოჰკრა უბედურების ზარმა.

აღმომხდა მე.

— ხო ძვირფასო, დაფასთან გამოდი გიორგი.

შეუვალი იყო პედაგოგი ვითარცა ბირთვისის ურღვევი ბჭენი.

ეძღვნება შესანიშნავ ქართველ პოეტს
ხათუნა შავგულიძეს

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ 2

თავისუფალი თემა.

— გიორგი, შენი თემა წაგვიკითხე.

მომმართა მასწავლებელმა. რვეული დინჯად გადავშალე და დავიწყე კითხვა.

— ...თემზის ნაპირებს მიუყვება ფიქრადქცეული... იქნება, იქაც ეფერება მთაწმინდის ღამე... ლექსი აღმოხდა... თქვენ ეს მხოლოდ ლექსი გგონიათ?..ლექსი არ არის, გულის სიმებით ქნარი გამართა და მას აკვნესებს, ყური მიუგდე:

„სამშობლოვ ჩემო, ჩემი გული ხარ,
ჩემი სისხლი და ჩემი ფესვები.
სადაც არ უნდა ვიყო, მოგძებნი,
მოვალ და ისევ მოგეფერები!
სამშობლოვ ჩემო, ფიქრის ტევრი ხარ,
ჩემი დარდი და ჩემი ტკივილი,
სადაც არ უნდა ვიყო, ჩამესმის,
მაგ მადლიანი მიწის ყივილი.“

იქ, ალბიონის ცივი ნისლები, გულს უგრილებენ ნატვრით დაღარულს... ქალის სისუსტე ვინ მოიგონა?! განა, ვინ არის ასე ჯაბანი?! წლები-ქორები, თავს ესხმის დედას სამი ვაჟისას და ახსენებენ... და გაჰკივიან იმ დროს გარდასულს, მომავალს, ხვალეს, რომ წარსულად გარდაიქცევა და ჩაიცლება სადღაც სივრცეში:

„არ არის შორი მარტი, აპრილი,
ხელად გაიფრენს ცივი ზამთარი,
მარგამ საქმეა სწორედ ამაში,
აღარაფერი შორი არ არის...
შორია, მხოლოდ ის, რაც წავიდა,
თვალდახელშუა გამქრალი წლები,
ქვიშის საათში ჩაცლილი ქვიშა
ვით, თითებშუა ჩაღვრილი წყლები...“

რას ნატრობ, ნეტავ?.. თუ ფიქრობ მასზე — სოხუმის თავზე მეხის გავარდნას?.. იქნებ... ბედიის ზარების გრიალს? თუ ქვად ქცეული აკლდამის ჩრდილი გათბობს ვით დილის პირველი სხივი?.. ყური მიუგდეთ:

„მინდა, ღვთისმშობლის ხელით ნაქარგი
თეთრი მანდილი, წმინდაზე–წმინდა,
გეფარებოდეს კიდით–კიდემდე,
გახრიდებოდე განსაცდელს მინდა.

მინდა შენს ზეცას ფარად ეფაროს
წმინდა გიორგის ფარი ჯვრიანი,
რომ დასეტყვილი შენი ქედები
აღარ მეხილოს მკერდსისხლიანი!“

თემზის ნაპირებს მიჰყვება ქალი, გულთან ახლოს ზარს გამოსცემს ქნარი... აბა, ნახე, როგორ მღერის:

ნაადრევად ჩამოთოვა თითქოს...
თავს მახსენებს იდუმალი სევდა.
ეჰ, რამდენი დაზამთრება იყო,
ეჰ, რამდენი გაზაფხულის ელვა.
სულს ათასი მოგონებით ვითბობ...
გარეთ კიდევ უსასრულოდ ბარდნის...
ეჰ, როგორი სიყვარული იყო,
ეჰ, როგორი განშორების დარდი...“

იქ კი.. ალბიონს, თემზის ნაპირს, შექსპირის სონეტს მღერის მდინარე... ქალი გასცქერის აღმოსავლეთით, თბილისს მშობლიურს, შორიდან ეტრფის...

„ეჰეი, თბილისო! ისევ თენდები,
ისევ გშვენდება დილა მტრედისფრად.
ეს მერამდენედ, ღამე ვთენდები,
ხან შენს მონად და ხან შენს ვეზირად.
სანამ ეს გული წამებს მიითვლის,
სანამ ეს ხარბი თვალები შეგსვამს,
სანამ მწირი ვარ ყველა ბილიკის,
რომელსაც შენი ზღაპარი შემრთავს...,“

ლონდონის ცა კი, მოქუფრულია... წვიმა ჯიუტად მონოტონური... ქალმა მომწყდარი ცრემლი დალია, კვნესა აღმოხდა ემიგრანტული:

„ოდესმე, ჟამი წამართმევს ფიქრებს,
შენს გრძნეულ ფურცლებს ვერ გავიოცებ,
შევუერთდები ჩემს აქრებს–ფიქრებს
და იქიდანაც შენთვის ვილოცებ!“

თემზის ნაპირს მიუყვება ქალი, ფიქრს არ იმჩნევს, ღიმილს უძღვნის შვილებს, აგერ იქით მიაბიჯებს ბიჭი, ტანაყრილი ქართულ ღიმილს აფრქვევს...

— „დეე აქ რა გინდა ასეთ წვიმაში? თბილისზე ფიქრობ? ხო შენ იქა ხარ... ცრემლს ვერ გიმალავს წვიმა სახეზე“... და მზრუნველი მკლავი დედას მოხვია.

— „ახლა თბილისში თენდება შვილო, ალიონია ედემის დარი, სიონის ზარი გუგუნით ბორგავს, სამება ლოცავს მხარეს დალცვილს“... იქ კიდევ ორნი მოიჩქარიან.

— „დედა, რა მოხდა ? ასეთ ამინდში რა გასეირნებს თემზის ნაპირას? გადარეული დაგეძებთ ყველგან... კიდევ რაღაც გვაქვს შენთვის სათქმელი... სად არ გეძებეთ, გვაფეთიანებ, ფიქრით იქ იყავ?... ხვალე მივფრინავთ... აი ბილეთი... მივფრინავთ მზიურ საქართველოში!..

კურთხეული ხარ ქალიც და დედაც, ოთხი რაინდის ზრუნვის საგანი, თბილისი... თბილისი გულს გადაგიშლის ლონდონს შეხიზნულო დაო.

ლექსად დაიღვრები, ლოცვად აღინთები და არ დამთავრდები...

„იდექ ციხედ და იდექ ბერმუხად!
და თუ დაგქროლებს სასტიკი ქარი,
თუ დაირწევი ტანწვრილ ლერწმებად
წამოიმართე, ვით აძორძალი!
ვილოცებ, ვიტყვი: –იდექი ტაძრად,
რომ შენს კედლებში სანთლად ავინთო,
იდექ, სიკეთის ხუთჯერიან ფარად,
ბერმუხად იდექ, ჩემო თბილისო!“

— როგორია მას? ხომ კარგია ?

თავმომწონედ შევხედე მასწავლებელს

— ორიანს გიწერ გიორგი, აქ შენი არაფერია.

— მასწ, ლექსის რითმები, სიცოცხლის რიტმები, სულის სიმფონია ნოტებს რომ ხლართავს, ნატვრის აკორდები, განცდის პრელუდია, უსმინეთ მუსიკას გამებად ახლავს. მისი პოეზია ძალიან დიდია, ოკეანეს ჰგავს ფაფარაშლილს, ფიქრის ზვირთებით და იდუმალი სილრმე იმედის, ინახავს სიყვარულს, გრძნობებს გრგვინვით კლდეს მიანარ-

ცხებს... თქვენ რას მთხოვთ? მე ნაფოტს, ტალღის გაპობას მისი მუ-ზების ოკეანეში? უსამართლობაა, უსამარლობაა მასწ...

ეძღვნება საქართველოს ერთ-ერთ დიდებულ ადამიანს, ქალბატონ ინგა გოგიბერიძეს

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ 3

თავისუფალი თემა
ოჯახი

— მამიკოოო, მომიყევი რა ზღაპარიიი...

— კარგი, იმ პირობით თუ მერე დაიძინებ.

— ხოოო მა�ა...

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი დიიდი ბუხარი, მოწყენოდა ბუ-ხარს, გარეთ ზაფხული იდგა, ცხელოდა და ცეცხლს ვინ დანთებდა ? სციოდა ბუხარს, მისი კედლები ჭვარტლით იყო გაშავებული, არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ნატრობდა ზამთარს, იმ დროს, როცა და-ლოცვილი ცეცხლი გუზგუზებდა მასში, ხო-ხო-ხო-ხო, მთელ სითბოს სახლში აფრქვევდა, სახლის კედლებიდან სიცივეს სდევნიდა, რომ პა-ტარებს არ შესცივნოდათ, ხანდახან მწვადებსაც უწვავდა თავის პა-ტარა მეგობრებს, იხსენებდა და იხსენებდა ზამთარს, ზღაპრები და ყურმოკრული ამბები ხომ იცოდა და იცოდა...

დადგა ზამთარი, გარეთ ისე ბარდნიდა რომ ზეცა ხელის გუ-ლის ოდენა ფანტელებს აბნევდა დედამიწაზე, ბუხარიც თავმომწონედ გიზგიზებდა. ერთ საღამოს ბებიამ ბავშვები ბუხრის პირას დასხა და ზღაპრის მოყოლა დაიწყო.

თურმე ერთ ადგილას დიიდი ტყე ყოფილა, ცუდმა ძიებმა ხეე-ბი გაჩეხეს. ჩიტუნებს ბუდეები დაუნგრიეს, დათუნიებს, ირმებს და სხვა ცხოველებს ბუნაგები, სოროებიც კი გააჩანაგეს ხის მჭრელებმა. დაღონდნენ ტყის მცხოვრებნი, რა უნდა ექნათ? როგორ გამოეზამ-თრათ? შვილები როგორ გამოეკვებათ?

— უჩინარი ტყისკენ წავიდეთ, იქნება მივაგნოთ...

ჩაიდუდუნა დათუნიამ.

— მე ვიცი გზა.

აჭიკჭიკდა შაშვი.

— მომყევით და მე მიგიყვანთ მაგ ტყესთან.

ყველანი შაშვს გაჰყნენ. შაშვმა შორიახლოს ჭალასთან შეაჩერა ტყის მეგობრები და უთხრა:

— უჩინარი ტყე იქ არის, იმ ორ მუხის შორისაა კარები, იქ მხოლოდ ისინი შევლენ ვისაც გული სუფთა აქვს და მეგობრობის ფასი იცის, ახლა კი წავიდეთ მუხებთან...

ორი მუხის შორის მიდიოდნენ ტყის მეგობრები, ჩიტუნები და ცხოველები, მხოლოდ მგლები ვერ შევიდნენ შიგნით, საშინელი ყმუილით დაძრწოდნენ მუხების გარშემო. უზარმაზარ ტყეში შევიდნენ ტყის მეგობრები, თვალებს არ უჯერებდნენ, აგერ მუხები, იქით წაბლი და წიფელი, ვაშლის ხეები, მინდორი ათასფერი ყვავილებით იყო აჭრელებული, მარწყვებით იყო გადაპენტილი მდელო. დათუნიებმა რკოს და წაბლის მოგროვება დაიწყეს, ჩიტუნებმა ბუდეები აიშენეს და შიგ ბარტყები ჩასვეს, ზღარბებმა თავიანთი პაწაწინა ეკლებით ვშლების მოგროვება დაიწყეს, ტყე ახმაურდა, ნაკადულები ლაღი რაკრაკითა და ჩუხჩუხით ესალმებონენ და ემასლაათებოდნენ ახალ მეგობრებს. ყველა ერთმანეთს უღიმოდა, ერთმანეთს ბუნაგის გაკეთებაში ეხმარებოდნენ... ერთხელ კარის მცველმა დათუნიამ მეგობრებს გასძახა:

— მოდით, მოდით, კარებთან ვიღაც ბავშვები დგანან, ისინი ჩვენ ვერა გვხედავენ, მაგრამ ეტყობათ რომ სცივათ, მშივრები არიან და ალბათ სახლკარიც არა აქვთო.

მოგროვდნენ ტყის მეგობრები და მეზობლები. რა ექნათ? შემოეშვათ ადამიანები უჩინარ ტყეში თუ მიეტოვებინათ?

— თავის გზაზე წავიდნენ, მათმა მამებმა ბუდეები დაგვინგრიეს...

ახმიანდნენ ფრინველები.

— მათმა მამებმა ჩვენი ტყე გაანადგურეს...

აღრიალდნენ ცხოველები

— მოიცათ!

დაიღრიალა ლომმა.

— ეს ბავშვები მიუსაფარნი არიან, უსახლკარონი და მშივრები, ისინიც ადამიანებმა განდევნეს, მართალია ადამიანებმა გაგვიჩანაგეს ტყე, მაგრამ თუ ჩვენ ამ ბავშვებს სიკეთეს გავუკეთებთ, დავაპურებთ

და გავათბობთ, იქნებ მოუყვნენ თავის თანამოძმეებს ჩვენი სიკეთის ამბავი და იქნებ აღარ გააჩანაგონ ასე უმოწყალოდ ტყეები, შეიძლება ბავშვები აღარც კი წავიდნენ აქედან... ვინ იცის... ადგილი კი ყველას გვეყოფა.

— მართალია ლომი.

თქვა ირემმა.

— შემოუშვათ ბავშვები უჩინარ ტყეში, დათუნია, გაუღე კარები.

დათუნამ კარები გააღო, კარებში ორი გოგონა და ორი ბიჭი შემოვიდა, შიშით უმზერდნენ ტყის მეგობრებს.

— ბავშვებო!

მიმართა დათვმა.

— მიგიღებთ როგორც ჩვენს შვილებს, მოგივლით და საჭმელ-სასმელს არ მოგაკლებთ. აქ, ჯადოსნურ ტყეში ჩვენ ერთმანეთის სიხარულით და მეგობრობით ვცხოვრობთ, ერთმანეთის თანადგომა გვაძლიერებს, ესაა ჩვენი წესი და თუ თქვენც ამ კანონით იცხოვრებთ ბედნიერება არ მიგატოვებთ, თუ ბოროტებას გაივლებთ გულში აქედან გაქრებით და უკან დასაბრუნებელ გზას ვერასოდეს ველარ იპოვით, გაიგეთ ბავშვებო?

— დიახ.

უპასუხეს პატარებმა.

ცხვრებმა და ძროხებმა ცხელი რძე, ყველი და მაწონი მოურბენინეს, ფუტკრებმა ზუზუნით თაფლით სავსე ქილა მიართვეს, ჩიტუნებმა კი მხიარული სიმღერა წამოიწყეს. ასე დარჩნენ პატარები უჩინარ ტყეში. როცა გაიზარდნენ და დიდ ქალაქში წავიდნენ საცხოვრებლად, იქ უყვებოდნენ სხვებს უჩინარი ტყის საოცარ ამბებს, მაგრამ არავის სჯეროდა, ამბობდნენ ზღაპარიაო.

— მოგეწონა ჩემი ზღაპარი შვილო?

— მა�ა... ეგ როგორი ზღაპარია? არც ჯადოქრები, არც ფერიები, არც დევები და არც გულადი რაინდები...

— ყველაზე დიდი ზღაპარი სიკეთე, ერთგულება და სიყვარულია შვილო.

დედიკო, იქვე ბავშვის საწოლთან ატუზულიყო და მდუმარედ უგდებდა მამა-შვილის საუბარს ყურს.

— ჩემი მეოცნებე შვილოკო და მამიკო.

ღიმილით წარმოთქვა დედამ. მერე ბავშვს მიუახლოვდა საბანი გაუსწორა და აკოცა.

— ძილინებისა ჩემო სიხარულო.

ქმარს შეხედა, ხელები მოხვია და ლოყაზე ნაზად ეამბორა.

— დედიკო, შენ მამიკო გიყვარს? — მიმართა პატარამ.

— ხო შვილო.

უპასუხა დედამ.

— მამიკო შენც გიყვარს დედიკო?

ისევ იკითხა ბავშვმა.

— ხო მამიკო, მეც მიყვარს ჩვენი დედიკო.

— ესეიგი ზღაპარში ვცხვრობთ? რა კარგია...

— ახლა გადაბრუნდი და დაიძინე, მე და მამიკომაც უნდა დავიძინოთ.

პირზე ღიმილი დასთამაშებდა ბალღს, ალბათ უჩინარი ტყე ესიზმრებოდა პატარას.

ბუხარმა ბევრი შეშა ჩაიყარა მუცელში, ნელ-ნელა წვავდა შეშას, რომ დილამდე სითბო არ მოკლებოდა ოჯახს.

ეძღვნება ქალბატონ მაყვალა დავლაძეს

ლიტერატურის გაკვეთილი 4

თავისუფალი თემა.

ერთი ქალი.

რას ნიშნავს „ერთი ქალი“? ჩემს კლასელ გოგონებს ვაკვირდებოდი, იქნებ არიადნას ძაფის სათავე ვიპყრო-თქო ხელთ, მაგრამ უშედეგოდ. „ქალებად არ იბადებიან, ქალებად ყალიბდებიან, უცილო ჭეშმარიტებაა და მათი სამყაროს უსასრულო ლაბირინთის მცველს, „ქალის არსს“ უნდა შეერკინო, რომ ქაოსში აღქმული მშვენიერების დიდებულება და მისი ფასი გაიგო. ამბობენ, კაცის რაინდად კურთხევა მხოლოდ ქალის გულში ხდებაო და არა სამეფო პალატებში. არ ვიცი, იქნებ ასეცაა, ალბათ საკუთარი თავის „სიყვარულით მიძღვნას“ ჰქვია

მამაკაცის ქალის გულში რაინდად კურთხევა? არ ვიცი, ჯერ მხოლოდ ეკლები მსერავენ ვარდის სურნელს მოწყურებულ კაცს.

რადგან გზები არ ერთდებიან,
რამდენი ფიქრი დაკარგულია,
მინდვრად ყვავილი რომ ამოსულა,
ჩემი ოცნების ნამსხვრევებია,
ამ ქვეყნად მოსულს ზოგს საქმე რჩება,
ზოგს კი ცოდვები ჩაურეცხავი,
მინდა ღიმილი დავტოვო ქვეყნად,
სუფთა, ნათელი, მიმტევებელი,
ცხოვრება სიცილ–ტირილად მიჰქრის,
ჟრჟოლვა აგიტანს, გული ფრთხიალებს,
სარკის ანარეკლს შევცქერი რიდით,
წავიდა ის დრო, თამამი, ანცი,
ლამაზი წლები, სილაღის ხიბლი,
გაქრა წუთებად, წამებად,გუნდად
და დარჩა სევდა, წარსულის ვნებად.
თავისუფალი მე ჩემს ფიქრებში,
სითბოს მოვტაცებ შემოდგომის მზეს
და დაურიგებ გაყინულ გულებს,
სევდის მეგობრად მე არ მიგულოთ,
უბრალოდ ვერცხლის წლებმა იმატეს,
რასაც ვფიქრობ და რისთვისაც მოველ,
მეშინია რომ ვერ მოვასწრებ,
ვფიქრობ, ვერ ვასწრებ, ვერ დავეწევი,
გული არ იშლის იმედს და ნატვრას,
ფიქრი ჩამოშლის წარსულის ამბავს,
და გავიხსენებ სიზმრებად ნანახს
ცხოვრების რითმი, აღმართ–დაღმართი,
მომავლის რწმენით, ახლის ძიება,
აჰა გამქრალა ის ნორჩი წლები,
ვერც კი მოასწრო თვალმა გართობა...
შეჩერდი დროო! წამების ხვედრით,
ნუ შემისუდრე სიცოცხლის ეშხი,

მზეო! გამათბე, გამათბე გესმის?!
მე დავიღალე, სევდა თავს მესხმის!.
შველას კი ჩემნო, თქვენგან მოველი.
ძალა არ შემწევს გზა გავაგრძელო
დღეს ამ განწყობით, ნოღარ დამძრახავთ,
ხვალ უკეთესი დღით გავიხარ ოთ,
ქარი და თოვლი, ვნება და განცდა,
ღრუბელთა კალთით ფარფატი ნისლის,
ფაქიზი გრძნობით სავსე ფიალას,
უკანასკნელად მე თქვენთვის დავცლი.
სევდის მეგობრად მე არ მიგულოთ,
უბრალოდ ვერცხლის წლებმა იმატეს,
რასაც ვფიქრობ და რისთვისაც მოველ,
უფლის წყალობით მაინც მოვასწრებ.

თემის კითხვა დავასრულე და მასწავლებელს შევხედე, თავდახრილი იდგა ჩვენი პედაგოგი, შემდეგ შემომხდა, გამიღიმა და მითხრა:

— გიორგი, იცოდე ცხოვრებაში მამაკაცის აბჯარი, ქალის ერთგულებაა, ფარი, ქალის სიყვარული, ხმალს კი, შენი მამაკაცური ღირსება და სიმართლე მოგაქნევინებს.

მდუმარედ დავჯექი.

— ძმურად, შეყვარებული ხომ არ ხარ?

მკითხა გაოცებულმა ძმაკაცმა.

ეძღვნება შორენა გაბელაშვილს

ლიტერატურის გაკვეთილი 5

თავისუფალი თემა
პედაგოგის გვერდი

პოეტი არისო, მითხრეს მავანზე, „ლექსები წაიკითხეო, გულს აგიჩქროლებსო და სისხლს აგიდუღებსო, გონებას წაგართმევს და

სულსაც აგირევსო“, კითხვად ვიქეცი, საოცარია როცა შემოქმედს ასე აქებენ ჩვენს დროში, თუმცა კითხვას, „ვინ არის პოეტი?“ პასუხი მოვუძებნე საკუთარ თავში. მე კი გეტყვი, პოეტი თუ ლექსს გონებით და გულით ჰქმნის, მხოლოდ ხატოვნად მესიტყვეა. ლექსი თუ პოეტის არსში არ დაიბადა, პოეტის სიმართლე თუ არ გაიზიარა, პოეტის იდეალებს თუ არ წაეპოტინა და პოეტის მრწამსი თუ არ გაითავისა, ლექსი პოეზიის კუთვნილებად არ ჩაითვლება. შენს ნაშრომში იცი რა მომეწონა გიორგი? ის, რომ რაღაცის დანახვა გსურს, იმ უცნობის, შენთვის ჯერ არ განცდილი სულიერი სითბოს გათავისება მოგინდომებია და „შაქარასავით“ შეჰყურებ ხეზე ლოყაწითელა ვაშლს. ალბათ ნიავს თუ ელოდები, რომ იგემო სანატრელი. მომეწონა შენი ნაშრომი, მაღალი ნიშანიც დაგიწერე, არა იმიტომ, რომ თემა კარგად გქონდა გამართული, არამედ იმიტომ, რომ შენი სიტყვების სიმართლე ვირწმუნე. ზურიკელა ვაშალომიძის ურითმო ლექსი უფრო დიდი პოეზიაა, ვიდრე ზოგიერთი „მესიტყვის“ შემოქმედება, რადგან ის პიროვნული სიმართლის ანარეკლია და არა გარითმულ სიტყვათა კრებული.

მიხარია ჩემო კარგო, რომ თავისუფალი თემის დაწერას ახერხებ, ხო ახერხებ, რადგან ჯერ ცოდნა უნდა მიიღო, რწმენის სიმტკიცე დრომ უნდა გამოსცადოს და შენი პიროვნული კრედო და ღირსება შენს რეალურ არსს უნდა გამოხატავდნენ, რადგან მხოლოდ პიროვნულად თავისუფალ ადამიანს შეუძლია დაწეროს „თავისუფალი თემა“.

იმ პოეტის ლექსები მომეწონა გიორგი, მხოლოდ ერთს შევახსენებ ჩემს თავს:

„ბავშვივით კითხვებს ისევე ვძერწავ თავად არსება, ნაძერწი თიხით...

თუ რატომ გაჩნდა სიცოცხლე, ან რად დამძიმდა სულები მიწით...

რატომ მოგვეცა უნარი გრძნობის, თუ ერთმანეთში სიცივეს ვთესავთ, რატომ ვუღიმით ერთმანეთს ნდობით, მერე თუ მაინც გულგრლად ვგესლავთ. ის რაც არ მოგვწონს ვიცით და მაინც ვერ აუქციეთ გზები მცდარები, საერთმანეთოდ დაჭედილ ცხენებს, ლამის უკუღმა ვაგეთ ნალები...

და ეს რკალები შემოსალტულან, ჩარჩოდ ქცეულნი, ჰორიზონტს შიგნით, რომ გააცოცხლა ახლა ალუდა იტყვის: — არ მინდა, გამიშვით იქით...

აბა მე რა ვთქვა, რაც თქვენც არ იცით, თუ ამოვიღეთ თვალთაგან დირე, თუ... „თავი თვისი“ შევიცანთ ყველამ, აღარ ვიქნებით „დიდნი“ და „მცირე“...

მსხმოიარეა ვაშლის ხე დღესაც, თავად მივირთმევთ, რად გვინდა გველი და სინანულსაც ვერ ვასწრებთ, როცა ისევ ვაშლისკენ გვიცდება ხელი...

ისევ მაწუხებს იმედიც, შიშიც, უსიყვარულოდ რომ დაჰქრის ქარი, სული ღელავს და აღარ მგონია თუ მაქვს სხეული და მქვია ქალი"...

შენი მასწავლებელი

ლიტერატურის გაკვეთილი 6

— თქვენს ნაშრომებში ბევრი საინტერესო მოსაზრება ამოვიკითხე, მაგრამ მე ჩემი ხედვა მსურს გაგიზიაროთ. ხელოვანის სიდიადე, ეს მხოლოდ ეპოქის კუთვნილება არ გახლავთ, ის ქვაზე ამოტვიფრული უზადო ჩუქურთმაა, უკვდავებას რომ შთაბერავს ქმნილებას მრავალწელი მშვენიერებით.

ხელოვნება აბსტრაქტული აზროვნების შედეგიაო ამბობთ, დაიწყეთ „ძერწვა“ თქვენი შთაგონების და წაშალეთ რეალობის კვალი, რადგან თუ თქვენ გზას ეძებთ ხელოვნებისკენ, დაიკარგებით, აღმოაჩინეთ თქვენი სამყარო და ნუ ეძებთ მინიშნებებს ყველგან და ყველაფერში რადგან ის მხოლოდ ილუზიაა. დაიწყეთ იდეით, თქვენი რწმენით და იცოდეთ, ნუ გადაუხდით ხარკს „გემოვნებას“, რადგან ის, შემოქმედების მტერია. ხელოვანს ერთი მეგობარი ჰყავს — დამფასებელი და ერთი მტერი — თვით აღიარება. ერის, ქვეყნის, საზოგადოების გაკეთილშობილება, ზნეობის ამაღლება — აი ეს არის ხელოვანის ამქვეყნიური მისია და ნუ გააკრიტიკებთ „კარგს“, „შესანიშნავის“ გამო, რადგან ტაძარი საძირკვლის გარეშე ჯერ არავის აუშენებია. “ გიყვარდეთ ადამიანები“, ეს ხელოვნების უცვლელი კრედოა, ადამიანების სიყვარულის გარეშე თუ ცხოვრობთ, მაშინ ვის ემსახურება შენი შემოქმედება?

სტანისლავსკიმ ბრძანა: — „გიყვარეთ ხელოვნება თქვენში და არა თქვენი თავი ხელოვნებაში“

ხელოვანის ფანტაზია ეს ის ფენომენია, რომელიც გვიიოლებს აღმოვაჩინოთ სიმართლე.

მე არ ვიცი მეთანხმებით თუ არა, მაგრამ... მაგრამ მე თქვენ, ყველას, მაღალი ნიშნები დაგიწერეთ...

— მასწ... ესე რატომ გიყვართ ხელოვნება?

— იმიტომ რომ მე თქვენ მიყვარხართ...

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— მაშინ ოცდაორი წლის ახალგაზრდა ადვოკატი ვიყავი როცა ეს საქმე ჩვენმა ბიურომ წარმოებაში აიღო. მიხაროდა, რომ ჩემმა უფროსმა კოლეგებმა საქმის წარმოება მე მომანდეს და დახმარებასაც დამპირდნენ. საქმის მასალები მხოლოდ ერთ ტომს მოიცავდა. ყველაფერი შესანიშნავად მახსოვს, ყველა დეტალიც კი, რომელიც ამ საქმეს ეხებოდა. მხოლოდ ეპიზოდებს მოგიყვებით, მე მოგიყვებით დიდებული ადამიანების ცხოვრებასთან შეურიგებელი ბრძოლის ისტორიას. საქმე ორ ახალგაზრდა მოზარდს ეხებოდა. მშობლები ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ და ბავშვებზე მეურვეობას მათი ბიძა, ბატონი კონსტანტინე იღებდა თავის თავზე. თითქოს განსაკუთრებული არაფერი იყო გარდა იმისა, რომ მეურვე, ბავშვების სამემკვიდრეო წილზე მესაკუთრის უფლებას ითხოვდა. საქმეში მოზარდების ნათესავები ჩაერივნენ და ბატონ კონსტანტინეს განზრახვაზე ხელი ააღებინეს. სასამართლომ მშობლების ქონების მეპატრონეებად, სამართალმემკვიდრეებად თანაბარი უფლებებით მოზარდები სცნეს.

მოზარდებიდან, განსაკუთრებით უფროს ვაჟთან, ლადოსთან მქონდა ურთიეთობა. მაშინ ის მხოლოდ მერვე კლასელი იყო და მისი უმცროსი ძმა ტარიელი კი მხოლოდ მეოთხე კლასში დადიოდა. იურიდიულ ბატალიებს ნაკლებად შევეხები, რადგან მიმაჩნია რომ ამ ორი ახალგაზრდის ცხოვრება ბევრად უფრო საინტერესოა.

ლადოს მეზობლად ერთი ავტომანქანების ცნობილი ხელოსანი ცხოვრობდა. „პროფილაქტიკაში“, მის „ბოქსთან“, მუდმივად იყო მანქანების რიგი. ბატონი ოთარი, ძრავების და სავალი ნაწილების უებრო

ხელოსანი იყო. ბავშვებს ნათესავები ეხმარებოდნენ, მაგრამ ლადოს თვითდაუკმაყოფილების განცდა ეუფლებოდა. ოჯახის უფროსობას ჩემულობდა მერვე კლასელი „კაცი“. პიროვნულმა სიამაყემ ლადო ბატონ ოთარის კარზე მიიყვანა და სამსახური სთხოვა.

სკოლას რომ მორჩებოდა, ლადო ავტოგასამართ სადგურში მიიჩქაროდა, ოთარი ძიას ეხმარებოდა და გულმოდგინედ ეწაფებოდა ხელობას. ფული გაუჩნდა ლადოს. მეზობლები თვალნათლივ ხედავდნენ როგორ პატრონობდა თავის უმცროს ძმას.

გვიან ღამით, ოთახებში, ბიჭები შუქს აქრობდნენ და სიბნელეში ფენდნენ სარეცხს. ალბათ მეზობლების სცხვენოდათ. მეზობლების გადმოცემით, პატარა ტარიელი ყოველთვის მოწესრიგებული მიდიოდა სკოლაში. ბავშვების აკადემიური მოსწრებით დავინტერესდი და გავოცდი, ძმები ფრიადოსნები იყვნენ. არა, არ იფიქროთ რომ მათ პედაგოგები ანებივრებდნენ. ბავშვები თადაუზოგავად სწავლობდნენ და მუშაობდნენ...

ხანდახან მამიდა აკითხავდა ძმიშვილებს, ალბათ ურეცხავდა, ულაგებდა, საჭმელს უმზადებდა...

ლადოს დღიურიდან

— დღეს ტარიელის შარვალს ვაუთოვებდი, ძნელი ყოფილა... ნაკეცები აცაბაცა გამირბის. მერე ჩემი უნდა დავაუთოვო და შემდეგ პერანგების ჯერიც მოვა...

— დღეს სახლში რომ დავბრუნდი ტარიელი სამზარეულოში იჯდა და დედისეულ სქელტანიან წიგნს, „საოჯახო სამზარეულოს“ კითხულობდა. ვკითხე: — „რას აკეთებ-მეთქი?“ იცით რა მიპასუხა? „ერთი თავი კერძი რამდენიმე დღე გვეყოფა და უფრო იაფი დაგვიჯდება ჭამა. შენ სწავლობ და მუშაობ, მე კი გაკვეთილებს რომ მოვრჩები უსაქმოდ ვზივარ, ხოდა მე გავაკეთებ საჭმელს-ო.“

— სიმართლე ვთქვათ გემრიელი სადილი გამოუვიდა ტარიელს.

— დღეს კარბურატორს ვარემონტებდი, ერთმა მძღოლმა ჰკითხა ოთარი ბიძიას — „ეს ბავშვი შენი ნათესავია-ო?“, ოთარი ბიძიამ კი უპასუხა. — „არა, ჩემი მეზობელია, მშობლები ავტო-ავარიაში დაეღუპა. ის არის დღეს ოჯახის უფროსი, შენ უნდა ნახო პატარა ძმას

როგორ უვლის“. უცნობმა შემომხედა, თავზე ხელი გადამისვა და ფული მაჩუქა — „კარგი ბიჭი ხარო“, მითხრა და წავიდა.

— იმ საღამოს ძია ოთართან მივედი, ჯიბიდან დღიური ნამუშევარი ფული ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. ოთარი ბიძიას გაეცინა, მთელი ფული ჯიბეში ჩამიდო და კიდევ ასი მანეთი მაჩუქა, მითხრა: — „უკვე კაცდები, აიღე ეს ფული, შენ ფული ვერ გაგაფუჭებს-ო“, დღეს განსაკუთრებულად ვიგრძენი ვალდებულება მშობლების ხსოვნის მიმართ.

სარკეში ჩავიხედე და გამიკვირდა, რამდენიმე ჭაღარა შემრეოდა თმაში, შუბლზეც გამჩენია ნაოჭები. მე მეგონა რომ მხოლოდ უფროსებს ჰქონდათ ჭაღარა თმა... ნაოჭები... სასაცილოა.

* * *

ლადომ სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში, ავტოსაინჟინრო ფაკულტეტზე, დაუსწრებელზე ჩააბარა. ტარიელზე კი ყველა ამბობდა „შესანიშნავი მოსწავლეაო, დადინჯდა და ოდნავ გაასწროო ბავშვობას“. ძმები ერთად ერეოდნენ ყოველგვარ სიძნელეს. ლადო ისევ ძია ოთარის შეგირდად რჩებოდა და „პროფილაქტიკაში“ უკვე ავტორიტეტული ხელოსანის სახელი ჰქონდა ყმაწვილკაცს. სიყვარულიც ეწვია ლადოს...

ლადოს დღიურიდან

— პირველად ვიყიდე ყვავილები. მითხრეს „ყვითელი ვარდები სიყვარულის სიმბოლოაო“. ნატომ კეკლუცი მადლობა გადამიხადა. სულ სხვა სურნელი ასდის ვარდებს ნატოს ხელში. ხელებს ვმალავ. „ტაოტით“ და ძრავის ზეთებით ნაპოხი ჩემი ხელები, ალაგ-ალაგ ჩაშავებულია და კანიც დამსკდარი მაქვს. „შკურკასავითაა“ ჩემს ხელებზე კანი. მეგობრები მეუბნებიან იუმორის გრძნობა გაკლიაო, ალბათ ასეა, მაგრამ მთავარი ნატოა... წვეულებაზე ვერ ვიცეკვე, ცეკვა არ ვიცი...

* * *

პირველი სიყვარული ლადოს ცხოვრებაში გარდამტეხი აღმოჩნდა. უნივერსიტეტი, სახელოსნო, ოჯახი და სიახლე, კვირაში ერთხელ ძმას-

თან ერთად ევროპულ ცეკვებზე დაიწყო სიარული. ძვირი სიამოვნება გამოდგა ეს სიახლე, მაგრამ იბრძოდნენ ძმები... მათთვის მთავარი თემა იყო „საზოგადოებისთვის მისაღები პიროვნება“ გამხდარიყვნენ.

ლადოს დღიურიდან

ტარიელმა სახელოსნოში სამუშაოს შოვნა მთხოვა. რა სიგიჟეა. მე არ მეყოფა წვალება? გუშინ გავიგე, ჩვენს კორპუსთან ახლოს „ავტოსამრეცხაოში“ მისულა ტარიელი და სამსახური უთხოვია. დღეში ოცი მანეთი დაუნიშნეს „ჯამაგირი“. უბნის ინსპექტორი დასდგომია თავზე და ყოველდღიური „მუშაობის ნებართვაში“ ხუთი მანეთი მოუთხოვია... დრო მიდის ინსპექტორო, ვინ იცის წინ რა გველის. ტარიელის ნაოფლარ ფულს არ შეგარჩენ... დღეს მშობელთა კრებაზე ვიყავი. პედაგოგებმა ტარიელი ისე შეაქეს, რომ ბედნიერების ფრთები შემესხა. წელს ტარიელი სკოლას ამთავრებს. რეპეტიტორების და ინსტიტუტში მოსაწყობი ფული არა მაქვს. რა ვქნა?

* * *

ნატოს მოსწონდა ლადო, თავდაჯერებული და მომხიბვლელი ჭაბუკი, თუმცა ნატოს მშობლები სხვა აზრისანი იყვნენ... ფინანსურად უზრუნველყოფილნი, და იმ დროის შესაბამისად მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ. მამა რაიკომში მაღალი თანამდებობის პირი იყო, დედა კი სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. „მოტორისტი“ და „ხადავიკი“ სიძე, თავისი პირმშვენიერი ასულისთვის შეუფერებლად მიაჩნდათ.

ლადოს დღიურიდან

დღეს ნატოს მამას შევხვდი. ვიღაც ჯმუხი კაცი ახლდა თან. „ვითარებაში გამარკვიეს“, თურმე კარგი ბიჭი ვყოფილვარ, მაგრამ თუ ნატოს კიდევ ერთხელ გავეკარებოდი, ჩემს „მომავალს“ ციხეში დავასრულებდი და იცით რატომ? ის ჯმუხი კაცი, მილიციის თანამშრომელი და თან ნატოს დეიდის ქმარი ყოფილა... არავის აღარ ახსოვს მამაჩემი, აღარც მის ძმაკაცებს ახსოვთ მამაჩემის ოჯახი. ალბათ ასეა ეს ცხოვრება მოწყობილი...

* * *

დაშორდა ყმაწვილ-კაცი ნატოს. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ გოგონა სასწრაფოდ გაათხოვეს. ასული რძლად გავლენიან ოჯახში შევიდა. ეს „მწარე აბი“ ღირსეულად გადაყლაპა ლადომ. მისი საზრუნავი ეხლა ტარიელი იყო. მაგრამ ტარიელი მისაღებ გამოცდებზე ჩაიჭრა და ჯარში გაიწვიეს...

ᲚᲐᲓᲝᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ

მარტო დავრჩი. ჩემი ძმა ჯარშია... ცეკვაზე დავდივარ, წიგნებსაც ვკითხულობ, ვმეცადინეობ, ვშრომობ და ფულსაც ვშოულობ, მაგრამ სულიერად ცარიელი ვარ. ჩემი ნათესავები მეკონტაქტებიან, ხანდახან მომიკითხავენ ხოლმე... ერთი ნატვრა ამეკვიატა, ნეტავ დედაჩემის და მამაჩემის სიმღერა მქონდეს კასეტაზე ჩაწერილი, ან იმ საღამოების ჩანაწერი, უშუქობაში ერთმანეთს ლექსებს რომ უკითხავდნენ... დედაჩემის და მამაჩემის ხმა მავიწყდება... დედის ხელები მენატრება, მისი შემწვარი ერბო-კვერცხის გემო დღესაც მახსოვს, მენატრება... მამის მოფერება მენატრება...

სახლში წმინდა კუთხე გავაკეთე, ეკლესიაში მითხრეს: — „მადლი დაისადგურებსო ოჯახში“. ხატებს შორის დედაჩემის და მამაჩემის ფოტოები დავკიდე... გუშინ ვლოცულობდი. ჩემი ძმა შევავედრე უფალს და კიდევ ვთხოვე, ძალიან ვთხოვე სიზმარში დედა და მამა მოევლინა ჩემთვის... ყოველი დილა მარტოობით იწყება და მარტოობით მთავრდება. ბიჭებმა მითხრეს: — „ჭაღარა გიხდებაო“, მე ხომ ჯერ ოცდახუთისაც არა ვარ და თმა თეთრად მაქვს გადაპენტილი. მე უფლება არა მქავს თავი შევიცოდო, ან ვის უნდა შევაცოდო ნეტავი?

* * *

ლადო თავდაუზოგავად შრომობდა. წელშიც გაიმართა კაცი. ნათესავების-თვისაც სასურველი შეიქმნა, რადგან „ჯიბეში ხელის ჩაყოფა“ არ ეშინოდა კაცს. დრო კი გადიოდა... სახლში რემონტი გააკეთა, ავეჯიც შეცვალა... ღამღამობით ტარიელს წვდებოდა ძმის ფიქრები. ენატრებოდა ლადოს ძმა... ძალიან ენატრებოდა...

ლადოს დღიურიდან

ტარიელმა მომწერა, ორ კვირაში ჩამოვალო... თბილისში ვიქნები... ერთად ვიქნებითო... ღვინო საკმარისი მაქვს და პურ-მარილითაც არ შევირცხვენ თავს. ტარიელი ჯარიდან დაბრუნდა. დაკუნთულა და დაკაცებულა... წუხელი გამეღვიძა... წმინდა კუთხესთან დაჩოქილი ლოცულობდა ტარიელი, რაღაცას ბუტბუტებდა, მე მხოლოდ რამდენიმე ფრაზა გავარჩიე, „ლადო დამილოცე უფალო, მამა არ შეგარცხვენ“, „...დედა მომენატრე...“

* * *

გასაოცარი ის იყო, რომ ამ ძმებმა სასწაული სიმტკიცე გამოიჩინეს, არ დანებდნენ ულმობელ ცხოვრებას. ტარიელმა ჯარიდან „ლიმიტი“ ჩამოიტანა და იმ ზაფხულს სამედიცინო ინსტიტუტში სტომატოლგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ლადომ უნივერსიტეტი დაამთავრა და „მშობლიურ“ პროფილაქტიკაში ინჟინრის თანამდებობაზე დააწინაურეს, თუმცა საკუთარ საქმეს არ ღალატობდა და არემონტებდა და არემონტებდა მანქანებს. მიუხედავად ამდენი ცხოვრებისეული გამოწვევებისა, ძმებს ისევ უმზადებდა განგება განსაცდელს.

ლადოს დღიური

ტარიელი უკვე კაცია, საკუთარი „ბუდე“ სჭირდება...

ბებიამ რომ ბინა გვიანდერძა, ტარიელი იქ გადავა საცხოვრებლად, მაგრამ ჯერ მუშაობა დაიწყოს. ის გოგო ინტელიგენტთა ოჯახშია აღზრდილი. ეტყობა ჩამოყალიბებული პიროვნებაა. ვიცი ტარიელსაც უყვარს ნინო და არც ნინოა გულგრილი ტარიელის მიმართ. ერთი წელი მაინც მოითმინონ, ვიდრე ტარიელი ორდინატურას გაივლიდეს და მერე დაქორწინდნენ, თუმცა რატომაც არა...

გაიპარნენ... ნეტავ ვის გაეპარნენ? ტელეფონზე დამირეკა ტარიელმა, „მე და ნინო ვიპარებითოო“... გადამრევენ ესენი...

რამდენიმე დღეში ჩემი ძმის ქორწილია. გუშინ ვესტუმრე ბებიასეულ სახლში და გული გამითბა. ოჯახში ნინო დიასახლისობდა. ქალის ხელი ეტყობოდა ყველაფერს. ტარიელს დავაკვირდი, უბედნიერესი იყო ჩემი ძმა. გულში პირჯვარი გადავწერე ჩემს ტარიელს და ნინოს...

მეც უნდა მივხედო ჩემს თავს, თანაც დროზე.

* * *

ლადოს ნათესავებმა ერთი მომხიბვლელი გოგო გააცნეს. ნორმალური, წესიერი მშობლების აღზრდილმა ახალგაზრდა ქალბატონმა ვაჟის გული მოინადირა. მას „ლალი“ ერქვა. სწორედ აქედან დაიწყო ლადოს „ჟანგიანი ოქროს ხანა“.

ლადო და ლალი შეუღლდნენ. ერთხელ ქუჩაში შევხვდი ლადოს, ბედნიერი იყო კაცი, გალაღებული, თვალები უბრწყინავდა... გულთბილად მომიკითხა, ცოტა ხანს ვისაუბრეთ შემდეგ „კიდევ შევხვდებით“-ო მითხრა და ასე დამემშვიდობა. ქვეყანაში მძიმე პერიოდები გადავლილი იყო. ომები და კონფლიქტები ჩამქრალი ვულკანის თავზე ცაში ამავალი ბოლივით გვახსენებდა თავს. ლადომ საკუთარი ავტოსატრანსპორტო კომპანია ჩამოაყალიბა, შემდეგ მსხვილ გაერთიანებად აქცია საკუთარი ბიზნესი. ტარიელი კი საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკის მფლობელი გახდა. ჩემი და ლადოს გზები ჩვენი ბოლო შეხვედრიდან ჩვიდმეტი წლის შემდეგ გადაიკვეთა...

ლადოს დღიური

ვერ ავავსე ჩემი ცოლის და სიდედრის „მუცელი“. მხოლოდ საყვედურები, თვეობით გაბუტვები და სანათესაოში დედა-შვილი ჩემზე ჭორაობით არიან დაკავებულნი.

ჩემი ცოლის ძმა უკვე მერამდენედ ვიხსენი ციხიდან. არც კაზინოში თამაშს ანაებებს თავს...

ჩემს სიდედრს რომ ჰკითხო, „ბიჭი ცდილობს ოჯახში რაღაც შემოიტანოს და შენი ხელში შემყურე არ უნდა რომ იყოსო“, მე ამ სიტყვებს არ ვიმსახურებ.

ვამჩნევ ლალი ჩუმჩუმად ფულს მპარავს...

ჩემს ცოლის ძმას სადაც კი დავაწყებინე მუშაობა ყველგან ვალები დაედო და მერე ჩემი გადასახდელი გახდა. ჩემთანაც მუშაობდა და ჩემი ფირმის მოწილეობა მოინდომა ამ სალახანამ...

ჩემი უჯრიდან, ჩემთვის უძვირფასესი რელიქვიები გაქრა. მამაჩემის ოქროს საათი, დედაჩემის ყელსაბამი და ჯვრისწერის ბეჭდები...

კონფლიქტი გარდაუვალია...

* * *

ჩემს კაბინეტში ვიჯექი. საქმე არ მქონდა. კომპიუტერი ჩავრთე. ჯერ ფოსტას გადავხედე, მნიშვნელვანი წერილები ვერ აღმოვაჩინე და თამაშებში გადავედი. უკვე საღამოხანი ახლოვდებოდა, ის იყო სახლში წასასვლელად მოვემზადე, რომ მდივანმა დამირეკა.

— ბატონო გიორგი, თქვენთან კლიენტია მოსული, შეძლებთ მიღებას?

სიმართლე გითხრათ დიდი სურვილი ნამდვილად არ მქონდა ვინმეს მიღებისა, მაგრამ საქმე თავისას მოითხოვდა

— მობრძანდეს.

ვუპასუხე მდივანს.

კაბინეტში ლადო შემოვიდა. ადამიანის ფერი არ ედო. ჩემს წინ, განადგურებული, სულიერად დაცემული ადამიანი იდგა.

— გამარჯობათ ლადო, გამიხარდა თქვენი ნახვა...

— გამარჯობათ ბატონო გიორგი...

— ეტყობა რაღაც სერიოზული მიზეზი გაქვთ ჩემთან რომ მობრძანდით... რა მოხდა?

— დიახ, უკვე მოხდა... ჩემი ცოლი ვცემე...

— ოხოხოო... დაბრძანდით და მომიყევით რა მოხდა, ვითარებაში გამარკვიეთ...

— ჩვენი კომფლიქტი ხუთი წლის წინ დაიწყო, ჩემი ცოლის ძმა ჩემთან მივიღე სამსახურში. მას დიდი ამბიციები ჰქონდა. სამსახურში თანამშრომელი არ დარჩა კომფლიქტი რომ არ მოსვლოდა. ერთხელ სოლიდური თანხა გავატანე ბანკში შესატანად, რომ დაბრუნდა მითხრა: — „შევიტანე“-ო, თანხა კი, როგორც შემდეგ შევიტყვე რამდენიმე საათში კაზინოში წაუგია...

— ეს ფული კომპანიას ეკუთვნოდა თუ თქვენ?

— ჩემი საკუთარი ფული იყო, ბავშვების სწავლის ქირა, ფასიან სკოლაში დადიან ირაკლი და ვახტანგი...

— შემდეგ.

— ვეჩხუბე დავითს, სახლში რომ დავბრუნდი ჩემს ცოლს ავუხსენი სიტუაცია და იცით რა მითხრა? „ფული ხომ გაქვს? ხოდა შენ თვითონ გადაიხადე, ბიჭს ამის გამო ეჩხუბე? სასაცილო კაცი ხარო“, მერე სიდედრმაც ამოიღო ხმა... ამ კომფლიქტს ბავშვები შეესწრნენ...

გაოგნებულები შეჰყურებდნენ დედას და ბებიას... იმ დღეს პირველად გაიგეს ჩემმა შვილებმა ჩემი გინება ოჯახში...

— განაგრძეთ, გისმენთ...

— თუკი ვინმეს იცნობდნენ, ჩემი ცოლი და სიდედრი ყველასთან მლანძღავდნენ და მჭორავდნენ... მოკლედ დათო სამსახურიდან დავითხოვე, ამ ფაქტმა ოჯახში სკანდალი გამოიწვია... რამდენიმე დღით სახლიდან წავედი და ჩემს ძმასთან, ტარიელთან გადავედი საცხოვრებლად. ტარიელი გულფიცხი კაცია და პირდაპირ მითხრა, „გაშორდი, თავს რისთვის იტანჯავ? დათოს კი მივხედავ-ო“, მეოთხე თუ მეხუთე დღეს შვილებმა დამირეკეს, — „მამა სახლში დაბრუნდი, გეხვეწებითო“...

— და თქვენც დაბრუნდით?!...

— კი, დავბრუნდი, მუმიასავით იჯდა ჩემი სიდედრი, დათოც იქ იყო, ამომხედა, ჩაეცინა და გესლიანად მითხრა: — „მეც გნახე რა კაციო“. საცემრად გავიწიე, მაგრამ გაიქცა. ჩემმა ცოლმა ერთი წივილ-კივილი ატეხა, — „ცემა ჩემს ძმას როგორ გაუბედე, შენ რა კაცი ხარო“. ჩემს კაბინეტში შევედი, ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრა გამოვაღე... დედაჩემის და მამაჩემის ნივთები ადგილზე აღარ დამხვდა, ნივთები მოვიკითხე, — „სად წაიღეთ ჩემი მშობლების ნივთები-მეთქი?“ იუარა, -„მე რა ვიცი-ო?“, ლალის კითხვა გავუმეორე, „...ეს ნივთები ჩემთვის წმინდათა-წმინდა იყო, ეს ნივთები ჩემი რელიქვიაა, მითხარით სად წაიღეთ ჩემი მშობლების ნივთები-მეთქი?“ ისეთი რამ მიპასუხა...

— რა გიპასუხათ ლადო?

— „თუ რელიქვიები გაინტერესებს მუხადგვერდის სასაფლაოზე ადი იქ მოინახულეო“...

დავაკვირდი, მრისხანებით როგორ აევსო თვალები ლადოს, წონასწორობას კარგავდა...

— დამშვიდდით ლადო, ყოველი დეტალი მნიშვნელოვანია...

— ჩემს ცოლს დავარტყი... ერთხელ... მეორედ... მესამედ... ჩემი სიდედრიც წამოენთო და იმასაც დავარტყი მუშტი... წონასწორობა დაკარგული მქონდა. სეიფიდან პისტოლეტი ამოვიღე ადგილზე მინდოდა დამეცხრილა დედა–შვილი, მაგრამ ბავშვები გადაეფარნენ... შიშით კანკალებდნენ ბიჭები... სადამდე მიმიყვანეს... პისტოლეტი ისევ სეიფში დავაბრუნე...

ლადო გაჩუმდა. სკამიდან ავდექი, მაცივრიდან წყლის დოქი გამოვიღე, წყალი ჭიქაში ჩავასხი და ლადოს მივაწოდე... სულმოუთქმელად დაცალა...

— შემდეგ რა მოხდა ლადო?

— ჩემმა ცოლმა პროკურატურაში აღძრა საქმე, „ოჯახური ძალადობის“ მოტივით, თანაც ცილისწამებაც უხვად ჩააქსოვეს დედაშვილმა...

ლადოს ხმა ჩაუწყდა... ვაცადე ცოტა დამშვიდებულიყო.

— ბატონო გიორგი, ის დამპალი ქალი კომპენსაციის სახით ჩემი კომპანიის წილს ითხოვს, 50%-ს.

ბევრი ვისაუბრეთ როგორც კლინტმა და ვექილმა. საქმე საკმოდ გართულებულიყო.

დაკითხვის ოქმიდან

(ნაწყვეტი)

გამომძიებელი — ქალბატონო ლალი თქვენ უარყოფთ თქვენი ქმრის ბრალდებას მასზედ, რომ თქვენ სახლიდან არ გაგიტანიათ თქვენი მეუღლის ე.წ. „რელიქვიები“, თქვენი მეუღლის აწ გარდაცვლილი მშობლების ნივთები?

ლალი — ვადასტურებ. მე ჩემი მეუღლის მშობლების ნივთების, ე.წ. რელიქვიების შესახებ არაფერი ვიცი, შესაბამისად ამ ნივთების ადგილსამყოფელი ჩემთვის უცნობია.

გამომძიებელი — შესაძლებელია თუ არა კიდევ ვინმეს სცოდნოდა ამ ნივთების ადგილმდებარეობა?

ლალი — შესაძლებელია, თუკი ლადო ეტყოდა ვინმეს.

გამომძიებელი — რამდენად დასაშვებად მიგაჩნიათ რომ ნივთები თქვენი და თქვენი მეუღლის ნებართვის გარეშე აეღო ვინმეს...

ლალი — გამორიცხულია. ვიზე გაქვთ ეჭვი ?

გამომძიებელი — ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი ძმა კაზინოს ხშირი სტუმარია და არა ერთხელ აქვს წაგებული სოლიდური თანხა, რომელიც შემდგომ თქვენმა მეუღლემ დაფარა...

ლალი — თქვენ უშვებთ იმ ფაქტს, რომ ჩემს ძმას შეეძლო მიეთვისებინა ეს ნივთები?

გამომძიებელი — ბატონი ლადო ამტკიცებს, რომ თქვენ იღებდით ფულს მისი საფულედან მისი ნებართვის გარეშე. რამდენად შეესაბამება მისი განცხადება სიმართლეს?

ლალი — კი, რამდენჯერმე ავიღე ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარე, მე მგონი ეს დანაშაული არ არის...

დაკითხვის ოქმი

(ნაწყვეტი)

გამომძიებელი — ქალბატონო ნუნუ თქვენ ბრძანდებით ძალადობის მსხვერპლი და თავი დაზარალებულად მიგაჩნიათ...

ნუნუ — დაზარალებული კი არა ნაცემი ვარ შვილო. იმ პირუტყვმა გვცემა შვილო მე და ჩემი გოგო... როგორც ჩემს შვილს ისე ვეპყრობოდი ლადოს და სამაგიერო ასე გადამიხადა...

გამომძიებელი — ქალბატონო ნუნუ როგორ დაახასიათებდით თქვენს სიძეს?

ნუნუ — ცუდი სიმთვრალე ჰქონდა, ჩემს შვილს ამწარებდა, მე ოთახიდან გამოსვლის უფლებას არ მაძლებდა, გვაგინებდა...

გამომძიებელი — დაკარგულ ნივთებთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

ნუნუ — მე რა ვიცი შვილო, ჯანდაბაშიც წასულა ლადო თავის ნივთებიანად, ეს ველური...

გამომძიებელი — თქვენი კუთვნილი ბინა თქვენი ვაჟის ვალების გამო გაყიდეთ?...

ნუნუ — ხოო შვილო, კაზინოში თუ ტოტალიზატორში წააგო და გავყიდეთ, ლადოს ბრალია ყველაფერი...

გამომძიებელი — რას გულისხმობთ?

ნუნუ — იმას, რომ ლადოს რომ დროზე გაემართა ხელი, ეს არ მოხდებოდა.

დაკითხვის ოქმი

(ნაწყვეტი)

გამომძიებელი — ბატონო დავით ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ კაზინოს ხშირი სტუმარი ბრძანდებით და მნიშვნელოვანი თანხებიც გაქვთ წაგებული, რომელიც შემდგომ თქვენმა სიძემ დაფარა. ადასტურებთ ამ ფაქტს?

დავითი — დიახ ორჯერ თუ სამჯერ იყო ასეთი შემთხვევა.

გამომძიებელი — თქვენთვის არის ცნობილი თქვენი სიძის „რელიქვიების“ დაკარგვის შესახებ?

დავითი — დიახ.

გამომძიებელი — შეგიძლიათ რაიმე გვითხრათ ამ ფაქტთან დაკავშირებით?

დავითი — მხოლოდ ის, რომ გაურკვეველ მდგომარეობაში დაიკარგა.

* * *

არანაირი მტკიცებულება ნივთების დაკარგვის შესახებ არ გამაჩნდა. ქალბატონები ლალი, ნუნუ და ბატონი დავითი, ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ნივთები ლადომ გაიტანა სახლიდან, რათა ბრალი წაეყენებინა მათთვის და ეს გარემოება ოჯახის დანგრევის საბაბად გამოეყენებინა. კიდევ მრავალი „ბრალდება“ წაუყენეს ოჯახის წევრებმა ლადოს. ფიზიკური ძალადობის ფაქტს ლადო ადასტურებდა და ექსპერტის დასკვნაც წინ მედო. მთავარი კიდევ ის იყო, რომ ბავშვების დაკითხვის უფლებას არ გვაძლევდა დედა და ბებია. ეჭვიანობა, ცილისწამება, ოჯახური ძალადობა, შვილების მიმართ არაადამიანური მოპყრობა... ეს იყო ოჯახის წევრთა ბრალდებების არასრული ნუსხა ლადოს წინაღამდეგ. ლადოს დასაცავად ხელმოსაჭიდი მტკიცებულება არ გამაჩნდა. „წყალს მივყავდი“. პირველად გადაავიწერე პირჯვარი კაბინეტში...

მხოლოდ მეზობლებისა და ლადოს კომპანიის თანამშრომლების ჩვენებები მქონდა ხელთ და ისიც ლალის დაცვის მხარეს შეეძლო გაექარწყლებინა, რადგან მეზობლები ოჯახში მიმდინარე პროცესების რეალურ სურათს ვერ დაინახავდნენ, მეზობლები ვერ იტყოდნენ

რა ხდებოდა ოჯახში, ხოლო თანამშრომლების ჩვენებები, სადაც ლადოს შესანიშნავ და დადებით პიროვნებად ახასიათებდნენ, დიახ, სამწუხაროდ ეს ჩვენებები, სასამართლოს, თანამშრომლების სამსახურის შენარჩუნების მოტივად შეეძლო მიეჩნია. აუცილებლად უნდა მეპოვა „რელიქვიები“. პროკურატურის ბიჭები თავაუღებლივ მუშაობდნენ, თუმცა ხელმოსაჭიდი ჯერ არაფერი გვქონდა.

დილით სასახურში მივედი. ათასი ფიქრი მიფორიაქებდა გონებას. კაბინეტში ისე შევედი ჩემს მდივანს არც კი მივსალმებივარ. ტელეფონმა დარეკა, ყურმილი ავიღე.

— გისმენთ.

— ბატონო გიორგი თქვენთან სტუმარია, ამბობს აუცილებლად უნდა შევხვდეო...

— შემოვიდეს.

კაბინეტში პირხმელი, საშუალო სიმაღლის, შუახნის მამაკაცი შემოვიდა. სტუმარი კარის ზღურბლთან მორიდებულად შეჩერდა.

— გამარჯობათ, ბატონო გიორგი.

— გამარჯობათ რით შემიძლია გემსახუროთ?

— აი, აქ, ქვითრები და ხელშეკრულებაა ლომბარდთან. ჩემს მეზობლად, ჩვენს უბანში ჩააბარეს ოქროს საათი და ქალის ყელსაბამი... აქ ფოტოებიცაა, შიდა კამერის მიერაა გადაღებული...

ბრძანა მოსულმა და თხელი საქაღალდე გამომიწოდა.

გახარებულმა საქაღალდე გამოვართვი და სტუმარს სკამი შევთავაზე.

ფოტოებზე, ლომბარდის ოფისში მიბრძანებული ქალბატონი ლალი იყო გამოსახული. აქვე რამდენიმე სურათი გარეკამერასაც ჰქონდა დაფიქსირებული, ქალბატონი ლალი ბატონ დავითთან ერთად. ხელშეკრულება გულდასმით გადავიკითხე. ქვითრებს გადავხედე და წელში გავიმართე.

— ჩემო ბატონო, ლომბარდში ჩვენს ხალხს გავგზავნით, რომ ნივთები არ გაყიდონ...

— ნუ ნერვიულობთ ბატონო გიორგი, ნივთები სეიფში ინახება და თქვენი ნებართვის გარეშე ხელს ვერავინ დაადებს... ჩვენები არიან... ბატონო გიორგი, ჩვენი ტაქსოპარკის ბიჭები და „რეისავიკები“ ლადოს გულისთვის ცეცხლში გაივლიან. ლადომ შეგვინარ-

ჩუნა სამსახურები... აი აქ ვიდეო კასეტებიცაა და „დისკი“, აი, თავად ნახეთ...

სტუმარს ვიდეო კასეტა და კომპაქდისკი გამოვართვი. ვიდეო კასეტა მაგნიტოფონში ჩავდე, მაგნიტოფონი ჩავრთე და ტელევიზორის ეკრანს ინტერესით მივაცქერდი, რომ მოვყვე იქ რა კადრებსაც ვუცქერდი საჭირო არ არის. მხოლოდ იმას დავძენ, რომ კადრებში ქალბატონი ლალის უკიდურესად მდაბალი საქციელი დასტურდებოდა, ქმარს უკიდურესად დამამცირებლად მოიხსენიებდა, ზოგიერთ კადრში დავითი და ქალბატონი ნუნუს საყურადღებო საუბრებიც იყო ნაჩვენები. არ მიკთხავს სტუმრისთვის საიდან მოიპოვა ეს „ფაქტები“, მაგრამ ეს მასალა „ქვას გახეთქავდა“.

— ჩემო ბატონო ეს კადრები თქვენ ნანახი გაქვთ? ვკითხე მოსულს.

— დიახ. ამ კადრების შესახებ იცის მხოლოდ მან ვინც გადაიღო და მე, ეხლა უკვე თქვენც.

— უღრმესი მადლობა დახმარებისთვის მეგობარო...

— არაფერს, მე წავედი ბატონო, მე ტაქსის „შოფერი“ ვარ... გეგმა მაქვს და... სამუშაო მელოდება, ნახვამდის

სტუმარი წავიდა. გადავრჩით, საქმეს აუცილებლად მოვიგებ, მაგრამ ამ კადრებს სასამართლოზე ვერ ვაჩვენებ, სასამართლოს ლადოს შვილები რომ დაესწრონ? ამ შემთხვევაში ვიდეოს ჩვენება გამორიცხულია... ყოველ შემთხვევაში უკიდურეს მომენტამდე შევინახავ.

ქალბატონი ლალის ადვოკატს დავურეკე და მასთან და მისი დაცვის ქვეშ მყოფ მომჩივანთან შეხვედრა მოვითხოვე, საგამოძიებო მასალების გაცნობის მიზნით. შეხვედრა ჩემს კაბინეტში შედგა. ჩვენი შეხვედრა უფრო დიდ მიზანს ემსახურებოდა, მინდოდა ლალის მხარე „წელში გამეტეხა“, რათა ჩვენი შეთავაზებები უყოყმანოთ მიეღოთ...

კაბინეტში ქალბატონი ლალი და მისი ადვოკატი, ქალბატონი ციალა შემობრძნადნენ. საშინლად ამაზრზენი მეჩვენა ლალი. საუბარი მე წამოვიწყე:

— ქალბატონო ლალი, თქვენი ჩვენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ განაცხადეთ, რომ არაფერი იცოდით „რელიქვიების“ შესახებ, ადასტურებთ ჩემს სიტყვებს?

— დიახ.

უტიფრად მომახალა ლალიმ. მე სრული სიმშვიდე შევინარჩუნე.

— ნება მიბოძეთ რამდენიმე დოკუმენტი გაგაცნოთ, ეს დოკუმენტების ქსეროკოპიოა. აქ თქვენი ძმის მიერ ლომბადში დაგირავებული ნივთების ნუსხაა და ნივთების ფოტოები, ასევე გადახდის ქვითრები და ხელშეკრულება, რომელზეც თქვენ ძმა აწერს ხელს... ეს ნივთები თქვენი მეუღლის „რელიქვიებს“ წარმოადგენს. თქვენი ძმა ქურდია, მან ეს ნივთები თქვენი ოჯახიდან მოიპარა, რა შეგიძლიათ მითხრათ ამ ფაქტთან დაკავშირებით?

ლალი შეცბა, მოიღუშა. მე განგებ „დავმალე“ ფოტოები სადაც ლალი ძმასთან ერთად იყო გადაღებული ლომბარდში. ლალიმ ამოიგმინა.

— სალახანა ბრძანდებით ბატონო ადვოკატო...

— უკაცრავად...

ვუპასუხე გაკვირვებულმა, ამ ქალის ქცევამ გამაოგნა.

— ეს ნივთები მხოლოდ მოგონებებია და მეტი არაფერი...

— ქალბატონო ლალი, მასალები პროკურატურას უკვე გადავეცი და მერწმუნეთ ამ მასალებს უყურადღებოთ არ დატოვებენ...

ლალიმ ამოიგმინა, თვალი თვალში გავუყარე, მრისხანებას ასხივებდა მისი სახე, არანაირი სინდისის ქეჯნა, გამიკვირდა, ძალიან გამიკვირდა... ჩემს წინაშე ზნედაცემული ქალი იჯდა. გაოცებულმა, ახლა ქალბატონ ციალას მივმართე.

— ქალბატონო ციალა, მინდა გადახედოთ რამოდენიმე მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი ქალბატონის დანაშაულებრივ ქმედებას და აქვეა მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო კადრები. გთხოვთ მათ წარმოშობაზე და კანონიერებაზე ნუ ვისაუბრებთ... როცა ამ კადრებს იხილავთ, თავად გადაწყვიტეთ როგორ მოიქცეთ. თანახმა ბრძანდებით?

— დიახ, რასაკვირველია...

დისკი კომპიუტერში შევუშვი და ეკრანი ადვოკატისკენ შევატრიალე...

ქალბატონები თითქმის ერთი საათის განმავლობაში უყურებდნენ ამ გულისამრევ კადრებს. ისმენდნენ საუბრებს და დიალოგებს, რომლებიც ცილისწამების და სიცრუის ნიმუში იყო. როდესაც ფილმი დასრულდა ქალბატონ ლალის ყურადღებით დავაკვირდი, მისი რექცია მაინტერესებდა, იგი მოტყდა? არა, არამც და არამც, „ნახტომისთვის“

ემზადებოდა ქალი. ქალბატონ ციალას თვალებში კი განცვიფრება და უკიდურესი ზიზღი დავინახე თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ. დუმილი ქალბატონმა ციალამ დაარღვია:

— ბატონო გიორგი, თუ თქვენ ამ კადრებს სასამართლოზე მტკიცებულებად გამოიყენებთ, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ მოვითხოვოთ ამ კადრების მოპოვების კანონიერება...

— მოითხოვეთ ვინ გიშლით...

ჩვენი შემდგომი საუბარი მხოლოდ სიტყვათა პაექრობა იყო და სხვა არაფერი. ლალი კი დუმდა, გამოსავალს ეძებდა ეს აფთარი და მოულოდნელად მკითხა:

— ჩემს ძმას რა ბედი ეწევა?

— ამ შეკითხვით პროკურატურას უნდა მიმართოთ, ისინი უფრო კვალიფიცირებულ პასუხს გაგცემენ ქალბატონო ლალი...

— ჩემგან რას ითხოვთ?

— პროკურატურიდან თქვენი განცხადების გამოტანას, თქვენი მოთხოვნების ანულირებას, საქმის შეწყვეტას თქვენივე მოთხოვნით და თქვენი მეუღლის მიერ შემოთავაზებული პირობების უპირობო მიღებას...

— მას ჩემთვის არაფერი შემოუთავაზებია.

— ნუ ნერვიულობთ, შემოგთავაზებთ.

ქალი ფერდაკარგული იჯდა, ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. ლადოს დავურეკე და დავამშვიდე, თუმცა კადრების შესახებ არაფერი მითქვამს, ჩემი კლიენტის თავმოყვარეობას გავუფრთხილდი. ლადო მიხვდა, რომ სიტუაციას მე ვაკონტროლებდი. რამდენიმე დღეში „რელიქვიები“ მაგიდაზე მეწყო.

ლადო ჩემს კაბინეტში შემოვიდა, ნივთებს შეხედა, კანკალებდა კაცი. კაბინეტიდან გამოვედი და დერეფანში სიგარეტს მოვუკიდე. ლადო თავის მოგონებებთან მარტო დავტოვე.

ერთი კვირის შემდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო. ყველა აუცილებელი მტკიცებულებები ხელთ მქონდა. საქმის წარმატებით დაგვირგვინების ასპროცენტიანი შანსი სიმშვიდეს მანიჭებდა.

სასამართლო დაიწყო. მოწმეთა ჩვენებებმა და ჩემს მიერ წარმოდგენილმა მასალებმა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ყველა წინაპირობა შექმნა. სასამართლო ბატა-

ლიების მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას დავამატებ რომ ოპონენტი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლომ არადამაკმაყოფილებლად სცნო. სასამართლომ ქალბატონ ლალისა და ბატონი ლადოს ქორწინება ბათილად სცნო. პირველი რუბიკონი გადალახული იყო. ბავშვების მეურვეობაზე ორივე მშობელს თანაბარი უფლება მიენიჭათ. დაიწყო მხარეებს შორის ქონებრივი საკითხის განხილვა. მაგიდაზე ჩემი განუყრელი „ლეპტოპი“ დავდე, ლეპტოპის ეკრანი გაავშალე და „დისკი“ ლეპტოპში დემონსტრაციულად შევაცურე. საჭირო ფაილიც მოვნახე და მასალა გასასაჯაროებლად მოვამზადე, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში თუ ამის საჭიროება დადგებოდა... ლადო გაკვირვებული აკვირდებოდა ჩემს მოძრაობას... არც ქალბატონ ციალას და ქალბატონ ლალის გამოპარვიათ ჩემი მოქმედება. ლადო მიხვდა რომ „რაღაცას“ ვაპირებდი, მაგრამ სასურველი იყო, ჩემი ჩანაფიქრი, ჩემი კლიენტისთვის უცნობი დარჩენილიყო...

ჩვენი ოპონენტი მხარე დაეთანხმა ყველა ჩვენს შეთავაზებას და ქონებრივი საკითხი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სასარგებლოდ გადაწყდა. სასამართლო განჩენის გამოტანის თარიღიც დასახელდა.

შვებით ამოვისუნთქე. ლადოც დამშვიდდა. გარემოებები სიმშვიდის საბაბს ნამდვილად გვაძლევდა... მაგრამ...

მოსამართლე სასამართლო განაჩენს კითხულობდა, შეუვალი იყო მსაჯული, ყველაფერი ლოგიკურ დასასრულისკენ მიდიოდა... ლალის დავაკვირდი, ხელჩანთა მაგიდაზე დადო, გახსნა, ცხვირცახოცი ამოიღო და ალბათ ოფლიანი ხელისგულების წმენდა დაიწყო... შემდეგ ისევ შეაცურა ხელი ხელჩანთაში, მოსამართლე განაჩენის კითხვას ასრულებდა...

— ვერ ეღირსები ნაძირალა!

ცხოველური ხმით იკივლა ლალიმ. ქალს ხელში პისტოლეტი ეჭირა. გადატენა და ჩვენი მისამართით დაიწყო ინტენსიური სროლა. ინსტიქტურად სკამიდან წამოვადი, დავინახე პოლიციამ როგორ განაიარაღა ქალი, უნებურად ლადოსკენ გავიხედე, გულაღმა ეგდო სისხლში მოსვრილი ლადო... მე გონება დავკარგე... პისტოლეტი ლადოს ეკუთვნოდა...

გონს საავადმყოფოში მოვედი. ჩემთვის ოპერაცია უკვე გაეკეთებინათ, ფეხში ვყოფილვარ დაჭრილი. ინტენსიური თერაპიის პალატა-

ში გადამიყვანეს. ლადო გადარჩა. ერთი ტყვია მხარში ჰქონდა მოხვედრილი მეორე კი მკერდში, მარჯვენა მხარეს. საბედნიეროდ არც ერთი სასიცოცხლო ორგანო არ დაზიანებულა.

ლალის ცხრა წლით პატიმრობა მიესაჯა, დავითი ხუთი წლით „მიავლინეს“ საპატიმროში, ხოლო სიდედრი, სოფელს დაუბრუნდა. ლადოს ვაჟები ტარიელმა შეიფარა და ის უვლიდა. ლადოს კომპანია როგორც არასდროს ისე გამართულად მუშაობდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, სამ თვეში სამსახურს დავუბრუნდი. საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ ლადოც ტარიელს შეეხიზნა. რძალი ღვთისნიერი ქალი აღმოჩნდა, როგორც საკუთარ ძმას ისე უვლიდა მაზლს. მალე გამოჯანმთელებული კაცი სამსახურში გავიდა. მთელი კომპანია ფეხზე დადგა...

ლადოს დღიური

აღარ მინდა წარსულის გახსენება, თუმცა ჭრილობა მახსენებს წარსულს, ჩემი შვილები დედას არ ახსენებენ. გული მეტკინა... მიუხედავად ყველაფრისა დედა არ უნდა დაივიწყონ, თუმცა ამისი სრული უფლება აქვთ. თურმე სადილის ფულს რომ ვაძლევ ბიჭებს, ინახავდნენ და ნაგროვები ფულით ციხეში დედას „პერედაჩებს“ უგზავნიან. ხმა არ ამომიღია, იყოს მათი საიდუმლო, მე მგონი ასე აჯობებს...

ბედნიერებას ვეძებდი, ალბათ ბედნიერებას დამსახურება სჭირდება.

სარკეში ვაკვირდები საკუთარ სახეს, თავზე ერთი შავი თმა აღარ შემრჩენია. გამეცინა, „თოვლის პაპა!“ დავცინე ჩემს ანარეკლს.

* * *

ერთხელ სახლში ვიღაც გვესტუმრა, ჩემმა მეუღლემ გაუღო კარები. სტუმრები მისაღებ ოთახში შეიყვანა და საოცრება მოხდა... ათ წუთში ვიზიტორები ჩემმა მეუღლემ სახლიდან გაყარა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. გაგეცინებათ, თურმე ვიღაც კაცი მეუღლესთან წარმოქმნილი კომფლიქტისა და გაშორებასთან დაკავშირებით დახმარების სათხოვნელად იყო მოსული (ეს მერე გავიგე)... ჩე-

მი მეუღლის „ცაცხანი“ მესმოდა, „თუ უნდა გაშორდე რაღას მოგყავთ ცოლები, მომიკლავენ ეს ვიგინდარები ქმარს...“ ხარხარი ამივარდა, მართლაც გულიანად ვიცინოდი.

ᲚᲐᲓᲝᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

სახლში დაღლილი დავბრუნდი, ამ თათბირებმა ლამის არის სული ამომხადოს, ათას დეგენერატს უნდა უსმინო „ყურადღებით“ და ამ „აბსურდის თეატრში“ წამყვანი მსახიობის როლი მოვირგო. სახლში მარტო ვარ. ცოლს გავშორდი... ეხლა თავიდან უნდა დავიწყო ყველაფერი... ოჯახს ვაშენებდი და ჯოჯოხეთი შევქმენი. ლალის „ფენომენი“ თავს არ მანებებს...

ნანას მგონი მოვწონვარ, კარგი ქალია... იცით რა მომწონს მასში? არ დამიჯერებთ... ოცდათი წლის გათხოვდა, ერთ წელიწადში მეუღლე გარდაეცვალა, საკუთარ მშობლებს და დედამთილ-მამამთილს აგერ უკვე მეოთხე წელია უვლის, ბედნიერება ჯერ არ მინახავს ნანას სახეზე. საქმეში კი ნამდვილი პროფესიონალია... ვაგრძნობინე... ვუთხარი რომ ცოლად მინდა მისი მოყვანა, შეშინდა, ჩვენი ურთიერთობა დაიძაბა. საქორწინო ბეჭედი დავუდე მაგიდაზე და ვუთხარი, რომ ერთ კვირაში ეთქვა პასუხი. ეგრევე „არა“ მომახალა. შემდეგ ისევ ვთხოვე და დავპირდი, რომ მის დედ-მამას და დედამთილ-მამამთილს, როგორც საკუთარ ნათესავებს ისე მივხედავდი. უნდობლად გამიღიმა და წყნარად მიპასუხა: — „მე ჩემი მეყოფა...“. ვთხოვე, „ერთ კვირაში მითხარი პასუხი და თუ ისევ „არა“-ს მეტყვი, გთხოვ ეს ბეჭედი ჩემს თვალწინ ნაგვის ურნაში ჩააგდე-მეთქი“. შევბრუნდი, თანამშრომლები გაფაციცებულები შემოგვცქეროდნენ. მე, კომპანიის მფლობელს, ვერაფერს მიბედავენ თორემ ვგრძნობ ჭორების ქარბორბალა როგორ დაჰქრის ოთახიდან ოთახში, კაბინეტიდან კაბინეტში.

დღეს მეშვიდე დღეა, ასე ჯერ არ მშინებია გათენების. თქვენ ალბათ მეტყვით, „რად გინდა პრობლემური ქალი, განა ქალები დაილია ქვეყანაზე ? მე კი გიპასუხებთ: — „სადმე გსმენიათ ნანას ისტორიის მქონე ადამიანის შესახებ? ან მსგავსი კეთილშობილების ანალოგს გაიხსენებთ ვინმე?“

სამსახურში მივედი. მანქანა ავტოსადგომზე გავაჩერე. უნებურად შენობის ფანჯრებისკენ გავიხედე და... და თანამშრომლთა ურიცხვი თვალი მიმზერდა. ისინი მიყურებდნენ... შემდეგ როგორც ერთი, ისე მოშორდნენ ფანჯრებს, ალბათ საქმეს შეუდგნენ, სასაცილოა არა? ჯანდაბას მათი ცნობისმოყვარეობა. მე მინდა ვიყო ბედნიერი. მეშინოდა... ჩემი სიყვარულის განაჩენის მეშინოდა...

ლადოს დღიური

რა არის ბედნიერება? ის თვითოეულ ადამიანში ჩამარხული „განძია“, რომელიც დროთა განმავლობაში ივსება ჩვენგან დამოუკიდებლად, ის, თვალნათლივ არსად ჩანს და ჩვენით სულდგმულობს. ის არც სკივრშია, რომ ამოიღო და ხელით შეეხო. თუ ადამიანს საკუთარი ბედნიერების დანახვა არ შეუძლია, ის, ვერც ტაძარში ილოცებს გულმხურვალედ, მხოლოდ ჩამქრალი კელაპტრით ხელში დაყუდებულ თვალმოსეირეს დაემსგავსება, სხვის ლოცვა-ვედრებას რომ თვალით აღიქვამს და საკუთარის წარმოთქმა კი სიმძიმეს ჰგვრის. ბედნიერება ადამიანის არსის განძია, თუ მისი პოვნა ვერ შესძელი, მხოლოდ სხვისი ბედნიერების შემყურეს, საკუთარი ყოფიერების ეთერში გაითქვიფება და დრო დაფერფლავს.

მე ვიპოვე ჩემი ბედნიერება, წუხელი ნანა ჩემი შვილების პერანგებს აუთოებდა და რაღაც სიმღერას ღიღინებდა. შემდეგ ტანსაცმელი გამიმზადა სახვალიოდ.

სუნამოს საყიდლად ჩავედით პარფიუმერიის მაღაზიაში, თავისთვის საუკეთესო ავარჩევინე. „შენ რომელ ოდიკოლონს ხმარობ?“ მკითხა ნანამ, „რომლის სურნელიც შენთვისაა მისაღები“, ღიმილით ვუპასუხე მეუღლეს.

* * *

ეს ბოლო ჩანაწერია ლადოს დღიურში. მე არ ვიცი კიდევ წერს თუ არა ჩემი კლინტი დღიურებს, მაგრამ ეს რვეულები მან საკუთარი ნებით დამიტოვა, ალბათ იმიტომ, რომ უკეთ გამეცნო და მისდამი ნდობა გამჩენოდა.

მწერალი რომ ვიყო კარგ რომანსაც „გამოვაცხობდი“, მაგრამ ვნახოთ... ვნახოთ... ვნახოთ...

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ექიმის საქმე

საქმის მასალები პროკურატურაში გადმომცეს. პატიმრობიდან ახლად განთავისუფლებულმა პირმა საკუთარი მეუღლე განსაკუთრებული სისასტიკით გამოასალმა სიცოცხლეს. მე მესმის მსჯავრდებულების, ციხიდან გამოსვლის შემდეგ რჩება სტრესი, შერყეული ფსიქიკა, ოჯახთან გაუცხოვება, ეჭვიანობა და ასე შემდეგ... პრობლემები, მაგრამ არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც კაცი, სრულიად ვიზიარებდი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის არგუმენტებს და მოტივებს ჩადენილი დანაშაულის ლოგიკურობასთან დაკავშირებით.

ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲝᲥᲛᲘ

(ამონარიდი)

გამომძიებელი — ესე იგი თქვენ ამტკიცებთ, რომ ნარკორეალიზატორი თქვენი სიმამრი იყო?

ბრალდებული — დიახ...

გამომძიებელი — მაშინ ამიხსენით როგორ მოხვდა ნარკოტიკები და ფსიქოტროპული პრეპარატები თქვენს ბინაში?

ბრალდებული — მე ექიმი ვარ, უფრო სწორედ ვიყავი... ჩემს სახლში საკმაოდ დიდი საოჯახო აფიაქი მქონდა, ბევრ წამალს ვინახავდი იქ... ჩემი მეუღლე ნარკოტიკებს იქ ინახავდა...

გამომძიებელი — მომისმინეთ, როდესაც საგამოძიებო ჯგუფმა ნარკოტიკები აღმოაჩინა, თქვენ დანაშაული აღიარეთ, ასე არ არის?

ბრალდებული — დიახ, ასეა... მაგრამ, სიმართლე სხვა არის...

გამომძიებელი — განაგრძეთ.

ბრალდებული — ჩემი სიმამრი წლების მანძილზე ციხის უფროსად მუშაობდა, დიდი ფულის პატრონიც გახლდათ. ციხეში მან ერთი ნარკო-ბარონი, ვინმე „თავთავა“ გაიცნო...

გამომძიებელი — თქვენ იცნობთ „თავთავა“-ს ?

ბრალდებული — კი, მქონდა პატივი, მე „თავთავა“ გამაცნეს როგორც ბიზნესმენი.

გამომძიებელი — განაგრძეთ...

ბრალდებული — „თავთავა“ საკმაოდ ნიჭიერი და განათლებული კაცი გახლავთ და ჩემს უწიგნურ სიმამრზე გარკვეული გავლენის მოპოვება შესძლო. ციხეში ნარკოტიკების შეტანის იდეაც „თავთავა“-ს ეკუთვნოდა.

გამომძიებელი — თქვენ ამტკიცებთ, რომ თქვენი სიმამრი ნარკოტიკების გავრცელებას უწყობდა ხელს?

ბრალდებული — დიახ ასეა. ამ გზით მან ძალიან დიდი ფული იშოვნა. „თავთავა“ ქიმიკოსი გახლდათ, ადრე სკოლაშიც მუშაობდა პედაგოგად, ერთი პერიოდი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშიც მუშაობდა ბიო-ქიმიკოსის თანამდებობაზე...

გამომძიებელი — საინტერესოა... განაგრძეთ...

ბრალდებული — ჩემი სიმამრის საქმიანობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო. ეტყობა ეჭვი გაჩნდა. თუმცა არა საკმარისი მტკიცებულებების გამო ვერ დააპატიმრეს, ჩინი მოუმატეს და პენსიაზე გაუშვეს... „თავთავა“-ც გამოვიდა ციხიდან და ძველი პარტნიორები ერთმანეთს ჩემს აგარაკზე შეხვდნენ. ჩემმა სიმამრმა ის ბიზნესმენად გამაცნო.

„თავთავას“ შესახებ კერძო გამოძიება დავიწყე. მაინტერესებდა ვინ იყო ეს პიროვნება და უკიდურესად საინტერესო მასალებს წავაწყდი. „თავთავა“, ანუ ირაკლი გ... ერთობ ნიჭიერი ადამიანი ყოფილა. სკოლა ოქროს მედალზე დაუმთავრებია და უნივერსიტეტში ბიო-ქიმიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, მის დახასიათებებში ვერ ნახავთ ვერც ერთ „შავ“ წერტილს. სამეცნიერო კომფერენციები, სამეცნიერო სტატიები, ჯილდოები, სიგელები... და შემდეგ წითელი დიპლომი... წარმატებული კაცი გახლდათ ბატონი ირაკლი. „თავთავა“-მ ასპირანტურაში განაგრძო სწავლა და პირველმა ფიასკომაც არ დააყოვნა... მზა დისერტაცია დაიკარგა. როგორც შემდეგ გამოირკვა ირაკლი გ-ს... დისერტაცია, დისერტაციის ხელმძღვანელის, პროფესორის ასულმა წარადგინა და წარმატებითაც დაიცვა. ირაკლი გაოგნებული იყო. ბევრი იბრძოლა, მაგრამ პროფესორის ავტორიტეტმა თავისი ქნა.

ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲝᲥᲛᲘ

(ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲘ)

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ — არასოდეს შემპარვია ეჭვი ჩემი სიმამრის პატიოსნებაში. ხო, ისიც არის, რომ „სკამს თუ აფუჭებ“, თანამდებობას დაგატოვებინებდნენ და „უფრო“ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გადაგიყვანდნენ, ასე იყო მაშინ...

ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ — მატერიალურად გეხმარებოდათ თქვენი სიმამრი?

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ — დიახ. მაშინ მე ახალბედა ექიმი ვიყავი. ჩემი მშობლები მეხმარებოდნენ, მაგრამ საერთო შემოსავლით ოჯახის რჩენა მაინც მიჭირდა...

ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ — თქვენი მეუღლე?

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ — სასწრაფო დახმარების ბრიგადაში ექთნის თანამდებობა ეკავა.

მეორედ ჩააბარა ასპირანტურაში ირაკლიმ. საკმაოდ სერიოზულ პრობლემას შეეჭიდა ახალგაზრდა კაცი და... აქაც მარცხი. თემის ხელმძღვანელი ამ შემთხვევაშიც არაკაცი გამოდგა და საბოლოო ჯამში „თავთავა“-ს საქმე „ჩაუწყეს“... მას სკოლის მასწავლებლის თანამდებობა „გაუჩალიჩეს“. გაბოროტდა კაცი. როგორც ირკვევა სკოლაში საკმაოდ კარგი პედაგოგი ყოფილა და გარკვეული პერიოდის შემდეგ „რეპეტიტორობას“ მიჰყო ხელი. აქაც არ გაუმართლა. კოლეგებმა უჩივლეს და თავზე ფინანსური ინსპექცია დააყენეს. ღიმილს მოგგვრის ეს ყველაფერი. კაცს საკუთარი ნიჭის ღირსეულად გამოყენების საშუალება არ მისცეს მათ, ვისაც უშუალოდ ეხებოდა ახალგაზრდების ხელშეწყობა. ირაკლი და მისი მეუღლე, ორი მცირეწლოვანი შვილით, ისევ სკოლის პედაგოგის ხელფასის ამარა დარჩნენ. ირაკლიმ იწვალა და ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიის ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა. აქედან დაიწყო მისი ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპი.

დაკითხვის ოქმი

(ამონარიდი)

გამომძიებელი — ბრალდებულო, თქვენ დაჟინებით ამტკიცებთ რომ თქვენი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული და უკანონოდ წარმოებული ფსიქოტროპული საშუალებები ეკუთვნის თქვენს სიმამრს, რომელიც თქვენს აფთიაქში „შესანახად“ თქვენმა მეუღლემ მიიტანა...

ბრალდებული — დიახ, ვადასტურებ.

გამომძიებელი — თუნდაც რაიმე სახის მტკიცებულებით შეგიძლიათ დაადასტუროთ თქვენი მოსაზრება?

ბრალდებული — სამწუხაროდ ჩემი და ჩემი მეუღლის საუბრის ჩანაწერები მე არ გამაჩნია.

გამომძიებელი — იქნებ თქვენ ნარკო-სინდიკატის წევრი ბრძანდებით და ცდილობთ პასუხისმგებლობას ამგვარი სახით გაექცეთ? თანაც თქვენი მეუღლის მკვლელობა... სიმამრის ტაბელური იარაღით... ამაზე რას მეტყვით?

ბრალდებული — მე ვამტკიცებ, რომ ნარკოტიკები და სხვა... ისინი ჩემს სახლში ჩემმა მეუღლემ მოიტანა...

გამომძიებელი — იარაღი? იარაღი როგორ გაჩნდა თქვენს ხელში?

ირაკლი გ... ერთობ საჭირო კაცი გახდა. ლაბორატორიაში თითქმის ყველა გავლენიანი ოჯახის შვილების სადისერტაციო თემებისთვის ლაბარატორიულ სამუშაოებს თავად ატარებდა. ფულის შოვნაც შესძლო. დისერტაციაზე აღარ ფიქრობდა. შემდეგ, როგორც ირკვევა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ავტორიტეტი მოემატა, დააწინაურეს და მის ხელში ისეთი სახის ქიმიური რეაქტივები მოხვდა, რომელიც საშუალებას აძლევდა „ექსპერიმენტალური პრეპარატები“ დაემზადებინა. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ დანარჩენი „საწარმოო ინგრედიენტები“ აფთიქებში თავისუფლად იყიდებოდა და „საწარმოო რისკები“ საშიშროებას არ წარმოადგენდა. საკუთარი პრეპარატების „გამოცდა“ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე, საავადმყოფოში, პაციენტებზე დაიწყო. შედეგი — გრანდიოზული. ავადმყოფების სასიცოცხლო ტონუსის მომატება, ჭამის მადის გაუმჯობესება, სიმშვიდე,

ნერვული დაავადებებისადმი დადებითი ზემოქმედება და ერთგვარი „ნირვანა“. ირაკლი გ-მ შეჰქმნა „ნარკოტიკი“, რომელიც მხოლოდ მოთხოვნის შესაბამისად ეგზავნებოდა საავადმყოფოს და კლინიკებს. საქმე მშვენირად მისდიოდა მეცნიერს. შემდეგ დამამშვიდებელი და შესაბამისად სამკურნალო პრეპარატებიც შექმნა, რომლის მომხმარებელიც ფსიქიატრიული საავადმყოფო გახდა. ორივე პრეპარატი ნარკოტიკის ეფექტს იძლეოდა, მაგრამ მომხმარებილის „დამოკიდებულებას“ წამალზე გამორიცხავდა, შესაბამისად ვერც სისხლის ანალიზით იპოვიდით „დანაშაულის“ კვალს.

დრო გადიოდა. ირაკლი გ... გამდიდრდა, აგარაკი, მანქანა, პრესტიჟულ უბანში კომფორტული ბინა, გავლენიანი სამეგობრო... და ერთ მშვენიერ დღეს, ირაკლი გ... მეუღლეს გაშორდა. ყველაფერი ცოლ-შვილს დაუტოვა და თვითონ ერთ-ოთახიან ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. ამ დროისთვის პროკურატურაში ირაკლი გ-ს საქმიანობასთან დაკავშირებით მოკვლევა იყო დაწყებული. უნივერსიტეტის სტუდენტები ფსიქოტრონული პრეპარატების მოხმარებაში ამხილეს. ვიღაც ინტენსიურად ავრცელებდა აკრძალულ წამლებს ახალაზრდებში. კვალი „თავთავასთან“ მიდიოდა. ჩემი აზრით, ირაკლიმ გაიგო გამოძიების დაწყების შესახებ და შეგნებულად „დაანგრია“ ოჯახი, რომ კომფისკაცია აერიდებინა თავიდან. სხვა ინფორმაციებიც წავიკითხე „თავთავა“-ს შესახებ და განვცვიფრდი, ეს გენიალური ფიგურა დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი გავლენიანი და ხელშეუხებელი ფიგურაც გახლდათ, მაგრამ... ჩასვეს... ნარკო-რეალიზატორობის ბრალდებით. თუმცა „გარეთ დარჩენილმა“ ხალხმა „იზრუნა“ და „თავთავა“ ციხიდან გაანთავისუფლეს. მისი საყვარლების ვინაობაც დავადგინეთ, ისინი ირაკლის დისერტაციის მიმთვისებლების ქალიშვილები აღმოჩნდნენ. გენიალურია არა?

„თავთავა“, ციხეში ყოფნის პერიოდში, ციხის უფროსს დაუახლოვდა, შესაბამისი „არხების“ მეშვეობით, თითქმის მთელი წლის პერიოდში „პრეპარატები“ დაუბრკოლებლად შედიოდა ციხეში და ფულიც „კეთდებოდა“.

დაკითხვის ოქმიდან

(ამონარიდი)

გამომძიებელი — ბრალდებულო თეიმურაზ ფ... იქნებ ამიხსნათ, თუკი „თავთავა“ ციხეში იჯდა და ნარკოტიკული საშუალებები თქვენი სიმამრის მეშვეობით შედიოდა ციხეში, მაშინ რას წარმოადგენდა თქვენი მეუღლის როლი მთელ ამ „სინდიკატში“?

ბრალდებული — „თავთავა“-ს საწყობიდან „საქონლის“ ტრანსპორტირება ციხემდე. ჩემმა სიმამრმა, ჩემი მეუღლე ციხის მედ-პერსონალის წევრად აქცია და ციხის მთავარ ექიმად დააწინაურა.

გამომძიებელი — ბრალდებულო, თქვენი მეუღლის დაწინაურების შესახებ ჩვენ ვიცოდით, მაგრამ „საწყობიდან“ „პრეპარატების“ თქვენს ოჯახში ტრანსპორტირების მიზანი ამიხსენით.

ბრალდებული — „თავთავა“-ს „დისტრიბუტორები“ ქალაქშიც ჰყავდა და „საქონელი“ მათთვის გადასაცემად იყო გამიზნული...

გამომძიებელი — თქვენ ამის შესახებ არაფერი იცოდით და არც წილში გაჰყავდით „თავთავა“ -ს, ასეა?

ბრალდებული — დიახ.

ირაკლი გ... შესანიშნავი ორგანიზატორი და შორსმჭვრეტელი „ბიზნესმენი“ აღმოჩნდა. მისთვის ციხის უფროსთან თანამშრომლობა მიმზიდველობას კარგავდა. თანაც მისი ასულის თავხედობა, ფულისადმი დამოკიდებულება ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა „თავთავასათვის“, თუმცა საყვარლის სტატუსი სრულიად აკმაყოფილებდა და ნაკლებად აფიქრებდა მოვლენათა „ოჯახური“ განვითარება, თეიმურაზი ჯერ „გაუთამაშებელ კოზირად“ ჰყავდა შემონახული. ირაკლი. გ-ს ესმოდა, რომ შესაძლოა „რქიანის“ დამღას ახალგაზრდა ექიმი უკიდურესად გაეღიზიანებინა და შესაძლებელია თავის ცოლზე შურისძიება ეცადა, ან თავის სიმამრზე, ან ორივეზე ერთად. მოვლენები ციხის მთავარი ექიმის სიხარბემ დააჩქარა, სცენაზე ახალი მოთამაშე გამოვიდა, ეს „კაზინო“ იყო. დიდი ოდენობით თანხის წაგებამ და მერე რამდენიმე დღეში ვალის დაფარვამ სამართალდამცავებს ეჭვი აღუძრა. საქმე ძალიან დიდ ფულს ეხებოდა. „თავთავასთვის“ დიდ „გამოცანას“ არ წარმოადგენდა, რომ შეიძლებოდა ცოტა ხანში ქალბატონი ექიმის „შემოსავლები“ გაეშიფრა პროკურატურას და შესაბა-

მისად პრობლემები წარმოიშობოდა. საჭირო გახდა თეიმურაზის „კარტის“ გათამაშება...

ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲝᲥᲛᲘᲓᲐᲜ

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ — მე არ ვიცი ჩემს უჯრაში როგორ აღმოჩნდა იარაღი, ნამდვილად არ ვიცი, ის უბრალოდ იქ იდო...

ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ — თქვენი უჯრით ხშირად სარგებლობთ?

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ — დიახ, ყოველდღე...

ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ — განაგრძეთ.

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ — ჩემს უჯრაში უცნობი კონვერტი იდო, დიდი კონვერტი, თაბახის ფურცლის ხელა. ზედ კი, მოკლე წარწერა ჩემი ცოლის ხელით იყო გაკეთებული...

ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ — რა ეწერა კონვერტზე?

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ — „ჩემს რქაგატოტვილ ქმარს“, ასე ეწერა. კონვერტი გავხსენი, ჩემი ცოლის ფოტოები იყო, შიშველი ვიღაც მამაკაცს ეხვეოდა, ჰკოცნიდა...

ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ — შემდეგ რა მოხდა?

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ — იმ ღამეს მორიგე იყო ციხეში, მე მეორე დღეს დაველოდე, მინდოდა ყველაფერი ამეწონა და ისე მოვქცეულიყავი, ქუჩაში გავედი, ისე უბრალოდ... დავდიოდი... მინდოდა გონება მომეკრიბა... სახლში დავბრუნდი, უჯრა ისევ გამოვაღე და ეხლა კონვერტის ქვეშ ის პისტოლეტი დავინახე. ჩემი სიმამრი თავის იარაღს ხანდახან ჩვენთან ტოვებდა, „ტარება მეზარება და აქ იყოსო“, ასე ამბობდა. ჩემს უყურადღებობას დავაბრალე რომ თავიდანვე ვერ შევნიშნე იარაღი. დილით ჩემი ქალბატონი სახლში დაბრუნდა... მე ფოტოები ვაჩვენე. ის ჯერ შეცბა, მერე გადაიხარხარა და დამცინა, „შენ ჯერ ფულის შოვნა ისწავლე და მერე მეც შევეცდები შენი ერთგულება ვისწავლოო“, მომაძახა გესლიანად, ბევრი აღარ მიფიქრია... მთელი მჭიდი დავაცალე... მე არ ვნანობ ჩემს საქციელს... ჩემი დამპალი სიმამრიც რომ იქ ყოფილიყო, იმასაც დავცხრილავდი... მე არ ვნანაობ...

სასამართლოზე უამრავი ფაქტები დაიდო, საოცარი კი ის იყო, რომ მოსამართლეც და ბრალმდებელიც თითქოს დამნაშავის მხარეს

იყვნენ... მომეჩვენა... აშკარად მომეჩვენა... კანონმა მკვლელს განაჩენი გამოუტანა...

„თავთავას“ წინაღამდეგ კი არანაირი სამხილი არ არსებობდა და ეს ნაძირალა ისევ „მშრალი“ დარჩა. სიმამრმა თავი მოიკლა, საკუთარი სახლის აივნიდან გადმოხტა და ასე დაასრულა სიცოცხლე. თუმცა ექსპერტიზა ძალადობის ფაქტზე ამახვილებდა ყურადღებას, ამ გარემოების გამო თავი ზედმეტად არავის შეუწუხებია.

თეიმურაზი ციხიდან ამნისტიით გამოვიდა. ის „თავთავასთან“ მიკრო–ბიოლოგიის ლაბორატორიაში სამედიცინო ექსპერტად მუშაობს. რატომ აიყვანა თანამშრომლად თეიმურაზი? ხოოო, ის ხომ უნიჭიერესი ექიმია, თანაც უკვე „კრიმინალი“. თეიმურაზს ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცოლი არ მოუყვანია.

როგორც შემდეგ გაირკვა, პისტოლეტიც და ფოტოებიც თეიმურაზის სახლში „თავთავას“ დავალებით ერთმა ბინის ქურდმა შეიტანა... ეხლახანს მაცნობეს, „თავთავა“ საეჭვო გარემოებაში გარდაცვლილი იპოვეს.

უკვე შეხვედრია...

— რავა გამწყრალი მიყურებ შე ქალო? შენ ქვე წახვედი და მე მიმატოვე აქანა, ვიცი ანზორიკასაც კი შეხვდებოდი, მარა მე რა ვქნა? აგერ ვუყურებ თქვენს სურათებს და იმიტომ გელაპარაკებით ასე, თვარა დამლაპარაკებელი კი არ მყავს მე. ზამთარია ახლა, ყველას სცივა და შეყუჟულები არიან სახლებში, მარა... გოჩანიკა და გიორგუნა ქალაქში არიან, ვერ იცლიან ჩემთვის... იცი რა გითხრა, ნუ ხარ გამწყრალი ჩემზე, მეც მანდ არ მოვალ? ეს ზამთარიც გაადაივლის და მერე გამომირონიებს მიქელ-გაბრიელი ალბათ და შევხვდებით... იცი რას გეტყვი? შენ რომ გაიგებ, რომ უნდა მოვიდე, იცოდე ლობიო, ჭადი და კომბოსტოს მჟავე დამახვედრე, თვარა არ ვიცი რას ვიზამ...

მოხუცი საწოლზე ჩამოჯდა, ისევ გახედა კედელზე დაკიდებულ მეუღლისა და შვილის სურათებს.

— იცი, შენ რომ წახვედი და მიატოვე ეს ქვეყანა, ჩემს თავს ვტიროდი... ეხ, ეხ, ეხ, ასეა, გოჩანიკას და გიორგუნას დავეხმაურე, მო-

ვიკითხე ბიჭები და იმათაც მომიკითხეს, წამოგიყვანთო სოფლიდანო, ჩვენთან იცხოვრებო... მე ახლა ვღირვარ შეწუხებად? შენ მეტყვი, შვილები არიან და ვალდებულება აქვთო, მარა, მე ხომ ვიცი... ქალო, მომისმინე შენ, ანზორიკას უთხარი ღვინო დამახვედროს, ღვინო. მესამე წელიწადია უკვე ჭიქის მიმჭახუნებელიც არ მყავს... დავიძინებ აწი და დამესიზმრეთ მაინც... მომენატრეთ შენ და ჩემი ბიჭი, ჩემი ვაჟკაცი... ტყვია როგორ მოგერია შვილო! მარა ომმა არ იცის გარჩევა... ღმერთო შენ დეიფარე ჩემი შვილები, შენ უწინამძღვრე ცხოვრებაში, ნუ მიაკარებ ცუდ კაცებს და ხელი მოუმართე...

კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა, კარს შეხედა თადეოზ ბაბუამ, ერთ ხანს იყუჩა, ხომ არ მომესმაო და კიდევ დააკაკუნა ვიღაცამ.

— მობრძანდი, კარი ღიაა.

კარები მძიმედ გაიღო და ზღურბლთან მოხდენილი, მომღიმარი ჭაბუკი გამოჩნდა, თოვლის ფიფქებს დაეპენტათ მისი ნაბადი.

— მობრძანდი ბაბუა, შემოდი, გათბი ცეცხლთან.

მიმართა სტუმარს თადეოზ ბაბუამ.

— მადლობთ.

მორიდებით მიმართა ახალგაზრდამ.

— თუ შეიძლება ნაბადს ბუხართან დავდებ, ნამეტანი ნესტიანია და ეგება ცოტა გაშრეს.

— კი ბაბუა, რავა არ შეიძლება შე კაცო.

დიდი ხანია ბაბუას არავინ სტუმრებია, წამოდგა ბერიკაცი სუფრაზე ღვინო დადგა დოქით და სუფრა გაუშალა სტუმარს.

— აგია ბაბუა, სუფრას ნუ დამიწუნებ, კეთილი გულითაა გაშლილი...

— მადლობთ თადეოზ ბაბუა მასპინძლობისთვის.

— ვინ ხარ შვილო? სახელი მითხარი შენი.

— მე... მე... სიკვდილი ვარ ბაბუა.

— ვინ ხარ შვილო?

გული გადაუცივდა მოხუცს

— ხუმრობ ბაბუა?

— არა, აგერ კართან თქვენი მეუღლე და ანზორი მელოდებიან, მითხრეს არ დაგიჯერებსო და... წამომყვნენ...

გაფითრდა მოხუცი, მძიმედ წამოდგა, სახლის კარები გააღო და კარებთან ატუზული მეუღლე და მომღიმარი ანზორიკა იდგნენ. ენა ჩაუვარდა მოხუცს...

— ნუ გეშნია მამა.

მიმართა შვილმა.

— შემოვალთ...

— შემოდით...

ძლივს ამოილუღლუღა მოხუცმა.

სუფრას მიუსხდნენ ოთხივე, სდუმდნენ სტუმრები, დუმდა მასპინძელი. სიკვდილმა დაარღვია სიჩუმე და მიმართა მოხუცს.

— მეგონა გაგიხარდებოდა თადეოზ ბაბუა.

— კი შვილო...

ხმა აუკანკალდა მოხუცს.

— მარა ეგება... ცოტა ხანი რომ დავრჩე კიდო არ შეიძლება? მევიდა დროოო?

„ხოო“, მდუმარედ უპასუხა სიკვდილმა.

— ერთი დღეც არ შეიძლება?

ცრემლი მოაწვა მოხუცს.

„არაო“, მდუმარედ უპასუხა ახალგაზრდამ. ბაბუა წამოდგა, ოთახს შემოუარა, კედლებს ეფერებოდა, სახლს ემშვიდობებოდა მოხუცი. სუფრას დაუბრუნდა და მეუღლეს ჩახედა თვალებში.

— მაშიკო მითხარი, ძნელია ეს საქმე? რავა სულ გაბუტული ხარ შე ქალო.

— შენთვის არაა ძნელი, აწი ქვე ვიქნებით ერთად კიდო დიდ ხანს.

— მამა, სტუმრად გეწვიეთ და დაგვლოცე მაინც...

— შეიძლება? ღვინის დალევა შეიძლება?

იკითხა მოხუცმა.

— კი, შეიძლება მამა.

ახალგაზრდამ ღვინო ჩამოასხა.

— აპა, თქვენს მოსვლას და ჩემს დახვედრას გაუმარჯოს.

ჭიქა ასწია თადეოზ ბაბუამ.

— მასე იყოს.

ბრძანა ახალგაზრდამ და სასმისი გამოსცალა.

— კაცო, რავა შეშინებულივით იქცევი? რავა, არ გაგეხარდა ჩვენი დანახვა?

აქოთქოთდა მაშიკო ბებია.

— ვაი ჩემს თავს, იქანაც ასე უნდა მიშალო ნერვები ქალო ?

გაბრაზდა ბაბუა.

— სულ არ წამოვალ იცოდე... აბა კიდევ ერთი და გაორდება,

— ამ ჭიქით, ვისაც აქანა ვტოვებთ, ჩვენს მონაგარს, ნათესავებს, მეზობლებს, იმათ გაუმარჯოთ, ვინც საფლავზე აღდგომის კვერცხს გამოგვიგორებს და კურთხევას შემოგვითვლის, იმათაც გაუმარჯოთ...

— მასე იყოს, ნათელის მადლი შეეწიოთ.

ჭიქა სულმოუთქმელად გაამოსცალა ახალგაზრდამ.

— ახლა... ახლა...

სიტყვებს ვერ უყრიდა თავს ბაბუა

— ჩვენს ერთად წასვლას და აქაურობის მშვიდობიანდ დატოვებას გაუმარჯოს. სიტყვა შეაშველა ახალგაზრდამ.

— ამინ, ამინ!

დუნედ ჩაილაპარაკა მოხუცმა.

დილით, მეზობლის გოგო ნინოუკა, თადეოზ ბაბუას ღიად დარჩენილ კარში ჩუმად შევიდა. კერია გამქრალიყო, ოთახში ციოდა, საწოლზე ნაბად წახურული მოხუცი იწვა. შეშინდა გოგო. „ბაბუუ... ბაბუა“... თითქმის ჩურჩულით დაუძახა მოხუცს. შემდეგ გარეთ გამოვარდა სირბილით, მთელი სამეზობლო შეჰყარა გოგომ.

სოფლის უხუცესმა, ბუხუტი ბაბუამაც შემოაღო კარი, კაცები ცხედარს აპატიოსნებდნენ. ბუხუტი დააკვირდა თადეოზს, ღიმილი შეყინვოდა სახეზე მიცვალებულს.

— შეხვედრია უკვე...

— ვის შეხვედრია ბუხუტი?

გაუკვირდა ვიღაცას.

— ღმერთო! გთხოვ ჩემზეც მოიღე ეს მოწყალება.

ჩაიბურტყუნა ბუხუტი ბაბუამ და პირჯვარი გადაიწერა.

ეზოში ძაღლი ყმუოდა...

24 წელი

(ნაწილი 1)
(მოთხრობა მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და არ შეესაბამება რეალობას)

მწერალთა სახლში ახალგაზრდა შემოქმედთა პოეზიის საღამო უნდა გამართულიყო. სოხუმის დაცემის 24 წლისთავს ეძღვნებოდა ეს საღამო. წასასვლელად ვემზადებოდი. სარკეში ჩავიხედე და იქიდან გაჭაღარევებული, უდროოდ დაბერებული მამაკაცი მიმზერდა. ჩვენ ბიჭებსაც დავურეკე გუშინ, შევატყობინე დღევანდელი დღის შესახებ. დავგეგმეთ, სამივე მეგობარი ერთად უნდა შევკრებილყავით, თავისუფლების მოედანზე ვარდების ლამაზი თაიგული უნდა გვეყიდა და „მისთვის“ უნდა მიგვერთმია. აფორიაქებულმა ოთახში ბოლთის ცემას მოვყევი. „მისთვის“ მხოლოდ უფროსი თაობის პოეტი ვიყავი, მეცინება „მე, პოეტი“, მკრეხელობაა ნამდვილი. როცა მას, ჩვენი აწ გარდაცვლილი თანაკურსელი პოეტის ლექსის წაკითხვა ვთხოვეთ, „მან“ მოწყალე თვალებით გაგვიღიმა, თეთრი, ბროლივით კბილები შემომანათა და თაფლისფერი თვალებით გამოუთქმელი პატივისცემის „ცისკარი“ დაანთო. დამეთანხმა, „უარს როგორ გეტყვით გიორგი ბიძია, თანაც ძალიან კარგი ლექსია...“

რამდენი ხანი გეძებდით ჩემო „შვილო“. მოვალენი ვიყავით შენი ნამდვილი დედის წინშე, თუმცა ამის შესახებ ხომ ვერასდროს გიამბობთ, ვერც ერთი ჩვენთაგანი ხმას ვერ ამოიღებს იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც სოხუმთან, მდინარე გუმისთასთან დატრიალდა. ამ საიდუმლოს, სამივე საფლავში წავიღებთ, დედაშენის თანამებრძოლები. ავფორიაქდი, აღარ მინდოდა პოეზიის საღამოზე წასვლა, მე „მისი“ მეშინოდა, საოცრად ჰგავდა დედამისს... ანასტასია დავიდოვნა ლაკერბია, ექიმო, ჩვენ თქვენი თხოვნა შევასრულეთ, სამივე ჯარისკაცმა შევასრულეთ... კონიაკის ბოთლი გამოვიღე განჯინიდან, სასმელი ჭიქაში დავისხი და სულმოუთქმელად გადავკარი, კიდევ დავისხი ალკოჰოლი, „დათრობა ეხლა ლაჩრობაა, ბავშვს შეურაწყოფას მივაყენებ“, ჭიქა მაგიდაზე დავდგი. საღამოს შვიდის ნახევარზე მეგობრები მწერალთა სახლის კარიბჭესთან ვიდექით, მე, ზეზვა და ნოდარი. თა-

იგული ზეზვას მივაჩეჩეთ ხელში, ის ყველაზე სიმპათიური გახლდათ ჩვენს შორის და იმიტომ. „მისთვის“ ჩვენ მხოლოდ ოჯახის ახლობლები ვიყავით, ცხონებული მამამისის თბილისელი მეგობრები და კოლეგები. დარბაზში შევედით, „ის“ ჩვენს შესახვედრად გამოიქცა.

— რა კარგია რომ მოხვედით, ლექსი მოვამზადე, თქვენი თანაკურსელის ხსოვნას ნამდვილად არ შევბღალავ.

— დიდი მადლობა შვილო.

მადლობა გამოვხატე მე.

— შენ როგორ ხარ? ბებია და ბაბუა როგორ არიან?

— აი იქ არიან, წინა რიგში, წამოდით, ძალიან გაუხარდება თქვენი ნახვა. სეტყვასავით მოგვაყარა ქალიშვილმა.

გოგონას გამზრდელი „ბებია და ბაბუა“ მთელი გულით მოვიკითხეთ „ბიჭებმა“, რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ ამ მიწისა და იმ ცისა, შემდეგ ორგანიზატორებმა მოგვმართეს, „დაბრძანდით, ადგილები დაიკავეთო“. სამივენი ბოლოს წინა რიგში დავსხედით და მოვემზადეთ უდიდესი ადამიანური ტრაგედიის პოეტური გარდასახვისთვის, ხო, ასეა. შვილი ჩემი ხათრით „უცნობი“ პოეტის ლექსს კითხულობდა „დატოვებულ“ შვილს, „უცნობი“ დედის ლექსი უნდა წაეკითხა...

„მან“ ხელით გვანიშნა, მეოთხე გამომსვლელი მე ვარო და ყურადღებით იყავითო...

მისი დრო დადგა, შველივით მოიღერა ყელი, მის სახეს რომ დავაკვირდი, გავფითრდი...

— როგორ ჰგავს დედამისს ამ წუთში.

ჩურჩულით წარმოთქვა ნოდარმა.

— ხო, ჭრილობას რომ მიხვევდა მაშინ ჰქონდა ესეთი სახე...

ჩაიდუდუნა ზეზვამ.

...და ლექსი დაიწყო :

„იქ, სახლთან დავტოვე,
ნაჭრებში გახვეული,
ჩემი პატარა,
შიმშილით გალეული,
ტუჩებს აცმაცუნებს,
დედის მკერდს დაეძებს,

მკერდი კი მშრალია,
მკერდი კი მშრალია,
კეთილო ბატონო,
მოწყალე ქალბატონო,
იქნებ თქვენ იშვილოთ?
მერი ხარ, ნინო ხარ,
ქეთი თუ ყამარი,
შვილად შეითვისე,
პატარა თამარი,
აჯამე, გაზარდე...
გოგონას გჩუქნიან,
შენ ქალად გაზარდე,
მიეცი საფარი.
იმ ღამეს ჯურვები
სახლზე რომ ცვიოდა,
სიკვდილის ურვები
სისხლით რომ ძღებოდა,
ოჯახი პირსავსე,
მზესავით ბრდღვიალა,
იმ დღეს გაფერმკრთალდა,
იმ დღეს გაღიავდა,
სიცოცხლე დაემხო,
სიკვდილი კი,
არა.
მე დავრჩი ეული.
ჩემს ცაზე მწუხრია.
შენთვის მიჩუქნია,
შენთვის მოძიძღვნია,
ბოძებულს უფლისგან,
დედობის მახტია,
პირველი ღიმილი,
თვალები ცქრიალა,
პირველი „აღუ“ და
კისკისი წკრიალა,

მე ნუ განმიკითხავ,
ნურც სახელს იკითხავ,
სიკვდილის ანგელოზს,
მე გზად მოვიკითხავ,
მეც ომში მივდივარ,
ბრძოლისთვის მივდივარ,
გაიგონ სვავებმა,
გაიგონ რად ვღირვარ,
ქმარ–შვილი დავკარგე,
ოჯახწართმეული,
მე ძუ ავაზა ვარ,
საომრად მოვდივარ...“

ლექსი დაამთავრა, ტაშის გრიალი შეაგება საზოგადოებამ გოგონას, ყვავილები ზეზვამ მიართვა... „მან“ კი, მიკროფონში ლექსის ავტორი, ან ტრაგიკულად გარდაცვლილი პოეტი, ანასტასია ლაკერბაია გამოაცხადა.

... ბრავო! ბრავო!.. გულს უმხნევებდა ახალგაზრდა ასულს ქართველ პოეტთა დასი...

სახლში მოვედი, საწერ მაგიდს მივუჯექი, „იმ“ დღის მოგონებების დაწერა მსურდა, ბოლო ვალი მინდოდა მომეხადა ჩვენი ექიმის წინაშე... კალამს ვაწვალებ... კალამს ვაწვალებ უღმერთოდ...

მეგობრებო, ეს ისტორია რეალურ ფაქტებს ემყარება,
თუმცა სრული სიუჟეტი მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია

მთელი 70 წელი...

ჩემს კაბინეტში, უსაქმურად ვიჯექი. გაზეთის ახალი ნომერი უკვე დაკაბადონებული იყო და სტამბაში „ჩასაშვებად“ ამზადებდნენ. ერთი დღე შემეძლო „შემოქმედებითად“ დამესვენა. ჩემი სტატია იბეჭდებოდა ახალ ნომერში და „ზორბა“ ჰონორარი ბუღალტერიიდან კეთილად „მიღიმოდა“. მიხაროდა, მე ყოველთვის მიხარია როცა ჩემს სტატიას ბეჭდავენ. ასეათია ჟურნალისტის ცხოვრება... ფიქრი ტელე-

ფონის ზარმა შემაწყვეტინა. შიდა ტელეფონზე მირეკავდნენ... ყურმილს დავწვდი...

— გისმენთ...

— ბატონო გიორგი თქვენ ბრძანდებით?

— დიახ მე გახლავართ, რით შემიძლია გემსახუროთ?

— დრო თუ გაქვთ რომ მიმიღოთ?

— რასაკვირველია.

— მისაღებში გელოდებით,

— დიახ, ეხლავე ჩამოვალ...

სიმართლე გითხრათ არავის მიღება არ მსურდა, მაგრამ მოვალეობა...

მისაღებში ღრმად მოხუცებული სანდომიანი გარეგნობის ქალბატონი და ახალგაზრდა გოგონა დამხვდნენ. ასკის მიუხედავად მანდილოსანი საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა. სტუმარს ფაქიზი გემოვნებით ეცვა. მივესალმე და მოსულს თავი წარვუდგინე.

— ბატონო გიორგი, სად შეიძლება რომ ვისაუბროთ?

მორიდებით მკითხა ქალბატონმა.

— ჩემს კაბინეტში ქალბატონო... უკაცრავად, მე თქვენი სახელი არ ვიცი...

ღიმილი შევაგებე ბანოვანს.

— რიმა. მე რიმა მქვია...

მე და ქალბატონი რიმა ჩემს კაბინეტში განვმარტოვდით. თანმხლები გოგონა კი მოსაცდელში დატოვა. გოგონა მშვიდად დაემორჩილა მოხუცის ნებას.

საუბარი ქალბატონმა რიმამ წამოიწყო...

— მე წამიკითხავს თქვენი სტატიები ჟურნალში. კარგი ენით წერთ და საკმაოდ საინტერესოდ...

— დიდი მადლობა ქათინაურისთვის.

— ეს ქათინაური არ არის, ეს სიმართლეა. მე დრო მჭირდება, რომ ჩემი ისტორია გიამბოთ, გთხოვთ ისე არ გაიგოთ რომ ბებერ ქალს რაღაც ბანალური ისტორიით სურს თავი შეგაწყინოთ. მე „სიკვდილის მატარებლის“ მედ-დად ვმუშაობდი 1939 წლამდე...

— საინტერესოა. გისმენთ, განაგრძეთ.

— მე რიმა ალექსანდრეს ასული დავიბადე 1910 წელს. ჩემი ისტორია განსაკუთრებულია იმით, რომ მე ვებრძოდი ავადმყოფობას როგორც ექიმი, მე ვებრძოდი „ხალხის მტრებს“ როგორც მედ-და და ვიბრძოდი „უხილავ ფრონტზე“, როგორც „ფრაუ ფონ დალხოფი“...

— ეს ყველაფერი თქვენ...?

გულწრფელად გავოცდი.

— დიახ, ის, რაც მსურს რომ გიამბოთ მხოლოდ მცირე ეპიზოდებია ჩემი ცხოვრებიდან... მე ჩემი ტრაგედიის შესახებ მინდა გამცნოთ, გავნაგრძო?“

— დიახ, რა საკვირველია.

— სამედიცინო ტექნიკუმი ქუთაისში დავამთავრე, სამუშაოდ საჩხერეში გამანაწილეს. მაშინ ქვეყანა ბორგავდა. იქმნებოდა საზოგადოებრივი დაჯგუფებები. პოლიტიკა, ანარქია, თავისუფლება, ტერორი, ბანდების თარეში ერთმანეთში იყო აზელილი. სრული განუკითხაობა მეფობდა. მამა ადრე გარდამცვალა. ოჯახში მე, დედა, ჩემი დეიდაშვილი ქეთინო, ჩემი მამიდა და სამი მამიდაშვილი ვცხოვრობდით. მინდა ქეთინო ორიოდე სიტყვით დგიხასიათოთ, ის ულამაზესი ასული გახლდათ, ბროლივით ნათელ სახეს გიშერივით შავი თმა ამკობდა და ანგელოზური მომწვანო თვალების „ციმციმით“, წარუშლელ შთაბიეჭდილებას ახდენდა ადამიანებზე, როდესაც „ვენერას“ დარი მშვენიერებით წარსდგებოდა საზოგადოების წინაშე. დედა პედაგოგი გახლდათ... უფროსები ვმუშაობდით... ყველაზე პატარა, ოთო იაკობაშვილი გახლდათ. ის, მაშინ მხოლოდ სამი თვის იყო. მამიდის ქმარი სამხედრო პირი იყო და სულ მივლინებებში დადიოდა... მოკლედ სახლში იშვიათად ვხედავდით...

ქალბატონმა რიმამ წყალი მოითხოვა. დიდი ჭიქით წყალი მივაწოდე. დავაკვირდი როგორ გაირინდა, დაიძაბა, შემდეგ მოეშვა, ჭიქა იქვე მაგიდაზე დადო და განაგრძო:

— ჩვენს სახლთან ახლოს სახალხო კომისარიატის შენობა მდებარეობდა. ხშირად მიცქერია როგორ დადიოდნენ მარშით არმიელები... იქ ერთი გარიკ მოვსესიანი მუშაობდა. რაიონის სახალხო კომისრის თანაშემწე იყო, რა დარგში ვერ გეტყვით, თუმცა კომისარიატის შტატი ძირითადად არაქართველებით იყო დაკომპლექტებული. ერთ დღესაც კომისარიატში დამიბარეს. მოვსესიანმა მიმიღო.

— დაბრძანდი ქალიშვილო.

მომმართა ზრდილობიანად.

— საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით კომკავშირლები აქტიურად უნდა ჩაებნენ სახლმწიფოს მშენებლობის საქმეში, თქვენ კარგად მოგეხსენებათ რამდენი მტერი გვყავს შინ და გარეთ... რაიონის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით თქვენ დაინიშნეთ განსაკუთრებული დანიშნულების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებულ რკინიგზის განყოფილებაში, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების საბადრაგო ჯგუფში მედ-დათ. მოკლედ, რომ გითხრათ ეშელონის მთავარი მედ-და იქნებით...

— არ მინდა...

წამოვიკივლე მე.

— როგორ, კომისარიატის გადაწყვეტილებას ეწინაღმდეგებით? თვით ამხანაგ ეჟოვის მითითებით შექმნილ სტრუქტურაში მუშაობაზე უარს ამბობთ?....

შემეშინდა, ავტირდი... მოვსესიანმა გამყინავი მზერა მესროლა და მიბრძანა:

— ერთ კვირაში ქუთაისში გაემგზავრებით, საბუთებზე ჩვენ ვიზრუნებთ... თავისუფალი ბრძანდებით.

ის დღე, მზის გარდაცვალებას ჰგავდა. იმ დღეს, „ხალხის მტრად“ მონათლული მამიდაჩემის ქმარი დააპატიმრეს. ჩემი უფროსი მამიდაშვილები უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარეს, მხოლოდ ოთო დატოვეს...

იმ ღამეს, როცა მამიდაჩემის მეუღლის „ხალხის მტრად“ შერაცხვის ცნობა მოვიდა, მამიდას სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შეტოკებია ისე წაიკითხა სასამართლოს განჩინება, მხოლოდ ეს თქვა, „დახვრიტეს... აქ წერია რომ გადაასახლეს... მიმოწერის უფელბის გარეშე... ის დახვრიტეს...“ შემდეგ საწოლზე ჩამოჯდა. მე მეშინოდა, ჩემი მომღიმარი და სათნო მამიდა „უცნობ“, პირქუშ ქალბატონად იქცა... რამდენიმე წუთში მამიდაჩემიც „წაიყვანეს“, როგორც შემდეგ გავიგეთ ქმარს გააყოლეს „მოუსავლეთში“. ჩემი „უფროსი“ მამიდაშვილები კი, მეორე დღეს უპატრონო ბავშვთა სახლში „ხალხის მტრების შვილების“ სტატუსით ჩააბარეს.

ქალბატონმა რიმამ წყალი მოსვა. მის სახეს ვაკვირდებოდი, ჩემს წინ ცრემლისგან დაცლილი, „გრდემლზე ნაჭედი“ ქალბატონი იჯდა. არანაირი ცრემლი... მხოლოდ სახის მიმიკა გასცემდა მოზღვავებულ დარდს. ცოტა ხანს შეყოვნდა და განაგრძო:

— უფროსი მამიდაშვილები-თქო ვახსენე, სასაცილოა, ერთი ხუთი წლის იყო, მეორე სამის. ეგზეკუციის მესამე დღეს, ჩვენთან ერთი ახალგაზრდა ოფიცერი მობრძანდა :

— გამარჯობათ, მე უფროსი ლეიტენანტი კირილოვი გახლავართ, საბუთები მოგიტანეთ ქალბატონ რიმასთვის გადასაცემათ. გილოცავთ, რიმას უფროს მედ-დად დაწინაურებას...

შემდეგ სამხედრო წესით დაგვემშვიდობა და წავიდა.

იმ საღამოს დარჩენილი ოჯახის წევრები სამზარეულოში შევიკრიბეთ ჩაის დასალევად, მხოლოდ ქეთინო აკლდა სუფრას, დაღამდა. ქეთინო არსად ჩანდა. დედამ ლაბადა მოისხა.

ნერვიულობდა დედაჩემი, ტიროდა, რამდემჯერმე გასასვლელ კართან მივიდა და ელდანარევი უკან ბრუნდებოდა.

— რიმა, ბავშვი უნდა მოვძებნოთ... რიმა რას გაჩუმებულხარ... რიმა...

დედა ქვითინებდა.

— მე მოვძებნი, მარტო წავალ, მე ხომ „ამათი“ თანამშრომელი ვარ, ხელს ვერ დამადებენ...

კანკალით მივუგე დედას.

— რომ დაგიჭირონ? მერე მე რა ვქნა?

— დედა, მამიდა დაიჭირეს, ბიძია დახვრიტეს, ჩემი მამიდაშვილები უპატრონო ბავშთა სახლში ჩააბარეს და ჩვენ რაიმე ვქენით? მოვიმოქმედეთ რამე? მივდივარ...

მხოლოდ ეს ვთქვი და ეზოში გასასვლელი კარი გავაღე.

— მალე მოვალ დედა.

დავაიმედე შეშინებული ქალი.

მხოლოდ ოთოს გაღვიძებოდა და აკვანში ღუღუნებდა პატარა.

ქუჩაში გავედი. აქა-იქ ანათებდნენ ლამპიონები ქუჩას. მე მივდიოდი, უბრალოდ მივაბიჯებდი ქვით მოკირწყლულ ტროტუარზე, უმისამართოდ. გონება მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიქტით იყო შეპყრობილი. ვკანკალებდი, მეშინოდა, ყოველი ჩქამი მაკრთობდა. იქვე

სიბნელეში ადამიანის სილუეტი შევნიშნე. ის ქეთი იყო. ტიროდა გოგო. მივუახლოვდი, დავაკვირდი დეიდაშვილს. გადარეული თვალებით მიმზერდა. ცრემლით დანამული, შიშით შეპყრობილი თვალები, ლამპიონების უღიმღამო სინათლეს ავბედითად ირეკლავდნენ.

— ქეთი რა მოხდა?

ვკითხე დეიდაშვილს.

— ის მომკლავს რომ გითხრა.

აკანკალებული ხმით მიპასუხა გოგომ.

— ვინ მოგკლავს ქეთი?

დავეკითხე ისევ.

— ამხანაგი გლებოვი.

ჩურჩულით მიპასუხა მსხვერპლმა.

— მითხრა რომ ხალხის მტრებს უფლება არ გვაქვს უარი ვუთხრათ კომკავშირლებს... კაბინეტში... კაბინეტში...

გოგო ლუღლუღებდა, კაბა შემოეხიათ ტანზე ქეთისთვის.

სახლში წავიყვანე, ვერაფრით ვამშვიდებდი ჩემს საბრალო დეიდაშვილს.

ჩემი ქუთაისში გამგზავრების წინა დღეს, უბნის რწმუნებული ბასკაკოვი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გლებოვი და რამდენიმე არმიელი „გვეახლნენ“.

ბასკაკოვმა რაიონის შინსახკომის განაჩენი წაგვიკითხა. ქეთინო „მტრად“ შერაცხეს...

„საქართველოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომელთა ჩვენების საფუძველზე იმსჯელა რაიონულმა სასამართლომ და დაადგინა: „დაკითხვაზე მიწვეულმა მოქალაქე ქეთევან... ამან და ამან, განახორციელა თავდასხმა რაიონის კომკავშირის კომიტეტის მდივან, ვალენტინ გლებოვზე, მისი ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით. ზემოთ ხსენებული მოქალაქე ქეთევან ესა და ეს, არის „ხალხის მოღალატეთა“ ოჯახის წევრი და არ იზიარებს საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციას და საბჭოთა ხალხის მორალურ მრწამსს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მოქალაქე ქეთევან.... მიჩნეულ იქნას ხალხის მტრად და მიესაჯოს გადასახლება. განაჩენი ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

რაიონის შინსახკომის თავჯდომარე: ჯ. ჭუბაბრია“

ქეთის გადავხედე. გაოცებული და შეშინებული თვალებით შესცქეროდა გლებოვს. დუმილი გლებოვმა დაარღვია.

— წუხანდელი ღამე ნეტარ სიამოვნებად დაგრჩება. ეს ბავშვიც შენთან ერთად წამოვა.

ოთოზე გვანიშნა და გაგვიღიმა „ყასაბმა“.

— მოემზადე...

— ბავშვი რა შუაშია? ბავშვს რას ერჩი? მან რა დააშავა?

ვეცი გლებოვს

— შე ნაძირალა, კომკავშირის ვირთხა, გოგო გააუპატიურე, სცემე და... ბავშვს თავი დაანებე ნაძირალა...

— სასამართლოს გადაწყვეტილება ურყევია. ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოთ „ხალხის მტრები“, ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ...

ქალბატონი რიმა დადუმდა. ფერდაკარგული, მრისხანებით სავსე თვალებით გაჰყურებდა კაბინეტის სარკმლის მიღმა სამყაროს. ვადროვე. რიმა დაწყნარდა. მან გაბზარული ხმით განაგრძო თხრობა.

— იმ ღამეს გლებოვზე „ხალხის მტრებმა“ თავდასხმა განახორციელეს... კეფაში ჰქონდა მოხვედრილი ტყვია...

ქალბატონი რიმა ფეხზე წამოდგა. სარკმელთან მივიდა, ქუჩას გაჰყურებდა მხცოვანი. ჩემსკენ მობრუნდა და ცრემლნარევი თვალები შემომანათა.

— გიორგი, ის „ხალხის მტერი“, მე ვიყავი. მამაჩემისეული ნაგანი იქცა მოძალადის „ეშაფოტად“. იმ დღეს პირველად მეჭირა ხელში იარაღი, ის იყო ჩემი პირველი სულის წაწყმედა და პირველი შურისძიება....

გაოგნებული ვუცქერდი ამ საოცარ ქალბატონს. ჩემს წინაშე „ფეხადგმული ისტორია“ იჯდა.

— შემდეგ, შემდეგ რა მოხდა?

მთელი შინაგანი ინტერესი აბობოქრდა ჩემში.

— გიორგი, თუ არ შეწუხდები ჩემს შვილიშვილს უხმე.

უსიტყვოდ გავედი დერეფანში და გოგონა მოვიხმე. ბებიამ რაღაც ანიშნა. გოგონამ მხოლოდ თავი დაუქნია და უსიტყვოდ დატოვა ოთახი.

მე და ქალბატონი რიმა რამდენიმე წუთი მდუმარედ ვისხედით. კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა და ოთახში „გოგონა“ ვიღაც ახალ-

გაზრდა ვაჟთან ერთად შემოვიდა. ხელში მოზრდილი ჩემოდანი ეჭირა ქაბუკს.

— ბატონ გიორგის მიუტანეთ.

ბრძანების კილოთი მიმართა რიმამ ახალგაზრდა კაცს.

ვაჟმა ჩემოდანი ჩემთან ახლოდ დადო. შემდეგ ბებიას შეხედა, შებრუნდა და გოგონასთან ერთად დატოვა ჩემი კაბინეტი.

რაღაც საოცარი გრძნობა დამეუფლა. თითქოს სამხედრო წესსზე იყვნენ გაწვრთნილნი რიმას შვილიშვილები.

— ბატონო გიორგი, ეს ახალგაზრდა კაცი, ჩემი მამიდაშვილის შვილიშვილია, მას ოთარი ჰქვია.

ცოტა ხანს იყუჩა ქალბატონმა რიმამ. ხელჩანთიდან „მსუქანი“ კონვერტი ამოიღო და მკაფიო ხმით განაგრძო:

— გიორგი, შენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდე ციმბირში, გზისა და სხვა ხარჯებს ჩვენი ოჯახი იღებს თავის თავზე... აქ, ამ კონვერტში საკმარისი თანხაა თქვენი ოჯახისთვის, რომ თქვენი არყოფნის პერიოდში უზრუნველყოფილნი იყვნენ... ეს ჩემოდანი კი, სავსეა დოკუმენტებით, რომელიც ტყვეთა, გადასახლებულთა და სიკვდილმისჯილთა ბანაკებში მოხვედრილ ქართველთა შესახებ მოგითხრობთ ჭეშმარიტ ისტორიას. მერწმუნეთ, თქვენ წიგნიც კი შეგიძლიათ დაწეროთ, რომელიც „ბესტ სელერად“ შეიძლება იქცეს. ჩემს წინადადებაზე თანახმა ხართ?

ამაყი სახით მომმართა ქალბატონმა რიმამ. მე დავთანხმდი.

ჩემმა მეუღლემ და დედაჩემმა ერთი სკანდალი მომიწყვეს. ხან „მეოცნებეს“ მეძახდნენ და „სულელს“, რომელიც ვიღაცის ფეხის ხმას აჰყვა და პატარა ბავშვივით ეიფორიებს მიეცა. ჯიბიდან „მსუქანი“ კონვერტი ამოვიღე და... ყველაფერი მოწესრიგდა. რა ძალა ჰქონია ფულს... ჩანთა ჩამილაგეს, მეუღლემ ერთი წვეთი ცრემლიც დამისაგზალა, „რა ცუდი პროფესია გაქვსო“, შევენანე ალბათ. მხოლოდ დედამ გამაცილა გულით. ჩემი კონვერტიდან მე, „ჯიბის ანაფხეკი“ მერგო.

დილის შვიდ საათზე აეროპორტში გამოვცხადდი. ქალბატონი რიმა ორ თანმხლებ ახალგაზრდა მამაკაცთან და ჩემთვის ნაცნობ გოგონასთან ერთად შემომეგება.

— ბატონო გიორგი, რეგისტრაცია გავიაროთ, შეკვეთილი თვითმფრინავი ჩვენ გველოდება...

— კი ბატონო, თქვენს განკარგულებაში მიგულეთ ქალბატონო...

— შესანისნავია, წინ ბატონებო თავგადასავლებისკენ...

პირველად ვიჯექი 12 კაციან თვითმფრინავში. სიმართლე გითხრათ საკმაოდ კომფორტული და სასიამოვნო მეჩვენა სალონი. ბორტგამცილებელმა გოგონამ ჰოლივუდისეული ღიმილი უშურველად მომაფრქვია, დამცავი ქამარი შემიკრა და სასიამოვნო ფრენაც მისურვა. თვალი გავაყოლე მინი კაბაში გამოწყობილ მშვენიერ არსებას... ქალბატონი რიმა თურმე თვალს არ მაშორებდა, ბანოვანს სახეზე ღიმილი უთამაშებდა, „ცელქობთ ბატონო ჟურნალისტო“, სიცილით მითხრა ჩემმა მასპინძელმა.

თვითმფრინავი ჰაერში აიჭრა. ცოტა ხანში ქალბატონმა რიმამ თავისთან მიხმო.

— ბატონო გიორგი, ჩვენ კურსი რუსეთის ფედერაციისკენ ავიღეთ. ადგილს, სადაც ჩვენ მივემგზავრებით ხაკასეთი ჰქვია. გსმენიათ მის შესახებ როდესმე?

— არასოდეს...

ვუპასუხე მე.

— მის „დედაქალაქს“ აბაკანი ეწოდება. სწორედ აბაკანში მივფრინავთ. იქ თქვენ ბევრი საინტერესო ფაქტი გელით.

— იმედი მაქვს... ქალბატონო რიმა, ჩვენ საუბარი შევწყვიტეთ... საინტერესო თემაზე შევჩერდით. თუ ისურვებთ იქნებ გავნაგრძოთ...

— გიორგი, ცოტას დავისვენებ და შემდეგ ვისაუბროთ. ჩვენ მინიმუმ 5 საათი უნდა ვიფრინოთ.

— კეთილი...

საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და ჩემს ადგილს დავუბრუნდი. მერე ჩამეძინა...

ვიღაცას ადეალა დაეფარებინა ჩემთვის, სავარძლის საზურგე უკან გადაეწიათ, რათა თავი კომფორტულად მეგრძნო, მოკლედ სასიამოვნო გარემოში მიწევდა მგზავრობა.

ქალბატონმა რიმამ თავისთან მიხმო. ყავა ჩემთვისაც მოემზადებინათ. ერთ მაგიდასთან ვისხედით მე და ჩემი „პატრონი“. სუფრაზე რამდენიმე ნაჭერი ნამცხვარიც დაედოთ.

ჩვენი თანმხლები პირები თავისი საქმით იყვნენ გართულები და ყურადღებას არ გვაქცევდნენ. საუბარი ქალბატონმა რიმამ დაიწყო:

— იმ დღეს, როცა ქუთაისში უნდა გავმგზავრებულიყავი მოვსესიანმა მითხრა:

— სამხედრო ფარაჯას ჩაიცვამთ, თქვენთვის უკვე გამოყოფილია მთელი ეკიპირება, იარაღის ხმარება იცით?

ვიუარე, „არასოდეს მჭერია ხელში“, ასე ვიცრუე... მოვსესიანმა ლეიტენანტ სერპუხოვს დაავალა ჩემთვის შესაფერისი ტაბელური იარაღი შეერჩიათ. შემდეგ გაიღიმა და მითხრა:— “თოჯინა უფრო მოგიხდებოდათ“, მეც გამეღიმა. გერმანული, „ვალტერის“ სისტემის პისტოლეტი „მიბოძეს“. სერპუხოვმა ამიხსნა როგორ მეხმარა იარაღი, რამდენჯერმე მასროლინა ჩემი პისტოლეტიდან, მერე ხელი ჩაიქნია და მითხრა: — „გოგონა თუ ამ იარაღს საერთოდ არ გამოიყენებთ კარგი იქნება, შემთხვევით საკუთარი თავი არ დაიზიანოთ“. ისევ მოვსესიანთან დამიბარეს. იგი მილიციის ეზოში იდგა და ვიღაცას ესაუბრებოდა. მისკენ მიმავალი რომ დამინახა, მანიშნა მასთან მივსულიყავი, თანამოსაუბრე კი დაითხოვა.

ვგრძნობდი რაღაც განსაკუთრებული უნდა ეთქვა და სიტყვებს ეძებდა. დღესაც მახსოვს მისი სიტყვები, — „მისმინეთ რიმა, თქვენ ბადრაგთან ერთად გაემგზავრებით ეშელონისკენ. თქვენთან ერთად დაკავებული პირებიც იმგზავრებენ. ნუ შეგეშინდებათ, ჩვენმა ბიჭებმა იციან როგორ მოიქცნენ, თქვენთან ერთად ქეთინო და პატარა ოთარიც იქნებიან... წარმატბებს გისურვებთ... „

მანქანის ძარაზე ქეთინოს გვერდით დავჯექი, ქეთინო დუმდა, ოთარს ეძინა. სიტყვები ყელში მქონდა გაჩრილი და ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი. დედა შევნიშნე, მოაჯირს მიღმა იდგა და გვიცქეროდა. მშობლიურ ოჯახს მისი უკნასკნელი წევრები ვტოვებდით. ოქტომბრის ბოლო დღეები იდგა, უკვე ციოდა. ფარაჯა გავიხადე და ქეთის და ბავშვს მოვახურე. ქეთინო არ ტიროდა, სახე გაქვავებოდა და უსიცოცხლო თვალებით ოთოს დასცქეროდა. ერთი ამოილუღლუღა:

— „ოთო ჩემს შვილად ჩაწერეს, ბავშვთა ინტერნატს უნდა ჩავაბარო „იქ“, თუ ცოცხალს ჩავიყვან... მე ქალთა კოლონიაში მიკრავენ თავს როგორც „ხალხის მტერს“. ვის უმტრეთ რიმა? ბავშვმა რა დანაშაული ჩაიდინა? რომ გაჩნდა ამ ქვეყანაზე ეს დანაშაულია? შენც „იმათიანი“ ხარ? მძულხარ!

ხმა არ ამომიღია. ჩვენ გვისმენდნენ. ხალხით სავსე რამდენიმე მანქანა, მილიციის ეზოდან დაიძრა, შეიარაღებულ მეავტომატეთა ჯგუფი მიგვაცილებდა. ძარაზე მყოფ ადამიანებს ვაკვირდბოდი, სახეგაყინული, ემოციისგან დაცლილი და ბედს შეგუებული ხალხი, მხოლოდ ერთმანეთს „ათვლიერებდა“, არავის აინტერესებდა გარე სამყარო, საკუთარი უბედურების მორევში ჩაძირულნი ღელავდნენ... რკინიგზის სადგურს მივუახლოვდით. სადგურის ბაქანი სავსე იყო სამხედროებით. სამართალდამცავები მთელ პერიმეტრს აკონტროლებდნენ. სატვირთოები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ჩამწკრივდნენ. ძარის ბორტი ჩამოხსნეს და როგორც ნახირს ისე მიერეკებოდნენ ხალხს ბაქანის წინ, მოედნისკენ. მსგავსი სისაძაგლე და ცინიზმი პირველად ვნახე. ადამიანთა შინაგანი სამყაროს ყველაზე ბნელი კუთხე, სამზეოდ გამოეტანა განგებას. დახურულ ვაგონებისკენ მიერეკებოდნენ ხალხს. თუმცა ბოროტმოქმედნი და „ხალხის მტრები“ გააცალკევეს, სხვადასხვა ვაგონებში „შერეკეს“ შერისხულები. მე ეშელონის უფროსთან მივედი.

— გამარჯობათ, მე თქვენს დაქვემდებარებაში გამომგზავნეს... მე მთავარი მედ-და, რიმა ალექსანდრეს ასული ვარ...

მივმართე ეშელონის უფროსს და საბუთები გავუწოდე. უფროსი აშკარად ქართველი იყო. კეხიანი ცხვირი, ლამაზ ვაჟკაცურ იერ-სახეს ვებერთელა ულვაში უმშვენებდა. საბუთები გამომართვა. ყურადღებით დაუწყო თვალიერება, გამომცდელი მზერა მომაპყრო. შემდეგ ისევ ტერიტორიას გადახედა, საბუთები დამიბრუნა და მოკლედ მითხრა:

— ადით მატარებელში, მესამე ვაგონში, იქ არის მედ-პუნქტი, შეასრულეთ.

— დიახ, ეხლავე მივდივარ.

საცოდავი ხმით ამოვიკნავლე, მეთაურს გაეღიმა.

მეთაური მაიორი კილაძე გახლდათ. ერთგვარი შიში გამიჩნდა მის მიმართ. მხოლოდ შიში და არავითარი მორიდება.

ქეთინოს და ოთოს დავუწყე ძებნა. ხალხს ნახირივით ერეკებოდნენ ვაგონებში. ვიღაცამ გამოაცხადა „ბავშვიანი ქალები მეორე ვაგონში ადითო“. მეორე ვაგონისკენ გავიქეცი, ქეთის გიჟივით ვეძებდი, დავრბოდი, ვყვიროდი, ქეთის ვუხმობდი, მაგრამ არავინ მეხმაურებოდა. უცბათ მაიორი კილაძე დამადგა თავზე. „რიმა ალექსანდროვ-

ნა თქვენი ქცევით ჩვენს თანამშრომლებს პრობლემებს უქმნით, თქვენი ქცევა საბჭოთა კომკავშირელის ქცევის ნორმებს შეურაწყოფს, გთხოვთ შემდეგში გაითვალისწინეთ... ვიღაც ქალი ხელს გიქნევთ ვაგონის სარკმლიდან... შეეცადეთ მაგალითის მიმცემი იყოთ.

მაიორი წავიდა. ვაგონის ფანჯრებს მივაცქერდი. სარკმლიდან თავგადაპარსული ჩემი დეიდაშვილი ქეთინო მიღიმოდა. მატარებლის გასვლამდე ერთწუთიანი მზადყოფნა გამოცხადდა.

მე „სიკვდილის ეშელონის“ მესამე ვაგონში ავედი.

მატარებელი დაიძრა. მედ-პუნქტში თეთრ ხალათებში გამოწყობილი ხუთი ადამიანი დამხვდა. ერთი შუახნის მამაკაცი და ჩემზე ბევრად უფროსი ქალბატონები. მე ალბათ შვილად ან შვილიშვილად შევეფერებოდი თვითოეულ მათგანს. გამომცდელი მზერა მომაპყრეს. უცნაური დუმილი მამაკაცმა დაარღვია და მკითხა:

— ქართველი ხარ?

— დიახ.

ვუპასუხე.

— წარმოადგინეთ თქვენი საბუთები ახალგაზრდავ.

საბუთები გავუწოდე, პრადობის დამადასტურებელი მოწმობა და პასპორტი უკან დამიბრუნა. დიპლომი, მიწერილობა, დანიშვნის ბრძანება და დახასიათება უჯრაში ჩადო. გამომცდელი მზერა მომაპყრო. შემდეგ გამიღიმა.

— ნუ გეშინიათ ქალიშვილო. მე მთავარი ექიმი, იური ვორონინი ვარ, ქალები კი ერთმანეთს უჩემოდ გაიცნობთ. დაისვენეთ და შემდეგ ეშელონის შიდაგანაწესს და სხვა წესებს გაგაცნობთ. ხო მართლა, მე თქვენი უშუალო უფროსი ვარ და კიდევ, ვერ ვიტან მტირალა გოგონებს...

ვორონინს გაეღიმა. მე კი ცრემლი მომწოლოდა. უნებლიედ მთავარი ექიმის მკერდში ჩავრგე თავი და ხმამაღლა ავქვითინდი.

— დამშვიდდი შვილო.

ალერსიანად მომმართა მთავარმა ექიმმა.

— დაწყნარდი. შენ უკვე სამხედრო სამედიცინო სამსახურის თანამშრომელი ხარ და ცრემლი დაივიწყე.

მთვარმა ექიმმა შინაგანაწესი და ზოგადი წესები გამაცნო. მედ-კოლექტივიც გავიცანი. საკმაოდ კარგი ხალხი აღმოჩნდნენ. ქალბა-

ტონებმა ერთი ფრაზა, ისარივით ჩამასვეს გულში, „აქ დაუწერელი კანონებიც მოქმედებს, რომელსაც უსიტყვოდ ვემორჩილებითო“. ეს კანონი, მთელი სიმკაცრით, სულ რამდენიმე დღეში მთელი „ბრწყინვალეებით“ წარსდგა ჩემს წინაშე. ვორონინმა „პატივი დამდო“, დედათა და ბავშვთა ვაგონიში დამნიშნა ექიმპედიატრად. ქეთისა და ოთარისთვის ყურადრების მიქცევის შანსი მომეცა.

ქალბატონი რიმა გაჩუმდა. თითქოს რაღაცას იხსენებდა, ან საკუთარ თავს ებრძოდა, რომ რაღაც “განსაკუთრებული“ არ წამოსცდენოდა, ან ვინ იცის მისი მჭმუნვარე სახის ნაკვთების „ცახცახი“ რას მოასწავებდა...

— ეშელონი 12-14 დღეში ჩადიოდა დანიშნულების ადგილას.

განაგრძო თხრობა ქალბატონმა რიმამ.

— დედათა და ბავშვთა ვაგონში გავედი. ვაგონში ბავშვები, რომელთა მშობლებიც „ხალხის მოღალატის“ სტატუსით იყვნენ რეპრესირებულნი სპეციალურ ბანაკებში გადაგვყავდა, ბავშვებს სკოლა-ინტერნატის მსგავს ბანაკებში უყრიდნენ თავს და შემდეგ „დანიშნულებისამებრ“ ანაწილებდნენ „ბლოკებში“. ჩვენ ვალდებულები ვიყავით ყურადღება მიგვექცია მათთვის. უფლება გვქონდა რეპრესირებული დედებისთვისაც დაგვევალებინა ბავშვებზე მზრუნველობა. ვაგონში ორი ღუმელი იდგა. თბილოდა. ვორონინი მედიკამენტების დაუკითხავად გამოყენებას გვიკრძალავდა. კვების რაციონი საკმაოდ მწირი იყო. ბავშვებს შიოდათ. მეძუძური დედები გამშრალი მკერდით ცდილობდნენ ჩვილების „გამოკვებას“. რძე კვების პროდუქტების საწყობში უბრალოდ არ იყო. კიდევ ბევრი რამ არ იყო... თუკი ბავშვი ან პატიმარი გარდაიცვლებოდა, მას უბრალოდ „ჩამონერდნენ“ და მოძრავი მატარებლიდან აგდებდნენ. მიცვალებულს ვაგონში არავინ აჩერებდა, რომ ეპიდემია არ გავრცელებულიყო... ოთოს გამოკვება შეუძლებელი იყო, შიმშილით დაოსებული ბავშვი უკვე ვეღარ ტიროდა... იქ ვერავის სთხოვდი სხვა ბავშვისთვის დედის რძე ეწილადებინათ. გარდაცვლილი ჩვილი ბავშვების სანიტარული ნაწილის თანამშრომლებს, გვამები ვაგონიდან გაჰყავდათ... ქეთი იმედის თვალით შემომცქეროდა... ბავშვი გვიკვდებოდა... ერთ საღამოს ოთოს სულმა სხეული დატოვა... სანიტარული ნაწილის თანამშრომლებს ეჭვი რომ არ აეღოთ, რომ ვაგონში გარ-

დაცვლილი ბავშვი იყო, ქეთი მკერდს იშიშვლებდა და ვითომ ბავშვს კვებავდა, გიორგი იცი ეს რას ნიშნავს? ოთოს სხეულსაც გადააგდებდნენ... და მე ხელს მოვაწერდი საბუთს „ბავშვის უეცარი გარდაცვალების შესახებ“...

რიმამ არაყი მოითხოვა. ქალს ერთი სირჩა არაყი მიართვეს. დალია. კიდევ მოითხოვა და ისიც სულმოუთქმელად დაცალა. მთავარმა ექთანმა თხრობა განაგრძო:

— ვორონინმა დამიბარა და მკითხა:

— „ის გოგო ვინ არის შენი?“

დავიბენი.

— „ვინ გყავთ მხედველობაში ამხანაგო ვორონინ?“

— „რიმა, იმ გოგოს გარდაცვლილი ბავშვი ჰყავს კალთაში... ეპიდემია გარანტირებული გვაქვს“

— „იური ბიძია, ის ბავშვი ჩემი მამიდაშვილია, ის გოგო კი, ჩემი დეიდაშვილი. გთხოვ, იური ბიძია ბავშვი არ გადააგდოთ“... ვტიროდი, მთავარ ექიმს ფეხებში ჩაუვარდი, ვორონინმა ცხედრის ვაგონის ჭერში „შენახვა“ შემომთავაზა. გარეთ უკვე ყინავდა...

ემოციებმა ხელი დამრია. აღარც რიმა მინდოდა, არც მისი ფული და საერთოდ რა მინდოდა ამ ხალხთან? სავარძლიდან წამოვდექი, არ ვიცოდი რა მექნა და მეც არაყი მოვითხოვე, მთელი ბოთლი არაყი. ორიოდ წუთში არყის ერთ ლიტრიანი ბოთლი ჩემი და რიმას მაგიდაზე იდო. მე ვსვავდი.

თვითმფრინავი აეროპორტში დაეშვა. ჩვენ ავტოსადგომზე ტურისტული კომპანიის მიკროავტობუსი გველოდებოდა. გეზი სასტუმროსკენ ავიღეთ. იმ დღეს სასტუმროს ნომერში განვმარტოვდი და დავიძინე.

მეორე დღეს, დილის 9 საათზე მიკრო-ავტობუსი სასტუმროსთან გვიცდიდა. როგორც ეტყობა დღის მარშუტი წინასწარ იყო დაგეგმილი. მიკრო ავტობუსის ყველა მგზავრი დუმდა, მხოლოდ მანქანის მაგნიტოფონი ახალისებდა „გარემოს“. ორი საათის მგზავრობის შემდეგ, ფერმის ტიპის დანგრეულ შენობებთან მივედით. რიმამ თავის თავზე გიდის ფუნქცია აიღო. ეს ნანგრევები ერთ დროს „ხალხის მტრების“ გადასახლების, პატიმრობის ადგილს წარმოადგენდა, რომ არა ნანგრევები, შესანიშნავი პეიზაჟი იშლებოდა ჩვენს თვალწინ.

რიმა იქაურობის შესახებ ყვებოდა, ქალბატონი ისტორიას, უემოციო, „მშრალი“ სიტყვებით გვიყვებოდა. უცბათ მობრუნდა...

— ჩემო შვილიშვილებო და თქვენც, ბატონო გიორგი, მინდა იქ მიგიყვანოთ სადაც ჩემი უსაყვარლესი ადამიანები არიან დაკრძალულნი. კიდევ ცოტა უნდა „გავისეირნოთ“ მანქანით. ეს ისტორია აუცილებლად უნდა მოგიყვეთ ბოლომდე, მაშ ასე :

— ეშელონი დანიშნულების ადგილზე ჩავიდა. ადგილობრივი შინსახკომის ქვეგანაყოფი ბაქანზე განლაგდა. ჯერ „ხალხის მტრები“ ჩაიბარეს და სატვირთო მანქანებით ბანაკისაკენ უკრეს თავი. მე „დედათა და ბავშვთა“ ჯგუფისთვის გამოყოფილ მანქანის ძარაზე მოვთავსდი. გვერდით ქეთინო მეჯდა, მას ხელში ოთარის ცხედარი ეჭირა... ბანაკში ნახირივით ჩამოყარეს ხალხი და ხაზზე დააწყვეს, სია ამოიკითხეს და პირუტყვებივით ბარაკებში შედენეს. იმ საღამოს ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი „აპოკალიფსური“ პერიოდი დაიწყო. ქეთინომ ბანაკიდან გამოპარვა მოახერხა, ბანაკის შენობებს მიღმა, მინდორში გაუთხარა სამარე ოთარის. თავად დაკრძალა პატარა... ქეთის თავზე დაცვის ოფიცერი შაპოშნიკოვი დაადგა, შორიდან შევამჩნიე მუხლებზე დაჩოქილი ქეთინო და აწოწილი შაპოშნიკოვი. ქეთინოსკენ გავიქეცი, გული ამოვარდნაზე მქონდა, მაინც გავრბოდი...

„აეთრიე ფეხზე ქართველო ძუკნა“ — უყვიროდა ოფიცერი პატიმარს — „ვინ მოგცა დამარხვის უფლება? დაგცხრილავ შე დამპალო“...

შაპოშნიკოვმა ხელი იარაღის კაბურისკენ წაიღო. რაღაც უნდა მეღონა... ავტომატურად ჩემი ტაბელური იარაღი ამოვიღე ჯიბიდან, ჩემი „ვალტერი“ ჩამავალი მზის სხივებზე ელვარებდა.

— მოემზადე შე...

ემუქრებოდა შაპოშნიკოვი ქეთის და...

— შაპოშნიკოვ, იარაღი არ ამოიღო!

დავუყვირე ოფიცერს.

— ვის უბედავ შე ნაძირალა?

დამცინავად შემომიბღვირა კაპიტანმა.

პისტოლეტი გადავტენე და ოფიცერს დავუმიზნე. შაპოშნიკოვი შედრკა.

— რას ჩადიხარ ქალო? იცი მე ვინ ვარ?

ხმა აუკანკალდა კაპიტანს.

— ვიცი, საბჭოთა ჯარისკაცის სირცხვილი.

ომახიანად შევძახე და ჰაერში გავისროლე.

შაპოშნიკოვი შებარბაცდა, ეგონა რომ ტყვია მოხვდა. ოფიცერი შიშისგან კანკალებდა. ბანაკის მთელი პირადი შემადგენლობა ფეხზე დადგა. ბანაკის უფროსი პასტუხოვი და სხვა ოფიცრები თავქუდმოგლეჯილები მორბოდნენ. გვიყვიროდნენ... პასტუხოვი მომიახლოვდა, ძლივს სუნთქავდა, შემომხედა და აქოშინებულმა მკითხა:

— რა მოხდა? ხმა გამეცით ექიმო?

— შაპოშნიკოვმა ილაპარაკოს...

საბჭოთა ოფიცერს საკუთარი ვაჟკაცობის დადასტურება ქალის წინაშე თუ იარაღის მეშვეობით სურს, ასეთი ოფიცერი კედელთანაა მისაყენებელი ამხანაგო მაიორო...

პასტუხოვმა ხელით მანიშნა გავჩუმებულიყავი. მან ახლა შაპოშნიკოვს შეხედა.

— ნაძირალა ხარ შაპოშნიკოვ, უფლება რომ მქონდეს კაცურად დაგელაპარაკებოდი.

შემდეგ ქეთისკენ გაიხედა. დააკვირდა და იკითხა:

— რა ხდება? იქნებ ვინმემ ამიხსნათ.

შაპოშნიკოვმა ითავა განმარტების გაკეთება.

— პატიმარმა გარდაცვლილი შვილი უკანონოდ დაკრძალა. ასევე უკანონოდ, დაუკითხავად დასტოვა ბანაკის ტერიტორია...

ოთარის საფლავი ქვებით შემოეროგა ქეთის. ამ პატარა საფლავის ბორცვი დედამიწის ცოდვას იტევდა....

პასტუხოვმა დაჩოქილ ქეთის ზიზღით შეხედა და შაპოშნიკოვს უბრძანა:

— დახვრიტეთ!

ქეთი ფეხზე წამოდგა, შემომხედა...გაიცინა... შემდეგ ოფიცრებს შესცინა...

— მადლობთ ბატონო ოფიცერო.

მიმართა პასტუხოვს. შემდეგ მე შემომხედა და მითხრა:

— რიმა კეფაში მესროლე, შენ ხომ შეგიძლია? მესროლე... შენ ამათ წინაშე გამართლდები... არ მეწყინება რიმა გეფიცები, „იქ“ ოთო მშიერია, იქნებ კვერცხი მაინც შევუწვა, რიმა მიდი... კეფაში მესროლე... რიმა საქართველოდან სამი კაკალი გამომყვა და ოთოს გარშემო ჩავრგე“.

ქეთიმ ზურგი შემაქცია. ის სასიკვდილოდ მოემზადა. ზურგი ამეწვა, უკან მოვიხედე... მთელი ბანაკის პატიმრები ჩვენ გვიმზერდნენ... ქეთის ტყვია პასტუხოვმა ესროლა... კეფაში... გოგო ოთოს საფლავზე დაემხო. საოცარი ის იყო, რომ ქეთი იცინოდა. მოცინარი მიცვალებული გინახავთ გიორგი?

— ჯერ არა ქალბატონო რიმა.

ძლივს ამოვღერღე მე.

— ქეთის „დაკრძალვა“ მეორე დღისთვის გადადეს... მეორე დღეს დასასჯელ პატიმართა ჯგუფი „დააწყვეს“, დამსჯელი რაზმიც მოემზადა და მოხდა სასწაული. ყველა პატიმარს ხელში ქვა ეჭირა. მათ „ხაზი დაარღვიეს“ საფლავზე დამხობილ ქეთის უსულო სხეულზე მოკრძალებით ალაგებდნენ ქვებს. ქვის ყორე დადგეს. ეს უკიდურესი პროტესტი იყო. პასტუხოვმა ამითვალისწუნა, ჩემს „დოსიეს“ „დაეწაფა“ და იპოვა, გერმანული ენის საკავშირო ტურში ჩემი მონაწილეობა და საპრიზო ადგილი, „ამოქექა“.

მე 1939 წლის თებერვლიდან სახელმწიფო დაზვერვის ორგანოებში მიმიწვიეს. ეს უკვე სხვა ისტორიაა და თქვენთვის საინტერესო არ იქნება...

რიმამ თხრობა შეწყვიტა. მიკრო-ავტობუსის მძღოლმა გამოგვიცხადა:

— „დანიშნულების ადგილას მოვედით, აქ იყო ბანაკის სამსხვერპლო“, შემდეგ ხელით პატარა ნაგებობაზე მიგვანიშნა.

— „იქ სამი კაკლის ხეა, ამბობენ რომ საქართველოდან არის ჩამოტანილი... იქ ეკლესიაა ააშენეს 90-იან წლებში, ეკლესიის შიგნით ქვების ყორეა და ქართველი წმინდანის საფლავია, ხელის ხლებას ვერავინ ბედავს, რომ გათხრები აწარმოონ, ეკლესიაში ავადმყოფი ბავშვები და უშვილო ქალები მიდიან შეწევნისათვის. სასწაულმომქმედია ეს ეკლესია. იმ წმინდანს ქეთოს ეძახიან, იქვე ბავშვიც ყოფილა დამარხული, ამბობენ ანგელოზის ხორციელი შვილიაო, სახელი კი არავინ იცის. ღამე აქ გოდება ისმის, თუმცა აქ, ამ არემარეზე არავინ ცხოვრობს, ჩვენს სოფლამდე აღწევს ბავშვის სიცილის და ქალის ტირილის ხმა, ამიტომ როცა დაბნელდება აქეთ არავინ მოდის. ამ ადგილს ქართველთა მიწას, ხან ჯვარცმულ მიწას ეძახიან. საოცარი ერი ხართ ქართველები, ნათელი წერტილივით აჩნიხართ დედამიწას“.

ეკლსიას მივუახლოვდით, ხის მორებით იყო ნაგები. ეკლესიის სახურავიდან კაკლის ხის ტოტები აღმართულიყვნენ და ველის ცელქი სიოს ფარფატს, ფოთლების შრიალს აყოლებდნენ. წმინდა ადგილი უკაცრიელ ველზე აეშენებინათ, გარშემო მინდვრის ყვავილებით აჭრელებული თვალუწვდენელი ველი ერტყა. რიმა ეკლესიის კარებს მიუახლოვდა, გაღება სცადა. კარები დაკეტილი იყო. ეკლესიის გარშემო დავიწყე თვალიერება, ეგებ ვინმე სულიერი შემემჩნია სადმე. იქვე, გვერდზე, პატარა ფიცრული იდგა. ეს ხუხულა ფარდულად ჩავთვალე. რიმა თვალდახუჭული იდგა ეკლესიის კართან. შვილიშვილები ზურგსუკან ედგნენ მრავალჭირნახულ ბებიას. ფარდულიდან ხველების ხმა მოგვესმა. რიმამ ფარდულისკენ გაიხედა. საოცარი სისასტიკე ამოვიკითხე მოხუცის სახეზე. შემდეგ ფარდულისკენ წავიდა, კარს მიუახლოვდა და დაიძახა:

— ვინ ხარ მანდ, გარეთ გამოდი.

პასუხად ისევ ხველება და ჭრიალის ხმა გაისმა. ეტყობა საწოლიდან ადგა ვიღაც. ფარდულის კარი გაიღო და სამხედრო ფარაჯაში გამოწყობილი მოხუცი გამოლასლასდა. შეგვათვალიერა დაუპატიჟებელი სტუმრები, შემდეგ მზერა ქალბატონ რიმაზე შეაჩერა, ერთ ხანს იყუჩა და გვკითხა:

— ვინ ხართ? აქ რამ მოგიყვანათ?

— თქვენი სახელი მოხუცო ?!

ჰკითხა რიმამ.

— მე ვიტალი პასტუხოვი ვარ, ეკლესიის მცველი...

ამოღერღა მოხუცმა.

— პასტუხოვ, მე რიმა ალექსანდროვნა ვარ, გახსოვარ?

გამოსცრა რიმამ და მის თვალებში ვებერთელა ზიზღი დავინახე, დაუნდობელი ზიზღი პასტუხოვისადმი.

— რიმა? რიმა ალექსანდროვნა? ექიმი რიმა? ჯიჯოხეთიდან დაბრუნდით ექიმო?

გაოცდა პასტუხოვი. სახე შეეცვალა მცველს, მოხუცს მხოლოდ დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

— ხო, მე ვარ პასტუხოვ. ეხლა ეკლესიის კარები გააღე...

— რიმა, რაში გჭირდება წარსულის ქექვა? ყველაფერი უკვე იყო... მათ ველარ დააბრუნებ ექიმო...

— კარი გააღე ნაძირალავ.

— რიმა, ნუ ილანძღები, ეს წმინდა ადგილია, ნუ ილანძღები ქართველო ძუკნა...

— დროზე, გაინძერი, ეკლესიის კარები გააღე...

პასტუხოვმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო. ეკლესიის კარს მიუახლოვდა და ბოქლომი გახსნა. კარები ჭრიალით გაიღო.

— მიბრძანდით რიმა ალექსანდროვნა, თქვენი ნათესავების აკლდამაში.

დამცინავი ხმით მიმართა პასტუხოვმა.

ეკლესიის წიაღში შევედით. იატაკი თიხის ფილებით იყო მოპირკეთებული. საკურთხეველში ხის ხარიხებზე ხატები დაელაგებინათ და თითოეული ხატის წინ სასანთლე დაედოთ. ეკლესიის შიდა კედლები კი თეთრად შეეღებათ. ეკლესიის შუაში, ქვების „მთა“ იდგა. ყოველი დასახვრეტად მიმავალი პატიმარი, აქ, ქვას დებდა, საკუთარი თავის სახსოვრად. ვინ იცის, იქნებ ბევრს არც კი ეღირსა აქ ქვის დადება... ვინ იცის... ქვის ბორცვის გაარშემო კაკლის ხეები აღმართულიყვნენ, ეკლესიის მშენებლებს ხეების ტოტები ეკლესიის სახურავში „გაუტარებიათ“ და ისე გადაუხურავთ ნაგებობა. შემაძრწუნებელი დუმილი სუფევდა. რიმამ მუხლებზე დაიჩოქა და საფლავზე დაემხო. შემდეგ წამოდგა, ჩანთიდან საეკლესიო სანთლები ამოიღო და ყველას მდუმარედ მოგვაწოდა. სანთლები ავანთეთ. რიმას შვილიშვილებმა ლოცვა დაიწყეს. პირველად ისმენდა ამ ეკლესიის კედლები ქართულ ლოცვას. ალბათ როგორ ენატრებოდათ ქართული სიტყვების გაგონება ოთოს და ქეთევანს. მე ვდუმდი. შემდეგ გარეთ გამოვედი. მხოლოდ ოჯახის წევრები დარჩნენ ეკლესიაში... პასტუხოვი იქვე მორზე ჩამომჯდარიყო და წეკოს აბოლებდა. გამომცდელი თვალებით შემომხედა, გაიღიმა, თავი გაიქნია და მოწევა განაგრძო. ცოტა ხანში რიმა და მისი შვილიშვილები ეკლესიიდან გამოვიდნენ.

— რას იტყვი რიმა? მოგწონს ეკლესია? აქაურობა წმინდა ადგილად ტყვეებმა აქციეს. მათ სწამდათ... რისთვის ჩამოხვედი რიმა? შური გინდა იძიო?

მშვიდი ხმით ლაპარაკობდა პასტუხოვი.

— შური ვიძიო? შენ თავად იძიე შური საკუთარ თავზე პასტუხოვ. უპასუხა რიმამ.

— ასეა, ასე. უშვილოდ და ოჯახის გარეშე „მივდივარ“ რიმა. დამტირებელიც კი არავინ მყავს, შენ კი შვილიშვილები გახვევია თავს... ვისთვის ან რისთვის ვიბრძოდით ამხანაგო პოლკოვნიკო რიმა ალექსანდროვნა? ჩვენ ხალხის მტრებს ვეძებდით, ვპოულობდით, ვხვრეტდით... უდანაშაულოც ბევრი შეიწირა იმ სისტემამ და რა გამოვიდა აქედან? ქვეყნის მტრები დღეს პატივცემული ხალხია, ქვეყნის ინტერესებს ფეხქვეშ თელავენ, ხალხს ლანძღავენ, ყველაფერს სანუკვარს, ღირსეულს ფეხქვეშ თელავენ და ამით „პატივცემულნი“ ხდებიან. ფულს შოულობენ, მდიდრდებიან... ქვეყანა ყველას ფეხებზე ჰკიდია რიმაااა... რუსი, რუსს ლანძღავს რუსობისთვის... ის, რისიც გვწამდა განადგურდა, დღეს გესტაპოელი ბატონობს, ესესელები მარშით დადიან და ჩვენი რუსები ტაშს უკრავენ, ტროცკისტები ქვეყნის სათავეში ზიან და სამშობლოს ყიდიან... რუსეთი გადააგვარეს... დღესაც აუცილებლები ვართ რიმა, ეს ბანაკები დღესაც საჭიროა, ამდენი მოღალატე ერთად... ყველა დასახვრეტია... მე, საბჭოთა ოფიცერი, მომლოცველთა იმედზე ვარ, რომ რაღაც მიწყალობონ „მათხოვარს“. ზამთარში სოფელში ვბრუნდები და პენსიით ვსაზრდოობ...

პასტუხოვი ტიროდა, შემდეგ ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო:

— აქ ყველა პატიმარი ქეთინოს და ოთარის საფლავებს წმინდა ადგილად მიიჩნევდა, პატიმრების ეკლესიაა ეს ეკლესია რიმა, ცოდვისგან განთავისუფლების და განწმენდის ადგილია აქ. ეს ველი, პატიმართა გვამებით არის მოფენილი, „ბალოტნი პრუდი“, ჩვენი ტბა დახვრეტილთა ძვლებითაა სავსე... ეს ეკლესია ქართველების ეკლესიად მოიხსენიება... ყველას რატომღაც სწამს რომ ქართველი იხსნის კაცობრიობას „დემოკრატი ფიურერისგან“, სასაცილოა არა? წადი რიმა და აღარ დაბრუნდე, ეს წმინდა ადგილი დღეს რუსებს ეკუთვნით... ქართველი წმინდანების წინ რუსები იჩოქებენ, აქ სწამთ „მესამე იოსების“ მოსვლის, აქ იესოსაც იოსებს ეძახიან, პირველი იესო ნაზარეველი, მეორე იოსები სტალინი და მესამე იოსები წარწყმედისაგან მხსნელი მოევლინება კაცობრიობას... წადი რიმა, წადი და აღარ დაბრუნდე... მზე გადაიხარა... „მათი“ დრო იწყება...

პასტუხოვი ბარაკისკენ წალასლასდა. შიგნით შევიდა და კარი გადარაზა. რიმა მრისხანე სახით უმზერდა მთელი ამ ხნის განმავლო-

ბაში პასტუხოვს. სამოცდაათი წელი ელოდა რიმა თავის წარსულთან შეხვედრას.

ჩემი მოგზაურობის შესახებ თითქმის ყველაფერი გიამბეთ. ქალბატონი რიმა რამდენიმე კვირის წინ გარდაიცვალა. ეხლა სახლში ვზივარ და ბოძებული ჩემოდნიდან საქაღალდეებს რუდუნებით ვხსნი და ვკითხულობ. ეს საუნჯე მე რიმამ „მიანდერძა“. იქნებ მართლა შევძლო წიგნის დაწერა... ვცდი...

ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ

სახლი შევიძინე, აგარაკი, აქვე, თბილისთან ახლოს. ყოფილი პატრონები ყველაფერს ყიდიდნენ, საზღვარგარეთ აპირებდნენ თურმე გადასახლებას, ხო, გადასახლებას, ფული სჭირდებოდათ მომავალ ევროპელებს. ავეჯ-ჭურჭლიანად შევიძინე ეს შესანიშნავი კარმიდამო და ძვირიც არ გადამიხდია. ძველი ნაგებობა შემომეგება, აი „ბელეტაჟს“ რომ ეძახიან ისეთი. მიწის ზედაპირიდან ქვითკირის კედლები ამოეყვანათ და ისე „შეეკრათ“ პირველი სართული. იქ, მარანი და რამდენიმე ოთახი იყო. მარანში დიდი საწური ქვევრი შუაში ჩაედოთ, უფრო პატარები კი ბარტყებივით გარშემო შემოეყოლებინათ. ძველი ნივთები ერთ კუთხეში მიეწყოთ და ასე მიეტოვებინათ. პირველი სართულის ოთახებსაც შევავლე თვალი. იატაკი ძველებური ქართული აგურით იყო დაგებული. ცხვირში თითქოს მაჭარის სუნი მეცა, კუთხეში მიყუჟულ მოზრდილ მუხის კასრს ასდიოდა ალბათ. მეორე სართულზე კიბეს ავუყევი. ხის კიბეს ფიცარში ამოტვიფრული ლამაზი ორნამენტებით დამშვენებული მოაჯირი მიჰყვებოდა. ეტყობა ლაქიც არ დანანებია ყოფილ პატრონს ისე გაეპრიალებინა ხის ზედაპირი. მეორე სართულის შესასვლელი კარი შევაღე, შუშაბანდი შემომეგება ახალ მასპინძელს. ოთხივე ოთახის კარი ღია დაეტოვებინათ, „ნიავმა გაუაროსო“, ალბათ ასე გადაწყვიტეს სხვის ცას დანატრულმა ჩვენმა თანამიწიერებმა. ოთახებში ძველი ავეჯი იდგა. „ბუფეტი“ მასპინძლობდა დიდ ოთახში და კუთხეში დიდრონი გაჭვარტლული ბუხარი პირღია შემომყურებდა, თითქოს „შენ მაინც გამწმინდეო“, მევედრებოდა ქვაში და აგურში დატანსრულებული ოჯახის „თბილი“ მოჭირნახულე. ბუხრის გვერდით სამლოცველო ჰქონდათ მოწყობილი. ხატები

კედელს „შეხორცებოდნენ“, წინ პატარა მაგიდა დაედგათ და გვერდიგვერდ პატარა სასანთლეები ჩაემწკრივებინათ. მაგიდაზე სრულიად მტვრის საბურველში გახვეული ლოცვების წიგნები ელაგა. ბუხრის მეორე მხარეს, სარკმელებს შორის, კედელზე ხალიჩა გაეკრათ ძველებური წესისამებრ და ქვეშ აკვანი დაედგათ. ოთახის ცენტრში მუხის პირქუში მაგიდა ჯერაც მყარად იდგა, „მესტუმრედუხუცესის“ ურყევი ხიბლით. ყველა ოთახი შემოვიარე, საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი. ისევ დიდ ოთახს დავუბრუნდი, გარეშემო მიმოვიხედე და ახლაღა შევამჩნიე შუშაბანდში გასასვლელი კარის თავზე ხის დირე იყო გადებული, ნიშან-ორნამენტები შევამჩნიე მის სხეულზე. შუაში ჯვარი იყო გამოსახული, ჯვრის ქვეშ აკვანი, ჯვრის თავზე მზის „ბორჯღალი“, მარჯვენა მხარეს სანთელი და მარცხენა მხარეს კი, წიგნი ამოეკვეთა ოსტატს. არსად მინახავს მსგავსი ნაკვეთი, არც მსგავს განლაგებას წავწყდომივარ სადმე. ბუხრის გვერდით, ისევ წმინდა კუთხეს მივაშურე. ხატები გადავწმინდე, სასანთლეებსაც შევავლე ხელი, რუდუნებით მოვაშორე იქაურობას ჯერაც ხელუხლებელი მტვერი. შესანიშნავი იყო უკვე გასუფთავებული ოჯახის სალოცავი. ახლა ფარდის ქვეშ შეყუჟულ აკვანს მივეახლე, ფარდა ავხადე სიცოცხლის საგალობლის მდუმარედ მომღერალს. ეტყობოდა ზუმფარით გულმოდგინედ გაეწმინდათ მისი „ტანი“ და შემდეგ ლაქით დაუფარავთ მისი სხეული. გარედან ჩემი ოჯახის წევრების ყიჟინა შემომესმა, ბავშვები ჟრიამულით ჭიშკარს მოსდგომოდნენ და კარებს აღებდნენ. ჭრიალით მამცნო სტუმრის შემოსვლა ეზოს კარიბჭემ. ბავშვები ოთახებში დარბოდნენ, მოსწონდათ იქაურობა, ძველებურ საწოლებზე დახტოდნენ და ტახტსაც დაურღვიეს მყუდროება. მეუღლემ ცოცხი და აქანდაზი მოიმარჯვა, დიასახლისის ხელი დაატყო იქაობას. არც მე დამტოვა გარჯის გარეშე, ჯერ შეშა შემომაზიდინა, ავეჯიც თავის ჭკუაზე მიმალაგებინა და სამზარეულოში მიკრა თავი, — „ხორცი დამიჭერი და სადილს გავამზადებო“ თვალნი მწყაზარნი შემომაფეთა თანამეცხედრემ. მზე უკვე ჩადიოდა. ოჯახს პირველი ღამე უნდა გაგვეთია ახალ სახლში. მობილური ტელეფონი აწკრიალდა. სახლის ყოფილი მეპატრონე მირეკავდა. — „გესტუმრებითო ცოტა ხნით, არ შეგაწუხებთ, ისე წავალთო მალევე“, დასტური მივეცი, მანქანიდან კონიაკის ბოთლიც ამოვიღე და ამაყად დავუწყე სტუმრებს ლოდინი. მზე უკვე

ჩასულიყო, მთვარის სანახებში ვარსკვლავნი კეკლუცობდნენ, მყისიერად ცას გადაჰკრავდა მანათობელი და ალბათ ასე კოცნასაც უგზავნიდნენ ერთურთს, სტუმრები ჭიშკარს მოადგნენ, მორიდებით შემობრძანდნენ სახლში, თან ორი მოხუცი ახლდათ. მხცოვანი ქალბატონი ყოჩაღობდა, მკლავს აშველებდა მოხუც მამაკაცს...

— ბატონო გიორგი, მოგვიტევეთ, ალბათ უდროო დროს შეგაწუხეთ... ხვალ მივფრინავთ საზღვარგარეთ და ჩემი დედ-მამაც თან მიგვყავს. ნება გვიბოძეთ გთხოვოთ... ეს მოხუცები, ჩემი მშობლები არიან, ისინიც თან მიგვყავს და მთხოვეს იქნებ უკანასკნელად ლოცვის უფლება მოგვცენო ჩვენს ოჯახში... მომიტევეთ...

— რასაკვირველია... არაფერი გადამიადგილებია... მხოლოდ მტვერი გადავწმინდე ხატებს... ლოცვანიც კი იქვე დევს...

წმინდა კუთხის წინ მდგარ მაგიდას მოხუცი ცოლ-ქმარი მდუმარედ მიუახლოვდა, ლოცვანი გადაშალეს და ოჯახისთვის საველრებელი ღვთისმშობლისადმი ლოცვა დაიწყეს... ორივეს ხელთეპყრა ანთებული კელაპტარი და ისე განაგრძობდნენ ლოცვას... მძიმედ წარმოსთქვამდა სიტყვებს ძია-კაცი, ხელჯოხს ეყრდნობოდა ხშირად, სათვალის მინაზე სანთლისაგან წყნარად ადენილი ალი კიაფობდა, მომეჩვენა თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ ფუძე-სახლს, ვინ იცის მის კედლებს რამდენი სიხარული შეახიზნეს. ბავშვები მდუმარედ ატუზულან, იქვე კარებთან, ბრდღვიალა თვალებით ციმ-ციმ შეჰყურებდნენ მოხუცების ლოცვას... რაღაც აჭრიალდა, უცხო ხმა დაირხა, აკვნისკენ გავიხედე... აკვანი თავისით ირწეოდა. გავოგნდი... ახლოს არავინ იყო, რომ მეფიქრა, ხელი თუ ვინმემ შეახო-თქო ალბათ, აკვანი მშვიდი აკორდებით, ნელა, წყნარად ირწეოდა. შიში დამეუფლა, მეუღლეს შევხედე, გაფითრებულიყო ქალი...

— ბატონო გიორგი, მადლობას გიხდით მოთმინებისთვის.

მშვიდად მომიტრიალდნენ მე.

— ჩვენ სამუდამოდ მივდივართ ამ ქვეყნიდან, შორს, ძალიან შორს... ამ აკვანს გაუფრთხილდით... დედაბოძის მაგიერია ის ოჯახში, სიცოცხლის პირველმწეა და ბალღის სითბოთია გაჯერებული. ხანდახან სანთელი მის ტანზეც აანთეთ, ისიც ხომ ოჯახის წევრია, ოღონდ სხვანაირი... თქვენი ოჯახის ბედნიერებისთვისაც ვილოცეთ, დედაღვთისმშობლის მადლი შეგეწიოთ...

სტუმრები მალევე წავიდნენ. ჭიშკრის კარები გადავკეტე და სახლში ამოვედი... რაღაცნაირად მიღიმოდა ცოლი, მერე ხელით ხატებისკენ მიმითითა... ჩემი უფროსი შვილი ხატის წინ დამდგარიყო და... მირონი სდიოდათ ხატებს...

ბაბუა

— ეხლა სოფელში ვარ, ჩემს მამა-პაპისეულ სახლში დიდი ღუმელი მხიარულად გუზგუზებს და თითქოს რაღაცას მეუბნება, ან ამბავს მიყვება ჩემთვის უცნობ ენაზე. სახლში მარტო ვარ. ტელევიზორიც არ ჩამირთავს რომ სიმყუდროვე არ დამერღვია. საოცარია არა? საკუთარი თავის სიმყუდროვისთვის ვზრუნავ მაშინ, როცა მარტო ვარ და ხმის გამცემიც არავინ მყავს. სკამიდან ავდექი და კედელზე გაკრულ საოჯახო ფოტოებს დავუწყე თვალიერება. მზერა ერთ ფოტოზე შევაჩერე, ჩემი ბაბუა, ბებია და მე ვიყავით გამოსახული. ალბათ ამ დროს შვიდი ან რვა წლის ვიქნებოდი. ის დრო გამხსენდა...

— ბაბუაა...

— ხოოო ბაბუა, აქა ვარ შვილო.

— ბაბუ მოჭრილი ხის ტოტი მომაქვს და ბალახები ხელს მიშლიან.

— არა ბაბუ, ხელს არ გიშლიან, ბალახები ტოტს ემშვიდობებიან ერთი დედის გზდილნი არიან.

— ვერ გავიგე ბაბუ.

— დედამიწა მცენარეების დედაა, ეგ ტოტიც დედამიწამ გაზარდა, ეხლა ავკაფეთ და ბოლო გზაზე აცილებენ ბალახები, ეხებიან და ემშვიდობებიან ტოტს.

— ჰოოო...

— გოგიტა, ბაბუა, ჯერ ჩემს ნათქვამს ვერ გაიგებ, როცა წამოყვინჩილდები მერე მიხვდები.

— რას მივხვდები ბაბუ?

— რაც ეხლა გითხარი.

— კიდე მითხარი ბაბუ, თუ ვერ დვიმახსოვრებ მერე კიდევ გკითხავ.

— პატარა რომ ხარ?

— ხომ გავიზრდები?

— უნდა გაიზარდო, აბა რავა იქნება შე კაცო. ხე და ბალახი ერთად გაიზარდნენ, ერთმანეთის ჭირ-ვარამი კარგად იციან, ერთად კვებავდა დედამიწა ორივეს. ერთად უმღეროდა მათ სიცოცხლის საგალობელს. ჩვენ კი ეს ტოტი მოვჭერით...

— ბაბუა, ეს ტოტი ჩვენი ვაშლის ხისთვის ვინ არის?

— შვილია ხისა შვილო.

— ბაბუუ, ჩვენ ტოტი მოვკალით?

— აბა ხემ რა იცოდა, რომ ტოტი რომ გაიზრდებოდა და ჩვენი სახლის მშენებლობაში ხელს შგვიშლიდა.

— ვაშლის ხე ხომ არ გაგვებუტება? ვაშლებს ისევ მოისხამს?

— კი ბაბუა, აბა რას იზამს?

— ბაბუუ... ბალახები უფრო ჭკვიანები არიან თუ ხეები?

— ეგ რამ მოგაფიქრებინა?

ჩაეცინა ბაბუას.

— ორივე დედამიწის შვილები არიან, ბალახი დედამიწის სამოსია და ბევრი სულიერის საზრდო, მიწის ოცნებაც და ფიქრებიც, ამიტომ ზოგან ყვავილნარით იწონებს თავს, ზოგან ხასხასა მინდორ-ველით, ზოგან კიდევ უდაბნოა და ეკალბარდი ფარავს მიდამოს.

— ასე რატომ იქცევა მიწა ბაბუ?

— როგორც ჩვენ ვექცევით ისიც შესაბამისად გვექცევა ბაბუ?

— ხე, ხე როგორია?

— ხე დედამიწის ხელებია, ამიტომაც არის ცადაწვდილი და სხვადასხვანაირი, რადგან ფიქრი და სათხოვარი სხვადასხვა აქვს დედამიწას ღმერთთან. ზოგი ხე ზრუნვაა, ზოგი ძლიერება, ზოგიც კიდევ მსჯავრი და ზოგიც მიტევება. მხოლოდ ეგ არის, თავად უნდა გაარჩიოს ადამიანმა, რომელი ხე რას ნიშნავს. შემხიზვნელია ხე და საკუთარი სიცოცხლის ფასად ადამიანთა სამკვიდრებელიც და მშენებელიც, დედამიწა საკუთარი მკერდით კვებავს მცენარეებს ბაბუა.

— როგორ ბაბუ? ძიძუს აწოვებს?

— ხო შვილო...

— ხეები რძეს სვამენ?

— არა შემოგევლე, სიცოცხლის საუნჯით კვებავს დედმიწა მცენარეებს.

გონებაში სრულად ჩამრჩენია ჩემი და ბაბუას ეს დიალოგი. მახსოვს როგორ ვჩიჩქნიდი ხის გარშემო მიწას, რომ სიცოცხლის საუნჯე მეპოვა. ერთხელ ვენახში გამაგზავნეს ბაბუასთან. საჭმელი და ერთი ბოთლი ღვინო გამატანეს. მოკლეზე მოვჭერი, ვენახ-ვენახ წავედი. ვიარე და მუხლებზე დაჩოქილი ბაბუა დავინახე. ჩუმად მივეპარე და დღემდე მახსოვს თვალნათლივ მისი სიტყვები:

— ჩემო შვილებო, ნერგობიდან გაგზარდეთ და ამაგს ნუ დამიკარგავთ. მოვხუცდი და იმ წელს, სანამ „იქ“ წავალ, კარგი მოსავალი მოიწიეთ, რომ ღვინო მადლიანი დადგეს, რომ, „იქაურობისკენ“ მიმავალი გზის დალოცვა არ დაეზაროთ ჩემთვის და მოკითხვაც შემომითვალონ იქანა...

საოცრება იყო ბავშვობა ჩემს ბებიასთან და ბაბუასთან ერთად. თვითოეული დღე, ერთ წიგნად ღირდა, საუნჯე იყო ყოველი წამი და წუთი, რომელიც მათთან გამიტარებია. ახლა ვხვდები ამას. ერთხელ ვკითხე:

— ბაბუა რაჭვლობა რას ნიშნავს?

არ ელოდა ასეთ შეკითხვას, ერთ ხანს მიყურა, მერე თოხი იქვე კაკალის ხეზე მიაყუდა. დუმდა ბაბუა. დაიბნა კაცი. მეორე დღეს ნიკორწმინდაში წამიყვანა და ის საოცარი სიტყვები დღემდე მახსოვს. ნიკორწმინდის ტაძრის წინ დამაყენა და მითხრა:

— ესაა ბაბუა რაჭა. ამ ჩუქურთმებს რომ უყურებ ხომ მოგწონს? მაგრამ რაა ეს იცი? ასე ქვის გაკოპწიავება მხოლოდ ქვეყნის და ერის მოყვარულ კაცს შეუძლია, შენი კუთხის სიყვარულს შეუძლია. დაფიქრდი, რამდენი ჯანი შეალია იმ დიდოსტატმა, რომ შენთვის, ჩემთვის და ყველასთვის მოეყოლა ქვაში ჩაქსოვილი ნატვრა, ჩვენი კუთხის სიყვარულს რომ სცილდება და უკვდავებას უქსოვს მეწინავე დროშას. გოლიათური სიდინჯეც ჩვევიათ რაჭველებს. გოლიათი დიდს და მხარბეჭიანს კი არ ნიშნავს ბაბუა, გული რომ გაქვს შენი სამშობლოს და მოყვასის სიყვარულით სავსე, ეეე, ის კაცია გოლიათი, დაიმახსოვრე?

ერთხელ აივანზე ვიჯექით მაგიდასთან. სოფელს გაჰყურებდა ბაბუა... ამოიოხრა.

— რა იყო ბაბუ?

შევეკითხე მოხუცს.

— არაფერი შვილო, არაფერი. აგერ, ორი სახლის საკვამურიდან ამოდის ბოლი. დაცლილია ამხელა სოფელი. ჩვენც მივებარებით მიწას და თვალღია მიცვალებულს დაემსგავსება აქაურობა, უპატრონო და გამპატიოსნებლის გარეშე რომაა მიგდებული ველად. თბლისში ფუთიან ყანწებს სვამთ „ჩვენს კუთხე-კუნჭულებს გაუმარჯოსო“, სიმღერაც იცით ომახიანი და მეორე დღეს, „პახმელიაზე“, გავიწყდებათ ყველაფერი... ჩვეულ რუტინაში ჰპოვებთ თავშესაფარს... ქართული ინტელიგენცია, ზნეობა და ერისკაცობა სოფლიდან წამოვიდა შვილო, აქ განიბანნენ ქართული სიბრძნით, მოყვასისადმი სიყვარულით და მათ წინაშე ვალდებულებით სავსე ემბაზში. აქ იცხეს მირონი და გაულამპრეს გზა ქართველობას მრავალი ქარტეხილით ნაგვემ ყველა ეპოქაში. ეს ედემი არ დაკარგოთ ბაბუა, ეს თქვენი კუთხეა, შეუმუსრავი ზღუდე და საკუთარი ხელით ნუ ჩამოშლით ქონგურებს, ნურც გულგაციებულნი, ღიას ნუ დასტოვებთ კარიბჭეს, რომ ცხვირწინ არ მოგიჯახუნონ... მერე... მერე ვაი და ვიში, უდაბნოსა შინა მღაღადებელს დაემსგავსება თქვენი ხმა.

სიკვდილის წინ, მონაგარი შეგვკრიბა ბაბუამ. ჯერ მოსავლის ამბავი გვკითხა და რომ დავაიმედეთ გვითხრა:

— ჯერ არ არის ყურძენი მოწეული, წლევანდელ ღვინოს ვერ ვაკურთხებ უფლის წინაშე, ძველი კი, საკმარისია, რომ „გზა“ დამილოცოთ... ცოტა ხანს იყუჩა, გვაცალა იმედიანი სიტყვების ჩამორაკრაკება და განაგრძო:

— ვენახში დამკრძალეთ, „იქიდან“ შევუფუცხუნებ“ ვაზს და ხეხილს... ჩემი სიტყვა კანონია ჯერ...

შემდეგ გაგვიღიმა, ერთი კიდევ აგვათვალიერა ყველანი...

— „იქანა იმიტომ მინდა რომ დამმარხოთ, რომ ვერ გაყიდოთ და ვერ გაანათხოვროთ მამა-პაპისეული...“

თავზე დამათენდა. მზეს გავხედე სარკმელიდან. კაკლის წვერს ებღაუჭებოდნენ მზის სხივები. აივანზე გავედი. სოფელს გადავხედე, ბოლი ამოდიოდა საკვამურებიდან. გვერდით მეზობლის ეზოს შევავლე თვალი და ჩემი სიყრმის მეგობარი რატი გამობაჯბაჯდა აივანზე. აგერ ზალიკო, გოჩა, დათო... ჩვენი ბიჭები, ახმიანებდნენ სოფელს... ნაზის ნაცნობი ხმა შემომესმა, ჩვენი დაიკო, ირმა „დაქოთქოთებდა“ ეზოში. ჯერ ბიჭებს შეეხმიანა, მერე მეც შემამჩნია აივანზე გადმოყუდებული.

— დედა! ბოშო, გოგიტა ჩამოსულა, მოგენატრა დედულეთი კახელოო?

სიყვარულით ამომძახეს მეგობრებმა.

მომენატრა ჩემო ძვირფასებო, მომენატრა, მე ხომ აქ ავიდგი ფეხი....

ბედნიერების ლომბარდი

ნაწილი 1
თავი 1

რას არ გაიგებს კაცი, გუშინ ჩემმა მეგობარმა მახარა:

— „ჯიგარო, უბანში მაგარი ლომბარდი გაიხსნა, ეგ ხალხი გადამრევს, ასე მითხრეს, „კრედიტს მოგცემთ თუ თქვენს ბედნიერებას ჩადებთო გარანტიად“. გავოცდი, პირველად ვიფიქრე ალბათ ხუმრობს და ასე უნდა გამაბითუროს ამ „ცელქმა“.

— გურამ, რასაც შენ მეუბნები ზღაპრებშიც კი აღარ წერენ, ძაან ბლეფია ჯიგარო.

ვუთხარი მეგობარს და გავუღიმე.

— მისმინე, იქ, ერთი მანათობელი ბროლის „ბურთი“ აქვთ, ხელები იმაზე უნდა დააწყო, თან არ დაგავიწყდეს ორივე ხელი უნდა დაადო, მერე მელომბარდე გეკითხება, „თანხა რამდენი გნებავთ?“ მე ვუთხარი, „ასი ათასი მინდა, თუ მომცემთ“, იმან „ბურთს“ რაღაც შეულოცა, მერე გულზე ხელი დამადო და მითხრა: „თქვენი „ბედნიერება“ ამდენი არა ღირს და თუ გნებავთ ოცი ათას მოგცემთ და გირაოში თქვენი სამუდამო ბედნიერება ჩადეთ. თანხას როცა გადაიხდით თქვენი ბედნიერების 95 %-ს დაიბრუნებთ, ხოლო ხუთი პროცენტი კი მოსაკრებელის ღირებულებად დარჩება“-ო....

— მერე შენ რა უთხარი?

— მოკლედ „დავაბოლე“ რა... და უფრო მეტი მომცეს იგივე პირობით.

— გასტუმრებას რითი აპირებ?

— კარგი რა ძმურად... მექნება და გადავიხდი...

— გაიღიმო შეგიძლია?

— რااა?

— გამიღიმე...

გურამი დაიძაბა, სახე დაემანჭა, რაღაც საცოდავი და გულის ამრევი გამომეტყველება მიიღო მისმა „ღიმილმა“. გურამი დაიძაბა, ვერ მიხვდა რა დაემართა, სად გაქრა მისი გულღია და წრფელი ღიმილი....

— გურამ რა გჭირს?

— კრედიტი პროცენტებს წერს მეგობარო.

მიპასუხა, მერე ზურგი შემაქცია და წავიდა... ინტერესი მკლავდა გამეგო რა ხდებოდა ამ საოცარ ლომბარდში. იქვე მათ ოფისში შესასვლელ კართან ბორდიურზე ჩამოვჯექი და მიმსვლელ-მომსვლელს ყურადღებით დავუწყე თვალიერება. საკრედიტოსთან ადამიანების დიდი რიგი იდგა, ხალხი იცინოდა, ერთმანეთს თბილად ესუბრებოდნენ, მათი სახიდან გამქრალიყო ნაღველი და დარდი, მხოლოდ მოსალონელი „სასურველის“ მიღების სურვილით იდგნენ ადამიანები. იდგნენ ქალები, კაცები, მოზარდები, ახალგაზრდები, მოხუცები... და ხალხი საკუთარ ბედნიერებას ფულზე სცვლიდა... „საკრედიტოდან“ გამოსულებს დავაკვირდი, დაძაბული, გაცრეცილი სახეები და ბოღმით სავსე თვალებით შეჰყურებდნენ რიგში მდგომ ადამიანებს, „კრედიტი უკვე მომცეს“, მოკლე პასუხით მიუგებდნენ საკუთარ ქომაგებს... ცოტა ხანში უბანში გაღიმებულ კაცს ველარ ნახავდით, ვერც ლაღ სიცილს გაიგონებდით უბნის „ბირჟაზე“... ბოროტი, არაფრის მთქმელი და უსიცოცხლო თვალები... უმეზობლო სამეზობლო... „ძვირი“ მისალმება... მხოლოდ ბოღმა და შური გამეფდა ჩვენს უბანში. მეც შევედი „საკრედიტოში“. ულამაზესი გოგონა შემომეგება და წკრიალა ხმით მომმართა:

— მობრძანდით ბატონო, რით შემიძლია გემსახუროთ?

— მე თქვენი მენეჯერის ნახვა მსურდა, თუ შეიძლება...

— მენეჯერს ნუ შევაწუხებთ, კრედიტის გაცემა ჩვენი პრეროგატივაა, გთხოვთ გასაუბრების ოფისში შებრძანდეთ, საკრედიტო ოფიცერი ერთ წუთში თქვენს განკარგულებაში იქნება...

— მე მენეჯერის ნახვა მსურს გოგონა, გთხოვთ მასთან მიმიყვანოთ.

გავუმეორე თხოვნა.

გოგონა დადუმდა, ლამაზი ტუჩები „აპრუწა“ და ერთ-ერთი კაბინეტიდან ჩახლეჩილმა ხმამ მოგვმართა: „შემოვიდეს, მე მას ველოდი“ „ის მე მელოდა?“, გამიკვირდა. გოგონამ გამიღიმა, თეთრი ბროლივით კბილები შემომანათა და ლამაზი თვალებით მოწყალებით გადმომხედა.

— „მიბრძანდით, ბატონი მენეჯერი თავისთან გიხმობთ, თქვენი ნების შესაბამისად... მიბრძანდით“.

იმ წუთში აღარც მენეჯერი მინდოდა და არც ლომბარდი... დედაააა რა ლამაზი იყო ის გოგო... მენეჯერის კაბინეტს მივუახლოვდი. კარებზე ლამაზი ასოებით ეწერა „გენ.-მენეჯერი ლუი ცეიფერი“. თითქოს მეცნო ეს სახელი, მაგრამ საიდან? კარზე დავაკაკუნე.

— მობრძანდით.

შემომესმა კარს იქიდან... მეც შევედი.

— დაბრძანდით ჩემო ბატონო, ჩემი ნახვა გსურდათ, გისმენთ, რით შემიძლია გემსახუროთ?

შემეკითხა ბატონი ლუი.

— გამრჯობათ ლუი ბატონო, თითქოს საიდანღაც მეცნობა თქვენი სახელი, მაგრამ ვერ ვიხსენებ...

— თავს ნუ გაიწვალებთ, ერთი ამერიკული ფილმის პერსონაჟია... მე მისი სახელი ფსევდონიმად მოვირგე...

— საინტერესოა... ბატონო ლუი, შეიძლება რამდენიმე კითხვა დაგისვათ?

— კი ბატონო, ბრძანეთ.

— საინტერესო დაწესებულება გაქვთ, თქვენ ადამიანების ბედნიერებას ალომბარდებთ, თანხასაც გასცემთ და არანაირ ფასეულობას გირაოში არ იტოვებთ, რატომ?

— ბატონო გიორგი, თქვენ მგონი მწერალი ბრძანდებით არა?

— მოდი ასე ვთქვათ, კალამს ოფლს ვადენ ჯერჯერობით, მწერალი დავირქვა... გერქვას მწერალი ეს დიდი პასუხისმგებლობაა...

— ხოოო, გეთანხმებით...

— შეგიძლიათ მიპასუხოთ ჩემს შეკითხვაზე?

— ბატონო გიორგი, ადამიანისთვის ბედნიერებაზე დიდი ფასეულობა არსებობს?

— როგორც ვატყობ კამათში ვებმებით...

— გეთანხმებით, მოდით მარტივ გამოსავალს გთავაზობთ, აგერ ახლოს, ჩვენი კორპუსის ბოლოში ლუდის ბარია და იქ ჩავჯდეთ, მე შესვენებას მოვიწყობ და თქვენ კი... მოკლედ უფრო კარგად გავიცნობთ ერთმანეთს, შევთანხმდით?

— კი ბატონო...

— დანახარჯს მე ვიხდი...

მითხრა ლუიმ და ორიოდ წუთში ლუდის ბარში ქაფმორეული, „ოფლიანი“ ბაკლიდან, „ჟანგიან“ ყელში ლუდის „მდინარე“ ჩავუძახე... კარგი იყო, არ დავმალავ, მესიამოვნა...

— მოდი „შენობით“ ვისაუბროთ, თანახმა ბრძანდებით?

ღიმილით მკითხა ლუიმ.

— მშვენიერი აზრია ლუი, ოფიციალურობა არც მე მომწონს...

— დიდებულია, ეტყობა ქაბაბს და ხინკალს ცოტა დააგვიანდება... მანამდე კი ვისაუბროთ....

— ლუი, იქნებ ამიხსნა, ცოტა არ იყოს ძნელად გასაგებია ჩემთვის, ადამიანმა ბედნიერება როგორ უნდა დააგირაოს?

— გიორგი, ჩემი სახელი და გვარი გაიმეორე...

— ლუი ცეიფერი...

— ესე იგი...

— ლუციფერი? წარმოუდგენელია...

— რატომ? იმიტომ რომ მხედავ? საკვირველი არაფერია მეგობარო, მეც და ჩემი ქვეშემდომებიც, უკაცრავად თანამშრომლები, თქვენი საზოგადოების წევრები ვართ და ჩვენი ხილვა რატომ გაკვირვებთ? რომელი იქნებოდა სწორი, მე რომ სხვა გვარი და სახელი დამერქმია და ისე გაგცნობოდი, თუ სიმართლე მეთქვა და პატიოსნად წარმდგარიყავი თქვენ, საზოგადოების წინაშე? მე რატომ უნდა მცხვენოდეს ჩემი ვინაობის გამხელა?... კარგით შევეშვათ ამაზე საუბარს, ვხედავ შიშის ალი გუზგუზებს თქვენს თვალებში, მერწმუნე არაფერს დაგიშავებ არც ეხლა და არც მომავალში, ხო მართლა რელიგიაზე ნუ ვისაუბრებთ... დაგამარცხებ... თქვენს სამყაროში ღმერთს საუკეთესო რეკლამა აქვს... მშურს მისი...

ლუიმ გაიღიმა.

— მკითხე გიორგი რაც გსურს, ოღონდ დამშვიდდი და ნუ გეშინია...

— კარგი ლუი, შევთანხმდით, შეიძლება გკითხო?

— ბუნებრივია...

— რატომ მაინც და მაინც „ბედნიერების ლომბარდი“?

— „ბედნიერება“ ადამიანის მიწიერი ენერგეტიკაა და „სულის“ ნაწილი, სული ღვთიურია და უკვდავი, ბედნიერება მიწიერია და ადამიანის გარდაცვალებასთან ერთად ისიც კვდება. ბედნიერება ინდივიდუალურია და სინათლის, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, „გადამდები სინდრომია“, რომლის გაზიარებაც შეიძლება. ბედნიერება უდიდესი მიწიერი ფასეულობაა, რომელსაც ადამიანები უბრალოდ საკუთარ დამსახურებად მიიჩნევთ და იოლად შეგიძლიათ შეელიოთ...

— და თქვენ ბედნიერების დათმობის სანაცვლოდ ფულს აძლევთ?

— გიორგი, ფული ბედნიერება არ არის...

— იქნებ უფრო მარტივად ამიხსნათ, რას და როგორ განსაზღვრავთ, რა ღირს „ბედნიერება“, რას ილომბარდებთ...?

— როცა გიყვარს, როცა უყვარხარ, როცა გენატრება და ვიღაცას თუ ენატრები, როცა ზრუნავ ვინმეს კეთილდღეობისთვის და ვიღაცა ზრუნავს შენზე, როცა ამაგს სთეს და მადლიერებას იმკი, როცა გიჭირს და ხელს გაგიმართავენ, გვერდში დაგიდგებიან ადამიანები, შვილის დაბადებით გამოწვეული სიხარული, მისი პირველი ნაბიჯები, წარმატებით გამოწვეული აღმაფრენა, შენი საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა და უხინჯო სიყვარული... კიდევ ბევრი რამ გიორგი, ეს ყველაფერი ბედნიერებაა... შენ შეგიძლია მის გარეშე სიცოცხლე? ფულის ფასად დასთმობ ამ ყველაფერს?

— ვერა...

— იცი, ვინც ბედნიერებას „აგირავებს“, მათ იციან რაზე მიდიან, იციან რა შეიძლება დაკარგონ, მაგრამ ბანკის ვალი უფრო მძიმე ტვირთად ეჩვენებათ და ამიტომ ჩვენთან მოდიან, ისინი არც ბინას დებენ გარანტიად და არც რაიმე მატერიალურ ფასეულობას, არც პროცენტები არსებობს ჩვენთან, არც არავინ დაგირეკავს ოფისიდან „პროცენტი გადაიხადეო... ძირი ფულის ნაწილი დაფარეო...“ და ასე შემდეგ, მე მოგეცი ფული მთლიანად, შენც დამიბრუნე მთლიანად. ეს არის პრინციპი. ხოლო თანხის რაოდენობას იმის მიხედვით განვსაზღვრავთ თუ რა სულიერი „უზრუნველყოფა“ დევს მსესხებლის უკან, მოკლედ ვეუბნებით იმდენს, რამდენის გადახდასაც ვერასდროს შესძლებენ...

— თქვენ რაში მოიხმართ სხვების „ბედნიერებას“?

— სასაცილო შეკითხვაა, იმ სიხარულს, რომელიც მას უნდა განეცადა ჩვენ განვიცდით, მათი სიხარული უკვე ჩვენია, ჩვენი ოჯახების, ჩვენი მეგობრების, ჩვენი მომხრეების კეთილდღეობას ხმარდება...

— კი მაგრამ, „ეს“ საშინელება რამ მოგაფიქრებინა?

— საშინელება? მომისმინე მეგობარო, ჩვენ ვინმე ვაიძულეთ რომ ჩვენთან მოსულიყო? ისინი საკუთარი ნებით მოდიან, ჩვენ მხოლოდ მათ „რესურს“ ვაფასებთ...

— ვინმესთვის გიპატიებიათ „ვალი“?

— კი, რასაკვირველია...

— და ვინ იყო ის ბედნიერი?

— ამ შეკითხვაზე მოგვიანებით გაგცემ პასუხს, ხო, ასე აჯობებს...

ხინკალი და ქაბაბი მოგვიტანეს, ოხშივარი ასდიოდა დალოცვილს. ლუიმ რამდენიმე ხინკალი გადაიტანა თეფშზე გასაციებლად. მეც ასევე მოვიქეცი, მერე ლუდის ბაკალს დავწვდი და რამდენიმე ყლუპი მოვსვი. ლუის ვაკვირდებოდი, არაფრით იყო გამორჩეული სხვებისგან. არც ტრადიციული რქები, არც კუდი, არც ჩლიქები... უკიდურესად „ადამიანური“ იყო ლუი. ხინკალს სული შეუბერა, მერე მე შემომხედა, გაიღიმა. ერთი თავი გადაიქნია და ჩანგალი ქაბაბის ნაჭერს ჩაარჭო...

— მიირთვი გიორგი, მოჯანიანდი, სასაუბრო ბევრი გვაქვს მეგობარო, ძალიან ბევრი...

თავი 2

ვარჯიშიდან ღონემიხდილი დავბრუნდი. ფალავანთა კლუბში სიქა გამაძრეს. სპორტ-სკოლის ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით, ჩვენი მწვრთნელი გულმოდგინედ გვავარჯიშებდა ძიუდოისტებს, რომ საქალაქო და რესპუბლიკური ჩემპიონატისთვის საუკეთესო ნაკრები ჩამოეყალიბებინა. ტანზე გავიხადე, მერე შხაპი მივიღე და ლოგინზე მოწყვეტით გადავკოტრიალდი. მშიოდა, მაგრამ ჭამის თავი არ მქონდა. რული მომერია და ტელეფონის ზარმაც დარეკა. ძლივს ავითრიე ტანი, ტელეფონთან მივედი და ყურმილს უხალისოდ დავწვდი...

— ალოოო...

— გიო შენ ხარ?

— მე მირეკავ და აბა ვინ ვიქნები?

— ჯიგარი ხარ, სახლში ხარ?

— ბიჭო, შენ რა არეული მელაპარაკები? სახლში ვარ...

— ეხლა ამოვალ, შენთან საქმე მაქვს...

— მომისმინე, მე ერთ საათში მათემატიკაზე უნდა წავიდე...

— რა დროს სკოლა და მათემატიკაა... დამიცადე არსად წახვიდე...

მომაძახა ჩემმა კლასელმა და ყურმილი დამიდო. „ისევე რაღაც შარში გაეხვია, უეჭველად...“ ისევ ლოგინისკენ წავედი. ახლა კი, კარზე ზარი აწკრიალდა. ჩავიცვი და სადარბაზოს კარი გავაღე. მტერმა ნახა ის, რაც მე დავინახე. ჩემი ორი ძმაკაცი ვიღაცას უმოწყალოდ დაებეგვა. თავ-ყბა ჰქონდათ აზელილი საწყლებს.

— რა მოგივიდათ? ასე ვინ გცემათ?

— მოკლეთ, ნინოს გამო ვიჩხუბეთ...

— ძმურად, მუჰამედ ალის ეჩხუბეთ? ასე...

— მოიცა რა... გველადავება?

— ერთი ეს მითხარით, რომელი „ნინოსთვის“ იჩხუბეთ?

— აი კინოსთან რომ სკოლაა იქ სწავლობს...

— რა�ა?

— ხო, მაგარი გოგოა, მომწონს...

— ძმურად, ის ნინო გიცნობთ რომელიმეს?

— კი ძმა, როგორ არ გვიცნობს, ჩემს უკანა კორპუსში ცხოვრობს...

— ვისაც ეჩხუბეთ ის ვინ არის?

— ვიღაცა ჩმორია, მოკლედ ბევრნი იყვნენ და იმიტომ მოგვერივნენ, თორემ...

— სულ შარში როდემდე უნდა იყოთ?

— გიო, ძმაო, შენი იმედი გვაქვს რა, ჩავიდეთ...

— კარგით, რაიმეს მოვიფიქრებ...

წამოვდექი, აივნისკენ წავედი...

— გარეთ არ გახვიდე.

შემომტირა პაატამ.

— დაბლა გველოდებიან...

— ვინ გელოდებათ?

— ისინი.

ახლა ლაშამ შემომტირა. აივანზე გავედი, სადარბაზოსთან რამდენიმე კაცი იდგა და ზევით იყურებოდნენ.

— ეეე!.. შენა ხარ გიორგი?!

ამომძახა ერთ-ერთმა.

— მე ვარ.

ჩავძახე მე.

— ერთი ჩვენი ძმა დაბლა ჩამოდი.

იქედნურად ამომძახა მეორემ.

— დამელოდეთ.

უკვე გაბრაზებულმა ვუპასუხე და სახლში შევედი. პაატას და ლაშას ხმა არ ამოუღიათ.

— დამელოდეთ, დაბლა არ ჩამოხვიდეთ.

თითქმის ვუბრძანე ძმაკაცებს. ეზოში ხუთი კაცი დამხვდა, ჩვენზე უფროსები, ალბათ სტუდენტები იყვნენ. ქედმაღლურად მომესალმნენ:

— რაო ჩვენი ძმა, მშვიდობის ელჩად გამოგგზავნეს?

— მე დიპლომატი არა ვარ და გაითვალისწინეთ, ჩემს ეზოში ხართ და წესიერად მოიქეცით.

მშვიდად მივუგე დამხდურებს.

— კარგი, კარგი, შენ შეგნებული კაცი ჩანხარ და იცოდე, მეორედ რომ იმ გოგოს ახლოს გაეკაროს რომელიმე, ბევრად ძვირი დაუჯდებათ...

— მისმინე...

ვატყობდი რომ წონასწორობას ვკარგავდი.

— ეგ შენი საქმე არ არის ვინ ვის გაეკარება...

საქმე აშკარად ჩხუბამდე მიდიოდა, ეზოში უბნელი ბიჭები ჩამოვიდნენ. დამხდურები აშკარად შეშინდნენ, ტონი შეცვალეს და ტკბილად დაიწყეს საუბარი... მოკლედ, ამ ჩემი ცოდვით სავსე პაატას, უკვე დანიშნულ გოგოზე მიეტანა „იერიში“, როგორც გამოირკვა, არაერთხელ გაუფრთხილებია „სასიძოს“, იმ ნინოსაც უთქვამს რომ დანიშნული იყო და სკოლის დამთავრების შემდეგ თხოვდებოდა... მოკლედ აღარ გვიჩხუბია, მაგრამ... რაღა მაგრამ, სულ ასეთ დავი-

დარაბებში ეხვეოდნენ და მერე ჩემთან გამორბოდნენ... 10 ძმაკაცი ვიყავით. პირველი კლასიდან ვმეგობრობდით. ჩვენი შემხედვარე ოჯახებიც დამეგობრდნენ. მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ რატომღაც ჩვენს შორის შეძლებული ოჯახის მქონენი, საოჯახო წვეულებაზე, სხვა, შეძლებულ ოჯახის მქონე ჩვენს კლასელებს და მათ მშობლებს ეპატიჟებოდნენ, ჩვენ კი, „გვერდით“ გაგვწევდნენ ხოლმე. ამას დედების დაქალობით ხსნიდნენ. მაშინ ასეთ რამეს ყურადღებას არ ვაქცევდით...

თავი 3

ლუიმ ლუდი მოხვრიპა და მადიანად განაგრძო ქაბაბის ჭამა. მეც სხვა არაფერი დამრჩენოდა, ჩემს მასპინძელს მივბაძე.

— გიორგი, მზად ხარ თქვენს საზოგადოებაზე სასაუბროდ?

— კი, მგონი კი.

— შესანიშნავია.

— როგორც ვხედავ, კითხვა თქვენ უნდა დამისვათ.

ლუის გაეცინა.

— რა უინტერესოა ჭკვიან ადამიანებთან საუბარი...

— რატომ? გავაპროტესტე მე.

— იმიტომ რომ წინასწარ ხვდებიან და აანალიზებენ ყველააფერს. წელან გაკვირვებული და შეშფოთებული მეუბნებოდი, „რატომ მაინც და მაინც ბედნიერებაო“. მე კი გეტყვი და გაგიმეორებ, უბრალო ადამიანური ბედნიერება, ხშირად, ძალიან ახლოს არის თქვენთან, ხელითაც ეხებით მას, მაგრამ მიგაჩნიათ, რომ უფრო მეტს იმსახურებთ, რომ თქვენი ბედნიერება „მოძველდა“ და როგორც „ჩამოფასებულს“ ისე ექცევით, თქვენ არასოდეს გიფიქრიათ, რომ ის, რაც გაქვთ, სხვებისთვის სანუკვარია და საოცნებო...

— მიკვირს თქვენი ასეთი მსჯელობა, იქნებ ადამიანი, რომელიც თქვენთან მოდის, თანხით, რომელსაც თქვენ აძლევთ, მომვლის დაგეგმვა სურს? და ამიტომაც დგამს ასეთ ნაბიჯს...

— გიორგი, გეთანხმები, ხშირად გვესმის „დაგეგმე მომავალი“, მაგრამ როგორ უნდა დაგეგმო, როცა რესურსი, საშუალება და მხარდაჭერა არ გაგაჩნია?

— და ამ შემთხვევაში...

— გიორგი, ფულით „მოთხოვნილებების“ ყიდვა შეიძლება, ბინა, მანქანა, აგარაკი, ტანსაცმელი, სერვისი... ყველაფერი ეს, მოთხოვნილებებია...

— მაშინ მიპასუხეთ, როგორ მოიქცეს ადამიანი თუ არანაირი მატერიალური საშუალება არ გააჩნია? ის შეიძლება მოვიდეს თქვენთან და კაპიკებში დაალომბარდოს საკუთარი „ბედნიერება“, მე მგონი არ ვცდები...

— რაჭაში რამდენიმე ახალგაზრდას ვიცნობ, „მაგარ“ ფულს შოულობენ, იცი როგორ? გეტყვი, მიტოვებულ სოფლებში დადიან, ვაშლს, ქლიავს, კაკალს, შინდს, მოცვს და კიდევ სხვა მცენარეების ნაყოფს აგროვებენ და ყიდიან. ნიგოზს საკმაოდ მაღალ ფასში ყიდიან და „მაგარ“ ფულს შოულობენ. ეხლახანს სხვებმაც მიბაძეს და ღორების ფერმა გააკეთეს წაბლნარში. ხო, მართლა, წაბლსაც და წიფელსაც აგროვებენ, მერე ქუთაისში და თბილისში ჩამოაქვთ და ყიდიან...

— ესეთები ერთეულები არიან...

— ხო ასეა, იმ მამულების პატრონები კი, თბილისში ზიან და შიმშილით კუჭი უხმებათ. მერე ჩემთან მოდიან და საკუთარ ბედნიერებას ალომბარდებენ. თან წუწუნებენ „ცხოვრება გაძნელდა ფული არ ფულობსო“, ხელის განძრევა გეზარებათ, აი ეს არის მთავარი პრობლემა...

— ასე მსჯელობა არ შეიძლება ლუი.

— რატომ?

— იმიტომ რომ მათ ოჯახები აქ ჰყავთ და...

— ვერ ტოვებენ? თქვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, თავს იტყუებს, დიახ, შეგნებულად იტყუებს თავს, რის გამოც ახალი გამოწვევების მსხვერპლი შეიქმნება უცილოდ.

— რას ნიშნავს თავს იტყუებს?

— იმას, რომ არაფერი არ მოდის უშრომლად, არაფერი.

— მერე და ვინმე ერიდება შრომას?

— კი, ერიდება, კი არ ერიდება, გაურბის...

— არ მეგონა ასე თუ მსჯელობდი...

— გიორგი, მე არ გელაპარაკები ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე, არც პოლიტიკაზე და საზოგადოებრივ მოწყობაზე მსურს საუბარი, მარტივ თემებზე ვსაუბრობთ, შეხედე, აგერ იქით, „ბესეტ-

კაში“ ბიჭები სხედან და მიუხედავად იმისა, რომ ნაგვის ურნა ერთ ნაბიჯში დგას, ნამწვავებს მაინც მიწაზე ყრიან, ეს რაზე მეტყველებს გიორგი? გუშინ ჩვენი მეზობელი ბიჭი სცემეს ამ ნაძირლებმა, მხოლოდ იმიტომ, რომ იმას თავის დაცვა არ შეუძლია. ის ბავშვი სტუდენტია და საკმაოდ წარჩინებულიც, მას მომავალი აქვს და ესეთი ადამინი ჩემთან არასოდეს მოვა, ხოლო იმ ლაწირაკებს, მათი განათლების შესაბამისი სამუშო რომ შესთავაზო, ხომ იცი რას გეტყვის?

— ესეთები ერთეულები არიან. მასა კი უმუშევარია, თავის რჩენა უჭირთ, ხვალ ოჯახს რა აჭამოს იმაზე ფიქრობს. არა ქარხანა, არც ფაბრიკა, მხოლოდ იყიდე — გაყიდე და მეტი არაფერი...

— გიორგი მართალი ხარ, გეთანხმები. ეს თქვენი საზოგადოების ბრალია...

— რა არის საზოგადოების ბრალი?

— ზედმეტი მიმტევებლობა, თუმცა ეს ქართველების აქილევსის ქუსლია... გიორგი, ჭკვიანმა ლიდერმა ქვეყანაში „დაფასებული შრომის ძალაუფლება“ უნდა დაამკვიდროს, რადგან მის გარეშე სამოქალაქო თაღლითობის ჰეგემონიის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს...

— შეგიძლია უკეთესად ამიხსნა?

ლუი დაიძაბა, ცოტა ხანს ჩანგალს აწვალებდა და მითხრა:

— იცი, არსებობს შიში, რომ რაღაც ვერ გამოგივა, ამიტომ ხელს იღებ მოქმედებაზე, ესეთი საქციელი უნიათო ადამიანებს სჩვევიათ, წარმოიდგინე კაცი, რომელსაც ცოლი იმიტომ არ მოჰყავს, რომ ოჯახური იდილია არ დაერღვეს. მცდელობას მოაქვს წარმატება, თვითშეცოდება უკვე „დამარცხებულების“ საქმეა. საღი აზრი, ესაა მამოძრავებელი ძალა და სურვილი „ფეხზე დადგე“, ეჭვი ყოველთვის მომაკვდინებელია, როგორც მომავლის შიში, ცხოვრება ომია და იცოდე, ომში პირველები მშიშრები იხოცებიან... „შრომის ძალაუფლება“ ნიშნავს ჯეროვან ანაზრაურებას და პასუხისმგებლობას გაკეთებულ საქმეზე. ერთხელ ერთ ფირმაში ვიყავი, იქ ერთ-ერთ თანამშრომელზე ამბობდნენ „უტვინოა ვერაფერს ვერ იმახსოვრებსო“, მერე ჯამაგირი ვკითხე, ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონია იმ კაცს. იცი რა ვქენი? ჩემს ერთ-ერთ ფირმაში წავიყვანე სამუშოდ და კარგი ჯამაგირი დავუნიშნე და მშვენიერი შედეგიც მივიღე, იმათ გამოცდილი თანამ-

შრომელი დაკარგეს ხელმომჭირნეობით და მის მაგივრად გამოუცდელი, მაგრამ შინაური ადამიანი დანიშნეს. ვინ წააგო? ასეა მეგობარო, ყველა საქმეს თავისი დაფასება უნდა...

— ეგ არაფერს ნიშნავს ლუი ბატონო...

— არაფერს ნიშნავს? წვეთი წყალი ქვას ხვრეტს, ნაკადული კლდეს არღვევს, თაგვს კედლის გარღვევა შეუძლია... დღეს თუ სუსტი ხარ, იმას არ ნიშნავს რომ არაფერი შეგიძლია, ან ვერ შესძლებ. ის საქმე დაიწყე რაზეც ძალა გეყოფა და თანდათანობით გაძლიერდები... შეიძლება ხალხმა დაგცინოს, ამის გეშინია? ნაშოვნი ფული მოგიგვარებს პრობლემას... თუ არ ვცდები საზოგადოებრივი ტუალეტები პირველად რომის იმპერიაში შექმნა იმპერატორმა, მერე, ერთხელაც შვილმა დასცინა და ეკამათა მამას, იმპერატორმა ფული სახესთან მიუტანა და ჰკითხა: — „ამ ფულს ტუალეტის სუნი თუ ასდისო“, — „არა“-ო, უპასუხა შვილმა...

— ეგ ყველაფერი კარგი მაგრამ...

— ეს „მაგრამ“... გლუპავთ და ვერ ხვდებით...

თავი 4

მეათე კლასში ვიყავი, უკვე შეღერებული ყმაწვილკაცი. მე და ნათიას სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენ სულ ერთად ვიყავით. ნათია საკუთარ ნათესავებთან წვეულებაზე, სტუმრად რომ მიდიოდა, მე მეუბნებოდა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ჩემთვის პერანგის ყიდვას ვუკრძალავდი დედაჩემს, ფულს ვართმევდი და ნათიასთან ერთად მივდიოდი მაღაზიაში, მისი გემოვნების მიხედვით ვარჩევდი ტანსაცმელს, ერთხელ ოდიკოლონი მაჩუქა, ფრანგულიაო მითხრა, სუნით აღვრთოვანებული არ დავრჩენილვარ, მაგრამ რადგან მას მოსწონდა ეს სუნი, სკოლაშიც მას ვისხავდი... სასაცილოა, რომ მახსენდება... ნათია ქიმიურზე აპირებდა ჩაბარებას უნივერსიტეტში, მე კი ჭირივით მძულდა ქიმია. მამაჩემს გამოვუცხადე, — „უნივერსიტეტში მინდა ჩაბარება ქიმიურზე და შენ რას ფიქრობ“-მეთქი, მამაჩემა ამხედ-დამხედა, მერე გაიღიმა და მითხრა: — „როგორც შენ გსურს, მაგრამ მზად არა ხარ და ნათიამ რომ ჩააბაროს მისაღები გამოცდები და შენ „გარეთ“ დარჩე, გიფიქრია ამაზე?-ო... „არა არ მიფიქრია, ამის დაშვებაც კი მაგიჟებდა. ბიჭებმა გამომიარეს „კინოში წავიდეთო“, მე ნათიას გა-

რეშე კინოში რა მინდოდა? დავურეკე და... ნათიამ სლუკუნით მითხრა, — „მამაჩემი არ მიშვებსო“, კინაღამ გადავირიე, პირველი კლასიდან მანდობდნენ ნათაის და ეხლა რა მოხდა? კარი ნათიამ გამიღო, ცრემლები ჯერ არ შეშრობოდა თვალებზე, „შემოდი მამაჩემს და ბიძაჩემს სალაპარაკო აქვს შენთან“-ო, მხოლოდ ეს მითხრა. მე შევედი. ნათიას მამას ქარხანაში მთავარი ინჟინრის თანამდებობა ეკავა. გავლენიანი და შეძლებული კაცი იყო ბატონო რატი, ნათია მისაღებ ოთახში შემიძღვა...

— გამარჯობა გიორგი.

მომესალმა ბატონი რატი.

— გაგიმარჯოთ რატი ბატონო.

სალამით ვუპასუხე ნათიას მამას.

ნათიას ბიძა ერთი ახმახი კაცი იყო, თანაც სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელი. თანამდებობა და ჩინი ნამდვილად არ ვიცოდი, მაგრამ მაგარი „შიშკა“ რომ იყო ნათიასგან ვიცოდი.

— გიორგი!

წამოიწყო საუბარი ბატონმა რატიმ...

— მადლობა მინდა გითხრა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში პატრონობდი და გვერდში ედექი ჩემს შვილს, ხუმრობა ხომ არ არის მთელი რვა წელი. ვიცი რომ გიყვარს ნათია და არც ის არის შენდამი გულგრილი...

— ბატონო რატი, საით მიგყავთ ეს საუბარი?

ვკითხე და რაღაც საშინელის მოლოდინში დაველოდე პასუხს.

— გიორგი, ნათია უკვე დიდი გოგოა, ჩვენ, ოჯახი ვწყვეტთ მის მომავალს... ნათიას საქმრო ჰყავს... სკოლის დამთავრების შემდეგ, როცა პასპორტს აიღებს, უკვე ზრდასრული ადამიანის სტატუსით უფლებამოსილია გათხოვდეს...

— ბატონო რატი მთელი ეს წლები გვიყვარს მე და ნათიას ერთმანეთი, თქვენ კი ვიღაც...

— ის ვიღაცა არ არის, ჩემი მეგობრის შვილია და საკმაოდ რესპექტაბელური ოჯახის წევრი, მე პატივისცემით გეპყრობი გიორგი და დააფასე ეს.

— ნათიასთან მსურს საუბარი, თქვენი ნებართვით ბატონო რატი...

— კარგი.

მშვიდად მიპასუხა ბატონმა რატიმ.

მე და ნათია, ნათიას ოთახში განვმარტოვდით. საუბრის დაწყება მიჭირდა, ნათიას დავაკვირდი. მის სახეზე ჩემთვის უცნობი, ჯერ წარმოუდგენელი ცვლილება შევნიშნე, ის შეცვლილიყო, თვალს მაშორებდა და მზერა კედლის თაროზე ჩამწკრივებული თოჯინებისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

— ნათია რა ხდება?

გულის კანკალით დაუსვი შეკითხვა...

— ვთხოვდები.

მოკლედ მომიგო შეყვარებულმა.

— ნათი, ამიხსენი, გუშინ ყველაფერი ნორმალურად იყო და წუხელი და დღეს გადაირია ქვეყანა?

— მომისმინე, ბავშვობა დამთავრდა... მე... ის მიყვარს...

არანორმალური, გაცრეცილი ხმით მიპასუხა ნათიამ.

ჯიბიდან კოლოფში ჩადებული ნიშნობის ბეჭედი ამოვიღე. კოლოფი გავხსენი და ნათიას წინ დავუდე. მაინტერესებდა მისი რეაქცია... ვკითხე:

— ნათია გახსოვს ეს ბეჭედი? ზომის ასაღებად იუველირთან ერთად რომ წავედით გახსოვს? ეს ყველაფერი გახსოვს?

— მახსოვს.

მომეჩვენა, რომ აგდებულად მიპასუხა ნათიამ.

— რა გახსოვს გოგო? მთელი რვა წელი სანაგვეზე გინდა მოისროლო, ჩვენი პირობა, ჩვენი ერთობა, ჩვენი სიყვარული ყველაფერი გაქრა?

— გიო მისმინე, ეს ყველაფერი იყო... მე ოჯახს უნდა გავუწიო ანგარიში და ჩემს მომავალზე უნდა ვიფიქრო, მე მინდა ვიყო ბედნიერი... სიყვარული კი ისევ მეწვევა...

— ვინ დაგარიგა ასე? ნათია დაფიქრდი რას ამბობ!

— ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ...

— ვინ თქვენ?

— ჩვენმა ოჯახმა, გიორგი მომისმინე, შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ...

მოულოდნელად ოთახში ნათიას მამა და დედა შემოვიდნენ... ნათიას დედის მკაცრი თვალები მოურიდებლად მშანთავდნენ, დედამ ბრძანა:

— გიორგი, შენ და შენი ოჯახი არა ხართ ჩვენი წრის ადამიანები, მე ვაფასებ თქვენს ოჯახს, მაგრამ მერწმუნე, ჩვენს სიმაღლემდე ბევრი გაკლიათ... მე მინდა ჩემი ასული ბედნიერი იყოს...

— რა ბრძანეთ?

უკვე ფარულმა აგრესიამ იფეთქა ჩემში.

— ის, რომ შენს და ნათიას შორის ყველაფერი დამთავრდა.

იმ წუთს, ჩემი ყმაწვილკაცობის პირველი სიყვარულის გარდაცვალებას, ნათია, ნათიას დედა და მამა ესწრებოდნენ, მხოლოდ მე ვჭირისუფლობდი საკუთარი ბედნიერების გარდაცვალებას.

თავი 5

ძალიან გაუჭირდა ოჯახს. დაწყევლილი 90-იანი წლები უკანასკნელ რესურს გვართმევდა, გვგლეჯდა... მე სტუდენტი ვიყავი. დილით შვიდ საათზე ვდგებოდი, რომ ყველაფერი მომესწრო და ფეხით წავსულიყავი ინსტიტუტში.

იმ დღეს, ჩემმა ძმაკაცმა დამირეკა:

— გიორგი, ერთი ჩვენი ახლობელია, სარეცხის ფხვნილი „დარია“ შემოაქვს და კიდევ სარეცხის საპონი, გამყიდველები სჭირდება, მე „დელისის“ მეტროსთან ადგილი შევათალიერე და იქ ვაპირებ ქუჩაში ვაჭრობას. ხომ იცი რა დროა ახლა... იქნებ მომეხმარო. ქუჩა და ჩხუბი კი იცი და რასაც ვიშოვით ძმურად გავიყოთ...

მე დავთანხმდი. ანდა რა მექნა? ქვეყანაში „კუპონიზმი“ მეფობდა და ამ დახატული ქაღალდის იმედად ნამდვილად ვერ ვიქნებოდით. ოჯახში ყველა წვალობდა, მეც უნდა შემეტანა ჩემი წვლილი. თვითგადარჩენა იდგა დღის წესრიგში... მე და ზვიადი ასე მოვრიგდით, ნახევარი დღე ის ყიდდა საქონელს, მეორე ნახევარი დღე კი მე. ინგლისური ენის სამეცადინო წიგნები თან მიმქონდა და სარეცხი ფხვნილის ყუთებზე ვმეცადინეობდი. ზვიადისაც მოჰქონდა თავისი სახელმძღვანელოები და... მოკლედ, ლუკმა-პურის ფული, მაშინ ასე იშოვნებოდა. იცი რა მახსოვს? ის, რომ ასი ამერიკული დოლარი ლამის ნახევარი მილიონ მანეთს უდრიდა. მაგრამ ფული ფულობდა. ორი დღის ნამუშევარით, მოკლედ, მოგებული ჯამაგირით, მე და ზვიადი ბაზარში წავედით და... ხორცი ვიყიდე, ძროხის ხორცი... კიდევ რამდენიმე კილოგრამი თეთრი ფქვილი და მწვანილები... იმ დღეს სადარბაზოში

სამეზობლო თუნუქის ღუმელზე, დედამ ხორციანი წვნიანი გაგვიკეთა. სადარბაზოში საჭმლის სუნი დადგა... მე მეზობლების მრცხვენოდა, მრცხვენოდა, რადგან სანამ დავნაყრდებოდი, მე მხოლოდ მშიოდა, ისინი კი შიმშილობდნენ და ხორციანი წვნიანის სუნი ერთგვარ შურს აღვიძებდა ჩვენი ოჯახისადმი... კიდევ იცი რა მახსოვს? როცა მეტროს ამოსასვლელთან, ზამთარში, ჩვენ, „ბიზნესმენებს“ გვციოდა, ცარიელ ყუთებს ვწვავდით და ცეცხლზე ვთბებოდით, რომ თითებში შეგრძნება დაგვბრუნებოდა... ერთხელ მეცადინეობის დროს, ერთი ქალი დამადგა თავზე. სქელი შარფი შემოეხვია შავ, გაცრეცილ შუბაში გახვეულს. ჩემს ინგლისურად ნაწერს დაჰყურებდა და უცბათ მითხრა: — „შვილო არასწორად წერ, ბრუნვაში და დროში წინადადება სწორად არ არის გამართულიო“. თავი ავწიე და ალბათ ცოტა უკმეხად მომივიდა თქმა, „თქვენ ვინ ბრძანდებით? ან ჩემს საქმეში რატომ ერევით ქალბატონო?“-თქო... მან კი მიპასუხა: „უცხო ენების ინსტიტუტის პედაგოგი ვარ ახალგაზრდავ“... შემრცხვა, ძალიან შემრცხვა... იმ ქალბატონმა ჩემი ნაწერები სახელდახელოდ შემისწორა, ვინ იყო ის ქალი დღემდე არ ვიცი, არც სახელი მიკითხავს მაშინ მისთვის, „სამუშაო“ დღის დამთავრების შემდეგ, „რეისი“ იპოდრომისკენ გვქონდა. იქ „შეშას“ ვაგროვებდით და სახლში მიგვქონდა, შეშასო, ვამბობ, თორემ გამხმარი ტოტები, ნახევრად დამპალი ხის ძელები, ეს იყო ჩვენი „შეშა“. ამით უნდა აგვედუღებინა „სამეზობლო“ ჩაიდანი და საჭმელიც მისი მეოხებით კეთდებოდა ოჯახში... ერთი კურიოზი მახსენდება. ჩვენმა ძმაკაცმა, ლადომ ეზოში გვიხმო და ტრაგიკული სახით გვითხრა:

— „ბიჭებო ფული მჭირდება, ჩემს მეუღლეს ფიბრომა აქვს, ქალთა კონსულტაციაში გვითხრეს, ონკოლოგიურში უნდა წავიყვანო ანალიზებზე“. სულ მილიონი მანეთი გვჭირდებოდა, დოლარებზე მილიონი მანეთი 220, 230$ ტოლფასი იყო. სახანძროში მამასისხლად ბენზინი ვიყიდეთ და მეგობრის ჟიგულით, ჩვენს მეგობართან, მამუკასთან წავედით ონკოლოგიურში. მამუკას შევხვდით და მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ჩვენი და გაესინჯა, „მამუკა, მაცაცო ჩვენი საძმაკაცოს პირველი რძალია და რაღაც პრობლემა აქვს. ძმურად, იქნებ დრო გამონახო მისთვის“. მამუკამ მაცაცო კაბინეტში შეიყვანა. ლადო დასაბმელი გახდა... ერთ საათში მამუკა კაბინე-

ტიდან გამოვიდა და თავისთან მიხმო — „გიორგი, ჩვენი მეგობრობის ხათრით დავაწვენდი ჩვენთან გამოკვლევებზე, მაგრამ მეშინია ბიჭო, ფეხმძიმე გოგოს რაიმე ვირუსი არ შეეყაროს და არ დავიღუპოთ...“ პირველად მაშინ ვიკივლე, „რომელ თვეშია?“, მამუკა გაფაციცდა და ჩუმად მითხრა, „მესამე თვეშია... შენ რა გაყვირებსო?“ კაბინეტიდან ნამტირალევი და მომღიმარი მაცაცო გამოვიდა... თქვენ ლადო უნდა გენახათ, გაგიჟდა კაცი, მაშინ პირველად ვიხილე უდიდესი ბედნიერება... ლადომ თქვა: — „ის გინეკოლოგი უნდა მოვკლაო“, ჩვენ კი დავამატეთ: — „სულელო, მამა ხდები და რა დროს გინეკოლოგია, ჯიგრიანად ვიქეიფოთ, საძმაკაცოში პირველი ბავშვი დავლოცოთ, ფული კიდევ გვაქვს“. საქმე ის იყო, რომ ლადო და მაცაცო ორი თვის შეუღლებულები იყვნენ. ეტყობა მანამდე „იცელქეს“....

დრო გადის, მაგრამ მაშინდელ ბედნიერებას სხვა ფასი ჰქონდა, ძალიან „ძვირი“ ღირდა მაშინ ბედნიერება.

თავი 6

ლუი თავის პოზიციებს და მოსაზრებებს არგუმენტირებულად მისაბუთებდა. რთული იყო მასთან კამათი. შესაბამის წინაღამდეგობას ვერ ვუწევდი, მჯაბნიდა. თუმცა სიმართლეს ამბობდა, თუმცა, კარგად გაანალიზების საშუალება მასთან „პაექრობისას“ არ მქონდა...

— ყველაზე მძლავრ მტერს ჩვენ თავად ვქმნით გიორგი, ისტორიას გადახედე...

— ლუი, მძლავრ მტერს უმეტეს შემთხვევაში იდეათა კონფლიქტი ან მატერიალური დაინტერესება ჰქმნის, ამ შემთხვევაში სიტყვა „ჩვენ“, ნაკლებ აქტუალურია...

— კი, ასეთი შემთხვევებიც უხვად არის საზოგადოებაში. მაგრამ მე პიროვნული ასპექტი მაქვს მხედველობაში...

— ამ თემაზე საკამათოდ მზად არა ვარ.

— იცი, ჰუმანიზმს „უმღერის“ მთელი კაცობრიობა და მისი სახელით უმძიმეს დანაშაულებებს სჩადიან, ისტორია გვაჩვენებს, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს, პოლიტიკური ჰუმანიზმი გარდაუვალი დამარცხების წინა პირობაა...

— ლუი, პოლიტიკა ნაკლებად მაინტერესებს...

— მართლა? მთელი სამყარო ამ ფენომენით ცხოვრობს და შენ არ გაინტერესებს?

— ხო... მე თავისუფალი ადამიანი ვარ, ლუი!

— თავისუფლება საზოგადოების გარეშე, „მარტოობაა“, თავისუფალი მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება იყოს ადამიანი...

— განთავისუფლებული „მონა“ და აშვებული ძაღლი ერთნაირად საშიშია, შეიძლება პატრონი დაკბინოსო, არის ასეთი აზრიც. შენ რას ფიქრობ ლუი?

— არაფერს, თავისუფალი მხოლოდ ზნემაღალი ადამიანები არიან, მაგრამ დღეს ეთიკის ნორმების დამკვიდრებას, უზრდელნი ცდილობენ და მორალზე, „მეძავნი“ გვმოძღვრავენ. თქვენ უზრდელს და ხეპრეს, საზოგადოებაში თავის მოწონების საშუალებას აძლევთ, ამით სიავეს თესავთ...

— ლუი, რომ არ ვიცოდი ვინ ხარ...

— ხოდა რომ არ იცი, იმიტომაც გელპარაკები ამდენს...

მერე ლუისაც გაეცინა.

— გიორგი ღმერთის გწამს?

— კი, მწამს.

— მერე და გინახავს ოდესმე?

— არა.

— რა გწამს გიორგი?

— სიმართლე მწამს, კიდევ სიხარული, სიყვარული, ბედნიერება, მფარველობა..

— ეკლესიაში დადიხარ?

— კი ბატონო...

— ბევრი დადის ეკლესიაში, სანთელსაც ანთებს, მაგრამ ფიქრით სხვაგან არის, ტაძარში სიარული არაფერს ნიშნავს, თუ შენი ფიქრები მის წიაღში ღვთისადმი არ იქნება მიძღვნილი...

სიცილი ამივარდა.

— რა გაცინებს მეგობარო?

— ლუი გამიბრაზდები და მეშინია...

— კარგი რაა, რაც არ უნდა მითხრა და მოიმოქმედო არ გაგიბრაზდები, რაზე გაგეცინა?

— შენ მელაპარაკები ღვთიურობაზე...

— ხოოო, მეც არ გამიკვირდა... გიორგი, რას მეტყვი ადამიანებზე?

— რა გითხრა? ადამიანებისთვის ადამიანი მუდმივი აღმოჩენების საგანია...

— კი ეგრეა...

— ლუი, შენზე უკეთ ვის ეცოდინება... პოლიტიკოსებზე რას მეტყვი...

— რა გითხრა? პოლიტიკოსის პატიოსნება საკუთარი ხალხის მიმართ ქმედებაში განისაზღვრება და არა კონკურენტების მიმართ...

— ხო, მაგრამ ვისაც ჩვენ ვენდეთ, იქ, „სარეველაც“ ბევრი აღმოჩნდა...

— სარეველა ყოველი კულტურული მცენარის გვერდზე ხარობს... გიორგი, არ გეწყინოს ოფისში უნდა დავბრუნდე, ვნახვ ხომ არ გამაკოტრეს ჩემმა ასისტენტებმა...

ბარის კუთხეში ჩამოკიდებულ ტელევიზორს ხმა აუწიეს, საინფორმაციო გადაცემა „ადუღებდა“ იქაობას. ლუი მშვიდი სახით უყურებდა ტელევიზორს, ცოტა ხნის მერე მობრუნდა ჩემსკენ და მითხრა:

— ხოო, როგორც ყველგან... პოლიტიკური ვაჭრობის მასშტაბები ნებისმიერ საფონდო ბირჟას შეშურდება. საოცარი ფენომენია ტელევიზია, მას საზოგადოების გონიერი ნაწილის, ხალხისგან განცალკევება შეუძლია... ხვალ შევხვდეთ გიორგი, „პერერივზე“ შემომიარე და გავიდეთ სადმე, ხვალამდე...

— ხვალამდე ლუი, მადლობთ დაპატიჟებისთვის.

ლუიმ გამომხედა და გამიცინა.

თავი 7

საძმაკაცომ ცოტაოდენი ფული მოვაგროვეთ. იმ პერიოდში მთელი ქალაქი პარალიზებული იყო. ქუჩებში ძალადობა, ყაჩაღობა და სრული განუკითხაობა სუფევდა. ჩვენთვის აუხსნელი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ რეალობა მთრგუნავი დემონივით დათარეშობდა თბილისში. ბიჭები დავსხედით და „ბიზნესის“ კეთებაზე დავიწყეთ ფიქრი. დაიბადა იდეა. ოჯახების მომსახურეობა, საკვები პროდუქტების ბინაზე მიტანით. ხალხს ფული ჰქონდა, მაგრამ გარეთ ვერ გამოდიოდა, არც მაღაზიები მუშაობდნენ. საღამოს ექვსი საათის მერე ქალაქი ნელ–ნელა კვდებოდა.

„ოფისი“, ჩემი ძმაკაცის ერთ-ოთახიან ბინაში მოვაწყვეთ. გეტ-ყვით, რასაც ვაკეთებდით.

ხაჭაპური, ლობიანი, პიცა, კატლეტი, ხინკალი, მწვადი და სხვა კერძებს ვამზადებდით, ჩვენი ტელეფონის ნომერი, სატელევიზო რეკ-ლამით მიეწოდებოდა მოსახლეობას, გაგეცინათ? ხო, ახლა მეც მე-ღიმება მაშინდელ ჩვენს საქმიანობაზე. ჩვენი გოგოებიც გვეხმარე-ბოდნენ, შეფობდნენ ჩვენი ქალბატონები... იცი რა კარგები იყვნენ? ყოველ დღე გვაძლევდნენ ბრძანებებს, — „ბიჭებო! ხორცი გაატა-რეთ“, ან „ცომი მოზილეთ“ ან „ცომი გააპრტყელეთ“. შრომობდნენ ჩვენი თავსაფარწაკრული დიასახლისები, ვშრომობდით ჩვენც. შეკ-ვეთები გვქონდა და შემოსავალი წამოვიდა, ფულს თანაბრად ვიყოფ-დით. ოჯახში შემოსავალი გაჩნდა. ჩვენ, კაცებს, შეკვეთები ადგილზე მიგვქონდა, ხიფათი და სიავე ყოველ ფეხის ნაბიჯზე გველოდა. ხში-რად გვქონდა უბანში დავიდარაბა, ჩხუბი, ორომტრიალი. ჩვენ არ გვე-შინოდა, ვიბრძოდით, ნაცემებიც მივსულვართ ოფისში, მაგრამ ლუკ-მა, არავისთვის დაგვითმია. ერთხელ ძლიან სერიოზული კომფლიქტი მოგვივიდა. სამივე ძმაკაცი უმოწყალოდ ვიყავით ნაცემები. ფული ვერ წაგვართვეს, მაგრამ შეკვეთებზე წასვლას ვერ შევძლებდით. ასე-თი სახეებით როგორ მივსულიყავით დამკვეთთან? იმ დღეს ჩვენი გო-გოები დაგვეხვივნენ. ჯერ სახე მოგვწმინდეს სამივეს და ცივ ტი-ლოებს გვადებდნენ. ვერ წარმოიდგენთ როგორ გვსიამოვნებდა ჩვენი „დების“ ზრუნვა, „ცოდვა გამხელილი სჯობიაო“ გამიგია, მე პირადად იმაზე მეტს ვკრუსუნებდი ვიდრე რეალურად მტკიოდა, მერე? ეკას რამდენიმე კოცნაც დავიმსახურე „ჩემი ბუხუნია ბიჭიო“, მეუბნებო-და, ბიჭები მიხვდნენ ჩემს ეშმაკობას და... მეტი აღარ გვაკოცეს გო-გოებმა. შეკვეთების მიტანა ახლა გოგოებმა აიღეს თავის თავზე, ჩვენ მხოლოდ მათი ადგილზე მიყვანა გვევალებოდა. იცით რა საოცრება მოხდა? ოფისში, გოგოებმა ერთგვარი კოსმეტიკური სალონი მოიწყეს. ერთ-ერთი ყოველთვის ფორმაში იყო, იღებებოდნენ, ივარცხნიდნენ, კაბებს ირგებდნენ... კაცო, ცოტაც და შეგვიყვარდებოდნენ, ისე იპ-რანჭებოდნენ... თუმცა არც უმაგისობა იყო. ერთხელ სამუშაოს დამ-თავრების შემდეგ, ბნელ სადარბაზოში გამოვედით და კიბეებს დავუ-ყევით, ჩემი საცოდავი ჟიგული გულის კანკალით აჰკვროდა კორპუსის კედელს და „ცუდი ძიების“ შიშით, ხან აკუმლატორი უჯდებოდა ხან

ძნელად იქოქებოდა. კიბეებზე ჩავდიოდით, უეცრად ეკა წაბორძიკდა და კიბეებზე დაგორდა. ვეცით, ფეხზე წამოვაყენეთ, ტკივილს ითმენდა, ცრემლმაც აუვსო თვალი. ნაბიჯის გადადგმა უჭირდა და...

— გიორგი, ხელში ამიყვანე, ხომ ხედავ კიბეზე ვერ ჩავდივარ, ყველაზე დიდი დათვი შენა ხარ...

გოგოებს გაეღიმათ. ბიჭებმა ღიმილი შეიკავეს და ეკასთან პირისპირ დამტოვეს. ჩემი მეგობარი ხელში აყვანილი მიმყავდა ავტომობილისკენ. იქ წყალი მეგულებოდა და პატარა პირსახოცი. პირსახოცი დავასველე და... ვერ გავბედე ეკასთვის ფეხზე შემომეხვია, შემრცხვა... გოგოებმა გააკეთეს ეს საქმე. მერე მანქანაში ჩავსხედით. ლალი და თამრიკო ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ, მანქანა სახლის წინ გავუჩერე, მომაძახეს: — „ფეხით გავივლით, შენ კი ეკა მიიყვანეო“ არაფერი მითქვამს, მანქანა დავძარი, მერე მძღოლის სარკეში გავიხედე და აშკარად ვიგრძენი რაღაც განსაკუთრებული სითბოთი გვიმზერდნენ მეგობრები... მანქანა ეკას სახლთან გავაჩერე, გადმოვედი და მეგობარს გადმოსვლაში მივეხმარე...

— გიორგიი... არ შეგიყვარდე გთხოვ, (მერე კი დაამატა) ხვალ ცოტა თუ დამაგვიანდეს არ მებუზღუნო.

— კარგი, ხმას არ ამოვიღებ...

ეკამ კისერზე ხელი მომხვია და გაბუტულმა მითხრა:

— კიბეებზე ვერ ავალ მარტო, ფეხი მტკივა...

კარი ეკას დედამ გაგვიღო... ეკა სახლში შევიდა... ჩვენმა ბიზნესმა მხოლოდ ექვსი თვე იარსება. ბანალური ისტორიაა, გეთანხმებით. ჩვენი გოგოები უკვე ბებიები არიან და ბიჭებმაც მოვირგეთ პაპობა. ერთხელ ეკასთან შევიკრიბეთ, ვქეიფობდით ყოფილი „ბიზნესპარტნიორები“, გოგოებმა ეს ისტორია გაიხსენეს... რა ბედნიერები ვიყავით თურმე მაშინ, მიუხედავად გაჭირვებისა და სიავისა, რაც იმ დროს მეფობდა საქართველოში.

თავი 8

— საოცარი ხალხია ეს „ჭკუამიკითხე“ რესპოდენტები...

— რა გაქვს მხედველობაში ლუი?

— ის, რომ თუ კი ტალახში უნდათ ვინმეს ამოსვრა პირველ რიგში გონივრულ ჭორს აუგორებენ, მერე საკუთარ ცოდვებს გადააბრალე-

ბენ და ბრბოს საშუალებას აძლევენ შური იძიოს... გასაოცარია პირდაპირ...

— ეტყობა რაღაც ახალი გაიგე და იმიტომაც საუბრობ ასე...

ლუიმ სათვალე შეისწორა, გაზეთი დაკეცა და მითხრა:

— ყველაზე დიდი ბოროტმომქმედი ის ადამინია, ვინც ერისკაცობისთვის და საკუთარი ქვეყნის პატრიოტობისთვის, გარეშე ძალისგან ლიცენზიას იღებს და დაფინანსებულ „მოწყალებას“, „გონიერების“ ფარგლებში იყენებს. რა გეშველებათ მე არ ვიცი...

— მგონი შენ თქვი, „პოლიტიკაში ჰუმანიზმი დამარცხების საწინდარიაო“...

— კაცო, პოლიტიკა რა შუაშია?

— აბა ვერ მივხვდი რა გაქვს მხედველობაში?

— საზოგადოებრივი მეხსიერება დაძაბუნდა მეგობარო, ყველაფრის შემწყნარებლობა და მიმტევებლობა ქაოსის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

— ხო, ალბათ ასეა...

— გიორგი, იცი რა მაოცებს კიდევ? უცოდინრები ექსპერტობენ და საქმის მცოდნენი კარდაკარ დარბიან სამსახურის საშოვნელად, მერე იცი რა ხდება? უცოდინარს საქმის დაწყებისა ეშინია, ხელსაც ვერ ჰკიდებს და შედეგის გადასაბრალებლად ყოველთვის გამონახავენ განტევების ვაცს. არა, არსებითს პრიორიტეტად წარმოაჩენთ და მნიშვნელოვანს კი თაროზე შემოდებთ, საქმეა ეს?

— კაცო, მე რას მეჩხუბები? ის ხალხი „ქრონიკული მოუცლელობით“ არიან დაავადებულები და საქმისთვის ვერ იცლიან, შესაბამისად ვერც ვერაფერს აკეთებენ.

— გიორგი, კიდევ არის ერთი... ხომ გაგიგია, „ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდისო“, მე კი გეტყვი, მიზანდასახული ხალხი ან პიროვნებები თუ მყეფარების ხმიანობას ანგარიშს უწევენ, მიზანს ვერასდროს ვერ მიაღწევენ.

— ლუი, რა წაიკითხე მაგ გაზეთში ასეთი, რომ ასე აგიფორიაქა სული?

— ის, რომ საერთო მიზნები არ არსებობს, არსებობს „ლოგიკური ეჭვები“ და კერძო ინტერესები.ერთიანი საქვეყნო ინტერესები არ არ-

სებობს, „თავსმოხვეული“ კი, ხალხის დაქსაქსვას და ერთიანობის ჩამოშლას ემსახურება.

— ხო, ეგ საქმე რეგვენთან მეგობრობას ჰგავს...

— გიორგი, იცი რაშია საქმე? „იდეა“ და „მრწამსი“, რომელიც საქვეყნო საქმეს ემსახურება, „შემგონებლების“ „ბრძენსიტყვაობა“ თუ ჩაანაცვლებს, ვითარება აბსურდამდე მიგვიყვანს და კიდევ, ნებისმიერი „იდეა“, შესაძლებლობების და რეალობის ასახვას უნდა ემყარებოდეს...

— „იდეალები სწორი გზის გარეშე არარაობაა“. ეს გინდოდა გეთქვა?

— ხო, ეგ მინდოდა მეთქვა...

— ლუი, მინდა გკითხო, მეგობრები გყაავს?

— რატომ მეკითხები?

— უბრალოდ, შენ ისეთი „თანამდებობა“ გიჭირავს, რომ...

ლუის გაეცინა. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. სანთებელაც გააჩხაკუნა და სიგარეტი „შთაგონებულად“ გააბოლა. მერე ერთ ხანს გამომცდელად მიყურებდა, თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობსო. მე არაფერზე არ ვფიქრობდი, მხოლოდ ლუის ვუყურებდი, მაინტერესებდა რა პასუხს გამცემდა.

— გიორგი, ჩემი აზრით მეგობრობა, ეს, ერთგვარი მოძღვრებაა, პიროვნული „რელიგიაა“, რომელიც შეფასება-გადაფასების მიხედვით ყალიბდება და დროთა განმავლობაში სრულყოფილი ხდება. მეგობრობა სწორი ანალიზის უნარის მქონე ხალხს შეუძლია, ხოლო ცანცარა და უგნური მეგობარი, მტერზე უარესია.

— და გყოლია უგნური მეგობარი?

— კი, მაგრამ დროულად შევნიშნე მისი „უნარი“ და საშუალება მივეცი საკუთარი პრობლემები „გმირულად“ გადალახოს, მე მხოლოდ ვუქებ საქმიანობას. ასე აჯობებს...

— ხო, ალბათ. ლუი, კიდევ მინდა გკითხო, „სიბრძნის“ შენეული განმარტება მინდა გავიგო.

— ლოთიანად, შენ წიგნს ხომ არ წერ?

— ხო, თემა თავში ტრიალებს და ჯერ კალამამდე ვერ მიმიყვანია.

— საინტერესოა.

— გისმენ ლუი, მეტყვი?

— ძნელია ერთი სიტყვით გითხრა...

— ორით მითხარი...

— ამბობენ „სიბრძნე გამოცდილებით მოდისო“. ჩემი აზრით სიბრძნე მოცემულ მომენტში სწორი გადაწვეტილების მიღების უნარია. შორს ჭვრეტაცაა და სწორი შეფასების უნარიც, მაგრამ ბრძენკაცი ხალხის წიაღში იზრდება და სახალხო სიბრძნეს გადმოსცემს ლაკონიურად და სულელისთვისაც გასაგებ ენაზე. სიბრძნე ლავირების უნარიცაა და რთულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარიც. „სიბრძნეს“ ადამიანების გაწირვაც შეუძლია, თუ ისინი საზოგადოების განვითარების შემაფერხებელებად იქცევიან. სიბრძნე სიყვარულიცაა და ბოროტებაც. იცი, სხვისი მოსმენაც სიბრძნეა, რადგან თუ ამის უნარი არ გაგაჩნია, სწორ გადაწყვეტილებას როგორ მიიღებ? „სიბრძნე“ მისიია, რის გამოც მოევლინე დედამიწას, ოღონდ ეს სხვა სიბრძნეა და ადამიანური ფაქტორი მხოლოდ „საშუალებად“ განიხილება...

— ესე იგი შენი აზრით სიბრძნე მრავალწახნაგოვანია?

— რატომ მალაპარაკე ამდენი?

— სადღაც წავიკითხე, მგონი ლაროშფუკოს სიტყვებია: „მეხსიერებას ყველა უჩივის, გონებას კი არავინ“

— ხო მაგონდება ეგ კაცი...

— ??????????

— რა გაგიკვირდა მეგობარო?

ღიმილით მკითხა ლუიმ.

თავი 9

საოცარი ფენომენი ყოფილა ცხოვრება. გონიერების და უგნურების ჭიდილია ყოფიერება. ხშირად გამიგია და მეც მითქვამს, „ნეტავ ახალგაზრდას მქონოდა ეს ჭკუა და გამოცდილებაო“. გონიერება იმისათვის გაქვს კაცს, რომ გონივრულად იცხოვრო და არა საკუთარ უგნურებას, ან არასწორ ნაბიჯებს გამართლება დაუწყო. გონებისგან მოდის ვნება, მაგრამ უცოდინრობასაც ლომის წილი უდევს საკუთარი შესაძლებლობების არასწორად, ან არასაკმარისად გამოყენებაში. გვიჭირს ადამიანებს, გვიჭირს იმ საზოგადოებაში, რომელსაც ჩვენვე ვუქმნით საკუთარ თავს, გარემო, სადაც ჩვენ ვყალიბდებით პი-

როვნებებად, ხშირად წარმოსახვით ფასეულობებზე დგას და ღირებულები, მოსაწყენ ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, „არა თანამედროვე“, მოძველებულ მცნებებად გვეჩვენება. ხშირად ადამიანებში ბუნებრივი გადარჩევის თემაც აქტუალურია, მაგრამ როცა ეს მოვლენა სამეგობროში იჩენს თავს, იბადება მტრობა. სწორად გამიგეთ, „მტრობა“ არ ნიშნავს ხმალ-იარაღით ბრძოლას, თუმცა არც უმაგისობაა, მტრობა შურია, მტრობა რევანშია, მტრობა ჯობნაა უკეთური მეთოდებით და ამ ყველაფრის შედეგი, ადამიანების გაცალკევებაა. წეღან ვსაუბრობდი გონიერებაზე. გონიერებას ვნებაც ახლავს თან. ვნება სიტყვაზე ძლიერია. რადგან ხშირად ადამინების ნათქვამი, რომელიც რაც არ უნდა მართლზომიერად მოგეჩვენოს და დაეთანხმო, ნამოქმედარი არანაირად არ შეესაბამება სიტყვას, რადგან ადამიანის ვნება ქმნის მოქმედებას, ვნებას კი პიროვნული მოთხოვნილება შინაგან მრწამსს განსაზღვრავს, ხოლო სიტყვა საშუალებას, რომ ადამიანმა საკუთარი ვნება გაამართლოს და ნამოქმედარს ლოგიკური სახე მისცეს, ანუ გაამართლოს. ვნებას „სურვილი“ მოჰყვება, ადამიანებს ხშირად სურთ ის, რაც ასრულების შემთხვევაში რა შედეგს მოუტანს ადამიანს არ იცის. სურვილი ოცნებას ჰბადებს და თუ ეს უკანასკნელი თავის მოტყუებაში გადაიზარდა, ადამიანის გაბოროტებამდეც ერთი ნაბიჯიღა რჩება. ბედნიერებას დავდევთ „კუდში“, ბედნიერების ხილვას „ცაში“ ვეძებთ, მაშინ, როდესაც ის ჩვენს ქვეშაა და უმტეს წილად საკუთარ ბედნიერებაზე თავად ვამბობთ უარს, უკეთესის, ჯერ გაუთვიცნობიერებელი ნაბიჯების გადადგმას ვიწყებთ და საკუთარ თავს „ვა-ბანკობანას ვეთამაშებით“, იმ იმედით, რომ ის „უცხოა“ და მიგვაჩნია, რომ ის საოცნებო, საკუთარ „ბედნიერებაზე“ მაღლა დგას და გვგონია, რომ უფრო მეტს ვიმსახურებთ. გონიერების დეფიციტმა იცის ეს. ყოველთვის მიკვირდა, რატომ ხდება რომ ერთი ადამიანი, მეორე ადამიანს ცუდს უკეთებს, მხოლოდ იმიტომ, რომ „ასე მიაჩნია“, მხოლოდ იმიტომ, რომ ნამოქმედარი მის მიზნებში შედის, როგორც წინაღამდეგობის გადალახვა, ან შურის გამო, ან საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ეს ყველაფერი ზნეობიდან მოდის. საოცარი ფენომენია ზნეობა. ადამიანი თავის ნამოქმედარს ზნეობის კარნახით სჩადის. უზნეობით ჩადენილი უსამართლობა სიცრუედ „გადმოიღვრება“ ხალხის წინაშე და ნამოქმედარის გამართლებას კანონით შეეცდება.

ზნეობას მოვალეობის გრძნობა ახლავს თან, თუ მისთვის საკუთარი მოვალეობის არშესრულება, თვითგამართლების საბაბი ხდება და ნამოქმედარს არა არგუმენტირებულად ხსნის, ესეთი ადამიანი უკიდურესად საშიშია, რადგან მისი ზნეობა მოღალატის ზნეობაა და ესეთი ადამიანი, ნებისმიერ საქმეში საშიშია, რადგან ტყუილის აფიშირებით ეცდება ფონს გავიდეს და თუ რაიმე საიდუმლო იცის, შენი დაშანტაჟების საშუალებად გამოიყენებს. იყო სასარგებლო, — ეს არის პიროვნების მოვალეობა. იყო მართალი და არა ეძებდე თვითგამართლებას, ცხოვრებაში იუველირის ზომიერება და ადამიანებთან კი დიპლომატის ტაქტი, — ეს არის ზნეობა. მოვალეობის შესრულება მოყვასის წინაშე ხშირად სატანჯველია, არ შესრულება კი ღალატი. არჩევანი თავად უნდა გაკეთო. მოვალეობის გრძნობა და ზნეობა პიროვნულ სიმამაცეს ჰქმნის, სიმამაცე კი გმირობას. სიავეს მამაცნი ებრძვიან და ჯაბანნი ზეიმობენ გამარჯვებას. ეგრეც არის, საზოგადოება ვერ აფასებს საკუთარი ეპოქის გმირებს. იმიტომ, რომ გმირები და მამაცები მანამ არიან საჭირონი, ვიდრე პრობლემა არსებობს, როცა სირთულეები დაძლეულია. გმირებს პატივს მიაგებენ ხელისუფალნი და მდიდრდებიან ისინი, ვინც კანცელარიებში მოთმინებით აკვირდებოდა მოვლენებს და გამორჩენის გზების ძიებაში, დაუღალავად შრომობდა. უზნეოთა ასპარეზი ძლეული სირთულის შემდეგ წარმოჩინდება, რადგან „ქონების“ გაყოფა და „ვინ-ვის“ დილემა იჩენს თავს. საკუთარი პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის მიმართ მხოლოდ ზნემაღალ ადამიანებს გააჩნიათ, რომლებსაც უფრთხის მეტახტოვნეთა კასტა, რადგან ისინი არ „იყიდებიან“. ერთხელ ჩემს თავს დავუსვი შეკითხვა, რას ნიშნავს პატივმოყვარეობა? პატივმოყვარე ადამიანი ერთგვარი „სოლისტია“ ცარიელ დარბაზში, რადგან პატივმოყვარეობა ვარჯიშია უგნურებაში. პატივმოყვარე ადამიანს მეხოტბე სჭირდება, ტაშის დამკვრელიც, რადგან საკუთარი თავი დაიკმაყოფილოს. თუ ასეთი ადამიანი მდიდარია, ან მაღალი თანამდებობა უჭირავს, მლიქვნელი მედგრად ცდილობს, „ბატონის“ ნების პირველი „გამხმოვანებელი“ გახდეს და გაუმაძღარი პატივმოყვარეობის მორევში სძირავს, გონებას უბნელებს და ძვირადღირებულ „თოჯინად“ შექმნის მას. პატივმოყვარე ადამიანი, ანდამატივით იზიდავს მლიქვნელს, რადგან მხოლოდ მლიქვნელს სძალუძს ეპირფეროს და ამაში გასამრჯელოდ პატივმოყვარის

„ღირსებას“ ჩაიდებს ჯიბეში. სიფრთხილე გვმართებს მეგობრის მიმართ, რომ მეტი ქებით პატივმოყვარეობა არ გაუღვიძოთ. შური, ეს უნივერსალური „იარაღია“ სხვისი ბედნიერების მისათვისებლად. შური ცილისწამებით საზრდოობს. მხოლოდ ღარიბების არ შურთ, არც უყვართ და არც მიაჩნიად რამედ, რადგან მათგან ვერაფერს გამორჩებიან არჩევნებში, ხმების გარდა. შური სიბინძურესაც შობს, მოქილიკე, ცილისწამებით ყოველივე დიადს აუფასურებს და ლაფში ამოსვრის.

შეცდომა ადამიანის თანმდევია შობის დღიდან და დიადი მიზნისკენ მიმავალთ, შეცდომის დაშვება არ უნდა გვეშინოდეს.

თავი 10

რესტორანში მუშაობის გამოცდილება უკვე მქონდა. ზედმიწევნით ყველაფერში ცხვირს ვყოფდი ჩემს ყოფილ სამსახურში, რომ კვების ობიექტის ყველა „საიდუმლოებები“ ამომეხსნა და სამომავლოდ გამომეყენებინა ეს ცოდნა. პირველი კაფეც გავხსენი. ობიექტი იჯარით მქონდა აღებული. ინტერიერი არ დაიწუნებოდა... მოკლედ მუშაობა დავიწყეთ. ჩემი ნათესავი და ერთი მეგობარი დავიყენე გვერდით. საქმე კარგად გვქონდა განაწილებული. ორივე საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა და როგორც შემეძლო მატერიალურად ვეხმარებოდი. ერთ თვეში ამბიციები გაჩნდა, ჩემი ხალხი ცდილობდა ჩემზე მბრძანებლობას. ერთ თვეში საქმემ რყევა დაიწყო. ფული მიქრებოდა. ცოტა ხანში „მეგობარმა“ ჩვენი შეფ-პოვარი დაიმეგობრა. ერთი მხრივ მიხაროდა, რომ შეიძლებოდა ოჯახის შექმნით დაბოლოვებულიყო ყველაფერი, მაგრამ იყო მეორე ფაქტორიც, თავნებობა. მან ფული დაინახა, ჩემმა ნათესავმაც არ დააყოვნა და სიცრუის ლაბირინთების ქსოვა დაიწყო. გამიკვირდა, ძალიან გამიკვირდა მათი ქცევა. მეგობარმაც და ნათესავმაც ბოლო მომიღეს... არ ღირს იმის მოყოლა, რაც მოიმოქმედეს ერთმაც და მეორემაც, მაგრამ პირველ რიგში დამნაშავე მე ვარ. მეგობარმა შეფ-პოვარი საბოლოო ჯამში, ცოლად მოიყვანა, ნათესავმა კი... ვიხსენებ ყველა იმ მოვლენას, რაც მაშინ გადამხდა თავს და ერთი ძველი ქართული ანდაზა გამახსენდა, — „უნახავმა რა ნახაო“? რა და.... ამ ანდაზის სიბრძნე, ხო, უხამსია, მაგრამ უცილო სიბრძნემ ბევრჯერ შემახსენა თავი ჩემს ცხოვრებაში. ჩემი კომპანიონების წყალობით წარმოქმნილი ვალები დავფარე და დავრჩი ნოლზე. რამ გამახსენა ეს ისტორია? ნერვები მომეშალა...

ცხოვრებაში ხშირად შევხვედრივარ სწორედ მოლაპარაკე ადამიანებს, მხოლოდ მათი სამყარო მაშინ წარმოჩინდება ხოლმე, როცა სამეგობროში ან პარტნიორთა შორის კომფლიქტი იწყება. ისინი „მართალი უსინდისოს“ მანტიით იმოსებიან და მხარეთა შორის მერყეობენ. ესეთი ადამიანები ყოველთვის ნიჭიერები არიან, მათ საკმაოდ მაღალი ლავირების უნარი გააჩნიათ და ყოველთვის დგებიან სულიერად მსგავსი ადამიანის გვერდით, რადგან სიმართლე მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. ფიქრი შევწყვიტე. „სიგარეტზე ჩავდივარ“, დავიბარე ოჯახში და ეზოში ჩამოვედი. ეზოში ცალად მდგომ „ბესეტკაში“ შევედი. ისე უსაქმოდ ვიჯექი და გამვლელ-გამომვლელს ვათვალიერებდი. თითქოს რაღაცას ვეძებდი, ისე მეჭირა თავი.

— ადამიანებს რელიგია სჭირდებათ რომ პატიოსნება შეინარჩუნონ.

თითქმის ჩურჩულით მითხრა ლუიმ, რომელიც უჩუმრად მომპარვოდა ზურგიდან.

— რა თქვი?

— ხო გიორგი, ადამიანების უპატიოსნობას და აღვირახსნილობას, რელიგიასთან მათი სიახლოვე ბლოკავს. წარმოიდგინე რომ არ იყოს რელიგია, მაშინ? მაშინ რა მოხდებოდა?

— მე მგონი შინაგანი პატიოსნება უნდა იყოს ადამიანისთვის ცხოველმყოფელი...

ლუიმ გადაიხარხარა.

— გიორგი, პატიოსნებით ვაჭრობა ზნედაცემულთა ბიზნესია. წეღან შენი კაფე გაგახსენდა, ის ადამიანები გვერდში რომ არ დაგეყენებინა, დღეს ისევ შენს გვერდით იქნებოდნენ, შენ კი რა ჰქენი? აცდუნე ისინი... მათ ხშირად პურის ფული ენატრებოდათ და შენ ხიზილალას ფული დაანახვე, ხოდა მოსახდენიც მოხდა. შედეგი? დაზარალდი შენ...

— ლუი, ვიღას უნდა ვენდო? თუ მეგობარს ვერ ვენდე...

— პარტნიორად რატომ გაიხადე? ჩვეულებრივ თანამშრომლად დაგენიშნა და ჯამაგირი მიგეცა. გამოგეცადა და მერე ნდობოდი...

— ალბათ მართალი ხარ. ხანდახან ისე მინდა ვიღაცას ვენდო...

— ყოველთვის მიმნდობს, არავინ ენდობა, ეს დაიმახსოვრე...

— ეხლა ასეც ვიქცევი...

— დრო ხომ დაკარგე? მას ვერავინ აგინაზღაურებს. ფული შეიძლება იშოვო, მაგრამ დრო, დროა მთავარი ღირებულება ადამიანისთვის, რადგან... საათის წიკწიკისთვის მოგისმენია?

— კი....

— იცი რას მღერის საათი?

— არა...

— „მიდის აღარ დაბრუნდება, მიდის აღარ დაბრუნდება, დროოოოოო“.

წაუმღერა ლუიმ.

— შენ სულ ხუმრობის ხასიათზე ხარ.

— ჩემი წერილი წაიკითხე?

— კი წავიკითხე, საინტერესო წერილია, მომეწონა.

— კარგია, რომ მოგეწონა. მე სიმართლე დავწერე. გიორგი, მე, ლუი არა ვარ „ლაწირაკი ძვირფას კოსტუმში“...

— რა გეწყინა შე კაცო?

— ხოოო, არაფერი. გამიღიმა ლუიმ.

— საოცარი კაცი ხარ.

— გიორგი, ილია ჭავჭავაძე სინდისს, „პატარა ღმერთს“ უწოდებს.

— მტრებს შორის სინდისი და ღირსება ელჩობს.

— კი, მასეა. გიორგი, უფლის გარეთა სამყაროში, ღირსებისა და სინდისის ძებანაში ამაოდ დაშვრები.

— იქნებ ამიხსნა.

— სადაც ღმერთი არ არის, იქ....

ლუის გაეცინა.

— გავიგე.

მეც გამეღიმა.

თავი 11

სამსახურიდან დაღლილი დავბრუნდი. პირველ რიგში სამზარეულოს მივაკითხე. მგელივით მშიოდა. სახლში სრული სიწყნარე სუფევდა. „ეტყობა რძალ-დედამთილი მეზობელთან არიან გასულები“ — გავიფიქრე და მაცივრიდან ძეხვი გამოვიღე. წვნიანის გაცხელების სურვილი ნამდვილად არ მქონდა. ტელეფონმაც გაიწკრიალა, დედა-ჩემი მირეკავდა...

— ხო დედა...

— სად ხარ?

ყურმილიდან დედაჩემის უცნაურად აღელვებული ხმა შემომესმა.

— სახლში ვარ, რა მოხდა?

— ჩქარა... ნატოსთან ვართ... შენმა ცოლმა წყლები დაღვარა...

— დალოცვილო წყლის გულისთვის ხარ ასე?..

— სულელოოოო! მშობიარობა ეწყება, მანქანა... ჩქარაააა

რისი შიმშილი, რომელი დაღლა... გიჟივით ჩავირბინე მეზობელთან, მხარზე ჩემი მეუღლის სამშობიაროსთვის გამზადებული ჩანთა მქონდა გადაკიდებული. ჩემი მეუღლე შეშინებული თვალებით მიმზერდა... ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყებოდა... ნელ-ნელა ჩავსვი მანქანაში. ხელები მიკანკალებდა. ძრავა ჩავრთე...

თოვლის ფანტელები ფარფატით ეფინებოდნენ ქუჩებს, თეთრი ქათიბი მოესხა დედამიწას და თბილისის ქუჩები, უბიწო, შეურყვნელი, ადგილის დედის მანდილივით თეთრ პერანგში გახვეულიყო. გაუკვალავ თოვლში ჭრაჭუნ–შარიშურით მიაპობდა გზას მანქანის საბურავები... დიდრონი ხეები, თეთრწვერა, ამაგდარი მოხუცებივით მდუმარედ გაჰყურებდნენ სივრცეს... გმირთა მოედანზე დავეშვი...

— აუჩქარე!

აღელვებული ხმით მითხრა მეუღლემ.

— ნელა იარე!

მიბრძანა „დედამთილმა“.

„პლეხანოვზე“ შევუხვიე. „საბაჩი პერეულოკიდან“ ორი ფეხის ნაბიჯზე იყო სამშობიარო. კარიბჭე გაგვიღეს... ჩემს მეუღლეს საავადმყოფოში დედაჩემი შეჰყვა... მე გარეთ დამტოვეს, „შენ აქ დაგველოდეო“ მიბრძანეს. გატყეპილი ბავშვივით ვიდექი იმ სიცივეში და რა მექნა არ ვიცოდი. ცოტაც და ფეხადგმულ თოვლის პაპას დავემსგავსებოდი. ალბათ მციოდა... მაკანკალებდა... მოსაცდელშიც არავინ მიშვებდა, კარის დარაჯად ვიღაც „აფთარი“ დედაკაცი დაეყენებინათ. მოულოდნელად მანქანის საშინელი მუხრუჭის ხმა გავიგონე, კარიბჭისკენ გავიხედე... მამაჩემი და ჩემი ძმა „მოარღვევდნენ“ გზას. ჩემი მეუღლის მშობლებიც „კვალში“ მოჰყვნენ ჩემებს. დაძაბულ სახეებს სიხარული უნათებდათ... საოცარი განცდა ბორგავდა ჩემში... მე მამა უნდა გავმხდარიყავი. ღმერთო რა საოცარია ეს ცხოვრება, დედაჩემი,

„ჩემი ბავშვებიო“, ასე გვეძახდა ცოლ-ქმარს და... ჩვენ თავად ვხდებოდით მშობლები. საოცარია სიყვარული... ქარს ჰგავს, ნაღვერდალს რომ აღვივებს და ცეხლის ენებს რომ შეითამაშებს გარშემო. გამახსენდა როგორ ავუხსენი სიყვარული ჩემს მეუღლეს. ალბათ რა სასაცილო ვიყავი იმ დროს... ვიცი არ დამიჯერებთ, მაგრამ ჩემი მეუღლის, სახლიდან ჩემს სახლამდე ექვსიათას ოთხასი ნაბიჯი იყო... ხო, ხან მეტი გამომდიოდა, ხან ცოტა... ეხლა ამას რა მნიშვნელობა აქვს... ისიც მახსოვს ცოლობა რომ ვთხოვე, მორცხვად თავი როგორ დამიქნია და ნიშნობის ბეჭედი, ამოვიღე ჯიბიდან... იმ წუთში ძალიან თამამი ვიყავი, მაგრამ რაღაცა მაყოვნებდა... მან შეხედა ბეჭედს და ხელი გამომიშვირა, რამდენიმე წამში ბეჭედი ჩემი მიჯნურის თითს ამშვენებდა. მერე მაკოცა, კიდევ მაკოცა და... ისევ იმან მაკოცა... მერე ფეხზე წამოდგა... მე კი არ მაკოცნინა... ფეხზე ავდექი მეც...

— გიორგიი, მიპატრონე და მომიარე, იზრუნე ჩემთვის, მე კი ვიზრუნებ შენთვის...

— აბა რას ვიზამ?..

მეტის თქმა ვერ მოვახერხე... ფუი რა უშნო ვიყავი იმ წუთში..

წარსულის მოგონებებთან ერთად, მანქანაში ჩავჯექი, ჩემმა სიდედრმა კითხვები დამაყარა, რომელზეც პასუხი არ მქონდა. მე ჩემი ოცნებები მეტრფოდნენ, „მე მამა ვარ, მე მამა ვარ“, სიამის ნიაღვარი იღვრებოდა ჩემში...

რა მიუსაფარია განგებისგან ადამიანი ვისაც ვნებიანი სიყვარული არ განუცდია. სიყვარული მხოლოდ ძლიერი ადამიანების ხელში ყალიბდება სრულქმნილ ფენომენად, რომელსაც ოჯახის ერთობის შენარჩუნება და შთამომავლების სწორად აღზრდა შეუძლია. ხორციელი ვნება სიყვარულის გარეშე ხომ ცხოველებსაც შეუძლიათ და თუ გიყვარს, ვნება მხოლოდ აძლიერებს და აკეთილშობილებს სიყვარულს.

შემცივდა, ტანშიც შემაჟრჟოლა. თვალები დახუჭული მქონდა, გარეთ რა ხდებოდა არ მაინტერესებდა. ხელში ტელეფონს ვაწვალებდი. დედაჩემის ზარს ველოდებოდი. დრო გადიოდა. მანქანიდან გადმოვედი და მისაღებს მივადექი. ის „აფთარი“ „ფორთოჩკიდან“ ჯიბეალესილი მიმზერდა. „არსაიდან ხმა არსით ძახილი“... დედაჩემს დავურეკე, როგორც იქნა მიპასუხა, — „გოგო ბლოკში შეიყვანეს, შენთვის არ მცალია, მერე დაგირეკავ“-ო და ტელეფონი გამითიშა. ოოო... რა გადავირიე...

სიყვარულს ერთი თვისება აქვს, ადამიანური მანკიერებისადმი სიბრმავე... ასეა, როცა გიყვარს მანკიერება მხოლოდ დროებით მოვლენად გეჩვენება და გგონია, რომ გაივლის. ამბიციური „სიყვარულიც“ მინახავს, ერთი წრის ადამიანები რომ დამოყვრდებიან, მატერიალურის მებაირაღე ოჯახთა ერთობაც მინახავს და საყრდენ-ჩამოშლილი ოჯახებიც. სიყვარულის შემდეგ, ურთიერთპატივისცემა იწყებაო და შემდეგ კი შეგუება, ასე მსმენია და გამკვირვებია, რადგან სიყვარული თუ ურთიერთპატივისცემას და ერთმანეთისადმი შეგუების უნარს არ მოიცავს, მაშინ უბრალოდ „გატაცებული“ ყოფილხარ და ეგ არის. ალბათ პირველ რიგში, სანამ ცოლს მოიყვან ან გათხოვდები, ადამიანმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა, „შევძლებ ამ ადამიანის გვერდით მთელი ჩემი სიცოცხლის გატარებას თუ არა?!“ ალბათ ისიც უნდა შეაფასო თუ რამდენად ღირსეული ხარ თავად და საკუთარ თავს საკუთარი მანკიერებები გაუმხილო, რომ მომავალში არც შენ გაიმრუდო ცხოვრების გზა და ისიც არ დააზარალო...

ჩემი სიმამრი მომიახლოვდა და ყური მაღლა ამიწია...

— ბიჭის მამა ხარ, გილოცავ გიორგი...

მერე ყველაფერი აირია... სიხარული, მოლოცვები, ბედნიერება და ჩემი ცოლის ზარი, „გოგიტაააა ბიჭის მამა ხარ, იცი რა ლამაზია“?! ეს მინდოდა კიდევ...

ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო...

სიყვარული ადამიანს სულიერ მოთხოვნილებად თუ არ ექცა, ადამიანი შეინარჩუნებს ადამიანის ფორმას, შინაარსს კი დაკარგავს.

ნუ იეჭვიანებთ, რადგან ამ შემთხვევაში თქვენ „ყველაფერი გეცოდინებათ“ მაგრამ დასაბუთების გარეშე. ნუ შეიყვარებთ საკუთარ თავს საყვარელ ადამიანებზე მეტად.

ბედნიერება საყვარელი ადამიანების გარეშე არ არსებობს.

თავი 12

სამსხაურიდან სახლში დავბრუნდი. ჩემი ცოლი და შვილები აგარაკზე მყავდა გაგზავნილი და სახლში ხმის გამცემი არ მყავდა. ივლისის პაპანაქებაში მე შემოვრჩი თბილისს. შესასვლელ კარებზე ვიღაცას ლამაზი კონვერტი მიუმაგრებია. იცი, მომეწონა, ორიგინალური ნახატი დაებეჭდათ ზედ. კონვერტზე ლამაზი კალიგრაფიით დაეწე-

რათ „გიორგისთვის“. „ლუის წერილია“, გამიელვა თავში. გამეცინა. რა საინტერესოა, თითქმის ყოველ დღე ვხვდებით ერთმანეთს და ის მაინც წერილებს მწერს. სახლში შევედი. საწერ მაგიდას მივუჯექი და კონვერტი გავხსენი.

„— გაგიკვირდება ალბათ, წერილს რატომ მწერსო იტყვი, როცა ნაფიქრს ვერავის ვუზიარებ ქაღალდზე გადმომაქვს და მერე შენ გიგზავნი, იმიტომ, რომ მე ჩემი „ტვინის ნაჟურს“ სხვას ვერავის გავანდობ, იფიქრებენ ალბათ გაგიჟდაო...

გიორგი, მოკლე წერილია და გთხოვ ბოლომდე წაიკითხო.

მოუფრთხილდი დროს, მე გეტყვი: დროს რომ შეეძლოს და ადამიანებს მისი გაფლანგისთვის სასამართლოში უჩივლოს, მერწმუნე, თითქმის მთელი კაცობრიობა ციხეში ამოყოფდა თავს. ნურც მლიქვნელებს და მაამებლებს შეხედავ უგულისყუროთ, რადგან თქვენს საზოგადოებაში „მლიქვნელობა და მაამებლობა“, საზოგადოებრივი მეცნიერების დარგად აქციეთ და მის განვითარებას უწყობთ ხელს. პატივმოყვარეებიც ხართ ადამიანები და არ ფიქრობთ, რომ მლიქვნელობას ნაყოფიერ ნიადაგს უქმნით თქვენი ამბიციებით. ნურც ზარმაც კაცებს დაუმეგობრდები, რადგან ზარმაცი ყოველთვის მოტივირებულია აკეთოს „არაფერი“. საინტერესოა, როგორ იღუპება ნიჭიერება სიზარმაცით და არა ნაკლებ საოცარია, როგორ იყენებენ ნიჭს უსაქმურობისთვის. არც ყბედის და ზარმაცი კაცის გაკეთებული საქმე უნახავს ვინმეს, ისიც მიკვირს, როგორ ეგუებით. ამდენი განათლებული ადამიანი დადის, ბორგავს და მათ ცოდნას არ იყენებთ. მიეცით მათ საშუალება გაზარდონ მცოდნე თაობა, რომ ცოდნა დაუტოვონ შთამომავლობას. ნუ გაიმეტებთ წლობით ნაგროვებ განათლებას სამარისთვის. დღეს კიდევ არიან თაობის აღმზრდელები და თქვენ იმდენს იზამთ, რომ „აღსაზრდელების“ მიერ დამოძღვრილ თაობას მიიღებთ და დაიღუპებით სხვისი ხელის შემყურენი. აცალეთ ბავშვებს ბავშვობა და ნუ გამოათაყვანებთ „ფუფუნების“ საგნებით, რადგან ეს ყველაფერი რასაც „თანამედროვეს“ უწოდებთ, ბავშვების ტვინის განვითარების შემაფერხებელია და მისი მსოფმხედველობაც დეგრადირებისკენაა მიქცეული. ბავშვი „ბავშვობაში“ მოამწიფეთ, ნუ აიძულებთ “უასაკო ზრდასრულად“ შექმნათ შვილები. წიგნთან დაამეგობრეთ იგი, რადგან წიგნშიც შეიძლება მოხვდე კარგ და ცუდ საზოგადოება-

ში, სჯობს „წიგნიერად“ გააკეთოს „წიგნის“ საზოგადოების ანალიზი და რეალური „საზოგადოებრივი“ ურთიერთობებისთვის მოემზადოს. იცი რას ამობობს კუნიცინი? „უმეცრება უცოდინრობაა, ცთომილება კი მცდარი ცოდნა“, ეთანხმები ამ მოსაზრებას?

ნურასოდეს დაიჯერებ სასწაულს, შიშით და ნდომით გამოწვეული ძრწოლა შობს სასწაულის ილუზიას.

იცი რაშია რელიგიის სიძლიერე? იმაში, რომ არსებობს ჯოჯოხეთი. თქვენ თანამედროვე აზროვნებით ჯოჯოხეთის არსებობას დაავიწყებთ ადამიანებს, რის გამოც რელიგია გაცამტვერდება და თქვენი სამყარო კი განადგურდება.

გიორგი, გაგიკვირდება ჩემგან ეს სიტყვები, ვიცი დაფიქრდები თუ რატომ ვაზროვნებ ასე. ხვალ ვისაუბროთ, კარგი?“

„ლუი“

თავი 13

კვირა დღე იყო. სამასხურში არ მეჩქარებოდა და თითქმის შუა დღემდე ვგორაობდი ლოგინში, ალბათ უფრო ვნებივრობდი, მეზარებოდა... ჩემმა ცოლმა სამზარეულოდან გამომძახა

— გულბაათ აბა დროზე, გეყოფა კოტრიალი, ბაზარში ხარ წასასვლელი, სია უკვე დაგიწერეეე...

ოოო... რა დაუნდობელია წუთისოფელი, მებაზრება ეხლა მეე?! მაგრამ... როგორც იქნა ავზიდე ტანი და „რეზიდენციაში“ ვეახლე ჩემს დედოფალს. ჩაიდანი უკვე თუხთუხებდა, მეუღლე სადილს აკეთებდა და სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. სია მომაწოდა, კარგად „უმუშავია“ ჩემს მეუღლეს. ყავა დავლიე, ცოტა თვალებში გამოვიხედე და დეზერტირების ბაზრის გახსენებაზე ტანში გამაჟრჟოლა, მაგრამ ვინ იტვირთებდა ოჯახის უზრუნველყოფას, თუ არა მე?! ეჰჰ, წავედი. იმ სიცხეში და ხვატში ცხრაპირი ოფლი წამსკდა სხეულზე და ღონემიხდილმა მოვიტანეეე... ეზოში ჩავედი, იქნებ ბიჭები იყვნენ და თითო ბოთლი ლუდი ჩავახრიალოთ ყელში-მეთქი, იმედები გამიცრუვდა, ეზოში არავინ დამხვდა. ლუის ოფისისკენ გავიხედე და გამიკვირდა, სარეკლამო აბრას ხსნიდნენ და თან ავეჯიც გამოჰქონდათ. ლუი იქვე იდგა და ჩემსკენ იყურებოდა. მივუახლოვდი...

— გამარჯობა ლუი.

მივესალმე მე.

— როგორ ხარ გიორგი?

— მადლობთ, კარგად. ოფისს ხურავ?

— ხო, ვხურავ ცენტრალურში გადადივარ გიორგი...

— შენ გინდა თქვა, რომ „ბედნიერება“ ყველამ დაალომბარდა?

— არა, მხოლოდ ბრიყვებმა და მათი ბედისწერის მთელი პოზიტივი ჩვენ დაგვრჩა, მათი ბედნიერება უკვე ჩვენია და ვერც სიხარულის განცდა დაეუფლება მათ სულს...

— საოცარია...და სამწუხაროც...

— გასაოცარი არაფერია, თქვენ უბანში საკმაოდ ბევრი რეგვენია, ვინც ბედნიერება ფულში გაცვალა, ვისაც ბედნიერება ფული ჰგონია... შეხედე ბავშვებს, როგორ თამაშობენ, იცინიან, ტირიან, უხარიათ, შეხედე და ისწავლე, რას ნიშნავს იყო ბედნიერი.... გიყვარს ბუნება გიორგი?

— რასაკვირველია

— უდაბნოც ბუნების ნაწილია მეგობარო, იქ მხოლოდ მორიელები და გველები ცხოვრობენ ლაღად, ნუ დააჩქარებთ ცხოვრებას, იცი ადამიანი წიგნს ჰგავს, მოაზროვნე ადამიანი წიგნს ნელა წერს, რომ მისი ნააზრევი „შთამომავლობას“ დარჩეს და თაობას „გონიერ საუნჯეს“ უტოვებს, ხოლო სხვანი თვალის სასეიროდ, ან წუთიერი სიამოვნების და განცდის მოპოვებას შესძლებენ მხოლოდ და მათი წიგნები „თაროზე“ ადგილს ვერასდროს დაიმკვიდრებენ.

— გეთანხმები, მაგრამ ძალიან მკაცრად ნუ გააკრიტიკებ ადამიანებს, ცხოვრება საკუთარ კანონებს და გამოწვევებს გვთავაზობს...

— მართლა? კი, მაგრამ ამ გამოწვევებს ვინ ქმნის? განა თქვენ თვითონ არ უქმნით საკუთარ თავს პრობლემებს, შემდეგ საზოგადოებასაც და საკუთარ სახელმწიფოსაც... თუ საზოგადოებას ყოველ ფასეულობაში შესთავაზებ „განცდას“, რომელიც თვითონ არ გამოგიცდია, საპასუხო რეაქცია ყოველთვის საპირისპირო ფორმას მიიღებს.

— ლუი, რაღაც მინდა გკითხო და თითქოს მერიდება...

— შე კაცო, ექვსი თვეა ვმეგობრობთ და მოსარიდებელი რა გაქვს, მკითხე.

— რატომ ექცევით ადამიანებს ასე...

— დაუნდობლად...

— ხო, დაუნდობლად... რატომ?

— გიორგი, ჩემი ამოცანა არ არის ადამიანების ყოფა-ცხოვრების ბანალურ და ყოველდღიურ რუტინაში ჩარევა, მე საზოგადოების მასულდგმულებელი იდეა, გონიერი თვალით დანახული მომავალი, კარგად მოფიქრებული და განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვაროვანი აზროვნებიდან, ჯანსაღი ნაწილის წარმოჩენა მაინტერესებს მხოლოდ...

— ესეიგი, ის, რაც ჩვენს საზოგადოებაში ჯანსაღია, იმას ებრძვით?

— არა, ჩვენ არ ვებრძვით, ჩვენ „დაგაინტერესებთ“, რომ თქვენ ებრძოლოთ, რადგან ჭეშმაარიტების მიღმა ბრბოები უნდა დაიღუპოს, ადამიანების უმეტესი ნაწილი ჭეშმარიტების და სიყვარულის მიღმა დგეხართ და ამიტომაც იღუპებით... არაფერი მკითხო... გუშინ ტაძარში ვიყავი და იქაურ მოძღვარს „გასაცემად“ არაფერი გააჩნდა, თქვენ გგონიათ, რომ ეკლესიას იცავთ? არა ძვირფასო მეგობარო, თქვენ საკუთარ თავს იცავთ ეკლესიის მეშვეობით... თუმცა ესეც განხილვის და საზოგადოებრივი აზრის კვლევის საგნად აქციეთ, ბედნიერება, ღვთისგან მომადლებული მადლია და ისიც ჩვენთან ლომბარდში დააგირავეთ...

— ლუი, შენ ისე მელაპარაკებოდი მთელი ამ ხნის მანძილზე, რომ მიკვირს რატომ?

— ვერაფერს გეტყვი, თუმცა მთელი ჩვენი კასტის არსებობის მანძილზე გებრძვით ქართველებს და ეხლა მარცხდებით, იცი რატომ? იმიტომ, რომ ურთიერთ სიყვარული და პატივისცემა პიროვნული ნიშნით გამოსახეთ და არა საქვეყნო და ეროვნული ნიშნით, იცოდეთ თვითოეულმა, რომ ადამიანების მიმართ სიყვარულის და პატივისცემის გრძნობას თუ საზღვრებში მოაქცევთ ფარისევლობამდე მიხვალთ.

— და თვითოეული ჩვენთაგანი, საკუთარ ხალხს ვეკუთვნით?! ეს გინდოდა გეთქვა?

— რა სულსწრაფი ხარ, ყოველგვარ „ეროვნულს“ აქვს მსოფლიო მოქალაქეობის უფლება, მეტადრე საკუთარ ქვეყანაში... თანაც პრიორიტეტული გიორგი. მოკლედ წავედი, შენ მე ვერასდროს ველარ მნახავ, შენ იცი ბედნიერების ფასი და აი ეს აიღე...

— ეს რა არის ლუი? ფული?

— ხო, ცოტაოდენი ფულია, ძმურად არ გვინდა მონოლოგები, კარგი! აიღე, ეს შენი ფულია და... „პაკრიშკები“ იყიდე, სულ „ლისებით“ დადიხარ, შენი თავი თუ არ გეცოდება მანქანა მაინც შეიბრალე...

...და ლუიმ გადაიხარხარა. იმ დღის შემდეგ ლუი აღარ მინახავს.

ნუ გაიმეტებთ ბედნიერებას სალომბარდედ, ფულით მდგომარეობას იყიდით მხოლოდ და არა ბედნიერებას, რადგან ის, ღვთის საჩუქარია და არსად იყიდება. ნუ მიხვალთ ლუის „კანტორაში“.

გოგონა

— თურმე ერთ შენხელა გოგონას კოცნებით გაუვსია ყუთი და მამიკოს მაგიდაზე დაუდვია, უტვინო მამიკოს კი ყუთი გადაუგდია და თან ბავშვი დაუსჯია, — „რატომ დადე ყუთი ჩემს მაგიდაზეო“...

— მერე დედიკო...

— მერე რა და... ბავშვმა ტირილი დაიწყო, „მე ეს ყუთი კოცნებით გავავსე და შენ გაჩუქე, შენ კი გადააგდეო“, სლუკუნით უპასუხა თურმე მამიკოს, პატარა გოგონამ...

— დედიკო, ამას რატომ მიყვები? შენ და მამამ ისევ იჩხუბეთ?

— რატომ ფიქრობ ასე შვილო?

— რატომ? იმიტომ რომ ყოველი დილა შენი ჩხუბით იწყება და მამიკოს გინებით მთავრდება... მე მამიკოს ვეტყვი რომ ბევრი ფული გიყიდოს...

— აბა ჩქარა მოუსვი შენს ოთახში, გამომივიდა მამის ქომაგი...

გოგონამ მოიწყინა, სარკმელთან მივიდა და ცას მიაპყრო მზერა. ერთი პატარა ცრემლიც ჩამოუცურდა ლოყაზე. გოგონა რაღაცას ნატრობდა და ოცნებობდა... მაგრამ რაზე ოცნებობდა?

ოთახში დედიკო შემოვიდა. გასაუთოვებელი სარეცხი მაგიდაზე დაალაგა, შემდეგ საუთოვებელი გაშალა და საქმეს შეუდგა.

— დეე, მამიკო მაღაზიაშია?

— ხო, მაღაზიაში ჩავიდა, ამოვა და მერე სამსახურში წაეთრევა...

გოგონა საძინებელი ოთახისკენ წავიდა, ჩუმად, ფეხაკრეფით მიდიოდა ბავშვი...

მამა მაღაზიიდან დაბრუნდა. ორი სავსე ჩანთა სამზარეულოს მაგიდაზე დადო და სამსახურში წასასვლელად მოემზადა. უცებ გოგონა გამოიქცა, მამიკოს ჩაეხუტა და ლოყაზე მაგრად აკოცა.

— ჩემი ღაბუა გოგო. სიყვარულით მიმართა პირმშოს მამამ და ბავშვი გულში ჩაიკრა.

— მამიკო, დედიკომ მომიყვა, რომ თურმე ერთ ბავშვს, ყუთი კოცნებით გაუვსია და მამიკოს ის ყუთი გადაუგდია, იმიტომ რომ ვერ დაინახა შიგნით რა იყო, მე კი პირდაპირ გაკოცე.

— მადლობთ შვილო...

— მამიკო, სარკეში ჩაიხედეეეე...

მამა ეხლაღა დააკვირდა, ბავშვს ტუჩები პომადით ჰქონდა მოთხუპნული. მამიკომ სარკეში ჩაიხედა და სიცილი აუტყდა... ბავშვს ეგონა დამცინისო და...

— მამიკო მე მოგწმენდ ჩემს კოცნას...

— არავითარ შემთხვევაში, მე ხომ ჩემმა ანგელოზმა მაკოცა... ასე წავალ...

— რა კარგიაააა...

გაუხარდა გოგონას.

— მოიწმინდე, რას ჰგევხარ.

მიახალა ცოლმა.

დედის სიტყვებისთვის ყურადღება, არც შვილს მიუქცევია და არც მამას. მამიკო სამსახურში წავიდა. დედამ უთოობა განაგრძო. გოგონა იქვე სკამზე ჩამოჯდა და თვალები დედას მიაპყრო.

— დედიკოოო, არ გინდა პარიკმახეროში წავიდეთ?

— სად წავიდეთ?

— პარიკმახეროში...

— საპარიკმახეროში? რატომ?

— გთხოვ, როგორც ქალი ქალს.

დედას გაეღიმა...

დედა-შვილი სილამაზის სალონში შევიდნენ, სტილისტმა დაკვირვებით შეათვალიერა დედა და ჰკითხა:

— როგორ ვარცხნილობას ისურვებთ ქალბატონო?

ბავშვმა არ აცალა დედიკოს და...

— ისეთი, რომ მამიკოს კიდევ უფრო შეუყვარდეს...

სტილისტს გაეღიმა, დედიკო გაწითლდა. თითქმის მთელი საათი დასტრიალებდა თავს სტილისტი დااااა.... დედიკო მშვენიერი იყო, ახლა მანიკურითაც დაუფარეს ფრჩხილები...

— დეეეე... რა ლამაზი ხარ?!

— მადლობთ ჩემო პრინცესა.

ღიმილით მიმართა ასულს

— დეე... საღამოს სანამ მამიკო მოვა ლობიანი შევუკვეთოთ, მამიკოს უყვარს და მეც მიყვარს...

— კარგი წავიდეთ..

— ხო, წავიდეთ...

— საიდან გქონდა ფული პატარავ?

— მამიკომ მომცა...

— მერე? აქ იმდენი დავხარჯეთ და იცი რამდენი რამე უნდა მეყიდა...

— დედაა... ჩვენ ხომ ქალები ვართ?

— ხოოო...

— ხოდა გავეპრანჭოთ მამიკოს....

საღამოს მამიკო სახლში დაბრუნდა, დაღლილი სჩანდა ოჯახის უფროსი. ბავშვის ტუჩების ანაბეჭდი ისევ ეტყობოდა სახზე.

— დედაა... შეხედე, ჩემი ნაკოცნი არ მოუწმენდია მამიკოს.

სიხარულს ვერ მალავდა ბავშვი

— აბა რااა... მას ხომ ამ დილით ანგელოზმა აკოცა.

— შენ არ გინდა საღამოს ანგელოზი იყოოო?

დედამ არ უპასუხა. მამა სამზარეულოში შევიდა და მაცივარი გამოაღო, შიოდა კაცს.

— ლობიანი შევუკვეთეთ... ახლახანს მოიტანეს... ჩაი გინდა?

ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიმართა დედამ.

— ხო, კარგი იქნებოდა.. რა ლამაზები ხართ, დედოფლის სილამაზე დაგიჩრდილავთ ქალბატონებო...

— მამიკო ლოყას გაგიწმენდ رااا...

— რატომ?

იუარა მამამ.

ბავშვმა ყურში ჩასჩურჩულა:

— ახლა დედიკომ გაკოცოს.

ღამე გაეღვიძა გოგონას, გვერდით არც დედიკო იწვა და არც მამიკო. წამოდგა, ჩუმად გამოვიდა საძინებლიდან. მისაღები ოთახიდან წყნარი მუსიკის ხმა იღვრებოდა... ცოლს ქმრის მკერდზე დაედო თავი, მკლავებიც მოეხვია კისერზე და ოდესღაც მივიწყებულ ვალსს ცეკვავდნენ გოგონას მშობლები. გოგონა ფეხაკრეფით დაბრუნდა საძინებელში, კედელზე დაკიდებულ ღვთისმშობლის ხატს მიეახლა და მიმართა :

— გმადლობთ ღმერთის დედავ, რომ ჩემი დედიკო და მამიკო შეარიგე, მე შენ მიყვარხარ...

თითქოს ხატიც უღიმოდა გოგონას.

... და იქნებ დროა...

მიდამოს აჭარული წვიმა ნამავდა, ცივმა ნიავმაც ჩამოუქროლა მთებს, წვიმის წვეთები ჩაიხუტა მკერდში და აქეთ-იქით მიმოფანტა. ეხლა ხეებს შეეთამაშა ნიავი, ცალად შერჩენილი ფოთლები მოწყვიტა, ზე აიტაცა და ველად გააქროლა. ცაზე ელვამ გადასერა ღრუბლები და ბოხი ხმით, ძლევამოსილად იჭექა. წვიმა გაძლიერდა, აქა-იქ ფანტელებიც შემოურია სტიქიამ. ნოემბრის თვე იდგა. დედამიწა საზამთროდ იბუდებდა.

ბუხრის პირას პაპა სელიმი სამფეხა სკამზე ჩამომჯდარიყო, გრძელი ყალიონი თამბაქოთი გაეტენა და მშვიდად აბოლებდა. ცეცხლს ჩაშჩერებოდნენ ასი წლის მოხუცის ჭროღა თვალები, თითქოს ცეცხლზე და ნაკვერჩხლებზე ჩხიბავსო მომავალს. ბავშვები პაპას მიუცუცქდნენ. ბაქარმა უფროსობა არ დათმო და ყველაზე ახლოს მიაჩოჩა სკამი, ძმას, შუათანა ზვიადი მუჯდა გვერდით, ხოლო პაპის კალთა კი, ცუგრუმელა ნინოს ერგო წილად.

— პაპა გვიამბე ამბავი, ბევრი რამ გინახავს და გადაგხდენია, ზღაპარს არა გთხოვთ, ნამდვილი ამბავი გვიამბე პაპა, ნამდვილ გმირებზე. სთხოვეს ბავშვებმა მოხუცს. პაპა სელიმმა ჩაიღიმა, თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა, თვალები მოჭუტა, თითქოს ამბავს იხსენებსო, შემდეგ ყალიონი ისევ გატენა თამბაქოთი და დაიწყო თხრობა:

— ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, ჩემი დიდ პაპის ბალღობის დროსა, მაშინ აჭარა ტურფად ჰყვავოდა, ერის სიმრავლით ღმერთიც

ხარობდა, მაშინ სხვა იყო აჭარის ზეცა, ცისა სილურჯის ფანტელით თოვდა, ზღვაც ბედნიერი ანცობდა მაშინ, ტალღას ტალღაზე ხალისით კეცდა. სავანეს ჰგავდა მაშინ აჭარა, ედემის წალკოტს ტოლს არ უდებდა, მაგრამ ბოროტმა იმძლავრა მაშინ, მტერი დაიძრა, მტერი იმდენი, კაცთა სიმრავლით ვითარცა ქვიშა და ვით ვარსკვლავნი მთელი ცისანი. ჯარი შეჰკრიბეს კაცებმა, დიად ვაჟკაცთა კრებული, მაგრამ ცოტანი არიან ვაჟნი საქვეყნოდ ქებულნი. იქ, ბრძოლის ველზე ამაყად დადგნენ ქართული სპა და მტერი ვერაგი. ბრძოლა დაიწყო, ისმის ყოჟინა, ბრძოლის გნიასი, ვაჟკაცთა ხელში მტერს კვეთავს ხმალი, მეომრის ღირსი, ვადაჯვრიანი. ბევრნი არიან ოსმალნი. მტრის გვამი ფარავს ბრძოლის ველს, აჭარელსაც სწვდება სიკვდილი. ცოტანი დარჩნენ ქართველნი, ფერდობზე დასცეს საფარი. დაშორიშორდნენ ჯარები. ბოლო ბრძოლისთვის სამზადის ეწევა ოსმალთ ლაშქარი, ახალი ჯარით შეავსო სისხლად დაცლილი ლაშქარი. ქართველს შემცვლელი ვინა ჰყავს? მარტო არიან ვაჟკაცნი. ხმალი გამართა ოსმალომ, ბრძოლად დაიძრნენ ურიცხვნი. ბრძოლობს ქართველთა ლაშქარი, მტერს ანადგურებს... უცებ ცა, თითქოს დაბნელდა, ისრები ჰკვეთენ ოსმალოს... ქედზე ქალების გუნდი დგას, ისრით ჰკოდავენ უსჯულოს. მერმე დასჭექეს ქალებმაც, ხმალი იშიშვლეს სვიანი, მტერს მედგრად სცემენ, ხოცავენ ადგილის დედის ნათლულნი. შედრკა მომხდურის ლაშქარი, პირი იბრუნა, გაიქცა, და მოჰკივიან ქართველნი, ჰოროლსა სცემენ ზურგიდან. უცებ გვერდიდან, უკნიდან მტრისა ჯარები გამოჩნდნენ, ალყაში ჰყავდათ ქართველნი, სიკვდილს ქართულად ებრძვიან. ჯერ არ ყოფილა, არ თქმულა სიკვდილმა სახით უგვანომ, ჯიქურ ჩახედოს თვალებში აჭარელს სისხლით უბიწოს. გაწყდა ქართველთა ლაშქარი. მტერი ზეიმობს ტიალი, ფაშა ხოტბასა აღავლენს გამარჯვებული მომხდური. დახოცილ ქართველთ დასცქერის, შიშმა შეიპყრო სულთანი. ღიმილი სახეს უნათებთ, მომკვდარან ღიმილიანნი. „ალბათ შიშისგან გაგიჟდნენ, მკვდრისგან სად თქმულა სიცილი?“ „არა სულთანო, სიკვდილს დასცინის ქართველი, მათი ყიჟინის გამოგონე, ბჭე ჯოჯოხეთის ზანზარებს“ იმ ომში ჩემი დიდ-პაპა, წინმდგომად მდგარა ბაქარი, მაყვალა, დიდი დიდედა, ჰოროლით მდგარა ქმრის გვერდით. ორივე აუკაფიათ საფლავიც არ აქვთ იმ საწყლებს... “

— პაპა მერე შენ რა ჰქენი?

— რას მეკითხები შვილო?

თუ შენი დიდი დიდ-პაპა და შენი დიდი დიდედა, მტერმა მოგიკლა ტიალმა, ეს რომ გაიგე რა ჰქენი? მტერს რა უთხარი საქმითა?

ბაქარს შეხედა მოხუცმა, პასუხს ელოდა ყმაწვილი. პაპა დადუმდა, ჩაფიქრდა... „მე რა ვქენი?“ აეკვიატა ფიქრები...

— შვილო ბაქარ, ეს ბრძოლა დიდი ხნის წინ მოხდა. მის მერე დიდმა დრომ განვლო და მე რა უნდა მექნა?

— მადლობა პაპა ამბისთვის, სამზადში ჩავალთ ბებოსთან, ან ვითამაშებთ... აღარ შეგაწუხებთ კითხვისგან.

სამივე ბავშვი ეზოში ჩავიდა.

— რა ვქნათ?

იკითხა ზვიადიმ.

— ნანგრევებთან წავიდეთ, ამბობენ იქ იდგაო თავკვეთურა.

დუნედ ჩაილაპარაკა ბაქარმა.

— მეც წამოვალ, მერე რა რომ გოგო ვარ, წამოვალ რაااა...

შეეხვეწა ძმებს ნინო.

— ამ წვიმაში რომ გაცივდე დედას რა ვუთხრათ?

ღიმილით მიმართა ბაქარმა დას.

— არ გავცივდები, მერე რა რომ წვიმს? მე მაგარი გოგო ვარ.

არ დათმო ნინომ.

— მაშინ წავიდეთ.

თქვა ზვიადმა და წასასვლელად მოემზადა.

— მოიცათ, ვაზის ლერწებს წამოვიღებ.

მიმართა ძმებს დამ. წალამთან მიირბინა, ორი მსხვილი ტოტი ამოარჩია და თავის განუყრელ ჩანთაში ჩადო და ძმებს უთხრა:

— ეხლა წავიდეთ.

ბავშვები წმინდა ნინოს ნანგრევებად ქცეულ ეკლესიის ეზოში შევიდნენ. ჯაგნარს დაეფარა ეზო. ეკლესიის კედლის ლოდები მიმოფანტულიყო გარშემო, აქა-იქ საფლავის ქვებიც მოსჩანდა. გავერანებულიყო წმინდა საყდარი. სამ საუკუნეზე მეტია არ ანთებულა ეკლესიის ეზოში სანთელი. ოსმალო ფაშას აქ ედგა თავკვეთურა და მზის-სულ, უტეხ აჭარლებს, ქრისტეს სჯულის მცველთ, აქ უსწორდებოდა მომხდური. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და აქაურობა მხოლოდ ტკი-

ვილიან მოგონებად გადაქცეულიყო. ბავშვები ნანგრევებში შევიდნენ. ქვის იატაკზე ბალახს ამოეყო თავი. ჩამოშლილ კედლებზე შერჩენილ ფრესკებზე ჯვარი გამოირჩეოდა უცილოდ. ბავშვებმა ეკლესიის წიაღში ამაღლებულ ადგილს მიაპყრეს ყურადღება.

— აქ ალბათ ქრისტიანი მოძღვარი იდგა და ქადაგებდა, ამიტომაც არის ამაღლებული.

ძლივს გასაგონად თქვა ზვიადმა.

— მანდ საკურთხეველი უნდა ყოფილიყო, ეხლა კი მხოლოდ ნანგრევებია.

ამეტყველდა ბაქარი.

— იქ ასვლა შეიძლება?

იკითხა და საკურთხევლის ნანგრევებისკენ გაიშვირა ხელი ნინომ.

— არა, ქრისტიანები იქ ასვლის უფლებას ქალებს არ აძლევენ. უპასუხა ბაქარმა.

— შეხედეთ, აი ნინოს ფრესკა.

თითით ანიშნა ძმას ზვიადიმ. ოდნავ შესამჩნევად მოსჩანდა ფრესკაზე ქალის სახე ვაზის ჯვრით ხელში.

— ეგ წმინდა ნინოა, პირველქრისტიანი საქართველოში.

ამაყად დასძინა ბაქარმა.

— ვიცი, ვიცი სკოლაში გვიამბეს, თურმე საკუთარი თმებით შეუკრავს ვაზის ლერწმისგან ჯვარი და იმით შემოუტანია ქრისტიანობა.

აჭიკჭიკდა ნინო. შემდეგ ძმებს გადახედა და საკურთხევლისკენ გაემართა.

— არ ახვიდე, მანდ ასვლა ქალისთვის არ შეიძლება. შეუძახეს ძმებმა.

— მე ქალი არა ვარ, მე ბავშვი ვარ.

უპასუხა გოგომ.

— ვინ იცის, იქნებ დიდ ომს გადაურჩნენ და აქ თავკვეთურაზე დაასრულეს სიცოცხლე დიდმა დიდპაპამ და დიდმა დიდბებომ.

— ეგ არავინ არ იცის ნინიკო და გთხოვ არ ახვიდე მანდ, წესი არ არის.

მიმართა დას ბაქარმა.

ნინო საკურთხეველზე ავიდა, ჩანთა ძირს დადო და იქიდან ვაზის ორი ლერწი ამოიღო, ძმებს რაღაცის თქმა სურდათ, მაგრამ ისი-

ნი უცნაურმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, გაფაციცებით აკვირდებოდნენ პატარა დის საქმიანობას. ახლა ნაწნავი ჩამოიშალა ასულმა, წელამდე სცემდა თმა.

— ბაქარ!

მიმართა ძმას გოგომ.

— გთხოვ ნაწნავი მომაჭერი.

— გაგიჟდი? დედა მომკლავს, არ გახსოვს? მთელი დღე გიწნავდა თმას...

ნინომ მაკრატელი გაუწოდა ბაქარს და მხოლოდ ერთი სიტყვით მიმართა: „მოსჭერი“! ბაქარმა ანგარიშმიუცემლად გამოართვა მაკრატელი, გოგონა შებრუნდა და მორჩილად დაელოდა მისი საამაყო ნაწნავის მოკვეთას. მხოლოდ მაკრატლის ჩხაკუნი გაიგონა ნინომ და მობრუნდა, ძმას მოკვეთილი თმა ჩამოართვა. ვაზის ყლორტები გადაჯვარედინა და ნაწნავით შეჰკრა, მერე მდუმარედ მიეახლა წმინდანის ფრესკას.

— ვიცი, რომ ქალის ამოსვლა აქ არ შეიძლება, მაგრამ მე ბავშვი ვარ და მაპატიე ეს თავნებობა, მე შენი სეხნია ვარ და მეც ნინო მქვია. პაპა სელიმმა გვიამბო ჩვენი წინაპრების ამბავი. ისინი ქრისტიანობას შეეწირნენ დიდ ომში. გთხოვ, დალოცე ჩემი ძმები და ჩვენი დიდი ოჯახი. მაპატიე, ჩემთვის ქრისტიანულად ლოცვა არავის უსწავლებია და მერწმუნე, რასაც ვამბობ გულით გეუბნები. გოგონამ დაიჩოქა, ვაზის ჯვარი ზეაღაპყრო და განაგრძო:

— მე და ჩვენი ოჯახი დიდი დიდპაპა ბაქარის შთამომავლები ვართ და გთხოვ, ნუ მიწყენ თავნებობას. გპირდები, მე ვისწავლი ქრისტიანულად ლოცვას, გპირდები...

ნინო ფეხზე წამოდგა, ვაზის ჯვარი მკერდზე მიიხუტა და მზერა, გაოგნებულ ძმებს მიაპყრო. ხმას ვერ იღებდნენ ვაჟები. თვალებიდან მხოლოდ, დისადმი უზარმაზარი მოწიწება იფრქვეოდა.

— მე პირჯვარს გადაგწერთ და დაგლოცავთ, მე მაქვს ამის უფლება, რადგან მე და ვარ თქვენი. და თუ ვინმე უნდა დაისაჯოს დე ეს მე ვიყო. გოგონას კიდევ სურდა რაღაცის თქმა მაგრამ...

— შეხედეთ, ხალხი!

თქვა ნინომ და ხელი ეკლესიის ნანგრევებად ქცეულ გალავნისკენ გაიშვირა.

ერთად შეგროვილი ადამიანები, ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდნენ ბავშვებს, ეზოში ფეხის შემოდგმას ვერავინ ბედავდა.

— გამომყევით! მტკიცე ხმით მიმართა ძმებს ნინომ

ეკლესიის დარბაზი გადაკვეთეს, ეზო გაიარეს და ნაალაყაფარს მიადგნენ. ერთი მოზრდილი ხის ძელი იყო ორ ლოდზე გადებული და ეს „კარიბჭე“, იყო საზღვარი ეკლესიასა და ხალხს შორის. გოგონა კარიბჭეს მიუახლოვდა, მცველებად ძმები ედგნენ „ჯვრისმტვირთელს“.

— აქ თქვენი მამა-პაპათა საფლავებია, აქ ლოცულობდნენ თქვენი წინაპრები, შემოდით...

მშვიდად ამეტყველდა ნინო

— ვინ არიან ეს ლაწირაკები! იღრიალა ვიღაცამ

— მე ნინო ვარ... უპასუხა ნინომ

— ნინო? ნინო!... ნინოოო... ტალღასავით გადაუარა ხალხს უცნობმა ხმამ.

— ნუთუ ეს ძელი გაბრკოლებთ?

ჰკითხა ხალხს ნინომ.

— წესი არ არის, გარეთ გამოათრიეთ ეს ლაწირაკები! იყვირა ვიღაცამ

— რომელი „წესი“ არ არის? მამაპაპათა რჯული და ადათის თაყვანისცემა „წესი“ არ არის? მიმართა ხალხს და ვაზის ჯვარი ასწია ნინომ.

— რას მაიმუნობ გოგონა? ეგ ჯვარი ნაკურთხიც კი არ არის. გამოაჯავრა ვიღაცამ.

ბაქარი და ზვიადი „კარიბჭეს“ მიუახლოვდნენ, ხის ძელი აიღეს, იქვე კედელზე მიაყუდეს და ისევ დას დაუდგნენ გვერდში.

— მე გეკითხებით თქვენ, რას ნიშნავს „ნაკურთხი“!

მშვიდი და შეუვალი ხმით მიმართა ხალხს ნინომ.

— შემოდით, აქ თქვენი ოჯახის დედაბოძის სულია დასვენებული, აქ ჩვენი წინაპრების რჯულია და... და... იქნებ დროა...

გოგონას ხმა ჩაუწყდა, გაჩუმდა, მშვიდი სახით აკვირდებოდა თანასოფლელებს. ხმას არავინ იღებდა. წვიმამ გადაიღო, ღრუბლის ნაპრალებიდან მზის სხივებმა გამოჭრეს სარკმელი. — „პაპა სელიმი მობრძანდება“! ხმა დაირხა ხალხში. ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა სოფლის უხუცესი. ნანგრევებს მოადგა, ხალხმა გზა უტია მხცოვანს. შიშნარე-

ვი თვალები მიაპყრო პაპამ ხალხს, შემდეგ ეკლესიისკენ გაიხედა. შვილიშვილებს მკაცრი მზერით შეავლო თვალი და ბრაზმორეულმა მიმართა ბავშვებს:

— „სასწრაფოდ დატოვეთ აქაურობა...სახლში მოგელაპარაკებით“

— პაპა!

წამოიწყო ბაქარმა:

— ჩვენს რჯულს უნდა დავუბრუნდეთ, რადგან ყოველივე რითაც ვამაყობთ, ჩვენი წინაპრებით და ჩვენი ისტორიით, ყველაფერი გაცამტვერდება და... და... ჩვენ...

— პაპა!

მკაფიო ხმით მიმართა ნინომ ოჯახის უფროსს.

— მე ჩემი ნაწნავით შევკარი ვაზის ჯვარი, როგორც ჩემმა წმინდა სეხნიამ...

— ბავშვებო პაპას დაუჯერეთ...

დაარიგა უცნობმა.

მკაცრად შეხედა მოხუცმა ბავშვებს და მოხდა...

ძმები წინ აღუდგნენ პაპას, ხელი ხელს ჩასჭიდეს და დის წინ დადგნენ. გალავნის ნანგრევებზე ახლა ბაქარის და ზვიადის მეგობრები გადმოხტნენ და გვერდში დაუდგნენ ბავშვებს. ბავშვებით გაივსო ეზო. ცოცხალი ჯაჭვით გარს შემოევლენ ჭაბუკნი ეზოს გალავანს. „მღვდელი გიორგი მოდისო“ დაირხა ხმა ხალხში. ეკლესიის ეზოში აქოშინებული მოძღვარი შემოვიდა. ჯერ გარეთ მდგომ ხალხს გადახედა და შემდეგ ბავშვებს დააცქერდა წმინდა მამა. მზერა ნინოზე გადაიტანა და გაოცდა, ბავშვის სახეს მშვიდი და სათნო ღიმილი დასთამაშებდა, ვაზის ჯვარმა გააოცა მღვდელი.

— ვინ ხარ შვილო?

მიმართა მოძღვარმა ბავშვს.

— მე ნინო ვარ, დიდი წმინდანის სეხნია, ნუ დამსჯით მამა გიორგი, ნურც ცელქობაში ჩამომართმევთ, ეს ვაზის ჯვარი, ჩემი ნაწნავით შევკარი...

— ღმერთო იკურთხოს შენი სამართალი.

აღმოხდა მოძღვარს.

— მე დიდი დიდ-პაპა ბაქარს და დიდი დიდ-ბებია მაყვალას შთამომავალი ვარ, ვადაჯვრიანი ხმლით რომ ებრძოდნენ სულთანს.

ამაყად მიუგო მღვდელს ზვიადიმ.

— მე ესტატე მჭედლის შთამომავალი ვარ...

— მე ირეროდი ცხრამუხელის შთამომავალი ვარ...

— მე მღვდელი იაკობის შთამომავალი ვარ, თავკვეთურაზე რომ აზიარეს სიკვდილს...

— მე შანშე მეთევზის შთამომავალი ვარ, თავკვეთურაზე რომ დასაჯეს ქრისტეს რჯულისთვის...

— მე...

რიგრიგობით აცნობდნენ თავს ბავშვები მოძღვარს.

მამა გიორგიმ ნინოს ჯვარი გამოართვა და საკურთხევლისკენ წავიდა, ბატკანივით უკან გაჰყა ნინოც. ჩამონგრეული საკურთხევლის ლოდზე დადო მამამ დალალით შეკრული ვაზის ჯვარი და აკურთხა... ლოცვას განაგრძობდა მოძღვარი. შემდეგ მობრუნდა და გაოცდა, ეზო ხალხით იყო სავსე, მხოლოდ რამდენიმე მოხუცი და თითოოროლა კაცი იდგა „კარიბჭის“ მიღმა. პირველნათლულს, ნინოს აცხო ზეთი, წმინდა მამამ. ხალხს ნათლავდა მამა გიორგი.

— სელიმ!

მიმართა თანასოფლელმა პაპას.

— რას იტყვი ამ ამბავზე?

და მოსაუბრემ ხელი ეკლესიისკენ გაიშვირა

— წინაპართა რჯული თავისას ითხოვს...

ჩაიდუდუნა მოხუცმა, ფეხზე წამოდგა და „კარიბჭის“ ზღურბლს გადააბიჯა.

სამი მტრედი შენიშნეს, ეკლესიის ნანგრევების ქიმზე ჩამომსხდარიყვნენ ფრთოსნები.

იქნება დროა?... დროა!

ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲔᲤᲘᲪᲔᲑᲘ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ
(ᲐᲛ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲐ)

ᲑᲔᲓᲘᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲠᲝᲠᲘ ᲓᲐᲒᲘᲠᲔᲙᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲛᲝᲒᲗᲮᲝᲕᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲙᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ. ᲛᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲫᲘᲔᲑᲐᲐ... ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲠᲝᲠᲘ ᲙᲘ, ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ „ᲛᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲓᲐ“, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ „ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲝᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲔᲩᲕᲔᲜᲝᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲐᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲚᲛᲓᲔᲑᲔᲚᲡᲐᲪ ᲮᲛᲐ ᲣᲙᲐᲜᲙᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲓ.

ᲜᲣ ᲒᲐᲘᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ �თᲣ ᲐᲠᲐ, ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲗ... ᲑᲔᲕᲠᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ, ᲛᲝᲕᲧᲕᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲧᲝ... ᲜᲐᲑᲘᲯ-ᲜᲐᲑᲘᲯ...

„... ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲘᲐᲜ ᲘᲛᲔᲓᲘᲗᲐ ᲛᲬᲧᲣᲠᲕᲐᲚᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲓᲘᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲓᲐᲨᲕᲠᲐ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡ ᲣᲒᲜᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲣᲚᲘᲡᲗᲥᲛᲘᲗ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐ ᲥᲕᲘᲨᲐᲛ, ᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲛᲐ�გᲘᲕᲠᲐᲓ...“

ᲓᲐ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ ᲛᲔ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲜᲐᲮᲐ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲒᲐᲝᲪᲓᲘᲗ ᲒᲐᲜᲐ? ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲔᲓᲐ ᲛᲝᲣᲙᲚᲐᲕᲡ, ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ... ᲛᲝᲢᲘᲠᲚᲐᲓ ᲘᲯᲓᲐ, ᲓᲔᲓᲐ ᲒᲐᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘ, ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲒᲘᲡᲝᲡᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲜᲐᲛᲐᲕᲓᲐ....

ᲞᲐᲚᲐᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲙᲘᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲯᲐᲜᲛᲐᲒᲐᲠᲛᲐ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲘᲦᲝ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ: „ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲠᲩᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲕᲓᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ-ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘᲝ“, ᲡᲐᲠᲙᲛᲔᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ, ᲘᲥᲕᲔ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲡᲐᲬᲝᲚᲘ ᲘᲓᲒᲐ. „ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘ“ ᲬᲐᲛᲝᲬᲝᲚᲘᲚᲘᲧᲝ, ᲛᲨᲕᲘᲓᲘ, ᲐᲣᲦᲔᲚᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲖᲔᲠᲓᲐ. ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔᲛ ᲒᲐᲛᲐᲝᲪᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲔᲚᲐᲒᲔᲑᲘᲜᲐ. ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔ:

— გამარჯობათ, ჩემი ვიზიტის შესახებ ალბათ გაცნობეს... მე ჟურნალისტი გახლავართ.

არავითარი რეაქცია, არც პასუხი გაუცია, ის დუმდა... და მე გავნაგრძე:

— ბატონო ნიკოლოზ, თუ უდროო დროს გეახელით, ბრძანეთ როდის შეძლებთ ჩემთან საუბარს და მაშინ დავგეგმოთ ჩვენი შეხვედრა... თქვენ კითხვა გყვარებიათ...

ფეხზე ავდექი და მის მაგიდას მივუახლოვდი. წიგნთა შორის „დონ კიხოტი“ და „ჰამლეტი“ შევნიშნე. ხელი მათ ასაღებად გავიწოდე...

— „ხელს ნუ გაიშვერ ოლიმპოსკენ ადამიანო, მისგან წყალობა ჯერ სულიერს არ ღირსებია... იავარქმნილი ეს სამყარო უმეცრებისთვის, ცინიზმს კეისრის კოლიზეუმად გადუქცევია“... მოგესალმები ჟურნალისტო დიდი პატივით...

იმდენად მოულოდნელი იყო ეს ყველაფერი, რომ გაოცებისაგან კინაღამ ენა ჩამივარდა.

— გამარჯობათ ბატონო ნიკოლოზ, მე სანდრო მქვია, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

ბატონ ნიკოლოზს გაეღიმა, რაღაცნაირი სიკეთე ვიგრძენი მის თვალებში... ეს კაცი გიჟი ნამდვილად არ იყო...

— არ მეგონა თუ შეგაშინებდით სანდრო ბატონო, სწორედ ახლა დავამთავრე „დონ კიხოტის“ კითხვა, უკვე მერამდენედ. თქვენ წაკითხული გაქვთ ეს წიგნი?

— სიმართლე გითხრათ ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ ფილმი მაქვს ნანახი.

ვთქვი და გავიღიმე...

— ხოო... ალბათ კახი კავსაძის მონაწილეობით... დიდებული იყო ეს სცენის ჯადოქარი ამ ფილმში...

— დიახ მეც ძალიან მომეწონა.

— რა მოგეწონათ?

— ფილმი, რა საკვირველია...

— ჩემო მეგობარო, ვხედავ დრო გაქვთ და იქნებ ორიოდ შეკითხვაზე გამცეთ პასუხი.

— სიამოვნებით, ბრძანეთ ბატონო.

— ვინ არის დონ კიხოტი?

— რაინდი.

— დიდებულია... „და რატომ ეძებ შენ, სიკვდილში მის სიდიადეს, ან შენ სიკვდილის სიდიადე გინახავს განა?“

— ეს ფრაზა წიგნიდან არის?

— არა მეგობარო, არა! და თუ მე გეტყვი, ერთი პატარა მძიმის გადაადგილებით რამდენად შესწევს ამ ჩემს ნათქვამს „ტრაგიზმის“ ძალა?

— კი, ალბათ კი...

— საოცარია...

— რა არის საოცარი?

— იქნებ თქვენს მიერ ნანახი ფილმის მიხედვით მითხრათ, რას ნიშნავს თქვენთვის „დონ კიხოტი“?

— როგორ გითხრათ? ის გენიალური სერვანტესის შექმნილია და ბუნებრივია ფილმიც შესანიშნავი გამოვიდა...

— და რაში ხედავთ თქვენ სერვანტესის გენიალურობას? გენიალურად მე ჰამლეტი მიმიჩნევია.

— ძნელი ასახსნელია, აქ უბრალოდ მეოცნებე რაინდის შინაგანი სამყაროა წინა პლანზე წამოწეული, მისი ხედვა იმ დროინდელი საზოგადოებრივი აზროვნების ფონზე შესაბამისობაში ვერ მოდის იმ დროის გამოწვევებთან, რაც იმ ეპოქის ისტორიული პრაგმატიზმის ფონზე რაინდის დამოკიდებულებულება ობიექტურ რეალობასთან, არაადეკვატურია და ამიტომაც ებრძვის წისქვილებს.

— რა საინტერესოა, ფრიად საინტერესო... „და რატომ სჯი კაცს მისი ცხოვრების გამო, შენ ხომ მის ტყავში არ გიცხოვრია“, გნებავთ კამათი? ნუ შეშინდებით, მე თქვენი აზრი მსურს მოვისმინო, „და პრაგმატიზმი პოეზიის „სულს“ წიგნზე დანთებულ კოცონზე წვავდა“...

— ვერ გავიგე, ჩვენ ეს წიგნი უნდა გავარჩიოთ?

— რომელი წიგნი მეგობარო?

— „დონ კიხოტი“... როგორც თქვენ ბრძანეთ.

— ჰო, უნდა გავარჩიოთ,

„რათა გავროზგოთ
მოფუსფუსე ამაოება,
კვნესის ხარხარი,

მიაწყდება
ალბათ ბარხანებს,
სიშლეგით ძღება,
სულმდაბალი
კაცობრიობა,
...და ცრემლად დაშვრა
დიდი დანტე ალიგიერი“...
— ვისი ლექსია?
— მოგეწონათ?
— დიახ.
— არავისი... ექსპრონტია... ჩემი ლექსია.
— თქვენ პოეტი ბრძანდებით?
— „არა სანჩო, შუბის წვერზე აისი ღელავს, ჟანგ შემოყრილი აბჯარიდან ისმის სიჩუმე“. მზად ხართ კამათისთვის ჩემო მეგობარო?
— სიამოვნებით, დავიწყოთ.
— თქვენ თუ იცით, რამდენად მდიდარი იყო სერვანტესი?
— არა, ვერ გეტყვით.
— მწერლის ყველაზე დიდი გასამრჯელო მისი მკითხველია. დღეს სერვანტესი მილიარდელი იქნებოდა. მაშ ასე, დავიწყოთ...

ნაწილი 2

— ბატონო ნიკოლოზ, ალბათ საინტერესო იქნებოდა თქვენეული შეფასებები, მაგრამ მე იმ მიზეზთა დეტალების შესახებ მსურს გესაუბროთ...
— რამაც აქამდე მე „მომაქცია“?
— დიახ, იცით მე გავეცანი მასალებს და უამრავი საყურადღებო რამ აღმოვაჩინე თქვენს შესახებ.
— ქართულ ენას და ლიტერატურას გასწავლიდნენ სკოლაში მეგობარო?
— ბუნებრივია.
— ჰამლეტი მაინც თუ წაგიკითხავთ?
— არა, მაგრამ ის დიდებულია.
— და რა გახსოვთ ჰამლეტიდან?
— „ყოფნა, არ ყოფნა, საკითხავი აი ეს არის“

— და „ფირცხელამ“ ჰრქვუა „ყოფნა წრუწუნჯან, ყოფნა...“

— დამცინით?

— არა, „და რა წმინდაა სულგაყრილი ადამიანი“

— ეს ჰამლეტიდანაა?

— არა მეგობარო, ჩემი სიტყვებია.

— სულგაყრილი ანუ მკვდარი?

— ჰა, ჰა, ჰა, იქნებ სული „გაეყარა“ სხეულში ადამიანს...

— ესე იგი შეერჭო?

— ჰო მეგობარო, ჰო...

— და ჰამლეტი რა შუაშია?

— „სხვის სულის საზრდოს თუ ჩააწნავ რკინის არტახებს, მისი ბედისწერა ბარიერთან დაგელოდება“

— მომისმინეთ მე არც დონ კიხოტი მაინტერესებს და არც ჰამლეტი, მიუხედავად მათი სიდიადისა, მე თქვენს შესახებ მსურს გესაუბროთ.

— „უმანკო ცრემლის შევსვათ შარბათი...“

— მაპატიეთ ბატონო ალექსანდრე, ამ საზეპიროებს თქვენ ალბათ სხვადასხვა წიგნებიდან აგროვებდით... და ეხლა გსურთ რომ გამაოცოთ?

— უბედურო! მე მხოლოდ ჩემი სიტყვებით გესაუბრები, მე არ ვსესხულობ სხვისგან, სხვისი ნათქვამის და სხვისი გენიის წინაშე მე მოწიწებით ქედს ვიხრი...

— დიახ რასაკვირველია.

— თუ ლამანჩელი არ ინებებდა წისქვილებთან შებმას... თქვენი აზრით რას ნიშნავს ეს სცენა? რატომ წისქვილი და არა სამჭედლო, ან რაიმე სხვა...

— ვერ გეტყვით, იქნებ ავტორმა განსაკუთრებული ალეგორია ჩადო ამ სიტყვებში, რაინდმა ხომ დევებად წამოიდგინა ეს წისქვილები, და მათთან ბრძოლა ამიტომ მოინდომა...

— კი, მაგრამ რას გკარნახობთ წისქვილის „ფენომენი“, იქნებ მხოლოდ ნაგებობას? ან იქნებ რაიმე დატვირთვა აქვს? თუ გიფიქრიათ ამაზე მეგობარო?

— ალბათ, ხორბლის ან სიმინდის მარცვლის დაფქვა, შემდეგ ფქვილის გაცრა და პურის ან მჭადის გამოცხობა.

— გენიალურია, და თუ „წისქვილი“ სხვა რამეს ფქვავს, მაგალითად ბოროტებას, რომ შემდგომ საკვებად დაუბრუნდეს ადამიანებს? იქნებ ქარია ქარიზმატული, ან კი უზნეო და მისი „სამყარო“ აიძულებს დაფქვას წისქვილმა მისი ზნეობა, რომ მარცვალ-მარცვალ გამოკვებოს კაცთა გონება? ან იქნებ „დევი“ თავად არის ზნედაცემული, „ამინდის“ ბორგვას რომ აუწყო მწყრალი გონება, შემდეგ რომ „დაფქვას“ ნააზრევი ზნედაცემული და გამოკვებოს სულწაწყმედით კაცის გონება?

— ბატონო ალექსანდრე, უდაოდ საინტერესოა ეს თემა. მინდა გკითხოთ საგამოძიებო მასალებში...

— და თუ პოეტებს ასამართლებს ხამს უმეცარი, მუზის „ტიტული“ ჯალათისთვის გვიბოძებია...

— მასალებში ნათქვამია, რომ თქვენ წინასწარი განზრახვით ჩამობრძანდით თბილისში, რათა თქვენი დანაშეულებრივი განზრახვა სისრულეში მოგეყვანათ...

— ჩემო კარგო, სანჩო პანსა რა როლს ასრულებს თქვენი აზრით რაინდის ცხოვრებაში?

— მხლებელია, შემდეგ კი რამდენადაც მახსოვს რაღაც თანამდებობაზე დააწინაურეს...

— ეტყობა ტესტები წარმატებით ჩააბარა.

— არა, იქ ტესტები არ არის ნახსენები, რაინდის მიმართ პატივისცემის ნიშნად დანიშნეს სანჩო თანამდებობაზე.

— ჰა,ჰა, ჰა,... და „სად გინახავს სინდისის ქეჯნით ცრუ, დემაგოგი პატივაყრილი, ან კი „მიბმული“ სინდისის ხეზე?“

— მომისმინეთ, მე აღვრთოვანებული ვარ თქვენი განათლებით, მაგრამ ნება მიბოძეთ რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ.

— ბრძანეთ.

— თქვენს მიერ ძალადობის მსხვერპლ ქალბატონს ადრე იცნობდით?

— მთელი სიცოცხლე...

— მაგრამ „მასალებში“ წერია, რომ თქვენ ის ქალბატონი დანაშაულის ჩადენამდე ერთი თვით ადრე გაიცანით.

— „მეფის სათნოება ეშაფოტის ბაქანზე გადის“

— ვერ მივხვდი.

— ის ქალი ბიოლოგიური დედა იყო ჩემი.

— რა ბრძანეთ?

— ჩემი გამზრდელი, მამაჩემის ცოლია, მე მან გამზარდა.

— დიახ, დიახ, გამახსენდა... მე მითხრეს თქვენი აღზმრდელი დედის შესახებ...

— მისმინე მეგობარო და დაიმახსოვრე, „ყბედთა საუბარს ნუ შეხვდები ოქროს დუმილით“.

— ვისი სიტყვებია?

— ჩემი.

— მაშ ასე, თქვენ ეს საქციელი შურისძიების მიზნით ჩაიდნეთ?

— არა, შურისძიება არაფერ შუაშია... დაიმახსოვრე შენ ჰამლეტის დიდებულება, მე მისი დარი მსურს გიბოძო ეს შეგონება, „იდიოტია ყოვლის შემძლე მეფე, მონარქი, თუ ერთის დაცვას მთელს ერს შესწირავს განტევებისთვის“.

— მოდით ჰამლეტს თავი დავანებოთ და თემას დავუბრუნდეთ. მასალებში წერია, რომ თქვენ სუროგაციის გზით მოევლინეთ ამ ქვეყანას...

— სულის წაწყმედა კაცისა, მხოლოდ ღვთის მიმართ ხომ არ გგონია?

— რატომ მელაპარაკებით ამ... ამ... ეპითეტებით თუ ანდაზებით?

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა...

— დამცინით?

— არა ძმობილო, არა! ენაზე ბასრი მახვილი, კაცის გონებას ჯერ არ „გაუჭედავს“ მეგობარო.

— გამოდის რომ ჭორებს აჰყევით?

— შენ ვერ გამიგე. ბევრი, უამრავი უშვილო ოჯახი მიმართავს ამ გზას, გთხოვ მსგავს ნაბიჯთა განსჯად ნუ ავინთებით, ნურც მოქილიკეთა სჯას ნუ დავიწყებთ, რადგან ნაძირლებში სინდისს ვერ გააღვივებ, რადგან მათ არსში არარსებულს ვერ გააღვიძებ.

— შემდეგ, მიამბეთ... შემდეგ რა მოხდა?

— მე ვიზრდებოდი სიყვარულით და ჩემი ოჯახი შეუმუსრავი ციხე-სიმაგრე მეგონა. არ მოისვენეს ბილწმა ენებმა, ალბათ ბევრს შურდა ჩვენი ოჯახის სიდიადე და ნათლის სხივებად ანთებული მშვენიერება. არ მომასვენეს, გონება მომიწამლეს, ლანძღავდნენ მამას და დედაჩემს ნაზი პათოსით.

ის დადუმდა. ჩემს წინაშე უკვე სხვა ადამიანი იდგა, ის არ ტიროდა, არც იცინოდა, სახეზე არავითარი ემოცია არ ემჩნეოდა, ის უბრალოდ წიგნებს უყურებდა, მხოლოდ წიგნებს...

— სკოლაში, ნაბიჭვარს მეძახდნენ. ჩემი კლასელიების ზოგიერთი დედა დანანებით მიმზერდა, თავმომწონე ვიყავი უკვე შეღერებული ყმაწვილკაცი და მაშინ დაიწყო ჩემი „მე"–ს თელვა საზოგადოებამ. ოჯახიც ჩაერია, მამაჩემი სახლში მიუვარდა ავყიებს, მაგრამ პოლიცია დაახვედრეს და კინაღამ დააპატიმრეს მამა. ჩემს გამზრდელ დედასაც შეურაწყოფას აყენებდნენ... ასე გრძელდებოდა წლები...

— შემდეგ? შემდეგ რა მოხდა?

— „როცა პრინცი მამის აჩრდილს ესაუბრება, მაშინ ჰამლეტი ჯოჯოხეთის კოცონს ჩაფერფლავს და შავ მანტიას შემოძარცვავს სიკვდილის აჩრდილს. სულის მკურნალი ღმერთია მხოლოდ და შენს სნეულ მძორს თავად მიხედე, საშინელია კანონების „მშრალი" რაობა, თუ მის „სხეულში" წმინდა სისხლი კაცთმოყვარის არ ურევია"...

— შემდეგ რა მოხდა?

— სკოლა წარჩინებით დავამთავრე, სკოლის ჩემპიონიც ვიყავი, ორჯერ ზედიზედ სარაიონო და საქალაქო მათმატიკის ოლიმპიადაში მივიღე მონაწილეობა და პირველ ადგილზე გავედი. „ნაბიჭვრები, ნიჭიერები გამოდიანო", შხამივით ჩამაწვეთეს ყურში. თითქოს უკვე შეგუებული ვიყავი შეურაწყოფებს, მაგრამ ერთ ჩემს მაგინებელ ქალბატონს, სკოლაში, ბოლო ზარზე, სახეში ვთხლიშე, მან ჩემს გასაგაონად წამოროშა, „რა დრო მოვიდა, ნაბიჭვრები რა პატივში არიანო". ის ქალი წაიქცა და რაღაც იტკინა.

კლასელი ბიჭები მე დამეხვივნენ საცემრად, მაგრამ ჯანმაგარი ვიყავი და არც იმათ დადგომიათ კარგი დღე, ჩემი რამდენიმე ძმაკაციც ამომიდგა მხარში... მოკლედ ჩაგვშხამდა „ბოლო ზარი" და პოლიციის განყოფილებაში ამოვყავი თავი...

— შემდეგ? რა გითხრეს პოლიციელებმა?

— უბადრუკთა იარაღია ჭორის აღვლენა...

— დაგსაჯეს?

— ხო მეგობარო, ხო... წარჩინების ატესტატი კინაღამ თავზე დამახიეს, მაგრამ გამომიშვეს, რადგან მათ ყველაფერი მშვენივრად იცოდნენ და მხოლოდ „უკბილოდ" დამემუქრნენ. იმ ქალის ქმარი შეძლებული

კაცი გახლდათ და მაინც „მომიხერხეს“ ექვსი თვით შრომა-გამოსწორების კოლონიაში ჩემი „მივლინება“. ყოველ სიყალბეს გაამართლებ ზარ-ზეიმებით, თუკი სიმართლე ფეხთითაა, გარდაცვლილია...

— იცით, ეს თქვენი გამონათქვამები...

— აფორიზმები.

— ხო, რაც არის, ძალიან საინტერესოა, მაგრამ მე თქვენთვის კიდევ ერთი შანსი ვარ. რომ აქედან თავი დააღწიოთ. მე მასმედიის წარმომადგენელი ვარ და ჩემმა სტატიებმა საზოგადოებრივი აზრი უნა მომაზადოს, რომ თქვენი... როგორ ვთქვა?

— ჩემი ამ ქვეყნად მოვლენის „მიზეზი“...

— დიახ, დიახ... არ იდევნებოდეს, უკეთეს შემთხვევაში დაცინვის საგნად არ იქცეს და კიდევ, უშვილო წყვილებს არასოდეს უკან გადადგმულ ნაბიჯად არ მიაჩნდეთ მიუსაფარ ბავშვთა სახლიდან ბავშვი იშვილონ, ჩვენ ყველანი... ის ბავშვებიც ჩვენი მომავალია და რომ გაიზრდებიან საზოგადოების ნაწილი გახდებიან, მათი პიროვნება კაცთმოყვარეობით უნდა ჩამოყალიბდეს და არა „უიღბლოს“ სინდრომით გაბოროტებულ ადამიანებად... მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ცოცხალი ისტორია, განსჯის საგანი გახდეს...

— „მეფის სასახლეში სამეფო ჭეშმარიტება უნდა აღიარო, მიუხედავად იმისა ეთანხმები თუ არა მას“, საინტერესოა, ამ ჩემს მოსაზრებას დაეთანხმებოდა პრინცი ჰამლეტი, „მეფე ლირი“ რომ წაეკითხა?

— მომისმინეთ, თქვენ სტრესულ მდგომარეობაში ბრძანდებით, მთელი ეს ისტორია...

— ისტორია ჯერ არ დამიმთავრებია ჟურნალისტო.

— გისმენთ, განაგრძეთ თხრობა.

— კოლონიის ხელმძღვანელობა ცდილობდა, რომ გარე სამყაროსთან ჩემი კონტაქტი შეეზღუდათ და ამიტომ ბიბლიოთეკაში გამამწესეს, იქ ვმეცადინეობდი ვსწავლობდი, ვემზადებოდი და წარმოგიდგენიათ? როცა კოლონიიდან გამანთავისუფლეს, კოლონიის უფროსმა სარეკომენდაციო წერილი გამომატანა უნივერსიტეტის რექტორთან წარსადგენად, იცი რა ეწერა ამ წერილში? ის, რომ მე გამოვსწორდი და საზოგადოებისთვის საშიშ ელემენტს აღარ წარმოვადგენდი. უნივერიტეტში „აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტზე“ გავნაგრძე სწავლა... ყოველ სამშაბათს, პოლიციის წარმომადგენელი აკითხავდა

დეკანატს და ჩემი ყოფაქცევის შესახებ ინფომაციას აგროვებდა... მე ჩემი პარალელური ჯგუფელი თათია შემიყვარდა...

— მერე? მასაც უყვარდით?

— ადამიანი საოცარი ფენომენია, რადგან საკუთარ თვალში „დირე გაყრილს“ სხვის თვალში წამწამის შემჩნევა არასდროს გაჭირვებია. ყოველთვის სხვისი მაკნინებელის ძიებაში არიან ადამიანები, რათა საკუთარი ტკივილი „შიგნით“ მიმალონ და სიავის ქმნით მოუშუშონ „მე“-ს იარები. ადამიანის გონებაში „სანთელი“ მხოლოდ მაშინ აინთება, თუ მასში სულგრძელობა კაცმოყვარეობის კოცონს დანთებს. ფრიადოსანი სტუდენტი ვიყავი, სპორტცმენობასაც მივყავი ხელი, წარმოგიდგენია, „ძიუ-დო“-ში უნივერსიტეტის ჩემპიონი გავხდი, მერე ქალაქის პირველობაზე ვერცხლის მედალს დავჯერდი. ყველაფერი თითქოს კალაპოტში ჩადგა. მაჭირვებლები აღარ მიშლიდნენ ნერვებს... ერთ საინტერესო მოვლენას მინდა გავუსვა ხაზი, მე არასოდეს არ მითქვამს: — „დედას გეფიცები“, არასოდეს დედა არ დამიფიცებია, რადგან ამდენმა დამცირებამ, აწ უკვე გადატანილმა შეურაცხყოფებმა ჩემში რაღაც „წაშალა“, ყოველ შემთხვევაში გააუფერულა. მე მხოლოდ „მამას გეფიცები“-ის, ვიძახდი...

— ბატონო ალექსანდრე, თქვენი შეყვარებული როგორი გოგო იყო? შეიძლება აღწეროთ?

— ჰმ, გთხოვ ხვალ გამომიარე, საუბრის სურვილი წამერთვა, გთხოვ...

და სად გინახავს საკუთარი „ციხე-სიმაგრის“ ამღები მეფე? „პატარა“ ადამიანების ცხოვრების წესი „გულს ვიხალისებთ დუხჭირი გვემით“... ვცდები?

ნაწილი 3

— დროულად მოსულხარ ჟურნალისტო.

— გამარჯობათ ბატონო ალექსანდრე.

— გამარჯობა სანდრო.

— მე ჩენი საუბრის სრული ვიდეო-ჩანაწერი მაქვს, წუხელი თავიდან ბოლომდე ვუყურე და ერთი უცნაური გრძნობა გამიჩნდა...

— რა გრძნობა?

— თითქოს „ადამიანთმცოდნეობის“ ლექციას მიტარებდით.

— საინტერესოა, ფრიად საინტერესო.

— თქვენი ნებართვით, ძალიან მინდა, რომ ჩემს სტატიაში თქვენი გამონათქვამები და აფორიზმები გამოვიყენო.

— კი ბატონო, მხოლოდ, მათ სწორედ გამოყენაბას მიაქციე ყურადღება.

— გაგელიმათ, ეს უკვე კარგია, მე ჯერ თქვენნაერი რესპოდენტი არ მყოლია.

— სად გინახავს საკუთარი ციხე-სიმაგრის ამღები მეფე?

— ვერ მივხვდი?

— მე, საკუთარ ისტორიას გულწრფელად გიამბობ, ეს არის ჩემი ციხესიმაგრე...

— ბატონო ალექსანდრე იქნებ განაგრძოთ თხრობა.

— კეთილი, კეთილი. მაშ ასე, უნივერსიტეტში უკვე ცნობილი სახე გავხდი, რამდენიმე სამეცნიერო კონკურსშიც მივიღე მონაწილეობა. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა ყურადღებას მაქცევდა... იცი, გოგოებსაც მოვწონდი. ალბათ მომხიბვლელი ჭაბუკი ვიყავი. „ცოდვა გამხელილი ჯობიაო“ და ვიტყვი, არა ერთხელ მისარგებლია ამ „პრივილეგიით“. საოცრებას მხოლოდ თათია წარმოაადგენდა. შინაგანად საოცარი ლტოლვა გამიჩნდა ამ გოგოს მიმართ. ვერ გეტყვი და ვერც აგიწერ იმ განცდას... მე ის მიყვარდა, მიყვარს და მთელი ჩემი სიცოცხლე მეყვარება....

— განაგრძეთ, მერე რა მოხდა?

— თვით მზეც არ არის უებრო, თავის ლაქებს სიკაშკაშის საბურველითა მალავს. ასე იყო ჩვენი ურთიერთობის დროსაც. მეოთხე კურსზე ვიყავი... მეტის მოთმენა აღარ შემეძლო და თათიას ხელი ვთხოვე. უნივერსიტეტის ბაღში დავუჩოქე და ჩვენი მეგობრების და სტუდენტების თვალწინ ვთხოვე ხელი...

— დიდებულია...

— ჰმ, გეთანხმები... სტუდენტებს და ლექტორებს სხვა სლაპარაკო, მთელი თვის განმავლობაში აღარაფერი ჰქონდათ...

— მერე?

— ჩემმა ოჯახმა დიდი სურპრიზი გამიკეთა. მამაჩემმა თბილისში ბინა გვიყიდა და დედაჩემმა საკუთარი საქორწინო ბეჭედი გაუკეთა ხელზე თათიას. უბედნიერესი კაცი ვიყავი ჩემო სანდრო. რძალ-დედამ-

თილის ურთიერთობა ბევრ დედა-შვილს შეშურდებოდა. ისევ აგორდა „ღვარძლის ბორბალი“, არამკითენი „ჩაერივნენ“ კეთილისმყოფლის მანტიაში „გამოპრანჭულნი“ და ცალკე დედაჩემს და ცალკე ჩემს სიდედრს უწამლავდნენ გონებას. რამდენიმე თვის შემდეგ აშკარად ვიგრძენი მძახლების არა სათანადო შეხვედრა. თათია ფეხმძიმედ იყო...

ბატონი ალექსანდრე დადუმდა. შემდეგ ფეხზე წამოდგა, პალატის სარკმელთან მივიდა, ასე, ცოტა ხანს გაჰყურებდა შორეთს. თავი ნერვიულად გადაიქნია... კაცს ნიკაპი აუკანკალდა...

— სანდრო, გთხოვ ცოტა ხნით გადი ოთახიდან, გემუდარები...

— მე შემიძლია რამით დაგეხმაროთ?

— კი, მაგრამ შენ ვერ შესძლებ...

— რას ვერ შევძლებ?

— რომ ტყვია დამახალო შუბლში, ცოტა ხნით გადი...

პალატა დავტოვე. უცნაური მღელვარება მიბპრობდა. კაცი, რომელიც აფორიზმებით, მეტაფორებით, ანდაზებით და კიდევ რაღაც საკუთარი პოეტური შეხედულებებით მესაუბრებოდა, ერთ საათში რადიკალურად შეიცვალა. რაღაცის შემეშინდა. თითქოს აღარ მინდოდა ინტერვიუს გაგრძელება, ან... მისი სიმართლის შემეშინდა. რაღაც საზარელი „სიმართლე“... ნახევარ საათში პალატის კარებზე დავაკაკუნე.

— მობრძანდი სანდრო. მომესმა ბატონი ალექსანდრეს ხმა. კარები შევაღე. ჩემი რესპოდენტი საწოლზე წამოწოლილიყო და წიგნს კითხულობდა. ალბათ გაოცება ამოიკითხა ჩემს თვალებში და წყნარი ხმით მითხრა:

— ნუ გიკვირს, გონების ყველაზე კარგი ექიმი წიგნია.

— რას კითხულობთ?

— „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

— კარგი წიგნია...

— გადამრევენ ეს მოხუცები, სულ ყველას „დოხტური“ შვილიშვილი უნდა რომ ჰყავდეს..

— კი, მასეა. შემდეგ რა მოხდა ბატონო ალექსანდრე?

— შემდეგ ბავშვი შეგვეძინა, გოგონა... თამრიკო დავარქვით, თამარ-ქალი... ულამაზესი ბავშვი იყო ჩემი გოგონა... იყო ჩემო სანდრო, იყო... ოთხი წლის რომ გახდა ბავშვმა ზნე იცვალა, ნერვიული, რა-

ღაცნაირი ფსიქიური აშლილობები დასჩემდა. ჩემი ცუგრუმელა გოგო თამაშის დროს გონებას კარგავდა და ეცემოდა... ექიმთა მთელი „არმია“ დავასიეთ, ვერავინ ვერ დასვა დიაგნოზი, ბოლოს ერთი ძველი და გამოცდილი ექიმი ჩავრიეთ, მან თქვა, რომ ეს უნიკალური დავადება შთამომავლობით გადადის და მისი განკურნება თანამედროვე მედიცინისთვის უდიდეს სირთულეს წარმოდგენს, ის პრაქტიკულად განუკურნებელია. ეს დაავადება ჩემს შთამომავლობაში არავის ჰქონია, ეჭვი თათიას შთამომავლობაზე დადგა...

— რა ერქვა ამ დაავადებას“

— ეპილეფსია...

— სამწუხაროა...

— ოჯახი აირია, ქალები მაქსიმალურად ცდილობდნენ ერთმანეთისგან დისტანციაზე ყოფილიყვნენ... გოგონა ხელში გვაკვდებოდა... თათია უკვე ცოცხლად დასტიროდა პირმშოს. ჯერი მამებზე მიდგა...

— იჩხუბეს?

— არა მეგობარო, არა. ორივე ოჯახის ტრაგედია ერთ ადამიანს უკავშირდებოდა და ერთ ადამიანში იყრიდა თავს...

— ვინ იყო ეს ადამიანი?

— თათიაც სუროგაციის გზით იყო მოვლენილი ამ ქვეყნად... მე და თათია და-ძმა ვიყავით...

პალატიდან გიჟივით გამოვარდი. რა მექნა არ ვიცოდი. საავადმყოფოს ეზოში ჰაერი ჩავისუნთქე, ვიფიქრე, ოდნავ მაინც განვიტვირთები და მერე დავბრუნდები მეთქი. ადამიანი, რომელმაც ამდენი სიავე გადაიტანა, ახალგაზრდა კაცმა დისერტაცია დაიცვა, მეცნიერებათა დოქტორი გახდა და ფაკულტეტზე ერთ-ერთ თვალსაჩინო ლექტორს წარმოადგენდა, უცებ... ეს წარმოუდგენელი იყო... უკან დავბრუნდი. პალატის კარები შევაღე. ბატონი ალექსანდრე საწოლზე წამოწოლილიყო და წიგნს კიხულობდა...

— და თქვა ფრანსუამ, — „ხვალე გაიგებს ჩემი კისერი, რამდენად მძიმეაო ჩემი გაავა“, სანდრო მისმინე, დღეს ყველაფერს მოუნახეს გამართლება ათასნაირი დოქტრინებით თუ „ფასეულობებით“, მაგრამ გახსოვდეს მარტივი შეგონება, რომელიც ჩვენ საზოგადოებას დამართეს კაცთმოძულე ადამიანებმა, მტერი უომრად დაგიმორჩილებს და მისი უფლებები შეგვახსენეს... განა ჩვენ უუფლებონი ვართ? განა ჩე-

მი შვილი სიცოცხლის უფლებააყრილი დაიბადა? განა მე და ჩემი და, ადამიანების კატეგორიას არ ვეკუთვნით?... მე და თათია გავშორდით როგორც ცოლ-ქმარი...

— იმ ქალს რა მოუვიდა?

— რა მოუვიდა? ვცემე, დაუნდობლად ვცემე... პოლიციამ დამაკავა... იმ ქალის დამცველებმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ რაში იყო საქმე მე დამადანაშაულეს და დღეს აქ ვარ... ჩემი სტუდენტებიც ამიმხედრეს და მე „კაცთმოძულეს“, ბოიკოტი გამომიცხადეს... თათიას მამამ თავი ჩამოიხრჩო, მამაჩემი კი...

— ღმერთო ჩემო!...

— სანდრო ხოსე მარტიმ ბრძანა: — „ყველაზე რთული პროფესია კაცობააო“, იმ ქალზე „იერიშის“ მიტანის მიზეზის გასაჯაროვებას ვერიდებოდი, ჯერ სიმთვრალე გავითამაშე, ხან რა და ხან რა, იცოდე, უთქმელი სიმართლე და უსახელო საფლავი, ერთი და იგივეა...

— წყალი შეიძლება?

— დალიე მეგობარო, ინებე.

წყალი დიდი ჩაის ჭიქით დავლე, ყელი მიშრებოდა, ვგრძნობდი რომ რაღაც „ბობოქარი“ ჩასახლდა ჩემში.

— სანდრო, გთხოვ ნუ დაწერ სტატიას ჩემი ისტორიის შესახებ, დაწერე ისე, რომ საზოგადოება დაცული იყოს „უღირსი“ თავისუფლებისგან, რომ „თავისუფალი“ მხოლოდ იუდა იყო და ამიტომაც „ამბორით“ გაყიდა უფალი. დაწერე, რომ დაიცვან ჩვენი შთამომავლები ჩემი ბიოლოგიური დედის მსგავსი ქალებისგან...

ბატონი ალექსანდრე უკვე ყვიროდა, გაშმაგებით აწყდებოდა ოთახის კედლებს...

— სანრო, საქმე კანონამდე როცა მიდის... იცოდე რაც უფრო ბევრია კანონი, მით უფრო მეტ უკანონობას და სიმდაბლეს ვაძლევთ პარპაშის უფლებას... დაწერე... დაწერე...

კაცი საწოლზე ჩამოჯდა, ცოტა ხანს მიყურა, შემდეგ წამოწვა და წიგნის კითხვა გნგრძო... ჩემი წასვლის დრო დადგა.

ნაწილი 4

მასმედიამ ერთი აჟიოტაჟი ატეხა ბატონ ალექსანდრესთან დაკავშირებით. ათასნაირი ეპითეტებით ამკობდნენ მის პიროვნებას, სი-

მართლეს გეტყვით, ხანდახან კარგი გამოხმაურებებიც გვხვდებოდა პრესის ფურცლებზე. ტელე-ეკრანებიდან უფლება-დამცველი, ვინმე ექსპერტი, დუჟმორეული ჰკიცხადა ბატონ ალექსანდრეს და მისთვის მეცნიერებათა დოქტორის წოდების ჩამორთმევასაც ითხოვდა. კიდევ, ვინ მოსთვლის რამდენი იყბედეს, დიახ იყბედეს რადგან თემა მიეცათ. ბატონი ალექსანდრე ხომ მაღალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი იყო...

საღამოს ჩემმა მეგობარმა პროკურორმა დამირეკა. მთხოვა, როგორც დამოუკიდებელი მედიის წევრი, სასამართლოში მივსულიყავი და სიუჟეტი მომემზადებინა, თან ჩემი აზრიც დამეფიქსირებინა. მივხვდი, უნივერსიტეტს არ სურდა მაღალი დონის სპეციალისტის დაკარგვა და აგორებული „შავი პიარი“, ინტელექტუალურ საზოგადოებას იოლად დასაძლევ თემად მიაჩნდა. დღის წესრიგში ორი განსხვავებული ზნეობის და ორი განსხვავებული მსოფმხედველობის საზოგადოების ჭიდილი იდგა. სასამართლო დარბაზში პირველად ვიყავი. საოცრად მთრგუნავი „ატმოსფერო“ მეჩვენა. როგორც ყოველთვის საქმის განხილვა „მოთელვით“ დაიწყო. პროკურატურამ დამსწრე საზოგადოებას საქმის მასალები გააცნო და მკაფიოდ გამოკვეთილი არგუმენტები მიაწოდა. ადვოკატთა „დუელი“, „ხელთათმანის გადაგდების“ გარეშე დაიწყო. ოოო, რა მკაცრი იყო „სუროგატი დედის“ დამცველი, გაკაპასებული ითხოვდა ბატონ ალექსანდრეს სამაგალითოდ დასჯას, რამეთუ მაღალი ინტელექტის და სოციალური მდგომარეობის ადამიანებს მეტი პასუხისმგებლობა და ტაქტის გამოჩენას ავალდებულებდა... გაუსაძლისი და დამამცირებელი იყო ყოველივე რაც იქ ითქვა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი ამდენი სიბილწის ნთხევას...

დამოუკიდებელ „მედიასაც“ მოგვცეს სიტყვის თქმის უფლება. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობა? ფეხზე დინჯად ავდექი და სასამართლოს კათედრის წინ მოწმეებისთვის განკუთვნილი სავარძლისკენ გავემართე. მიკვირდა ჩემი სიმშვიდე. თვალი „მსჯავრდებულისკენ“ გავაპარე... ბატონი ალექსანდრე დაჟინებული მიცქერდა, გაეღიმა... ისიც შევმჩნიე თუ რამდენი სითბო დარჩენილა მის „არსში“... და მე დავიწყე...

— მოგესალმებით პატივცემულო საზოგადოებავ, საინტერესოა რითი განვსაზღვრავთ პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის თუ

უდანაშაულობის განმსაზღვრელ მოტივს. ვხედავ გეღიმებათ ბატონო იურისტებო, მომიტევეთ თუ თქვენს „ენას“ ჯეროვნად ვერ ვფლობ. ჩვენი საზოგადოება დაავადებულია. „პირმცინარე“ ვირუსი, „თვალ-ცრემლიანი“, უკვდავების უფლებას ითხოვს და რას ვხედავ მე აქ?! დაბრძენებული ცინიზმი, იდეოლოგიური „მამა“ გამხდარა და „მჩაგ-ვრელ“ ჭეშმარიტებას, „ჩაგრულის“ უფლებებით ესაუბრება. განა ცოტაა სასჯელი რაც „სუროგატი“ დედისგან ერგო მსჯავრდებულს? განა არ გყოფნით ტრაგედიად, რომ შვილი, პირმშო, საკუთარი მა-მის ხელით ჩასვენდა სამუდამო განსასვენებელში? განა არ გყოფნით წყევლად, რომ უცნობმა ძმამ, უცნობი „და“, შეირთო ცოლად? თქვენ კი... თქვენ, ქალბატონო, ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ამ ტრაგედიის მიზეზი თქვენ ხართ? ხელი აღმართაო, ქალი სცემაო, დაჩაგრა, თურ-მე ღირსება ფეხქვეშ გაუთელავს მიუსაფარი დედაკაცისა, ასე თქვენ ბრძანებთ, მაშ იქნებ მითხრათ, დამნაშავე თუ არის კიდევ საძება-რი ამ ქალის გარდა? რიტორიკულ კითხვას დაგისვამთ, ეს ქალი „ნა-ხევრად სავსე“ დედაა თუ „ნახევრად ცარიელი“ მშობელი? არჩევანის უფლება, შეფასების სისწორე, ეს არის მთავარი, რადგან ჯანმრთელი სული შეიძლება გაანახევრო და ადამიანის გაბოროტებას მისცე და-საბამი, ცარიელი სულის საჭურჭლე კი, ბოროტებით შეავსო და „შვა“ ბოროტებად ადამიანი. იქნება ვცდები? მე არ ვიცი, რადგან ადამია-ნია ბოროტების სახიერება დედამიწაზე, მაშ რასა სჯით! თქვენ ბატო-ნებო?! პიროვნული ღირსებით აღსავსე ადამიანებს, რომლებიც სხვი-სი სულმოკლეობით, განახევრებული ღირსებით განაგრძობენ ყოფას, თუ ცარიელ საწყაულს, სანახევროდ, სულმოკლეობით რომ შეივსო სული, საჭურჭლე?!... „დუმილის „ოქრო“, ოცდაათ ვერცხლად შეი-ძინა სატანამ“... მოსამარლენო! ბატონო პროკურორ და მსჯავრმდე-ბელო! რად გეშინიათ უზნეოთა „ფერადოვნების“? თქვენ ხომ იცით თემიდა ბრმაა და მხოლოდ ესმის... მაშ მინდა გკითხოთ თქვენ, „სუ-როგატთა“ დიდო ამალავ, დროშებით ხელში რომ ყიჟინებთ პათოსს უცნაურს, მხარს თუ დაუჭერთ თქვენ, სიავის მდაბალ ზნეობას და ბოროტებას დაუმკვიდრებთ ტურფა სავანეს. „სიმართლე მოკვდა და ფერფლიდან აღსდგა მეძავი“, ვიცი გამკიცხავთ ამ სიტყვებისთვის, მაგრამ ამ ქალმა იცოდა თავისი უკურნებელი სენის შესახებ, მან იცოდა, რომ ეს დაავადება შთამომავლობითია და მაინც აიღო თავის

თავზე „დედობის“ ტვირთი, ეს თქვენც იცით, ნაირფერ დროშებქვეშ დარაზმულო მოყიჟენენო. ვის ესარჩლებით? მანდილოსანთან დამოკიდებულება ლამის რელიგიის დარი მცნებაა საქართველოში, მაშინ თქვენც, „ზოგიერთნო“! იქნებ თავადაც გაიზიაროთ პასუხისმგებლობა, „გულში ზიხართ და ყელში ნუ ამოხვალთ“, გახსოვთ ეს გამონათქვამი? მოსამართლენო! თქვენ თავად ხედავთ, რომ სიმართლის საძებნელად არ არიან მოსულნი... მე თავისუფალი ჟურნალისტი ვარ და დიდ იმედებს არ ვამყარებ, რომ აქედან გასვლის შემდეგ, მეც კათაკმეველთა „სიმართლის“, უზენაესობის დამთრგუნველად და „ძე შეცთომილად“ არ შემრაცხოთ საზოგადოების წინაშე. ბატონებო! ნუ მიუგებთ სასჯელს ბატონ ალექსანდრეს, რამე თუ, იმაზე მეტ სასჯელს, რაც უკვე უმართებულოდ ზღა ამ ადამიანმა, თქვენ ვერ მიუსჯით, ნურც იმ ქალს დასჯით, რადგან შიმშილმა სძლია და საკუთარი სხეული „პურის ტალონად“ გამოიყენა. ყველა დასჯილია, ყველაზე მეტად კი ინტელექტუალური ადამიანი, რომლის გონებაში მსგავსი ბოროტების წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო, „ზნედაცემულ“, ყბედთა საძმოა გამარჯვებული... ამ სიტყვების მნიშვნელობას თქვენ თავად მიხვდებით... ვის უნდა გამოუტანოთ განაჩენი ბატონო მოსამართლევ?! ან თქვენ მბრალმდებელო, საზოგადოებას როგორ უნდა შეხედოთ თვალებში? მე ჭეშმარიტი საზოგადოება მყავს მხედველობაში და არა კარგად დაფინანსებული „უზნეოთა ლეგიონი“... ადამიანში თუ მოკლავთ სიმაართლეს, მაშინ ზნეობა სისხლისგან დაიცლება, რადგან მწამს, „ლიბერალიზმი, სისხლისგან დაცლილი ზნეობაა“. ეხლა რაღა ვქნათ? ქალმა დაამარცხა მამაკაცი? თუ მამაკაცმა დაამრცხა ქალი? იქნება შეცდა დარვინი?... მე კიდევ ბევრი შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ მხოლოდ კანის მოთხოვნებს დაეყრდნობით, გამოიტანთ განაჩენს და ამიტომაც ჩემს საუბარს აზრი ეკარგება. მე მაქვს საშუალება ვრცელი სტატია დავწერო ამ საქმესთან დაკავშირებით, ტელევიზიითაც მიწევს გამოსვლა და ამ თემას, აუცილებლად გავაშუქებ, მაგრამ მხოლოდ თქვენმა გადაწყვეტილებამ უნდა მიკარნახოს ჩემი „პათოსი“... მადლობთ ყურადღებისთვის.

რამდენიმე წუთი დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მოსამართლემ ადვოკატებს საბოლოო სიტყვის უფლება მისცა და მოულდნელად სიტყვა სუროგატმა დედამ ითხოვა...

— ქალბატონებო და ბატონებო, მე სრულიად ვიზიარებ ჩემს მძიმე ხვედრს ვიყო შეჩვენებული საზოგადოების მიერ, რადგან მე ნამდვილად ვიცოდი ჩემი დაავადების შესახებ და მე, დიდი „გასამრჯელოს“გამო უარვყავი ყოველგვარი ზნეობრივი პრინციპები. მე არავითარი უფლება არ მაქვს ბრალი დავდო ჩემს „შვილებს“, ჩემდამი ასეთი დამოკიდებულების გამო... მე უკან გამაქვს ჩემი სარჩელი ბატონო მოსამართლევ, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სისტემა, რომელიც „სუროგატი“ დედების გენეოლოგიას შეისწავლის და ერთგვარ სისტემურ ხასიათს მისცემს ამ „სამსახურს“... ამაზე იზრუნეთ... მე მივმართავ ჩემს „შვილებს“, მე ტალახის ღირსი ვარ და „სირცხვილის ბოძზეა“ ჩემი ადგილი... მე კანონი ვერ დამსჯის, ანდა ამაზე მეტად კიდევ რითი უნდა დავისაჯო ნეტავ?

ის მოწყვეტით „დაეცა“ სკამზე. სრულიად განადგურებული და სასოწარკვეთილი ადამიანი ვიხილე მაშინ პირველად...

სასამართლომ ბატონი ალექსანდრე პასუხისმგებლობიდან გაანთავისუფლა, კათედრაზეც აღადგინეს, წილად მეც მხვდა მადლობა, ჩემი მეგობარი პროკურორისგან....

ბატონ ალექსანდრეს უნივერსიტეტის კიბეებთან შევხვდი. ამ ორიოდე თვეში, რაც საქმის განხილვას და სასამართლო პროცესებს დასჭირდა, „დაებერებინა“ კაცი...

— გამარჯობა ბატონო ალექსანდრე, როგორ ბრძანდებით?

— გამარჯობა მეგობარო, მიხარია შენი ხილვა, ნელ-ნელა ძალას ვიკრებ... დაოჯახებას უკვე ვერც მე და ვერ ჩემი „და“ ვეღარ შევძლებთ, ამიტომ... ამიტომ მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებზე დავიწყეთ ზრუნვა, ალბათ ბავშვებსაც ვიშვილებთ და... იცი კიდევ რა მინდა გითხრა, „ვაჟა-ფშაველა“, „აკაკი ბაქრაძე“, „ილია ჭავჭავაზე“ და კიდევ ჩვენი ერის მამების პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებები წაიკითხე, კარგად წაიკითხე... იცი გაბრიელ მარკესი ძალიან დიდია, მაგრამ გურამ დოჩანაშვილი მასზე მეტია, გეტყვი, ნუ იქნები „დონ კიხოტი“, რადგან ქვეყანა სარჩიმელიების სათარეშოა და მუშნის ზნეობის ადამიანები კი, ძალიან ცოტაა, არც თუთაშხიას ზნეობის და ფილოსოფიის მქონე ადამიანების პოვნაა იოლი... ბევრს გელაპარაკები... აგერ ჩემი „და“ მოდის, უნდა შევეგებო... ალბათ ორივეს ერთად უფრო გაგვიიოლდება ამ ცხოვრების „მძიმე ჯვრის“ ტარება, ვიდრე სასუფევლამდე... მადლობთ მეგობარო... ბედნიერებას ყვარებოდე უკუნისამდე...

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲐᲘᲜᲓᲘ

სუფრა ყალყზე დგებოდა. თამადა მადლიანი ქართულით, ბულ-ბულს სვამდა ჭიქაზე. ჩემი დედ-მამაც შემოგვესწრო, ისევ აიშალა სფრა, თამადამ მამაჩემი გვერდში მოისვა. დედამ პატარა ამანათი გადმომცა, — „დაბადების დღეს გილოცავ“, ღიმილით მითხრა შევერ-ცხლილმა დედამ და თან დააყოლა: — „გულით გიძღვნი და ხელიდან არ მოიშორო“. ჩემი ყალთაბანდი ვაჟი, საბუკა მიუცუცქდა გამზრდელ ბებიას. სუფრის რიტმს მივყვებოდი და შეზარხოშებულს ბებია და შვილიშვილის დიალოგი მომხვდა ყურს...

— ბეე, საათი გულით გაჩუქეო რატომ უთხარი მამიკოს?

— იმიტომ, რომ როცა აღარ ვიქნები, ეს საათი ჩემს თავს შეახ-სენებს...

— რატომ არ იქნებიი?

— როცა წავალ მერე... მერე... რომ აღარ ვიქნები...

— რომ წახვალ ისევ ხომ დაბრუნდები?

— მე სულ შენთან ვიქნები...

— მოკვდები?...

— ხო.. და მამიკოს ეს საათი ჩემს თავს მოაგონებს...

საბა ბებიის კალთიდან ჩამოვიდა, გვერდიდან მომიარა და კო-ლოფიდან საათი ამოიღო, ერთხანს უყურა, ხელში ატრიალებდა, „არ გაგივარდეს მამიკო“, ნაზად მივმართე, სიტყვა არ დამემთავრებინა, რომ საბამ საათი მძლავრად მოიქნია და კედელს მიანარცხა. ნამ-სხვრევებად ქცეულს ახლა ფეხი დაჰკრა, შემდეგ ნამსხვრევები აიღო და ჩემს გვერდით სუფრაზე დაყარა.

— ეს რა ჰქენი შე მამაძაღლო?

აღმომხდა გაბრაზებულს.

— რატომ ჰქენი მამიკო?

საბუკა დუმდა. პატარა ხელები დაემუშტა. ვაჟი ბრდღვიალა თვა-ლებით მიცქერდა. სტუმრები განაბულნი გვიყურებდნენ. ყურს არვინ უგდებდა ბებიის და დედის ქოთქოთს.

— ის საათი ბებიამ გულით გაჩუქა... ის საათი ბებოს დროს უთ-ვლიდა რომ ჩვენგან წავიდეს... რომ მოკვდეს... მე ის გვატეხე... და-

ვამტვრიე... ის ბებიას დროს ვეღარ დაუთვლის... ბებია ჩემთან დარჩება... ბებია ჩემია...

გული ამომიჯდა. ბავშვი ხელში ავიყვანე, საბას ცრემლები, ღაწვებზე ლავასავით მეღვრებოდა. ყველანი სდუმდნენ. თამადამ ჭიქა ასწია.

— ეს სადღეგრძელო, გაჩენის დღიდან, ჯერ არც ერთ თამადას არ შეუსვამს, დროის შემმუსვრელ ერთადერთ რაინდს, ქართველს, საბას გაუმარჯოს...

ყური აღარ მიგდია ვინ რას ამბობდა...

„მაპატიე მამიკო“, ჩამჩურჩულა ყურში შვილმა.

— „მადლობთ შვილო“.

ვუთხარი და ჩემი პირმშო გულში ჩავიკარი. ბავშვმა ხელები გამაშვებინა. „ბებომ დამაძინოსო“, წარმოთქვა და პატარა რაინდი ბებოს გულში ჩაეკრა.

ცხვარიჭამიაში...

მოჭიდავეები, ცხვარიჭამიაში, ბანაკში წაგვიყვანეს. მაშინ მეშვიდე კლასში ვიყავი. კარგად მახსოვს უმშვენიერეს ბუნებაში პატარა კოტეჯებით მოფანტული ბანაკის ტერიტორია. ერთ კოტეჯში მე და ჩემი ხუთი თანაგუნდელი დაგვაბინავეს. მაშინდელი წესებით, დილის ცხრა საათზე ხელპირდაბანილები, დილის საუზმეზე, სასადილოში უნდა გამოვცხადებულიყავით, მერე ცოტა ხანს გვასვენებდნენ და იწყებოდა ვარჯიში. კინოც გვქონდა. ცუდი ის იყო, რომ კინოში, სულ „დაჩეხილი“ ფილმები მოჰქონდათ, აქაო და ბავშვებმა „ცუდს“ არაფერს შეავლონ თვალი და არ გაირყვნენო.

ჩვენს ბანაკში, ცალკე მესერით შემოფარგლულ ტერიტორაზე, „ყრუ-მუნჯების“ რამდენიმე ლამაზი კოტეჯი იდგა. ბანაკის მედ-პუნქტიც იქ იყო გახსნილი. დილით მწვრთნელებმა გვითხრეს, — „ყრუ-მუნჯების“ ბანაკში ბავშვები ჩამოჰყავთ ბელორუსიიდან და ბანაკის ადმინისტრაციამ გვთხოვა თქვენმა ბიჭებმა არ შეგვარცხვინონო“. იმ დღეს „იკარუსით“ ჩამოიყვანეს ჩვენი ბელორუსი თანატოლები. სტუმარ-მასპინძლობა მოითხოვდა, რომ ორგანიზებულად დავხვედროდით და სტუმრებს ბარგის კოტეჯებამდე მიტანაში დავხმარებოდით. ჩვე-

ნი მისია წარმატებით შევასრულეთ. იმ დღეს ვარჯიშს ადრე მოვრ-ჩით. არ ვიცი რატომ, მაგრამ მეზობელი ბანაკისკენ გამიწია გულმა. მათ ტერიტორიაზე შევედი და იქვე სკვერში ცარიელ ბუნგალოში „და-ვიდე ბინა“. იქ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, გარდა იმი-სა, რომ თამაშის დროს ბავშვები სდუმდნენ. უცნაური შეგრძნება და-მეუფლა. ისინი ფერდაკარგულ ყვავილებს ჰგავდნენ, თითქოს მათი სურნელიც მიეტაცებინა „უცხოს“ და ეულად მიეტოვებინა უნაპირო ველზე. ისინი თვალებით, ჩემთვის გაუგებარი ხელის მოძრაობებით „ესუბრებოდნენ“ ერთმანეთს. ერთი გოგონა განცალკევებულიყო, სა-ხელდახელოდ შეჭედილ ფიცრის სკამზე მარტოდ იჯდა და მიწას დაჰ-ყურებდა. ხელში თოჯინა ეჭირა, სათამაშო, ეტყობა სიმარტოვეს უვ-სებდა, რადგან გოგონას „პლასტმასის მეგობარი“ გვერდზე მოესვა და მხოლოდ მდუმარედ თუ გადახედავდა „თანამოსუბრეს“. გავბედე და გოგონასთან მივედი. მივესალმე. — „გაგიმარჯოსო“, თავის დაკვრით მიპასუხა. ჩემი „ნაცოდვილარი“ რუსულით, თავი გავაცანი. გოგონა ხანდახან ამომხედავდა, მაკვირდებოდა, მშვიდი და საოცრად თბილი თვალებით მიმზერდა. ის თვალების ენით მესაუბრებოდა. შემდეგ პა-ტარაჩანთიდან უბის წიგნაკი ამოიღო. საწერ-კალამი მოიმარჯვა და დაწერა, „მე მქვია ელენა“. რუსული კითხვა საბედნიეროდ ვიცოდი. „მე გიორგი მქვია“, გავუღიმე მე. მე ვესაუბრებოდი, ის კი წერდა და ასე ავაწყეთ დიალოგი. მეორე დღეს, ვარჯიშის შემდეგ, კვლავ ვეს-ტუმრე ელენას, გასეირნება შევთავაზე, ხელებით „ამიხსნა“, რომ „ტე-რიტორიიდან გასვლის უფლება არა მაქვსო“. არ მინდოდა ბედს დავ-მორჩილებოდი, ელენას ხელი ჩავჭიდე და მათ პედაგოგთან მივედი, — „თუ ნებას დამრთავთ მინდორში გავისეირნებთ მეთქი“. პედაგოგ-მა გამიღიმა. ჩემთვის გაუგებარ „ენაზე“ ერთურთს რაღაც უთხრეს და გოგონამ გაიღიმა... იცით რა ლამაზი იყო ელენა? გასეირნების ნე-ბა დაგვრთეს. მინდვრის ყვავილებს ესმოდათ გოგონას ენა. ფეხებ-ში ებლანდებოდნენ, გარს ეკვროდნენ, ჭიამაიების და პეპლების ენაც იცოდა ელენამ, ფოთოლთ შრიალით აჟღერებული, ჩემთვის უცნობი მუსიკის ჰანგებზე ვალსს ეცეკვებოდა ბუნება, ყვავილთა „ხელებით“ ეფერებოდა მას. გვირილები დავკრიფეთ. ძალიან მინდოდა ყვავილე-ბისგან გვირგვინის დაწვნა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. გოგონას გაეღიმა, ჩემს ხელებს შეეხო და ჩემივე ხელის გულებზე ყვავილთა

გვირგვინი დამიწნა. საოცარი შეგრძნება დამეუფლა. გოგონა მიღიმოდა, მეც... ვუღიმოდი, ალბათ რა საცოდავი ვიყავი, არ ვიცოდი როგორ მოვქცეოდი ბუნებისგან გამეტებულ მშვენიერებას. მისივე დაწნული გვირგვნით თავი შევუმოსე, მხოლოდ ეს მოვიფქრე. ვუცქერდი, „რა ლამაზი ხარ ელენა“ დამარცვლით ვუთხარი და გავწითლდი, ალმური მომედო სახეზე. ელენამ მაკოცა... „მადლობთო“, მიპასუხა ჩემმა დედოფალმა.

ორი კვირა ყოველ დღე ვხვდებოდით ერთმანეთს. მწვრთნელმა შეჯიბრი დანიშნა. სპორტ-სკოლის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა უნდა გაერკვიათ მწვრთნელებს. ელენას შეჯიბრის წინა დღეს შევხვდი. მოწყენილი იყო, ჩემი „მდუმარე ოცნება“. შეჯიბრის შესახებ ვუთხარი. ისიც ვუთხარი, რომ „ხვალ ვერ შევხდებოდი, მწვრთნელები არ გამომიშვებდნენ, ზეგ შეჯიბრია...“. ელენამ დიდხანს მიყურა, მერე უბის წიგნაკი ამოიღო და „მითხრა“: „ზეგ სახლში ვბრუნდებით და შეიძლება ვეღარ გნახო“-ო. გადავირიე. რა მექნა აღარ ვიცოდი. ელენას სუსტ, გრძელ თითებს ვეფერებოდი, ერთი სული მქონდა გულში ჩამეკრა, მაგრამ ვერ ვბედავდი...

შეჯიბრი დაიწყო. აღარ მინდოდა ნაკრები, აღარც ჭიდაობა მიტაცებდა ფალავანს. ზეგ ელენა მიდიოდა და ალბათ ვეღარასდროს ვნახავდი. „სანამ მე დარბაზში ვიქნები ის წავა, სამუდამოდ წავა და... მე ის მიყვარს...“

ზაზას უნდა შევხვედროდი, ის ჩემზე უფროსიც იყო და ჩემზე ძლიერიც. ვიცოდი წავაგებდი და არ ვნერვიულობდი. ზაზამ თავის „ტორებში“ მომიხელთა... ერთიც და მთელი ძალით ტატამს დამახეთქა. დარბაზში საშინელი კივილი გაისმა... ტატამთან ელენა იდგა. მერე შებრუნდა და სირბილით მაყურებელთა რიგებისკენ გაიქცა. თვალი გავაყოლე, მეორე რიგში თავისი პედაგოგის წინ ჩაიჩოქა. ვერ გეტყვით ჩემში რა მოხდა, არც ის ვიცი, რა ძალა მოზღვავდა ჩემში, „ვაზარი“ ხელი ასწია მწვრთნელმა. ზაზასკენ ჯიქურ წავედი... რა ილეთი გავაკეთე დღემდე არ ვიცი, მხოლოდ ის მახსოვს რომ ზაზა ბეჭებით დავაკარი ლეიბს. ზაზა გაოგნებული მიყურებდა, მწვრთნელმა ორივე ხელი ასწია... შეხვედრა მოვიგე, მაგრამ... ფეხშიშველა გავიქეცი ელენასკენ, მივუახლოვდი, — „მიდიხარ?“ ვკითხე გულამომჯდარმა, — „კი“, მიპასუხა გოგომ. ახლოს მისვლას ვერ ვბედავდი, ვერც „დამშვი-

დობების“ უფლებას ვაძლევდი ჩემს თავს. გოგონა მიმიხვდა. მომიახლოვდა, ხელები წელზე მომხვია და სხეულზე მომეკრა. ხალხით სავსე დარბაზში სრული სიჩუმე სუფევდა... მხოლოდ ჩემი გულის ბაგაბუგი არღვევდა მდუმარებას.

— მიყვარხარ...

პირველად მაშინ ვთქვი ეს სიტყვა.

— „მეც“....

თვალებით მიპასუხა ელენამ.

ელენა წავიდა...

რატომღაც დღეს გამახსენდა ეს ისტორია და ის ფოტო მომაგონდა ერთად რომ გადავიღეთ მინდორში მე და ელენამ.

ძველი ფოტოების ალბომი გადმოვიღე და სურათს ძებნა დავუწყე ...

— რას ეძებ?

მკითხა მეუღლემ

— ერთ ფოტოს, ცხვარიჭამიაში მაქვს გადაღებული. ვუპასუხე მე.

ადრე ჩემს მეუღლეს ეს ისტორია მოვუყევი...

— გიორგი, ორმოცდაათი წლის ხარ და არ „ბერდები“...

— გინდა რომ დავბერდე?

— არა, არ მინდა, შენთან ისევ ოცი წლის გოგო მგონია საკუთარი თავი, მე მოვძებნი იმ სურათს... გპირდები, გულით მოვძებნი...

ალბათ მომიძებნის... რა დამაძინებს ამაღამ ელენა...

ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

(ეს ნაწარმოები მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და რეალობასთან არაფერი აქვს საერთო)

ჩემი მეგობარი მომიყვა ამ ისტორიას. გულწრფელი სინანულით იხსენებდა დეტალებს, საგამოძიებო მოქმედებების შესახებ თხრობისას, ხშირად ყოვნდებოდა და ამ ამბის გასაგრძელებლად შესაბამის სიტყვებს ეძებდა. ალბათ მთავარი მომქმედი პირის და საქმის მსვლელობისას გამოვლენილი სხვა პირების ვინაობის გამხელისგან

თავი შეიკავა. თითქმის ორი საათი მიყვებოდა ამ ისტორიას. სახეზე ნერვიულობისგან, ხან წამოწითლდებოდა, ხან უიმედოდ გადაიქნევდა თავს და სადღაც შორეთს გაჰყურებდა. მერე არაყი მოსვა. თითქოს კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას და თავდახრილმა გაბზარული ხმით მითხრა:

— მეგობარო, ეს რაც მოგიყევი ყველაფერი სიმართლეა, ბუნებრივია მე ვერ დავასახელებ იმ პირების ვინაობას ვინც საქმეში ფიგურირებდნენ, ვერც იმ ქალის ვინაობას გაგიმხელ... შენ ხომ მწერალი ხარ და ორიოდე გვერდი დაწერე ამ ადამიანის შესახებ, ან მოთხრობა მიუძღვენი მას. შენი ფანტაზია ჩააქსოვე. იცი, შენი საშუალებით ვალი მინდა მოვიხადო ამ ქალის წინაშე...

შემდეგ ჭიქაში არაყი დაისხა, ერთ ხანს ხელში აწვალებდა სასმისს და მერე თქვა: — „ნათელი დაგადგეს, წესიერებისგან უარყოფილო, კეთილშობილო ქალბატონო!“ — ჭიქა ერთბაშად გამოსცალა და ფეხზე წამოდგა. მე მიყურებდა. შემდეგ სადარბაზო კარებისკენ გაემართა. ჩემი სტუმარი წასვლას აპირებდა. მხოლოდ ერთი შეკითხვა დავუსვი მას:

— რა დავარქვა ამ მოთხრობას?

— ერთი ქალის ისტორია. მიპასუხა და სადარბაზოს კარი გაიხურა.

საწერ მაგიდასთან დავჯექი, ფურცლების დასტა გვერდით დავიდე და საწერ–კალამი მოვიმარჯვე. ვფიქრობდი თხრობა როგორ დამეწყო. იმ დღეს პირველ ფურცელზე მხოლოდ სათაური დავწერე:

„ერთი ქალის ისტორია“.

— ... კი შე, კაცო, რავა არ მახსოვს ეგ გოგო, ეგერ დიდი ჭადარი რომ დგია იქანა ცხოვრობდნენ... ახლა კედლებიღაა შემორჩენილი, გაძარცვეს იქაობა, კარ-ფანჯარა აღარ შეარჩინეს სახლს. ასე იციან, „პატრონი აღარა ჰყავსო“ და ქე ჰქნეს ეს უხიაგი საქმე იმ მამაძაღლებმა... შენ ვინ ხარ შვილო? ან იმ ოჯახის ამბავი რაზე იკითხე?

— მე მწერალი ვარ ძია კაცო, გავიგე ამ ოჯახის შესახებ და მაინტერესებს...

— კაია თუ გაინტერესებს, მარა სანამ ის გოგო დაიღუპებოდა, მანამდე რატომ არ დაინტერესდით შვილო?

— აბა რა გითხრათ? ამ ქალბატონის ისტორია, ერთმა ჩემმა მეგობარმა მომიყვა და მეც გადავწყვიტე უფრო დეტალურად გამეგო ყველაფერი ამ ოჯახის შესახებ.

— კი, კარგია, მოგეცა ლხენა, მაგრამ იცი რას გეტყვი?! სიკეთის ქმნა უჭირთ ადამიანებს, რადგან „გასცეს“ გამო, „მეტს რომ ვერ მიიღებს“, შიშით განზე დგომას ამჯობინებენ და შორიდან მოთვალთვალე მაკივარ ტურებს ემსგავსებიან სავალალოდ.

— თქვენ შეგიძლიათ ამ ოჯახის შესახებ მომიყვეთ?

— კი, რავა არ შემიძლია შე კაცო, ბიძა ვარ მე ანანოსი და რამაზისი, მათი ბებია დეიდა იყო ჩემი...

— მიამბეთ რაც გახსოვთ, გთხოვთ...

— კაი, მასე იყოს, წამოდი ჩემთან, ბუხართან ჩამოვჯდეთ და მოგიყვები რაც მახსოვს...

„იმ წელიწადს სკოლას ამთავრებდა ანანო, სოფლის თვალი იყო, მზეთუნახავი, საშუალო სიმაღლის, ოდნავ ტანსრული, მარგალიტებივით კბილებს შემოგანათებდა მომღიმარი, თაფლისფერი თვალები უღიმოდა, ხმაც რაღაცნაირი თბილი ჰქონდა გოგოს. ოჯახს, ბებია სიდონია უძღვებოდა. რუდუნებით ზრდიდა შვილიშვილებს. პატარა რამაზი ჯერ მეხუთე კლასში იყო, მაგრამ ოჯახში კაცობდა ვაჟი. მხოლოდ მაშინ „უჭირდა“ პატარა კაცს, როცა სკოლაში ცუდ ნიშანს მიიღებდა, გამზრდელი ბებიისგან დასჯა არ ასცდებოდა ხოლმე „ოჯახის უფროსს“. ანანო დედის მაგივრობას უწევდა ყმაწვილ კაცს, გულის სითბოთი ზრდიდა ძმას და ისიც თავისი „სიდარბაისლით“ პატივს მიაგებდა მოამაგე დას. ხშირად უნახავთ, სკოლიდან მომავალ ანანოს ვინმე აბეზარი ბიჭი თუ გამოეკიდებოდა, ჯოხით ან ქვით შეიარაღებული რამაზი, თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდა დის დასაცავად, ერთგული რაინდივით, ედგა მხარში დას, ისე, არც ქვის სროლას თაკილობდა „კაცი“, ანანოს ბევრ კლასელს უგემია რამაზის ნასროლი ქვის „გემო“და არც უფროსებისგან დაჩაგვრის შიში ჰქონია როდესმე, თუ საქმე დის დაცვაზე მიდგებოდა. სახლში კი, დის სიტყვას „ზურგს არ შეაქცევდა“ პატარა ვაჟკაცი, ხან მიეპარებოდა მძინარე ანანოს და ნაზად ჰკოცნიდა ლოყაზე...

ანანო ქუთაისში აპირებდა სწავლის გაგრძელებას. საგამოცდოდ გულმოდგინედ ემზადებოდა აბიტურიენტი.

ქუთაისში მეგობრებთან ერთად წავიდა ანანო. „ბავშვები ერთად გაიზარდნენ, ერთად ყოფნა უცხო ქალაქში გაუადვილებთ ცხოვრებას და გაუცხოვებისგან იხსნითო ერთდშეზრდილებს“, ალბათ ასე გადაწყვიტეს სხვა ბავშვების მშობლებმაც და მარტოები გაუშვეს... ერთი ამ ხალხის გამაგებინა რაიმე, ჯერ სკოლის მერხი არ ჰქონდათ დავიწყებული ბავშვებს და ასე უპატრონოდ რავა გაუშვეს უცხო ქალაქში ნეტავ?

ანანო გამოცდაზე ჩაიჭრა. სირცხვილეულად უკან დაბრუნება ითაკილა გოგომ და ერთ, თავის ნთესავს მიეკედლა, „ეგება სამსახური მაინც ვიშოვო, მერე ბინას ვიქირავებ და თანაც მომავალი წლისთვის საგამოცდოდ მოვემზადები“-ო. ასე იფიქრა ალბათ. კი, სამსახური უშოვნეს, დღისით სამკერვალო ფაბრიკაში მუშად მუშაობდა და დღეგამოშვებით საავადმყოფოში სანიტრად მოეწყო. ხელფასი იმდენი კი ჰქონდა, რომ საკუთარ თავს გამოკვებავდა და თუ ბინასაც იქირავებდა შიმშილით არ „მოკვდებოდა“. თანაც როგორც სანიტარს ავადმყოფების მომსახურეობაში ერთ-ორ კაპიკსაც ჩუქნიდნენ თავდგმურები. მეცადინეობით კი... მომზადებას ვეღარ ასწრებდა, საქმემ გადაიყოლა ახალგაზრდა ქალი. შემოდგომაზე იყო ამოსული სოფელში, ჩირივით იყო გამომხმარი. სოფლის ავტობუსს გამოჰყოლია გოგო, მშობლიური სანახების დანახვამ გული აუჩქროლა ქალიშვილს.რამდენიმე თვეა, ფეხი არ დაუდგამს აქაურობას, მონატრების „ხვაშიადმა“ აუფორიაქა სული....

— ბებიااااა... შორიდან დაუძახა ეზოში მოფუსფუსე მოხუცს შვილიშვილმა. მოხუცმა ხელით მოიჩრდილა, ნათელმა გადაჰკრა სახეზე...

— შენ შემოგევლოს ბებია, როგორც იქნა ჩამოხვედი შვილო ?!...

„იმ საღამოს სიდონიას ოჯახში ვიქეიფეთ, სუფრას თავს ანანო დასტრიალებდა... რამაზი კაცივით გვერდში გვეჯდა...

ეხ, ეხ, ეხ, ნეტავი არ ჩამოსულიყო მაშინ...

— რატომ ბატონო? ვიკითხე გაკვირვებულმა.

— სოფელში ერთი ჩვენი მეზობლის ნათესავი, ახალგაზრდა კაცი სტუმრობდა. იცოცხლე კარგი დარბაისელი საუბარი იცოდა იმან და ვერც ქცევაში დასდებდი წუნს, ხოდა მოეწონა ეს ჩვენი ანანო...

— მერე?

— მერე რა შვილო? ხომ იცი სოფელში რავარც ხდება, ჩეერია ხალხი და გაარიგეს საქმე. საცოდაობაში ჩავდგით ყველამ ფეხი.

თვრამეტი წლის გოგოს, ჯერ თვალებიც რომ არა აქვს „ახელილი“, ოჯახის ტვირთის ზიდვა „მიუსაჯეს“. ანანო კიდევ რამდენჯერმე იყო ამოსული სოფელში, ერთხელ, ის ჩემი ცოდვით სავსე, იმ ბიჭთან ერთად ამოვიდა მანქანით. ბედნიერება დასთამაშებდა სახეზე შეყვარებულ ქალს... „მალე ვიქორწინებთო“ ასე თქვა ოჯახში...

ჩემმა მასპინძელმა პაპიროსი ამოიღო ჯიბიდან, მუშტუკში „გაკვეხა“ და მძიმედ გააბოლა თამბაქო...

— შემდეგ რა მოხდა?

ვიკითხე მოუთმენლად.

— შემდეგ... შემდეგ რამდენიმე თვე აღარ ამოსულა სოფელში. ამბობდნენ დაოჯახდნენო, ზოგი იმასაც ამბობდა სოფელში აპირებენო ქორწილის გადახდას, ვისაც არ ეზარებოდა ყველას ეს თემა ეკერა პირზე. ზოგი უფრო შორს „წავიდა“ და „ანანოს საქმეს უკეთებენ ინსტიტუტში რომ ჩააბაროსო“.

მოკლედ, ანანო ფეხმძიმედ ყოფილა... იმ ბიჭს მიუტოვებია „საცოლე“ და წასულა. იქანა ნათესავებს აუთვალწუნებიათ, „ბუშის შემოყვანას ხომ არ გვიპირებო ოჯახში“. დაიბნა ახალგაზრდა ქალი. სამსახურშიც ალმაცერად დაუწყეს ყურება. მეგობრებმა ბავშვის მოშორება ურჩიეს, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. სოფელმა გაიგო ანანოს ამბავი, საცოდავი ბებიამისი სირცხვილით იწვოდა, მეზობლებს თვალებში ვერ უყურებდა... პატარა რამაზიც დაიჩაგრა, ვინ იცის რას არ უწოდებდნენ მის დას... რცხვენოდა ბიჭს, ტოლ-მეგობრებიც თავს არიდებდნენ თავმოყვარე „კაცს“. ანანო სამშობიაროში დააწვინეს, მხოლოდ რამდენიმე ბავშვობის მეგობარი თუ მოიკითხავდა მშობიარეს. პატარა გოგონა შობა, დედობა არ გახარებია გოგოს, ან იქნებ უხაროდა... ვინ იცის...

— იმ ბავშვის მამამ გაიგო?

ვკითხე ჩემს მოამბეს.

— კი, გაიგო.

იქედნურად გაეღიმა ჩემს თანამოსაუბრეს.

— გაიგო და... მშობლებთან და პოლიციელთან ერთად მიადგა ახალნამშობიარებ ქალს, რაღა ბევრი გავაგრძელო, ანანოს ბავშვის გაშვილება შესთავაზეს...

— მერე?

— მერე... ის პოლიციელი დაემუქრა თურმე, „ოჯახის არევას არ გაპატიებთო, ციხეში ამოგალპობო მეძაობისთვის“-ო, დააშინეს ასული და... ისიც დათანხმდა.

— გააშვილა ბავშვი?

— ხო, გააშვილა... ფული კი ბლომად მისცეს... ანანო სოფელში ამოვიდა, ერთ დროს სანაქებო ასულს თანასოფლელები ალმაცერად უყურებდნენ, ძმამაც არ მიიღო გამზრდელი და... ანანო ორიოდე კვირა დარჩა სახლში და ისევ გაემგზავრა, სოფელში არავის არ სურდა მასთან ურთიერთობა, ქუთაისშიც აღარ დაედგომებოდა, ალმაცერად უყურებდნენ ძველი ნაცნობ-მეგობრები, „შვილი გაყიდაო ნაძირალამ“ ზურგს უკან ქირქილებდნენ მავანნი. ამჯერად თბილისში გასწია გოგომ, ფული კი ჰქონდა, ბლომად ჰქონდა.

* * *

ვაგზლის ბაზრობა, როგორც ყოველთვის დილის შვიდი საათიდან უკვე გუგუნებდა. დისტრიბუტორები, მებითუმეები, მყიდველ-გამყიდველები. უსაშველო ქაოსი, ერთ ლოგიკურ ჭეშმარიტებას, ფულის შოვნას ემსახურებოდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ მთავარი კრიტერიუმი შოვნაა, ხო, მხოლოდ ფულის შოვნა. რაიონებიდან ჩამოსული ვაჭრები ბითუმად ყიდულობდნენ საქონელს. ფასსზე მორიგება დიპლომატიის „ევერსტამდე“ იყო ასული. ესეც ხომ ხელოვნებაა? მაღაზიების და საწყობების რიგი, ქუჩის ორივე მხარეს იყო „ჩალაგებული“, უმეტესობა შერეული საქონლით ვაჭრობდა, ხოლო ბაზარზე ფასების კანონმდებლები კი, ერთი მიმართულების, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ერთი, რომელიმე ფირმის პროდუქციის „მონოპოლისტები“ იყვნენ და კონკურენტები, ერთმანეთთან „საერთაშორისო სტანდარტების“ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. ქალბატონი ანანო უკვე სახელგანთქმული მებითუმე გახლდათ. ბაზრობაზე ტკბილეულის ბიზნესის ერთ-ერთი კორიფე გახლდათ და მის სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა. ამბობდნენ: „შვილმკვდარი დედააო, ქმარს გაშორებია, ვიღაც ნაძირალა ყოფილაო, და ეხლა მარტო ცხოვრობსო“, ზოგისთვის სულერთი იყო ამ ქალბატონის ისტორია, მხოლოდ მისგან მიღებული ჯამაგირი ან გამორჩენა აინტერესებდათ.

მდიდარი ქალი იყო ანანო. აგერ უკვე ათი წელია პირველობას არავის უთმობდა ქალბატონი. რამდენი „კაი ბიჭი“ გაუსტუმრებია ხელმოცარული და ბევრი „მაგარი ტიპისთვისაც“ დაუმტვრევია „რქები“.

ანანო თავის კაბინეტში იჯდა და რაღაცას ანგარიშობდა, ალბათ ბალანსს აკეთებდა ბიზნესვუმენი. ოფისის კარი გამყიდველმა შემოაღო:

— ანანო, ვიღაც სიმპათიური კაცია მოსული და შენ გკითხულობს...

— შემოუშვი.

მოკლედ მიუგო ქალმა გამყიდველს.

კაბინეტში საკმაოდ ელეგანტურად ჩაცმული, სიმპათიური მამაკაცი შემოვიდა.

— გამარჯობა ანანო.

— გამარჯობათ.

ზრდილობიანად მიესალმა ქალბატონი სტუმარს.

— არ მეგონა რომ ვერ მიცნობდი.

— მართლა? ვინ ბრძანდებით ბატონო?

— მე?... მე თქვენი შვილის მამა ვარ...

მორიდებული სიამაყით მიმართა მოსულმა.

— ხოო, გამახსენდი. გაზრდილხარ და დავაჟკაცებულხარ...

— სკამს არ შემომთავაზებ?

— დაჯექი...

— როგორ ხარ ანანო? ვხედავ დიდ საქმეებს შეჭიდებიხარ, ფულსაც კარგად შოულობ ალბათ.

— ეგ შენი საქმე არ არის, რისთვის მოხვედი?

— ფულისთვის...

— ვა�ა, არ გადამრიო? რა იყო? რა მოხდა?

— რატომ დამცინი ანანო?

— არ დაგცინი, მაინტერესებს რაში უნდა სჭირდებოდეს შენისთანა ადამიანს ფული?

— საქმისთვის მჭირდება.

— ეხლა მისმინე. აქ მეორედ მოსული აღარ გნახო შე სალახანა, თორემ ისეთ დღეს დაგაწევ შენი ცოდვით ქვა ბღაოდეს...

— ნამდვილი ბაზრის ქალის ტერმინებით საუბრობ, მაშინ კეთილშობილი ახალგაზრდა გოგო იყავი, ყველასთვის სანატრელი ასული...

— მერე? ის ასული შენ გენდო და რა მიიღო სანაცვლოთ?

— ანანო ძველ ისტორიებს ნუ გავიხსენებთ. მე შემიძლია მეგობრობა, ეხლა გთხოვ ფული მომეცი, ხუთი ათასი დოლარი მჭირდება და თავს დაგანებებ.

— ნუ დამანებებ...

გადაიხარხარა ანანომ, შემდეგ გარეთ მოფუსფუსე მუშებს გასძახა:

— ბიჭებო შემოდით!

კაბინეტში ორი ახალგაზრდა დაკუნთული კაცი შემოვიდა, სტუმარს მიესლმნენ და ანანოს მიაჩერდნენ. ქალის ღვარძლიანი ღიმილი პირველად იხილეს თანამშრომლებმა. ანანომ კბილებში გამოსცრა:

— ეს ნაძირალა აქედან გაათრიეთ და მეორედ აქ აღარ შემოუშვათ, შეასრულეთ!

ქალი კაბინეტში მარტო დარჩა. ცრემლები მოეძალა, მრავლის მნახველ ანანოს. ბევრმა წყალმა ჩაიარა მის ცხოვრებაში, ბევრჯერ კედლებს ახეთქებდა თავაწყვეტილი ცხოვრების დუჟმორეული სტიქია. დირექტორი ფეხზე წამოდგა, პატარა სარკმლიდან გადახედა თავის „სამფლობელოს“, რამდენიმე წუთი იქაურობა სულერთი გახდა მისთვის, საკუთარი თავის სიბრალულს ახლოს არ იკარებდა ბიზნეს-ვუმენი. ერთადერთი მესაიდუმლე შემორჩა ამ წლების განმავლობაში, ეს მისი დღიური გახლდათ. სწორედ ამ დღიურში წერდა ქალი თავისი განცდების, სიხარულის და მწუხარების შესახებ, მხოლოდ დღიურის ფურცლებს ანდობდა სანუკვარ ფიქრებს. „უსულო“ მეგობართან ისურვა „საუბარი“ ანანომ, მის სუფთა სხეულზე სურდა დაეწერა ცხოვრების უსამართლობა, მხოლოდ დღიური ეგულებოდა ქალს ერთგულ „მოსაუბრედ“, მხოლოდ მას ანდობდა თავს გადახდენილ უბედურებას და მარტოობის ვარამს...

— ეს ნაძირალა კიდევ მომაკითხავს, პასუხსაც საკადრისს მიიღებს, ჰმ, „ჩემი შვილის მამა“...

ქალმა დღიური გადაშალა...

„ქალი ხომ მცირე მოცულობის სამყაროა თავისი ფიქრებით, მტანჯველი, ხანაც ფერადოვანი ოცნებების საწყისი უალტერნატივო სამყარო! მაგრამ დგება სიცარიელე, გზა არსაით... მხოლოდ იმედი ბჭუტავს სიცარიელეში და მკვდარი იმედის ჭირისუფალიც სიცარიელეა

მხოლოდ. ვიღაცა იმედს არარსებულ საზოგადოებაში ეძებს, საკუთარი თავის გამართლების დასაყრდენს ილუზიაში წარმოსახავაში შექმნილ ზეგარდმო ძალების იმედად რჩება და ავიწყდება, რომ უსულგულო საზოგადოება სურგრძელობის მასწავლებლად ვერ გამოდგება. ქალი სიყვარულისთვის ისჯება მხოლოდ, ნურასდროს განსჯი ქალს ოცნებისთვის მეგობარო, ნურც დასცინებ და ნურც უარჰყოფ, რადგან ქალი ბედნიერების ენთუზიაზმის მშობელია...“

წერა შეაწყვეტინეს ანანოს. ფოსტალიონის მოსვლა ამცნეს დირექტორს. რამაზი წერდა დას... „ბებია ძალიან ცუდად არის, გთხოვ ჩამოუსწარი“. გულმა რეჩხი უყო მრავალ ნაცად ქალბატონს.

სოფელში დაბინდებისას ჩავიდა ანანო, ეზოს ჭიშკარი ღია დახვდა. მანქანა იქვე გომურის გვერდით დააყენა და სახლის კიბეებს შეუყვა გულდამძიმებული. თანასოფლელები და მეზობლები კიბის თავში შემოეგებნენ. ბებიის გარდაცვალებას უსამძიმრებდნენ, ზოგი ვალდებულების გამო და ზოგიც გულისთქმით. სახლში შევიდა ანანო. ბებიის უსულო სხეული სასახლეში ჩაესვენებინათ, რამაზი ჭირისუფლობდა და კიდევ რამდენიმე ნათესავი ქალი თავს დასტრიალებდა მიცვალებულს. გაოცებულები შეჰყურებდნენ ანანოს მოტრიალენი და მოტირალნი, კერპად ქცეულიყო მისი სახე, ცრემლის ნასახიც კი არ უკრთოდა თვალებში. მძიმედ მიუახლოვდა ცხედარს, დააცქერდა, შემდეგ დაიხარა და ბებიის გაციებული სხეული გულში ჩაიკრა, „მაპატიე, სიცოცხლე გაგიმწარე, მაპატიე ბებია“, უეცრად კივილი აღმოხდა და ცრემლი წასკდა. რამაზი დასთან მივიდა, მისი წამოყენება სცადა. ატირებული და, ბავშვივით ჩაიხუტა გულში და სავარძელთან მიიყვანა.

მეორე დღეს სოფლის მოქირქილე ქალები შორიდან ჭვრეტდნენ ანანოს, რას ჩურჩულებდნენ, ან რას „უქადაგებდნენ“ ნეტავ ერთმანეთს. ანანოს და რამაზის, ბავშვობის მეგობრები გვერდიდან არ სცილდებოდნენ, უსიტყვოდ კეთდებოდა საქმე.

— გამარჯობა ანანო, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას.

ნაცნობი ღუღუნა ხმა ჩაესმა თავდახრილ შაოსანს. თავი ასწია და წინ, მისი კლასელი ხვიჩა იდგა.

— მადლობთ ჩემო ხვიჩა დაფასებისთვის. როგორ ხარ? ცოლ-შვილი როგორ გყავს?

— მადლობთ. შვილები კარგად მყავს, ეგ არის მეუღლე გამშორდა შარშან...

— რატომ?

— საზღვარგარეთ წავიდნენ ქალები სამუშაოდ, ორი წლის თავზე წერილი მოიწერა აღარ მელოდოო, გავთხოვდიო. ორი ბავშვი მყავს, ბიჭი და გოგო. პატარები არიან ჯერ და მიჭირს მათი აღზრდა და მოვლა....

— თუ გეხმარებათ მაინც შენი ყოფილი ცოლი?

— წერილებს გვიგზავნის ხშირად.

გაეღიმა ხვიჩას.

— ისე შენ არ შეცვლილხარ, ისეთივე ცქრიალა გოგო ხარ სკოლიდან რომ მახსოვს ისეთი. ახლა წავედი მე, ბოდიში რომ შეგაწუხე საუბრით.

— ხვიჩა, რაღაც მინდა გთხოვო.

მიმართა ანანომ.

— გისნენ ანანო.

ანანომ საფულედან ფული ამოიღო და ჩუმად ჩაუდო ჯიბეში ხვიჩას, მერე სახე ყურთან ახლოს მიუწია და უთხრა:

— ბავშვებს უთხარი დედამ გამოგვიგზავნა თქო, უარი არ მითხრა გემუდარები,

ხვიჩა გაკვირვებული უმზერდა სიყრმის მეგობარს, შემდეგ მდუმარედ მიბრუნდა და წავიდა. კარებში გამავალმა მოიხედა, თბილი მადლიერი ღიმილით უმზერდა ანანოს.

ბებიას დაკრძალვიდან მესამე დღეს რამაზიმ და ანანომ მამისეული სახლის კარი გადარაზეს და თბილისში წავიდნენ.

დამ, ძმის მომავალზე დაიწყო ზრუნვა.

ანანოს დღიურიდან

„რა საცოდავია კანონებით ჩაქოლილი ჭეშმარიტება, რადგან ადამიანებს სჩვევიათ თავს უფლება მისცენ ერთდოულად იყვნენ მოსამართლენიც და ბრალმდებელნიც. ჩემი ცხოვრება სხვათა საქილიკო შეიქმნა, რადგან უკეთესი ვერა მოიფიქრეს რა, უნებლიე შეცდომა გახდა ჩემი პიროვნების მსაზღვრელი. ხშირად მისმენია

წარსულით მოამაყე ადამიანებისთვის და მივმხვდარვარ, რომ მხოლოდ წარსულით ისინი ამაყობენ, ვისაც აწყმოში საამაყო არაფერი აქვთ. მე ჩემი წარსულით ვერ ვიამაყებ, მე მხოლოდ აწყმოში ვცხოვრობ და მომავალს ჩემი ხელით ვჭედ, რადგან იმედის ნაბოძებ ბედნიერების ლატარეას უნდობლად ვეკიდები და მიმაჩნია, ბედნიერების საბადო არ არსებობს, რომ მოიპოვო, მისთვის უნდა იბრძოლო თავგამოდებით.

ხშირად მსჯიან ჩემი შეცდომების გამო, მე ვეთანხმები მათ, მაგრამ ვამბობ, შეცდომა მოქმედებას მოსდევს, ხოლო უმოქმედობა კი უკვე შეცდომაა.

რანი ვართ? ხშირად გონებას და გულს მირევს ეს შეკითხვა. მრავალი წლის შემდეგ მივხვდი უცილო ჭეშმარიტებას, ადამიანები, ადამიანებით თამაშობენ. პრიციპები კი მარტივი აქვთ, რადგან საკუთარი ბედნიერებით დაბრმავებული, სხვისი ტკივილის მიმართ ყრუა. კანონებიც ასეა ხშირად, რადგან კანონის დამცველის ფორმა უფორმო სულის ადამიანსაც აცვია.

ადამიანები სულიერი საზრდოს მიხედვით იყოფიან დიდ და პატარა ადამიანებად და რა მარტივია მათი ამოცნობა. ბევრჯერ წავქცეულვარ და წაქცეულს ჭკუის დამრიგებლების ნაკლებობა არ განმიცდია, მხოლოდ ეგ არის, ფეხზე დამყენებელი არ გამომდგარა არც ერთი.

ადამიანებს მრავალსახეობა გვიზიდავს და ამას გარდასახვის უნარს ვეძახით, ხოლო ერთსახიერება კი მოსაწყენია, ასევეა სიცრუე სიმართლესთან მიმართებაში. დიახ ასეთია ადამიანი ბუნება, ის მზად არის ყველაფერს მოუძებნოს გამამრთლებელი არგუმენტი გარდა სიმართლის აღიარებისა.

ჩემს თავს ყოველთვის ვარწმუნებ „არასოდეს შეგეშინდეს მომავლის, რადგან შიშს მორიელის თვისება აქვს, რითაც არ უნდა კვებო მაინც დაგკბენს“.

ხშირად მსმენია „ცხოვრება სკოლააო“, ასეა, ცხოვრება ერთგვარი სკოლაა, რომლის „გაკვეთილებსაც“ მუდმივად ვაცდენთ და „სწორად გადასადგმელ ნაბიჯებს“ შატალოზე გავეპარებით. ცხოვრებამ მასწავლა ადამიანში პიროვნება რაც უფრო „ღრმაა“ უფრო ნაკლებად „ხმაურობს“.

ანანომ მანქანა სახლთან, სადარბაზოს წინ გააჩერა. ბარგის ჩამოლაგებას შეუდგნენ და-ძმა. ოჯახის კარი გაუღო ერთადერთ ძვირფას ადამიანს ანანომ და უხაროდა, რომ უშურველად შეეძლო გულის სითბო ვინმესთვის მიეძღვნა. რამაზი მორცხვობდა, სოფელში გაზრდილი ახალგაზრდა კაცი ვერ ეგუებოდა ოთხ „კედელს“. ღამე, ახლად ჩაძინებულმა ანანომ მკაფიოდ იგრძნო, როგორც ბავშვობაში, ვიღაცამ აკოცა ლოყაზე და უკვე კარგად დავიწყებული, „მთავარანგელოზის მადლი შეგეწიოს ანუშკა“-ო ჩაესმა.

ანანო არ შემცდარა, თავისი „გაყიდული“ შვილის მამა ისევ გამოეცხადა. იმ დილით ძმასთან ერთად საწყობის აღწერას აწარმოებდა დირექტორი და მისი თანაშემწე, ძმა, გულმოდგინედ ეხმარებოდა მას. მუშებიც ფუსფუსებდნენ, გამყიდველები სექციონერების ფუნქციას ითავსებდნენ და მათდამი დაქვემდებარებული საქონლის ნაშთის დათვლას აწარმოებდნენ. საწყობის კარზე მოურიდებელი ბრახუნი გაისმა. ასე „დაკაკუნებას“ ვერავინ ბედავდა, ბაზრობის სტრუქტურის ყოველი წევრი კარგად აცნობიერებდა ანანოს ავტორიტეტის სიდიდეს. კარები მუშამ გააღო, გალეშილმა მთვრალმა გადმოაბიჯა ზღურბლს...

ჩხუბი სტუმარმა დაიწყო, პირველი დარტყმა რამაზმა მიიღო, მოწყვეტილი დაეცა ჭაბუკი. მერე მუშებისკენ გაიწია და აღარ გაუმართლა მოსულს...

გამოძახებულმა პოლიციამ ალიაქოთის ავტორი მანქანის უკანა სავარძელზე დასვა, ბორკილებ დადებული „მეამბოხე“ განყოფილებაში გააქანეს და შიდა კამერების ჩანაწერების ასლებიც წაიღეს.

ანანოს სერიოზული საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა, არავინ უწყის მისი „ყოფილი“, რომელი საზოგადოების წევრი იყო. ერთადერთი რისი გაგებაც სურდა ქალს, საკუთარი, აწ უკვე გაყიდული შვილის ასავალ-დასავალის გაგება სურდა მხოლოდ. საჩივრის დაწერაზე თავს იკავებდა, თავისი „ყოფილის“ მხარეს დაჰპირდა, თუ ბავშვის ადგილსამყოფელს გაუმხელდნენ საჩივრის დაწერისგან თავს შეიკავებდა და ამ ამბავსაც დაივიწყებდა სამუდამოდ. შედეგს ვერ მიაღწია... „არ ვიცითო“, შემოუთვალეს მათ. სასამართლოზე ბრალდებულის მხარემ „გაყიდული“ ბავშვის თემა წამოატივტივა. ეს მოიდო „ყოფილმა“ დებოშის ატეხვის მიზეზად. სასამართლო მოკვლევამ უკვე

ცალკე გამოძიება დაიწყო. ანანოს ნერვული შეტევების მთელი კასკადი დაატყდა თავს. მეძავს, ნაძირალა ქალს და ვინ იცის კიდევ რას არ ეძახდნენ. სოფლის დედაკაცებიც „მიეხმარნენ“ „ყოფილს“, „უნამუსო და გარყვნილი ქალი“, ასე ახასიათებდნენ დედაკაცები. მაღალ დონეზე იზრუნა „ყოფილის“ მხარემ და საქმეში იმ პერიოდის სამშობიაროს ექიმები ჩართეს, რომლებიც ბავშვის გაშვილებაში მონაწილეობდნენ. საბუთები ორიგინალების სახით წარედგინა ბრალდების მხარეს. გამოსავალი კი ამ სიტუაციიდან არ ჩანდა. ერთადერთი მოთხოვნა, რაც ანანომ წამოაყენა ბავშვის ადგილსამყოფელის დადგენა გახლდათ. სასამართლომ ბავშვის სასარგებლოდ და ჰუმანური მოსაზრებით, ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა. „ყოფილის“ მხარემ ფინანსურ თაღლითობაშიც დასდო ბრალი ანანოს. საქმე უკიდურესად დაიძაბა. ანანოს ციხე ემუქრებოდა. რამაზი ყველნაერად ცდილობდა დის დახმარებას მაგრამ რითი დაეწყო ან რა მომემოქმედებინა არ იცოდა.

— ბრალდების მხარე...

თავდაჯერებული ხმით ამეტყველდა სახელმწიფო ბრალმდებელი:

— მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმე უნდა დაბრუნდეს ძიებაში მისი დეტალურად შესწავლის გამო...

ბაზრობის „საზოგადოება“ ზიზღით უყურებდა ანანოს, ვაჭრობამ იკლო. ანანოს პარტნიორები უკვე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მათ მრავალწლიანი პარტნიორობის ისტორიას.

ანანოსთვის გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო. მას ან ყველაფერი უნდა დაეკარგა, ან... ვინ იცის...

საგამოძიებო მასალების მხედვით და დაკითხვის ოქმებიდან გამომდინარე, იქ ეწერა:

„ანანომ სასიყვარულო ურთიერთობა დაამყარა მამაკაცთან მისი შეცდენის და შესაბამისად შესაძლო ქონების გაყოფის მიზნით...

დაფეხმძიმდა გაურკვეველ ვითარებაში...

ფეხმძიმობის ავანტიურისტულად გამოყენება...

მამაკაცზე ფსიქოლოგიური ზეწოლა...

ბავშვის შესაძლო მამობაზე „ყოფილი“ პასუხისმგებლობას იხსნიდა იმ მოტივით რომ... და ასე შემდეგ...

ანანო სახლში. მისაღებ ოთახში სავარძელში იჯდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა... ნერვიულობდა...

„რა საოცარია ეს ცხოვრება და რა იოლია ადამიანის ავტორიტეტის შელახვა, მიუხედავად იმისა იმსახურებს თუ არა მას მავანი. საკმარისია ინტერესების მიზანმიმართული გამოყენება და ყველაფრის კადრება, მთავარია ყველაფერი იკადრო, რადგან ასეთი სახის „ბრძოლის“ მოსაგებად ყოველი ხერხი მისაღებია, მთავარია გამარჯვება და ამისთვის უკან დახევა დაუშვებელია. გამარჯვება ყოველთვის გამარჯვებაა და მისი მსაჯული დრო ვერ იქნება, რადგან დრო გამარჯვებულის ვინაობას აღიარებს და არა დამარცხებული მხარის მონაწილეთა სულისკვეთებას, რაოდენ პათეთიკურიც არ უნდა იყოს მათი ემოცია, დამარცხება ყოველთვის დამარცხებაა“.

— ანანო!

წყნარად წამოიწყო საუბარი რამაზიმ.

— იქნება შევხვდეთ იმათ. ადგილი თავად აირჩიონ, მათ ტერიტორიაზე დავგეგმოთ შეხვედრა, გვიგოთ რას მოითხოვენ ჩვენგან...

— ჩემო კარგო, მათ ფული და ჩემი ბიზნესის ხელში ჩაგდება სურთ, ბავშვის თემა მხოლოდ საშუალებაა ჩემზე ზეწოლის მოსახდენად...

კარზე ზარის ხმა გაისმა. კარი რამაზიმ გააღო. ოთახში უცნობი ახალგაზრდა კაცი და ანანოს ადვოკატი შემოვიდა. პროკურატურის გამომძიებლად გაეცნო უცნობი. საუბარი ადვოკატმა წამოიწყო:

— ანანო, ჩვენ ჩაგვივარდა ხელში დოკუმენტები, რომელიც ცხადყოფენ თქვენი „ყოფილის“ დანაშეულებრივ საქმიანობას, კერძოდ „რეკეტს“, იგი ფულის გამოძალვაში იყო ეჭვმიტანილი და საქმე თითქმის გამოუძიებლად დაიხურა, რადგან დაზარალებულმა საჩივარი უკან გაიტანა, ამ საქმეში პოლიციის კაპიტანი ფიგურირებს, რომლის გვარი თქვენ გაასაჯაროეთ სასამართლოზე. ის კაცი კანონშეუსაბამო მოქმედებების და თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო სამსახურიდან გაანთავისუფლეს. დღეს ის კაცი ვნახეთ და აი მისი ჩვენება თქვენი შვილის გაშვილებასთან დაკავშირებით. აქ სამშობიარო სახლის გინეკოლოგის ჩვენებაცაა, ხო მართლა, მათი ჩვენებები ფირზე გვაქვს ჩაწერილი მოწმეების თანხლებით...

— ბატონებო მე ის კაცი უნდა გავანადგურო, გესმით?! მან მთელი სიცოცხლე ჯოჯოხეთად მიქცია და ეხლა მე მსურს სამაგიერო გადაუხადო...

— მესმის თქვენი...

რბილი და სანდომიანი ხმით ამეტყველდა გამომძიებელი.

— ჩვენ ზედმიწევნით, დეტალურად შევისწავლეთ თქვენი საქმე და გთხოვთ უკიდურესობაში ნუ ჩავარდებით, ჩვენ მოვიგებთ, ანუ თქვენ მოიგებთ ამ საქმეს.

— დიდი მადლობა ბატონებო, მე რით შემიძლია მადლობა გადაგიხადოთ?

აცრემლბული, აკანკალებული ამეტყველდა ანანო.

— არაფრით, ოღონდ თქვენი ინიციატივით არაფერი მოიმოქმედოთ, შევთანხმდით?

დაეკითხა გამომძიებელი.

— როგორც მიბრძანებთ ბატონებო. მინდა გთხოვოთ, თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი დამემართება, რამაზის უპატრონეთ, ჩვენ ერთმანეთის მეტი არავინ გვყავს, გთხოვთ... მე მთელი ჩემი ბიზნესისა და საკუთრებაში არსებული ქონების თანამონილედ გავაფორმე კანონიერად. ჩემი შესძლო...

— ანანო დაწყნარდით, ყველაფერი მოწესრიგდება.

დააიმედა ადვოკატმა.

მამაკაცები წავიდნენ. ანანო ტიროდა. პირველად ხედავდა ძმა მოთქმით მოტირალ დას.

სასამართლომ ყველა პუნქტში გაამართლა ანანო. მისი დაცვა უპრეცედენტო სიზუსტით მოქმედებდა, მტკიცებულებები ყოველმხრივ ადასტურებდა მის უდანაშაულობას. ვერც ფინანსურმა პოლიციამ წარადგინა ვერავითარი დანაშაულის შემცველი დოკუმენტი. ანანო გამართლდა. ანანოს ადვოკატმა ცილისწამების მუხლით მოითხოვა საქმის აღძვრა „ყოფილის“ მიმართ.

ბაზრობის კეთილშობილმა საზოგადოებამ უკვე იცოდა სასამართლოში მომხდარი ამბების შესახებ...

— ანანო ჯიგარი ხარ!

სადღაც შორიდან სიხარულით ეძახდა თამბაქოს მებითუმე „კოლეგას“ და კიდევ ბევრი, ბევრი... სხვა მორბოდა, ქალს გამარჯვებას ულოცავდნენ, მხოლოდ რამაზი იდგა ცალკე და დის ბედნიერებით ტკბებოდა.

ეს ამბავი ორი წლის წინ მოხდა.

არავის აღარ შეუწუხებია და-ძმა. ალბათ ადამიანმა სერიოზული განსაცდელი უნდა გამოიაროს რომ თვანლათლივ დაინახოს სიმართლესა და სიცრუეს შორის მუდმივი მბორგავი „ფრონტის ხაზი“.

ანანო სახლში ყვავილებით ხელში დაბრუნდა. ბედნიერი ღიმილი უნათებდა სახეს ახალგაზრდა ქალს.

— რაღაც ძალიან გახარებული ხარ, მოხდა რამე?

ღიმილი შეაგება რამაზმა.

— ხო, ასეა ჩემო კარგო.

უპასუხა დამ და ხელზე მბზინავი ნიშნობის ბეჭედი დაანახა ძმას.

— არაფერი არ მკითხო, მე თავად გეტყვი, ლადომ ცოლობა მთხოვა, მეც დავთანხმდი. უკვე ხუთი წელია ერთმანეთს ვიცნობთ. ერთ სფეროში ვმუშაობთ და კარგად გვესმის ერთმანეთის. რამაზ, ეს ყველაფერი, ჩემი სახლ-კარი შენი საკუთრებაა ძმაო. ჩემი ბიზნესის დიდი წილი უკვე შენ გეკუთვნის და დააყენე საშველი იმ გოგოს, სანამ უნდა უგზავნო ვარდები? მოკიდე ხელი და მოიყვანე, კარგი გოგოა, მშრომელი, პატიოსან ოჯახშია გაზრდილი, გვერდში დაგიდგება და ოჯახს გაგიმშვენიერებს... თანაც მული არ შეხვდება „მზითვში“.

გადაიკისკისა ანანომ.

დაბნეული და გახარებული უმზერდა რამაზი დას.

რამაზიმაც აღარ დააყოვნა და შეყვარებულის მშობლებს გოგოს ხელი სთხოვა. ქორწილი დაინიშნა.

ჯვრისწერის დღეს განსაკუთრებით ლამაზად მოიკაზმა ანანო. საქმროს გვერდით დაუდგა საული. რამდენიმე დღეში მათი ქორწილიც უნდა გაემართა წყვილს, რამაზის ბედნიერებით ტკბებოდა და... ჯვარდაწერილი წყვილი ტაძრიდან გამოვიდა, მოლოცვების „კორიანტელი“ დააყენეს მაყრებმა...

მოულოდნელად რამაზის სხეულზე სისხლმა იფეთქა, პატარძლის კაბაც წითლად შეიღება, პატარძალი კიოდა... მხოლოდ რამდენიმე წამში ნიავმა „მოიტანა“ თოფის ქუხილის ხმა. იარაღ-მომარჯვებული იდგა „ყოფილი“. ცოტა ხანს უცქერდა სანახაობას, შემდეგ კი მანქანაში ჩაჯდა და დიდი სიჩქარით მოწყდა ადგილს.

— მხარშია დაჭრილი, გადარჩება... სიცოცხლისთვის საშიში არ არის...

შეშფოთებული ხმები ესმოდა ანანოს.

— რამაზ ხმა გამეცი!

მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა და ძმას.

— დაწყნარდი, მხოლოდ გამკაწრა, დამშვიდდი ანანო...

მთელი ძალისხმევა დასჭირდა კაცს გაღიმებისთვის.

ანანო მანქანისკენ გაიქცა. ძრავა ჩართო და მთელი სისწრაფით ადგილიდან მოსწყვიტა მანქანა. წითელი ჯიპი თავაწყვეტილი მიჰქროდა ტრასაზე, მოსახვევში გაუსწორდა წინ მიმავალ მანქანას და... კიდევ იქუხა იარაღმა, წინა საქარე მინა ჩაულეწა ანანოს ჯიპს ტყვიებმა. ანანომ მანქანა დიდი სიჩქარით დააჯახა „ყოფილის“ მერსედესს. მანქანიდან გადმოხტა ქალი. „ყოფილის“ მანქანასთან მიირბინა, მანქანიდან გადმოათრია და საკუთარ მანქანაში ჩასვა თითქმის გონმიხდილი კაცი. ისევ მიბრუნდა და მისი იარაღი აიღო. მოკლე ვინჩესტერი ეპყრა ხელში ქალს. ვაზნები მანქანის სალონში და ასფალტზე ეყარა. რამდენიმე აიღო ანანომ. ალბათ დემონიც პირჯვარს გადაიწერდა ანანოს მრისხანე სახის შემხედვარე. ანანომ თოფი გადატენა...

— რას შვრები შე ძუკნა.

ამეტყველდა „ყოფილი“.

— გინდა მომკლა? გინდა შენი ფურთხით შეთითხნილი ოჯახით გაიხარო? შენი შვილი თურქმა იშვილა... შენი დედაც... შე ძუკნა...

ალბათ კიდევ აპირებდა რაიმეს თქმას მამაკაცი... რამდენჯერმე იგრიალა ვინჩესტერმა. მამაკაცის უსულო სხეული მანქანის უკანა სავარძელს მიესვენა. ანანომ ისევ გადატენა იარაღი... მექორწილეთა მანქანები მოილტვოდნენ მისკენ, ძმაც დალანდა, მანქანიდან ხელს უქნევდა ნეფე...

— მე ის მოვკალი, მე ციხეში ჩამსვამენ... ციხე არ არის საჩემო ადგილი... ალბათ მხოლოდ ჩემი ძმის გაბედნიერება იყო ჩემი ხვედრი... მშვიდობით ნეფევ ბატონო...

მანქანა დაქოქა, საჭით ტრასისკენ მიმართა ავტომობილი და მთელი ძალით გააქანა ჯიპი. თავაწყვეტილი მიჰქროდა ანანო. მანქანა ორთაჭალჰესის სიახლოვეს გააჩერა, პირი მტკვრისკენ უქნა და დიდი სისწრაფით გააქანა მდინარისკენ... ჯიპმა მოაჯირი გაანგრია და ჰესის სიახლოვეს ჩავარდა... წყლის ხმაურში თოფის გასროლის ხმამ ძლივს მიაღწია სანაპირომდე...

წერას მოვრჩი, თავიდან გადავიკითხე ნამუშევარი და „ფინალი“ ვერ მოვძებნე გონებაში, როგორ დამემთავრებინა ნაწარმოები არ ვიცოდი, ჩემს მეგობარს დავურეკე, მას, ვინც მომიყვა ეს ისტორია, მოვიდა და ხარბად დაიწყო კითხვა... შემდეგ თავი ასწია და მითხრა:

— მადლობთ მეგობარო, კარგია, შენი „ანანო“ და „რამაზი“ ჩემი დეიდაშვილები არიან...

ერთი ყლუპი სიხარული

სკოლიდან მომავლებს ეკლესიის წინ უნდა გაგვევლო. ლამაზი ეკლესია გვაქვს უბანში. მერცხლის ბუდესავით პატარა და ოცნებასავით სანუკვარი. სკოლაში მიმავლები ეკლესიის წინ ვჩერდებოდით პირჯვარს გადავიწერდით და ისე ვაგრძელებდით გზას სკოლისკენ. ერთხელ ეკლესიის შესასვლელთან, სადაც ეკლესიის მრევლისგან მოწყალების მოლოდინში ორი მოხუცი ქალბატონი იჯდა, ერთი მამაკაცი შევნიშნეთ. ძველი დაკონკილი შარვალი ეცვა. ეტყობოდა მოწყალების სათხოვნელად იყო მოსული, მაგრამ სურვილის გამჟღავნებას ერიდებოდა. იმ დღეს წესისამებრ სკოლაში მიმავლებმა პირჯვარი გადავიწერეთ და ისე გავნაგრძეთ გზა. როგორც იქნა დამთავრდა გაკვეთილები, სახლისაკენ გულმოდგინე მარიფათით მივისწრაფოდით, მაგრამ... ეკლესიასთან საოცარი სურათის მოწმენი გავხდით. ის მამაკაცი მადლობას უხდიდა იმ ორ, სამოწყალოდ მჯდომ ქალბატონს და კიდევ ჩვენს დეკანოზს... ქალბატონებთან საუბარის ნაწყვეტს მოვკარით ყური, „ბატონო თქვენ ნუ იკადრებთ აქ დაჯდომას, მეომრის ადგილი არ არის მათხოვრების გვერდით, საღამოს მობრძანდით და ფული რამდენიც შეგვიგროვდება იქიდან გიწილადებთ, შვილიშვილებს როგორ უთხრათ ომის ვეტერანი სამოწყალოდ დაჯდა თქო ჩვენს გვერდით?!“

გამიკვირდა, პირველად გავიგე რომ მათხოვრები ფულს უწილადებდნენ ვინმეს, ან მეომარი რატომ უნდა მჯდარიყო მათხოვრად? იმ წუთში საოცრება მოხდა. უთქმელად, ვისაც რამდენი ფული გვქონდა ჯიბეში, მთლიანად იმ ორ ქალბატონს ჩავუყარეთ კალთაში... ვიღაც ჩვენმა სკოლელმა იკითხა: „პირდაპირ ამ ჯარისკაცისთვის მიგვეცაო ფული? იქვე, უფროს კლასელმა გოგომ პასუხიც მიაგო: „კაცია, მეო-

მარია და შეურაწყოფად არ მიიღოს, მერე რა, რომ უჭირს და ლუკმა პური ენატრება“. მაშინ თითქოს რაღაცას მივხვდი, მაგრამ ვერ აღვიქვი რეალურად რა ხდებოდა იქ... პირი გაუშრა ჯარისკაცს... ჩანთიდან წყლის ბითლი ამოვაცოცე და გავუწოდე... გამომართვა წყალი დალია და მითხრა: „ერთი ყლუპი ბედნიერების მადლი შეგეწიოს პატარა მეგობარო“-ო.

მეორე დღეს გავიგე, იმ ქალბატონებს მთელი ფული იმ ვეტერანი მეომრისთვის მიუციათ... ისიც გავიგეთ, რომ ჩვენი ტაძრის წინამძღვარს სტიქარი უბოძებია მისთვის და ტაძარში სტიქაროსნად დაუდგენია ომგადანახადი და რამდენჯერმე დაჭრილი მეომარი... საოცარია არა?

მამაოს უთქვამს:

„ყოველი მებრძოლი „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველია“, რადგან საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლების სამსხვერპლოზე მიაქვთ საკუთარი ნებით და ამით სიკვდილზე მაღლდებიან, რამეთუ მათი სახელის უკვდავყოფა ერის ვალია და ისე ადღეგრძელებენ ომში დაცემულთ, როგორც ცოცხლებს“.

იმ მეომრის სიტყვები დღესაც ჩამესმის ყურში, „ერთი ყლუპი ბედნიერების მადლი შეგეწიოსო პატარა მეგობარო“. ალბათ ყველაზე სანუკვარით დამლოცა მრავალ ჭირგადანახადმა.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲨᲘ

ჩვენს უბანში, სოლოლაკში მინდა დაგპატიჟოთ. იტალიურ ეზოს ეტყვიან, თორემ თბილისური მადლიანი ბუდე კი, ნამდვილად არის. ორსართულიანი შენობა ქვის ღობით შემოეღობათ და რკინის, ორნამენტებით დამშვენებული ჭიშკრისთვის მიუნდვიათ ეზოს დაცვა. ხო, მართლა, ამ ლითონის პირველ ბჭეს, ჩვენი ეზოს „რკინის ჯიგარს“ ეძახდნენ მეზობლები. ამ ჩვენი „რკინის ჯიგრის“ შიდა კედელზე, მორცხვი ბალღივით მეჯღანე ედიკას „ბუტკა“ იყო “ატუზული“. ეზოს სიღრმეში სამეზობლო ონკანი და დიდი მრგვალი მაგიდა ავსებდა სივრცეს. სამეზობლოს ნელ-ნელა, თხრობისას გაგაცნობთ. ასე რომ დავიწყოთ...

დილის ცხრა საათია, აგვისტოს ცხელი მზე ლაღად აფრქვევდა სითბოს დედამიწაზე, უბანი იღვიძებდა... „ბუტკასთან“ უკვე ფუსფუსია, ფეხსაცმელ-გახდილი, ცალ ფეხზე მდგარი კლიენტი, მეჯღანეს ეჩხუბება:

კლიენტი: — დროზე რა�ა, ქუსლი აქვს მომძვრალი ეს მამაძაღლი, ან დააჭედე, ან დააწეპე ჩამოვწყდი კაცი...

ედიკა: — მაიცა რა ჯიგარო, მომეცი საშუალება ეფექტიანად ვიმუშავო...

კლიენტი: — თუ ძმა ხარ დააჩქარე, ქორწილში მაგვიანდება...

ედიკა: — ვააა, შალახო უნდა იცეკვო?

კლიენტი: — ეგ შენი საქმე არ არის მე შალახოს ვიცეკვებ თუ ფოქსტროტს... ეგე, ის ლურსმანი ჩაარტყი უეჭველი დაიჭერს...

ედიკა: — ეგ ლურსმანი? ჯერ ერთი, ეგა, „პოლისაა“ და რომ ჩავარტყა შალახოს მაგივრად „ლებედინოე ოზეროს“ იცეკვებ იმ შენს ქორწილში, თანაც თითის წვერებზე...

კლიენტი: — ჩამოვწყდი კაცი... დროზე თუ ძმა ხარ...

ედიკა: — აჰა, ეგეც „ტუფლი“, ხუთი ლარი უნდა მაღარიჩი...

კლიენტი: — ხუთი ლარი? რა ბნელა?

ედიკა: — არა, ანთია, თანაც საბაზრო ეკონომიკაა...

კლიენტი: — აჰა, გამომართვი.

კლიენტი სწრაფად მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა მეჯღანეს და მის „ბუტკას“.

ეზოში ჩვენი მეზობელი დეიდა თამარი გამოჩნდა. თასზე ხორცის დიდი ნაჭერი დაედო და სამეზობლო ონკანისკენ მიემართებოდა.

ედიკა: — დეიდა თამარ, დილა მშვიდობისა...

დეიდა თამარი: — გამარჯობა ედიკ, დილიდანვე მუშაობ კაცო?

ედიკა — აბა რა ვქნა? ოჯახი ხრამია, რასაც შეიტან შენია, რაც არა დაკარგულია... თქვენც ადრე ამდგარხართ დეიდა თამარ... ვაა, ამოტოლა ხორცი?

დეიდა თამარი: — დღეს ჩემი ალექსანდრეს დაბადების დღეა, ოთხმოცი წლის შესრულდა...

ედიკა: — ... და ამას მიმალავდით?

დეიდა თამარი: — აბა როდისა ვმალავდი ედიკ?!

ედიკამ „ბუტკა“ სასწრაფოდ ჩარაზა, ეზოს ცენტრში დადგა და ერთი ხმამაღლა შეუძახა :

ედიკა: — ვისაცა გღვიძავთ და არ გამოხვიდეთ აივანზე...

პირველი ბატონი გიორგი გამობრძანდა აივანზე.

ბატონი გიორგი: — რა გაღრიალებს? თუ მამალი ხარ იყივლე მაინც...

ჩვენი ქურთი აბოც გამოვიდა ეზოში თვალების ფშვნეტით.

აბო: — რა იყოოო? მოხდა რამე?

მეორე სართულის ყველა მეზობელი გამოეფინა. ეზოს ყველაზე მხცოვანი მეზობელი ძია სანდროც გამობრძანდა აივანზე.

ძია სანდრო: — რა იყო ბიჭო? რა დაგვაფეთიანე? ხომ მშვიდობაა?

ედიკა: — პატივცემულო მეზობლებო, ზემო და ქვემო სართულის სათაყვანებელო ადამიანებო, დღეს ბატონ ალექსანდრეს დაბადების დღეა და გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ამ საზეიმო თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებში.

გიორგი: — აბა გვიქეიფია...

აბო: — ცოცხალი ჩემზეა...

ედიკა: — ჯიგარი ხარ „ნემო“.

„ნემო“, ეს სახელი ჩვენს აბოს მას მერე შეარქვეს, როცა თევზაობისას მტკვარში გადავარდა, თურმე აბო ბატონს ცურვა არა ცოდნია და წყალქვეშ ცურვით აპირებდა ნაპირზე გამოსვლას (ყოველ შემთხვევაში თავად ასე ამბობს). მეთევზეებმა „გაგუდული“ აბო ძლივს ამოათრიეს ნაპირზე. თვალი რომ გაახილა მისმა „მეთევზეთუხუცესობამ“, „ნემო ცოცხალიაო“, ერთხმად შეძახეს „კოლეგებმა“.

აგერ ჩვენი ეზოს „ინფორმ-ბიურო“ სესილიაც გაერია მარაქაში, ეზოს სახელდახელო სამზარეულოს რევიზია ჩაუტარა და...

სესილია: — რას დაყუდებულხართ ნეტავი? ედიკა აანთე გაზი, აბო, რას მიკარკლავ თვალებს? მიეხმარე... უიმე, უიმე, რავა დაჟანგებულებივით ირჯებით ეს ნაჯეილარი კაცები...

სესილია ახლა გიორგის მისწვდა...

სესილია: — გიორგი, ჩამოდი ახლა, შე მართლა რაჭველო დათვო, ბიჭო შეფ-პოვარი გქვია და რას იყურები შორიდან.

გიორგი: — სესილია, ჩეისუნთქე მაინც შე ქალო, არ მომაყარა ხოშკაკალასავით ამ შეჩენებულმა? მოვდივარ, ხოოო, გაჩუმდი ახლა.

სანამ ჩვენი მეზობლები დილის „ტუალეტს“ მორჩებიან, მინდა ჩვენი მეზობლები წარმოგიდგინოთ. ხო, მართლა, ედიკა და აბო უკვე გაგაცანით, სესილიაც წარმოგიდგინეთ, ძია გიორგი, ეზოს „ქეიფთაუნის შეფი“, ჩვენთან, ლხინსა და ჭირის სუფრა უიმისოდ არ ჩაივლიდა, მის ხაშლამას, ჩაქაფულს, შილას თუ მწვადს, ისეთ არომატს და გემოს ვერავინ ანიჭებდა, როგორც ჩვენი შეფი. ამიტომაც დღევანდელ სუფრას ძია გიორგის ხელოვნება ჩაალაზათებს.

მიხეილ კირილოვიჩი ყოფილი ავტოინსპექტორი, დღეს ტაქსის მძღოლი, ოოო, ღვინის დიდი დეგუსტატორი და თავად მეღვინე, იცით რატომ მოხსნეს ავტო ინსპექტორის თანამდებობიდან? ერთხელ სახაშიდან გამოსულ მძღოლს ჰკითხა: „ნასვამი ხომ არა ხარო?“, უარი რომ მიიღო, ამ ჩემი ცოდვით სავსემ, არც აცია არც აცხელა და იმ კაცს მიახალა: „ბორში გეჭამა არა სჯობდა?! „სტო გრამის გარეშე ხაში გაგიფუჭებიაო“. მძღოლი რაიკომის მდივნის ახლობელი აღმოჩნდა და... კირილოვიჩი იმ დღიდან „საზოგადოებრივ“ სამსახურში ჩადგა.

ეზოს ქურუმი, ანდრო რამიშვილი, ანუ „პაპა“, საუკუნის ცოცხალი მატიანე, მე-20 საუკუნის დასაწყისში დაბადებულს, 21-ე საუკუნეში უმტყუნეს თვალებმა“. უსათვალოდ ველარ ვკითხულობო“, ჩიოდა მოხუცი. სოლოლაკის პირველი თამადა-მასწავლებელი იყო ანდრო პაპა. პეტერბურგის და პარიზის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულ, მედიცინის მუშაკს, ორჯერ „დასდეს პატივი“ და 10 წლით „მიავლინეს“ ციმბირში ხალხის მტრის სტატუსით. რას იზამ? დრო იყო ასეთი. მსოფლიო მედიცინის ამ ცოცხალი ენციკლოპედიის შიშით, ვერც ერთი ვირუსი ჩვენს ეზოს ახლოს ვერ ეკარებოდა.

ხო, მართლა, დღევანდელი იუბილარის ალექსანდრე გიგაურის წარდგენა დამავიწყდა. ბატონი ალექსანდრე ჯერ გერმანელებს ებრძოდა ომის პირველივე დღეებიდანვე, მერე იაპონელებს მოუსინჯა კბილი ხან-ხინ-გოლზე, ავღანეთის ბრძოლებშიც მიიღო მონაწილეობა აწ უკვე გადამდგარმა პოლკოვნიკმა. ოღონდ ის აწუხებდა მოხუცს საკუთარ ქვეყანას რომ ვერაფერში გამოადგა. სიბერემ უწია რაინდს.

დეიდა თამარი განსაკუთრებული რუდუნებით შლიდა სუფრას, რომ მეუღლის იუბილესთვის ყველაფერი ჩინებულად ყოფილიყო.

ამ თხრობაში დროც გაგვპარვია, ეზოში უკვე ფუსფუსია...

ეზოს „ინფორ-ბიურო“, სესილია, ბატონ გიორგის მიჰკედლებია და...

სესილია: — ... ეს არის კარგ კერძებს ვაკეთებო?... ამას მარილი აკლია... ეს არის შენი ნაქები ხაშლამა?... ჯერ არ ჩაყარო დაფნა ლობიოში... უიმე, უიმე, მწვადი იწვება, დედა, დედა, სულ დანახშირდა... ჩქარა შე ტლანქო... ხოცავდი ხომ ხალხს შიმშილით?... შე კაცო, რავა კომბალივით იქნევ მაგ ჩამჩას...

ძია გიორგი: — ქალო, გეიწიე იქით, თვარა არ ვიცი რას მოგწევ იცოდე, არ გადამრია კაცი?

ახლა დეიდა თამარმა მიმართა გიორგის.

დეიდა თამარი: — გიორგი, მგონი წიწაკა აკლია „ოსტრში“.

ედიკა: — გიორგი, სესილიას ჩააყოფინე ენა და ეგ არი...

აბო: — ხომ არ გაგიჟდი? ენის წვერი მაინც გეთქვა...

შეშფოთებული სახით მიახალა აბომ.

სესილია: — თქვენ ხართ კაცები? თქვენ იცით ქალის პატივისცემა?

და გაბრაზებული სესილია ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ გაემართა.

ედიკა: — აბოჯან, მგონი ზედმეტი მოგვივიდა.

აბო: — ეხლა მაგას რა შემოირიგებს? სანამ მტკვრიდან „ნაუტილუს“ არ ამომაყვანინებს, მანამ ხმას არ გამცემს, ვაა... ტოოოო, ნაღდი „ინ ჭორ ხათუნია“ რააა...

„ინ ჭორ ხათუნი“, ეს ახალი სახელი სესილიას ნამდვილად არ მოეწონა, კიბეზე შეჩერდა, მობრუნდა, დოინჯი შემოიყარა და... უცბათ წამოიძახა:

სესილია: — აბო, შენი სახელი თუ იცი?

აბო: — არა.

აბომ შიშნარევი თვალებით გადახედა მეზობლებს და „განაჩენის“ მოსასმენად მოემზადა. სამეზობლო სულგანაბული შესცი‌ცინებდა სესილიას, რომელიც აივანზე გადმომდგარიყო და საკუთარ თავში პასუხს ეძებდა და უცბთ შესძახა:

სესილია: — იმპოტენტ რიბო ხვატჩიკ.

აბო: — ვერ გავიგე?

გიორგი: — რა ვერ გაიგე? ჯიგარო, კაპიტნობიდან იმპოტენტ ბრაკონიერობამდე ჩამოგალაბარანტეს.

ყველა იცინოდა აბოს გარდა, აივანიდან გამარჯვებული მხედართმთავარივით გადმოსცქეროდა ეზოს სესილია.

ედიკა: — ეგ რამდენი რუსული გცოდნია სესილია ჯან.

მიხეილ კირილოვიჩი: — ეგ რა არის, აი ჩვენთან ატეკაში...

ეზოში ქალბატონი სუსანა, ედიკას მეუღლე გამოჩნდა.

სუსანა: — კაი რაა, რა დროს ატეკაა? ვერა ხედავ რა პროგრესულ თემებზე მიდის საუბარი?

მიხეილ კ ირილოვიჩი: — რა იყო შე ქალო, რა რეკაშეტივით დამეტაკე? სიტყვაც აღარ ჩამაგდებინოთ...

სუსანა: — რა დროს სიტყვაა? მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახის ბიუჯეტი შენს ტაქსს შევალიეთ.

მიხეილ კირილოვიჩი: — რა ბიუჯეტი სუსანა?

სუსანა: — რა და ეგ შენი ტუფლები სატაქსაო ქალამნებად რომ აქციე, პადმოტკა-ნაბოიკას ვინ უკეთებს? ვინა და ჩემი გვრიტი...

მიხეილ კირილოვიჩი: — კარგად მოუარე, არ გაგიცივდეს, ალბათ მალე ჭიკჭიკს დაიწყებს.

ედიკა: — ეგ შენი საქმე არ არის მე ვიჭიკჭიკებ თუ ვიღუღუნებ.

აბო დაძაბულობის განმუხტვას შეეცადა და ძია ანდროს მიმართა:

აბო: — ძია ანდრო, მაგ გაზეთში რა სწერია ეგეთი, რომ ყურადღებასაც არ გვაქცევ?

ძია ანდრო: — ჰოოო, კარგს ვერაფერს გაიგებ, ბევრ უსიამოვნო ცნობას გვაწვდის პრესა, ან კარგი რა ხდება მსოფლიოში რომ სასიამოვნო ამბები დაწერონ?!

გიორგი: — ძია ანდრო, ერთი ჰოროსკოპში ნახე რა წერია...

ძია ანდრო: — ზოდიაქოს რომელ ნიშანს განეკუთვნები გიორგი?

აბომ ყველას დაასწრო და შესძახა:

აბო: — კურო ვარ ძია ანდრო.

მიხეილ კირილოვიჩი: — ესეიგი სახაშლამე მასალა ხომ?

აბო: — შენა ჯიგარო, მაგ ხაშლამისთვის არ მოგბოლტეს?

მიხეილ კირილოვიჩი: — ამის დედა ვატირე ეზოშიც რომ კომპრომატების მსხვერპლი გახდები საქმეა ესა? აბა ჩემი ზოდიაქო ნახეთ...

სესილია: — შენ რომელი ხარ?

მიხეილ კირილოვიჩი: — ქალწული...

გიორგი: — მდაა, მძიმე სურათია...

მიხეილ კირილოვიჩი: — ვითომ რატომაო?

გიორგი: — 50 წლისა ხარ და კიდევ ქალწული, ესე იგი „სტარაია ძევა“...

სესილია: — „ი კლიმაკს ნე ზა გარამი“...

მიხეილ კირილოვიჩი: — ვახ კაცოოო, მამაჩემს რა ვუთხარი, ჩემი დაპროექტება ან ცოტა ადრე დაეწყო, ან ცოტა გვიან, ოხ ჩემი ბედის დედა ვატირე რა�ა...

ძია ანდრო: — აბა რას ამბობ კაცო? სირცხვილია.

დიდა თამარი: — ძია ანდრო, ერთი გიორგის ჰოროსკპი ნახეთ...

სესილია: — ... ლომი...

ედიკა: — შენ რა იცი სესილია?

მიხეილ კირილოვიჩი: — ხო, ბიჭო და ეგეცა „სიმბა“ მყავს ონიდან...

გიორგი: — მე ვარ ლომი, ცხოველთა მეფე...

დეიდა თამარი: — გიორგი ფაუნაზე შთაბეჭდილებას ნუ დამაკარგვინებ.

გიორგი: — კარგით რა დეიდა თამარ, ედიკას აღარა ვჯობივარ, მაგ თხის რქასა მაგასა...

ედიკა: — მე ვარ რქა?

ონკანთან მდგარი სუსანა ქმარს გვერდში ამოუდგა და ომახიანად შეუტია გიორგის:

სუსანა: — ედიკ შენთანა ვარ, ჩემი ქმარი რქა კი არა რქიანია...

მთელი სამეზობლო იცინოდა სუსანას სიტყვებზე, თვითონ გაოცებული შეჰყურებდა მეზობლებს, მერე დაუფიქრდა ნათქვამს, ჩუმად მიტრიალდა და სახლში შევიდა. ედიკა ენა გადაყლაპულივით იჯდა.

ედიკა: — არ გამომიყვანა ანტილოპა, ამ შობელძაღლმა?!

აღმოხდა ედიკას და მომღიმარ მეზობლებს გადახედა.

ედიკა: — დეიდა თამარ, თქვენი ზოდიაქო ვინ არის?

დეიდა თამარი: — სასწორი...

ძია სანდრო: — ლამის თემიდა, ესე არ არის თამარ?

დეიდა თამარი: — ნეტავი თქვენ, მაგ სისულელეებისა რომ გჯერათ...

სესილია: — რატომ? რატომ? შეხედეთ ედიკას ორ კოპს, თქვენს წინაშეა „ანტილოპა სოლოლაკსკოვო კვარტალა“.

ედიკა: — ოხ, სუსანა შენი ჯიგარი დავხიე.

შემდეგ ცოლს გასძახა:

ედიკა: — შენ ვინ ხარ ქალო?

სუსანა სლუკუნით გამოვიდა გარეთ და ქმარს თითქმის მიატირა:

სუსანა: — დრაკონიიი...

ედიკა: — ხო ეგრე რა, იმიტომაცა მჭამ ცოცხლად რომ გაციებას არ მაცლი...

ედიკას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ეზოში ბატონი ალექსანდრე შემოვიდა.

მეზობლები: — იუბილარს ვახლავართ!

ერთხმად შესძახეს მეზობლებმა.

აბო: — კაცო სადა ხარ? შემოგევლოს ჩემი თავი.

იუბილარი მადლიერი თვალებით შესცქეროდა მეზობლებს.

გიორგი: — საზოგადოებას ვთხოვ სუფრასთან.

აბო: — ძია ალექსანდრე, შენს გვერდში დავჯდები, ხომ შეიძლება?

ალექსანდრე: — დაბრძანდი აბო, მადლობთ მეგობრებო პატივისცემისთვის.

ედიკა: — ძია ალექსანდრე, რატომ მადლობას იხდი? „შენი ღვაწლია, რამაც აქამდე მოაღწია, სოლოლაკი, ვერა, მთაწმინდა და რაც მტრისთვის წასართმევია“...

ალექსანდრე: — ეგეც მალე იქნება ჩემო ედიკ...

სესილია: — სუფრა ნაკურთხია?

გიორგი: — ქალო ნახევარი სუფრა გაანადგურე და ეხლა კითხულობ?

მიხეილ კირილოვიჩი: — აბა კაცო? რომ ჰკითხო დიეტაზე ვარო...

სესილია: — თქვე ლუკმაძვირებო...

სუსანა: — სესილია, ამათ უყურებ? თანაც გულთან მიგაქვს ?კარგი რა�ა...

გიორგი: — აბა თამადა ავირჩიოთ...

ალექსანდრე: — ანდრო, შენ გაუძეხი სუფრას, უკეთეს თამადას ვერც ინატრებს კაცი.

ძია ანდრო: — აბა შევავსოთ სასმისები.

მადლიანი კახური რაკრაკით ავსებდა ჭიქებს, თამადა ფეხზე წამოდგა, პირველი სადღეგრძელოს ასაწევად მოემზადა თამადა.

ძია ანდრო:

„დოქის ტუჩს მოსწყდა ღვინო ღიღინით
ფიალას ვავსებ, სულის საწყაულს
სიყვარულისთვის გაჩენილ სითხით
გონებას დავბან ბინდში გახვეულს
ვცხოვრობ მგონია არსებას ვგევარ
რა მინახია ნეტავ სახარი?
მუხლსაც მოვიყრი თავს დავხრი რიდით
თუ კი სინათლეს ვიხილავ კიდით
მთვრალი ვარ, მთვრალი ღვინით ნეტარი
ღვინოს წყურვილით ვეალერსები
ბაგით დავკოცნი ფიალის კიდეს
სიყვარულისთვის ვიტანჯო ოდეს
დოქის ტუჩს მოსწყდა ღვინო რუკრუკით
ფიალას ვივსებ ნეტარი სითხით
ღვინით დაალოცვილს შობისა დღიდან
გადღეგრძელოთ და დაგლოცოთ მინდა
მე თქვენ მიყვარხართ,იხაროთ მინდა.“

თქვენ გაგიმარჯოთ ჩემო მეზობლებო, დღევანდელი დღის მადლი შეგეწიოთ. ალავერდი შენთანა ვარ გიორგი.

გიორგი: — „ერთ ბუდეს შეკედლებულებს, დედა ბოძიც გვაქვს ზიარი. ჭირი გვაშოროს, ლხინისთვის, მარნის კარს უდის ჭრიალი“, ფუძის ანგელოზს დაგილოცავთ ჩემო ძვირფასებო.

ედიკა: — ვაა, კაცო, სად არის ეს ჩვენი ტვინცარიელი უბნის ინსპექტორი, სულ მეუბნება გაუნათლებელი ხარო. აი, ეხლა გარეთ უნდა გავიდე და ჭიშკარს უნდა მივაწერო რომა, აქ არის სუფრის აკადემია და მე კი კურსდასამთავრებელი სტუდენტი ვარ.

მიხეილ კირილოვიჩი: — მართალი ხარ ედიკ, ჩემო ძვირფასებო მე ერთი უპატრონოდ მიტოვებული კაცი ვარ, ცოლი მე არა მყავს და შვილი. ჩემი ოჯახი თქვენა ხართ. ხოდა, ეს ჩვენი ოჯახი მინდა ვადღეგრძელო, იხარეთ...

სესილია: — ეეე, ჩემო მიხეილ, ჩემი სათქმელიც ეგ არის, ვარ გამოკეტილი ჩემს სოროში. ჩემი სიხარული და ტკივილი თქვენ ხართ, ჩემო მეზობლებო, გთხოვთ ამიტანოთ ისეთი, როგორიც ვარ...

აბო: — ჩემო მიხეილ და ჩემო სეილია, ორივე ცალუღელა ებრძვით ამ წუთისოფელს, ბარემ ერთად გასწიეთ ჭაპანი არა სჯობია? თქვენ რას იტყვით მეზობლებო?

სუსანა: — ხოდა სუფრაც გაშლილია და ერთი ქორწილიც მივაყოლოთ, მართალს ვამბობ ედიკას მზემა...

დეიდა თამარი: — მიხეილ, დაფიქრდი, სესილია ქალო, არც შენ ხარ იმ ასაკში, რომ წუნიაბა დაიწყო, ერთად არ გაგიჭირდებათ.

სესილია: — ნუ სულელობთ, რა დროს ჩემი ეგეთებია?

აბო: — „ეგეთები“ რას მიქვია სესილია?

მიხეილ კირილოვიჩი: — ძალიან ნუ შეტოპავთ მეგობრებო, უხერხულია. სადღეგრძელოს გაუმარჯოს, იხარეთ.

ალექსანდრემ გიტარა მოიმარჯვა, შემდეგ მეუღლეს შესცინა და პირველი აკორდები აახმიანა. ნაზი ბუბუნა ხმით მღეროდა იუბილარი:

წვიმის წვეთებო, ფიფქებო თოვლის
შენ ცისარტყელავ მედრო შე უფლის,
ჯვარი დამწერეთ მე ჩემს რჩეულზე,
მე გვირგვინს დავწნავ ყოჩივარდებით,
ვარდებს დაგიფენ ფიანდაზებით,
ჯვარი დამწერეთ ჩემს დედოფალთან,
ჩემი ოცნების ერთადერთ ქალთან,
წვიმის წვეთებო, მირონო ზეცის,
შენ ცისარტყელავ,ფიქრებო ღმერთის,
ჯვარი დამწერეთ მე ჩემს რჩეულზე,
საკურთხეველთან მუხლმოყრით შეგთხოვ...

ალექსანდრე: — ეს სიმღერა პირველად ფრონტზე ვიმღერე...

დეიდა თამარი: — ანდრო ბატონო, ნება მიბოძე ჩემს მეუღლეს პირველმა მე მივულოცო იუბილე (დეიდა თამარმა ჭიქა ასწია). შენი დაბადების დღეა ალექსანდრე, ბევრი სიკეთე და სიხარული გვახსოვს ერთად, სიავე და ბოროტებაც უხვად იყო ჩვენს ცხოვრებაში. გმადლობთ მრავალი წლის სიყვარულისთვის და მომიტევე, თუ შესაბამისი

მეუღლეობა ვერ გაგიწია, იდღეგრძელე ჩემო სიცოცხლე (დეიდა თამარმა სასმისი სულმოუთქმელად გამოსცალა და დაჯდა).

ედიკა: — ჩემი სიტყვებით, თქვენ რომ გეკადრებათ ისეთ სადღეგრძელოს ვერ ვიტყვი. მე ვამბობ, ამაყი ვარ რომ თქვენი მეზობელი ვარ, რომ ერთად პური გვიჭამია და ერთი დოქიდან ღვინო დაგვისხამს, გაგიმარჯოთ ბატონო ალქსანდრე, დიდხან გვიცოცხლოს თქვენი თავი.

ძია ანდრო: — თამადის უწინ სადღეგრძელოს თქმა...?!

ედიკა: — ბოდიში ძია ანდრო.

ძია ანდრო: — ალექსანდრე, შენ ისეთი ცხოვრებით იცხოვრე, რომ შენნაირ ადამიანებს ღვთის რჩეულებს უწოდებენ და თუ ასეა, მე ჩვეულებრივ მოკვდავს, რა უფლება მაქვს ყივილა სადღეგრძელო გაკადრო. შენ ცხოვრობ ალექსანდრე, რაინდთა წესითა ცხოვრობ და მაქვს პატივი „გამარჯობა“ გითხრა.

ალექსანდრე: — ჩემო ანდრო, ედიკ, ჩემო მეზობლებო, ნუ გამაწითლებთ ამ ხნის კაცს, მე დღეს ჩემს შვილებს და შვილიშვილებს ველოდებოდი და იმედი მქონდა... ალბათ დაკავებულები არიან თავიანთ სამსახურებში. ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ასაკი მოგემატა და ერთ დღეს მოყვასისთვის „შემაწუხებელ ფენომენად“ გადაიქცევი, თუმცა მე მყავს მეუღლე, ჩემი „ერთ-სულ“ და „ერთ-ხორც“, ბედის ნებიერი ვარ ჩემო მეზობლებო, თორემ ასეთ მეუღლეს ჩემისთანა „ქართველ ბედუინს“ ვინ აღირსებდა?

ედიკა: — ბატონო ალექსანდრე, გკითხოთ მინდა, ეს ჩვენი სესილია რომ იძახის, „რა დროს ეგეთებიაო“, ეს ჩვენი კირილოვიჩი არც ბედუინია და არც მომთაბარე, ერთი მითხარით რას უწუნებს „სასიძოს“?

გიორგი: — სესილია, ოღონდ შენ „ეგეთებზე“ დათანხმდი და სუფრის გაახლება და პურმარილი ჩემზე იყოს.

აბო: — რაც მტკვარში ხრამული და მურწაა, სუფრაზე დაიდება, ალალი იყოს.

ედიკა: — საქორწილო „ტუფლები“, „ნატურალნი“ ტყავით, მე ვკისრულობ.

ძია ანდრო: — მიხეილ, ხმა ამოიღე კაცო.

სესილია: — რა ვქნა? წავიდე სახლში?

დეიდა თამარი: — სესილია იჯექი, ადგომა არც იფიქრო, იცოდე ძალიან მეწყინება.

მიხეილ კირილოვიჩი: — აბო, ჯიგარო და თქვენც ჩემო მეზობლებო, რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს ადამიანი, მარტოა მაინც... მარტოა, ერთია და მეტი არა...

ძია ანდრო: — გეთანხმები ჩემო მიხეილ, ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლის მერე, მეც დავრჩი „მხოლოდ ერთი და მეტი არა“.

გიორგი: — მეც ეგრე არა ვარ? მეუღლეს დავშორდი, შვილებიც მოკითხვის დეპეშასავით მიხსენებენ. რაც ძალი და არაქათი მქონდა ოჯახს და შვილებს შევალიე, მერე... ჩემს ყოფილ მეუღლეს ოჯახური სიტკბოსა და ბედნიერების გარდა ყველაფერი ახსოვდა, ფული, საჩუქრები, ჭორები, ჩემი მუდმივი კრიტიკა დაბალი შემოსავლის გამო, თავის ჯიბესქელ ძმას და მამას მადრიდა. სასამართლო წავაგე და შვილებთან ურთიერთობა მხოლოდ კვირაში ერთხელ შემიძლია, მე თვეში ერთხელ მივდივარ მათ სანახავად... როცა ხელფასს ავიღებ მაშინ. მერე მთელი თვე მშიერი ვაგდივარ, ერთი ლექსი გამახსენდა და წაგიკითხოთ მინდა:

სიბერეს ვთხოვე და რიდით გამიღიმა,
სიკვდილსა ვთხოვე და ხანი გამიგრძელა,
მზესა ვთხოვე და ნათელი დამიტოვა,
ცოლსა ვთხოვე და... თხოვნა აირიდა,
მთვარესა ვთხოვე და გზები გამინათა,
ვარსკვლავსა ვთხოვე და ოცნება გამინათა,
ღამესა ვთხოვე და სიჩუმე ახმიანდა,
შვილსა ვთხოვე და გზები ამიბლანდა
დედას ვთხოვე და სული გამიმრთელა,
მამას ვთხოვე და გული გამინათა,
დედას უთხოვია და თხოვნა უარმყვია,
მამას უთხოვია და ყურს იქით გამიშვია,
რად მიკვირს ნეტავი სასჯელი უცნაური,
ის რაც დამითესავს იგივე მომიმკია.

სესილია: — ძალიან მაჟორულ ნოტაზე გადახვედი ძვირფასო.

ძია გიორგი: — მდა�ა.... ქალს გააჩნია ჩემო გიორგი, ცოლი არსებობს რამდენიმე ნაირი, პირველი — მეორე ნახევარი, მეორე — გამანახევრებელი, მესამე — დამაქცევარი, მაგრამ ყველა არის მონა-პოვარი..

ედიკა: — ვააა, მონა პოვარი ? ესე იგი პოვრის პადდელნიკი? ეგრე არ არის?

აბო: — ჩემო სესილია და ჩემო მიხეილ, ყველა შაირი და ბითურობა იქით იყოს, მე რომ მიყურებთ ერთსიტყვიანი ანეგდოტივითა ვარ „დედისერთა ქურთი“, აგერ ამდენი წელია ერთადა ცხოვრებთ, ერთ ეზოში, ერთი კედელი გყოფთ ორივეს, ერთმანეთის სუნთქვა გესმით ჩვენი ფარღაღალა კედლების გადამკიდე და იქნება დროა ერთმანეთის გულის ცემასაც დაუგდოთ ყური?

სესილია: (გამოჯავრებით) — ხო ბიჭო და ერთბაშად ნიშნობის ბეჭედი არ ამოიღოს ჯიბიდან.

მიხეილ კირილოვიჩი: — სესილია, რა ქონების პატრონიც ვარ ხომ იცი, ჩემს ყველაზე დიდი საუნჯეს მე გულთან ვატარებ...

მიხეილმა საკინძე შეიხსნა და ოქროს ძეძკვზე აცმული ნიშნობის ბეჭედი ამოიღო...

სესილიას შეხედა, შემდეგ ერთი ამოისუნთქა და განაგრძო:

მიხეილ კირილოვიჩი: — ეს დედაჩემის ბეჭედია, მრავალგზის ნაკურთხი, ის ტრადიციულად ოჯახის დიასახლისზე გადადის მემკვიდრეობით...

მიხეილმა ბეჭედი სესილიას გაუწოდა...

მიხეილ კირილოვიჩი: — გამომართვი და მინდა გთხოვო, ხვალ დილით ან ბეჭედი დამიბრუნე, ან ბეჭდით დამიბრუნდი...

მიხეილ კირილოვიჩმა სესილიას ხელის გულზე ბეჭედი რუდუნებით ჩაუდო და მუჭი შეუკრა.

სუფრა დაიძაბა, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა, ყველანი სესილიას შესცქეროდნენ. სესილია სდუმდა, შემდეგ მძიმედ წამოდგა და სახლისკენ წავიდა, კიბეს მიუყვებოდა საპატარძლო, ბეჭდიანი ხელი ხალათის ჯიბეში ჩაეყო, უცბათ მობრუნდა, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, თავი შეიკავა, თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა, შებრუნდა და მძიმე ნაბიჯით კიბეს აუყვა.

ედიკა: — ეჰჰჰ, ტელევიზორი მაინც ჩავრთოთ გავიგოთ ქვეყანაზე რა ხდება. სუსანა ტელევიზორი გამოაგორე რააა...

გორგოლაჭებიან მაგიდაზე მდგარი ვებერთელა ტელევიზორი სუსანამ ეზოში გამოაგორა და ჩართო.

ძია ანდრო: — აბა, ჰეე... გავიგოთ ცის ქვეშეთის სიახლენი.

და ტელევიზორმაც დაიწყო: „გუშინ პარლამენტში მორიგი დებატები გაიმართა ოპოზიციასა და პოზიციას შორის, ეს ახალი ამბებია გამარჯობათ.“

აბო: — ვაიმე, ძალიან შორიდან დაიწყო, დავიღუპენით...

ალექსანდრე: — კაი რა აბო, ვერა ხედავ რა ფაფარაყრილი ლომებივით არიან, აცალე რა, გული მოიოხონ.

დეიდა თამარი: — ნეტავი მეორე სართულიდან როდის იქნება ახალი ამბები...

კირილოვიჩი მდუმარედ დაჰყურებდა მაგიდას, შემდეგ ღვინის დოქი აიღო და სასმისი შეავსო, ჭიქა ერთ ხანს ხელში ატრიალა, სულ მოუთქმელად გამოსცალა, ხელახლა აიღო დოქი...

გიორგი: — აღარ გინდა მიხეილ, არ გინდა...

სუსანა: — კაცებო! უკვე გვიანია, ნუღარ დალევთ...

ძია ანდრო: — წავალ წამოვწვები, ღამე მშვიდობისა მეზობლებო!

ალექსანდრე: — თამარ მე...

დეიდა თამარი: — წადი ალექსანდრე, მე სუფრას ავალაგებ.

სუსანა: — მარტო შენა თამარ? მეც აქ არა ვარ?

მოწმენდილ ცაზე მეხისგავარდნასავით გაისმა სესილიას ნამტირალევი ხმა:

სესილია: — მეც მოგეხმარებით.

ყველამ სესილიას მიაპყრო მზერა, კიბეზე ეშვებოდა, ხელზე ნიშნობის ბეჭედი უბზინავდა პატარძალს.

ზღაპარი ძილის წინ

— დეე, ზღაპარი მოგვიყევი რაა...

შეეხვეწა საწოლზე წამომჯდარი პატარა სანდრო დედას.

— მოგვიკევი ლაა, გულში გეხვეწებიიიი...

ლოგინიდან თავი წამოყო სესილიკომაც და დედიკომ დაიწყო...

— იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი უშიშარი რაინდი. მისი ბადალი იმ ქალაქში არავინ იყო. რაინდი ძალიან ჭკვიანი და კეთილი კაცი იყო, მისი სიბრძნე დ მამაცობა იმ სამეფოში ყველას პირზე ეკერა, ამიტომ ცუდი ძიები ვერ ბედავდნენ ქალაქში შემოსვლას, რადგან რაინდისა ძალიან ეშინოდათ. ერთხელ ჩვენი რაინდი ტყეში სეირნობდა და უცბათ, „მიშველეეთ, მიშველეეეთ“... განწირული ხმით მშელელს უხმობდა ვიღაც. რაინდმა ცხენი მოატრიალა და იქით გაეშურა საიდანაც ხმა მოდიოდა. დაინახა რომ ცუდ ძიებს ლამაზი გოგო დაუჭერიათ და აბრაზებდნენ. რაინდი გაუბრაზდა ცუდ ძიებს — „ეხლავე დაანებეთ თავი გოგონას თორემ თავებს დაგაყრევინებთო“. ცუდმა ძიებმა გოგოს თავი დაანებეს და ხმლები იშიშვლეს და რაინდს უთხრეს: „ვერ მოგვერევი სიკეთის მთესველო რაინდო ჩვენ ბევრნი ვართ და დაგამარცხებთო“. რაინდმაც იშიშვლა ხმალი და გაჩაღდა ბრძოლა. ლომივით იბრძოდა ჩვენი რაინდი, მაგრამ ცუდი ძიები ბევრნი იყვნენ და უჭირდა მათთან გამკლავება. გოგონა კი ხეს ამოფარებული შეშინებული უყურებდა ბრძოლას. სიკეთის მთესველმა რაინდმა ყველა დაამარცხა, მაგრამ ერთმა ცუდმა ძიამ დანა ჩასცა ზურგში რაინდს, ცხენზე შეტორტმანდა რაინდი, ძალიან ეტკინა, მაგრამ იმ ყაჩაღსაც მოერია და გააგდო. ცხენზე თავს ძლივს იმაგრაბდა დაჭრილი. გოგონამ ეს რომ დაინახა, მივარდა რაინდთან და ცხენიდან ჩამოსვლაში მიეხმარა. იქვე ხის ძირას დააწვინა....

— საავადმყოფოში ვერ წაიყვანეს? იქ ხომ მოუვლიდნენ და მოარჩენდნენ?!

ამოიგმინა თვალცრემლიანმა სანდრომ.

— სასწრაფო გამოიძახეს?

სლუკუნებდა სესილიკო.

— რაინდი მოკვდაااااა?

— არა.

განაგრძო თხრობა დედიკომ.

— გოგონამ თავსაფარი მოიხსნა და რაინდს ჭრილობა შეუხვია, ამ დროს სასწრაფოც მოვიდა და დაჭრილი რაინდი საავადმყოფოში წაიყვანეს....

— დეეე, მაშინ საავადმყოფოები იყო?

იკითხა სანდრომ.

— ხო დედიკო, იყო, აბა რაა, ადამიანი ცუდად რომ გახდებოდა აბა რა უნდა ექნათ? გავნაგრძო?

— კიიიიი...

აჭიკჭიკდა სესილიკო

— რაინდი გონებას კარგავდა, ძალიან სტკიოდა ჭრილობა, გოგონა კი ტიროდა, არ იცოდა რითი ეშველა მხსნელისთვის. საავადმყოფოში ჭრილობა მობანეს და შეუხვიეს, მოუარეს, ისე როგორც საჭირო იყო. გოგონა დაჩოქილი ლოცულობდა, „ღმერთო! რაინდი გადაარჩინე და მე დამსაჯეო“. მერე რაინდთან მივიდა, ცრემლებით ჭრილობა მობანა და აკოცა. მერე იცით რა მოხდა? ჭრილობა გაქრა. რაინდმა თვალები გაახილა და ულამაზეს გოგონას შეხედა. გოგონა დიდი ბრდღვიალა თვალებით უყურებდა რაინდს.

— ხელი მოხვია გოგონას...

მამიკომ გააწყვეტინა თხრობა დედიკოს, თურმე შეუმჩნევლად შემოსულიყო სახლში და უჩუმრად ყურს უგდებდა ცოლ-შვილს, მამიკო იღიმებოდა და ზღაპარი განაგრძო:

— მერე გოგონამ ჰკითხა რაინდს: „რით შემიძლია მადლობა გადაგიხადო კეთილშობილო რაინდოო? რაინდმა კი უპასუხა, „ცოლად გამომყევი ჩემო ფერიავ“-ო, გოგონასაც შეჰყვარებოდა რაინდი და დათანხმდა..... ლამაზი და დიდი ქორწილი გადაიხადეს და ცხოვრობდნენ ტკბილად და...

— დეეე, მამიკოს ხომ აქვს ჭრილობა ზურგზე? ის რაინდი მამიკო ხომ არ იყო?

შეეკითხა სანდრო.

— და შენ ის ლამაზი გოგო?

ეშმაკურად შესცინა სესილიკომ დედას.

— ხო შვილო, ის ლამაზი გოგო თქვენი დედიკოა.

ღიმილით უპასუხა მამამ.

— მამა შენ რომ რაიმე მოგვსლოდა ჩვენ ხომ ერთმანეთს ვერ შევხვდებოდით.

— აფორიაქდა სანდრო.

— მე თქვენი დედიკოს სიყვარულმა გადამარჩინა.

მიუგო „რაინდმა“.

— კი, მაგრამ ცხენი რა უყავი? გაყიდეეე? და მანქანა იყიდეეე? მერე მე სად ვიშოვო ცხენი, ჩემი პრინცესა რომ გადავარჩინო?

აღრიალდა სანდრო.

— ხოოო, ამაზე არ მიფიქრია.

დაიბნა მამიკო.

— ნუ გეშინია, როცა გაიზრდები თეთრი ცხენი თვითონ მოვა შენთან, თუ ისეთი რაინდი იქნები როგორც მამიკო. ახლა კი დაიძინეთ, ძილი ნებისა, უფალი გფარავდეთ.

როცა დედა ღრმად ჩაძინებული შვილების ოთახში შევიდა, გაოცდა, ლოგინში ბორგავდა სანდრო, ხან იღიმებოდა და ხან მოქუფრული სახით და პატარა ხელებით ბალიშს ებრძოდა, „ნეტავ ვის ებრძვის? ნუთუ სიზმარშიც იბრძვიან სიყვარულისთვის, თეთრ მერანზე ამხედრებული რაინდები?“ დედამ შვილებს საბანი გადააფარა და ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა.

თეთრი ინდაური

ჩემდა ჭირად იმ წელს ინდაური ვიყიდე. სექტემბრის მიწურული იდგა. ეზოში გაუშვი ფრთოსანი. მეზობელმა მითხრა: „სიმინდი და ხორბალი ერთმანეთში აურიე და ისე დააღერღინე, ნამეტანი მოწონთო ინდაურებს“. მეც როგორც დიდმა მეურნემ, სასწრაფოდ მივართვი ჩემს თეთრ, ფითქინა ინდაურს ნანატრი საკენკი. მან ჯერ ეზო აითვისა, ბალახიც მოწიწკნა და ერთი „ლუყ-ლუყ-ლუყო“, ბრძანა. ალბათ მოეწონა ჩემი ეზო. ვიფიქრე გავზრდი, გავასუქებ და საახალწლოდ დავკლავ მეთქი. ისე იცოცხლე, მადას არ უჩიოდა. თანაც ხელიდან ვაჭმევდი და ვეფერებოდი ჩემს ფხუკიან ინდაურს. ისიც „ყია-ყია-ყიაო“, მეტყოდა, ალბათ სიამოვნებდა ნავახშმევზე ჩემი ალერსი. გაიზარდა, გასუქდა და ამასობაში დეკემბერიც დადგა. ვერ ვიმეტებდი ჩემს ინდაურს დასაკლავად, ან როგორ დამეკლა, როცა ეზოში ვფუსფუსებდი კარგი ძაღლივით სულ უკან დამდევდა, ფეხებში მებლანდებოდა, ხანაც გამეფხორებოდა. საკენკს რომ ვუყრიდი, ისეთი თვალებით მიყურებდა თითქოს „სუფრაზე“ მეპატიჟებოდა საქეიფოდ. რამდენჯერაც ნაჯახს ავიღებდი ხელში, იმდენჯერ მომიცუცქდებო-

და, ნისკარტს ჩაჰკრავდა ნაჯახს და „ლუყ-ლუყ-ლუყო“, მეტყოდა, ესეიგი „ძალიან მაგარია ძმაო საჭმელად არ ივარგებსო“ მეუბნებოდა. ვერ დავკალი... მერე ჩემი მეზობლისგან ვიყიდე დაკლული გასუფთავებული ინდაური საახალწლო საცივისთვის, ისე კარგი საცივი კი გამოვიდა მისგან, გემო ახლაც მახსოვს. ჩემი ინდაური კი...

იმ ღამით ტელევიზორში რაღაც ფილმს ვუყურებდი, მამაკაცი ვეფხვივით ებრდღვნა შველივით ქალს და... ჩემმა ფრთოსანმა ჯერ ტელევიზორის ეკრანს ჩაუნისკარტა, მერე მე შემომხედა, გაიფხორა და დიდგულად შემომხედა... მერე იცი რა მითხრა? „ამ ზამთარში არც მე მაწყენდა დედალი ინდაურის სითბოო“... წიხლი ვუთავაზე ამ მექალთანე ბღენძიას, არ მომინდომა ქალები...

თითბერის ბეჭედი

ამბად მინდა გიამბოთ ეს ისტორია, საოცარი ის არის, რომ შემსწრენი ამ ამბისა, ლეგენდად გადასცემენ შთამომავალთ. ბალღობაში დაწყებული უვნო ურთიერთობა როგორ იქცა და დასრულდა ჯვრისწერის მადლით შემოსილი. მაშ ასე დავიწყოთ თხრობა.

სოფლის განაპირას, გალავნის მოზიარენი, ჭირში გვერდში მდგომი მეზობლები ცხოვრობდნენ. ერთ ოჯახში ვაჟი და მეორეში კი ქალი იზრდებოდა. ქალი თქო, თორემ მაშინ ექვსი წლის იყო ბალღი, ვაჟი კი თავნებობდა, მეათე წლისთვის გადაებიჯებინა და ვაჟკაცობას სწავლობდა თავმომწონედ. ერთ სკოლაში სწავლობდნენ, გოგონას, გაკვეთილები რომ დაუმთავრდებოდა მორჩილად უცდიდა ვაჟს, რომ სახლში ერთად წასულიყვნენ. მრავალჯერ უნახავთ წვიმისა და ქარის დროს როგორ შეუმოსავს საკუთარ ქურთუკში, ან ლაბადაში გოგონა, ხოლო მისი ჩანთა თავად უთრევია სახლამდე. ვაჟის მეოხებით თანაკლასელი ბიჭებიც ვერ უბედავდნენ გოგონას სითამამეს. დრო გადოდა. გოგონა გაიზარდა. ქალურმა სიამაყემ იმძლავრა. ვაჟის მზრუნველობას უკადრისობდა ქალი. ტანმშვენიერს სხვა თანატოლ ვაჟთა ყურადრება სიამოვნებდა, გამორჩეული იყო გოგონათა შორის. თაყვანისმცემელთა ქიშპობა ქალურ ამპარტავნობას უღვივებდა ასულს. ვაჟმაც მოიწყინა, გამჩენს სწყევლიდა, „რატომ არა ვარო სხვა ბიჭები-

ვით პირმშვენიერი, არც ტანადობით გამოვირჩევიო თანატოლებში... „საკუთარ მშობლებზე ბრაზი წაეკიდა ყმაწვილკაცს, „გოგოს ოჯახივით, ჩვენც რატომ არა ვართო შეძლებულნი“, საუბრის დაწყება სწადდა, „რად უარმყოფსო ჩემი... ნუთუ დაივიწყაო ყველაფერი“, ფიქრი გულს უკორტნიდა კაცს. „სახლამდე გაგაცილებ“ შესთავაზა ასულს, „პატარა აღარ ვარ, თავად გავიგნებ გზას, ნუღარ შეწუხდები მეტად“, ღიმილით მიუგდო გოგომ. ის დღე გაიხსენა ვაჟმა, პატარა გოგომ ფეხი რომ იღრძო სკოლაში. ზურგზე აკიდებული მიიყვანა სახლში, კიდევ მამის ნაყიდ კამფეტებს რომ უზიარებდა მეგობარს, ერთი დღეც შეახსენა მეხსიერებამ, მაღალი სიცხე სტანჯავდა გოგონას, მთელი ღამე მუხლებზე მდგარმა გაათია მის საწოლთან, თავდაუზოგავად უკითხავდა ლოცვას მიჯნურს ნორჩი რაინდი. პირველი კოცნაც გაიხსენა... გულის ჯავრი შემოაწვა, „თავს ნუ შეიწუხებო მეტად“, გული დაუმეწყრა მიჯნურს.

უყვარადა, ხო, უყვარდა გოგონა უკვე მისგანვე უარყოფილს. თითბერის ბეჭედი აელანდა მოგონებებში სიყვარულის ნიშნად რომ უძღვნა ახალ წელს. გოგონას სიტყვებიც ახსოვდა, „... სიცოცხლეს მოგიძღვნიო... “. ეს შარშან იყო... წელს კი სკოლას ამთავრებს და ქალაქს მიემგზავრება მამიდასთან და ბიძასთან. ფიქრიდან გამოერკვა ვაჟი, წელს ხომ ისიც ამთავრებს საექიმო ინსტიტუტს.

ონკოლოგიურ საავადმყოფოში კარგ ექიმად გაიცნეს ვაჟი, გულდაგულ სდევდა ავადმყოფის სატკივარს. უებრო ექიმის სახელიც დაიმკვიდრა ოცდახუთი წლის კაცმა. ერთ დღეს ექიმს მოახსენეს: „ახალგაზრდა ასული მოიყვანეს, თითქმის უიმედოაო, თქვენს სახელს აბოდებსო ყოველ წუთს“. სირბილით გაეშურა დასტაქარი. საოპერაციო მაგიდაზე იწვა მისი პირველი სიყვარულის ცოცხლად შობილი ხატება. პირჯვარი გადაიწერა მკურნალმა, „ღმერთო ნუ ინებებო სიკვდილთან ჭიდილში ჩემს დამარცხებას“, შეევედრა მაცხოვარს. გათენებისას გამოვიდა საოპერაციოდან ღონემიხდილი, ხატს შეხედა, „გმადლობ უფალო რომ არ დაუთმეო სიკვდილს ასული“. ბარბაცით შევიდა კაბინეტში. ფიქრად ეზმანა, იმ დღეს სკოლიდან სახლში ბრუნდებოდნენ, შხაპუნა წვიმამ მოუსწროთ ბავშვებს. ლაბადა შემოახვია ვაჟმა გოგონას, მკერდზე მიხუტებული მიაცილა სახლამდე და მხოლოდ მაშინ გაუშვა ხელი, სახლის კარი რომ შეაღო პატარამ. კოჭე-

ბამდე გალუმპული შევიდა სახლში. იმ ღამეს სიცხე მისცა. შუბლზე ძმრიან საფენებს უცვლიდა დედა სიცხისაგან გათანგულ შვილს. ფუმფულა ხელები შეიგრძნო სახეზე ჭაბუკმა, ძმრიან საფენს რომ ადებდა შუბლზე და კიდევ გოგონას დიდი ბრდღვიალა თვალები. პალატაში იხმეს ექიმი „ავადმყოფი გონზე მოვიდა, თქვენს ნახვას ლამობსო“. გოგოს დედა შემოეგება ექიმს, მადლობას უძღვნიდა დასტაქარს. თვალები გაახილა ავადმყოფმა, „მომიტევე ჩემი უტიფრობა, ნურც განშორებისთვის დამდებ ბრალს, ჩემს სატკივარს სკოლის ასაკიდან ვებრძვი, იცოდე, ბევრი ჭორი ჰკოდავდა ჩემი ცხოვრების გზას, მაგრამ ჯერ არც ერთი მამაკაცისთვის არ მიძღვნია ცხელი ამბორი, უვნო ვარ როგორც ქალი...“ წყლით დაუსველეს ტუჩები ავადმყოფს. „შენს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, ყოველგვარი სიავისგან განთავისუფლდა შენი სხეული“, თავდაჯერებით მიმართა პაციენტს ექიმმა. შემდეგ წამოდგა და პალატის კარისკენ გაემართა. „თითბერის ბეჭედი გახსოვს?“ რელიქვია, შეახსენა ასულმა „ის სულ თან დამაქვს, ჩემი რაინდის ბედსვიანი ტრფობის უცილო მოწმედ“...

ეს ამბავი თითქმის ნახევარი საუკუნის წინ მოხდა. რაც გიამბეთ სიმართლეა. ქორწილში, როცა მათი ვაჟი ჯვარს იწერდა, ეკლესიაში პატარძლის ხელს თითბერის ბეჭედი ამშვენებდა, „პირველი სიყვარულის მადლითაა ნაკურთხი და ახლა შენ ხარ ამ რელიქვიის მცველი“ მიმართა რძალს „გოგონამ“. თემის დაწერას მოვრჩი, საკონტროლო სამუშაოების რვეული პედაგოგს ჩავაბარე. მეორე დღეს მასწავლებელმა გასწორებული ნამუშევრები დაგვირიგა. საოცარი ის იყო, რომ იმ დღემდე მიღებული პირველი ფრიადი ამშვენებდა ჩემს რვეულს. ამაგდარს ნიშანთან ერთად მინაწერიც გაუკეთებია ჩემთვის, „გილოცავ პირველ ფრიადს, თითბერის ბეჭდის მადლი შეგწეოდეს“.

თოვლის პაპა

... „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა“, გსმენია ეს გამოთქმა მეგობარო?

მომმართა მოხუცმა, რომელიც სკვერში, ჩემს გვერდზე სკამზე ჩამომჯდარიყო და ცხელ ყავას ნელნელა წრუპავდა.

— ვატყობ თანამოსაუბერეს ეძებთ ბატონო.

ღიმილით მივუგე მე.

— კი, მასეა, მე... მოდი „პაპა“ დამიძახე, ჩემი სახელი მაინც არაფერს გეტყვის...

ეს თქვა და გამიღიმა მოხუცმა.

სანდომიანი, თბილი და რაღაცნაერად მომნუსხველი ღიმილი შემომაფრქვია ჩემმა თანამოსაუბრემ.

— კეთილი, გისმენთ ბატონო „პაპა“, რა თემაზე გსურთ საუბარი?

— ნუ გაიკვირვებ თუკი შენს შესახებ იმაზე მეტი ვიცი ვიდრე თავად წარმოიდგენ...

— მართალა? გამიკვირდება...

— უმუშევარი ხარ?

— არა, კლასიკური გაგებით უმუშევარი არ მეთქმის, მაგრამ... არც არაფერი მაკლია მაგ „დონემდე“.

— ჰოოო... ახალი წელი მოდის... თოვლის პაპას რას სთხოვდი საახალწლოდ?

— დამცინით? ხუთი წლის ბავშვებს აღარ სჯერათ თოვლის პაპის, სანტა კლაუსის და...

— მე „სანტა“ არ მიხსენებია მეგობარო...

— ხო, მაგრამ ორივე ერთი და იგივეა.

— შენი აზრით რას ნიშნავს თოვლის პაპა?

— ძველ წელს... მთელი წლის განმავლობაში შრომაში და მოღვაწეობაში დაღლილ და დაბერებულ კეთილ ადამიანს, რომელსაც ახალი წელი, ანუ ბავშვი მოჰყავს, რათა ეხლა მან იტვირთოს ახლად დამდგარი წლის „უღელი“...

— ბევრი გცოდნია და... თან არაფერი გცოდნია მეგობარო, თოვლის პაპა და ის ახალგაზრდა ბიჭი, იმედის, ბედნიერების, სიხარულის და ყოველივე სანატრელის სიმბოლოა...

— არ მეგონა ამ თემაზე თუ მოგვიწევდა საუბარი...

— რატომ? უკვე გაიზარდე?

— ხო, გავიზარდე.

— და უკვე ყველაფერს რეალური თვალით უყურებ არა?

— ხო, ასეა.

— თოვლის პაპა და პატარა ბიჭი, უძველესი დროიდან, ღმერთს, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ კეთილ ანგელოზს განასახიერებდნენ....

— ეს უკვე საინტერესოა...

— ახალი წელი ბავშვივით წრფელია, იმედებით სავსე, ხალისიანი, მოხდენილი და გულწრფელი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანების ოცნებები და გულიდან ამოთქმული წრფელი აზრები...

— ალბათ ასეა „პაპა“, მაგრამ სუფრის გაშლას კი, ფული სჭირდება, ფული...

— ადამიანთა მოდგმა მხოლოდ ახალი წლის დღეს არის მეტ-ნაკლებად წრფელი და გულმხურვალე... კეთილი სურვილები, მოლოცვები, საჩუქრები, სადღეგრძელოები... და კიდევ, ბევრი გართობა... ხო, ასეა, ასე... მერე კი ყველაფერი ჩვეულებრივ რიტმს უბრუნდება, ისევ ფლიდობა, არაკაცობა, თაღლითობა, ღალატი, ამბიციები, ჩამქრალი იმედები, ზოგან კი ბედნიერება, სიყვარული, ჯვრისწერა, მერე ქორწილი, ძეობა, შიმშილი, ლუკმა პურისთვის ბრძოლა...

— ეს ყველაფერი ვიცი...

— არ იცი მეგობარო, ახალგაზრდა ახალი წელი, თქვენით ცხოვრობს და თქვენზე ზრუნვით ბერდება... საჩუქრებს თოვლის პაპა გირიგებთ „დამსახურებების“ მიხედვით, სწორად გამიგე მეგობარო, „დამსახურება“ საჩუქრის ღირებულების მიხედვით არ განისაზღვრება, ის უფრო მიძღვნაა და არა თავის გამოჩენა და შესაძლებლობების წარმოჩენა, არც რომელიმე მხარის სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელია საჩუქარი...

— „პაპა“, საით მიგყავს ეს საუბარი?

— ერთმა კაცმა მითხრა „ბედნიერების ყიდვაც შეიძლებაო“, უნებლიედ დამებადა კითხვა, რა იყიდა მავანმა „ბედნიერების“ სანაცვლოდ? ადამიანისთვის ჭეშმარიტი ბედნიერების მინიჭება უფლის ნებაა, ხოლო სურვილების „ყიდვა“ კი უკიდურესად ადამიანური მცნებაა და „წუთიერ“ აღტაცებას გულისხმობს მხოლოდ. ვიცი არ დამეთანხმები და არ გედავები...

— „პაპა“, საახლწლო საჩუქარს ხომ ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს ვჩუქნით და ამ შემთხვევაში „ცენზი“ რა შუაშია?

— არის, „ცენზი“ შენი შესაძლებლობების მიხედვით განისაზღვრება და არა მოთხოვნილებების, ან უფრო სწორედ, იმ ადამიანის მნიშვნელობით, თუ რა ადგილი უჭირავს მას შენს ცხოვრებაში.

— მოიცა, მოიცა, დავუშვათ მე ჯიბეში მაქვს ასი დოლარი და ჩემს საყვარელ ხუთ ადამიანს მსურს მიუძღვნა საჩუქარი, ამ შემთხვევაში როგორ ვიქცევით?

— ისე, როგორც გული გიკარნახებს...

— იოლი გამოსავალი შემომთავაზე... ეხ ჩემო ბატონო, თქვენ რომ გისმინოთ კაცმა, ვარდისფერი სათვალე კი არა, ვარდისფერი თვალებიც ვერ გვიშველის... ყველაფრის იდიალისტურად დახატავას ცდილობთ... ეგრე იყოს... თან ეხლა ხომ ახალი წელია, ამაღამ მობრძანდება მისი უდიდებულესობა.

— იცი, რა მახსოვს ბავშვობიდან, ერთხელ მამაჩემმა საახალწლოდ დედაჩემს ქურქი უყიდა, ქურქზე დედაჩემი წლებია ოცნებობდა, ჩვენ კი „წვრილფეხობას“, სათამაშოები და სხვადასხვა ნუგბარი მოგვიძღვნა, ოჯახის უფროს თაობასაც მიართვა საჩუქრები და სხვებსაც... მერე თვალებგაბრწყინებულმა დედამ უცბათ ხასიათი დაკარგა და მამას ჰკითხა „ფული სად იშოვე ამ ყველაფრისთვის?“, მამამ უპასუხა: „ერთი უღელი ხარები გავყიდე და იმით შევიძინე ყველაფერი“-ო, დედამ ქურქი „ცივად“ გაიხადა, იქვე ტახტზე დადო და მამას მიმართა: „ამ ფასად არ მინდა საჩუქარი, თუ ფული გქონდა ოჯახისთვის ქვეყნის რამე მაქვს შესაძენი და იმას ვიყიდდიო“, პირველად მაშინ დავინახე მამაჩემის სევდანარევი ღიმილი, თავი გადაიქნია მამამ და გულჩაწურული ხმით მიმართა დედაჩემს: „მე შენი ბედნიერება და ოჯახში კი სიხარულის „შემოჭენება“ მსურდა, ეს ქურქი შენია და მოექეცი მას ისე, როგორც ისურვებ“, შემდეგ ჩვენთან მოვიდა ბავშვებთან და ჩიჩილაკის გვერდით, ჩვენთან ერთად გართობას მიჰყო ხელი....

— ალბათ ხარების გაყიდვა იწყინა დედამ...

— ხო, ალბათ...

— იმ ქურქს რა დაემართა?

— არაფერი, მეორე დღეს მეზობელმა გადაგვიპატიჟა და იქ ეცვა დედაჩემს ის ქურქი, თავს იწონებდა სამოსით და მეუღლის ყურადღებით დედა...

— საინტერესო ისტორიაა...

— ხო, ალბათ. იცი რა მინდა გითხრა, თოვლის პაპა, ეს ერთგვარი ფენომენია, რომელიც ადამიანში ცხოვრობს, ის ქართული ფენომენია, სიყვარულის, სიკეთის, უშურველობის და კიდევ ქართული ოჯახის სიმბოლოც გახლავს, პაპა ოჯახის უფროსია და ოჯახური წეს-კანონის დამცველი, ის პატარა ბალღი კი, მომავალი თაობაა, რომელსაც ყოველგვარი საუკეთესო უნდა გადაეცეს, რომ ახლა მან შეითვისოს და გადასცეს თავის მომავალ თაობას ქართული ტრადიცია და კაცთმოყვარეობა, ქართველობას სწავლა უნდა მეგობარო. ოჯახში სტუმარი კარიდან შემოდის, სიკეთეც კარიდან შემოდის, ბედნიერებაც კარიდან შემოდის, სიავეც კი, კარიდან შემოდის. ოჯახში კარიდან შედიხართ და საკვამურიდან მხოლოდ ბოლი გადის, „გაბუხრული“ კაცი კი, რა ვიცი... რა ვიცი...

— ესეიგი...

— იცი რას გეტყვი? „სხვისა მაზიარებელი დარჩა უზიარებელიო“ გსმენია ამ ანდაზის შესახებ?

— კი, მაგრამ ეს სხვა რამეზეა ნათქვამი...

— „ზიარება“ მარტო მოძღვარს არ გულისხმობს, ის „გაზიარებასაც“ გულისხმობს...

— თქვენ ვინ ბრძანდებით ბტონო?

ვკითხე მოულონელად „პაპას“.

— მე? თოვლის პაპა ვარ...

ფეხზე წამოვდექი, ღიმილით შევხედე მოხუცს და უბრალოდ დავემშვიდობე, კიდევ, ახალი წელი მივულოცე წესისამებრ. ვერ გეტყვით რამ გადამაწყვეტინა ჩემი ახალი „თავგადასავალი“... ბანკში შევედი და ჩემი მანქანისთვის მოგროვებული ფული მთლიანად მოვხსენი ანგარიშიდან. სად ვიყავი, ან როგორ ვიარე, აღარ მოვყვები, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საჩუქრებით დატვირთულმა შევაღე სახლის კარი...

ბავშვები ყირაზე გადადიოდნენ, ისე გაუხარდათ საჩუქრები, ჩემი მშობლებიც სიხარულით ათვალიერებდნენ საახალწლო ძღვენს, ჩემს მეუღლეს კი, დიდი ფუთა მივაწოდე

— ახალ წელს გილოცავ ძვირფასო, ეს შენ...

ჩემმა მეუღლემ ფუთა გახსნა და თეთრად მოლივლივე ბეწვის ქურქი შერჩა ხელში, თვალები უბრწყინავდა ჩემს „დედოფალს“... უცბათ მკითხა:

— ფული სად იშოვე? ფული ვინ მოგცა?

— არავინ. მე მეგონა გაგიხარდებოდა...

— კი გამეხარდა. მადლობთ, მაგრამ იმდენი რამის ყიდვას ვაპირებდი... ეს მანქანის ფულია?

— რა მნიშვნელობა აქვს?

— გადაირიე?

შემდეგ ჩემს მშობლებსაც მიურბენინა თავისი „აღმოჩენის“ შესახებ ამბავი...

ჯიბიდან ხურდები და რამდენიმე რკინის ლარიანი ამოვიღე...

— წავალ ჩემს თავსაც ვუყიდი საჩუქარს... სიგარეტიც გამთავებია...

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ 1

(ინტრვიუ გლეხთან)

— გამარჯობა პაპა.

— გაგიმარჯოს, მობრძანდი შვილო.

— პაპა მე კორესპოდენტი ვარ და ინტერვიუ უნდა ავიღო თქვენგან.

— ხოოო... შვილო, მაგრამა... მე რად ამირჩიე? ჩვენი მთავრობა ინდე გამგეობის შენობაშია, მე კიდევა არც სიმღერა ვიცი და არც ცეკვა...

— პაპა მე თქვენგან მინდა ინტერვიუს აღება...

— კარგი შვილო, ეგრე იყოს, აბა მკითხე.

— რთველი მორჩაა და ამ ცარიელ ვენახში რას აკეთებთ მარტოკა?

— ჰოოო, რთველი თქვენთვისა, მხოლოდ ყურძნის კრეფაა, ჩემთვისა კიდევა წლის სარჩო-საბადებელი, ამ დალოცვილ ვენახსა მე ყოველდღე ვეფერები, ეს არის ჩემი მარჩენალი, მე აქა ნებიერი ვარ, იმიტომა რომა ეს ჩემი მიწაა.

— კი, მაგრამ გარეთ ნებიერი რატომ არა ხართ? ვინ გიშლით ხელს?

— ნებიერი ნიშნავს იმასა რომა, აქ ჩემს სიტყვას ძალა აქვს, მე საქმეს ისე ვაკეთებ როგორც მე მინდა და შედეგსაც შესაბამისს ვიმკი, გარეთა კიდევა იმდენი ჭკუის დამრიგებელია რომა, ტვინს აგირევენ კაცოო...

— პაპა რას ნიშნავს იყო ადამიანი?

— ადამინი ბუნებით სამნაირია, ზოგსა დიდება მოსწონს, ზოგსა კიდევა ფულის შოვნა, მავანსა კიდევ სწავლა-განათლება, მაგრამ არის კიდევ ერთი, ამას შენი ქვეყნის უანგარო სიყვარული ჰქვია. თუ ეს ოთხივე ერთ ადამიანშია მოქცეული, ისა უკვე პიროვნებაა, მამულიშვილია შვილო, რომელსაც შეუძლია ხალხსა სათავეში ჩაუდგეს და სწორი გზით წაიყვანოს.

— საინტერესოა, კი მაგრამ ეგეთ კაცს ბევრი მტერი ეყოლება, მეთანხმებით?

— იმანაც ისეთი მეგობარი უნდა დაიყენოს გვერდში, ვისაც იგივე მტერი ჰყავს...

— ეგ როგორ გავიგო? და თუ გაიმარჯვეს საერთო მტერზე მერე რა მოხდება?

— როცა ბოროტებაზე იმარჯვებ, თავი რაღაცა გგონია და გამარჯვებისგან გულდიდობა გიპყრობს და თუ თავს ვერ დააოკებ, შენს მიერ დამარცხებულ ბორეტებაზე დიდ ბორეტებად თავად შეიძლება იქცე.

— გამოდის რომ „დრაკონი მოკვდა გაუმარჯოს დრაკონს“?

— ადამიანის ფიქრი თავისი საქციელის სარკეა, რომლის ფიქრი ხშირად ბნელია და სულცარიელი, მაგრამ უბრალოდ გამოსაცნობია მიზანი, იმიტომ რომ დიდებასა და სუნჯისკენაა მიპყრობილი...

— სხვა ადამიანებიც ხომ არიან, ვისაც იგივე მიზნები აქვთ, მაშინ როგორ უნდა მოიქცეს კაცი?

— შვილოსან, თუ იცი სხვისი მიზანი, რომელიც შენ დაგაზარალებს და წაუყრუებ სულელი ჰყოფილხარ და ეგ არიი...

— მაშინ როგორ უნდა მოიქცეს კაცი, თუ სხვასაც სურს საუნჯის დაპატრონება? უნდა იომოს?

— საუნჯეს შვილო სამი თვისება აქვს, პირველი ისაა, რომ თავიდან უფრო მეტ თავისუფლებასა და სიამეს გგვრის, ხალისსაც გმატებს. მერე როცა გემოს გაუგებ, ისე ხდება, რომ შენი საუნჯე ხდება

შენი ბატონი, რადგან მის შეძენას მოახმარე შენი ენერგია, ძალ-ღონე და ცოდნა, ამიტომ საუნჯის მონა ხდება კაცი. მერე კი გარემოება აიძულებს და აკეთებს იმას, რაც მის სურვილს არ შეესაბამება და არ მოსწონს. მაგრამ ხიბლი სძლევს და ემორჩილება.

— პაპა, ოცნება გიყვართ?

— ოცნება შვილო თავის მოტყუებაა, მხოლოდ გზიდან გადაცდენა იცის ოცნებამ, რადგან სიცრუესა და რეალობას შორის საზღვრებსა შლის.

— ესეიგი არასოდეს გინატრიათ?

— ნატვრა სხვაა და ოცნება სხვა, კაცი მხოლოდ სანუკვარსა ნატრობს.

— რატომ იტყუება ადამიანი?

— ადამიანი ჯერა, საკუთარ თავს ატყუებს უკეთური ქცევითა და ფიქრით, ხოლო ვინც სხვას ატყუებს, ისა, საკუთარ თავს, სიცრუეში არ ამყოფებს. კაცის ერთგული მეგობარიც და მტერიც მხოლოდ საკუთარი თავია შვილო. წარმატება და დიდება ყველაზე დიდი მატყუარაა ამ ქვეყანაზე, რადგან ადამიანს ცხოვრებისეული ძიების სურვილს უჩლუნგებს და შეიძლება არარაობად გადააქციოს.

— საინტერესო საუბარი გამოგვივიდა პაპა

— არ ვიცი შვილო, მე ის გითხარი რასაცა ვფიქრობ.

— პაპა, თქვენი რაიონის უფროსობაზე რას მეტყვი?

— აბა რა გითხრა? როცა ავადა ხარ და გტკივა, ვინ გირჩევნია რომ გიმკურნალოს, გაპრანჭულმა უვიცმა ექიმმა თუ მცოდნემ, თუნდაც მახინჯმა?

— რასაკვირველია მცოდნემ.

— ჰოო და მეც მანდა ვარ, ხალხსა შვილოსან გაპრანჭული რიხით ნათქვამი სიტყვა უფრო მოსწონს, ვიდრე სიტყვა მართალი, გონებაში ჩვენს ფიქრებს რომ დაგვიმახინჯებს, ასეა, ასე.

— რისი არ უნდა ეშინოდეს კაცს?

— სიმართლისა შვილო, იმიტომა რომა, თუ სიმართლის შეგეშინდა უფრო მეტ ბოროტებას დაუდებ საფუძველს და ისიცა სიცრუის სამართალს მისცემს ასპარეზს.

— ყველაზე მეტად რა გაინტერესებთ?

— ისა, რაც ჩემი საქმე არ არის, მეც ხომ ადამიანი ვარ.

— ეგ როგორ?

— როგორა და ეგრეეე... შვილო ეხლა სახლში უნდა წავიდე, თუ მესტუმრები გამახარებ.

— არა პაპა, სამსახურში უნდა მივიდე, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.

— იხარე შვილო...

ინტერვიუ 2

(ინტერვიუ პოლიტიკოსთან)

— გამარჯობათ, ნება მიბოძეთ რამდენიმე შეკითხვით მოგმართოთ. ვეცდები დიდი დრო არ წაგართვათ.

— სიამოვნებით, გისმენთ.

— პირველი შეკითხვა, რას ნიშნავს იყო პოლიტიკოსი?

— იყო პოლიტიკოსი, ნიშნავს, პირველ რიგში ფლობდე უნარს განსაზღვრო მოვლენები, რომელსაც ექნება ადგილი ხვალ, ზეგ, ერთი წლის შემდეგ, თუმცა ისიც უნდა გესმოდეს, რომ თუ მოვლენები ისე არ განვითარდა როგორც ელოდი, ამის ლოგიკური ახსნა უნდა შეგეძლოს, პოლიტიკოსი სიტუაციების გადანაწილების დიდოსტატი უნდა იყოს, თუ პოლიტიკოსი სფინქსის ფენომენის თანაზიარი არ არის ამ საქმეს თავი უნდა დაანებო.

— რა არის საჭირო პოლიტიკოსისთვის მასებზე ზეგავლენის მოსაპოვეებლად?

— ჩემო კარგო მთავარია ხიდის აშენება შეპირდე ხალხს, ხოლო მდინარე არის იქ თუ არა მეორე ხარისხოვანია.

— გამოდის, რომ ხალხს ატყუებთ?

— არა, არ ვატყუებთ. რწმენა, იმედი, ეს ის ნარკოტიკია, რომლითაც ხალხს ტკივილი უნდა გაუყუჩო, დიდი იდეალების მსხვერპლნი ყოველთვის მასები არიან. აქ ერთი რამ უნდა გავიგოთ, მრავალრიცხოვანი ერის ეროვნული და პიროვნული სიამაყე ბევრად უფრო მარტივად შეიძლება მართო, ვიდრე მცირერიცხოვანის, რადგან ინფორმაცია არა სასურველ თემებზე თითქმის მყისიერად ვრცელდება.

— თქვენ ერთერთი გავლენიანი პოლიტიკოსი ბრძანდებით, როგორ მიაღწიეთ ამას?

— იცით, საზოგადოების ცნობადი სახეები გვასწავლიან როგორ შევცვალოთ სამყარო, მაშინ როდესაც თავად არ სურთ საკუთარი „მე“ შეცვალონ. ჩემს შემთხვევაში, მე ჯერ „მე“ შევცვალე, ისე როგორც დღევანდელ რეალობა მოითხოვს ამას.

— პიროვნული ადაპტაცია, ეს პოლიტიკოსის აუცილებელი თვისებაა?

— გეტყვით, არსებობს რწმენა, იდეალი, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანშია გამეფებული. თუ რწმენას გიკლავენ და ფეხქვეშ თელავენ, ერთადერთი თავშესაფარი რელიგია რჩება...

— თქვენ რამდენად რელიგიური ბრძანდებით?

— რელიგია ჩვენთვისაც თავშესაფარია, ოღონდ მაშინ როცა ეს გვესაჭიროება. პიროვნული ადაპტაცია, ლავირების და „ფასეულობების“ სწრაფი შეფასების უნარსაც განსაზღვრავს. თუ დინების საწინაღამდეგოდ მიცურავ მალე დაიღლები და სხვისი საკბილო გახდები, ხოლო თუ დინებას მიუყვები, მდინარის შუაში უნდა იცურო, თანაც ფსკერთან ახლოს, რომ „მებადურის“ მსხვერპლი არ გახდე...

— „მებადური“ ვინ არის?

— ის, ვინც ჩვენს ხარჯზე იკვებება.

— ესეიგი ოპოზიცია.

— ოპოზიციაც, მხოლოდ განსხვავება ჩვენი ქვეყნის რელობიდან გამომდინარე პიროვნებისადმი მიმართულ ვექტორს გულისხმობს და ინსტიტუციონალიზმს.

— ვერ გავიგე.

— მე მგონი სატია ჯიტრეიმ ბრძანა! „მხოლოდ რეჟისორმა იცის თუ რაზეა ფილმი“.

— საოცარია, რით ახსნით იმ ფაქტს, რომ ამ ბოლო დროს მედია სივრცე ჩვენი მენტალიტეტისთვის შეუფერებელი და მიუღებელი ინფორმაციით და თოქ შოუებით აივსო?

— მერე? ვინ იღებს ხმას? ცალკეული ინდივიდები? სად არის მწერლობა? სად არიან სასიქადულო მამულიშვილები? იქნებ განგვიმარტოთ რა ხდება მასებში. თუ არ იქნა საზოგადოების პროტესტი, ჩვენ პოლიტიკოსებს ხელფეხი გვაქვს შეკრული, რადგან მიიჩნევა,

რომ ის, რასაც თქვენ პოპულარიზაციას უწევთ, საზოგადოებისთვის მისაღებია, გასაგებია?

— რას ნიშნავს თანამედროვე აზროვნება?

— არა იმას, რასაც ტელევიზიით ქადაგებენ.

— დამიკონკრეტეთ.

— თანამედროვე აზროვნება, რამდენიმე მიმართულებით ვითარდება, ეს არის, პირველი, კოსმოპოლიტიზმი და მეორე, ნაციონალური პრიორიტეტების დამკვიდრება, როდესაც ამ ორი ფენომენის შერწყმა ხდება ვღებულობთ საზოგადოებრივ ვაკხანალიას, ანუ უსქესო საზოგადოებას, რომლისთვისაც მორალურ პრინციპებს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და არა ეროვნული, ფუნდამენტალური მნიშვნელობა...

— და დღეს ჩვენი საზოგადოება ამ მიქსში ცხოვრობს?

— დიახ ასეა, ჩვენ ბევრი არჩევანი გავაკეთეთ თუ საით უნდა წავსულიყავით, მაგრამ ყველაზე ფუნდამენტური გამოგვრჩა, ნაციონლური დოგმების დამკვიდრება, რომლის ბაზაზე შესაძლებელია ეროვნული მენტალიტეტთან შესაბამისი თანამედროვე ელემენტების შემოტანა და დანერგვა.

— და დღეს რატომ არ აკეთებთ ამას?

— ვაკეთებთ, მაგრამ „მათთვის“ მიუღებელია, რადგან ამ შემთხვევაში ფულს ვერ იშოვნიან.

— თქვენ გრანტებს და სოციალურ ინვესტიციების ზოგიერთ ფორმას მიიჩნევთ?

— ჩემს წინ მიკროფონია.

— ვინ არიან ის ადამიანები ვინც ახალ, ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელ თემებისადმი შემწყნარებლობას გვაიძულებს?

— არ შეიძლება იმის ქადაგება რასაც თავად უარყოფ, მე ის ადამიანები მყავს მხედველობაში, რომლებიც გარემოებათა გამო სჩადიან ამას.

— და ვინ არიან ის დანარჩენები?

— მრწამსისა და შინაგანი კეთილშობილების გარეშე ადამიანები და პოლიტიკური ვასლები.

— როგორც ვხედავ, არც თქვენ ხართ „დანარჩენით“ აღფრთოვანებული.

— ტუვიმმა ბრძანა, „სიძულვილით ლაპარაკი შეიძლება, ოღონდ არა საზეიმო იერით“.

— სად არის ხსნა? სად არის გამოსავალი?

— ინტელიგენციის აღზევებაში, ინტელექტუალური და შემოქმედებით და პროფესიონალური კადრების ქვეყნის მართვის სადავეებთან სიახლოვეში.

დღეს სისტემას ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ვიდრე ადამიანებს, თქვენ მეტყვით, ეს დაუშვებელიაო, მე კი გიპასუხებთ, სისტემა მართავს კაცობრიობას და დღეს, ჩვენ ერთ „მატრიცაში“ ვცხოვრობთ, რომელიც ჩვენვე შეუქმენით ჩვენს თავს.

— და რას წარმოადგენს ეს „მატრიცა“?

— ჰარმონიული თვითმკვლელობის ფუფუნებას, რომელიც მხოლოდ მოთხოვნილებაზეა აგებული და სულიერებას სრულად გამორიცხავს. თქვენი დრო ამოიწურა...

— გასაგებია, დიდი მადლობა თქვენი დროისთვის.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ 3

(ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐᲜ)

— გამარჯობათ ქალბატონო ნათია. დიდი მადლობა ინტერვიუს რომ დათანხმდით.

— მადლობა თქვენ, ჩემო კარგო.

— მინდა თქვენი ოჯახის ისტორია გვიამბოთ, რამდენადაც ვიცი საკმაოდ რომანტიული და უჩვეულო იყო თქვენი სიყვარულის ამბავი.

— დიახ ასეა, მაშ კარგი, ეს ამბავი ჯერ კიდევ სკოლაში, სწავლის პერიოდში დაიწყო...

— გასკდა ლუკა შენი გაუმაძღარი მუცელი.

ჯუჯღუნებდა და საჭმლით სავსე ჩანთით ხელში რესპუბლიკური საავადმყოფოს კიბეებზე მიაბიჯებდა ლუკას პატარა ძმა, სანდრო.

— ჩემი მტრის ოჯახში შეხვედი მშიერი, ვაი დედა! მომწყდა წელიიი...

საავადმყოფოში, ინტენსიური თერაპის პალატაში სანდროს ძმის, ლუკას პირველი სიყვარული, ნათია იწვა, გოგონა ავტოკატასტროფის შედეგად უგონო მდგომარეობაში მოათავსეს და აგერ უკვე მესამე თვეა ექიმთა თავდაუზოგავი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. თხუთმეტი წლის პაციენტი გოგონას გადარჩენაზე ექიმები გარანტიას ვერ იძლეოდნენ. ლუკა ყოველ დღე, ნათიას მშობლების უჩუმრად, პალატაში აკითხავდა გულისწორს, ესაუბრებოდა, სკოლის ამბებს უყვებოდა, ხანდახან გული ამოუჯდებოდა და ცრემლი მოერეოდა ყმაწვილს. ექიმები უძლურნი იყვნენ. ლუკა ყოველთვის საღამოთი მიდიოდა საავადმყოფოში როცა ავდმყოფების მნახველთა და ჭირისუფალთა მიღება წყდებოდა, ერთადერთი გარეშე პირი, ვისაც დაცვა და საავადმყოფოს ექიმები შენობაში შესვლის ნებას რთავდნენ, ლუკა იყო, სანდროსაც ატარებდა დაცვა, ჩანთა გადაკიდებული რომ მიიჩქაროდა ძმასთან პატარა ვაჟკაცი.

იმ დღეს ტაძარში მამა გიორგის შეხვდა ბიჭი. სიტყვებს თავს ვერ უყრიდა, ლუღლუღებდა, კლასელები წამოეშველნენ, ნათიას ამბავი დაწვრილებით მოუყვნენ მოძღვარს. მოძღვარი ჩაფიქრდა, ერთ ხანს იყუჩა და ბავშვები დაიმედა „ჯანმრთელობის პარაკლისს გადავუხდი ნათიას, მხოლოდ თხოვნა მექნება თქვენთან, ხვალინდელი ღამე, აღდგომის პირველ დღეს გაათენებს, ლოცვებს, ხატს და სანთლებს გაგატანთ და პალატაში წაუკითხეთ ავადმყოფს დაუჯდომელი ლოცვა, სასურველია სამნი მაინც იყოთ, ეს ხატი თავთან დაუდეთ ნათიას“. ღვთისმშობლის ხატი, სანთლები და ლოცვები გამოატანა მოძღვარმა ბავშვებს.

„ნუ გეშინიათ, ხვალ დილით აქ მოდით, ნათიას ჯანმრთელობის პარაკლისი გადავუხადოთ“.

მეორე დღეს, პარაკლისის შემდეგ ლუკა ტაძრის ეზოში განმარტოვდა, იქვე ხესთან ჩამოჯდა და მიწას დააჩერდა.

— ლუკა!

მორიდებით მიმართა სანდრომ უფროს ძმას.

— მეც წამოგყვები ნათიასთან, კარგად ჯერ ვერ ვკითხულობ, მაგრამ... ხომ ვკითხულობ...

ლუკამ ალერსით გაადაუსვა ხელი სანდროს აბურძგნულ თმაზე.

— შენ უკვე დაძინებული იქნები მე რომ წავალ...

ღიმილით მიუგო ძმას.

— კაი რა�ა, დედაჩემის ერთი ჩხუბი ვეღარ ამიტანია?

იწყინა სანდრომ.

ძმებს ნათიას უახლოესი მეგობარი ქეთი მიუახლოვდა.

— ბიჭებო მეც წამოგყვებით ნათიასთან, ის ჩემი მეგობარია და უარს ნუ მეტყვით.

მორიდებით მიმართა ქეთიმ.

— ქეთი, დიდი მადლობა, მაგრამ სახლიდან გამოგიშვებენ?

— კი.

— მაშინ ამაღამ თორმეტის ნახევარზე შენს სადარბაზოსთან შეგხვდებით, გთხოვ არ დაიგვიანო.

— კარგი ლუკა, შევთანხმდით.

გაუღიმა ქეთიმ.

ცა მოიქუფრა, ცივი ნიავი დაძრწოდა ქუჩაში, უკვე ღამდებოდა. ლუკა და სანდრო წასასვლელად ემზადებოდნენ, მხოლოდ ქალბატონი ელენე, ლუკას და სანდროს დედა იყო წინაღამდეგი. ოოოო... როგორ განრისხდა ძმების განზრახვა რომ შეიტყო.

„ნათია ჩემი ცოლი გახდება და იცოდე თუ ახლა არ გამიშვებ სულ წავალ სახლიდან, მე ის მიყვარს...“ გაგულისდა ლუკა.

მამა, ბატონი ზურაბი, მდუმარედ უცქერდა დედისა და ძმების კამათს. ჯიბიდან საფულე ამოიღო და ლუკას ფული მიაწოდა.

— აიღე, ყოველი შემთხვევისთვის ჯიბეში გედოს და კიდევ, სანდროს მიხედე თორემ ვერ გადამირჩები.

ქალბატონი ელენე ახლა ქმარს მისწვდა:

— გაგიჟდი? სად უშვებ?

ბატონმა ზურაბმა მკაცრად შეხედა მეუღლეს.

— ჩემს შვილებს სხვა გადაწყვეტილება რომ მიეღოთ მე ის გამიკვირდებოდა, კაცები არიან და იბრძოლონ საკუთარი ბედნიერებისთვის. წადით შვილო, ოღონდ მობილურები არ გამორთოთ...

ქეთი სადარბაზოსთან უცდიდა.

— წავედით?

მიმართა ლუკამ.

— ხო წავედით.

სლუკუნით უპასუხა ასულმა.

— დედაჩემმა ისეთი მთხლიშა რომ...

— დარჩი, დედას ნუ აწყენინებ.

მორიდებით მიმართა მეგობარს ლუკამ

— ჩემი ბრალია...

— მე მოვდივარ.

ამაყად მიუგო გოგომ.

სამივე საავადმყოფოს კარებთან იდგნენ და კარზე აკაკუნებდნენ, გარეთ წვიმდა, საშინლად წვიმდა. დაცვამ კარები არ გააღო. ლუკა კარზე კაკუნს განაგრძობდა, როგორც იქნა დაცვის თანამშრომელმა კარი გააღო.

— ბავშვებო! ვერ შეგიშვებთ, წადით სახლში.

მტკიცედ მიმართა ოფიცერმა მეგობრებს.

— გთხოვ, აი ხატი, სანთლები და ლოცვები წამოვიღეთ, ეს ღამე აღდგომის პირველ დღეს გაათენებს, გთხოვ შეგვიშვი...

ეხვეწებოდა ლუკა.

— დაუშვებელია...

— მომისმინეთ, ამბობენ აღდგომისწინა ღამე, უდიდესი მადლის მატარებელიაო, იქნებ ნათიასთვის ეს შანსი იყოს, რომ გამოვიდეს მდგომარეობიდან. აი თუ გინდა დაგიჩოქებ.

და სანდრომ მუხლი მოიყარა.

— თუ გინდა მცემე, ოღონდ შეგვიშვი...

— ბატონო, სანთლები უნდა ავანთოთ და დაუჯდომელი ლოცვა უნდა წავუკითხოთ, რატომ არ გინდათ რომ გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი თხოვნა?!

მიმართა სიცივისგან აკანკალებულმა ქეთიმ დაცვის თანამშრომელს და ნაძალადევად გაუღიმა.

— ბავშვებო, რომ შემოგიშვათ სამსახურიდან მომხსნიან...

— რა ამბავია?!

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, შეცბნენ ბავშვები დაცვის უფროსის ხმის გაგონებაზე.

— მე ნებას ვერ დაგრთავთ...

— პალატის ექიმს სთხოვეთ, ან მორიგე ექიმს, უკვე თორმეტი საათი ხდება, აღდგომის დილა იწყება... გემუდარებით...

ხმა გაებზარა ლუკას.

— კარგით დავრეკავ.

დაცვის უფროსი ოთახში შევიდა და ტელეფონის ყურმილი აიღო, მშვიდად აკრიფა მორიგე ექიმის შიდა ტელეფონის ნომერი, რაღაცას ესაუბრებოდა, ბავშვებს არ ესმოდათ, მაგრამ... დაცვის უფროსმა გაიღიმა...

— მორიგე ექიმი თავად წაგყვებათ, ასე რომ...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა რომ ქეთი მიუახლოვდა და ლოყაზე აკოცა ოფიცერს, „მადლობთ“, თითქმის ჩურჩულით მიმართა გაოგნებულ კაცს.

მორიგე ექიმი პალატაში შეუძღვა ბავშვებს. მოწიწება და სიბრალული ეპუებოდნენ ერთმანეთს თეთრხალათიანი ექიმის დაღლილ სახეზე.

— ბავშვებო გთხოვთ წესიერად მოიქცეთ, მე დაგტოვებთ და იმედი მაქვს არ გამაწბილებთ.

— კი ქალბატონო...

მიუგო ლუკამ.

ხატის წინ სანთელი აანთეს ბავშვებმა. დაუჯდომელი ლოცვის კითხვა ლუკამ დაიწყო: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ მესამე სანდრო იყო, უჭირდა კითხვა, თითს აყოლებდა ტექსტს, ძლივს გამოთქვამდა სიტყვებს, საკუთარ თავზე ბრაზობდა მაგრამ არ ჩერდებოდა... კითხულობდა. თითქმის საათზე მეტი მოანდომეს ბავშვებმა დაუჯდომელი ლოცვის კითხვას. ერთმანეთს გადახედეს. პალატაში სამარისებული სიჩუმე მეფობდა.

— ეხლა რა ვქნათ ლუკა?

ჩურჩულით მიმართა ქეთიმ

— მზეს დავუცადოთ.

ძმის მაგივრად უპასუხა სანდრომ და იქვე ცარიელ საწოლზე ჩამოჯდა.

— ფეხები მეტკინა, ცოტას დავისვენებ...

— მაგარი კაცი ხარ სანდრო.

მზრუნველი ხმით მიმართა ლუკამ ძმას.

— ვიცი...

უპასუხა სანდრომ და საწოლზე წამოწვა.

ქეთის გაეღიმა. დრო გადიოდა. სანდროს ჩაეძინა. ქეთიმ ლაბადა გაიხადა და დაახურა ბავშვს. თავზე ხელი გადაუსვა, „უკვე კაცია,

პატარა მაგრამ კაცი“. სავარძელზე ჩამოჯდა ასული, ეძინებოდა გოგოს. მხოლოდ ლუკა დასდგომოდა თავზე ავადმყოფს. თითებით შეეხო ნათიას სახეს. კოცნა მოუნდა. ოოო... როგორ უნდოდა ერთხელ კიდევ ეკოცნა, ვნების გამოხატვას ერიდებოდა მიჯნური. ახლა ნათიას თითებს შეეხო. გაყინულ და უგრძნობ თითებს ეფერებოდა, დაიხარა და... აკოცა... „მიყვარხარ“, აღმოხდა ლუკას... მდუღარე ცრემლი ჩამოუგორდა მიჯნურს ლოყაზე...

კორიდორში დაცვის წევრის რაცია ახმაურდა „... ყურადღება, პერიმეტრზე რაღაც მოძრაობაა, მთელი ეზო ხალხითაა სავსე...“

ლუკა პალატის სარკმელთან მივიდა, ქეთიც გვერდში დაუდგა მეგობარს. გაჩირაღდნებულ ეზოში ხალხი იდგა, უამრავი ხალხი, მონასტრის დარბაზს ჰგავდა ეზო, ანთებული სანთლები ულიცლიცებდნენ ხელში ადამიანებს.

— ქეთი ხედავ?

— ხო, იქ დედაჩემი და მამაჩემიც დგანან, მთელი ჩვენი კლასი აქ არის...

— და მშობლებიც...

— თენდება ლუკა.

— ხო თენდება.

ბავშვები მადლიერი და გაოცებული თვალებით უცქერდნენ ეზოს.

— იმედის დილა თენდება ლუკა.

მიმართა ქეთიმ

ლუკამ ხელი გადახვია მეგობარს.

— ლუკა, ლუუკ!

სანდროს ხმამ გამოარკვია ფიქრებში წასული ძმა.

— რა იყო სანდრო?

— ნათიამ თითები გაატოკა.

— კარგი ბიჭი ხარ სანდრო.

გაეღიმა ქეთის.

— დედას ვფიცავარ, მართლა შეატოკა თითები.

დაჯერებული ხმით მიმართა მეგობრებს სანდრომ

— შეხედეთ...

ცალ ხელზე ნათიას თითები კიდევ შეირხა. ეხლა ორივე ხელზე აამოძრავა თითები ავადმყოფმა, „უმმმმ“ ამოიგმინა ნათიამ...

— ქეთი მელანდება?

— არა, არა, მგონი იღვიძებს, ლუკა ნათია იღვიძებს..

სანდრო წამოხტა, პალატიდან გაერთ გავიდა და დაცვის თანამშრომელთან მიირბინა.

— ჩქარა, იღვიძებს... ექიმს დაუძახე, ჩქარა...

— რა მოხდა პატარავ?

— ნათია იღვიძებს!

სანდრო უკვე ყვიროდა იგი. სანდრო სხარტად მობრუნდა და ექიმის კაბინეტისკენ გაიქცა.

გულგახეთქილი შევიდა პალატაში ექიმი. ნათია კვნესოდა. ავადმყოფი ერთადერთ ფრაზას, „ვაიმე დედა"-ს იმეორებდა.

ექიმმა დაცვის წევრი იხმო „...გთხოვთ პროფესორ ჩოლოყაშვილს დაუკავშირდით, მეათე პალატაში განსაკუთრებული მდგომარეობაა, სასწრაფოდ აცნობეთ, გთხოვთ..."

პროფესორი და რამდენიმე ექიმი ჩქარი ნაბიჯით შემოვიდნენ საავადმყოფოს ეზოში და შენობის კარისკენ გაემართნენ.

„რა ხდება?

ტალღასავით გადაუარა ეზოში მდგომ ხალხს.

„ცუდი ხომ არაფერია?"

ნათიას მამამ შეაჩერა ბატონი პროფესორი.

— რა ხდება ბატონო? მე ნათიას მამა ვარ, მეათე პალატიდან..."

— დამშვიდდით, ჯერ მეც არაფერი ვიცი.

ნათიამ თვალები გაახილა „დედაა..." აღმოხდა ავადმყოფს.

— ნუ გეშინიათ ყველაფერი კარგად იქნება.

პროფესორი ავადმყოფის გასინჯვას შეუდგა.

— ბავშვებო პალატიდან გადით.

— არაااა... ლუკა... არااა...

ნათია ლუკასკენ იშვერდა ღონე მიხდილ ხელს.

— გადავრჩით...

ბრძანა პროფესორმა, სათვალე შეისწორა და მზერა ბავშვებს მიაპყრო.

— ახალგაზრდა თქვენ ალბათ ლუკა ბრძანდებით.

ღიმილით მიმართა ლუკას პროფესორმა.

— დიახ, მე ლუკა ვარ.

— ჭაბუკო, მე არ ვიცი თქვენ რა მოიმოქმედეთ, მაგრამ აშკარაა რომ პაციენტს ცნობიერება სრულად დაუბრუნდა, ჯერ სუსტადაა, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდება, ჭაბუკო! ჩემთან გაქვთ შეკითხვა?

— დიახ მაქვს, შეიძლება პალატაში დავრჩეთ?

— სამივე?

— დიახ, ეს ქეთია, ჩვენი მეგობარი, ეს კი სანდროა, ჩემი ძმა...

პალატაში ნათიას მშობლები შემოვიდნენ.

— ბატონო პროფესორო ბავშვი როგორ არის?

აღელვებულმა იკითხა ნათას მამამ.

— უკვე კარგად, ცნობიერება აღუდგა, ჯერ სუსტადაა...

— ლუკაა... ლუკაა... დედაა... მამიკო...

ლუღლუღებდა ნათია.

დედა ასულის საწოლთან მივიდა, ხელებს უკოცნიდა პირმშოს

— მამა, ეს ლუკაა... ჩემი ლუკა.

მიმართა ღონემიხდილმა ნათიამ მამას.

— ის ჩემია...

პალატაში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ დედის ქვითინი არღვევდა მყუდროებას.

— მამა, მე ლუკა მიყვარს.

განაგრძო ავადმყოფმა.

მამამ ჯიქურ გადახედა ლუკას, შემდეგ მოლბა, ლუკას ხელი ჩამოართვა და მიმართა:

— მადლობთ ლუკა, შენ მე შვილი დამიბრუნე.

— მე... მე... არა... დღეს აღდგომის პირველი დღეა, მადლობა მე არ მეკუთვნის... ქრისტე აღსდგა...

— ჭეშმარიტად!

ერთხმად შესძახა პალატაში თავმოყრილმა საზოგადეობამ.

— ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად!

— ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად აღსდგა!

პალატის ექიმმა დაწვრილებით უამბო ნათიას მშობლებს ლუკას რამდენიმე თვიანი „ეპოპეის“ შესახებ, წუხანდელ თავგადასავალს ამაღელვებლად ყვებოდა დასტაქარი.

— მადლობთ შვილო.

ცრელმნარევი ღიმილით მიმართა ნათიას დედამ ახალგაზრდა რაინდს.

— მე ჩემი... ჩემი... მე მიყვარს... სიცოცხლეს მირჩევნია.

სიტყვებს თავს ვერ უყრიდა ბიჭი. ნათიას მამას გაეღიმა.

— ნათია ჩემს ძმას უყვარს, ლუკამ იბრძოლა და ბედნიერება მოიპოვა.

სიტყვა შეაშველა ძმას სანდრომ.

პროფესორმა ნათიას მშობლების გარდა, ყველას პალატისა და შენობის დატოვება მოსთხოვა.

ბავშვები ეზოში ჩავიდნენ. ხალხი შემოეხვია ახალგაზრდებს, კითხვების კორიანტელი დააყარეს... ლუკამ ქეთი მშობლებთან მიიყვანა.

— ბატონო დავით, ნება მიბოძეთ ბოდიში მოგიხადოთ, ქეთი რომ არა, არაფერი გამოგვივიდოდა, ის იყო ჩვენი მოამაგე და შემწე, გთხოვთ მომიტევოთ.

მორიდებით მეტყველბდა ლუკა.

— ქეთი ჯიგარი ხარ.

სიტყვა დააწია სანდრომ.

— თუ ვინმე გაგაბრაზებს მითხარი და მე მოვუვლი.

ღიმილით შესცქეროდნენ გარშემომყოფნი პატარა კაცს.

— ეხლა რა ვქნათ ლუკა?

მიმართეს მეგობრებმა ლუკას.

— ტაძარში უნდა მივიდე მამა გიორგისთან, ის მეტყვის როგორ მოვიქცე.

— ჩვენც წამოვალთ.

— მეც მოვდივარ.

დაიჩემა სანდრომ.

ლოცვას აღავლენდა მამა გიორგი, ლუკას მეგობრები მადლობას უძღვნიდნენ უზენაესს. სანთელს ანთებდა სანდრო.

— აი ასე დაიწყო ჩემი ოჯახის ისტორია.

დაამთავრა თხრობა ქალბატონმა ნათიამ.

— და მერე რა მოხდა?

მივმართე რესპოდენტს.

— მერე? მე და ლუკა შევუღლდით, ოთხი ვაჟკაცის დედა ვარ და ბედნიერი მეუღლე. მე საკუთარი საბავშვო ბაღი მაქვს, ლუკა ბიზნესმენია, ბავშვები კი სკოლაში სწავლობენ...

— თქვენი მომავალი კარიერა როგორ წარმოგიდგენიათ?

— კარიერა? მე როგორც ქალმა კარიერის პიკს თითქმის მივაღწიე, ბებიობას ველოდები, მე დედა ვარ, ჩვენს ოჯახში სიყვარული და ურთიერთპატივისცემა სუფევს...

— სანდრო?

— სანდრო დაოჯახდა, ორი შვილის მამაა პატარა ოინბაზი.

— მადლობთ ქალბატონო ნათია ამ საოცარი ისტორიისთვის...

— საოცარი იცით რა არის? ადამიანებმა ვერ ისწავლეს ბედნიერების დანახვა, ის ჩვენს წინ დევს, მაგრამ თვალს ვარიდებთ. გვეშინია რადგან სიყვარულის დეფიციტს განვიცდით, ბედნიერება მატერიალური საზომით არ განისაზღვრება, ბედნიერება უსიყვარულოდ არ არსებობს.

— მადლობთ ინტერვიუსთვის, უღრმესი მადლობა ქალბატონო ნათია.

— იხარეთ და უფალი გფარავდეთ.

დამლოცა ოჯახის დედამ.

ბედნიერი დავბრუნდი რედაქციაში.

ინტერვიუ 4

(ინტერვიუ ტელერედაქტორთან)

— გამარჯობათ, მადლობელი ვარ ინტერვიუზე რომ დამთანხმდით...

— გამარჯობათ, რით შემიძლია გემსახუროთ?

— პირველი შეკითხვა მინდა დაგისვათ...

— ნუ ღელავთ, დამშვიდდით.

— რას ნიშნავს „საზოგადოებრივი აზრის ფორმირება“?

— პირდაპირ „გულიდან“ ვიწყებთ? როგორც გენებოთ. საზოგადოებრივი აზრი ეს იდეოლოგიის „პროდუქტია“, მოცემულ პირობებ-

ში „პროდუქტის“ დროული და კარგად შეფუთული სახით საზოგადოებისთვის მიწოდების უზრუნველჰყოფა კი, ჩვენი დანიშნულებაა.

— თუ სწორად გავიგე საზოგადოებრივი აზრის ფორმირება დამოკიდებულია არსებულ, ან სიტუაციის შესაძლო განვითარებასთან?

— იცით, ჩვენ ყოველთვის ვიტოვებთ საფეხურს რათა „ნაბიჯი უკან“ გადავდგათ...

— ეს რას ნიშნავს?

— ინფორმაციას, მოსახლეობა იღებს პირველი პირებისგან. სასურველ პოზიციას სწორედ ისინი აფიქსირებენ, ჩვენ მხოლოდ ამ ადამიანებს ვუთმობთ ჩვენს ხელთ არსებულ მედია საშუალებებს...

— მაგრამ, ხომ არის განსხვავებული აზრი?

— ბუნებრივია, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე ჩვენ ვირჩევთ იმ სუბიექტს ვინც მოცემულ მოენტშია საჭირო, ასე ვქმნით „კომპეტენტურ აზრს“. „განსხვავებული აზრი“-ს მიწოდებაც ხდება, მხოლოდ განსხვავება ამ ორ მხარეს შორის ექსპერტების რაოდენობასა და მათთვის დათმობილ დროშია.

— გამოდის რომ ერთგვარ მანიპულირებასთან გვაქვს საქმე.

— ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ მედია ეს ერთგვარი „საწარმოა“, რომელსაც გააჩნია საკუთარი „პროდუქტი“ ისევე როგორც ქარხანას ან საერთოდ საწარმოს. არსებობს „შემკვეთი“, ასე ვთქვათ დამფინანსებელი, არსებობს „თემა“, რომელიც კარგად იყიდება, არსებობს მოვლენათა ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთთანაა კავშირში და შესაძლებელია მათი განხილვა დროში გაიწელოს, რაც ასევე მომგებიანია, ასევე თემები, რომელთა ურთიერთკავშირი ზედაპირზე არ ჩანს და შეიძლება არც არსებობდეს, მაგრამ ინტრიგა მათ შორის შესაძლო ურთიერთობისა დიდია და თუ მასაც კარგად „შეფუთავ“, „სენსაციის სინდრომს“ მიიღებ. ეს ყველაფერი კი ფულია.

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის დამკვეთის ინტერესების დაცვა?

— უმნიშვნელოვანესია, ერთ „დამკვეთს“, მეორე „დამკვეთი“ მოჰყვება...

— გამოდის რომ თქვენ საკუთარი პოზიცია არ გაგაჩნიათ?

— რატომ? ჩვენ გვაქვს საინფორმაციო ბლოკი და თოქშოუების მთელი კასკადი...

— ერთი კითხვაც მინდა დაგისვათ პარალელურ რეჟიმში.

— გისმენთ.

— რას ნიშნავს „მთავარი მოთამაშე“?

— კარგით, ჯერ ერთი საკითხი დავასრულოთ. მაშ ასე, საინფორმაციო ბლოკი, იმის მიხედვით იგეგმება რაც მოვლენათა ეპიცენტრში ანგარიშგასაწევია და საყურადღებოა, თუ არსებობს „ნება“ შესაბამის საიმფორმაციო ბლოკში, ინფორმაცია მიეწოდება ისე, როგორც ეს „დამკვეთისთვისაა“ მისაღები, მაგრამ რჩება „ნაბიჯი უკან“ რაც ტენდენციურობის ბრალდებისგან გვიხსნის, ან უბრალოდ უგულებელჰყოფს მას. რაც შეეხება „თოქშოუს“, წამყვანი გადაცემაში იწვევს თემასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებს, რაც შესაბამისად საზოგადოებისთვის მისაღებია, მაგრამ არსებობს წამყვანის „საეთერო სიმპათია“, ეს დროა, რომელსაც რესპოდენტს, სტუმარს უთმობს წამყვანი და კითხვა, უფრო სწორედ კითხვის დასმის ვექტორი, აქ მთავარია მიმართულება და მძიმე...

— მძიმე?

— დიახ, ამ საოცარ სასვენ ნიშანს შეუძლია მთელი აზრი შეცვალოს.

— ეს ფაქტი იწვევს თუ არა „საეთერო სიმპათიის“ მიღმა დარჩენილი მხარის პროტესტს?

— ნაკლებად, რადგან ჩვენ ვირჩევთ ისეთ ადამიანებს ვისაც საკუთარი აზრის დაფიქსირება და დაცვა უჭირთ, შესაბამისად ნაკლებად ეფექტურიცაა ეს პიროვნება დისკუსიისთვის. ასეთ შემთხვევაში „დამკვეთის“ შეკვეთა შესრულებულია...

— და თუ ეს მხარე მართალია? მაგრამ ნაკლებად მომზადებული, საზოგადოების სიმფატია ვის მხარესაა?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის? თუ ის მართალია, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ, რომ აზრი გამოთქვას და საკუთარი სიმართლე დაასაბუთოს. თუ საზოგადოებამ იცის ამ ადმიანების სიმართლის შესახებ და ვერ ადასტურებენ, მაშინ „საზოგადოებრივი შემწყნარებლობის“, ან „საზოგადოებრივი დათმენის“ იმედი, შეიძლება იქონიონ.

— ასე მგონია წერტილის დასმამდე გადავდივართ თემიდან თემაზე.

— გეთანხმებით და ეს ძალიან საინტერესოა.

— დაუდანაშაულებიხართ ტენდენციურობაში?

— კი, მაგრამ ჩვენი ფორმატი „ნეიტრალურ ზეწოლას“ გულისხმობს. საერთოდ „ტენდენციური“ მედია საშუალება საზოგადოებაში ავტორიტეტით ვერ სარგებლობს, მაგრამ ავანტურა საზოგადოებრივ ინტერესთა სფეროში მუდმივად იკავებს პრიორიტეტულ ადგილს და არის კიდევ შოუ, ეს განსაკუთრებული ფენომენია, რადგან მას შეუძლია მილიონობით ადამიანი მიაჯაჭვოს მედია კომპანიის „იმიჯს“.

— რა ჰქვია ამ „იმიჯს“?

— ამ მუდმივად განახლებად, მოტივირებულ, ორგანიზებულ და მკაცრ დისციპლინაზე დამყარებულ, პროფესიონალთა გუნდის მიერ მართულ მედია ერთეულს, „კლასიკური მედია საშუალება“ ჰქვია.

— ამ თემას ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდეთ.

— როგორც ინებებთ.

— რას ნიშნავს საზოგადოებრივი დაკვეთა?

— ის, რამდენიმე სახისაა. პირველი, მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარების შესახებ ინფორმაცია, მეორე, „საზოგადოებრივი ინტრიგა“, რომელიც ძირითადად მსხვილი სახალხო გაერთიანებების ან „ინტერესთა ჯგუფის“ ინტერესების გათვალისწინებით არის შედგენილი. მესამე, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგად მიღებული, ინტერესთა განზოგადოების შედეგად მიღებული თემების ერთობლიობა. მეოთხე, საკუთარი „ბრენდული“ პროდუქტი, ამ „პროდუქტს“ ხშირ შემთხვევაში ექსკლუზიური ხასიათი აქვს და მას, არც თუ იშვიათად „ჟურნალისტურ გამოძიებას“ ვარქმევთ.

— თუ შეიძლება თვითოეული მათგანის შესახებ მცირე კომენტარი გააკეთოთ.

— მაშ ასე, „მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარება“. ეს ძირითადად ქვეყნის შიგნით ძალთა თანაფარდობის, მხარეთა ურთიერთ დაპირისპირების და შიდა საზოგადოებრივი აზრის განვითარების ტენდენციებს ეხება...

— ამ შემთხვევაში არსებობს ცალკე დაინტერესებული მხარე?

— კი, უმეტეს შემთხვევაში ყველა მთავარი მოთამაშის ინტერესებშია ინფორმაციის სწრაფი და ეფექტური მიწოდება-გავრცელება მედეა საშვალებებით, ბუნებრივია ობიექტურობის „მსუყე ულუფის“ ჩათვლით. რაც შეეხება ფორმატს, აქ საქმე გვაქვს საკმაოდ ლავირე-

ბად სქემასთან. ის, იმის მიხედვით ყალიბდება, თუ რამდენადაა შესაძლებელი „თემის დაყოფა“, საზოგადოებაში „მოვლენასთან“ დაკავშირებით მეტი დაინტერესების მისაღწევად.

— და სულ ეს არის?

— არის კიდევ „პერსონალური“ და „ფინანსური“ სიმფატია.

— საერთო ჯამში თქვენ თითქოს ყველაფერს მეუბნებით და ქვიშასავით ხელში არაფერი მრჩება.

— კარგით... კარგით... მარტივად გაგცემთ პასუხს თქვენს უმთავრეს კითხვაზე, „საზოგადოებრივი დაკვეთა“, განსაკუთრებული მნიშვნელობის შემცველი მცნებაა, რომელსაც ვიყენებთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის. უმეტეს შემთხვევაში არავითარი „დაკვეთა“ არ არსებობს. საქმე გვაქვს ინტერესთა „ვექტორის“ მიმართულების შეცვლასთან. არსებობენ აქტიური და პასიური პერსონაჟები. ასევე ადამიანები, რომლებიც შესაძლოა ამა თუ იმ მოვლენას დავუკავშიროთ მათი შესაძლო მონაწილეობის ალბათობა. შემდეგ იქმნება „თეორია მოვლენის“ შესახებ და მოქმედებაში მოდის მისი უდიდებულესობა „საზოგადოებრივი დაკვეთა“, ხშირად ჩვენ თავად ვქმნით რომელიმე ფაქტთან დაკავშირებით სკანდალს, რადგან მასების ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ ის ადამიანები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ცნობად სახებს წარმოადგენენ. ეს ინტრიგაა და ერთგვარი შანტაჟიც. თქვენ ეს გსურდა მოგესმინათ?

— და კიდევ...

— და კიდევ გახსოვდეთ, ტენდენციური მედია საშუალება არ არსებობს, არსებობს ინდივიდუალური ხედვა, ფაქტების „მიწოდების“ ინდივიდუალური სქემა, „ფინანსური სიმფატია“, კონკურენცია და „მძიმე“...

— და კიდევ ერთი შეკითხვა...

— თქვენ მე უკვე დამღალეთ, თქვენი დრო ამოიწურა კარგად ბრძანდებოდეთ...

ᲘᲝᲗᲐᲛᲘ
(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ლამაზი სოფელი. სოფლის მკვიდრთ ერთი განსაკუთრებული წესი ჰქონდათ, ყველა ეზოში, გარდა ხეხილისა აუცილებლად უნდა დაერგოთ კაკალი, მუხა და ნაძვი. ვერავინ იტყვის რატომ მაინც და მაინც ეს სამი ხე, მაგრამ მამა-პაპურ ტრადიციას არავინ ღალატობდა. ყოველი ახალი მოსახლე სანამ სახლის შენებას დაიწყებდა ჯერ ნერგებს რგავდნენ, შემდეგ მეზობლები გადმოვიდოდნენ, ნერგებს გარშემო დაუვლიდნენ და საკუთარი ოჯახებიდან მოტანილი ღვინით ოჯახის დამკვიდრებას ადღეგრძელებდნენ. ამ რიტუალს ფესვკურთხევას ეძახდნენ. ჩვენს სოფელს კი ქვის უბანი ერქვა.

სტუმართმოყვარეობით განთქმული იყო ქვისუბანი. იმ მხარეში ბევრს სატრაბახოდ ჰქონდა „ქვის უბანში ნათესავი ან მოკეთე მყავსო“, ქორწილიც განსაკუთრებული ტრადიციისამებრ მიმდინარეობდა. ნიშნობისას საპატარძლო ქოთნით ყვავილს გადასცემდა საქმროს, აქაო და „ყვავილი ვარ, სურნელოვანი და ტანკენარი, მომიფრთხილდი და ნუ დამაჭკნობო“. სასიძო თავის მხრივ საპატარძლოს მანდილს, ბეჭედს და ხატს სჩუქნიდა, „ოჯახის ქალი მანდილის სიბრძნის, ერთგულების და სიწმინდის მაგალითი უნდა იყოსო“. კიდევ სხვაც ბევრი ლამაზი წესი ჰქონდათ ქვის უბნელებს. სიცოცხლე ჩქეფდა სოფელში, მაგრამ ერთხელაც...

მშვენიერი საღამო იდგა, თბილი, მთვარეც არ იშურებდა სხივებს და უხვად ანათებდა სოფლის ეზოებს. დიდ მოედანზე ხალხი შეკრებილიყო, ახალგაზრდობა ერთობოდა, ზოგი მღეროდა, მავანნი ცეკვავდნენ, ზოგიც თავის გულის სწორს ჩუმად ემიჯნურებოდა, ბალღებიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი და ერთი ჟრიამული ჰქონდათ ატეხილი, ლაპარაკს არ აცლიდნენ უფროსებს. ბრძენკაცნი მოედნის კიდეში ასწლოვანი მუხების ქვეშ ისხდნენ და სოფლის საკითხებზე მსჯელობდნენ. აქეთ კი ქალთა მარაქა შეკრებილიყო. ოოო... ტა-ტა-ტა, აბა იქა ხდებოდა რაც ხდებოდა.

იმ საღამოსაც ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, როგორც ყოველთვის, მაგრამ უცბათ ცა ჩამობნელდა, ზაფხულის ღამეს, თოვლნა-

რევმა ქარმა დაჰბერა, ვერ გაეგოთ ქვის უბნელებს რა ხდებოდა. შეშინებული ხალხი ზეცას შეჰყურებდა, სეტყვაც დაიწყო. ატყდა ერთი ალიაქოთი, არავინ უწყოდა ვინ საით გარბოდა, იდგა ერთი გნიასი, მოედანი დაიცალა, მხოლოდ მუხებთან, სოფლის მოძღვარი მამა წყალობა და იმ მხარეში გათქმული ფალავანი — იოთამი იდგნენ. მამა წყალობას ჯვარი აღემართა და ჩუმად ბუტბუტებდა ლოცვას. უცბათ მოედანზე ცხენებშებმული ეტლი შემოსრიალდა, ელვასავით ანათებდა ცხენების თვალები, ფლოქვებით ძალუმად სცემდნენ მიწას. შავი ეტლიდან უცნაური ხმა ისმოდა, თითქოს ვიღაც სტიროდა, ზოგი კვნესოდა, ზოგი იცინოდა, ვერა გაეგოთ ვერც მამა წყალობას და ვერც იოთამს, საიდან გაჩნდა ეს ეტლი მათ სოფელში, არც მსგავსი სილამაზის ეტლი ენახათ მრავლის მნახველ მოძღვარს და ფალავანს. ეტლის კარები მძიმედ გაიღო, წვეროსანი, მგლისთავიანი და ადამიანის ტანიანი არსება გადმოვიდა. ძალგულოვანი სჩანდა დაუპატიჟებელი სტუმარი. არც კადნიერება აკლდა მოსულს. პირველმა მამა წყალობამ მიმართა მოსულს.

— ვინა ბრძანდებით, შვილო ჩემო?

მგლისთავამ ნაბადი მოიშორა და ხელი ხმლის ვადაზე დაიდო. საუბრის დაწყებას არ ჩქარობდა აბჯროსანი. ახლა იოთამმა ჰკითხა სადაურობა და ტყიურის ხრიალით გასცა პასუხი უსტუმრებელმა. ისევ გამოანათა მთვარემ. ქარიც ჩადგა, ისევ დათბა ქვეყანაზე. იქვე მიმომალულმა ქვისუბნელებმაც წამოყვეს თავები. მდუმარედ, შიშნეული თვალებით შეჰყურებდნენ მოსულს.

მგლისთავამ გარშემომყოფთ თვალი მოავლო და ხალისიანად ალაპარაკდა:

— პატიებას გთხოვთ თანასოფლელებო, ბოდიში მინდა მოგიხადოთ უდროო დროს სტუმრობისათვის.

მამა წყალობამ შეჰკადრა მოსულს.

— სტუმარი ღვთისაა, შვილო ჩემო. ვინაობა გვიბრძანეთ თქვენი.

ახლაღა დააკვირდნენ მამა წყალობა და იოთამი მოსულს, მათ წინაშე მშვენიერი ვაჟკაცი იდგა პირმცინარე.

— კაჟ-ციხის ბატონი გახლავართ ბატონებო. ეტყობა სიბნელეში გზა ამერია.

— კაჟ-ციხე სოფლის თავთან არის, სასაფლაოებს გადაღმა.

მიუგო იოთამმა.

მაგრამ იქაურობა დიდი ხნის წინ გავერანდა. ამბობდნენ ბოროტი ძალა ბუდობსო შიგ.

— სცდებით იოთამ ბატონო.

ღიმილით მიუგო აბჯროსანმა

— ჩემი სადაურობა საიდან იცით?

გაუკვირდა იოთამს.

— შენი სახელი მე კი არა მთელმა ამ მხარემ იცის, შარშან გნახე დღესასწაულზე. ბოდიშს მოგიხდით კიდევ ერთხელ, ჩემს საუფლოში მიმეჩქარება.

ეს სთქვა უსტუმრებელმა და ეტლში ჩაჯდა. ნელი სვლით გაემართა ეტლი სასაფლაოსკენ, კაჟ-ციხის ნანგრევების მიმართულებით.

— მამა-პაპისგან გამიგონია კაჟ-ციხის პატრონი კაც-მგელი იყოო...

დუნედ ალაპარაკდა იოთამი.

— ადამიანთა სისხლით იკვებებოდა, ასე ამბობს ლეგენდა.

— მართალი ხარ, იოთამ შვილო, მძიმე დღეები შეიძლება დაუდგეს ჩვენს სოფელს. ღმერთო გვიშველე, ნასოფლარად არ გადააქციო ქვის უბანი.

ცას შეჰღაღადა მამა წყალობამ.

— თანასოფლელებო! ნურაფრის გეშინიათ, გზააბნეული მგზავრი იყო მხოლოდ.

ომახიანად მიმართა იოთამმა ხალხს

ეს თქვა იოთამმა და თავისი ქოხისკენ გასწია. “პაპაჩემისგან მსმენია, სამი ძელის ძალისა ეშინიათო მგელკაცებს, იქნებ კაკალი, მუხა და ნაძვი? მაგრამ რას ნიშნავს ეს სამეული, ან როგორ შეიძლება გამოიყენოს ეს კაცმა?“ ფიქრობდა იოთამი.

მამა წყალობაც გულამღვრეული დაბრუნდა ეკლესიაში. ხატის წინ სამი სანთელი აანთო, ჩუმი ლოცვა სთქვა, მსახურობა რომ მოათავა, საკურთხეველთან ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. „მამაჩემ ლაზარესგან მსმენია მონასტრის კედელზეაო გამოხატული მგელ-კაცთან რკენა. იქვე იხილავო მისი მოშთობის ხერხს, ესე იგი სადღაც აქ არის ეს ფრესკა. მალე მაინც გათენდებოდეს“ — ინატრა მოძღვარმა.

დილის პირველი სხივები შემოიჭრნენ ტაძარში. ნელ-ნელა სინათლემ გაავსო ტაძრის დარბაზი. ფიქრიდან გამოერკვა წმინდა მამა. მძიმედ წამოდგა ღამენათევი. მონასტრის კარი გააღო, ეზოში გამოვიდა და სამრეკლოსკენ გაემართა. თავაუღებლად მისწვდა საბელს და ძალუმად მოქაჩა ხნემორეული ხელებით. მხოლოდ საბელებიღა შერჩა ხელთ წმინდა მამას, ზარები სამრეკლოდან გამქრალიყვნენ. ელდა ეცა მხცოვან მოძღვარს. დილის ლოცვისათვის გამზადებულიყო ხალხი. წესი ამბობდა, ზართა ხმობისას უნდა დაძრულიყვნენ მონასტრისკენ დილის ლოცვისთვის. ჟამი მოწეული იყო ღვთისვედრებისა, მაგრამ ზარის ხმა არ ისმოდა ჯერაც. ეჭვდარეულები დაიძრნენ ქვის უბნელები მონასტრისაკენ. მრევლმა ტაძრის ეზოში გონწართმეული მამა წყალობა შენიშნა, გულაღმა გართხმული ხასხასა მინდორზე. ზარები აღარ ეკიდნენ სამრეკლოზე. შეშინებული იცქირებოდა ხალხი ტაძრის ეზოში და შესვლა ვერ გაებედათ სულიერთ. იოთამი გამოეყო ხალხს, თითქმის სირბილით მიუახლოვდა მოძღვარს.

— მამაო! რა დაგმართნია, ავადობამ ხომ არ დაგრია ხელი?

რუდუნებით წამოაყენა მოხუცი და იქვე საფლავის ქვაზე დასვა ჯერაც აზრდაკარგული.

— ზარები, წმინდა ზარები მოიპარეს იოთამ შვილო.

სიტყვამარცვლურით ამეტყველდნენ მოძღვრის ბაგენი.

— განსაცდელისათვის მოვემზადოთ. ძლიერი არის უკეთური, რადგან ტაძრის ეზოში შემოჰბედა ფეხის დადგმა და ზართა პყრობა.

— ვიპოვით ზარებს წმინდა მამაო, მრავალი მტერი დაგვიმარცხებია, მათაც მოვაშთობთ.

ამხნევებდა იოთამი მოძღვარს.

— წამომაყენე იოთამ შვილო. ცისკრის ლოცვის ჟამი გადავიდა, მაგრამ გულითნავედრს შეისმენს მაინც უფალი, წამომაყენე შვილო, მომეცი მხარი.

მუხლი გამართა სოფლის მოძღვარმა, მონასტერში იხმო თავისი მრევლი. შუა ლოცვისას იოთამს გვერდში ამოუდგა თანასოფლელი გედია მენახირე და ჩუმად უჩურჩულა ძმადნაფიცს:

— გარეთ გავიდეთ, იოთამ, საქმე მაქვს გადაუდებელი.

— ჯერ წირვა ჩათავდეს, გედია ძმაო, საქმე მოიცდის.

— ძროხები ვნახე დაგლეჯილი გომურში, წვეთი სისხლი არ აქცევია გარშემო, ისე აქვთ ყელი გამოღრღნილი სამივეს.

ცუდად ენიშნა იოთამს ეს ამბავი. პირჯვარი გადაიწერა და გაჰყვა მენახირეს. გომურში პირუტყვნი საწყლად ეყარნენ. ყელი გამოეღადრათ პირუტყვისთვის, სისხლის ნაკვალევიც არ სჩანდა გარშემო.

— სოფელს უნდა ვაცნობოთ, გედიავ, მამა წყალობას მოვუყვეთ ეს ამბავი. ვიჩქაროთ ძმობილო.

წირვა მოთავებულიყო, ხალხი იშლებოდა, ტაძრის ეზოს ტოვებდნენ ქვისუბნელები.

— ხალხნო! შეჩერდით!

უცებ იგრიალა გედიას ბუბუნა ხმამ. წვრილად აუწყა სოფელს მომხდარი. იარაღის აღება მოსთხოვა სოფლის ქუდოსნებს.

— მოიცათ შვილო!

ამეტყველდა უცებ მოძღვარი.

— ვის წინააღმდეგ იბრძვით ის თუ იცით?

— მგლები შემოესივნენ, ალბათ სოფელს.

იყო პასუხი.

— ქალ-ბალღნი მონასტერს მიჰგვარეთ. მის კედლებში საკმაოა ბინა ყოფნისთვის. თქვენ კი ქართველნო, ხმალი აღიღეთ და უდარაჯეთ სოფელს.

დასძინა მამა წყალობამ.

— შენ კი იოთამ და შენ გედიავ, ჩემთან მობრძანდით შვილნო ჩემნო სასაუბროდ.

სამნათეოში განმარტოვდნენ სამეულნი. ეტყობა უჭირდა საუბრის დაწყება მამაოს.

— მისმინეთ, შვილნო. მამისა ჩემისა მღვდელმთავარ ლაზარესგან გამიგონია, კაჟ-ციხის პატრონი ავსულთან თანაზიარიაო, ყოვლად საცდუნებელი არისო მისი ქცევა. პირმშვენიერი ვაჟკაციაო მზის შუქზე, მთვარეულობას იქცევა მგლისთავად და მგლად იქცევაო იგი. მაქციათა დიდთავადია, უძლევიაო ბრძოლაში. მხოლოდ სამთა ხეთა საიდუმლო მოსპობსო მას. ეს საიდუმლო ამ ტაძრის კედელზეა აღწერილი და ვერ მივაგენი თავად, თქვენი იმედი მაქვს, შვილებო. რაც შეეხება სოფლის ქალებს და ბალღებს, ნურავინ იდარდებს, მათ ვერ მიეკარება მხეცი.

— კი, მაგრამ ზარნი თუ იმსხვერპლა? ამაზე რას მეტყვი, მოძღვარო?

— ჩემს სიტყვას ენდეთ. ახლა კი ამოვხსნათ ეს საიდუმლო.

მონასტრის კელიები გაივსო ბალღებით, ქალებითა და მოხუცებით. ქვის უბნელები იარაღდებოდნენ. ცხენკეთილობას და ხმლის სიბასრეს უმოწმებდნენ ერთმანეთს სოფლის რაინდები.

— აი აქ, აქ არის რკენა, გუმბათის ყელთან.

ჩამოსძახა ზევიდან გედიამ.

— რა სწერია ან რა ხატია მანდ, გედიავ?

გაეპასუხა იოთამი.

— გასანთლული გრაგნილიც დევს აქა, ჩამოვიტანო?

— იჩქარე, გედიავ, შვილო, იჩქარე.

აღმოხდა მამა წყალობას. ტაბლაზე გაშალეს გრაგნილი. შანდალი მიუნათა იოთამმა მოძღვარს. მძიმედ ალაპარაკდა მოძღვარი:

„რაითა ძლიერებითა უკეთურითა, სახიერებითა ტყიურითა ტანითა ადამიანისა, არს კაჟ ციხისა მეპატრონისა გვარისა ტიალ ნათესავნი, მგელ კაცისა სახიერებითა და განსწავლითა ბრძენთა სადარისა. არა ჰშინებდნენ არც მზისა და არც მთვარისა ჟამსა. არა ვნება აქვთ ადამიანისა ხელითა, ვერც ხმალითა და ჰოროლითა, ვერც ისრითა იკოდვიან და ვერც ტყვიით განიგმირნონ. ღვთისა უშიშნი ღვთისა სახლსა გარეთ. საზრდოთა მათთა არს სისხლი სულიერისათა, ადამიანისა და ცხოველ-პირუტყვისა. ას კაცსა მეტ ღონის მქონი და მარდნი თვალისა სიმარდისა მეტნი. არს ერთი ღონე, რაით შეიძლების მოშთობაი მგელ კაცისა. იგი მოკვდინდება ახლად ნათლული მგელ კაცისაგან. რამეთუ ადამიანი უნდა დაკბენილ იყოს ცხოვლისაგან ამისა რაითა იქცეს თითონვე გვამად მგელ-კაც, ძალითა და ძლიერებითა მისითა“.

— ეს რა მესმის, მამაო?

აღმოხდა იოთამს. მოძღვარმა კითხვა განაგრძო.

„რაითა მოისპობის მგელ კაცი, ახლად ქცეულმა თუ ნებისა მისისა არა სურს რჩეს ცხოვლად და წყევლად მისისა გარდამქცევისა. ღამესა ახალს წლისასა ვიდრე იწყებდეს დღე პირველი, საათსა 11-სასა უნდა დაიფლოს მუხის კუბოში, ნაკვეთსა მისივე ეზოში გაზრდილის ხისა, ქვეშე იფინოს წიწვნი ნაძვისანი და ნაყოფნი ნაძვისანი რაითა ვერ ის-

ვენოს, სუდარად დაფენდეს ნაჭუჭნი კაკლისანი, მისის ეზოსეულნი და გვამს დაფლავს შუად სამ ხეთა შორის. ახალსა წელსა, ლოცვასა შემდგომად მოძღვარსა ადამს ძეთა ვითარც შობა, რაითა დაიკრძალოს“.

— კი მაგრამ, მამაო, ახალ წლამდე ძალიან შორია. მანამდე რა ვქნათ?

დაეკითხა გედია.

— უნდა ვითმინოთ. მომეცი მეორე გრაგნილიც წავიკითხო. აქ რაღა სწერია?

ბრძანა მოძღვარმა.

— „მგელ-კაც, კაჟ-ციხისა პატრონი მოექცეს კაცსა და პირუტყვის მსგავსად სახიერებისა მისისა. რაიც მეტ იქნებიან იმძლავრენ სოფელსა ზედა, რაით არა გამრავლდნენ კაჟ-ციხესა. თავად ბჭეებთან, სამთა გალავანთა ახარონ ხენი კაკალი, მუხა და ნაძვი. სამი ბჭე აქვს ზღუდესა ციხისასა. სამხრეთსასა კაკალი, ჩრდილოეთსასა ნაძვი, დასავლეთისასა მუხა. ამითა არა განიბნეოდენ იგინი ციხისა გარეთ და საცხოვრის მათი არა იქმნ ქვეყანაი სხვაგან. რაითა ინდომონ ახალ ბჭისა გახსნა აღმოსავლეთსა დარგე სამთავე“.

— მანამდე ბრძოლა, სისხლისმღვრელი იქნება ეს ომი, შენ რას გვეტყვი, მოძღვარო?

ჰკადრა იოთამმა.

— აქ მესამე გრაგნილიც არის, ესეც ვნახოთ, რა სწერია.

— „არს წიგნი, ჯადოსანი, რომელიც ხელთ უპყრევს მგელ-კაცსა. თავადი წიგნია იგი და ძალა მათი ძალგულოვანი იქა არს წესნი და შელოცვანი ჯადოსანთა. ვინც მას იპყრობს, იგი გახდება უპირველესი მგელ-კაცი. ასე ვუწყი მე“.

— იოთამ, შენ რას იტყვი?

ჩაეძია ძმადნაფიცი.

— უკვდავნი ყოფილან, მხოლოდ ეგ არის, დღე ძალა ეკარგებათ. ალბათ რადგან მხოლოდ ადამიანებად შეუძლიათ იყვნენ.

ბრძანა იოთამმა.

— მაშინ დავლაშქროთ კაჟ-ციხე.

— ჯერ გზირები გავგზავნოთ.

— მე ვითავებ ამ საქმეს.

ომახიანად ბრძანა იოთამმა.

სამნი დაადგნენ კაჟ-ციხის გზას, იოთამი, გედია და მჭედელი ხარება.

მზე საშინლად აცხუნებდა, შუადღე გადასული იყო, კაჟ-ციხის მისადგომს რომ მიუახლოვდნენ მეამბენი.

— შეხედე, იოთამ!

აღმოხდა ხარებას.

მშვენიერი სასახლე გადაეშალათ თვალწინ. თეთრი კაჟით ნაგები. ულამაზესი ციხე-დარბაზი. გაოგნდნენ სამთავე. აქაურობა ხომ ჯერ კიდევ გუშინ ქვათა უდაბნოდ იყო ქცეული.

— დიდი ჯადოსანია მგელ-კაცი.

ჩუმად წარმოსთქვა გედიამ.

— მას ჯადო წიგნი უპყრია ხელთ, მისი ძალით არის მძლავრი.

უპასუხა იოთამმა.

ზურგს უკან ცხენის ფრუტუნი მოესმათ, ხმალს მისწვდა სამთავე რაინდი.

— დილა მშვიდობისა, ბატონებო!

მშვენიერი ჭაბუკი შემოეგებათ.

— მობრძანდით ჩემს სახლში. ბატონო იოთამ, თქვენც აქ ბრძანდებით?

ცხენიდან ჩამოვიდა ჭაბუკი. მშვენიერი აღნაგობის იყო მასპინძელი კაჟ-ციხისა, „კუნთმაგარი და ტანად მშვენიერი“. მხოლოდ თვალები ჰქონდა არაადამიანური, რაღაც საოცრად შავი და დიდი.

— გთხოვთ, შემობრძანდით. ჯერ არსად თქმულა, რომ ჩემს სახლში ვნებულიყოს ვინმე სტუმართაგანი.

— მადლობა მომიხსენებია პატიჟისათვის.

მხნედ ალაპარაკდა იოთამი.

— ეგ არის მხოლოდ, აქ ქვის უდაბნო იყო და ნანგრევებად ქცეული ეზო. ახლა კი დიდებული სასახლე წამოჭიმულა და მეფისას არ უდებს ტოლს.

— გეთანხმებით, ბატონებო. ის რისი დანახვაც არ შეუძლია ადამიანს, შეუძლია რჩეულს, ეს რჩეული კი მე გახლავართ.

მშვიდად მიუგო ჭაბუკმა.

— უკაცრავად, მასპინძელო ბატონო, მაგრამ უხერხულია, სახელიც კი არ ვიცით თქვენი.

მორიდებით წარმოთქვა მჭედელმა.

— იოთამი, თქვენი სეხნია ვარ, იოთამ ბატონო.

ღიმილით წარმოთქვა მგელ-კაცმა.

— საიდან მობრძანდით, ან საით მიემგზავრებით? იოთამ ბატონო?

ბრაზშეპარული ხმით ალაპარაკდა იოთამი.

— მე „იოთამ კაჟ-ციხელს“ მეძახიან. რაც შეეხება სად მივალ, მე უკვე მოვედი ჩემს სახლში, ახლა კი გთხოვთ მობრძანდეთ შინ.

იოთამ კაჟ-ციხელი გულთბილად შეუძღვა სტუმრებს სასახლეში. ენით უთქმელი იყო ციხე დარბაზის მშვენიერება. უმშვენიერესი ნოხებით მოეფინათ იატაკი ციხისა, კედლებზე დიდოსტატთა ნაკეთი სხვადასხვა ჯურის იარაღი და აბჯარნი იყო გამოფენილი, ყვავილთა სურნელი უხვად იფრქვეოდა ციხე დარბაზში. უმშვენიერესი ავეჯი განსაკუთრებულ სიმყუდროვეს ჰქმნიდა შინ.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ ბატონებო, პატივი დამდეთ და ფუძეჭერი დამილოცეთ. სტუმარი იშვიათად მყავს.

დასძინა მასპინძელმა.

მშვენიერ სავარძლებში მოკალათდნენ ქვის უბნელები. ორი პირბადე აფარებული მანდილოსანი ემსახურებოდა მაგიდას. ოქროს ჭურჭლით გააწყეს სუფრა ქალებმა, საჭმელი, ნუგბარიც უხვად მოზიდეს სტუმართა პატივსაცემად.

— იოთამ!

მხნედ ალაპარაკდა მგელ-კაცი.

— ვიცი, რისთვისაც მობრძანდით აქ. ისიც კარგად ვუწყი, რომ ჩემი გალავნის სამივე კართან ხეებსა რგავენ თქვენი თანასოფლელნი და თუ მეოთხე კარის გაჭრას დავიწყებ, სამივე ხეს იქ დარგავენ. ისიც კარგად ვუწყი, რომ ჯადო წიგნის ხელთპყრობა გაქვთ განზრახული და ჩემი მოშთობა ახლად მოქცეული მგელ-კაცის ხელით გსურთ. თქვენ ჩემდამი მტრობა გაქვთ გულში, მე კი გმასპინძლობთ.

— მართალს ბრძანებ, მასპინძელო ბატონო!

თავდაჯერებული ალაპარაკდა გედია.

— შენი მოსვლა ჩვენს მხარეში სიკეთეს არ უქადის სოფელს, ამიტომ მოვითხოვთ სოფლის სახელით, დასტოვეთ აქაურობა და გაგვეცალეთ. წაბრძანდი იქ, საიდანაც მოხვედი.

— მომწონს პირდაპირობა.

გაეღიმა მგელკაცს.

— მაგრამ სად უნდა წავიდე, მე ხომ ქვისუბნელი ვარ? თანაც კაჟ-ციხე ჩემი სახლია. სახლიდან გინდათ გამაგდოთ, გედია ბატონო? თა-ნაც ხედავთ რომ მე არავის არაფერს ვუშავებ, რა გსურთ ჩემგან?

— ჩვენ ვიცით, როგორ მოგაშთოთ, ჩვენ ყველანი ვიბრძოლებთ შენს წინააღმდეგ და დაგამარცხებთ იცოდე!

სიბრაზე დაეტყო მჭედელს.

— რახან ასეა, იყოს ომი. მხოლოდ იოთამ ფალავანთან მსურს გასაუბრება. ჩემი სახე ხომ არ გეცნობა, იოთამ ბატონო? არ გინ-და გამიხსენო? მე ის ფალავანი ვარ დევის წყაროზე ჭიდილში რომ დაგამარცხე. რატომ დაუმალე შენს ძმადნაფიცებს შენი მარცხი? შეგ-რცხვა, ბეჭდაუდებელო?

— დამარცხება ბრძოლაში სირცხვილი არ არის, მგელ-კაცო ბა-ტონო!

კოპებშეკრულმა მიუგო იოთამმა.

— გეთანხმები, თუმცა მე სხვა მოსაზრება მაქვს, მაგრამ ეს მერე. მსგავსებას თუ ხედავ ჩვენს შორის, იოთამ ბატონო?

ჩაეკითხა მგელ-კაცი.

— არა მგონია, მსგავსი ვიყო შენი რითამე.

მიუგო იოთამმა.

— გთხოვთ, ბატონებო, ყური მიგდოთ და თხრობისას სიტყვა არ გამაწყვეტინოთ. შევთანხმდით?

სამთავემ თანხმობის ნიშნად მძიმედ დაუკრეს თავი.

— მაშ ასე...

წვერზე ხელი ჩამოისა მგელ-კაცმა.

— მე ამ სოფლის მკვიდრი ვარ. ჩემი მამა-პაპაც ამ სოფლის ქვი-სუბნის მკვიდრნი იყვნენ იმ განსხვავებით, რომ ისინი ადამიანები იყ-ვნენ, მე კი 25 წლისა კაჟ-ციხის პატრონი. ადამიანად ყოფნისას ცოლ-შვილი მყავდა. თუმცა მოდით ყოველივეს წვრილად გიმაბობთ. იოთამ, შენა გთხოვ, კარგად მომისმინო.

მგელ-კაცმა წელზე ქამარ-ხანჯალი შეისწორა, შარბათი მოსვა და განაგრძო:

— ფესვკურთხევა გვქონდა იმ დღეს, ჩემი მეუღლე თებროლე სუფრას დასტრიალებდა, სტუმრებს ველოდით. ფესვკურთხევის რიტუალი დამთავრებული იყო, როცა ღობის იქით ეტლი გაჩერდა. ვიფიქრე სტუმარი გვეწვია მეთქი სოფელში. მივეახლე. ეტლიდან ჯან-მაგარი ჭარმაგი კაცი გადმოვიდა. კეთილად გაღიმება სცადა, მაგრამ ნადირისეული კბილები გამოუჩნდა ბაგეთა მიღმა. კაჟ-ციხის მეპატრონედ გამაცნო თავი. იმ ღამეს ძროხები ვნახეთ ყელგამოჭრილი და გასაოცარი ის იყო, რომ წვეთი სისხლი არსად ექცია გარშემო. კაჟ-ციხის დასაზვერად წავედით. ქვის უდაბნოდ და ნანგრევად ქცეული ადგილი ბაღნარად ქცეულიყო ერთ ღამეში, მხოლოდ ეგ იყო სასახლის ეზოში მგელ-კაცნი დააბიჯებდნენ და ფუსფუსებდნენ რაღაცას. კაჟ-ციხის ეზოში სამი ხე იდგა კაკლისა, მუხისა და ნაძვისა. ვაკვირდებოდით ამ მგლის პირისახის მქონე ხალხს და ახლოს მისვლას ვერ ვბედავდით.

— გამოდის, რომ ნათესავნი იყვნენ შენი.

მიმართა მჭედელმა. კაჟ-ციხელმა ხელით ანიშნა, ნუ მაწყვეტინებო და განაგრძო.

— სამი დედოხის ძალისა ეშინოდათ მგელ-კაცებს. კოშკიდან ის ჭარმაგი კაცი გამოვიდა, ჩემს ეზოში რომ ვნახე. ვეება ცული აიღო და ხეებს შემოსცხო, ნაძვის წიწვნი ისრებად ესობოდნენ მგელკაცთ, გაუსაძლისი ტკივილისაგან მიწაზე ეცემოდნენ და ავბედითად ყმუოდნენ უწმინდურნი. მხოლოდ ჭარმაგი მგელკაცი უძლებდა ტკივილს, მუხის რკონი ქვად ქცეულნი თავპირს უსისხლიანებდნენ ხის მჭრელს და კაკალი ნაიარევ ადგილას უვსებდა თანამოძმეებს. ვერც ერთი ხე ვერ მოსჭრა მგელკაცმა და დაღლილი, სისხლისგან დაცლილი იქვე მიესვენა მინდორზე. გონს რომ მოვიდა, შავი ტყავგადაკრული წიგნი აიღო და შეუძახა "მითხარ უსჯულოთა ტყავით ნაკერო, როგორ მოვაშორო ხეთა წყევლა", წიგნი გადაიშალა და უცხო საშინელი არსება გადმოვიდა მისგან. უბრძანა "ძალგულოვნი დაკბინე, რაითა შენებრ იქცეს, იგი მოსჭრისო ამ ხეებს"

— გამოდის, რომ ის ძალგულოვნი შენა ჰყოფილხარ? — შეეკითხა იოთამი.

— იმ ღამეს სახლში მომივარდა მგელ-კაცი, ჩემი ვაჟი აიყვანა ხელში და მითხრა ან შენ გამომყვები კაჟ-ციხეს, ან შენ შვილს გამოვჭამო ყელსა. უხმლოდ უნდა მეახლოო".

მიბრძანა მოსულმა.

— ცოლ-შვილი სახლში დავტოვე და გავყევ მგელ-კაცს. იმავ ღამეს შარბათი მასვეს ჯადოსნური და უგონოდ მყოფს მომაჭრევინეს სამივე ხე. როცა გამოვფხიზლდი, მგელ-კაცთა ჯარი ამხედრებულიყვნენ დიდრონ ტურებზე და სოფლის დასალაშქრად მიდიოდნენ. იმ დღეს დამკბინა მგელ-კაცთა შორის უპირველესმა. იქვე ნაძვის ტოტი იყო, გამწარებულმა იგი შემოვკარი ცხოველს. კივილი ატყდა, მუხლებზე განერთხა მგელ-კაცი, დავაკვირდი და თვალებიდანაც სისხლი სდიოდა, ძალა ეცლებოდა მოძალადეს. დანარჩენებიც ყმუოდნენ საშინლად, სისხლად და ნაცრად იცლებოდნენ. მგელ-კაცმა ძალა მოიკრიბა და მითხრა: "შენ ხარ მოქცეულ მგელ-კაცად, შენ იქნებიო ჩემი შემდგომი, წიგნი გამომართვი. ეს იქნებაო შენი გრძნეულების და სიძლიერის მტკიცე დასტური" და ყველაფერი გაქრა. ღამე იყო და ნანგრევებთან ვიდექი გაოგნებული, იქაურობა ისევ ქვის უდაბნოდ გადაქცეულიყო. მხოლოდ ეტლი იდგა, ცხენებშებმული და უცნაური ძალა მეწეოდა შიგნით.

— გამოდის, რომ შენ დაამარცხე ის მგელ-კაცი და თავად იქეცი მისი საქმის გამგრძელებლად.

მიმართა იოთამმა.

— გეთანხმები. იოთამ, შენ ჩემი შვილიშვილი ხარ, ალბათ გსმენია პაპაშენის დაღუპვის შესახებ,

— კი, მაგრამ პაპაჩემი ნადირობისას ჩაიჩეხა კლდეში?

გაკვირვებით ბრძანა იოთამმა.

— არა, ნეტავ ასე ყოფილიყო, ჩემი მეუღლის თებროს საფლავი მოვინახულე გუშინ, ეხლა კი შენ იცი, ჩემო იოთამ სრული სიმართლე. გუშინდელ ძროხათა სიკვდილს მე ნუ დამაბრალებ. ჭარმაგი მგელკაცი დაბრუნდა ისევ, ჯერ ძალა არ აქვს, რომ შემებრძოლოს, ამიტომ ღამისეულ ნისლში იმალება. მშიერია და ძალასაც მაქციობით იღდგენს. ახლა კი მისმინე, წადით ტაძარში, იქ შეეფარეთ, აიღეთ ეს მორები, ეზოში რომ ყრია, ისინია იმ სამი ხის დანარჩენი. მონასტრის ეზოში დარგეთ. მორი ხედ იქცევა, ტოტები ააჭერით და ჯვარსახოვანი სოლები გააკეთეთ, ხეებს არაფერი დაემართებათ, რასაც მოსჭრით, იგივე აღუდგება სხეულზე. საკვებად კი ცის მანანა მოგევლინებათ.

— ზარები ვინ მოიპარა სამრეკლოდან, მგელკაცო?

მიმართა გედიამ.

— მე ჩამოვხსენი.

ბრძანა მგელ-კაცმა.

— რატომ, თუკი ჩვენთვის კარგი გინდა?

გააუკვირდა იოთამს.

— ჭარმაგ მგელ-კაცს ზართა გუგუნი ძალას ვერ აკლებს, ხოლო ადამიანთა შიში, მას აახალგაზრდავებს და ძალას ჰმატებს, ხოლო მე კი, ძალას მართმევს.

განმარტა მგელ კაცმა.

— ვერ მოქცეულხარ კარგად, დაგვიბრუნე ზარები.

თითქმის ბრძანების ტოლფასი იყო მჭედელის სიტყვა.

— დაგიბრუნებთ, მხოლოდ გთხოვთ, ახალი წლის ღამეს, ვიდრე შუაღამე არ დადგება, ზარს არ შემოჰკრათ. მპირდებით?

— აგრე იყოს, მაგრამ მანამდე?

შეეკითხა იოთამი.

— დღე გუგუნებდეს და მწუხრის დადგომისას ნუ დარეკავთ ზარებს, გთხოვთ.

— როდის გეახლება ჭარმაგი მგელ-კაცი? შენ როგორ ფიქრობ მასპინძლობას?

მიმართა იოთამმა.

— როცა გაძლიერდება. დაიმახსოვრეთ, ჩვენი შებრძოლებისას არავინ მოხვიდეთ ახლოს. ბრძოლის მერე ჩვენს შორის გამარჯვებული ღონემიხდილი იქნება. ნუ შეგაშინებთ მისი საშიში სახე, შეიპყარით, მიწაზე დააკარით, მუხის ჯვაროსანი სოლი გულში ჩააჭედეთ. მუხა ფესვს გაიდგამს და მისი ნაყოფი ქვად გადაიქცევა მგელკაცის გულში. ნაძვის სოლი თავში ჩააჭედეთ. წიწვნი ნაძვისანი გონებას ჩაესობიან და გონს ვეღარ მოიკრებს გამარჯვებული. კაკლის სოლი კი ფეხებში ჩააჭედეთ. კაკლის სიმძიმე ფეხის განძრევის საშუალებას არ მისცემს ავ სულს. ხოლო წიგნს უნათლავი ბალღი მიეახლოს და ცეცხლში ჩააგდოს იგი. შემდეგ მონათლეთ ბალღი და უვნებელი დარჩება სიავისაგან. ახლა კი წადით და მოემზადეთ.

გაოგნებულნი დაიძრნენ სოფლისკენ სამთავე. ყოველივე წვრილად მამა წყალობას მოახსენეს.

— ესეიგი მართალი ყოფილა, თებროლე, სიკვდილის წინ რომ ბრძანა...

მძიმედ წარმოთქვა წმინდა მამამ.

— როგორ, ესე იგი ის მგელ-კაცი პაპაა ჩემი?

გაუკვირდა იოთამს.

— ხო, შვილო ჩემო.

მძიმედ დაუკრა თავი მოძღვარმა.

დეკემბრის ერთ ღამეს მოძღვარი ეზოში გავიდა და შიშნაკრავის ელდა ეცა უცბათ, კაჟ-ციხიდან ჩამოტანილი მკვიდრი მორები სამ მშვენიერ ხედ ქცეულიყო ტაძრის ეზოში. „ჟამი მოახლოებულა“.

გაიფიქრა მოძღვარმა.

დილით ადრიანად დაიწყეს ჯვრის სახიანი სოლების გამოთლა ქვის უბნელებმა. მრავალი გამოთალეს. სამივე ხის ჯვრით შეიარაღდა თითოეული. ახლა უნათლავი მოიკითხეს მონასტერს შეხიზნულებმა. მხოლოდ ერთი გოგონა აღმოჩნდა მოუნათლავი, სოფლის ობოლი იყო იგი. ძველი წლის უკანასკნელი დილა გათენდა. შავი ღრუბლები ერთად იყრიდნენ ცაზე თავს. ელვა და ქუხილი ებრძოდნენ ერთმანეთს ცის კიდობანზე. მზის სხივნი ძლივსღა აღწევდნენ მიწას. ქარბორბალასავით დატრიალდნენ უცებ ღრუბლები, ავის მომასწავებელი ღმუილი გაჰქონდა გრიგალად ქცეულ ქარს ტაძრის გალავანგარეთა ქვეყანაზე. ნისლი დაიძრა მთებიდან, მგელთა ყმუილი ისმოდა ირგვლივ.

— დაიწყო რკენა.

აღმოხდა მამა წყალობას.

— შენ გვიშველე ზეციერო! ხალხნო, ლოცვად ემზადეთ.

კაჟ-ციხის მხრიდან გრგვინვის ხმა უფრო ძლიერდებოდა. გრიგალი ლეწავდა ხეებს. ნისლმა დაფარა მთელი სოფელი და სისხლის წვიმა დაიძრა ციდან. ელვის ენები ამოკრთოდნენ მგელ-კაცის სასახლის მხრიდან. ბინდი წვებოდა. ამბოხებული ბუნება მეტი ძალით ეხეთქებოდა სოფელს. უცბათ ყველაფერი მიწყნარდა. მთვარემ გამოანათა. ცაც გადაიწმინდა სახე. ვარსკვლავები ციმ-ციმებდნენ ცაზე.

— ალბათ მოთავდა რკენა, ვიჩაქროთ, აბა, ცხენებზე ჩქარა!

შეუძახა იოთამმა მეგობრებს.

თავშეწირული ობოლი და მამა წყალობა ერთ ცხენზე შეჯდნენ. თავდაუზოგავად მიჰქროდა სოფლის გზაზე ოთხი მხედარი, იოთამი, მჭედელი, მენახირე და მოძღვარი, მოუნათლავთან ერთად.

მტვრად ქცეულიყო მშვენიერი ციხე დარბაზი. ფეხზე ერთი მგელსახიანი იდგა მხოლოდ კიდურმოგლეჯილი. ერთი შეხედა მოსულთ გამარჯვებულმა და საშინელი ხრიალით დაიძრა მათკენ. პირველი, ჯვრის სახიანი სოლი, აძგერეს მკერდში არამიწიერს. მეორეც ჩააჭედეს მყისვე, კაკლის ჯვარსახოვანით, ფეხებიც დაუოკეს, დამარცხებულსაც ასევე მოექცნენ. შავ წიგნს მიეახლა მოუნათლავი. ხელში იპყრო.

— არ გადაშალო, თეონა!

შეჰყვირა იოთამმა.

ცეცხლში ისროლე პირდაპირ.

გოგონამ მძლავრად გაიქნია წიგნი კოცონში. შიშინით იწვოდა იგი. ზარი შემოჰკრა მნათემ. ახალი წლის დადგომა აცნობა სოფელს.

— მადლობა იოთამ, აღმოხდა მიწაზე მიჯაჭვულ მგელ-კაცს, ადამიანად რომ მაქციე კვლავ...

მთვარის შუქზე დააკვირდა იოთამი მოკლულს. ის მასპინძელი ჭაბუკი შეიცნო.

საახალწლო წირვა-ლოცვა აღავლინა მოძღვარმა. თათიას ნათლავდა მამა წყალობა, ნათლია იოთამს ავალებდა ნათლულის ბედს.

დღესაც კაჟ-ციხის ნასახლარზე ძალუმად დგანან მუხანი, ნაძვნი და კაკალნი. იქაურობის ხელის ხლებას დღესაც ვერ ბედავს ვერც ერთი სულიერი. ამბობენ, ბროწეულებიც აყვავდნენო იქ.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲚᲝᲛᲘ

„გულმძვინვარეაო ირანის ლომი, ძალით ათი კაცის მჯობნიაო იგი, არც დანდობა და შებრალება უწყისო მოწინაღამდეგის, თუ ხელთ ჩაიგდოო...“

ალბათ ჩვენს გასაგონად თუ ავრცელებდნენ ასეთ ხმებს ირანელნი.

მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციამ ირანში დაგეგმა ჩემპიონატის ჩატარება. ქართველნიც თავაწეულნი ვეწვიეთ ირანს. დიდებული იყო

სპარსეთის დედაქალაქი. თითქოს აზიურ დარბაისელ გონს ჩაუქსოვია თავისი დიდებულება და ისე გაუშლია ვაკეზე თვალწარმტაცად სპარსთა დედაქალაქი. რამდენი ქართველის მკლავი და გონება შეეწირა ირანს... ვინ მოსთვლის... მშვენიერ ასულს ავადევნე თვალი, თბილი, თვალებმაყვალა, წარმტაცი გოგო ავიბლანდე თვალში... იქნებ ქართული სისხლი სჩქეფს მის ძარღვებში და თავად არ უწყის, რამდენი პირმშვენიერი ქალ-ვაჟი დააბიჯებს ისპაჰანს, გურჯთა გენი რომ ბობოქრობს მათ სხულში და.... რისთვის ვიტანჯავ თავს ასეთი ფიქრით? განა მომისმენს ვინმე?

ფინალისკენ ჯიუტად მივიწევდით ქართველნი. არც ერთ მეტოქეს არ დაუდეთ ტოლი და ჰა�ა... ფინალის დღეც დადგა.

მარცხენა მკლავი ტრამვირებული მქონდა, ვერც ექიმთა მეცადინეობამ გასჭრა, მკლავის ტკივილი წყევლასავით აეკრა სხეულს. ერთი ფიქრი მქონდა „ირანის ლომი“ ნუ იქნებოდა ჩემი მოწინაღამდეგე. შიში რას მიჰქვია? მაგრამ ფინალში შესაძლო დამარცხება გულს ეკლად ჩასობოდა და მოსვენებას მიკარგავდა. ყოველი სპორტსმენი ხომ გლადიატორს ჰგავს კოლიზეუმის არენაზე ბრძოლად რომ იყო შეწირული „სასიკვდილოდ მიმავალი მოგესალმები შენ“, ასე მიმართავდნენ ცეზარს. ჩვენი ცეზარი ჩვენი გულშემატკივარია, ჩვენი ერია მრავალგვემული და უიმედობის მთრგუნავი მარადჟამს, ხოდა მათი სიხარული ჩვენი სიცოცხლეა, მათი მწუხარება ჩვენი სიკვდილი. „ფარით, ან ფარზე“ მუდმივი დილემა სპორტსმენის თანამდევია მარადჟამს.

„ირანის ლომთან“ მიწევდა შერკინება. ბოლო ბრძოლა იყო, ჩვენს შორის გამარჯვებული ეუფლებოდა მსოფლიო თასს. ტატამზე ავედი, თვალი გავუსწორე მოწინაღამდეგეს. კიმონოს იცვამდა ირანელი. კლდეში ნაკვეთ ტიტანსა ჰგავდა. ზედ არ მიყურებდა „ლომი“. ბრაზი მომერია, „ტატამს ბეჭებით დაგაკრავ ირანელო“, ბოღმას ვანთხევდი თავად. რკენა დაიწყო. ძალუმად მომქაჩა მარცხენა მკლავზე ფალავანმა, ტკივილის ყრუ ხმა აღმომხდა და მომეჩვენა თითქოს ხელი შემიშვა, ილეთის ჩატარებასაც უგერგილოდა ცდილობდა ირანელი. დრო ვიხელთე, ქართული გარეკაურით თეძოზე შემოვიგდე „ლომი“ და ტატამზე ბეჭებით „დავაკარი“. „იპონ“, შესძახა რეფერმა, ზეზე წამოვიჭერი, ტატამს შემოვურბინე გახარებულმა და მოწინაღამდეგეს მივუახლოვდი, ღიმილიანი, ნაღვლიანი თვალებით მიმზერდა ირანე-

ლი. უზარმაზარი მკლავი მომხვია და მითხრა „მარტყოფელი ვარ ბიჭო, ფერეიდნიდან, „გამარჯვებას გილოცავ თანამიწიერო“... ქართულად საუბრობდა „ირანის ლომი“. გავშრი, „ქართველი ხარ?“ ვკითხე გაოგნებულმა. „ხო ძმაო, ხო...“ ამოიგმინა დევკაცმა. უცბათ დაიხარა, ლომისა დარი მკლავი მუხლებზე მომხვია, ზე ამიტაცა, ტრიბუნისკენ შებრუნდა და მჭექარე ხმით შესძახა: „დიდება ქართველთ!“, ტრიბუნაზე ერთი ჯგუფი წამოდგა ფეხზე და „ამინ, დიდება...“-ო გრიალით მოედო დარბაზს.

დინჯად დამსვა „ირანის ლომმა“, „ონიკაშვილი ვარ გვარად“... მხოლოდ ეს სთქვა, შებრუნდა და თავისი გუნდისკენ წავიდა. მხრები უცახცახებდა გოლიათს. ჩვენებთან მივედი „ბიჭებო ის ქართველია, ონიკაშვილია გვარად, ფერეიდნელია...“, სიტყვებს ძლივს მოვუყარე თავი. ირანელებისკენ გავიხედე. გოლიათის გვერდით კიდევ ორი კაცი იდგა, ღიმილით შემოგვცქეროდნენ ქართველებს... ჩვენივე ქართველები...

წერილი მოიტანა ვიღაც გოგომ, „იმ ბატონისთვისაა“, მიმართა მწვრთნელს და თითით ჩემზე ანიშნა. ორად იყო გაკეცილი ფურცელი, გავშალე და კითხვას შეუდექი!

„აქ, თეირანში ქართული სკოლა გვაქვს, ჩვენცა გვყავს ჩვენი „იაკობ გოგებაშვილი“, დედა ენის დავიწყების უფლებას რომ არ გვაძლევს ფერეიდნელ ქართველებს. აქ, ჩვენ ერთი დიადი ნატვრა გვაერთიანებდა, რომ გურჯობა შეგვენარჩუნებინა და რწმენა იმისა, რომ ცისარტყელის ქვეშ ვინც გაძვრებოდა სამშობლოში დაბრუნება ელოდა უცილოდ. ეს ღვთის ნების ტოლფასი იყო ჩვენთვის. დამარცხებით ჯერ არ მიამაყია დღემდე და ბედნიერი ვარ თქვენი გამარჯვებით, თუ დღეს გურჯისტანი მსოფლიო თასის მფლობელია, ჩვენც ხომ გურჯები ვართ“?!

წერილის კითხვა დავასრულე, ფურცელი დავკცე, გამარჯვება გაუფერულდა...

საქართველოს ჰიმნი გუგუნებდა ჩემპიონთა სადიდებლად, დავაკვირდი, „ირანის ლომს“, ტუჩები ქართულ ჰიმნს „მიჰყვებოდა“. სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ... მედალი მოვიხსენი კისრიდან, „ონიკაშვილო გამომართვი ეს მედალი, შენს შვილებს წაუღე, ამაზე ძვირფასი არა გამაჩნია რა“ — მივმართე „ირანის ლომს“.

„ქართველი ქართველით არის და საქართველო ქართველებისთვის, მკლავი მოსტყდეს ქართველზე გამარჯვებულ ქართველს თუ მისი გამარჯვება საქართველოსთვის არ არის...“, მიპასუხა ონიკაშვილმა.

ჩვენი ნაკრების არც ერთ წევრს არ ჩამოუტანია მედალი ირანიდან, ფერეიდანში დაიდო ბინა გურჯთა დიდებამ.

იყო? ვინ?

ბევრნი არ ვიყავით მეგობრები. მთელი ბავშვობა ერთად გავატარეთ, არაფრით არ ვიყავით გამორჩეულები, ისეთივე ცელქები, ცუღლუტები, გაუგონრები, ალბათ, როგორც ყველა ბავშვი. ნელ-ნელა ასაკი გვემატებოდა, მომავალზე დავიწყეთ ფიქრი. ლაშა იყო ჩვენს სამეგობროში ყველაზე გულარხეინი, მასთან ურთიერთობა ერთ რამედ ღირდა, მასზე საოცარსა და მშვენიერზე ვერავინ ვიოცნებებდით, წარმოსახვის და ფანტაზიის უსაზღვრო დიაპაზონის მფლობელი იყო ლაშა. თავისი გარეგნობითაც ამაყობდა, მაღალი, მხრებში გაშლილი, მამაკაცური მშვენიერება უხვად მოუმადლებია მისთვის გამჩენს. ბახუსის დიდი ტრფიალი შეიქმნა, სუფრაზე მისებრი მოლხენა სამეგობროში არავის შეგვეძლო, გამორჩეული იყო ფაქიზი იუმორით, ბუნებაც ზვიადი ჰქონდა, ნიჭიერებითაც გამოირჩეოდა სამეგობროში. დრომ თავისი მოიტანა, ყველანი ჩვენს გზაზე გავედით, ყოველდღიური რუტინა საშუალებას აღარ გვაძლევდა დრო ერთმანეთთან ხშირი ურთიერთობისთვის დაგვეთმო, მხოლოდ ლაშა რჩებოდა კოლორიტად და მეოცნებეთ. მის ოჯახსაც გაუჭირდა, ხელგაშლილობა ხელმოკლეობამ შესცვალა. უმშვნიერეს გოგოზე დაქორწინდა, მალე პირმშვენიერი ასულის მამაც გახდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ბედნიერება მისთვის ძნელი ასატანი გახდა, არა იმიტომ რომ ვერ მიხვდა, არამედ ბედნიერების „საფასურის გადახდა“ არ ისურვა და დაკარგა. გულს ჟამიანობა შემოაწვა. შურისძიებად მეგობრებს მოგვევლინა. ღვინო და არაყი გახდა მისი ყოველდღიური „პური ჩვენი არსობისა“. გზა აბნეული ყარიბივით შეიქმნა ლაშა. ვინც ხელს უმართავდა მათი მოძულებაც მოასწრო გაბოროტებულმა და სხვისი ბედნიერებით დაბრმა-

ვებულმა, ოჯახიც დაენგრა, ბევრი ვეცადეთ დავხმარებოდით, მაგრამ უშედეგოდ. გალოთდა. ყველაზე ძნელი მისი ამ ქვეყნისკენ მობრუნება აღმოჩნდა ჩვენთვის, ღვინოში ეძებდა „იმას“ და რომ ვერ პოულობდა სამეგობროზე ბრაზს ანთხევდა. ექიმთან გვყავდა მიყვანილი, ხშირი ავადმყოფობა დასჩემდა. თითქმის „მოურჩენელი“ სჭირსო თქვენს მეგობარს „გვითხრა ექიმმა..... ყველას გაგვირბის, ალბათ საკუთარ თავსაც გაურბის...

ახლახანს შემომხვდა გზაზე, გასვრილი, დაჭმუჭნული შარვლით... ალბათ მშიერი, მაგრამ მთვრალი... ფუჭი ოცნების ცრემლნარევ მოგონებას ჰგავდა იგი.

ᲙᲕᲐᲖᲘᲛᲣᲓᲝ

იმ წელიწადს რაჭაში წავედი დასასვენებლად. ჩემი დედულეთია რაჭა. დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა სუფრა გავშალეთ, იმ ადგილს ქვაპტკარს ეტყვიან რაჭველები. ლამაზ და წარმტაც ბუნებას ფაფარაყრილი რიონიც რაჭული სიდინჯითა და მხნეობით შემოგვეგება ძველ მეგობრებს. პირველი ჭიქა თემურმა ასწია.

— ჩემო მეგობრებო, მოდით ამ პირველი სასმისით ჩვენი პირველი, თავდადებული მეგობრის, კვაზიმუდოს შესანდობარი ვთქვათ...

ეს ამბავი კი ასე დაიწყო. ათი წლისანი ვიყავით მაშინ, რიონის პირას ჩავედით საბანაოდ ქვაპტკარში, რიონი აქ პატარა ტოტს იკეთებს, წყალი მდორეა და საბანაოდ უსაფრთხო. იქ ერთ ბომბორა ძაღლს დაედო ბინა, გვიმრიანში იყო მისი ბუნაგი, საცოდავს უკანა ფეხები წართმეული ჰქონდა, ამბობდნენ „მანქანამ დაარტყაო და ხერხემალი დაუზიანაო“, ალბათ ზურგზეც ამიტომ ჰქონდა კუზი. „კვაზიმუდო“ შევარქვით ძაღლს. როცა ქვაპტკარში საბანაოდ მივდიოდით ყოველთვის მიგვქონდა ძვლები, პური, ან რაიმე სასუსნავი, რამდენჯერმე ბებიაჩემის გამომცხვარი ხაჭაპურიც კი მივართვი ხეიბარს. ერთხელაც ჩვეულებისამებრ ვეწვიეთ ქვაპტკარს მეგობრები, ყიჟინა დავეცით, „კვაზიმუდოსაც“ მივართვით მოსაკითხი. ვწუწაობდით, ვცურავდით, ყვინთვაში ვეჯიბრებოდით გალაღებულები... ჩვენს შორის თემური ყველაზე კარგად ცურავდა, მკლავურში ვერ ვჯაბნიდით,

თევზივით ცურავდა... „რიონში უნდა შევცუროო“, მოგვაძახა თემურმა და მკლავურით გასცურა მომცრო კუნძულისკენ, ტოტსა და რიონს შორის რომ ამობურცულიყო. ბევრი ვუშალეთ თავისნათქვამას, მაგრამ ვერას გავხდით. ტოტი გადასცურა, კუნძულზე ავიდა, ცოტა ხანს დაისვენა, ხელით გვანიშნა აქაოდა მიყურეთო და კვლავ წყალში შესცურა, ჩვენც გულმშვიდად ვუცქერდით მედიდურ მოცურავეს, რიონისკენ გასცურა და... მძლავრმა მდინარემ ტალღა შემოჰკრა თავმომწონე მოცურავეს, თემური იბრძოდა, მაგრამ ნაპირისკენ ველარ მოცურავდა, თავის წიაღში ითრევდა მდინარე... „თემურიიიი, თემოოოო“... ყვირილით ნაპირ-ნაპირ მივდევდით ბავშვები, მეგობარს ვამხნევებდით შეშინებულნი...

— შეხედეთ, კვაზიმუდო!

შესძახა რომელიღაც ჩვენთაგანმა...

რიონის ტალღებს მიაპობდა ძაღლი, ყეფდა, თათებს ძალუმად უსვამდა... დაეწია, დავინახეთ როგორ მოხვია მკლავები ძაღლს, ნაპირისკენ მობრუნდა ძაღლი, თემურმაც გაშალა მკლავი, ბავშვი და ძაღლი ქანცგაწყვეტამდე ებრძოდნენ დუჟმორეული მდინარის აქაფებულ ტალღებს, შორს წაიყვნა მდინარემ. ნაპირს სირბილით მივუყვებოდით ატირებული და მოღრიალე, ფეხშიშველა, ტრუსების ამარა. „თემურ! ნაპირისკენ, ნაპირისკენ მოუსვით“... ხმის ჩახლეჩმდე ვამხნევებდით მეგობარს. თავთხელში შემოსცურეს ბავშვმა და ძაღლმა, უკვე აღარც ჩვენ გვეშინოდა, შევცურეთ წყალში, ღონემიხდილი მეგობარი ნაპირზე გამოვიყვანეთ, „როგორ ხარ თემურ?“ კიხვები დავაყარეთ მეგობარს.

„ძაღლს მიხედეთ, მას მიეხმარეთ, ამოიყვანეთ“, ამოიკვნესა ილაჯაყრილმა. მოვტრიალდით, „კვაზიმუდო“ არსად სჩანდა, შორს შევნიშნეთ, რიონს გაუტაცნია ოთხფეხა რაინდი. ყეფდა, რიონს ებრძოდა, ტალღებს ებრძოდა ძაღლი, ძალა ეცლებოდა, დუჟმორეული ტალღები დაუნდობლად სცემდნენ გადამრჩენელს, უცბად მძლავრად ამოიწია წყლიდან, რამდენიმე წამი გვიყურებდა ტალღების ნებას მინდობილი, თათები წყალს დაუშინა ისევ და გულის განმგმირავი ყმუილი მოგვესმა. გულქვა რიონმა ტალღა გადააფარა ალბათ უკვე სულგაყრილი ძაღლის ვეება სხეულს. „კვაზიმუდოოოოო“... ცრემლით დანამული ხმით ვუხმობდით მეგობარს. ჩვენი ყვირილი იქვე მომუშავე მუშებს გაუგონიათ, ჩვენსკენ მორბოდა ხალხი, „რა მოხდა? ვინ

იღრჩობა? „სახეარეულმა, რუჯნაკრავმა კაცმა მოგვაყარა კითხვები. „კვაზიმუდო“. ძლივს ამოვღერღეთ გულმოკლულებმა. „კვაზიმუდო? ვინ არის კვაზიმუდო?“ დაგვეკითხა გაოგნებული, „ძაღლია, ძაღლი, მან თემური გადაარჩინა დაღრჩობას და თვითონ“... და ტირილი დავიწყე. „ცოდვიანი მდინარეა რიონი“... ჩაიდუდუნა კაცმა, თავზე ხელი გადამისვა და წავიდა. აგერ უკვე ორმოცდაათი წლსანი ვხდებით და იმ დღის მერე რიონში არასოდეს გვიბანავნია. თუმცა სამოთხიდან ხომ მხოლოდ ძაღლი გამოჰყვა ადამიანს მწედ და მეგობრად. ფეხზე ავდექით და ისე შევსვით ჩვენი მეგობრის შესანდობარი.

ლეგენდა არამ კაცზე

ერთ სოფელში მშრომელი და გამრჯე ხალხი ცხოვრობდა. სოფელში ერთ ბრძენს დაედო ბინა და როცა თანასოფლელებს რაიმე გაუჭირდებოდათ რჩევისთვის მას აკითხავდნენ ხოლმე, ისიც, სიბრძნის წყალობით ყოველთვის ნახულობდა გამოსავალს ყოველგვარი გაჭირვებიდან და ხიფათიდან.

ერთხელ ბრძენმა გადაწყვიტა მდინარის იქით სკოლა აეშენებინა და სოფლის ახალგაზდრებისთვის საკუთარი ცოდნა გაეზიარებინა. ჯერ ბავშვები მიაბარეს ბრძენკაცს გლეხებმა, აქაოდა „ვნახოთ რას ასწავლისო“. ბრძენმა მდინარეზე გადებული ხიდი ჩაანგრია, რომ ახალგაზრდები დამოუკიდებლად გაეზარდა და სოფლის მოჭირნახულენი სიბრძნით გაძღოლოდნენ ქვეყნის საქმეს.

ერთხელ სოფელს ერთი კაცი ესტუმრა. ღიმილი უთამაშებდა სახეზე, ტკბილმოუბარიც იყო უცნობი. სოფელში დასახლდა და სოფლელებს მეზობლობაც გაუწია. ეზოში დიდი მაგიდა დადგა და ყოველ საღამოს სახლის ეზოში სუფრას შლიდა. საქმე ის იყო, რომ თავად უქონელს სუფრაზე ერთი თეფში კერძის მიტანაც კი არ შეეძლო, სამაგიეროდ სუფრას გლეხები ავსებდნენ პურ-მარილით. დრო გადიოდა. ეხლა თამადობაც წამოიწყო ახალმოსახლემ. სამეზობლო ამბების ავან-ჩავანის გამოწყობაც ითავა თავად. ავტორიტეტი მოიპოვა და ჭკუის საკითხავად ხალხი ბრძენის ნაცვლად არამ კაცთან მიდიოდა. გამდიდრდა არამი კაცი, მეზობლებს ზევიდან დაუწყო ყურება. მე-

რე სოფლის უხუცესებსაც მიეკედლა, მორჩილი ბალღივით უკან დასდევდა. მათი სიტყვის გამზიარებელი და მოამაგეც შეიქმნა არამი კაცი. სოფელში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და ბრძენკაცის სიტყვას ყურადღებას აღარ აქცევდა. მეზობლებიც გადაიბირა, აქაოდა „ჩვენ ახალგაზდრები ვართ და სოფლის საქმეც ახალგაზრდულად უნდა მოვაწყოთო, მოხუცებს კი ასაკის გამო პატივი მივაგოთო“.

თანასოფლელებმაც დაუჯერეს და ბრძენკაცების რჩევა ყურად აღარ იღეს. აირია სოფელი, ერთხელ ნათქვამ წესს გადაუხვია ხალხმა და ეხლა ყველა თავისას მიერეკებოდა. მოსამართლედ შეიქმნა არამი კაცი. მტყუანს და მართალს თავად უჩენდა ადგილს. ფული ბლომად იშოვა და სოფლის მიწებიც იყიდა. თავად შეიქმნა სოფლის უპირველესი თავკაცი.

სოფელს ერთი სალოცავი ჰქონდა. დიდი პატივით და რიდით დადიოდა ხალხი სალოცავში. მოძღვარი უყვარდა ხალხს და მოძღვრის სიტყვა კანონად მიაჩნდათ სოფლელებს. ამ ამბავმა დააფიქრა არამი კაცი. დიდხანს იფიქრა თუ ცოტა ხანს, ერთი ვერაგობა მოიფიქრა. დღესასწაულზე მივიდა სალოცავში, საკუთარი ბედაური მიუძღვნა მოძღვარს და ხალხის დასანახად, მუხლმოყრილმა ფული უხვად შესწირა სალოცავს. ხალხში ავტორიტეტი გაეზარდა არამ კაცს. ადრე თუ ვინმეს დასჯას ერიდებოდა ეხლა სოფლის თავკაცთა გარეშე სჯიდა ურჩთ და საბადებელს ართმევდა „სოფლის კეთილდღეობის“ სახელით. მოძღვარიც გაამდიდრა და ცხენზე ამხედრებულს რომ ხედავდნენ გლეხები, უკვე უხიაგი ფიქრები მოაწვა მათ გონებას. მანტიაც ახალი ჩაიცვა მოძღვარმა და თანასოფლელებს შესაბამისი პატივით აღარ ეპყრობოდა. ხალხმა გული აიცრუა მოძღვარზე და სალოცავში მხოლოდ ტრადიციის გამოღა დადიოდნენ. არამმა კაცმა დაინახა, რომ ხალხი გათითოკაცდა, მაგრამ მაინც ეშინოდა მათი შესაძლო ერთიანობისა და კიდევ ერთი ხრიკი მოიფიქრა. სოფლის უსაქმურები დაიყენა გვერდში და მათ ბელადად შეიქმნა. ვინც კი არამის შესახებ აუგს იტყოდა მტრისას, ისეთ დღეს აყენებდნენ. უკვე ბავშვებიც ბაძავდნენ არამ კაცს და მის ძმაკაცებს. მშობლის სიტყვაც კი გაუფერულდა ბავშვებში.

არამი კაცის სიტყვა შეუქცევადი გახდა.

ხალხი დაფიქრდა. ადრე ყველა ერთმანეთს ედგა გვერდში და სოფელიც ყვაოდა, ეხლა კი უცხოს ნებით იმართება ქავეყანა, მათი სარ-

ჩო-საბადებელი უქნარა ხალხის კეთილდღეობასა ხმარდება და სოფელიც ნელნელა ღარიბდება. ხალხმა მდინარეზე ჩანგრეული ხიდი აღადგინა და ბრძენ კაცს მიაკითხა.

ბრძენ-კაცმა დიდი გულისხმიერებით მიიღო თანასოფლელნი, გაუმასპინძლდა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. სოფლელებმა უამბეს თავიანთი გასაჭირი და შველა სთხოვეს. ბრძენკაცი დაფიქრდა და ბრძანა:

„თქვენს სიალალეს ჩურჩულით ამბობთ და არამი კაცის რიხიან სიტყვას კი დუმილით ხვდებით. ის, რაც სოფლის წესი არ იყო და აუგად მიგაჩნდათ, მხოლოდ გულში გაუწყერით. რაც თქვენთვის სანუკვარი და ხელთუქმნელი იყო, არამმა კაცმა გონებით შეგიგინათ და თქვენ გულში გაუწყერით. იმან სიტყვა თქვა და თქვენ დუმილით უპასუხეთ. მან შეგაგინათ და თქვენ მხოლოდ გაბრაზდით. აბა რა გითხრათ? საკუთარი შვილებიც კი ვერ გაზარდეთ თქვენდა საამაყოდ და არამი კაცის ნებას დაუმორჩილეთ. წადით და გაერთიანდით, არამი კაცები მძლავრობენ თქვენს სოფელში და შეებრძოლეთ, თორემ ოჯახსაც გაგიბახებენ და სიტყვასაც ვერ დასძრავთ. მოძღვარი გაგვერყვნაო ამობობთ, „რაც ერი, ის ბერიო“, ხომ გაგიგიათ?

მერე ბრძენმა თავის აშენებულ სოფელში წაიყვანა გლეხები. მიბარებული ბავშვები წამოზრდილიყვნენ, სოფელი გაეშენებინათ, გულითა შრომობდნენ და ბრძენკაცის სიტყვას განუხრელად ასრულებდნენ. ახალი სოფელი ჰყვაოდა. ერთიანობა, საკუთარი მიწის სიყვარული, შრომის ფასი, სოფლისადმი ერგულება ესწავლებინა ბრძენს ბავშვებისთვის.

„წადით და იბრძოლეთ თქვენი სანუკვარის დასაცავად“ — ბრძანა ბრძენკაცმა და სოფლელები სახლში გაისტუმრა.

ჰო, ჰო, ჰო, მეორე დღეს ისეთი ამბავი ატყდა, რომ ჯერაც არნახული. გლეხები და მათი ცოლები გაერთიანდნენ და შეუტიეს არამი კაცის ბრბოს, მაგრამ დახე საოცრებას, გლეხთა შვილები გამოესარჩლნენ არამ კაცს და მშობლებს წინ აღუდგნენ... გაეცინა არამ კაცს... რამდენიმე დღე აჩხუბა ხალხი, მამები და შვილები ერთმანეთს აუმხედრა, დედის მანდილი ათელინა შვილებს. მშობლებმა უკან დაიხიეს, ვერ გაიმეტეს შვილები. არამმა კაცმა „წყალობა მოიღო“ და შეარიგა მოსისხარნი. გაიღიმა და „ჭკუაც დაარიგა“ გლეხებს, ჭკუისვე სასწავლად გადასახადი გაუზარდა თანასოფლელებს და დასძინა: „ახალ დროებას ვერკინებით და აბა თქვენს გარეშე სოფელს როგორ ავაყვა-

ვებთო“... თურმე სალოცავიც მიუტოვებიათ ღვთის ანაბარად, არმები უკეთ ცხოვრობენო უთქვამთ და არამობა მოუნდომებიათ ბალღებს, საკუთარი მამების ოფლის ხარჯზე გალეღებულებს.

ბრძენკაცი კი, მდინარის მეორე ნაპირიდან უცქერდა წყალწაღებულებს, დაღონდა ბრძენკაცი, ადგა და ახლად აღდგენილი ხიდი ისევ დაანგრია, რომ სიავე არ შემოსულიყო ახალ სოფელში.

რითმული პროზა

ლუციფერის ღაღადი

შემრისხე ურჩი და განმარიდე, მე სასუფეველს ზნედაცემული. ნებისა შენის, წესისა შენის განდგომისათვის ბჭე აღმიმართე მე ჯოჯოხეთის სულით წარწყმედილს ჩემდა საუფლოდ. დედამიწაზე ცოდვის მეუფედ მე მომავლინე, როგორც დემონი, ადამიანთა ნამოქმედარის, მათი ცოდვების თანაზიარი. მრავალი წელი, მრავალი ხალხი, ერის სიმრავლით თავს იწონებდა და სიდიადე მათგან ხელქმნილი უღვთოობაში იძირებოდა. ბრძოლა და სისხლი, ტანჯვა და როკვა, სიძვა, ღრეობა, შენი სახელით კოცონზე სწვავდნენ ერთურთის შვილებს შლეგთა გონების ნების ზიარად. მრავალი ცოდვა ვიხილე თვალით, მრავალის კიდევ ვიყავ ზიარი, გულს მიხარებდა უგნურთა ქცევა, მათი სიბილწე ჩემთვის სვიანი. ომები, ქიშპი, ღალატი, მტრობა და ცოდვილთ სული ჩემსა საუფლოს უკვდავი ფასით განძად მივსებდა. ასე ვიყავი მრავალი წელი, შენთან რკენაში, შენზე მოშურნე, მაგრამ განვცვიფრდი, როცა შევხედე, ადამის მოდგმა შენგან სვიანი იმ ხის ნაყოფით როგორ ტკბებოდა, იმ ხის ნერგებით ბაღს აშენებდნენ, ხოტბით ამკობდნენ, უღიღინებდნენ. იმ ვაშლის ნაყოფს ფასი დაედო და უხვ სიმდიდრის გახდა საბაბი. გონიერების საზღვარი ურცხვად ზნედაცემულთა აღლუმად ახდა.

ცოდვილნი — ვიტყვი, ჩემი ლუკმაა, ჩემი სამეფოს კერძნი მრავალნი, მაგრამ შევშინდი როცა შევიტყვე ადამიანთა სიბრძნის ნაყოფი ჩემს დამონებას როგორ ლამობდა. რას არა ვქმნიდი, მრავალ „მანქანას“ ადამიანთა საცდუნებელად, ვერცხლის სიყვარულს, უღვთო ნირვანას, ძმათა კაცისკვლას, ღალატს, ფლიდობას და მიფასებდა მე

ხალხი „ამაგს“ და მკვიდრად მედგა ტახტი დიადი ცოდვილთა სულთა დასავანებლად.

ახლა გავოცდი, ვერც ვიფიქრებდი, ისე გაირყვნა კაცის ბუნება, რომ ახალი ღმერთის აღმოჩენაში გოროზად შრომობს მათი გონება. ყოველ სიწმინდეს ფეხით სთელავენ, ყოველ სანუკვარის არსი ალაგმეს. თვით მე, დემონი, გონების არსით მდაბიო ქმნილად გამომაცხადეს.

მე უარყოფილს შენს მიერ ღმერთო, უფრო სასტიკ ბრძოლას გიცხადებ და შენ ქმნილებას მე „სიყვარულით“, პირუტყვზე მდაბლად გადაგვაგვარებ. აღარ დავუშლი ეკლესიაში მისვლას და ლოცვას, სანთლის ანთებას, მხოლოდ სიცრუეს აღსარებისთვის, მე მათ სულებს დავაავადებ, მათი „სიმართლე“, იქმნან ნათელი და იქმნან დიადად არსთა მეუფედ და ყოველივე შენისმიერი იქმნას წიგნების თანაზიარად. მე ბრძოლას ვიწყებ, ბრძოლას „თვინიერს“, ადამიანთა ვნების განვრცობად, რაც დიადია მათგან ხელთქმნილი იქმნას ბოროტის ბრმა იარაღად. სისხლის აღრევა, გაუცხოვება, თითოკაცობა არსმოწყვეტილი, მხოლოდ საკვების მოპოვებისთვის შევქმნი მე ერებს ცხოვლად ყოფისთვის.

ხედავ, იქ მიდის ვიღაც, ეკლესიაში სვლაგეზსა მისდევს და შენ გგონია მე ხელს შევუშლი? არა უფალო, მე ვეტყვი „ხვალე“, რომ დღე გადასდოს მეოხებისთვის და განა „ხვალეს“, „ხვალე“ არ მოსდევს? იქმნას მის მიერ საქმე საჭირო, მისთვის უცხო და სანდომიანი.

ვიცი, რომ დმსჯი, ბორკილად მყოფ და საუკუნოდ უფსკრულში დანმთქავ, მაგრამ მერწმუნე ცოდვის წყურვილი ოაზისია მათი არსობის...

გთხოვ მომიტევო ჩემი ცოდვები, ღირსად ნუ ჩამთვლი შენს ფეხს ვემთხვიო, მაგრამ მერწმუნე, მძულს მე არსება, შენგან შექმნილი ადამიანი.

ᲛᲐᲛᲘᲙᲝ

საკურთხეველთან დგეხარ შვილო დედოფლის კაბაში, ჯვარს იწერ და ღვთის წინაშე უღალატობის, ერთგულების და სიყვარულის ფიცს სდებთ. შენი არჩევანია მამიკო. შენ თავად ჰქმნი შენს ოჯახს, შენს ბედს. დღეს მე მარტო დავბრუნდები სახლში... მარტო... ალბათ დედაშენი აქ არის სადღაც, ანგელოზად მოვლენილი, თქვენ ოჯახს

აკურთხებს და ლოცავს. შენ ხომ შენს დედიკოს მხოლოდ სურათებით იცნობ ჩემო მამისერთა. ჩემი სიცოცხლის გამართლება მხოლოდ შენ ხარ შვილო. საოცარია, რიგში ჩავდექი, რომ მოგილოცოთ უკვე შეუღლებულთ ოჯახის შექმნა. ბედნიერი ხარ, სახე გიცინის, შენი მეუღლის სიყვარულით ანთებულ თვალებს შევყურებ, თავის დედოფალს როგორ შესციცინებს ახალგაზრდა კაცი. ცრემლები მომერია, გულში ჩაგიხუტე, მომეჩვენა თითქოს ცივი იყავი ჩემდამი, მომეჩვენა, მხოლოდ მომეჩვენა. მამამთილს, „მამა“-ო, მიმართე და მე მხოლოდ „მამიკო“-ს ტიტულით დამაჯილდოვე შვილო. ასე იყოს, ბედნიერი ხარ და მე ეს მახარებს. სიძე ბატონი დამპირდა „ყველაფერს გავაკეთებო მისი ბედნიერებისთვის და ბედნიერების ცრემლის გარდა სხვას ვერ იხილავენ მის სახეზე უკუნისამდე“. იცი როგორ მინდა მჯეროდეს? გახსოვს საბავშვო ბაღში რომ მიმყავდი და რეიტუზი უკულმა რომ ჩაგაცვი? ის თუ გახსოვს ბაფთის შეკვრას როგორ მასწავლიდა შენი ბაღის აღმზრდელი? ის გახსოვს... ალბათ უკვე აღარ. „მამა მიყვარს და ჩემს ბედნიერებას წინ ნუ აღუდგებიო“ — მითხარი, დავიჯერო მაგას უფრო მეტად უყვარხარ ვიდრე მე? ნეტავ რას ვსულელობ. დაგლოცოს შვილო ყოვლად წმინდა სამებამ და წმინდა მარიამი იყოს შენი შემწე. ბედნიერი მეუღლე და დედა ყოფილიყავი შვილო და გთხოვ... ძალიან გთხოვ... არაფერს არ გთხოვ, ოღონდ შენ იყავი ბედნიერი ჩემო მამისერთა...

მე ემიგრანტი

— ჩემი სამუშაო დრო დასრულდა. არაქათგამოცლილი შევედი ჩვენი კომპანიის ტაქსოპარკში. მანქანა ჩემი მუდმივი პარკირების ადგილას გავაჩერე და მანქანიდან წელმოწყვეტილივით გადმოვედი. „სასიამოვნო“ საუბარი მელოდა ბოსთან, შემდეგ კი ბუღალტერისთვის უნდა ჩამებარებინა ნამუშევარი ფული. თანხა ბუღალტერს ჩავაბარე... „ჩაი“-ც გადავთვალე, კარგად დამრჩენია დღეისათვის.

უკვე სადაცაა ოცდასამი წელი მიილევა რაც ემიგრანტი ვარ. მე მიკვირს, დრო როგორ გაფრენილა მოუსავლეთში. ყოველი თვის ბოლოს ბანკში მივდივარ და ჩემს ჯამაგირს ვუნაწილებ ჩემს ოჯახის წევრებს საქართველოში. თბილისიდან ინტერნეტით მიკავშირდებიან,

მიყვებიან თბილისურ ამბებს, ჩემი ვაჟებიც მესაუბრებიან... მესაუბრებიან მათთვის „უცხო“, მშობელ მამას. იმასაც ვხედავ რომ მათთან დიალოგი ხშირ შემთხვევაში იძულებით თუ ვალდებეულების გამო უაზრო საუბარს ემსგავსება... ჩემი მეუღლეც მიკავშირდება სკაიპით, არაფრის მთქმელი საუბრები სერავენ მრავალ ათასიან კილომეტრებს და საბოლოოდ „ღამე ნებისა“ ამთავრებს ჩვენს დიალოგს. მხოლოდ დედაჩემთან და მამაჩემთან საუბარი მიამებს უხილავ ღრმა იარას. დღეს ჩემს ცოლს უნდა ვესაუბრო სკაიპით. ჩემი შვილები სტუდენტები არიან და უნივერსიტეტში სწავლის თანხა აქვთ შესატანი, კიდევ... და კიდევ ხარჯები... ჩემი მშობლებისთვის წამლების თანხა და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი რამ სჭირდება ოჯახს...

ამერიკაში ჩემი წამოსვლის დღე ამოტივტივდა გონებაში, თვალცრემლიანი მშობლები... ცრემლიანი თვალები ოპტიმიზმის და იმედის მნათობივით რომ მაცილებდნენ აეროპორტში... ჩემი მეუღლე შემომციცინებდა, მეხვეოდა, მკოცნიდა... რაღაცას მეუბნებოდა ჩურჩულით... ჩემი შვილები გაკვირვებულები მიცქერდნენ, გაოცებულები შესცქერდნენ პაპა-ბებიას, დედას, ჩემს ძმას და მეც. საწოვარას ლოღნიდა ერთი წლის ლაშა, თორნიკე სამი წლის იყო მაშინ უკანასკნელად რომ ვაკოცე და დედამისს „მივაჩეჩე“ ხელში. ეხლა უკვე კაცები არიან. რამდენი გეგმა დავაწყვე თავში, სამშობლოში, ოჯახში დაბრუნების მთელი „სპექტაკლები“ გრგვინავდნენ გონებაში. საკუთარ ფანტაზიას ხელმოცარული აპლოდისმენტებით ვუხმობდი სცენაზე. „ბისს“, „ბისს“, „ბისს“, ისევ ვუხმობდი ჩემი ოჯახის წევრების ბედნიერ სახეებს „ნატვრის თეატრში“ და შემდეგ „სცენაზე“ ახალ წარმოდგენას „ვდგავდი“, ან გარდასული დროის ეთერში მოგონებების პალიტრით შთაგონებული პიესის მიხედვით.

მხოლოდ ეგ იყო, ფინალი არ ეწერა „სპექტაკლს“, მარტოსულის ფიქრებში რექვიემი იღებდა აკორდს. ამიტომ არ მძალმიძდა დასრულება. შუაწელს ვითხოვდი „ბისს“.

ხვალ დილის ექვს საათზე სამსახურში უნდა გამოვცხადდე, ისევ უნდა ვიხეტიალო ნიუ-იორკის ქუჩებში კლიენტის სამსახურად. რამდენ იდიოტს და ფეხებზე მკიდიას უნდა ვესაუბრო მორიდებით, „ჩაი“-ს სანაცვლოდ, როგორ უნდა შევციცინებდე უცნობთ. ფული აქ ასე იშოვნება. ალბათ ჩემს შვილებს ქერის ორმოში ჩავარდნილ მამიკოდ

წარმოვუდგენივარ და ალბათ ჩემი ცოლსაც ჩაუგმანავს ჩემი „გაჭრილი“ გულის კარიბჭე უხიაგი ფიქრებით.

— „ეკონომიურად ხარჯე ფული ბიჭები ფეხზე გვყავს დასაყენებელი, ნუ გადაჰყვები ქალებს და დროსტარებას, ოჯახზე იფიქრე „ეს სიტყვები წინსართივით გასდევს ჩვენს საუბარს სკაიპში. დედაჩემის გარდა არავის უკითხავს „თავს როგორ გრძნობ შვილო? რაიმე ხომ არ გიჭირს? რას ჭამ და ხომ არ გცივა? ჯანმრთელად ხომ ხარ შვილო?“ ჩემს ძმას აქ უნდა წამოსვლა, ალბათ ჰგონია, რომ „ოქრის ხონჩები“ ელოდება ამერიკაში. „სამსახური მიშოვეო“ მომწერა, ერთი რუსული ანდაზა გამახსენდა, „ყველგან კარგია სადაც ჩვენ არა ვართო“.

გაწვიმდა. ქურთუკის საყელო ამოვიწიე. წვიმა მისველებს შარვალს და ფეხსაცმელს. მშია. ერთი კვარტალი მაშორებს სახლს. ჩემს სახლთან ახლოს „მარკეტში“ შევიარე. პური, რძე, ძეხვი, წყალი და კიდევ რაღაცეები შევიძინე. გარეთ გამოვედი. ქუჩაში ისევ წვიმდა. სიგარეტს მოვუკიდე.

რამდენიმე წლის წინ გავიცანი ლილი. მანჰეტენზე ერთ-ერთ რესტორანში მუშაობს ჭურჭლის მრეცხავად და დამლაგებლად. ბრაზილიაში დედ-მამა და მცირე წლოვანი შვილი ჰყავს სარჩენი. ყოველ კაპიკს უფრთხილდება. მშობლებს უგზავნის. რამდენი ხანია მის ტანზე ახალი კაბა არ მინახავს. ყოველთვის ცდილობს მხიაული და პირმცინარე შემომეგებოს სახლში დაბრუნებულს. სუფრასაც მიშლის და ნამდვილ ბრაზილიურ ყავას მომიდუღებს ხოლმე მარქაფად. ყოველთვის ვცდილობ დადებითი ემოციები შევაგებო ლილის. ოთხშაბათი დღე ორივეს თავისუფალი გვაქვს. ერთად დავსეირნობთ, მაღაზიებსაც ჩამოვუვლით ჯიბესქელი მყიდველებივით და მხოლოდ თვალს ვასიამოვნებთ ხოლმე მრავალფერი „სასურველის“ თვალიერებით. შემდეგ პარკში გავდივართ. ხის ძირში გავფენთ ჩვენს განუყრელ ფარდაგს და ვსაუბრობთ... ვსაუბრობთ ყველაფერზე საკუთარი ტკივილის გარდა. ერთმანეთში ვეძებთ დასაყრდენს. იმედსაც ერთმანეთში ვებღაუჭებით, როცა საკუთარი რეალობა გვახსენებს თავს ჰამბურგერის ფაფუკ ხორცზე ვიყრით ხოლმე „ჯავრს“, რადგან საკუთარი ბოღმა ჩვენს შიგნით დარჩეს და კბილთა ღრჭენა შეიფაროს ლუკმის „სხეულმა“. იცი, როგორ ვცდილობთ ერთმანეთისთვის „უერთმანეთოდ ყოფნის სიმძიმის“ დამკვიდრებას? ლილი მირეცხავს და ზრუნავს ჩემზე.

აგერ, სახლთან ყვავილების მაღაზიაა, იქ ერთი ურუგვაელი კაცი მუშაობს თავის ოჯახთან ერთად. ყვავილებს ლილისთვის მასთან ვყიდულობ. ყოველ კვირა დღეს თაიგულით ხელდამშვენებული მივდივარ სახლში. კარს ლილი მიღებს. სახლის გასაღებს არ ვიღებ ჯიბიდან, რადგან ლილიმ მინდა რომ გამიღოს კარი. ისიც ხვდება ჩემს „ეშმაკობას“ და პირმცინარე მეგებება კარის ზღურბლზე.

წვიმამ უმატა. ქარმაც წამოუბერა სუსხიანად. ქუჩა ცარიელდებოდა. ქუჩაში კი საცოები არ „ნელდებოდა“. დაფიქრებული და ნიღაბჩარღვეული სახეებით მოდიოდნენ ქუჩაში ნიუ-იორკელები. არავითარი ემოცია, არავითარი სიხარული. მხოლოდ მკაცრი რეალობა შეხორცებოდა მათ სახეებს.

ექვსი თვის წინ ვუთხარი ჩემს მეუღლეს ლილის შესახებ „მოღალატე და მექალთანე ხარ, მე აქ წელში ვწყდები, რომ ოჯახს გავაქაჩინო და შენ კი ვიღაც ბრაზილიელთან იყოფ სარეცელს. მე შენს მშობლებს ზედ ვყვები და შენ კი....“ აღარ მსურს მისი სიტყვების გახსენებაც. მაშინ ფულს მხოლოდ ჩემი მეუღლის ანგარიშზე ვაგზავნიდი... მამაჩემს ველაპარაკე სკაიპით, „უკვე დავბერდით შვილო, „გამოუსადეგარნი“ შევიქმენით ოჯახისთვის, შენი მეუღლე გაცეცხლდა შენი ამბავი რომ გაიგო, დედაშენს დააფრქვია მთელი ბალღამი. არ მიკვირს მისი სიბრაზე, შეეცადე ბიჭებს აუხსნა ყველაფერი. იქნებ მათ გამონახონ საჭირო სიტყვები დედისთვის....“ მითხრა მამამ. მამაჩემს ვთხოვე საკუთარი ანგარიში გაეხსნათ ბანკში და მონაცემები გამოეგზავნათ ჩემთვის, რომ ჩემი მეუღლის ხელის შემყურენი არ ყოფილიყვნენ მოხუცები.... დღეს ჩემს მშობლებსაც ვუგზავნი ფულს.

ჩემი ცოლი აღარ მელაპარაკებოდა, მხოლოდ რამდენიმე ხნის წინ ინება საუბარი და მითხრა „მესმის შენი, კაცი ხარ და მოვლა გჭირდება, ნუ გაბრაზდები ჩემს ქცევაზე... ლილის მოკითხვა გადაეცი“. ერთხელაც სახლში მისული სახტად დავრჩი როცა ჩემი მეუღლის და ლილის ტკბილ მუსაიფს შევესწარი. მართლა ასე იყო, ქალებმა გაუგეს ერთმანეთს....

ამასწინად ტელევიზორში ვუყურებდი ქართულ არხს. ხშირად ვუყურებ ქართულ არხებს, ქარული საუბარი მინდა რომ მესმოდეს, ხანდახან ვატყობ რომ სიტყვები მავიწყდება და ამ დეფიციტს ინგლისური სიტყვები მივსებს. ინტერნეტში დავიწყე ქართული საიტებზე

ძრომიალი. ვკითხულობ ქართველი პოეტების ლექსებს, მოთხრობებსაც ვკითხულობ, მაგრამ ზოგჯერ წინადადების აზრს ვერ ვხვდები, ენა მავიწყდება ნელ-ნელა... ტელევიზიით ვუსმენ ქართველ ორატორებს და გაოცებამდე მივდივარ, კითხვას ვუსმევ ჩემს თავს, „როგორ მოაღწია ჩვენმა ერმა დღემდე? როცა ჩვენს ქვეყანაში ჭკვიან და განათლებულ ადამიანებს ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა უჭირთ, ან ამდენი აუგის მეტყველს და ზნედაცემულს, როგორ იტანს ეს პატარა ერი? ალბათ სამშობლოს გარეთ უნდა იცხოვროს ადამიანმა ცოტა ხნით მაინც რომ საკუთარი მიწის მონატრებამ სისხლი აგიყივლოს და მშობლიურის მონატრება ისწავლოს კაცმა, თუმცა აქაც, ამერიკაშიც არიან ქართველები, სულ ახლახან ჩამოსულები საკუთარ ქართველობას რომ არაფრად მიიჩნევენ და „ამერიკელობენ“. ხვალ „ერისიონი“ ჩამოდის ამერიკაში. გრანდიოზულ კონცერტს მართავენ ჩვენი ქართველები და მთელი ჩვენი დიასპორა იქ იქნება, მე კი ჩემი ტაქსის საჭეს უნდა „ვეკრიმანჭულო“. არაფერია, ტელევიზორში ვუყურებ მათ ტრიუმფს. ძალუმად მიცემს გული ქართველის წარმატებას რომ ვიგებ, მეამაყება ჩემი ეროვნება, მემაყება, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელი წარმატებას აღწევს და მაშინ მანქანის მაგნიტოფონში ქართულ სიმღერებს ვრთავ, ათასჯერ მოსმენილ სიმღერებს და მეც ვმღერი, ხან ვტირი, ხან ვიცინი და მერე ისევ არაფერი, მხოლოდ კლიენტი და მისამართი. მე ამერიკის მოქალაქე ვარ და საქართველოს საკუთრებად მიმაჩნია ჩემი თავი, მხოლოდ ეგ არის, როგორ გამოვადგე ჩემს სამშობლოს არ ვიცი და არც არავინ არის მოკარნახე... წლები კი გადის... მე ვეღარ დავბრუნდები საქართველოში, მხოლოდ ოცნების ფურცლები შემიძლია ტომებად ვაქციო და შემდეგ გახუნებული გვერდებით მოგონებების იმედად ვინუგეშო და ავიფორიაქო სული.

აი ჩემი სახლი, ჩემი ოცდათხუთმეტ კვადრატულ მეტრიანი „ციხე დარბაზი“ მიხმობს. ურუგვაელთან ქრიზანტემები ვიყიდე, ჰმ, ტრადიციას გადავუხვიე და ყვავილებით ხელდამშვენებულმა შევაბიჯე სადარბაზოში. აი ჩემი კარებიც. ზარი დავრეკე... ლილის ღიმილმა წამიშალა ყოველგვარი აუგი ფიქრი...

— მოხვედი ძვირფასო? — ჟღურტულა ხმით მკითხა ლილიმ, იცით რა სანატრელია ეს სიტყვები ჩემთვის? ყოველ დღე მესმის და მაინც

სანუკვარია, რადგან ჩვენ თავად ვართ ერთმანეთის ზრუნვის საგანი. ჩვენ ერთმანეთის გარდა სხვა არავინ გვყავს ამერიკაში. ყვავილები ჩამომართვა, ლოყაზე მაკოცა და... მოვეხვიე, მთელი მგზნებარებით მოვეხვიე ლილის...

— მიყვარხარ... თითქმის ჩურჩულით უთხარი ლილის

— მეც მიყვარხარ, მთელი გულით მიყვარხარ ძვირფასო!

ტუჩზე დამადნა ქალი.

სამზარეულოში ბრაზილიურ ყავას მიდუღებდა ჩემი ოჯახის დიასახლისი.

ᲛᲝᲫᲚᲕᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

— გამარჯობა გიორგი, გამიხარდა შენი წარმატება, ახალი ქვეყნის მართვის სადავეებთან ახლოს ხარ და სიკეთეც ხელგეწიფება. ვიცი არა გცალია, დროის უკმარისობა ხომ თანამედროვე ცხოვრების ერთერთი სენია, ვეღარც ტაძარში მოდიხარ, რამდენი ხანია აღსარებაც აღარ ჩაგიბარებია. ეჰ, რას ვიზამთ? მომენატრა შენთან საუბარი. ამ წერილს შენ გწერ და მინდა ყურადღებით წაიკითხო.

შენი უპირველესი მოვალეობაა იგივე ფიქრით და გულის ხმის ყოფით მიხვიდე სამსახურში, როგორც ტაძარში, რადგან სიმართლე ყველაზე კარგი პოლიტიკაა. შენ მეტყვი ყველაფრის გამომზეურება არ შეიძლებაო, იქნებ ასეცაა, მაგრამ დაიმახსოვრე მხოლოდ სიმართლე შობს ბედნიერ მომავალს.

ნუ გაორდები, რადგან გაორებული მორალი ყოველგვარი უზნეობის საწყისია. ისტორიას ბევრი მაგალითი ახსოვს როცა ფარისეველთა ფუსფუსით გაორებულ ზნეობას ქვეყნისთვის სიავის მეტი არა მოუტანია რა. ორი სახე გაქვთ პოლიტიკოსებს პირადი და საზოგადოებრივი, მაგრამ იმდენად ეფლობით ფარისევლობის ნიღბის წიაღში, რომ ხშირად საკუთარ სახეს კარგავთ. ადამიანებს სჯერათ სიკეთის, ხო, ჯერ კიდევ სჯერათ რადგან სიკეთე და სიმართლე ადამიანის არსობის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა და კიდევ არსებობს საზოგადოებრივი იარლიყი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია უდანაშაულო ადამიანი საზოგადოებისთვის უსარგებლოდ ან ბოროტმომქმედად შექმნათ. მე გეტყვი, ისტორიას ახსოვს ქრისტიანთა შევიწროვება და

ხოცვა, მაგრამ ისიც ახსოვს ისტორიას, რომ არასასურველ პიროვნებებს, როგორ სჯიდნენ ქრისტიანებთან ურთიერთობის ბრალდებით, შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, „სოციალისტის“ და საბჭოეთში, „ხალხის მტრების“ დამღით დადაღულ ადამიანებს როგორ უსწორდებოდნენ. დღეს უფრო საშიში დროებაა, რადგან ჰუმანიზმის დოგმები ბრალდების სახეცვლილებად მოევლინა საზოგადოებას და მარადიული ფასეულობები, „ჰუმანიზმი“, შემწყნარებლობა“, „პატიება“ და „კაცთმოყვარეობა“, გარყვნეს, ეროვნული და საქვეყნო ფასეულობების დასათრგუნად გამოიყენეს და დღესაც წარმატებით იყენებენ. ეს გაორებული საზოგადოების შექმნისთვისაა საჭირო, რომ ადამიანებს რეალური ღირებულებები, რწმენა და მრწამსი დაუნგრიონ. შენ ალბათ მეტყვი, ერთი კაცი რას გავხდებიო, როგორც ერთ კაცი ვერაფერს გახდები, მაგრამ როგორც ერთი პოლიტიკოსი, როგორც ერთი საზოგადო მოღვაწე და როგორც ერთი პარლამენტარი, კიდევ ერთ სიტყვას იტყვი ქართული ფასეულობების დასაცავად და მერწმუნე, ეს ცოტა არ არის. იცოდე, შენი ყოველი სიტყვა აწონე, რადგან ნათქვამს თუ საქმე არ მოჰყვა, მხოლოდ ფორმად გაქცევს შინაარსის გარეშე, მოდი ტაძარში, გაძლიერდი, რომ ქვეყნის სამსახურად ძალა გეყოს. ღმერთმა დაგლოცოს.

შენი მოძღვარი

მუზის მოლოდინში

— დრო მაქვს, მაგრამ არა მაქვს იდეა. კალამს ვაწვალებ, ყოვლის ამტანი თეთრი ფურცელი მორჩილად ეგებება ყოველ ბგერას, სიტყვას და უაზრო წინადადბას, მის სხეულს დაუნდობლად ვსვრი, ხო, ვსვრი, რადგან ნაწარმოები რომ შექმნა, ეს პროცესი ხანდხან იცი რას ჰგავს? როგორ აგიხსნა? წარმოიდგინე, რომ ქვას „პირი“ უნდა აართვა, საჩეჩეჩით უნდა გაჩეჩო, მერე კვირისტავზე დაართო და ძაფებად აქციო, აი შემდეგ ნაწარმოების ქსოვას უნდა მიჰყო ხელი. ალბათ „ქვა“ ცუდი შედარებაა არა? არ გეთანხმები, რადგან თუ რაიმე ფასეულის შექმნა გინდა, დროს რომ გაუძლოს ისეთის, მაშინ ნამუშევარიც „ქვასავით“ მაგარი და დრო-ჟამისადმი შედეგი უნდა იყოს, თორემ ჭრელა-ჭრულა ძაფით მოქსოვილს ჩრჩილი შეჭამს და ძონძად გადააქცევს. ამ ყველა-

ფერს ფურცელზე ვწერ, ამ ჩემს ნააზრევს ალბათ ჩემს მეტი არავინ წაიკითხავს, ან თუ წაიკითხავს, „გადარეულია“-ო, იფიქრებენ. მუზა კი არ სჩანს... არა და ისე ვარ შინაგანად „აგუზგუზებული“ რომ... ეტყობა ჯერ ვერ შევძელი ქვას „პირი ავართვა“. ავდექი, საწერ მაგიდას გადავხედე, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, შემდეგ ოთახი მოვათვალიერე... ნეტავი რას ვეძებ? ბოლთას ვცემ ოთახში...

— რას დადიხარ წინ და უკან, ამერია თვალები.

მკაფიოდ გავიგონე ეს სიტყვები, საკუთარ თავთან ხომ არ დავიწყე საუბარი ანგარიშმიუცემლად?

— კაცო არ გესმის? ნუ დადიხარ აქეთ-იქით, მე სარკე ვარ ჩემსკენ მოიხედე...

სხარტად მივტრიალდი და სარკეს მივაპყარი თვალები. მის ზედაპირზე ჩემი სახე არეკლილიყო, მაგრამ უფრო სხვაგვარი, უბრალოდ მომღიმარი, ჩემი სახე მიმზერდა იქიდან....

— შენ მელაპარაკები?

აღმომხდა მე.

— ხო, მე ვარ.

მიპასუხა სარკემ.

— ჩემი სახე.. ჩემი სახე „მანდ“ ცოტა სხვანაერია...

ვთქვი და თითი გავიშვირე სარკისკენ.

— შე კაცო ამდენი წელიწადია შენს ოთახში ვარ და გიყურებ, ყვოველი შენი მოძრაობა და მიმიკა ზეპირად ვიცი...

— დიდუუუ, გადავირევი ახლა, სარკეს ველაპარაკებიიი?..

— ნუ ბღავიხარ თუ კაცი ხარ, რა გჭირს?

— მუზას ველოდები.

— ხოო, მძიმე შემთხვევაა...

— რა გაქვს მხედველობაში?

— რა და, კაცი რომ სარკეში ლაპარაკს დაიწყებს და თან მუზების მოსვლას ელოდება, ვერ არის მისი საქმე კარგად.

— შენ ვინ ხარ რომ მეკამათები?

— არ გჯერა ჩემი ხომ?

— არა.

— ნუ იჯღანები თუ კაცი ხარ, შენს ბალიშს ჰკითხე ერთი, გადარეულია კაცი შენი სიზმრების შემხედვარე.

— ნწ, ნწ, ნწ...

— აქიცინე თავი რამდენიც გინდა.

სარკეში ჩემმა უჩვეულო ანარეკლმა თავი მიაბრუნა საწოლისკენ და ჰოი საოცრებავ, ბალიშის ბოხმა ხმამ დაარღვია წამიერი სიჩუმე:

— ხოოო, მძიმე სიტუაციაა.

ადუდღუნდა ბალიში...

— გიორგი, შე კაცო, იმისანა სიზმრებს ვხედავ შენს თავში, რომ... რომ გავგიჟდი კაცი... ერთი მაგარი ბესტსელერის სიუჟეტების კორიანტელი გაქვს თავში და კიდევ ეს ქალები და ქალები, რა უბედურებაა... გუშინ ის გოგო ვინ იყო პარიზში რომ ეჟღურტულებოდი?

— ბალიშო, ეხლა შენ ბუმბულებს ნუ იწიწკნი, შენი მოვალეობაა, ღამე რომ დავწვები თავი რბილად დავდო და დავიძინო, გაიგე?

ავღშფოთდი მე.

— კი, მარა შენს თავს, „თავს“ ეძახი? ყუმბარასავით არის ეგ შენი თავი, ლამის არის ხერხემალში გავტყდე კაცი და ...არ მომინდომა კომფორტი“.

საუბარში ქალბატონი საბანი ჩაერია...

— რა გააწყალეთ გული? ჩემი ბიჭი, ჩემი ფუმფულა... მისი მხურვალებით გული მეთუთქება, ჩემი სხეულით ვცდილობ მისი გულის სითბო გავიზიარო...

— ქალო! შენ ხომ არ გადარეულხარ?

აჯიჯღინდა ბალიში.

— შენ მასწავლი მაგის „სითბოებს“ და გულის „პრანჭვებს“...

და უცბათ სარკმელზე მორიდებული კაკუნი გაისმა... მუზა მოსულა, არა, კი არ მოსულა, მოფრენილა...

— სად ხარ შე კაცო? გამაწვალეს ფიქრებმა...

ვეცადე მაქსიმალურად დავმტკბარიყავი.

— მუზავ ბატონო, მობრძანდი, დაბრძანდი...

მუზას დიდი თავპატიჟი არ დაუწყია, მორიდებულად შემონარნარდა ოთახში და იქვე ჩემს საწერ მაგიდასთან სკამზე მოკალათდა...

— აბა, გისმენ მწერალო ბატონო, რა გნაბავთ?

— რავა რა მინდა შე კაცო, აგერ ორი დღეა ვწვალობ და ერთი ბწკარი ვერ დავწერე, დავიწყებ, გავჩერდები, დავიწყებ, გავჩერდები...

— ეს რა არის?

მკითხა მუზამ და ჩემს მაგიდაზე ბოთლზე მანიშნა.

— ეს ჩემო ბატონო ღვინოა, ნაღდი კახური, აი, რომ იტყვიან ულვაშ-აპრეხილი თავადივით მედიდური და დალალ-დაწნული ქალივით მათრობელა...

ენა დავითაფლე მე.

— აბა ჩამოასხი შენს გაზრდას.

მითხრა მუზამ და იქვე მაგიდის თავზე თაროდან ორი ჩაის ჭიქა ჩამოიღო.

— მიდი, მიდი დაასხი, ვიცი კახეთში კიდევ გაქვს ამისთანა...

ჩამოვასხი. ორივე ჭიქა „გავაპიპინე“ და...

— ჩემს მოსვლას და თქვენ დახვედრას გაუმარჯოს, სარკე, ბალიშო და ქალბატონო საბანო, იდღეგრძელეთ და გაგეძლოთ ამ გადარეულისთვის, კალამო, შენც გაგიმარჯოს, რასაც შენ უძლებ ამის ხელში რძე გეკუთვნის ჯანმრთელობის აღსადგენად...

ეს ბრძანა და სულოუთქმელად გამოსცალა ჭიქა...

— თქვენ მობრძანებას დავლოცავ მუზა ბატონო...

და მეც გადავხუხე მადლიანი კახური.

ერთ ბოთლს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და...

— ჩემო გიორგი! ხომ იცი როგორ მიყვარხარ!

პათეთიკურად მომმართა მუზამ.

— რავა არ ვიცი შე კაცო, თვალში რომ ჩაგივარდე ხელს მიიფარებ, რომ არ გადმოვარდე.

მივხვდი რომ უზომოდ მთვრალი ვიყავი.

— აი, ამ ქისას ხომ ხედავ?

თქვა და ჯიბიდან ულამაზესი ქისა ამოაცოცა.

— ამაში მუზის „წყალობებია“, ცისნამის ვარსკვლავის მტვერია, შმოქმედების ტაძარშია ნაკურთხი და „წმინდა ფიქრთა“ შადრევნის წყლითაა დანამული... შენ გჩუქნი ამ ქისას გიორგი, სანამ აქ მოვიდოდი მე ყველას ჩამოვურიგე ცისნამის ვარსკვლავთა მტვერი, ყველას, ვინც ამას იმსახურებდა და მოდი... ჭიქები შეავსე ძმაო.

ენის ბორძიკით მთხოვა მუზამ. მეც შევავსე და მუზამ სათქმელი გააგრძელა...

— ჩემო მეგობარო, ამ ჭიქით ყველა შემოქმედს დავლოცავ, იცი რატომ? იმიტომ რომ მათ ამ ქვეყნის უსახური ფერების გაფერადება

სძალუძთ და ადამიანებისთვის ბედნიერების მოტანა შეუძლიათ... მაგრად დავთვერი გიორგი... დავიძინოთ თუ ძმა ხარ თორემ...

სიტყვა აღარ დაუმთავრებია მუზას და ღვინით სავსე ჩაის ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა....

დილით საშინელ „პახმელიაზე“ გამეღვიძა. მიმოვიხედე მუზა ჩემს გვერდზე აღარ იყო. ეტყობა წავიდა. თავი წამოვწიე, მერე ლოგინიდან ავდექი და...

— უფფფ, თქვენ დალიეთ ცეცხლი, არ ამაყროლა მთელი ღამე.

აღმოხდა ბალიშს, მე პასუხი არ გამიცია. საწერ მაგიდასთან მივედი, ცარიელი ბოთლები ვიღაცას თაროზე დაულეგებია, ჭიქები კი გვერდზე მიუჩოჩებია.

„ვაი ჩემო თავო. მუზის გაცილებაც კი ვერ შევძელი, ვაი სირცხვილო“, ავნერვიულდი მე.

— გამარჯობა მწერალო, დაბლა დაიხედე, მე ვარ შენი კალამი.

მაგიდაზე ასანთის კოლოფზე შემომჯდარი ჩემი კალამი შევნიშნე.

— აი, იქ დევს ის ქისა მუზამ რომ გაჩუქა, ასე დაგიბარა რომ გაუთავდება კიდევ მოუტანო.

— დიდი მადლობა კალამო.

მივმართე მორიდებით.

მაგიდაზე ფურცლებს დავხედე და რამდენიმე გვერდი კარგი, ლამაზი ასოებით რაღაც მოთხრობა ეწერა. კითხვა დავიწყე და წუხანდელი ამბავი არ იყო დეტალურად და თან მაღალმხატრულ დონეზე დაწერილი. გავოცდი.

— კალამო ეს შენი დაწერილია?

— ხო, აბა სხვა ვინ დაწერდა? მოგეწონა?

— კი, მაგრამ ახლა ამას ფეისბუქზე დავდებ და ვნახოთ რას მეტყვიან მეგობრები, ან დამილაიქებენ და დამიკომენტარებენ, ან... ან...

— ვაი შენს პატრონს, კაი ახლა მე დავისვენებ და არ შემაწუხო, გაიგე?

— კი.

ვუპასუხე მე.

კალამი ასანთის კოლოფიდან ადგა, ერთი გაიზმორა და საწერ მაგიდაზე გაგორდა. ალბათ ხვრინვაც ამოუშვა...

ᲛᲣᲠᲘᲙᲔᲚᲐ

სოფელ თლუღში, იქვე ქვასიპასთან მოხდა ეს ამბავი, ერთი შეხედვით ალბათ მოსაყოლადაც არ ღირს, მაგრამ გულით მსურს მოგიყვეთ. ეს პატარა და მარტივი ისტორია ერთ ძაღლს ეხება, მურიკელას... მეზობლის ეზოს ერთი მაკე ძაღლი შეეჩვია. ბინაც, თვალს რომ ნაკლებად მოხვდება, ბოსელის უკან, ერთ დროს თივის ზვინი რომ იდგა და ჯერაც ნათივარზე კიდევ ეყარა კარგა ხნის წინ გამხმარი ბალახი, ბინაც სწორედ იქ დაიდო. ალბათ დედის ინსტიქტმა უკარნახა, მისი ნაშიერნი დაცული იქნებოდნენ წვიმისგან და ვერც ქარი აუბურძგნიდა ბალანს მის ლეკვებს. მოკლედ იმ ღამით ძაღლის ყმუილმა გახია ზეცა. არც ერთ მეზობელს ყურიც არ შეუბერტყავს ძაღლის ხმიანობის გამოგონეთ. დილით კი პატარა, თეთრ დრუნჩა და ნახშირივით შავი ლეკვი გამოღოღდა „შინიდან“ გარეთ. იცით რა ლამაზი იყო? ბავშვებაც მეტი რა გვინდოდა? აბა ხაჭაპური, მჭადი, ხანდახან ქათმის ბარკალი და ნუ იტყვით, რაჭული „ვიჩინის“ მოზრდილი ნაჭრებიც კი ავსებდა ძაღლების „მენიუს“. ლეკვს „მურიკელა“ დავარქვით. გაიზარდა მურიკელა, ხო მართლა, დამავიწყდა მეთქვა, უბანში ყველა ბავშვს იცნობდა ძაღლი, შესაშური მეკარე დადგა ჩვენი მურიკელა, ფეხბურთის თამაშის დროს კარებში იდგა და ისეთ „მკვდარ“ დარტყმულ ბურთებს იგერიედა ნებისმიერ მეკარეს შეშურდებოდა. მოიზარდა ძაღლი, პატრონის ეზოს ერთგულად დარაჯობდა მთელი ღამის განმავლობაში, ყეფაც ომახიანი „დაუდგა“, გათენებას ელოდა ოთხფეხი, რომ ისევ თამაშში და ჟრიამულში ჩაბმულიყო. აგვისტოს შუა რცხვებიდან დაცარიელება დაიწყო სოფელმა, ბავშვების უმეტესობა იმ წელს პირველ კლასელები გავხდით და თბილისში წამოგვიყვანეს მშობლებმა. უბანი დაცარიელდა, ალაგ–ალაგ თუ მოჰკრავდით თვალს თლუღელ სკოლის მოწაფეს. სოფლის ცენტრში, აი, ავტობუსის ბოლო გაჩერება რომ არის, კინოს გვერდით, სკოლაში სულ თხუთმეტიოდე სკოლის მოწაფე თუ „მოიყრიდა“ თავს, სოფელი იცლებოდა... ზაფხული კი ჯერ კიდევ შორს იყო. მარტო დარჩა მურიკელა, უცნაური სიჩუმე გამეფდა სულ რამდენიმე დღის წინ მოჟრიამულე ეზო-კარში. მოიწყინა მურიკელამ. უცბათ მოსწყდებოდა ადგილს, ეზოს შემოურბენდა ყეფით, მერე ჭიშკრისკენ გაიქცეოდა, ალბათ იქ ეგულებოდა ხალხი, ყეფდა ძაღლი, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ

სჩანდა. ისევ მოიწყენდა მურიკელა. მერე სახლის კიბესთან მივიდოდა და იქ წვებოდა, ალბათ ფიქრობდა, „გამოჩნდებიან პატრონები, ასე უპატრონოდ ხომ არ მიატოვებდნენ აქაურობასო“. დაღამდა, მოშივდა მარტოდ და ეულად დარჩენილ „ეზოთმოძღვარს“. ერთი დაიყეფა, მერე კიდევ დაიყეფა, შემდეგ გაავებული ყეფა ატეხა და შემოესმა...

— დედა, ბეჩა, რავა გნიასობს ე, ძაღლუკა, რაცხა ხომ არ იგუმანე მაქანა?

ეს ბებია ქარვაზია გახლდათ, ისიც „მიტოვებული“ და ზაფხულის მომლოდინე, შარა გზას გაჰყურებს მონაგარს მონატრებული, როგორც კიდევ რამდენიმე დედაბერი ქვასიპაზე, ხო, მართლა ფილიპე ბაბუა არ გამოგვრჩეს, ისაა ამ უბანში ერთადერთი მამაკაცი ზაფხულის დადგომამდე.

— რა იყო ქარვაზია, უუუუ, ჩამევიდა ვინმე?

გამოსძახა მაშიკო ბებიამ მეზობელს.

— არა, არა, ქვე ვინ ჩამევიდოდა ახლა შე ქალო, ყველანი თბილისში გეიხვეტნენ...

— აპა, რა მოხდა?

ისევ ახმიანდა მაშიკო ბებია.

— ძაღლი წიოკობდა გლახათ და იმას გამოვხედე.

უპასუხა ქრვაზია ბებიამ.

— პური გადოუგდე, ეშიება და მიტომ ყეფს ალბათ.

— უკვე გადაუგდე, ხვალე შენ მიეცი პურის ყუა, მაშიკო გეყურება...

— კი, კი ხვალე მე გადოუგდებ რაცხას...

და მხოლოდ ამ ორი დედაბერის იმედად დარჩა ძაღლი. ყოველ დილით ნაძღვენებ პურს შეექცეოდა მყეფარი და ხანდახან პატარა ჩქამზეც კი ყურებს დაცქვეტდა, ეგება პატრონები გამოჩნდნენ, ეგება სახლი მოიგონეს და დაბრუნდნენო, მარა გაგიგონია... დაზამთრდა. დიდი და გულიანი თოვა იცის რაჭაში. იქაურობა დიდ და სპეტაკ თეთრ საბურველში იყო გახვეული. თოვლის გამკვალავიც არავინ ჩანდა მოხუცების ამარა მიტოვებულ ამ პატარა ედემში. მურიკელას შესცივდა, მოშივდა, მოსწყურდა, ვეღარც ეზოში „თარეშობდა“. თეთრ მდუმარებას დაედგა ტახტი რაჭის წალკოტში. აღარც პურით „მწყალობლები“ სჩანდნენ... ჩქამის ნატრული შეიქმნა არემარე. ძაღლმა

იაზრა და საკუთარი ზორბა სხეულით „შეუტია“ თოვლს, ზედ ახტებოდა, გორავდა, ისევ შეჰკრავდა კამარას და ისევ გაგორდებოდა თოვლში... ჭიშკრამდე გაკვალა გზა და გაჩერდა. წინ გაიხედა და მიხვდა, ამდენ თოვლს მარტო რომ ვერ მოერეოდა და ისევ სააკუთარი სხეულით გაკვალული გზით უკან, სახლისკენ წავიდა. ბინდდებოდა, მურიკელაც ემზადებოდა ღამის გასათევად, რომ უცბათ ბოროტი ღრენა შემოესმა. მობრუნდა, გაკვირვებული ათვალიერებდა თავის საუფლოს და ორი ზორბა კბილებდაკრეჭილი ცხოველი დაინახა. იფიქრა, ალბათ გზა აებნათ და ჩემს „ბინაში“ შევიპატიჟებო „სტუმრებს“. დაუყეფა, თავისკენ მოიხმო... ავად მოგიზგიზე თვალები შემოანათეს მოსულებმა. ისინი მგლები იყვნენ. შეშინდა მურიკელა, ყეფდა, კბილებს უღრჭიალებდა ავისმზრახველებს, მაგრამ ნელა-ნელა წინ მოიწევდნენ ხორცს დანატრებული ტყიურები. ძაღლი ყეფდა, ყმუოდა... ფორიაქობდა... სიკვდილს უყურებდა თვალებში და მშველელი კი არსად სჩანდა...

— ედესია! ქარვაზია! მარიკო! გამოიხედეთ ქალებო მგლები! მგლები!..

გაისმა მაშიკო ბებიას ქოთქოთი...

— სადანა არიან მგლები მაშიკო?!

გამოეპასუხა ედესია ბებია.

— აქანა, აქანა, ვალიკოს ეზო-კარში, ძაღლს შეჭამენ ეს გასაწყვეტლები, ძაღლს...

ქაქანებდა მაშიკო ბებია.

— ფილეპე! ფილიპე! გამოხედე კაცო მგლები მოგვივარდნენ, მგლები... გეიგონე, შენ დაგაყრუა დედა-შვილოის გამჩენმა.

არ ცხრებოდა ქარვაზია. ადამიანების ხმის გამგონე მგლები შედგნენ, ერთმანეთს რაღაც „გადაულაპარაკეს“ და ძაღლისკენ „შურდულივით“ გაქანდნენ... ბახ... ბახ... შეზანზარდა იქაურობა და ერთი მგელი მოწყვეტით გაერთხო სპეტაკ თოვლზე. მეორე მგელი შეყოვნდა, დაიბნა ცხოველი... შემდეგ მობრუნდა და ღობისკენ გაიქცა, თავის დაღწევა სურდა მომხვდურს და ბახ... ბახ... ისევ იგრიალა თოფმა. იქვე ორღობის ძირას, ალაგთან ჩაიკეცა გაქცეული მგელი. მურიკელა შიშისაგან კანკალებდა, წკმუტუნებდა, წკაოდა ძაღლი და მაშიკო ბებიას ეზოსკენ იყურებოდა დამფრთხალი თვალებით. სახლის აივანზე

მაშიკო ბებია თოფით ხელში ამაყად გადმოჰყურებდა მიდამოს და „ნახელავით“ ტკბებოდა ოთხმოც წელს მიღწეული დედბერი.

— ყოჩაღ მაშიკო, შე ქალო, რავა მაია წყნეთელივით დგეხარ, შენ მეისპე... რა კარგი სროლა გცოდნია.

იცინოდნენ ქალები.

— აპა, რავა, ფილიპეს იმედზე ჩემი მტერი იყოს.

ქირქილებდა „სნაიპერი“ ბებია.

— ქალებო! ამ მგლების აქანა დატოვება არ ივარგებს, კიდევ მოვლენ ეს გასაწყვეტლები, მომეხმარეთ...

— ჰოი, ჰოი...

შორიდან გაისმა ფილეპე ბაბუას ომახიანო ხმა, მერე თოფიც დააქუხა ფილეპემ.

— რა მოხდა ქალებო? გამეცით ხმა, ხომ მშვიდობაა?

„მოჰქუხდა“ სოფლის ერთადერთ მამაკაცი.

— ფილიპე, მოდი მოგვეხარე ეს მგლები უნდა დავმარხოთ.

მიაძახეს ქალებმა.

— კი მარა, ქვე ვინ მოკლა ეს მგელუკეები?

იკითხა გაოცებულმა ფილიპემ.

— მაშიკომ, კაცო, მაშიკომ ჩააძაღლა ორთვე.

უპასუხა ედესია ბებიამ.

— ყოჩაღ მაშიკო, რავარი კარგი სროლა გცოდნია შე ქალო.

ღიმილით შეაქო ფილიპე ბაბუამ მეზობელი. ფილიპე ძაღლთან მივიდა, მუხლი მოიდრიკა და აცახცახებულ ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა. ეფერებოდნენ შეშინებულ მურიკელას მეზობლები. ძაღლი დაწყნარდა, კუდიც გააქიცინა და მხიარულადაც შეჰყეფა მხსნელებს. კაცმა თვალბში ჩახედა მყეფარს, უსაზღვრო სევდას „ეუბნებოდა“ მიტოვებული ძაღლი ადამიანს.

— წამოდი ჩემთან მურიკელა შე კაცო, სითბო და საჭმელი არ მოგაკლდება და ხანდისხან ქვე ჩამოუაროთ ხოლმე „ვარიკებს“, წამოხვალ?

ალერსით ჰკითხა ბაბუამ ძაღლს. „კიო“ — უპასუხა მურიკელამ — „აპა აქანა მიმატოვეს მარტო და კინაღამ შემახრამუნესო მგლებმა, წამოვალ და შენ მოგეფერებიო, შენც მომეფერეო ბაბუა, არ მიგატოვებ და არც შენ მიმატოვოო, ისედაც პატრონისაგან მივიწყებული ძაღლი, წამოვალ, წამოვალ ბაბუა“.

— რაღა დროის ჩვენი „ვარიკობაა“ ფილიპე, უკვე დავბერდით...

ღიმილით უთხრა ედესია ბებიამ ფილიპეს.

— ეჰ, ხომ იყავით ადრე? ხოდა მასეა ახლაც.

უპასუხა ბაბუამ ქალებს. ხელები აულოკა მხსნელებს ძაღლმა, შემდეგ ეზოს შემოურბინა, სახლის კარებთან შედგა, ერთ ხანს უყურა კარებს შემდეგ რამდენჯერმე დაუყეფა, მობრუნდა და ფილიპეს დაუდგა წინ. „მოვდივარო“, ასე უთხრა ახალ პატრონს ძაღლმა.

— სახლს დაემშვიდობა, მაგი აღარ მობრუნდება აქით, აპა, ასე იცის ძაღლმა.

ბრძანა ქარვაზია ბებიამ და სახლისაკენ იბრუნა პირი. ზაფხულში ისევ გაივსო სოფელი, ბავშვების ჟრიამული იკლებდა იქაობას. მგლების ამბავი ექოსავით აწყდებოდა სოფელს, „ვაჟკაცობას“ უქებდნენ მურიკელას, „ჩუბინქალობას“ იკვეხნიდა მაშიკო ბებია. ისევ გაივსო ქვასიპა, მაგრამ მურიკელა აკლდა იქაობას. ფილიპე ბაბუამაც „შეავსო“ სოფლის ბირჟა. მურიკელაც გვერდით ჰყავდა მოხუცს. ბევრი ვეძახეთ ძაღლს, სათამაშოდ ვიწვევდით მყეფარს. ახლოსაც არ მოგვეკარა, მხოლოდ კუდი გაგვიქიცინა, შემდეგ ერთი გადმოგვხედა და ძუნძულით უკან გაჰყვა მიმავალ პატრონს.

— საოცარი სიყვარული და ერთგულება იცის ძაღლმა.

ბრძანა ქარვაზია ბებიამ.

— როგორი საოცარი ქარვაზია ბებია?

ვკითხე მე.

— ისეთი, ადამიანებმა რომ არ ვიცით და გვენატრება, ეეე მასეთი...

ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔ ᲓᲐᲡᲘ

— შეგვიბრალე სიო, ნუ უბერავ ასე მძლავრად, ვიცი პატარა ხარ, ანცი, სულ თამაშის ხასიათზე, მაგრამ ნუ მომწყვეტ დედას გემუდარები, ჩემი და-ძმებით ხომ მოჰფინე ტყის ჭრელი საბანი, ნუ გეშინია დედამიწა არ გაცივდება ჩემი არ ყოფნით, მას ზამთრის საბნის სითბო არ მოაკლდება.

— გახსოვს, გაზაფხულზე მეც რომ პატარა ვიყავი? რამდენს ვთამაშობდით, მაშინ შენც უფრო პატარა იყავი და როგორ დიდობდი გახ-

სოვს? განა დაგავიწყდა შენს ჩამოქროლვისას როგორ ავშრიალდებოდით მე და ჩემი და-ძმები? დედაჩემი ჩვენი ოინბაზობის გადამკიდე თავის ხელტოტებს გვაშველებდა, რომ არაფერი გვეტკინა. გახსოვს, რამდენჯერ დაგვიმალიხარ, როცა შენი დედიკო ქარი, შენს გასატყეპად მოსულა შენივე ანცობის გამო? რა ცუდი ხარ, მაინც გინდა მომწყვიტო დედის მკერდს? არ გეცოდები? თუ ასეთი გულადი ხარ მიდი ნაძვის წიწვებს ეთამაშე, გეშინია ხომ? გეშინია რომ არ გიჩხვლიტონ და ტირილ-ტირილით არ წახვიდე დედაშენთან? გეხვეწები, არ მომწყვიტო რა�ა... ხომ ხედავ ცვარცრემლი გადმომეკიდა თვალებზე და მაინც არ გეცოდები?..

სიომ ერთი შეითამაშა, გაყვითლებული ფოთოლი დედის მკერდს მოსწყვიტა და ნარნარით დედამიწაზე დაასვენა.

ტყეში ჩვეული მედიდურობით მის მყინვართუხუცესობა ზამთარის მოლოდინში, შემოდგომა დააბიჯებდა და ტყის წიაღში შობილთ სითბოს უკანასკნელი ღიმღამით, მშობელ მიწას ძილისპირულს უმღეროდა.

ანცი სიო გულდაწყვეტილი დაეძებდა თავის მეგობრებს, ტყეს ხან ერთი, ხან მეორე მხარეს აწყდებოდა უშედეგოდ. იდუმალ ტკივილს იკლავდა გულში, ის ხომ მარტო დარჩა. ვის ეთამაშოს? ვის ედიდგულოს? ვისთან იანცოს? სიომ მოიწყინა.

— ეჰ, წავედი სახლში ჩემს დედა ქართან, ალბათ ისიც მელოდება.

ამოიოხრა სიომ და სახლისკენ გაფრინდა

მხატვარი

მოლბეტი გავშალე, გვერდით მაგიდაზე ფუნჯები და საღებავები მეწყო. მდუმარედ შევცქეროდი ცარიელ ტილოს. გონებით ვათვალიერებდი მომავალ ნახატს.

— გამარჯობა მხატვარო...

შევკრთი, გარშემო მიმოვიხედე, ოთახში არავინ იყო. „ეტყობა მომეჩვენა“ გავიფიქრე...

— არა, არ მოგეჩვენა, ეს ჩვენ ვართ შენი ფუნჯები.

— ვიინ?

შიშნარევი თვალებით შევყურებდი „ფეხზე მდგარ“ ჩემს ფუნჯებს.

— ხო მხატვარო, ეს ჩვენ ვართ და კიდევ თქვენი საღებავები...

— ვინ ხართ?

ლამის ვიკივლე გაოგნებულმა.

— მხატვარო, შენი მონამორჩილნი ვართ, შენი ნებით დავსრიალებთ ცარიელ ტილოზე უკვე მრავალი წელი. საღებავებიც შენს ნებას ემორჩილებიან და ისე „ღებავენ“ სამყაროს როგორც შენ აღიქვამ მას...

— ჩემს შესაშინებლად „აღსდეგით“...

— არა, საუბარი გვინდა თქვენთან.

— რაზე ვისაუბროთ?

— ჩვენს დარიგებას თუ მოუსმენ მხატვარო?

— კიი...

— გუშინდელი დახატული თქვენი ნახატი მოგწონთ?

— რასაკვირველია, კარგად გაიყიდება.

— ლამაზი ნახატია, მაგრამ ის შენ მხოლოდ დახატე და არრა შეგიქმნია...

— ამით რისი თქმა გსურთ?

— იმის, რომ ფუნჯს ნუ აღიქვამ მხოლოდ „საშუალებად“, ის მხატვრის „სულის გასაღებია“, რა საცოდავი ხარ მხატვარო თუ ფერები შენთვის მხოლოდ საღებევებია...

— ხატვას მასწავლით? იქნებ ნახატის „წაკითხვაც“ მასწავლოთ?

— ნახატი რომ „წაიკითხო“ ჯერ „ბუნების ანბანი“ უნდა ისწავლო მხატვარო...

— მე „სიმართლეს“ ვხატავ...

ფუნჯებმა „გაიღიმეს“.

— „სიმართლის“ დახატვა თუ გსურს ჯერ საღებავების „თვალთმაქცობა“ უნდა ისწავლო მხატვარო.

— რა ბრძანეთ?

— იცოდე „სიმართლის“ ყველაზე დიდი მხატვარი ბავშვია, ის სიყვარულით ოცნებას ხატავს.

— მე თქვენთვის ჭკუის დარიგება არ მითხოვია, მე ჩემს ნახატებში სოლიდურ გასამრჯელოს მიხდიან...

— რა საცოდავები არიან მდიდრები, რადგანაც ფულს ნახატის „იმიჯში“ იხდიან და არა მხატვრის უკვდავი სულის ნაწილში, ფერებად რომ უკვდავყოფს ხელოვანის სიდიადეს.

— სასაცილოა ეს ყველაფერი და როდის კნინდება მხატვარი?

— მაშინ როცა იძულებულია დახატოს ის, რასაც ყველა ხედავს.

— საინტერესოა, თქვენ ფუნჯებს საიდან გაქვთ ამდენი „ფილოსოფია“?! კიდევ რას მეტყვით, რით დამარიგებთ ჭკუას?! რას მეტყვით ჩემს პორტრეტებზე?

— როცა ადამიანს ხატავ ჯერ მისი პიროვნება „დახატე“ და მერე გამოსახე ფერებში.

— ქალის პორტრეტი მოგწონთ?

— არა, რადგან როცა ქალს ხატავ, ჯერ მისი „ვნება“ გაითავისე და ისე დახატე პორტრეტი, თორემ მის სახეს ფოტოაპარატითაც გადაიღებ...

— პოეზიაზე რას მეტყვით?

კითხვა „ამოვაგდე“ თემიდან

— მხატვრობა ერთგვარი პოეზიაა, მწერალ-რომანისტის „ნერვული სისტემით“. პოეტის რითმები, მხატვრის ფერებია, პოეტის ლირიკა, მხატვრის ფანტაზია, პოეტის „სულის წვდომა“, მისი კალამია, „სიცოცხლის უკვდავება“ კი ფუნჯია შენი...

— გასაოცარია, ეს ამბავი ვინმეს რომ მოვუყვე ვინ დამიჯერებს?

— შენ ხომ გჯერა მხატვარო? მთავარი აი ეს არის....

თითქოს ცივი წყალი გადამასხესო, ისე წამოვხტი ლოგინიდან, გარშემო მიმოვიხედე, ყველაფერი „ბუნებრივად“ იყო. ჩემს სალონში გავედი, ფუნჯებს დავხედე... ყველაფერი ჩვეულებრივად დამხვდა... გარდა... მოლბეტზე დადებულ სუფთა ტილოზე ფანქრით ეწერა:

„სამყაროს კეთილშობილება „ცოცხალთა სიცოცხლის“ ფერთა პალიტრაა, ფუნჯი სამყაროს ღერძია, ხოლო ნახატი სიცოცხლის ხელოვნებაა, ფერთა სიმფონიით შთაგონებას რომ აღვიძებს ადამიანში. პატივისცემით შენი ფუნჯები“

... პირჯვარი გადაწერე სამხრეთს...

— წვიმიანი დღე იყო. დინჯად, აუჩქარებლად დავაბიჯებდი ბათუმის ქუჩებში. არაფერზე არ ვფიქრობდი, არც ვჩქარობდი არსად, უბრალოდ ხეტიალი მინდოდა. მოსაღამოვდა. ქუჩა თითქმის ცარიელი იყო და მხოლოდ ქუჩაში გამვლელი მანქანები მირღვევდნენ მყუდროებას.

ერთმა უცნაურმა ვიტრინამ მიიპყრო ჩემი ყურადრება. ვიტრინის თავზე გასიგრძეგანებულ აბრაზე ლამაზი სოებით ეწერა. „დუმბაძე ფოტო“. ვიტრინაში კი ძველებური ფოტოები იყო გამოფენილი. ბათუმის ხედები, კიდევ ჩოხა-ახალუხში გამონწყობილი ულვაშაპრეხილი კაცები და პირმშვენიერი ბანოვანები.

მე სალონში შევედი. ჭარმაგი, მაგრამ მხნე მამაკაცი შემომეგება. გარდასულ დღეთა წარმოსადეგი იერი დროს ვერ დაეჩრდილა და თეთრი წამწამებიდან ცოტათი ანცი შავი თვალები ანდამატივით გიზიდავდა და კეთილისმყოფლად განაწყობდა მოსულ სტუმარს.

— გამარჯობათ ჩემო ბატონო...

მომმართა მასპინძელმა.

— გაგიმარჯოთ.

არც მე დაუგვიანე პაუხი.

— გისმენთ, რით შემიძლია გემსახუროთ?

— არაფრით, უბრალოდ ქუჩაში ვსეირნობდი და თქვენმა ვიტრინამ მიიქცია ჩემი ყურადღება, ხოდა მეც გესტუმრეთ...

— სასიამოვნოა, მობრძანდით, ამ დროს იშვიათად თუ მოდის კლიენტი, სწორედ ეხლა ვაპირებდი სალონის დაკეტვას. თუ დრო გაქვთ ცოტა ხანს ვისაუბროთ... თანახმა ხართ?

— კი, სიამოვნებით.

ფოტოგრაფმა სალონი შიგნიდან დაკეტა. ვიტრინაში შუქი გამორთო და აბრა, „დაკეტილია“ ჩამოჰკიდა.

— მაშ ასე, ჩემო ბატონო, ვინ ბრძანდებით?

მკითხა მასპინძელმა.

— მე ბათუმში სამსახურეობრივი მივლინებით ჩამოვედი.

— ჩინებულია, ჩინებული, და რას „შვრება“ თქვენი საქმე?

— მიდის... კარგად კეთდება...

— სასიამოვნოა, მაშ ასე, ვიცნობდეთ... მე თევდორე დუმბაძე გახლავართ, მემკვიდრეობითი ფოტოგაფი...

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა თევდორე ბატონო...

— კარგად თქვით, „თევდორე ბატონოო“...

— რა არის ამაში განსაკუთრებული?

— ის, რომ სახელია ბატონობის ღირსი და არა ბატონობა სახელის ღირსი...

— საინტერესო არგუმენტია.

გამეღიმა მე.

— მოგწონთ ბათუმი?

— რასაკვირველია?

— ეხ, თქვენ არ იცით რას ნიშნავს ბათუმი და რამხელა მოვალეობაა ბათუმელობა, აქ ამინდიც სხვანაერია და მზეც...

— მაშ, თქვენ მითხარით..

— თავნება ქარი და ცის გრგვინვა იცისო ბათუმში, აჭარის მთებს რომ აწყდება გაგულისებული... არ დაიჯერო, რადგან ეს გენერალ მაზნიაშვილის „ჭექაა ლომებრი“, ძილს რომ უფრთხობს „მიძინებულ“ ქართველობას. ნურც წვიმას დაემალებით ქოლგის ქვეშ ჩემო ბატონო, რადგან აჭარელ წმინდანთა ცრემლია ეს წვიმა, უხიაგი და მავნე ფიქრისგან რომ ცდილობს განბანოს ჩვენი გონება. ნურც გადარეული ზღვა შეგაშინებთ, რადგან ჭოროხს ჩამოაქვს აჭარელი კაცის ტკივილისა და აუხდენელი ოცნების ამბავი და ეს აგიჟებს ზღვას. ზღვას მოეფერეთ, რადგან ანდრეა პირველწოდებულმა ჯერ ზღვა აკურთხა და მერე მონათლა ზღვაში ქართველნი ქრისტიანებად. ცის ნამს სახე შეუშვირეთ, რადგან წმინდა ნინოს ცრემლი აწვიმს აჭარას აიაზმად. ბათუმს მოეფერეთ, მემედ აბაშიძის, ფრიდონ ხალვაშის და სელიმ ხიმშიაშვილის გულმართალი, ცხელი გული, აქ გრგვინავს და ქვეყნის სიყვარულად გადმოსული მირონი ისევ სდის მათ საფლავებს. აქ, ამ ზღვაში განიბანა ბედის ჭიდილთან ქანცგაწყვეტილი ტატოს მერანი, აქ, ბუბუნებდა მუხრანის ლექსიც. ნონეშვილის, დიდი გოგლას, მეფე გალას, ტანჯულ ტიციანს, აქ განუცდიათ შიშველ მუზასთან მგზნებარე ტრფობა. რამდენი გითხრა? კიდევ რა გითხრა? ყური მიუგდე ზღვის ამბავ-სალბუნს გულმოკლული ქართველის გულს ლაღად რომ ააბაგაბუგებს და მჭმუნვარე ფიქრისგან დაოსებულ გონებას რომ ნათელს მოჰფენს. „მწველიაო ბათუმის მზე“, ასე ამბობთ. „მწველი“, აქაური სიყვარულია, უზომო სიყვარული მზემდე რომ აღწვს აღტკინებული და სხივებად რომ გინაწილებთ ყველას, მტერსაც და მოყვარესაც. აჭარის მზეს მოეფერეთ, ის ჩვენი სულია ნათლით ფენილი და თქვენთვის მოძღვნილი... ბევრი ვილაპარაკე, ბოდიში ჩემო ბატონო. გთხოვოთ მინდა... იქ, „გარეთ“, იმ ხალხს უთხარით ნუ დაანგრევენ ამ ძველ შენობას, ნურც ძველი ბათუმის შენობებს მოუსპობენ „სიცოცხლეს“. ისინი ბათუმის ისტორიაა, ოქ-

როს ასოებია, ისტორიას რომ წერენ. თვითოეული შენობა წიგნია დიდი სიყვარულის მატარებელი. ბათუმის ქუჩებს გულში ჩაუკრავთ ილიას „ნაფეხური“ და დიად ქართველთა „ფეხის ხმა“ საუნჯედ შემოუნახავთ მოყვასისათვის... ვუთხარი „მათ“, ნუ დაანგრევენ, ნუ გაყიდიან ბათუმის უკანასკნელ ბასტიონებს, უთხარი „მათ“, ხელთუქმნელ „ქონგურებს“, ნუ ჩამოუშლიან შვილებს უცხო ტომელთა ნებიერად. ეს ბათუმია, ეს აბჯარია საქართველოსი, აქაც, საქართველოს ისტორია გულის სისხლით იწერებოდა და ავტოკალმით ნუ გადააწერინებენ „მავანთ“... უთხარი... უთხარი...

სიჩუმე ჩამოვარდა. „ძველი ბათუმის“ მემატიანე დუმდა. ყრუ ტკივილის მაჯისცემა ექოდ ეკვროდა ძველ სურათებს. მოხუცმა თავი აიღო და ოდნავ ჩახლეჩილი ხმით მითხრა:

— მისმინეთ, საჩუქარი მაქვს თქვენთვის. აი იქ, კუთხეში ფოტოაპარას ხედავთ? ის პირველია, პირველი ფოტო მან გადაიღო ბათუმში. ბოლო კადრის მასალა შემომრჩა და შენც გადაგიღებ თბილისელო...

ჩოხა-ახალუხი ჩამაცვა, ყაბალახიც მომარგო თავზე. ფოტო აპარატი გამართა. უცბათ რაღაცამ იფეთქა და „გადაღებულია“ -ო მითხრა.

— ხვალ პირველ საათზე მორძანდით ჩემო ბატონო და წაიღეთ თქვენი ფოტო...

მეორე დღეს, დილით ადრე, მანქანამ მომაკითხა, „გადაუდებელ საქმეზე გიბარებენო თბილისში“, ასე მითხრეს და თბილისში დავბრუნდი. ჩემი ფოტო კი სალონში დარჩა.

თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ რაც მოხუც ფოტოგრაფს შევხვდი. წელს ისევ ვესტუმრე ბათუმს და იმ სალონს მივაკითხე. ახალგაზრდა კაცი შემომეგება და განთქმული აჭარული თავაზით მიმიღო.

— ბატონო, აქ ერთი მოხუცი ფოტოგრაფი მუშაობდა, მისი ნახვა მსურს თუ შეიძლება.

მივმართე ახალგაზრდა მასპინძელს.

— პაპა შარშან ზამთარში გარდაიცვალა ბატონო.

დანანებით მიპასუხა ახალგაზრდამ.

— მე აქ ფოტო გადავიღე ძველი აპარატით... ის ბოლო კადრი იყო იმ აპარაზე გადაღებული.. იქნებ... თუ გაქვთ მომეცით... მითხარით რამდენი მოგართვათ...

— დიახ ბატონო, ეხლავე მოგართმევთ...

ახლგაზრდა სალონიდან გავიდა და ერთ წუთში ჩარჩოში ჩასმული ჩემი „ძველებური“ ფოტო მომაწოდა. წერლიც გადმომცა, „თქვენთვის არის ეს წერილი, პაპამ დაგიტოვათ, წაიკითხოსო, ასე დამიბარა...“

წერილი გავხსენი, „აჭარელი დილით რომ იღვიძებს სამხრეთისკენ იბრუნებს პირს და პირჯვარს გადასწერს სარფს, იქითა საქართველოს. იქ დიდი ტკივილია. ჯვარცმულ მიწას უფალს ავედრებს აჭარელი. გულის სიღრმეში ჩაკირულ იმედს შთმომავლობას გადასცემს სიხარულად და ლოდინად, რომ დადგება ჟამი „გარდმოხსნისა“ და ერთობისა, დედა სამშობლოსთან ერთ სხეულად განმთლიანებისა. გთხოვ თბილისელო! ყოველ დილით შენც პირი იბრუნე სამხრეთისკენ და პირჯვარი გადასწერე სამხრთს“.

წერილი გულის ჯიბეში ჩავიდე.

პირჯვარი გადასწერეთ საქართველოს ყველა იარას, იქნებ და იქმნას სასწაული და შეხორცდეს ყოველი ქართული წყლული.

პირჯვარი გადასწერეთ....

ჟამთგასაყარი

(მოთხრობა მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და რეალობას არ შეესაბამება)

მწუხრი მშვიდობისა მისურვა ოჯახის უფროსმა და ჩემი ოთახიდან გავიდა ჭარმაგი. მოუსვენრობა ამეკვიატა. ეს ამბავი მსურდა ვინმესთვის მომეყოლა, ვინძლო აღსარებასავით გულზე დაწერილი იმ ღამინდელი სიტყვანათლული ფიცი და აღთქმა გამეზიარებინა ვინმესთვის. ისევ ფურცლებს ვანდე, ისევ ერთგული კალამი ავაწრიპინე და თქვენამდე მოვიტანე...

სათევზაოდ დამპატიჟეს ძმაკაცებმა, „აჭარისწყალზე“ წავედით „დიდი მეთევზეები“. მართლა, ჯერ იქვე მაღაზიაში შევიარეთ, კაი ძეხვი, შემწვარი წიწილები, კიდევ რაღაც-რაღაცები და ღვინო შევიძინეთ. კინაღამ ანკესები არ დაგვავიწყდა? ნუ გაგიკვირდებათ, რატომ მაინცა და მაინც ანკესებიო? იმიტომ! ბადით რომ ითევზაო უნ-

და იარო, „მომთაბარე“ პურმ-მარილი გინახავთ სადმე? არა, ხოდა ნუ მეკამათებით. მოკლედ ჩავუჯექით, ანკესები ჩავყარეთ წყალში და სუფრის გაშლას შეუდექით. ბათუმის ბაზარში ნაყიდი დალოცვილი „ცოცხალით“ დავამშვენეთ სუფრა. ღვინო კი მდინარეში ცივდებოდა.

ვიღაც ორმა მოხუცმა კაცმა გაგვიარა გვერდით, შემოგვხედეს, გაეღიმათ. მერე მათ უკან კიდევ სხვები მოდიოდნენ, სულ მოხუცები და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ახლდათ თან. ესე, ათი კაცი მაინც იქნებოდა. სუფრა გაშლილი გვქონდა და როგორც წესი მოითხოვს, სუფრასთან მივიპატიჟეთ ისინიც. არავინ არ „გამოგვხმაურებია“, მხოლოდ მადლობა გადაგვიხადეს და გზა განაგრძეს. დავაკვირდი, მათ შორის ორი სასულიერო პირი გახლდათ, ერთი ქრისტიანი მოძღვარი და მეორე აშკარად მუსულმანი. ჩემმა მეგობარმა დიმამ მითხრა: „ეს კაცი, აგერ რომ მიდის, ჩვენ სოფელის მოლაა, ნეტავ სად მდის ეს ხალხი? მღვდელი, მოლა და კიდევ ეს ადამიანები?...“

თვალი გავაყოლეთ მიმავალთ და რატომღაც ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომლის ახსნაც უბრალოდ არ შემიძლია, ალბათ ჭარბმა ცნობისმოყვარეობამ დამრია ხელი. იმ კაცებიდან ერთი ახალგაზრდა მობრუნდა, ჩვენსკენ მოიხედა, შემდეგ მხცოვან მამაკაცს თავი დაუკრა, ეტყობა რაღაცაზე დაეთანხმა და ჩვენსკენ გამოსწია. მე, დიმა და ჯონდო ფეხზე წამოვდექით და მოსულს შევეგებეთ. ჩვენზე ბევრად უმცროსი იყო ჭაბუკი. მორიდებით მოგვესალმა და გვითხრა:

— ბატონებო მომიტევეთ, ჩვენი სოფლის უხუცესებმა გამომგზავნეს, დღეს ჯერ არდათქმული დღე სახსოვარს ეყრება საფუძველი და თუ პატივს დაგვდებთ გვესტუმრეთ, კიდევ ერთხელ მომიტევეთ რომ შეგაწუხეთ.

— კი, მაგრამ იქ ჩვენ არავის ვიცნობთ და უხერხული იქნება, მადლობას მოგახსენებთ დაპატიჟებისთვის...

— თქვენ ვერ გამიგეთ... თქვენს პურმარილს და ღვინოს ხელს არავინ ახლებს... გვიკადრეთ ბატონო, გვიკადრეთ... აი იქ, დიდი ჭადარი რომ დგას, აი იქ უნდა მივიდეთ...

სიმართლე გითხრათ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ჩვენი პურმარილი ავკეცეთ და იქ, ჭადართან მივიტანეთ. საღამოს შვიდი საათი იქნებოდა მოტანებული. ჩვენი სამგზავრო ნავთის სანათიც თან წავიღეთ. აშკარა იყო, რომ დალევა აღარ მოგვიწევდა, მაგ-

რამ იმის ინტერესი „მკლავდა“, რატომ იყვნენ ქრისტიანი მოძღვარი და მუსულმანი მოლა ერთად, რა ჰქონდათ საერთო მათ? მივუახლოვდით შეკრებილთ. მდაბალი სალამი მოგვიძღვნეს უცხოებს მხცოვანმა ადამიანებმა. ოთხი ახალგაზრდა რიყის ქვებს ეზიდებოდა და მოხუცების მიერ შეკრული წრის შუაგულში, თითქოს პატარა ყორეს აშენებდნენ, ან უფრო რაღაც რიტუალურს, რომლის მსგავსი ჯერ არ მენახა. ახალგაზრდები საქმეს მორჩნენ... საათს დავხედე უკვე საღამოს ცხრა საათი დაწყებულიყო... ჯონდომ ნავთის საგზაო სანათში ცეცხლი „შეგზავნა“ და იქაურობა გაანათა ალმა, ჩვენნაირი სანათები იმ ადამიანებსაც ჰქონდათ და აჭარისწყლის სანაპირო გაანათეს... მდუმარედ იდგნენ მოხუცები... შემდეგ დიდრონ ქვებზე ჩამოსხდნენ და ქრისტიანმა მოძღვარმა ჩვენც მიგვითითა დავმხსდარიყავით. რაღაც განსაკუთრებული იწყებოდა...

— შვილებო!

მოგვმართა მოლამ.

— მე, აი მდინარის გადაღმა რომ სოფელია, იმ სოფლის მოლა ვარ, მუსულმანი. მადლობთ რომ მობრძანდით და პატივი დაგვდეთ თქვენი ყოფნით.

— ჩემო სულიერო შვილებო!

რაღაცნაერი ღულუნა ხმით ამეტყველდა ქრისტიანი მოძღვარი.

თქვენი მოწვევა დღევანდელ ჩვენს შეკრებაზე შემთხვევით არ მომხდარა, რამეთუ თქვენ, ჩვენთვის უცნობი ადამიანები, მიუხედავად თქვენი რელიგიური შეხედულებებისა, მაცნედ ხართ წვეულნი, მოგვიტევეთ რომ ქეიფი შეგაწყვეტინეთ...

— რის მაცნედ ვართ მამაო წვეულნი? ჩვენ რა შეგვიძლია?

დაბნეულმა ვუპასუხე მამაოს.

— ქრისტიანი ხარ?

მკითხა მოლამ.

— დიახ, აი ნათლობის ჯვარიც კისერზე მაქვს...

პერანგის საკინძე გავიხსენი, ოქროს ჯვარცმა აღვიღე მკერდიდან და დამსწრე საზოგადოებას ვუჩვენე.

— მომიტევე უცნობო მეგობარო...

მომმართა მოლამ.

— უხერხულობა შეგიქმენი.

— ეგ არაფერი.

მორიდებით მივმართე მოლას.

— ვთქვათ სათქმელი.

ბრძანა მამაომ.

— ჯერი შენი იყოს.

თავდაკვრით მიმართა მოლამ მამაოს.

მამაომ წვერზე ხელი ჩამოისვა და ბრძანა:

— გუშინ ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა აქ მოვიდა, აქ მდინარე აჭარისწყლის ამ რიყეზე და სანთლები აანთეს, ხატები მოალაგეს ამ ლოდებთან და თავადაც ხედავთ ქრისტიანულ წმინდა ხატების სიმრავლეს... ისინი თქვენს წინაშეა... და აღავლინეს ლოცვა აქ ოსმალთა მიერ ოდესღაც აღმართულ თავკვეთურაზე ქრისტიანობისთვის მსხვერპლად შეწირულ აჭარელი ქრისტიანთა სულის სალხენად, ეს ამბავი მე დღეს შევიტყვე, წადილი ითქვა მრევლისა მიერ, რომ 22 ივნისის ღამეს, ზუსტად ღამის თორმეტ საათზე, აღვლენილიყო ლოცვა და პარაკლისი გადაგვეხადა ჩვენი ქართველი მამულიშვილთა ქრისტესთვის თავგანწირვისთვის და მათი სულის მოსახსენიებლად ეს დღე, უცვლელ დღესასწაულად დამკვიდრებულიყო ჩვენს სოფელში...

— რატომ მაინც და მაინც 22 ივნისს მამაო?

მოურიდებლად ჩავეძიე წმინდა მამას...

— მე გეტყვი, რადგან ეს დღე ყველაზე გრძელია წლის განმავლობაში და ღამე კი ყველაზე მოკლე. ნათელი სჭარმობს სიბნელეს.

მომიგო მოლამ.

— ბოდიშით, მაგრამ ხანდახან ოცდაორ ივნისსაა უფრო გრძელი დღე და ხან ოცდასამ ივნისს, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ჭაბუკო! სწორად დასვი შეკითხვა და მე გიპასუხებ, ოცდაორ რიცხვშია ბუნიაობა, დიდი დღე, მაშინ მთელი დღე გასტანს ღვთისმსახურება და შუა ღამის ჟამს ლიტონიობა გაიმართება და მთელი ღამეს გასტანს.

მიპასუხა მამაომ.

— კი მაგრამ, ბოდიშით, რომ საუბარში შემოგეჭერით, მაინტერესებს და იქნებ მიპასუხოთ. თავკვეთურაზე ქრისტიანები, ქრისტიანობისთვის ეწამნენ და...

— მაშინ მე რა შუაში ვარ?

სიტყვა გამაწყვეტინა მოლამ.

— დიახ...

— გეტყვი ჭაბუკო, ყურადღებით მომისმინე და შეეცადე სწორად გაიგო, თუ შეკითხვა დაგებადება პასუხსაც გაგცემ. მისმინე, ჩვენ ქართველი მუსულმანები ნებით თუ უნებლიედ ქართველთა სიცოცხლის მსხვერპლშეწირვის ფასად ვიქმენიდ იმად რაც ვართ. ჩვენი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ და ჩვენ პატივს ვცემთ მათ ხსოვნას, ნუ იფიქრებ თითქოს ჩვენ მამა-პაპის საფლავს „ვხნავდეთ“ და იქ სხვა „ყვავილს“ ვახარებდეთ. რთულია ყველაფერი აგიხსნა... ხმალს როცა იქნევდა ქართველი, მეორე ხელში ფარი ეპყრა, რომ სხვა მტრის მიერ მოქნეული მახვილი მოეგერიებინა, მე არ განვეკუთნები იმ მოძღვართა რიცხვს, ვისაც აქ ქრისტიანებზე აღმატებულნი სურთ რომ იყვნენ, ან თუნდაც სალოცავის სიჭარბით მოვიწონოთ თავი, რადგან მორწმუნე, სახლშიც და კარშიც მორწმუნეა და ამას ვერავინ წაართმევს. ჩვენ ქართველი მუსულმანები ერთგვარი „ფარი“ ვართ ქრისტიანული საქართველოსთვის, ვიცი, არ დამიჯერებ, მაგრამ გეტყვი, ჩვენ მართლა ძალგვიძს „სხვა“ მოქნეულ „ხმალს“ ფარად ავეფაროთ, ფარად ავეფაროთ ამ ჯვარცმულ მიწას. ნურც ქართველობაში შემეჯიბრები მეგობარო...

სიტყვა აღარ გააგრძელმა მოლამ...

— ჩემო სულიერო შვილებო! ეხლა კი ნამდვილად არ ვნანობ, რომ მოგიწვიეთ ჩვენს სერობაზე. ვერ დავიშლებით ჯერ... სანთლები ავანთოთ... აქ მტრის მიერ მოკვდინებულ ქართველთა სულებს ლოცვა წაუკითხოთ. რაც შეეხება ჩვენი სოფლის ახალგაზრდათა თხოვნას, მე დამოუკიდებლად ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ, უნდა დავეკითხო...

ბრძანა მამაომ.

— მეც უნდა დავეკითხო, მაქვს თუ არა უფლება, რომ თქვენთან ერთად პატივი მივაგო „მათ“ სულებს...

ბრძანამ მოლამ.

მერე მამაომ ლოცვა დაიწყო, იქ მყოფთაგან რამდენიმე მამაოს ამოუდგა გვერდში და „დაუჯდომელი“ ლოცვის აღვლენა დაიწყეს, ხოლო მოლა და კიდევ რამდენიმე კაცი ოდნავ განზე გადგნენ და ჩუმად ბუტბუტებდნენ... ალბათ მუსულმანურ ლოცვას...

ერთი ახალგაზრდა მოგვიახლოვდა და მორიდებით გვითხრა:

— ბიჭებო, მეტს აღარ დაგაყოვნებთ, ბოდიშით, რომ ქეიფი ჩვენს გამო შეწყვიტეთ...

მივხვდი რომ უნდა დაგვეტოვებინა იქაურობა. ფანრების და ჩირაღდნების სინათლის „აისი“ დაეცა აჭარისწყლის „შევერცხლილ“ ტალღებს. სოფლის ახალგაზრდობა მოდიოდა და... ჩვენ უნდა წავსულიყავით, მაგრამ რატომ? ან რატომ მიგვიწვიეს ან რატომ გამოგვისტუმრეს? პასუხი არ მქონდა და... ეს ამბავი უნდა მეამბნა მხოლოდ? ვინ იცის...

მეორე დღეს ისევ შევიკრიბეთ ძმაკაცები და ისევ იმ ადგილისკენ გავსწიეთ, სადაც ის „იდუმალი“ სერობა გაიმართა. იქ უკვე არავინ აღარ დაგვხვედრია, მხოლოდ წრეში ჩალაგებული ლოდები და შუაში, ქვებში მყარად ჩასმული ხის მოზრდილი ჯვარი დაგვხვდა. სანთლების ნამწვავები ეტყობოდა ქვებს...

— ეტყობა ნიში აღიმართება აქ.

მითხრა ჯონდომ.

— კი მაგრამ, ქრისტიანულ სალოცავზე მუსლიმი როგორ ილოცებს?

გამიკვირდა მე.

— გიორგი, არ გამოვრიცხავ რომ პატარა სამლოცველოც აშენდეს და ალბათ „თავკვეთურობას“, ან როგორც მათ თქვეს „ჟამთგასაყარის“ დღეობას დააწესებენ სოფლელები.

— რა საინტერესოა, ნეტავ „ისინი“ როგორ იგლოვებენ?

დუნედ ვთქვი მე.

— არ ვიცი, მხოლოდ იმას გეტყვი, რომ შეიძლება ქართველთა ერთობის და ურყევი ერთიანობის, მიუხდავად რელიგიური შეხედულებებისა, საძირკველი აქ ჩიყაროს...

თქვა დიმამ.

— ვინ იცის, ვინ იცის, ვინ იცის...

ვთქვი და წასასვლელად მოვემზადე.

— გიორგი, ამ ამბავზე დაწერ რაიმეს?

მკითხა დიმამ.

— კარგი ისტორიაა, კარგ მოთხრობას „ავაწყობ“, ცოტა ფანტაზია, ცოტაც რეალობა და მოთხრობაც მზად იქნება.

ვთქვი და გავულიმე მეგობარს.

— ძმურად არაფერი არ მიამატო, ისე დაწერე როგორც იყო, დღეს ოცდაორი ივნისია... ვინ იცის, იქნებ დღესაც მოვიდნენ აქ სალოცავად, წამოვიდეთ? — შეგვეკითხა ჯონდო.

— რატომაც არა.

სიხარულით დავეთანხმე მე.

დავთქვით, ღამის თერთმეტ საათზე შევკრებილიყავით და ჩემი მანქანით უნდა წამოვსულიყავით.

„იქ“, მთელი სოფელი გამოსულიყო, ოღონდ აშკარად ეტყობოდა რელიგიური „დაშორიშორება“. ქრისტიანები აღმოსავლეთით იდგნენ და დასავლეთს გაჰყურებდნენ, მუსულმანები კი დასავლეთ მხარეს იდგნენ და აღმოსავლეთისკენ მიექციათ სახე. უნებურად ქრისტიანთა სიმრავლეს მივაქციე ყურადღება, ბევრნი ვიყავით, ბევრად მეტი ვიდრე „ისინი“, მაგრამ იცით რამ გამაოცა? ხალხი ერთმანეთს ლოცვაში ხელს არ უშლიდა. ღამის თორმეტმა საათმაც დაჰკრა, სასმისები ასწიეს ქრისტიანებმა, სასმისები ასწიეს მუსულმანებმაც. ჩვენებური წესისამებრ ღვინო აპკურეს მიწაზე ჯვარსახოვნად და ქრისტიანობისთვის შეწირულების სადღეგრძელეო შესვეს, „რამეთუ მოკვდინება მათი იქმნა არა ნებისათ უზენაესისა, არამედ მტრისგან, სურვილისა და ნდომისა წინაღამდეგ მათისა აღხოცვად რჯულისა ჩვენისა ქრისტიანობისა მათზედ...“ კიდევ ბევრი ითქვა სათქმელი, მხოლოდ ეგ იყო, რომ უმეტესი სიტყვათაგანი ვერ აღწევდა ჩემამდე. დავამატებ, რომ ეს სადღეგრძელო ყველამ შესავა, ქრისტიანმაც და მუსულმანმაც. რაღაც მიკვირდა, არა, კი არ მიკვირდა მაოცებდა... ეს ყველაფერი მაოცებდა...

აფორიაქებული დავბრუნდი სახლში, ვაანალიზებდი მომხდარს, კიდევ იმას, რაც გავიგონე და რასაც ყური მოვკარი. დღეს ოცდასამი ივნისია, შუა ღამე... მე მხოლოდ მაცნე უნდა ვიყო? იყოს ნება მათი... ერთგული კალამი მორჩილად ელოდება როდის „მიუზღვავდი“ ყველაფრის ამტან ფურცლებს თავსგადახდენილი ამბის თხრობის „განაჩენს“...

მოთხრობას კი ასე დავარქვი, „ჟამთგასაყარი, ანუ „თავკვეთურობა“.

რაჭაში

— როგორც იქნა ავიარეთ ნაქერალალას „პერევალი“ და მადლიანი რაჭის სანახები შემოგვეგებნენ სტუმრებს. შაორის ტბა ლურჯად ლივლიბებდა. ტბის სანაპირო სავსე იყო ხალხით. ზოგნი ქეიფობდნენ, მავანნი თევზაობდნენ, მოცურავენიც არ აკლდა ტბას... ჩვენ ბოყვაში (სოფელი რაჭაში) მიგვიჩქაროდა. ჩვენი ძველი ძმაკაცი, გოჩა გველოდა „ასფალტზე გაზრდილ“ მეგობრებს.

ესეც ბოყვა�ა... კაკლებსა და ასწლოვან მუხებს შორის გაუშლია მხრები სოფელს. ხის ძველებეური, რიკულებიანი აივნები გვეგებებოდნენ უკვე მრავალწელს მიტოვებული სახლებიდან, ეზო-კარმიდამოც მოუვლელობით გაჯაგნარებულიყო. ვაშლის ხეები ხავსის ქათიბით შემოსილიყვნენ და ალაგ–ალაგ შერჩენილ „შაფრანის“ ვაშლებს მზის სხივს უშვერდნენ, ეგება მზემ სითბოთი დააშაქროს და დაატკბოსო. ეზოებში ბევრი ვაშლი ეყარა უპატრონოდ, დიდრონი კაკლები მდუმარედ შემოგვღაღადებდნენ თითქოს, „ეზოში შემოდით, ფეხი დაადგით ალაგას და აქანა გაშალეთო სუფრა, ფოთოლთ შრიალით, მოძახილსაც გეტყვითო დაუზარებლად“. მჟავე წყლის სადინარს „ტუჩი“ მორღვეოდა და ვიღაცას პლასტმასის ბოთლი გაურჭვია სამადლოდ, რკინისა და გოგირდის ნალოკი ჩაყვითლებული ღარი რაჭული გულუხვობით გვთავაზობდა უკვდავების წყალს. „ქუჩები“, ეზო-ყორე, საურმეები, სახლები, ხეები, მიწა, მდუმარედ გვევედრებოდნენ და ცრემლით პოხავდნენ რაჭის მადლიან მიწას „ჩვენთან შემოდით, ჩვენს ეზოშიც დადგითო ფეხი, ხილი მიირთვით, წყალი შესვითო ჩვენი ჭებიდან, აგერ სოფლის ცენტრი, ცოტა ხანს იქანაც ჩამოჯექითო, ერთი სიგარეტის „ბიჩოკი“ მაინც ჩაჭყლიტეთ, რომ „ადამიანებს ისევ ვახსოვართო“ სათქმელადა გვქონდეს, ბიჭებო, ამ მიტოვებული სახლის სარკმლის მინა მაინც ჩაამტვრიეთ, ეგებ მტვრევის ხმამ შეგვაფუცხუნოსო ღვთის ამარად მიტოვებულნი“.

მდუმარეთ ვიჯექით მანქანაში, ვიფიქრე, „განა იმაზე მეტს რას იძენენ ადამიანები, რასაც აქაურობის მიტოვებითა ჰკარგავენ ამ ედემის მეპატრონენი“.

როგორც იქნა მივაღწიეთ გოჩას სახლს. ბედნიერი შემოგვეგება სტუმარს მონატრებული მასპინძელი. ეზოში შეგვიპატიჟა, ჩაგვიხუტა მეგობრები...

— აქანა მარტო ორი ოჯახი ვართ შემორჩენილი, ჩვენ და ქვეით კიდო მესხები. ესაა მთლად ჩვენი სოფელი... — გულის ნაღველს გულუხვი სუფრა ააფარა გოჩამ.

ღორების დიდი ფერმა ჰყავდა გოჩას ოჯახს, „ნაზამთრალს რომ გავდენით ტყეში, გვიან შემოდგომასა ბრუნდებიანო ნამატით, გოჭუნებს წამოვჩიტავთ და ღორებს ქე ვკლავთ და „სავიჩინოდ“ ვკიდებთო საბოლეში. მერე ხან ქუთაისში, ხანაც თბილისში ვყიდით ამ დალოცვილს, მარა, ამ ბოლო დროს ცუდად იყიდება ჩვენი „ვიჩინა“, მიტო რომე, თქვენ იქანა ზიზილ-პიპილო პარკებში შეფუთული უფრო მოგწონთ ვინემ ჩვენებური ნატურალური“-ო.

გულწყვეტით გვითხრა მასპინძელმა.

მაგრად მოვილხინეთ იმ ღამეს. დავთქვით ხვალ დილით ტახზე სანადიროდ მივდიოდით ძმაკაცები.

დილაც გათენდა. ჩემი „რემინგტონი“ ამოვასრიალე ხავერდის შალითადან. ბიჭებმაც მოიმარჯვეს „ვინჩესტერები“....

გვიყურებდა გოჩა „მონადირეებს“ და გვკითხა...

— თუ ძმა ხარ, მითხარით, მაგ თოფებიდან გისვრიათ როისმე?

— კი, აბა რა�ა.

მივუგე ამაყად.

— ახალ წელიწადს თუ...

თვალები მომიჭუტა გოჩამ.

— წავედით და დავერიოთ ტახებს.

შემოგვიძახა ერთმა მეგობარმა.

— კი, წავიდეთ.

თქვა გოჩამ და თავისი ჩახმახიანი, ორლულიანი თოფი მხარზე მოიგდო.

— აქიდანი „ხიდაშლებისკენ“ წავიდოთ და თუ იქანა ვერაფერი მოვკალით, ფარახეთისკენ გოუყვეთ ტყე-ტყე.

ფეხით გაუყევით ტყისკენ მიმავალ ბილიკებს „ნადირთა რისხვა“ მონადირეები. გზა სულ აღმართ-აღმართ მიდიოდა. გავსკდი გულზე, ჩემი „ბუმბულივით“ თოფი „ტონა“ გახდა. ნახევარ საათში ისე ვქოშინებდით, რომ ენაგადმოვარდნილები და დაოთხილები ძლივს ავდიოდით ტყის თავაღმა მიმავალ ბილიკებზე. გვიყურებდა გოჩა, „შევისვენოთ და მერე გავაგრძელოთო გზა“ — იმედად შემოგვთავაზა

მთავარმა მონადირემ. რომელი გზის გამგრძელებლები ვიყავით? ჩემი საამაყო სამონადირეო კოსტუმი გავიხადე, „ბოლი ამდიოდა“ თავმომწონე მონადირეს, ისე არც დანარჩენები იყვნენ კარგ დღეში. გვიყურა გოჩამ გვიყურა და „ბიჭებო აქანა ახლოს ერთი ღორი მეგულება, წიფლიანში, ხოოდა ვესტუმროთ... რას იტყვით?

— აბა რაااა...

ამოვიგმინეთ „ქალაქელებმა“, ოღონდ არავის გვიფიქრია რას ნიშნავდა „ღორი მეგულებო“.

კაცო კი გავყევით გოჩას, მარა ცოტა ხანში იმისთანა ადგილას აღმოვჩნდით ჰოლივუდის პროდიუსერებს რომ არ დაესიზმრებათ, გახეთქილი კლდიდან ნაკადული მორაკრაკებდა, ყინულივით ცივი, მზის სხივებზე მოსხარტულეს, ცისარტყელას ნაგლეჯიც შემიჯნურებოდა ნაკადულს. წყალი მოვსვით, გული დაჰბანა ბუნებაში შობილმა აიაზმამ. იქვე ათიოდ მეტრში მდუღარე გოგირდის წყალი ბუყბუყებდა, „ქვის აბაზანებიაო, მანდ კლდეში ბუნებისაგან ნაკვეთი“, გვითხრა გოჩამ. გოგირდის წყალშიც ჩავწექით „ქალაქელები“, მდუღარე იყო წყალი. მეგონა ჩავიხარშებოდი მარა სხეული „გაიხსნა“, საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. თვალები დავხუჭე და ნეტარებას მივანდე თავი. ერთი გადმოგვხედა კიდევ გოჩამ და გვითხრა:

— ბიჭებო ამოდელა ღიპები რომ დაგისვამთ, დარჩით აქანა ერთი თვე და სულ ტალიკ-ტალიკა ბიჭებს დაგაყენებთ სამივეს...

— გოჩა, ძმაო, ეს ღიპი კი არა „ბიო ენერგო გენერატორია“...

— კი ვხედავ ჩემო გიორგი, მარა რაცხა „პერებოითი“ მუშაობს ეგ შენი „გენერატორი“, ახლა წავიდეთ, საღამოს პირია და ჯერ ვერაფერი მოვინადირეთ.

წავედით, უკვე მხნედ მივაბიჯებდით და ქე მივადექით წიფლიანს. იცი საკვირველი რა იყო? შეშის ჩეხვის ხმა ისმოდა საიდანღაც. გოჩამ თოფი გამართა და გვანიშნა „ეეე ტახიო“, დავინახეთ დიდი ღრუტუნა როგორ ისმუსნებოდა წიფლის ნაყოფით.

დავცხეთ მარა რა დავცხეთ... რაც რაჭის ტყეებს არ გოუგონიათ იმისანა ბათქაბუთქი ავტეხეთ წიფლიანში... და კივილმა შესძრა ბოყვა, „გოჩანიკა კიდევ მომიკაალი ღორიიიი? „გოჩას დედის, ქალბატონი მანანას ქოქოლა აწყდებოდა ხეობას.

იმ ღამესაც მაგრად ვიქეიფეთ ჩვენი „ნანადირევით“. წალამზე ვაშიშხინებდით მწვადებს...

(„ხოდაშლები“ და „ფარახეთ“
რაჭის სოფლების დასახელებებია)

როცა შუქი ჩაქრა

დენი ისევ გამოირთო, შუქი ჩაქრა. ნავთქურაღა ანათებდა ჩაბნელებულ ოთახს. მამამ სანთლები აანთო. ოთახის ერთ კუთხეში ორ საწოლს შორის პატარა ანდრეას მომცრო საწოლი დაედგათ დედიკოს და მამიკოს. მოპირდაპირე კუთხეში კი ნუციკოსთვის გაეშალათ ლოგინი. ნავთის სუნი ტრიალებდა ოთახში. უცნაური მდუმარება სუფევდა ოჯახში. დედა, საუთოვებელზე იდაყვებით დაყრდნობილი სადღაც შორეთს სჭვრეტდა სანთლის ალში მოკიაფეს. მამა, იქვე დივანზე ჩამომჯდარიყო და დუმდა, ჰო, მხოლოდ დუმდა. ნუციკო, პატარა ძმის საწოლთან ჩამოჯდა, მშობლებს ღიმილით გადახედა, ძამიკოს საბანი შეუსწორა და... სიმღერა დაიწყო:

იის თვალება ოცნებით გნატრობ,
ჩემო ვაჟკაცო ამბორით გათბობ,
მე ჩემს სიყვარულს მხოლოდ შენ განდობ,
უსმინე ჩემს გულს, „მიყვარხარ“ ამბობს.
მე ცისარტყელის ფერებს გამსგავსებ,
გულს სიყვარულით თუ კი ამივსებ,
ედემის ბაღის სურნელის დარად,
ბედნიერებით მე გულს გაგივსებ....

— შვილო! ნუცა, ეგ სომღერა ვინ გასწავლა?
შეეკითხა მამა ასულს.
— მე დავწერე მამიკო...
— შენ ჯერ პატარა ხარ ასეთი სიტყვებისთვის...
— ჰო, მაგრამ მე გოგო ვარ, ოცნების წყარო და ნატვრის საუნჯე.
ნუციკოს სიტყვებზე დედას გაეღიმა.

— ვინ გასწავლის ასეთ ლაპარაკს?

ღიმილით ჰკითხა დედამ შვილს.

— არავინ დედიკო, არავინ...

მამამ გიტარა გადმოიღო კარადის თავიდან და ასულს მიმართა:

— აბა ოცნების პრიმადონა, მუსიკის თანხლებითაც ვცადოთ შენი სიმღერა.

მამიკომ და გოგონამ სიმღერა დაიწყეს. მამის ბოხ ხმას ბავშვის მკაფიო და თბილი ხმა ეჟღურტულებოდა. დედა ღიმილით შეჰყურებდა მამა-შვილის დუეტს და თავადაც აჰყვა მათ სიმღერას. საწოლიდან პატარა ანდრეამ წამოყო თავი, „ლატო გელიქალთ? გიქალიათ?“ იკითხა ახლად გაღვიძებულმა ბავშვმა.

— ხო დედა გენაცვალოს ჩემო ვაჟკაცო.

უპასუხა დედამ და ადეიალაში შეახვია ბავშვი. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მღეროდნენ... მღეროდნენ...

თითქოს ნავთის სუნიც გაჰქრა, სანთელის სინათლეც ალაღებდა ოთახს, ალბათ სიცივეც გაათბო სიმღერამ.

უეცრად მაცივარს გააჟრჟოლა და სამზარეულოდან სინათლის სხივები შემოიჭრნენ ოთახში.

— შუქი მოვიდااااა...

— ხო, მოვიდა, უდროო დროს მოვიდა.

ჩაიდუდუნა მამამ.

სამთა წიგნთა წმინდა სამეგა

შესანიშნავი დილა გამითენდა. სასაზღვრო ნაწილის ხელმძღვანელობამ წარმატებულად ჩატარებული ოპერაციის გამო ერთ კვირიანი შვებულებით დაგვაჯილდოვა ოფიცრები. ათასი იდეა მიტრიალებდა თავში, ქეიფი, დროსტარება, ძმაკაცები, ნათესავები და კიდევ ვინ იცის რა ფიქრები და ოცნებები არ სერავდნენ ჩემს გონებას. სამხედრო ნაწილთან ახლოს, ახალი ეკლესია აეშენებინათ. ვიფიქრე, „შევალ, ერთ სანთელს მაინც დავანთებ, რომ იმ „ჯოჯოხეთს“ ცოცხალი და უვნებელი გადავურჩი მეთქი“. ტაძრის კარიბჭეს მივუახლოვდი. ტაძრის ეზოს კარი დაკეტილი დამხვდა, თუმცა ტაძრიდან მგალობელთა

ხმა ისმოდა. გამიკვირდა, წირვისას კარს რად დაკეტავდნენ? კარის მცველად საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა სტიქაროსანი დაეყენებინათ. სამხედრო ფორმაში გამოწობილს რომ შემხედა, თითქოს დაიბნა, მომიახლოვდა და მითხრა: „მოძღვარმა ინება კარის დაკეტვა და მის ნებას ვერ გადავალო ბატონო“. არაფერი მითქვამს, მოვბრუნდი, ის იყო წასვლას ვაპირებდი, რომ ეკლესიის ეზოში სასულიერო პირი გამოჩნდა, რაღაც გადაულაპარაკა სტიქაროსანმა მას, წმინდა მამას გაეღიმა და მომმართა: „მობრძანდით ოფიცერო, ჩვენი მრევლი ბრძანდებით?“ „არა, უბრალოდ სანთლის დანთება მინდოდა, მეტი არაფერი“ — მივუგე მე. სტიქაროსანმა კარი გამოიღო. ეკლესიის ეზოში შევედი.

— მომისმნეთ ოფიცერო!

მომმართა მღვდელმა.

— ეს ტაძარი წმინდა დედოფლის დინარას სახელობისაა და დღეს განსაკუთრებული დღეა, წმინდა დედოფლის დინარას ხსენების დღეა...

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა მოძღვარი, მაგრამ დუმილი არჩია. „იყავ ნება ღვთისა“ მხოლოდ ეს სთქვა და ტაძარში შემიძღვა. საკურთხეველთან ათი ახალგაზრდა იდგა, ოთხი გოგო და ექვსი ვაჟი. დანარჩენები ახალგაზრდების გარშემო დამდგარიყვნენ. წირვაზე ვყოფილვარ და მინახავს ტაძარში მრევლი, მაგრამ აქ ჩემთვის გამოუცნობი რამ ხდებოდა, რატომღაც ჩავთვალე, რომ ტაძარში ერთადერთი „დაუპატიჟბელი სტუმარი“ მხოლოდ მე ვიყავი. მესანთლემ რამდენიმე სანთელი მომაწოდა და მითხრა: „აანთეთ ოფიცერო, ეგრემც უფალი შეგეწევათ, ფული საჭირო არ არის“. ამბიონზე მოძღვარი ქადაგებდა და ლოცავდა ახალგაზრდებს. სმენად ვიქეცი.

„წიგნთა შორის წმინდა სამებას მოგიძღვნით თქვენ. უფლისმიერი ბიბლია, ყოველთა ქრისტიანთა მთავარი წიგნი, ყოველთა ქართველთა თაყვანნაცემი სულმნათი რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, უფლისა მიერ, ყოველთა ქართველთა ერთობის, ღვთით კურთხეული „დედა ენა“, იაკობ გოგებაშვილისა უფლისა მიერ. ეს სამი წიგნია წიგნთა შორის წმინდა სამება. გაკურთხებთ თქვენ პედაგოგნო, ჰერთა მიწაზე სამოღვაწეოდ, თავადაც ჰერეთელნო, რამეთუ განავრცოთ ქართველთა შორის სიტყვა ქართული, ენა ქართველთა, რწმენა და სურვილი ქართველთა ერთიანობისა და სრულიად საქართველოს გაერთიანებისა.

თქვენ გევალებათ ძენო და ასულნო საქართველოისა, ასწავლოთ ქართველთა ჰერეთს, ისტორია ერისა ჩვენისა, თქვენ უნდა დაუბრუნოთ სიამაყე და ასწავლოთ დიდება მათ ქართველობისა და ერისა ჩენისა სიდიადე. ღმერთმა დაგლოცოთ და არ მოგშლოდეთ წყალობა ქურმუხისა, ლექართისა, მეშაბაშისა, კახის ალავერდისა და ყოველი ქართული სალოცავისა, გფარავდეთ ჰერთა დიდი დედოფალთ-დედოფალის წმინდა დინარა დედოფლის მადლი და ძალი თქვენს ქართულ საქმეში, ამინ“.

მოძღვარმა ჯვარი გარდასახა პედაგოგებს, მგალობელნი უფლის სადიდებელსა ჰგალობდნენ. დავინახე, ჩემი „ნაცნობი“ მღვდელი როგორ მიუახლოვდა მოძღვარს და რაღაც უჩურჩულლა, მოძღვარს გაეღიმა და განაგრძო მსახურება“...

სანთლები ლამის ხელში ჩამომადნა, წმინდა გიორგის ხატს მივაშურე და...

— „ღვთის განგებით, მუნდირი, შენი აბჯარია ერისა და ქვეყნისა და თუ განგებამ ინება, მანტია შესამოსელი უფლის მიერი, ნათელში დამკვიდრებულისა. სვიანად გეტარებინოს ღირსება ქართველი ოფიცრისა. იმედისა და ღირსებისა ქვეყნისა ჩვენისა შვილო ჩემო... „

მოვბრუნდი, ალბათ სახეზე დამეტყო დაბნეულობა. მოძღვარი და მრევლი მე შემომცქეროდა.

— ოფიცერო!

მომმართა მოძღვარმა.

— ალბათ მიხვდი ჩვენი „საიდუმლო სერობის“ მიზეზს, ეს ახალგაზრდები ჰერეთელნი არიან და ჰერეთის მკვიდრნი, პედაგოგები. მათ უნდა აღზარდონ ქართველთა ახალი თაობა, მათ უნდა უწინამძღვრონ ბავშვებს მამა-პაპათა სისხლით მორწყულ, ტანჯულ და ჯერაც უცხო ფრთის ქვეშ მყოფ მიწაზე. შენ ვინ ხარ ოფიცერო?

— მე, ჩემო ბატონო მესაზღვრე ვარ. ბოდიშით რომ უდროო დროს გეწვიეთ...

მოძღვარი ჩაფიქრდა და მითხრა

— ჩემო სულიერო შვილო, საქმე შენი, მადლმოსილია, რამეთუ ქართულ მიწა-წყალს იცავ, იცავ ყოველთა ქართველთა ჯვარცმულ მიწას. არვის აქვს უფლება გაასხვისოს მიწა კურთხეული უფლისა მიერ და ვაი მათ, ვინც რომ პირად ვნებათა გამო უარყოფს ერისა ჩვე-

ნისა უდიდეს სიმდიდრეს და სიწმინდეს, მიწას ქართულს. უფალმა გაკურთხოს ქართველო ოფიცერო!..

მოძღვარმა დაახანა და ისევ მრევლს მიმართა, ლოცვის კითხვას შეუდგა წმინდა მამა. მოვბრუნდი, წმინდა გიორგის ხატს მივუახლოვდი, სანთელი ავანთე და უნებურად სამხედრო სალამი მივეცი ხატს და აღმომხდა: „ვემსახურები საქართველოს“. თითქოს დაემთხვა, დარბაზში მრევლმა ერთხმად იგრიალა „ვემსახურებით საქართველოს“ და მოძღვარმა დალოცა, „უფალმა დაგლოცოთ, ჩვენთან არს ღმერთი“! ერმაც დაიგუგუნა:

— ოფიცერო, მომიახლოვდით.

მომმართა მოძღვარმა.

მინდა საჩუქარი მოგიძღვნა შვილო ჩემო, ბიბლია, ყოველთა ქრისტიანთა წიგნი პირველი, „ვეფხისტყაოსანი“, ყოველთა ქართველთა საუნჯე ხელთუქმნელი „დედა ენა“, იაკობ გოგებაშვილისა, სიმბოლო ქართველთა სიდიადისა და ერთიანობისა და კიდევ ხატი, წმინდა დედოფლისა დინარასი. უფალმა დაგლოცოს ოფიცერო შენს წმინდა საქმეში... მიმართავ პედაგოგებს?

— მადლობთ მამაო... ბატონო პედაგოგებო! მინდა მოგმართოთ, მე ქართველი ოფიცერი გეუბნებით თქვენ, სიხარულით გავაციებ ჩემს მკერდში თქვენთვის ნასროლ ტყვიას. მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე.

მივხვდი რომ ტაძარი უნდა დამეტოვებინა. წიგნები, ხატი და ხელში ჩამდნარი სანთლები მეჭირა ხელში. გარეთ გამოვედი, ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე. მიმავალ ქუჩას გავხედე, ერთხანს ვიდექი, მერე კი მოვბრუნდი და ყაზარმისკენ გავაგრძელე გზა.

საწნახელი

... ეზოში მზეს ეფიცხებოდა მარნიდან „დევნილი“ საწნახელი. ბზარებსაც დაეტყოთ ხელი და მის მეუფეებას ხანის მომატება ამცნეს, ნაოჭებად რომ გასდევნებოდნენ საწნახელის ვეება სხეულს.

ერთ დროს ჩვენს მარანში იდგა ეს საწნახელი. ბალღობაში მახსოვს პაპა ფეხებს დაგვბანდა ბავშვებს, ფეხშიშველები ვიდექით მასში და ვჭყლეტდით ყურძენს, მადლიანი რაკრაკით იღვრებოდა წვენი

ქვევრში და თან ჩვენთვის უცნობ ენაზე კურთხეული ქართული მიწის ბარაქის საგალობელს ღიღინებდა. მახსოვს, სანამ ყურძენს ჩავყრიდით დასაჭყლეტად, პაპა ორ სანთელს აანთებდა და საწნახელის თავში და ბოლოში დაამაგრებდა თვითოეულს, მესამეს კი თავად დაიჭერდა ხელში და ლოცულობდა. სირცხვილეული ვარ, რამეთუ არ მახსოვს ეს ლოცვა, მხოლოდ რამოდენიმე ფრაზა შემორჩა მეხსიერებას „... დედით ქართული მიწით შობილო, ზეცით ღვთის მიერ ჯვარდაწერილო, მარჯვენით ჩემით მოვლილ-ნაამაგარო, მადლობას გიძღვნი ოჯახის ჩემის მდღეგრძელებლად მოსულს, შენით დამალოცინე ერი და ქვეყანა ჩვენი, შვილნი და შვილიშვილნი ჩემი, ღვთისთვის მადლობა მათქმევინე და წასულთათვის შესანდობარი, წლის მოსავლის მადლი დაგვიმკვიდრე ოჯახში, ამინ!..“

შემდეგ ბავშვებს ჩაგვაყენებდა საწნახელში, ყურძენს ჩაგვიყრიდნენ და ჩვენც ვკაცობდით. იცი როგორ მიხაროდა?

პაპა ღიმილით შემოგვცქეროდა, „ჩემი კაცებიო“, გვეტყოდა. ქვევრს რომ ავავსებდით, გვეგონა ქვეყანა ჩვენი ყოფილიყოს, ისე მედიდურად დავაბიჯებდით...

საღამოს წალამზე შემწვარი მწვადით გვიმასპინძლდებოდა პაპა, ცოტაოდენ ღვინოს ჩაგვისხამდნენ ჭიქაში და წყლით შეგვივსებდნენ ხოლმე. ასე გვასმევდნენ ღვინოს. თამადობას და ქართველობას გვასწავლიდა პაპა.... ვახ, დრონი, დრონი... ახლა ეზოში მარტო დავაბიჯებ, ჩემი პაპა-ბებია ალბათ სხვა სამყაროდან დამცქერიან და მლოცავენ. აგერ ხარიხა და სპილენძის დიდი ქვაბი, თათარაობას რომ მართავდა ბებო, ჩურჩხელებს ამოგვივლებდა და ჩვენ, ბავშვები, რუდუნებით ჩამოვკიდებდით ხარიხაზე. რამდენი სითბო და სიყვარული გაუღიათ მოხუცებს ჩვენთვის და ვერ დავაფასეთ... იცი კიდევ რა მახსოვს, სანამ ვენახში შევიდოდა ლოცვას ამბობდა პაპა, მისი სიტყვები ეხლაც ზარივით ჩამესმის ყურში, „წასულთა მაკურთხეველო და დარჩენილთა მდღეგრძელებელო, უფლისა ჩვენისა სისხლო კურთხეულო და უფლისა ჩვენისა სხეულის გამბანველო, კახელი გლეხის დიდებავ და ქვეყნის ჭირნახულის ჭირისუფალო, აკურთხე მოდგმა ჩემი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, შთამომავლნი ჩემი, უკუნითი უკუნისამდე ამინ“. ლოცვას იტყოდა პაპა და შემდეგ შედიოდა ვენახში. ღიღინით მიუყვებოდა და სხლავდა ვაზს. ერთხელ ვუთხა-

რი: „პაპა, ალბათ, ღიღინი გართობს და გიიოლებს შრომას...„ნაჯაფარი მკლავი მომხვია და მითხრა: „არა შვილო, მევენახის სიმღერა ვენახსა გალობად ესმის“.

სასაფლაოზე ავედი, სარეველა ბალახისგან გავწმინდე პაპა-ბებიის საფლავები, მიწა მოვასწორე, სანთელი ავანთე და ცრემლები მომერია...

ერთხელ პაპას ვკითხე: „პაპა ეს ამხელა საწნახელი რომ გვიდგას მარანში მარტო საწურავით რომ დავწუროთ ყურძენი არ შეიძლება?“ პაპა დაფიქრდა და მიპასუხა: „საკურთხეველ მორღვეულ ეკლესიას დაემსგავსება საწნახელისგან გაძარცვული მარანი შვილო“.

ეზოში მორზე ჩამოვჯექი. ივნისის მზე აფრქვევდა ნათელს და მე მარტო ვიყავი ჩემს მოგონებებთან.

ჩემი ცოლი და შვილები ჩამოვიდნენ თბილისიდან, ჩემი ჟღურტულა გოგო და ბრუხუნა ვაჟი ჩავიკარი გულში. „მამიკო გავიჭყლიტეო“, შემომჩივლა ასულმა. მეუღლე „ეკონომიურად“ მომესალმა და ერთი კოცნა ვალად დამადო.

„მერაბ შვილო, მომეხმარები ხვალ საწნახელი რომ გავარემონტოთ და დავასუფთაოთ? და მერე მარანშიც შევიტანოთ“ „კიიიი“... აჟღურტულდნენ ბავშვები. ჩემს მეუღლესაც გაეღიმა, „მეც მოგეხმარებით“, მხარი აგვიბა ოჯახის დედამ.

მეორე დილით დავიწყეთ შრომა და საღამოსთვის მოვრჩით. საწნახელის ყველა ნახეთქი ამოვავსეთ და სანთლით გავლამპრეთ მისი სხეული, შემდეგ კი მზეს მივანდეთ გასალბუნებლად. მეორე დღეს ნათესავებმა მარანში შემატანინეს მამა-პაპეული საწნახელი და თითო ჭიქა ღვინო შეასხეს კედლებზე, „ბარაქის მადლი შეგეწიოთო“, დაგვლოცეს.

ახლა სექტემბერია, რთველი ჩავატარეთ და ყურძენი ჩავყარეთ საწნახელში. ჩემს ვაჟს ფეხები დავბანე და დამწურავად ჩავაყენე. პაპაჩემის ლოცვაცა ვთქვი, ის რაც მახსოვდა, სანთლებიც ავანთე და სასწაული დაიწყო...

მერაბმა მკითხა: „მამა რას ნიშნავს კარგი ქართველობა?“

შევცბი, არ ველოდი ასეთ შეკითხვას „ქართველობა პირველ რიგში, შენი ერის უანგარო სიყვარულია შვილო“.

„კი, მაგრამ რაში გამოიხატება ეს სიყვარული?“

„ბევრი შვილების ყოლაში და მათი ერისკაცებად აღზრდაში... „წამოვიწყე მე

„კი, მაგრამ შენ ხომ ქართველი კაცი ხარ მამა?“

„რა გაქვს მხედველობაში“, დავიბენი ალბათ...

„ის, რომ შენ და დედას მხოლოდ ორნი გყევართ, მე და ელენიკო. ორი შვილი ბევრია მამა?

„არა, ბევრი არ არის, გეთანხმები, მაგრამ...“

სიტყვა ელენიკომ წამართვა

„მამიკოოოოო, ფული ალა გაქ? მე მაქ, ცემი დაბადების დღეზე მაჩუქეს... მოგიტან“

ცოტა ხანში, ჩემი სამი წლის ასული, მარანში, გოჭის ფორმის ყულაბით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

„აი... მე დაიკო მიკიდეთ“.

და ყულაბა იატაკზე დაანარცხა, ხურდები მიმოიფანტა, პაწაწინა ხელებით კრეფდა ბავშვი ფულს და კაბის კალთაში აგროვებდა, რამდენიმე ქაღალდის კუპიურაც ერია მათში. მერე მე და ჩემს მეუღლეს მოგვმართა: „სულ ეს მაქ, ერთი დაიკო მიკიდეთ რაააა... სულ პატარა დაიკო, დედიკოს გეფიცებით მე მოვუვლი“

გავოგნდი. ჩემი ცოლი გაოცებული შყურებდა ბავშვს. პატარა კვლავ ატიტინდა

„დედიკო, შენ ხომ კარგი ბავშვების არჩევა იცი? და მიყიდეთ დაიკო, მამიკო მოგაყვანინებს სახლში, დედიკოს გეფიცები მე მოუვლი...“

ხურდები იქვე მაგიდაზე, დედის წინ დაყარა და მეც მუდარის თვალებით შემომხედა...

„ხო, გიყიდით შვილო დაიკოს“.

ძლივს ამოღერღა დედამ

„მეეე?“

სიტყვა მოცელა მერაბმა.

— „ძმა ძმისთვისაო და...“

„ბავშვებო რა გჭირთ?“

ავუწიე ხმას.

— არაფერი მამა.

დინჯად მიპასუხა ექვსი წლის ვაჟმა.

— პაპამ მითხრა „ქართველობა ოჯახიდან იწყებაო“ და თუ ბევრი შვილების ყოლა ერისკაცობის და ქართველობის დასტურია ჯერ შენი ოჯახიდან დაიწყე“.

— ბავშვებო, აბა საქმეს მიხედეთ.

წამოენთო დედა

— ასეა, რასაც გვასწავლით თავად არ გსურთ მისი გაზიარება, იცით და არ აკეთებთ, მე ვის დავუჯერო?

მომმართა ვაჟმა.

— ჯერ ყურძენი დავწუროთ მამიკო, კარგი?

ძლივს ამოვილუღლუღე.

დინჯად ჭყლეტდა ყურძენს მერაბიკო, წვენი საამური რაკრაკით იღვრებოდა ქვევრში, მხოლოდ ეგ იყო, თავჩახრილი იდგა ბავშვი და ისე შრომობდა. ელენიკოს ხურდები მაგიდაზე დაეტოვებინა და იქვე ოთახში თოჯინით თამაშობდა. იცი რა მომესმა? „ნეტა ნამდვილი იყოო“, ეუბნებოდა თოჯინას პატარა ქალი.

წალამზე მწვადი შევწვი და ოჯახი სუფრასთან შევიკრიბეთ. ფუძის ანგელოზის სადღეგრძელო შევსვი და ჩემს ვაჟს მივუჭახუნე ჭიქა...

უცნაურია და უცილო ვალდებულება ვიგრძენი ჩემი შვილების წინაშე, მერაბის სიტყვები მიჟიოდა ყურში, „იცით და არ აკეთებთ, მე ვის დაგიჯეროთო“... შემრცხვა.

ბავშვებმა დაიძინეს. აფორიაქებული ვიდექი სარკმელთან და განვლილ დღეზე ვფიქრობდი. ჩემმა მეუღლემ კისერზე ხელი მომხვია, ვაკოცე, „ესეც ბიჭი“, ჩავჩურჩულე ყურში. გადაიკისკისა, „ესეც გოგო და ვიყოთ ვალმოხდილი მშობლები“, მითხრა და ლოყაზე მაკოცა....

მოთხრობის წერას მოვრჩი. კიდევ ერთხელ გადავიკითხე და...

მარანში საწნახელი არა მაქვს, ორი შვილი მყავს და ვცდილობ ქართველებად აღვზარდო. ოღონდ ეგ არის, ერისკაცობა მხოლოდ ცოდნით და თავგანწირვით არ შემოიფარგლება, შვილთა სიმრავლეა უცილო პირობა... ასეა, ასე.

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲡᲣᲚᲘ

(მოთხრობა)
სანახევროდ ნამდვილი ამბავი

ახალი დაწყებული მქონდა ჩემი ბიზნესი. საკუთარი სახლის სარდაფში სახინკლე გავხსენი. ქუჩის პირას მდებარეობდა ჩემი ობიექტი. სტუმარი უხვადა მყავდა. ხინკლის ხარისხი მოსწონდა მომხმარებელს... მოკლედ ბედს არ ვუჩიოდი. ეს ისტორია, რომელიც მსურს რომ მოგითხროთ, ჩემს სახინკლეში დაიწყო. მაშ ასე....

დამლაგებლის ვაკანსია გამოვაცხადე. ბუნებრივია ახალგაზრდა ქალი მესაჭიროვებოდა. იმ საღამოს ერთი ქალბატონი მოვიდა ჩემთან. სუფთად და მოხდენილად ეცვა სტუმარს. ზრდილობიანად გამეცნო მოსული:

— ჩემო ბატონო, მე მიუსაფარ ბავშვთა სახლის დირექტორი ვარ. თქვენ დამლაგებლის ვაკანსია გამოაცხადეთ და ჯერ თუ კიდევ ვაკანტურია ეს თანამდებობა იქნებ ჩემი ბავშვი აიყვანოთ სამსახურში.

— თქვენი შვილი?

უნებლიედ მიუგე მე.

— არა ბატონო, ჩვენი „სახლის“ აღზრდილია, უკვე თექვსმეტი წელი შეუსრულდა და „ქუჩაში“ გადის, არავითარი პერსპექტივა, არავითარი იმედი... იქნებ შესძლოთ, რომ თქვენთან დაასაქმოთ, მშრომელი გოგონაა თათია...

ქალბატონმა ლამაზი, კაფანდარა გოგონა წარმომიდგინა. რაღაცნაირი თვალებით მიმზერდა ასული. ეს არ იყო რიდი, არც მორცხვობა. ეს იყო შიში, დიახ შიში.

— ბატონო გიორგი, ჩვენ ასე კარდაკარ დავდივართ და ასე ვეძებთ სამსახურს ჩვენი ბავშვებისთვის, გვინდა რომ არ დაიკარგონ ამ უსულგულო წუთისოფელში, გვინდა, რომ თუნდაც ელემენტარული პირობები შევუქმნათ რომ იარსებონ. მე თქვენი იმედი მაქვს...

— დიახ, რასაკვირველია... ყველაფერი კარგად იქნება...

დავიბენი. ალბათ სახეზეც წამოვწითლდი. გოგონას ყურადღებით დავაკვირდი. ღრმა ნაოჭები ეტყობოდა ბავშვურ სახეზე ასულს. ჩამქრალი თვალებით მიმზერდა, ის პირველი ემოციაც გამქრალიყო მის

სახეზე... მე მისთვის სულერთი ვიყავი. ნეტავ რა ხდებოდა მის გონებაში იმ წუთში? ალბათ არც არაფერზე ფიქრობდა გოგო...

თათია სამსახურში ავიყვანე, შრომობდა, თავს არ ზოგავდა, მრეცხავსაც ეხმარებოდა...

ასე გავიდა სამი თვე... სულ ვაკვირდებოდი თათიას და მის სახეზე ჯერ სიხარული არ დამინახავს... როცა კლიენტები შვილებთან ერთად შემოდიოდნენ სახინკლეში თათიას თვალებში ჩუმი ბოღმა გაიელვებდა... ბავშვების შურდა ალბათ? ან იქნებ საკუთარ „უცნობ“ მშობლებს ხედავდა მათში? ვერ გეტყვით...

თათიას ყოველდღიურ ჯამაგირს ვაძლევდი, მხოლოდ „მადლობთ“, დუნედ მეტყოდა, ფულს ხელში ჩაჭმუჭნიდა თავდახრილი. თათიას საბუთებს გადავხედე. გვარი მიუსაფარ ბავშვთა სახლის მიერ იყო მინიჭებული... მშობლების გრაფაში კი ჩაეწერათ „უპატრონო“.

ზეგ მისი დაბადების დღეა. მინდოდა თუნდაც ელემენტარულით გამეხარებინა მისი გული, ტრადიციაც გვქონდა თანამშრომლებს, დაბადების დღეზე ფულს ვაგროვებდით და საერთო საჩუქარს ვყიდულობდით „იუბილარისთვის“. საიუბილეო საღამოსთვის კი ჩვენს „რესტორანს“ ჩვეულებრივზე ადრე ვკეტავდით და ვქეიფობდით. ზეგინდელი დღეც დადგა. თათიასთვის ფული ავკრიბეთ თანამშრომლებმა, ტორტიც გამოაცხვეს ჩვენმა გოგოებმა. თათიას დავაკვირდი, უცნაურად დაძაბული მეჩვენა, რაღაცნაერად გაფაციცებული აკვირდებოდა ჩვენს ფაცი-ფუცს.

ბოლო სტუმარმა დანახარჯი გადაიხადა და სახინკლის კარებიც დავხურეთ. სუფრის გაშლას შეუდგნენ ჩვენი ქალბატონები, თათია ეხმარებოდა. ჩვეული გულმოდგინებით ასრულებდა სამუშაოს. ჩაციებული ღვინით სავსე ბოცა შემოუდგი სუფრას...

— აბა გთხოვთ სუფრასთან.

შემოუძახე ომახიანად.

მეტის თქმა არც კი დამჭირვებია ისე შეივსო სუფრა. ღვინით შევავსეთ სასმისები. ჭიქა ავწიე...

— თათია, დაბადების დღეს გილოცავ ჩემო კარგო, დღეგრძელობა არ მოგაკლოს გამჩენმა და მზეგრძელი ყოფილიყოს შენი გზა უკუნისამდე...

თათია გაოცებული მიცქერდა, მერე წამოდგა, ნიკაპი აუკანკალდა და ცრემლი გადმოუგორდა ღაწვებზე...

— მადლობთ, დიდი მადლობა ყველას...

მხოლოდ ეს თქვა, ცოტა ხანს იყუჩა, მერე თავი ასწია და დღემდე არ მავიწყდება მისი მადლიერებით სავსე თვალები. ჩვენმა ბუღალტერმა კონვერტი გადასცა იუბილარს და თან დაამატა, „ჩვენს სახელზე იყიდე რაიმე, ისეთი, რაც ჩვენს თავს გაგახსენებს მომავალში“-ო.

კარგად ვიქეიფეთ, მერე ტაქსი გამოვიძახეთ და თანამშრომლები სახლში წაბრძანდნენ. თათიამ მეორე დღეს დილით შემოაღო კარი...

— დილა მშვიდობის ბატონო გიორგი, დიდი მადლობა საჩუქრისთვის, იქ, „ბავშთა სახლში“, ყველაზე დიდი საჩუქარი „სახლიდან“ წასული უფროსი ბავშვების ნაქონი ნივთი იყო... რაღაც მინდა გთხოვოთ... გთხოვთ ნუ გამიბრაზდებით... სწავლა მინდა... მე არავის არ ვიცნობ რომ მომეხმაროს და გზაზე დამაყენოს... მომეხმარებით?

— სად გინდა ისწავლო თათია?

— ჯერ მე თვითონ არ ვიცი...

— მოიფიქრე, თუ შევძლებ დახმარებას, სიამოვნებით დაგიდგები გვერდში.

— მადლობთ...

მხოლოდ ეს თქვა გოგომ და გასახდელისკენ წავიდა. იმ დღემაც, როგორც ყოველთვის მეტნაკლები წარმატებით ჩაიარა. რამდენიმე კვირის შემდეგ რესტორანში თათიას სახელზე წერილი მოვიდა. კონვერტის გახსნა ვერ გავბედე, მხოლოდ გამომგზავნის ვინაობამ დამაინტერესა, „ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული კადრების მომზადების და გადამზადების ცენტრი“ სწერდა.

წერილი თათიას გადავეცი. დამლაგებელმა კონვერტი ხელის კანკალით გამომართვა. მერე გახსნა, შეგთავსი ამოიღო და კითხვას შეუდგა. უეცრად ადგილიდან მოწყდა და მომეხვია...

— მიმიღეს, ექთნების მომზადების კურსებზე მიმიღეს...

ჩემდა უნებურად მეც მოვხვიე ხელი, იქვე სკამზე დავსვი ქალიშვილი. მისი ბედნიერებით ვტკბებოდი, სიხარულით და ემოციურად მიყვებოდა თავის წარმატების მომტან თავგადასავალს, თუ როგორ შეიტანა საბუთები, როგორ გადაიღო საანკეტო სურათები, როგორ გაიარა გასაუბრება... ყველაფერს მიყვებოდა...

— თათია მონათლული ხარ?

დავუსვი თითქმის უადგილო შეკითხვა.

— არა ბატონო გიორგი, ვის ვჭირდებოდი უპატრონო და უთვისტომო გოგო ?... მომნათლავთ?

ამ შეკითხვას კი ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ მის თვალებში უდიდესი მუდარა დავინახე.

თათიამ პასუხის გაცემა არ მაცალა და მითხრა:

— ბატონო გიორგი, მე არ მყავს მშობლები, უფრო სწორად ისინი სადღაც არიან, მაგრამ მე მათთვის მხოლოდ გარდასულ დღეთა კოშმარი ვარ და მეტი არაფერი, იყავით ჩემი სულიერი მამა, აგერ უკვე ერთი წელია თქვენთან ვმუშაობ და როგორც შვილს ისე მექცევით... იყავით ჩემი ნათლია და მე თქვენი სულიერი ასული ვიქნები...თუ არ გამოვდექი და ვერ ვივარგე, ბოლოს და ბოლოს ჩემმა ნამდვილმა დედ-მამამ უარმყვეს და უარმყავით თქვენც, ალბათ ძალიან „მეტკინება“, მაგრამ არ მეწყინება გპირდებით...

თათიას ნათლობას მიუსაფარ ბავშვთა სახლის დირექცია დაესწრო, მთელი შემადგენლობით, იმ „სახლში“ აღზრდილი თათიას მეგობრებიც გვერდში ედგნენ ახალ ქრისტიანს...

რაღა ბევრი გავაგრძელო, ექვსთვიანი კურსები წარმატებით გაიარა გოგომ და სერთიფიკატების გადაცემის ცერემონიალზე, მე თათიას გვერდით ვიდექი, როგორც მამა, პირველმა მე მოვულოცე ასულს წარმატება და მისი ახალი ასპარეზიც ჩვენ დავლოცეთ, მისმა პირველმა თანამშრომლებმა. ახლა ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მუშაობს. უკვე კვალიფიცირებული ექთანი, — ანესტეზიოლოგის თანამდებობაზე. მის პირად საქმეში „მშობლები“-ს გრაფაში კი ამოიკითხავთ: „მამა“... და მე ვარ მოხსენიებული და „დედა“ კი „სახლის“ აღმზრდელი — პედაგოგი... გაგიკვირდათ? მერე და ვის აინტერესებს ეს?

როცა თიაქარის ოპერაცია გავიკეთე და რეანიმაციაში მომათავსეს, ჯერ კიდევ ნარკოზის ქვეშ მყოფმა აშკარად ვიგრძენი ვიღაცის თბილი და მზრუნველი თითები როგორ ეხებოდნენ ჩემს სხეულს, სახეს და აშკარად მესმოდა ჩემი სულიერი ასულის თბილი ხმა, ჩემი თათიას ჟღურტულა ხმა ჩამესმოდა და სულს მითბობდა: „მამა მე მოგივლი, ყველაფერი კარგად არის, მიყვარხართ მამა“

�ᲔᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ...

„გთხოვ ნუ მიყურებ როგორც პატარა ბავშვს, ვიცი ჩემზე დიდი ხარ და ისე მექცევი როგორც უფროსი, მაგრამ მე ხომ კაცი ვარ? მამიკო მეუბნება, „კაცი ბავშვობიდანაც კაციაო, უბრალოდ ვაჟკაცობას სწავლობსო და ისე იზრდეობაო“. შენ კი როგორც სათამაშოს ისე მექცევი. გუშინ შენს სახლში დამტოვეს დედიკომ და მამიკომ, დაქალებიც გესტუმრნენ და ისე მიყურებდნენ გეგონება მოლაპარაკე თოჯინა ვყოფილიყავი, ან როგორ იქცეოდნენ? მე კაცადაც არ მაგდებდნენ, გოგოები ასეთ ცუდ რამეებზე რატომ ლაპარაკობთ? ამხელა კაცი ვარ და ჯერ მამიკოსგან გინება არ გამიგია, არც დედაჩემის დაქალებისგან მსმენია მსგავსი. გუშინ ყვავილები მოგართვი. შენი სახლის კარებთან დავდე და იმ თმაშეკრეჭილმა ბიჭმა დაიბრალა. ვითომ იმან მოგართვა. მე ეს ყვავილები სადილის ფულს რომ მაძლევს დედიკო, ის შევაგროვე და გიყიდე. ხო ლამაზი ყვავილები იყოო? მე მიყვარხარ და ცოტა მაცალე, მალე გავიზრდები და ყველაფერს ჩემი ხელიდან მიიღებ...“ — ამ წერილს უკითხავდა მანჩო თავის დაქალებს და გოგოები სიცილით იგუდებოდნენ...

— მანჩო, ეს რა „პაკლონნიკი“ გყოლია, ბედიც გაგხსნია ქალო.

ხარხარებდა წითელთმიანი გოგო...

— ვაიმეე, რამდენი ვიხალისეეე...

„აკაკანდა“ მოკლეკაბიანი.

არც სხვები აკლებდნენ ქილიკს პატარა მიჯნურს და მის წერილს. ბიჭი კი კუთხეში იდგა და მისთვის სათაყვანებელი გოგოს სიცილს აკვირდებოდა. ბიჭი გაწითლდა, არ ეგონა, რომ მის გულის ნადებს ესე სააშკაროაზე გამოიტანდა მანჩო. ცრემლები მოერია პატარა კაცს. არც ის იცოდა როგორ მოქცეულიყო. უცბათ ადგილიდან მოსწყდა ბავშვი და სადარბაზოს კარებისკენ გაიქცა, კარი გააღო და კისრისტეხით ჩაირბინა კიბე. მანჩოს და გოგოებს ელდა ეცათ. უკან გამოეკიდნენ ბავშვს. ქუჩაში გამოეფინნენ გოგოები, მაგრამ პატარა ვაჟკაცის ალი-კვალი ვერსად იპოვეს. მანჩო გადარეული აწყდებოდა ქუჩას და ეზოს, ხმამაღლა ეძახდა ბავშვს. ბავშვი კი არსად ჩანდა.

ეზოში გადარეული მშობლები გამოჩნდნენ. მანჩომ დეტალურად მოუყვა რაც მოხდა, ტიროდა ახალგაზრდა ასული, ნერვიულობდა, მთელი უბანი შეიყარა...

— მამაااა, დეეე, აქა ვარ.

გაისმა ბავშვის ნაწყვეტ–ნაწყვეტი ხმა, იქვე სადარბაზოს წინ ჯარ-თად ქცეული ძველი მანქანის ქვეშიდან. თურმე, რომ ვერ დაეჭირათ მანქანის ქვეშ შემძვრალიყო პატარა კაცი...

ბევრი ვაი-ვიში და აზრების „პარპაში“ ედებოდა ეზო-კარს... ამა-სობაში მოსაღამოვდა. პატარა კაცის სახლის კარებზე ვიღაცამ და-აკაკუნა. დედამ კარები გააღო და კარის ზღურბლთან მანჩო შერჩა ხელში. თვალები დაწითლებოდა გოგოს, სახეც გაცრეცოდა. დედამ მეზობელი შინ შემოიპატიჟა.

რაღაცას უყვებოდა დედას მანჩო, ეტყობოდა ზომაზე მეტად ნერ-ვიულობდა და იმასაც ხედავდა ბიჭი, თუ როგორ ამშვიდებდა დედა ატირებულ გოგოს, მერე ფურცელი მიაწოდა... მშვიდად გააცილა დე-დიკომ მეზობელი. ცნობისმოყვარეობა ტანჯავდა ბიჭს, ნეტა რას მო-უყვა მანჩო? ეს ფურცელი მისი დაწერილი წერილი იყო? იქნებ დედი-კომ გატყეპოს ბიჭი?...

მამა გულდასმით კითხულობდა ვაჟის პირველი სიყვარულის „აღ-სარებას“, შემდეგ თავი აიღო და...

— სანდრო, მოდი ჩემთან მამა, მოდი ნუ იმალები.

სანდრო თავჩაღუნული მიუახლოვდა მამას, დედაც იქვე იჯდა და სერიოზული სახით... დიდ რუდუნებას და თავშეკავებას ასხივებდა მისი თვალები...

— მისმინე სანდრო, მე წავიკითხე შენი წერილი.

მშვიდი ხმით ლაპარაკობდა მამა.

— ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამხელა გული გქონდა მამიკო. იცი, ეხლა რომ გითხრა რა არის სიყვარული, გაიზრდები და დაგავიწყდე-ბა, როცა დიდი ბიჭი გახდები შენ თვად უნდა მიხვდე თუ რას ნიშნავს შენთვის „გიყვარდეს“.

— კი მამა, გავიგე.

— ხვალიდან გახანგრძლივებულ ჯგუფში დარჩები, მე ან დედიკო მოგაკითხავთ და წამოგიყვანთ სახლში, ეს წერილი კი შეინახე. არა-ვის აჩვენო, შენხელა, მე ამას ვერ დაწერდი, უკვე კაცდები და ეცადე ნებისმიერი ნაბიჯი დაკვირვებით გადადგა, იმიტომ, რომ არასწორად გადადგმული ნაბიჯი სწორ გზას აგაშორებს და მერე უკან დაბრუნე-ბა თითქმის ყოველთვის შეუძლებელი ხდება. სანამ გაიზრდები მე შე-

მეკითხე, როცა დაკაცდები შენი გზით ივლი და შეეცადე ჩემი დარიგებები გამოიყენო...

— მამა, ის გოგოები კიდევ დამცინებენ?

— არა სანდრო, ვერ დაგცინებენ, იმიტომ, რომ მათ ყველაზე წრფელ სიტყვებს დასცინეს. დაივიწყე ეს ყველაფერი და თუ გინდა დედიკოს სიყვარულში გავეჯიბროთ ერთმანეთს.

— კარგი.

თავი დაუქნია ვაჟმა და საძინებლისკენ წავიდა.

დედიკომ და მამიკომ თვალი გააყოლეს პირველ მარცხგანცდილ „მიჯნურს“...

— შენ გგავს, შენსავით გიჟმაჟი იზრდება.

ღიმილით მიმართა ქმარს დედიკომ.

— არა, უფრო მეტია. მე ამდენს ვერ გავბედავდი. ეტყობა უფრო მეტი ყურადღების მიქცევა დაგვჭირდება ორივეს, თანაც ირაკლიც მალე წამოიზრდება და მერე ნახე...

დედიკო მამიკოს მიუახლოვდა, მკლავები კისერზე მოხვია და ჩურჩულით უთხრა:

— მე შენი დაწერილი წერილი დღესაც შენახული მაქვს, ის მერვე კლასში რომ ვიყავით მაშინ მომწერე...

— მახსოვს... მახსოვს... მახსოვს

რამხელა დრო გასულა მას შემდეგ ჩემო დედიკო და მამიკო, აგერ ჭაღარამ შემმოსა და ჯერაც არ დამვიწყნია ეს ისტორია. ის წერილიც ხელში მიჭირავს და იცი, ეს გაცრეცილი და ფერგადასული ფურცელი დღეს რომ ვინმეს წავუკითხო „სისულელეაო“ იტყვიან, ეს ჩემი ისტორიაა, ჩემი ისტორიის ლამაზი ფურცელი.

ᲣᲜᲔᲒᲚᲘᲔ ᲠᲔᲡᲞᲝᲓᲔᲜᲢᲘ

— ბატონო პროფესორო, რას წარმოადგენთ დღეს თქვენ?

— მეეე?

— დიახ, თქვენ ხომ ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი ინსიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშომელი იყავით...

მეცნიერი რაღაცნაირად დაიძაბა, თვალებში უცნაური ელვარება შევნიშნე. ეს არც მრისხანება იყო და არც პასუხის ძიება. თავი ასწია შუბლშეჭმუხნულმა და მითხრა:

— ჩემო კარგო, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე მწერალი ვარ...

— სანაქებო საქმეა, მაშ კარგით, მოდით მარტივად მიუდგეთ საქმეს, დამისვით შეკითხვა და მე გიპასუხებთ. გისმენთ მწერალო...

— რას ნიშნავს იყო „მეცნიერი“.

— ეს ნიშნავს წარმოადგენდე შენი ქვეყნის ინტელექტუალური საგანძურის ნაწილს. მეცნიერებზე და მეცნიერებაზეა დამყარებული საზოგადოების ცოდნის დონე...

— გამოდის, რომ თუ ქვეყანაში საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებულია ეს „მეცნიერების“ გამო ხდება?

— შვილო, „ინფორმირებულობა“, ეს ცალკე თემაა. საერთოდ მიმაჩნია, რომ მედია საშვალებებს სწორად ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე თუ გამოვიყენებთ, საზოგადოების ინტელექტულურ გაჯანსაღებას შეუწყობთ ხელს. ერთხელ ჰებელსმა ბრძანა, „მომეცით მასმედიაზე კონტროლის უფლება და მე ნებისმიერ ერს ღორების კოლტად ვაქცევო“. მე მგონი ციტირება სწორად გავაკეთე და დასკვნები დღევანდელობიდან გამომდინარე თქვენთვის მომინდვია. დავუბრუნდეთ მეცნიერებას?

— განსაზღვრავს თუ არა მეცნიერება საზოგადოების ცოდნის დონეს?

— კითხვას იმეორებთ მწერალო. ცოდნის დონეს პროფესიონალები განსაზღვრავენ. დარგის ყველაზე დიდი პროფესიონალები მეცნიერები არიან. სახელმწიფოში რაც მეტი გვეყოლება დარგობრივი სპეციალისტი და მეცნიერი, ეს ქვეყნის ინტელექტუალური სიმდიდრეა.

— დღევანდელობაზე რას გვეტყვით?

— აბა რა გითხრა? ქვეყანაში სადაც მეცნიერი და მეცნიერება დაკნინებულია ავანტიურისტთა თარეში გარანტირებული გაქვს, თუკი ქვეყანაში პოლიტიკოსები „მეფობენ“, ესეიგი ინტელიგენცია დაჩოქილია. იქნებ და ამიტომაც მოისპო ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, თქვენ რას მეტყვით ბატონო მწერალო?

— ესეიგი მეცნიერთა რაოდენობის შემცირება თქვენ დაუშვებლად მიგაჩნიათ?

— ვინ გასწავლათ კითხვის დასმა? დაიმახსოვრეთ, ეროვნული სამეცნიერო პოტენციალი ქვეყნის ფასდაუდებელი განძია...

— გასაგებია, მინდა გკითხოთ, სამეცნიერო თვალსაზრისით როგორ ისახავთ მიზანს და როგორ წყვეტთ საკითხს?

— „ძიება“, მეცნიერების აპოგეაა. მეცნიერის „იარაღი“ ლოგიკაა და კვლევების ანალიზი, რომელიც ფაქტებს ემყარება. მეცნიერების „სამოთხე“ ლაბარატორიაა და მისი მოშლით ეროვნული ინტელექტი „ჯოჯოხეთში“ გაიღვიძებს...

— თქვენი აზრით რა არის საჭირო, რომ ისევ აღორძინდეს მეცნიერება და რას მოუტანს ქვეყანას სამეცნიერო კადრები?

— როგორ გითხრა? ნაწილობრივ თქვენს შეკითხვას უკვე გავეცი პასუხი, გეტყვით, თუ ქვეყანაში ინტელიგენცია პრიორიტეტულ ადგილს არ დაიკავებს სახელმწიფოს მშენებლობაში და მის შემდგომ განვითარებაში, ნაციონალური ინტერესები კრახისთვისაა განწირული. თუ თქვენ არ უამბობთ ახალგაზრდობას ჩვენი დიდი მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების, ლიტერატორების, ისტორიული პიროვნებების ღვაწლის შესახებ და მათი მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ, თუ თქვენ არ უამბობთ მათი ფასდაუდებელი მოღვაწეობის, მსოფლიო ინტელექტუალური განვითარების და სამეცნიერო მიღწევების შესახებ, თქვენ ქვეყნის მომავალ თაობას სიამაყის უფლებას წაართმევთ...

— და ბოლოს, მინდა გკითხოთ, როგორ გესახებათ თქვენი მომავალი?

— რა გითხრათ? მე თაროზე მიტოვებული წიგნი ვარ, რომლის ხელში აღებასაც სიძველის გამო არავინ იკადრებს, უკვე ოთხმოც წელიწადს გადავაბიჯე და ის ცოდნა რაც დავაგროვე, სამარეში მიმაქვს, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. დატირების ღირსიც არა ვარ, მაგრამ გახსოვდეს, ქვეყნის ინტელექტუალური კადრების განადგურებით ინტელიგენცია ნადგურდება, ან უკეთეს შემთხვევაში ფუნქცია ეკვეცება და „იჩოქებს“, თქვენ ხელოვანი ხალხი დარჩით ჯერ კიდევ „ამხედრებულნი“, თქვენ უნდა ითავოთ უკვე უხეში ხელყოფისგან ნაწილობრივ განადგურებული „ცოდნის საუნჯის“ შემორჩენილი ნაწი-

ლის შენარჩუნება და შემდგომ მისი აღზევება. იხარე მეგობარო... მე წავედი...

— კარგად ბრძანდებოდეთ ბატონო პროფესორო...

უსათაურო

სოფლის ცენტრში, სამამულო ომის ვეტერანთა, ფრონტზე დაღუპულ თანასოფლელთა სურათებით შემკული მემორიალი იდგა. ერთ დროს დიდი მოწიწებით და ზარზეიმით ეახლებოდნენ ხოლმე სოფლის თავკაცები და გვირგვინებით ამკობდნენ აქაურობას. მემორიალის უკან ომის ვეტერანთა სასაფლაო იყო, მშვიდობინობის დროს გარდაცვლილ ვეტერანებსაც აქ მიუჩენდნენ ხოლმე საუფლოს. წინათ, შაბათობაზე მოჰყავდათ აქ ბავშვები და გულდაგულ წმენდნენ მიდამოს. მტერთან ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიგება ხომ წმინდათა წმინდა მოვალეობაა ღირსეული ადამიანებისა.

დრო შეიცვალა...

რისიცა სწამდა ხალხს სიავე ყოფილა... მტერი ზოგიერთმა ჭკუათამყოფელმა „განმანთავისუფლებლადაც“ მონათლა... მხოლოდ მემორიალი შემორჩა, დროსთან და უგნურებასთან მებრძოლი ქვადშობილი ხსოვნა ხალხისა...

დრო გადიოდა...

იმ მემორიალთან ერთი პატარა ბიჭი მიდიოდა ყოველ კვირას. ჯერ სტელას წმენდდა, შემდეგ „დაფაზე“ მიკრულ მეომართა სურათებს გადაუსმევდა ტილოს, გაასუფთავებდა და შემდეგ სასაფლაოსკენ იბრუნებდა პირს. მხოლოდ ერთ საფლავთან ჩერდებოდა. ჯერ ლოცვას წაიკითხავდა და მერე საგულდაგულოდ ასუფთავებდა იქაურობას ბალახისაგან და ნაგვისგან, რომელიც უკვე უხვად მოიპოვებოდა სოფლის „პანთეონში“. საქმეს რომ მორჩებოდა სახლისაკენ გასწევდა ხოლმე ღიღინით.

ამ ბიჭის მეზობლად ერთ ცუგრუმელა გოგოს ოჯახს დაედო ბინა. ბავშვები კლასელები იყვნენ და მეგობრობდნენ კიდეც. ერთხელ ეს გოგო „პანთეონს“ ბიჭთან ერთდ ეწვია. ბიჭი ჩვეულ საქმეს შეუდ-

გა. მუყაითად და გულით აკეთებდა საქმეს. გოგო აკვირდებოდა მიდამოს და ერთხელაც ჰკითხა ბიჭს :

— მარტო შენ მოდიხარ აქ და მხოლოდ შენ უვლი აქაურობას, ამ საქმის კეთება ვინმემ დაგავალა?..

ბიჭმა თავი აიღო, გოგონას შეხედა და უთხრა:

— აქ ჩემი დიდი პაპაა დაკრძალული. მფრინავი ყოფილა. მამამ მითხრა ჩვენი გვარის და ოჯახის სიამაყეაო...

— ხო, მაგრამ თუ „სიამაყეა“ თქვენი გვარისა და ოჯახის, აქ ხომ სხვების საფლავებიცაა, მათ რატომ არ მიაგებენ პატივს? მათი გმირობით არ ამაყობენ?

იკითხა გოგომ.

— არ ვიცი...

მხრები აიწურა ბიჭმა.

გოგონამ ბელადის ქანდაკებისკენ მიაპყრო მზერა, ათვალიერა და ბიჭს შეეკითხა:

— მისი სჯეროდა შენს დიდ პაპას?

ბიჭმა სურათების წმენდას თავი დაანება, ჯერ ბელადს ახედა, მერე გოგოს გაუსწორა თვალი და უთხრა :

— კაცი მტერს რომ დაამარცხებს ცუდი რატომ არის?

— იმიტომ რომ ბევრი ხალხი დაღუპა ომამდე, ასე თქვეს...

— არ ვიცი... ჩემს დიდ პაპას სჯეროდა მისი... არ ვიცი... ვერაფერს გეტყვი...

ერთ დღეს სოფელში დროშების მოფრიალე ხალხი მოვიდა. ბიჭმა ვერ გაიგო რა უნდოდათ, ან რატომ ყვიროდნენ, ვერც ის გაიგო რატომ ესროდნენ საღებავებით სავსე ქილებს გმირების მემორიალს, ვერ მიმხვდარიყო ბიჭი რატომ აცამტვერებდნენ სოფლის „პანთეონს“ ლამაზად ჩაცმული კაცები და ქალები. რატომ ურტყავდნენ ფეხს მეომართა დიდების სტელას მედროშეთა წინამძღოლნი, რატომ ჩამოაგდეს ბელადის ძეგლი კვარცხლბეკიდან, შემდეგ როგორ ურტყამდნენ ფეხს საღებავში და ტალახში ამოსვრილ „ბელადს“. გული რომ იჯერეს „მაკივარებმა“, ახლა სოფლის ცენტრში გადაინაცვლეს... აკვირდებოდა ბიჭი და ვერ გაეგო, „თუკი კარგი რამის გაკეთება შეუძლიათ „ამათ“, გმირების მემორიალი ხელს რაში უშლიდათ? ვერც ის გაეგო ბიჭს სამამულო ომის გმირების ხსოვნის შეურაწმყოფელნი სანთლებს

რატომღა ანთებდნენ, ან „ნათელი მომავლისკენ“ მიმავალ გზაზე მეომართა ხსოვნა წინ რითი ეღობებოდათ, „ბელადის“ ლანძღვა ვაჟკაცობად რატომ ითვლებოდა...

ბიჭი ფიქრობდა და ბიჭს უკვირდა...

შემდეგ ადგა, მიატოვა სოფლის მოედანი და მემორიალისკენ წავიდა. იავარქმნილი დახვდა იქაურობა. დინჯად ათვალიერებდა ბიჭი ნაველურალს და ფიქრობდა რითი დაეწყო საქმე. ტილოები მოარბენინა, ერთი პატარა სათლით წყალიც მოიტანა... და საღებავებით გათხუპნულ სურათებს დაუწყო წმენდა, მარტო მუშაობდა... უცბათ ვეება ჩრდილი „დაეცა“ თავზე. უკან მოიხედა და პაპა ანდრო შეიცნო ვაჟმა, კიდევ ჯემალი პაპა, გურო პაპა, ხარება პაპა, სხვა პაპები და ბიძიები, მოდიოდნენ... თავისი კლასელები, უფროსები, გოგოები, ბიჭები ტილოებით, წყლით და ნიჩბებით მოდიოდნენ მემორიალისკენ....

„ყველანი აქ არიან, ნეტავ მოედანზე ვინღა დარჩა?“ გაუელვა ფიქრმა ბიჭს.

მემორიალი აღადგინეს, იქაურება გაასუფთავეს კაცებმა, ბებიები და ბავშვები წმენდნენ საფლავის ქვებს...

მეორე დღეს ტელევიზორში ვიღაც „გაპრანჭულმა“ კაცმა თქვა „რუსეთუმეებმა გაწმინდესო მემორიალი, არ შევარჩენთ და სულ დავანგრევთო იქაურობას“.

ბიჭი გაკვირვებული უყურებდა „გაპრანჭულ“ კაცს და კითხვა დაებადა:

„წარსულის ხსოვნა და გმირთა პატივისცემა თუ „რუსეთუმეობაა“, ომის ვეტერანთა მემორიალის შეურაწყოფას და ნგრევას ნეტავ რა ჰქვია?

პასუხი ვერ იპოვა ბიჭმა...

ცხელ გულზე ნაფიქრი 1

რას ემსახურება თვითოეული ლიტერატორი, პოეტი, მწერალი და კრიტიკოსი? იყო ქართული სიტყვის მეხოტბე და მესაიდუმლე ეს დიდი ვალდებულებაა შენი ერის და მოყვასის წინაშე. დღეს ქართული ლიტერატურა მიუსაფარ ბავშვს უფრო წააგავს ვიდრე მხრებში

გაშლილ ერის მედროშეს. მედროშენი კიდევ არიან, დროშებიც ალბათ სარდაფებშია გამოკეტილი, მაგრამ სადროშო დააირღვა, თუ დაარღვიეს? ხო ასეა, სპონსორების და მწყალობელთა ხელში ალბათ, „დეიდებოოოოო... ბიძიებოოოო...“-ს ძახილით ეძებს ქართული სიტყვა თავის გზას. გული მწყდება, რომ ქართული ენის სიდიადე მხოლოდ მავანთა „აბსურდის თეატრის“ ყმად გამხდარა და არც „ძლიერთა ამა სოფლისათა“ ინტერესთა სფეროს არ განეკუთვნება ქართული ლიტერატურის აღზევება და განვითარება. ვინ არის მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი? ისიც ხომ მოძღვარია, უბრალოდ „სიტყვას“ საერო ენით გადმოგვცემს. იქნებ გგონიათ, რომ ხატება არ ჰყავს ქართულ ლიტერატურას? მე ვამბობ მათთვის, ვისთვისაც წიგნი მხოლოდ სტამბიდან იწყება და ყდაში მოქცეულ ფურცელთა კრებულს წარმოადგენს. სულს ღაფავენ და ზოგიც დავიწყებას მიეცა, ცისკარი, მნათობი, ლიტერატურული გზეთი, პოეზიის ხუთი წუთი, მოგზაურობა სასიტყვეთში და ბოლოს ქართული ენის პალატაც მტვრიან თაროზე შემოდეს. ვის ვთხოვთ წყალობას? მათ, ვისთვისაც ქართული ტრადიცია და ლიტერატურა მხოლოდ წარმონაქმნს და ობიექტურ რეალობას წარმოადგენს? ან იქნებ იმათ, რომლებმაც აღარ მოინდომეს, თუ აღარ მოანდომებინეს ტელე-სივრცეში ლიტერატურული გადაცემებისთვის დრო დაეთმოთ? წიგნი ხომ ადამიანის მოღვაწეობის ყველაზე დღეგრძელი ნაყოფია. დიახ, ასეა და ვინ ჰქმნის ისტორიას? წარმოიდგინეთ ერთი ანთებული სანთელი, რომელსაც მრავალი სანთლის ანთება შეუძლია, ასეა ბედნიერებაც, ბედნიერება ხომ გაზიარებით არ მცირდება. ხელოვანი ხომ არასოდეს არ იხედება უკან, რადგან უკან მომზირალმა შეიძლება ფეხი წამოჰკრა და დაეცე. ლიტერატურას და ხელოვნებას თუ სითბოს მოაკლებ, ის კნინდება, რადგან ადამიანები სულიერების გარეშე ვერ ცხოვრობენ.

საოცარია, როცა ჩვენი ქვეყნის თავსდატეხილ სიავეზე ვსაუბრობთ და უმეტეს წილად უსახსრობას ვაბრალებთ ჩვენს უსუსურობას, მე კი გეტყვით, სადავეებთან ნიჭიერი ადამიანების ნაკლებობა აფერხებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას, რადგან „პატარა“ კაცების „დიდი სიამაყე“, ისტორიის ხეზე ლურსმანს აჭედებს რაზედაც ყველაფრის ჩამოკიდება შეიძლება.

ლიტერატორებო, მწერლებო, პოეტებო, მკითხველებო, ახლა ომია. ომი ყოველივე ქართულის შენარჩუნებასა და თავსმოხვეული უცხო ცივილიზაციის მიერ შექმნილ ფასეულობებს შორის. შეიძლება ეროვნულმა ხელოვნებამ ბრძოლა წააგო, მაგრამ ომი გრძელდება. წიგნები, ლიტერატურული ფორუმები ან უბრალოდ ხელოვანთა გილდიის შექმნა, ეს ის წვეთებია, შემდგომ უფლისა მადლით აიაზმად რომ აკურთხებს მოძღვარი და ერს კურთხევად მოუვლენს. „ხელოვნება საზოგადოების სარკეაო“ გამიგონია, უბრალოდ დასანანია, რომ ჭეშმარიტი ქართული, ნაციონალური ხელოვნება ბევრად დაბლა დგას დღეს, საზოგადოებისთვის შეთავაზებულ ბილწსიტყვაობის და მრუშობის ფენომენით გაჯერებულ „იდეოლოგიურ კლოუნადაზე“, რომელიც ეროვნული ღირსების შელახვისადმი საზოგადოებაში ლიბერალიზმს ნერგავს.

მე მინდა გავიხსენო ერთი დიდი ქართველის სიტყვები, რომლითაც მან ერთ „ტახტის ლაქიას“ მიმართა „Когда Ваши предки по лесам бродили, наши – Евангелие переводили!“

ნურვინ დაიჯერებთ, რომ ვალი აქვს საქართველოს ვინმესი, ან გვმართებს რაიმე უცხოთა.

უფალი როგორც საქართველო ოთხი სამსჭვალით აცვეს ჯვარს. პირველი — ლაზეთი, მეორე — ლორე-ჰერეთი, მესამე — აფხაზეთი, მეოთხე — სამაჩაბლო. ეკლის გვირგვინიც დაადგეს თავზე. ღმერთების ენას უწოდებს იოანე-ზოსიმე ქართულ ენას, უფალმა თავისი სამოსი ქართველებს მოგვაბარა და დედა-ღვთისმშობლის კვართსაც ქართველნი იცავენ. არსებობს აღთქმული მიწა ისრაელისა და არის ჯვარცმული მიწა საქართველოსი, სადაც იესო დაბრუნდება შესამოსელად. წერეთ ქართულად, იფიქრეთ ქართველურად, ისაუბრეთ საქართველოსთვის და იღვაწეთ საქართველოს სადიდებლად.

ცხელ გულზე ნაფიქრი 2

რაოდენ ძნელია უმეცართა აღლუმში განათლებული ადამიანების, მათ ავანგარდში ყოფნა. გამკვირვებია, რომ გულმეცნიერნი სიბრიყვის საბურველში ეხვევიან რათა უხვსიტყვაობითა და მოქმედბით საკუთარი ერის ხელთუქმნელი გაანადგურონ.

რატომ ხდება რომ დაცინვით და მცდარმეტყველებით აუგად აჩენენ საკუთარი ქვეყნის მრწამსს, ისტორიასა და ზნეობას? დაცინვა ხომ ბოროტთა საჭურველია ხალხის ერთსულოვნების იმედად მყოფი უაბჯრო ზნეობის დასამარცხებლად. მტერს ვეძებთ, ჰო ვეძებთ, რადგან მათზე ჩამოვკიდოთ ჩვენი უბედურება თუ დღევანდელი ძნელბედობა და სიდუხჭირე, მაგრამ „იქ“ ვეძებთ ჩვენზე მოძალადეს? მტერი მხოლოდ ხმლით და თოფით როდი გვიტევს. ყველაზე მძლავრი და გამოცდილი იარაღია ეროვნულ ფასეულობათა დაცინვა, დაცინვა ყოვლი ღირებულისა, რაც ჩვენს მოდგმას და ერისკაცთ შეუქმნიათ საუკუნეთა მანძილზე.

ალბათ მეტყვით, „კაცმა კაცს დასცინა და ამით ტრაგედიას ნუ ჰქმნიო“, მეც მინდა გკითხოთ, „რით უფრო იტანჯება ერისკაცი?“ მარტივად გეტყვით, იმ სანუკვარის გაცამტვერებით, რომელსაც ეროვნული ღრსება ჰქვია, მას უწმინდურის სიბრძნით მოქსოვილი, მქადაგებლის ნიღბით შემოსილი, უცხოთა ხელდასმით საკუთარ ერზე აღზავებული მონათა და ვასალთა ბრბოები თანასწორობის ბაირიაღით რომ გაეცხადნენ საზოგადოებას, დაცინვით ახერხებენ ამას.

მოქილიკე და ყბედი კაცები უცხო არ არის ჩვენთვის, არც „ჯავსნოსანი“ საპნის ბუშტების „რახარუხია“ ჩვენთვის უჩვეულო, მაგრამ რწმენის ქილიკი მხოლოდ მატერიალისტ სექტანტთა პრიროგატივაა უცილოდ. მკითხავთ ალბათ, „რით დაასაბუთებო ნათქვამს?“, რაო? განა უფალს ჩვენსას იესოს, ჩვენთვის, კაცთათვის განკაცებულს ასწავლო და შეუსწორო უფალის სიტყვა, განა ეს მხოლოდ კადნიერებაა? ჯიშწართმეულ მაამებელთა და მგმობელთა დუჟმორეული ბილწვა ეროვნულისა, ეს მხოლოდ უმეცროებისგან ხომ არ გგონია?

საოცარია, დამცინავთა და მოქილიკეთა სიბრძნე. „ყველანი თანასწორნი ვართო“ ამბობენ, „ცოტანი ვართო, მრწამს და წესს ნუ გვიგინებთო, ნუ გვჩაგრავთო“. მერედა ვინ რყვნის წესს? ან მჩაგვრელი ვინ არის ნეტავ?. „მჩაგვრელის“ ტოტემით დადაღო უფლისმიერი, უარყო კაცთა ცხოვრება ღვთით კურთხეული, ესაა „ჩაგრულთა“ არსი. ნუ იფიქრებ, რომ მხოლოდ ისინი სჩადიან ყოველგვარ სიბილწეს, არა, ასე არ არის. „ჩაგრულნი“, უმეტესად საზარბაზნე ხორცია იდუმალი ბატონის ხელში, რათა კაცთა მოდგმა გაათითოკაცოს, სულიერება დაუკნინოს და ყველაზე ფასეული, ოჯახის ფენომენი, ეთერში გაითქვიფოს, რადგან ადა-

მიანის უწინარესი სიწმინდე მიწაზე, ოჯახია და პირველ სავედრებელიც ოჯახის ბედნიერებაა უცილოდ. საშიშნი არიან „ჩაგრულნი“, რამეთუ სიწმინდეთა დაცინვა და იავარყოფა „ჩაგრულთა“ მეცადინეობით და მათ ბატონთა ძლევამოსილი, შემმუსვრელი „თანასწორობის“ მახვილით, ფულით და მქადაგებელთა მჭერმეტყველობით შეერკინება ეროვნულ ცნობიერებას. მაშ, ვინ არიან „ჩაგრულნი“? მონათა და ვასალთა ბრბო.

არჩევნი დგას, ეროვნულის და უფლისმიერის მქილიკებელნი თუ ეროვნულის და უფლისმიერის დამცველინი?!

ყოველთა მთმენი თუ იქნები, სიცოცხლის ბოლო ჟამამდის მოგიწევს ბრძოლა საკუთარი სამკვიდროს შესანარჩუნებლად. ერთობა არის ხსნა ერისა, რამეთუ მხოლოდ გათითოკაცებულ ძალგულოვნებას, მარტოკაცობა შეიწირავს და დაფერფლავს.

ნურც იფიქრებ, რომ შენი მოთმინებით სწორ გზაზე დააყენებ ან დააფიქრებ. ადამიანთა წესის უარმყოფელს თანაბრად თუ მიიჩნევ, ამით საფუძველს მისცემ რომ შენზე ამაღლდეს.

ბოროტთა მახვილი, ადამიანთა ფასეულობის დაცინვაა და ფარი, „ჩაგრულის ცრემლი“, რამეთუ პირველი, შეხედულებაა და მის საკუთრებას წარმოადგენს და ვერ წაართმევ, ხოლო „ცრემლი“, ჩაგრულის დამღაა და მას ვერ აღხოცავ.

ვისწავლოთ მტრებისგან, რომ მოყვასი დავიცვათ.

ცხელ გულზე ნაფიქრი 3

— „თავისუფლება“, ამ ფენომენმა რიგ შემთხვევაში არსი დაკარგა, რადგან „ვაჭრობის“ თემად გადაიქცა მისი რაობა, მეტადრე მაშინ, როცა თავისუფლება „თავის უფლების“ მოქმედებას, რომელიც „მას მიაჩნიას“ პოზიციით ჩადენილ ავკაცობას, „თავის უფალის“ მრწამსითა ხსნიან. ასეთი „თავისუფლებების“ მეხოტბენი უმეტეს წილად სულიერ მარტოობაში დალევენ ხოლმე სულს.

ჩვენი „მოძღვარნი“ გვიკიჟინებენ უცხოთა „ფასეულობებზე“ და ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენში უცხოთა იდეოლოგია „ვაჭართა“ ფულით საზრდოობს, რომელთა პოლიტიკა მეტწილად ინტერესების და ფულის მიმოქცევით გამოწვეული ხმაურია მხოლოდ.

და რა ხდება ჩვენში? დემაგოგთა ბრბოები დათარეშობენ. დემაგოგია ხომ სულით წაწყმედილ ადამიანთა იარაღია. „ვაჭართა“ ფულით შუძენიათ ყველაზე ავსული კარიერისტები მავანთ და რად გვიკვირს თუ ასეთ კაცთა არსი საფულის სისქით განისაზღვრება და „პიროვნული ღირსება“, სალანძღავ სიტყვას წარმოადგენს. მლიქვნელნი არიან კარიერისტები და რევანშისტები. მათ ძალუძთ აიძულონ ხალხი საკუთარი, ეროვნულისადმი სიძულვილის „თანამედროვე და ფსევდოპროგრესულის“ მანტიით შემოსონ.

ავსულია კარიერისტი და დემაგოგიაა მათი იარაღი, ავანტიურისტებიც არიან ისინი, რადგან მხოლოდ ავანტიურისტს შეუძლია წამოიწყოს ომი საკუთარი ქვეყნის საზიანოდ. უღმერთოების მადიდებლებიც არიან „თავის უფალნი“, მათი ზნედაცემულობა მაშინ დაიწყო, როცა დამორჩილდნენ „უცხოთ“ მოძღვრებას, რომელიც თავად არ სწამდათ და ფულის და მდგომარეობის გამო უცხოთა „ღმერთებს“ მორჩილება გამოუცხადეს საკუთარის გადაგვარების ხარჯზე. მართლმადიდებლობასაც ებრძვიან ისინი. მართლმადიდებლობა მოყვასის სიყვარულით შესისხლხორცებული ჭეშმარიტებაა, კაცთმოძულენი რომ გაურბიან და ქილიკის ღვარძლს რომ ანთხევენ გზადაგზა.

დაფიქრდით ბატონებო, რადგან ქვეყნის წინაღამდეგ მომართულ ორატორს ჩურჩულით გაასვენებენ მლიქვნელნი, რადგან მლიქვნელის არსი საკუთარ ბატონზე გაბატონებაა.

ეროვნულის მაძაგებლის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულება იდეოლოგიურ ანარქიას უწყობს ხელს და მომავალი კნინდება. იქნებ ყურად იღოთ მარტივი ჭეშმარიტება, რომ თუ ეროვნულ მწერლობას ასპარეზს წაართმევთ, ეროვნული თვითშეგნების ამოძირკვას შევუწყობთ ხელს და თუ რაიმე ფასეული შეუქმნიათ ქართველთ, უცხონი დაინაწილებენ და მიისაკუთრებენ როგორც კუთვნილს. განა ეხლა არ არის ამის მცდელობა? დაეყრდენით ეროვნულს და მრავალი საუკუნის მანძილზე ცეცხლში და ღველფში გამობრძმედილ ქართულ მწერლობას, რადგან მხოლოდ მას შესწევს ძალა მხარი შეუდგას წამორძიკებულ ინტელიგენციას და აბჯრით შემოსოს დედა ეკლესია, უხვსიტყვა დემაგოგთა ქილიკს ამოფარებული კარიერისტთა, რევანშისტთა და „არს წართმეულთა“ ნასროლი ისრებისგან თავდასაცავად.

უფლისმიერი ქართული კულტურა ათეულობით საუკუნის მანძილზეა გამოცდილი და შემოთავაზბული. „რევიზიონიზმი“ მხოლოდ ეროვნული საუნჯის დამხობაა — გაქილიკავებას და უცხო-მდაბალის გაბატონებას შეუწყობს ხელს.

ნუ იმედჰყოფთ საკუთარ თავს, რომ დემაგოგები და კარიერისტები საკუთარ თვალში დირე გაყრილნი სხვის თვალში წამწამის ძებნაზე აიღებენ ხელს.

ცხელ გულზე ნაფიქრი 4

„თავისუფლება“ — შესანიშნავი სიტყვაა არა? და რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს დიდი ფენომენი დღეს ყოველივე სანუკვარის, ხელთუქმნელის, ეროვნულის და სახელმწიფოებრივის ნგრევის იარაღად იქცა, თუ აქციეს. მეკამათებით? ნება თქვენია. ხშირად გაიგონებთ „ჩემი უფლებები ირღვევა“... მაშინ როცა უფლების დარღვევასთან კი არა, მოქალაქეობრივი და პიროვნული მოვალეობების შესრულების ვალდებულებასთან გვაქვს საქმე... „მე მინდა ვიყო თავისუფალი“, მერედა ვინ გიშლის? თავისუფალი სწავლა — ნიშნავს უცოდინრობას,

თავისუფალი ქცევა — ნიშნავს უზრდელობას,

თავისუფალი სექსი — ნიშნავს მეძაობას

თავისუფალი აზროვნება — ნიშნავს რეალობის მცდარ აღქმას,

თავისუფალი სინდისი — ნიშნავს უსინდისობას....

კიდევ ჩამოვთვალო?

იცით ვინ იყო დღევანდელი გაგებით პირველი თავისუფალი ადამიანი კაცობრიობის ისტორიაში? ის იუდა ისკორიოტელი გახლდათ. ნუ გაიკვირვებთ ჩემს სიტყვებს, დიახ ის იყო პირველი..., რადგან განუდგა ღვთიურს და უფლისმიერი განაგდო, ეყმო ცრუ მოძღვართ და სინდისისგან განთავისუფლდა, აიღო გასამრჯელო ღალატისთვის და ღირსებისგან განთავისუფლდა, დარჩა მარტო და ადამიანობისგან განთავისუფლდა, თავი მოიკლა და სხეულისაგან განთავისუფლდა, ხოლო სული ეშმაკს მიართვა, რადგან სასუფეველში წარსატანად არაფერი დარჩა.

ჩემო ძვირფასებო, მშობლებო თავად ხედავთ, რომ შვილები ბეწვის ხიდზე შედგნენ და ყოველგვარი ჭეშმარიტის, უფლისმიერისგან

განთავისუფლების მცდელობა აამსუბუქებს და უფსკრულში გადაჩეხავს მათ. ეხლა „შვილო შემოგევლეს“ დრო არ არის. თაობა იღუპება ვირუსად თავსმოხვეული იდეოლოგიების და ჩამოფასებული გარყვნილი „ფასეულობების“ გამო, რომელსაც ისტორიულ სანაგვეზეც კი არ „ჩაიბარებენ“ უკიდურესი მავნებლობის გამო.

მშობლებო! ეხლა „მამების და შვილების დაპირისპირება“ არ არის, არც თაობათა შეხედულებების „ბრძოლაა“ წინა პლანზე, ეხლა ეროვნული თვითშეგნების, ოჯახის ღირსების, სარწმუნოების სიწმინდის, სახელმწიფოებრივი სიამაყის შენარჩუნებისთვის მიმდინარეობს ბრძოლა. ნუ დავუშვებთ, რომ თქვენი შვილები სხვათა პოლიტიკური ამბიციებისთვის და „საზოგადოებრივი ექსპერიმენტებისთვის“ საზარბაზნე ხორცად გამოიყენონ ზნედაცემულთა ურდოებმა.

შეეხიდეთ და დაიცავით თქვენი შვილების ღირსეული ეროვნული მომავალი.

ᲣᲦᲕᲗᲝ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲘ

ᲓᲦᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

— თქვენ „უღვთო მოძღვარს“ გეძახიან. იქნებ მითხრათ, რატომ შეგარქვეს ასეთი სახელი? ღმერთი არ გწამთ?

— კი, მწამს, მაგრამ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე და „ჩემი“ ღირებულებების დამცველი „ქურუმის“ კვალობაზე ღმერთის და საერთოდ რელიგიის ადგილი „ჩემში“ აღარ დარჩა....

— რისი გწამთ?

— ღმერთის...

— კი, მაგრამ თუ კი მისი ადგილი თქვენში აღარ დარჩა?

— ყველაზე თავგადაკლულ ათეისტსაც სწამს ღმერთის, უბრალოდ რელიგია ინტერესთა კომფლიქტს წარმოადგენს ყოფიერებასთან მიმართებაში.

— გამოდის, რომ მორწმუნე ბრძანდებით და მალავთ?

— ხო, ასეა, ეს ჩემი სამუშაოა...

— ვერ მივხვდი...

— ვებრძოლო იმას რაც მწამს და განვავითარო ის, რისთვისაც მიხდიან...

— რისთვის გიხდიან? რა სამუშაოს ასრულებთ ასეთი რუდუნებით?

— ჩვენ საზოგადოების პროგრესს ვემსახურებით, რომელსაც საბოლოო ჯამში ნებაყოფლობით მივყევართ ჩვენივე გაჭედილ ბორკილამდე.

— გთხოვთ, მომიყევით თქვენი საქმიანობის შესახებ...

მოძღვარი ჩაფიქრდა და მცირე დუმილის შემდეგ დასძინა:

— მე ყოველ დღე შემიძლია ათი წუთი დაგითმოთ და გესაუბროთ...

— და მე შემიძლია შეკითხვებიც დაგისვათ?

— ბუნებრივია...

— მადლობთ, პირველ შეკითხვას დაგისვამთ, რა წარმოადგენს თქვენი მოღვაწეობის ძირითად თემას?

— მოუმზადებელი ხარ მეგობარო, ჯერ პატარა ექსკურსია მინდა შემოგთავაზო. ჩვენი ყოფა რამდენიმე ნაწილად დავყოთ და ისე გავაანალიზოთ დღევანდელობა. ჩვენს სამყაროს ოთხი ფენომენი განაგებს. ესენია ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, შოვინიზმი და კოსმოპოლიტიზმი. ნაციონალიზმი, ეროვნული, ნაციონალური ნიშნით ყალიბდება და მას ერის ისტორია, მენტალიტეტი და ტრადიცია განსაზღვრავს. არ იფიქრო, რომ ნაციონალიზმი ერთგვარია, ნაციონალიზმის ძირითად ელემენტს ნაციონალური (ეროვნული) იდეოლოგია წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ რელიგიაზეა დაყრდნობილი და მიუხედავად ეროვნული ცნობიერების განვითარებისა უხვად შეიცავს რელიგიურ დოგმებს. ეს ფაქტორი უმეტეს შემთხვევაში ერის სიძლიერის და შიდა ეროვნული კონსოლიდაციის მძლავრი მუხტის მატარებელია, მაგრამ არის გარეშე ფაქტორებიც, რომლებიც ქვეყნის საზიანოდაა მიმართული. კერძოდ, ქვეყანაში სადაც ნაციონალიზმი, ანუ ეროვნული ფაქტორი მტკიცეა გარეშე ძალისთვის ქვეყანაში გავლენის (მიუხედავად იმისა რა სახის გავლენაზეა საუბარი) მოსაპოვებლად სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს, ამიტომ „პირველ დამრტყმელ“ ძალად ინტერნეციონალიზმი მოგვევლინება, რომელიც სოციალიზმის მახინჯი ფორმით „მიეწოდება“ საზოგადოებას. ინტერ-

ნაციონალიზმი სხვა და სხვა ეროვნების ადამიანების თანაცხოვრების და ურთიერთშემწყნარებლობის ფილოსოფიაა, მას საფუძვლად უდევს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა. შესაბამისად სხვა ერები ქვეყნის დომინანტ ერთან მიმართებაში თანასწორუფლებიანი ხდება და დომინანტი ერის ეროვნული ჰეგემონია მეორე პლანზე გადადის. ინტერნაციონალიზმს ერთი „განსაკუთრებული ფასეულობა“ გააჩნია, ეს სხვა ეროვნებების მიმართ „გულმოწყალებაა“ და ერთგვარი პრიველეგია, რაც საშუალებას აძლევს გარეშე ძალას მისთვის სასურველი ქვეყანას იდეოლოგიურ ბერკეტებზე ზეგავლენა მოიპოვოს, თუმცა სხვა მეთოდებიც არსებობს. შესაბამისად ინტერნაციონალიზმით ირღვევა ქვეყნის ეროვნული და იდეოლოგიური ნაციონალური ჰეგემონია. შედეგად ქვეყანა „რბილდება“.

იმისთვის, რომ ჰეგემონი ერის ეროვნული თვითშეგნება შეირყეს ან დაინგრეს, იყენებენ საკმაოდ აგრესიულ მექანიზმს, მას „შოვინიზმი“ ჰქვია. შოვინიზმი ძირითადად ორი სახის არსებობს, ეროვნული (ნაციონალური) და სახელმწიფოებრივი (გეოპოლიტიკური). შოვინიზმის ორივე სახეს ერთი „მისია“ აკისრია, ეს არი შიდა სახელმწიფოებრივი რღვევა, იდეოლოგიური ბარიერების მოშლა და რადიკალიზმის დამკვიდრებაა. რაც შეეხება გეოპოლიტიკას, ეს სახელმწიფოების მიერ ქვეყნების „საკუთარ“ წიაღში ადგილის მიჩენას გულისხმობს. ერის და ეროვნული „შოვინიზმის“ პერიოდში, სასურველი ქვეყნის ტერიტორიების მიტაცებას, ან მითვისებას, ან გავლენის აბსულტურ მონოპოლიზებას აქვს ადგილი და რაიმე „ფასეულობები“ მეორე ხარისხოვანია.

შემდეგ მოდის მისი უდიდულესობა „კოსმოპოლიტიზმი“. კოსმოპოლიტიზმი „სამყაროს მოქალაქეობას“ ნიშნავს და შესაბამისად რაიმე ეროვნულს, ნაციონალურს და თვიდმყოფადს გამორიცხავს. ყველასთვის არსებობს მხოლოდ ერთი კანონი, ყველასთვის იარსებებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო და უფლება, იყო ამ სამყაროს მოქალაქე. კოსმოპოლიტიზმი საკმაოდ მოქნილი იდეოლოგიური მანქანაა და ის თავსებადია ნაციონალურ, ინტერნაციონალურ და შოვინისტურ იდეოლოგიებთან. კერძოდ „ნაციონალიზმს“ ერგება როგორც ერთიანობის იდეოლოგიის მაკნინებელი, ასე ვთქვათ ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის ერთგვარ დანამატს წარმოადგენს, რომელიც სხვა ერებისადმი „ქედმაღალ შემწყნარებლობად“ გვევლინება.

ინტერნაციონალიზმის პერიოდში ერთა შორის ზღვარს შლის და ეროვნული ფასეულობების ნივილირებას გულისხმობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან. ამ პერიოდში პატრიოტიზმი ერთეულთა ხვედრია და საერო ერთსულოვნებისკენ მათი მეცადინეობა ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიაში ითქვიფება და საბოლოოდ „ულტრა ლიბერალიზმის“ ლუკმა ხდება.

შოვინიზმი ეს გრანდიოზულია, შიდა სახელმწიფოებრივი შოვინიზმი ერთა შორის კომფლიქტს წარმოქმნის, რასაც სახელმწიფო რღვევისკენ მიჰყავს, ხოლო გეოპოლიტიკურ ანუ სახელმწიფო შოვინიზმს, მეგა სახელწიფოების გავლენის სფეროების ზრდისკენ მივყევართ. ამ დროს მსხვერპლს მხოლოდ სტატისტიკური ღირებულება გააჩნია.

და ბოლოს კოსმოპოლიტიზმი ერთ პოლუსიანი მართვის სისტემაა. გარდა საერთო კანონებისა და მსოფლიო მოქალაქეობისა, აქვს კიდევ ერთი მახასიათებელი, „რელიგიათა შერწყმა“, ერთიანი რელიგიის შესაქმნელად, რადგან „რწმენა“ ადამიანის არსში დევს და მის გარეშე კაცობრიობის კონტროლი შეუძლებელია.

— იცით, თითქოს ყველაფერი გავიგე, მაგრამ საერთო ჯამში...

— ...ვერაფერი ვერ გაიგეთ...

— დიახ...

— ხვალ მობრძანდით და ყველაფერს ეტაპობრივად აგიხსნით...

— შევთანხმდით... მადლობთ...

— ნახვამდის... ხვალამდე.

დღე მეორე

... ნაციონალურის, ანუ ეროვნულის კლასიკური გაგებისგან მოდი თავი შევიკავოთ და მისი თეორიები მხოლოდ მაშინ გამოვიყენოთ როცა საჭიროდ ჩავთვლით. აი, შენ, ქართველი ხარ და იცი რას ნიშნავს ქართველობა? მოდი რელიგიას, ისტორიულ პიროვნებებს და ზოგად საკაცობრიო მისიებს თავი დავანებოთ, სხვა რაკურსით შევხედოთ თემას. ადამიანის ეროვნებას მარტო წარმომავლობა არ განსაზღვრავს. დაუკვირდი უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს. ეროვნებას მხოლოდ ერთი, მაქსიმუმ ორი თაობა ინარჩუნებს და შემდეგ სხვა ერის და სხვა კულტურის კუთვნილება ხდება, მხოლოდ გვარი

რჩება მისი რეალური წარმომავლობის დამადასტურებლ ელემენტად. იცი რატომ ხდეაბა ასე? იმიტომ რომ ენას კარგავთ. კარგავთ თქვენ „ფესვებთან“ საკომუნიკაციო საშუალებას და უცხოვდებით. ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით ერთი ერის ნაციონალურ ერთიანობას ენა განსაზრვრავს, მიუხედავად რელიგიური მრწამსისა და აღმსარებლობისა, ეროვნული იდეოლოგია და საერთო ისტორიული ფასეულობები „ენის“ მეშვეობით მტკიცდება. იცოდე, ერის წაბილწვა, ენის წაბილწვით იწყება. დააკვირდი როგორ მეტყველებენ ორატორები და ცნობადი სახეების უმრავლესობა. მათი სასაუბრო ენა „ქართული“ არ არის. კი, გაიგებ რისი თქმა სურთ, ან უარეს შემთხვევაში შინაარს მაინც გაიგებ. საკუთარი აზრის გამოხატვაც კი არ შეუძლიათ სრულყოფილად. ჩემო მეგობარო, „ენის“ ღირსების მსაზღვრელი ერის დამოკიდებულებაა საკუთარი კულტურისადმი, თქვენი კულტურა, ისტორია და ეროვნული რაობა „ენით“ იწყება და თუ მას წაბილწავთ, ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ ისტორიულ კუთვნილებად იქცევა, ან „კეთილ მოგონებების“ რიგს განეკუთვნება. არც თქვენი ლიტერატურაა წელში გამართული, არა იმიტომ, რომ თქვენი მწერლები და პოეტები ცუდად წერენ, არამედ მავანნი, პოპულარული „მოღვაწეთაგანნი“, იმას არ წერენ რაც ნაციონალურს განავითარებს და ეროვნულის აღზევებას შეუწყობს ხელს...

ჩვენ ვეძებთ და ვპოულობთ განათლებულ, ამავე დროს „იაფ“ მოღვაწეებს, მათ პოპულარობას ჩვენ ვუწყობთ ხელს(ალბათ პოპულარობა ხმამაღლა ნათქვამია), ეს ხალხი წერს, ჰქმნის ისეთ ნაწარმოებებს, რომელიც თქვენს სანუკვარს აკნინებს. წარმოიდგინე მწერალი, პოეტი, მსახიობი, რეჟისორი, მუსიკოსი, პოლიტიკოსი ან საზოგადო მოღვაწე, რომელიც ეროვნულს არ იზიარებს, ან ნაკლებად იზიარებს... კი არ აგინებს, არც ლანძღავს, არამედ არ „გთავაზობს“ და იცი ეს ფაქტორი რას იწვევს? „უცხოსადმი“ შეგუებას და „ეროვნულისადმი“ გადაჩვევას. დააკვირდით თქვენს ხასიათს, თქვენ უკვე შემგუებლები გახდით და ჩვენ ეს ხელს გვაძლევს, რათა ვიბატონოთ, ხოლო თქვენ, ნაციონალურს მხოლოდ სუფრაზე, ლამაზ-ლამაზ სადღეგრძელოებში თუ გაიხსენებთ და ფუთიანი ყანწებით შესვამთ ყოველივე ქართულის სადღეგრძელოს. მეცოდებით, რადგან ეროვნული სიამაყე ჩვენს მიერ შემოთავაზებულ „გართობაზე“ და „შოუზე“ გაც-

ვალეთ. „პრიმიტიზმი“ ეს არის ჩვენი შემოთავაზება, მას არც ფსიქოლოგიური „ჩხრეკა“ სჭირდება და არც გულდინჯი აზროვნება. ჩვენ „არაფერს“ გთავაზობთ და ამ „არაფერს“, თქვენ თავად სთავაზობთ აღტკინებულნი საკუთარ ღირსებას და ყოველივე ეროვნულს. მეტყვი ალბათ, ჩვენი ნაციონალური, ხალხური სიმღერებიო, ჩვენი პოლიფონიაო, ჩვენი დიადი მეცნიერები, მსახიობები, მწერლები, პოლიტიკოსები, გამომგონებლები, სამხედრო ისტორიასაც მოიშველიებ ალბათ და მეც დაგეთანხმები, მაგრამ შენი შვილიშვილი სასაუბროდ ჩვენს მიერ შეთავაზებული „ფასეულობებით“ ისაუბრებს, რადგან ნაციონალური, „სამუზეუმო ექსპონატად“ გარდაიქმნება მხოლოდ. მე მოვრჩი. ხვალ ნაციონალიზმის დოგმებზე ვისაუბროთ, არა, ფილოსოფიურად, არამედ სტანდარტულად, რათა გაიგო...

— მოძღვარო, დღევანდელი საუბარი უფრო სხვაგვარად წარმომედგინა...

— სხვაგვარად? ალბათ როგორც აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ხდება ხოლმე, ხომ? მე... მე ჩემი გითხარი... თუმცა ესეც, „შეაყარე კედელს ცერცვი“, უფრო ხმამაღლა ნათქვამი იქნება... ვიდრე... ახლა წადი და ხვალ ისევ ამ დროს შევხვდეთ...

— ნახვამდის მოძღარო.

— ნახვამდის...

სახლში მივედი. ტელევიზორი ჩავრთე. ვუყურებდი საინფორმაციო ბლოკს და იცი რამ გამაოცა, თურმე ვიღაც სტუმარი ჩამოსულა, პრემიერ მინისტრს შეხვედრია, რაზე ისაუბრეს კაციშვილმა არ იცის და კორესპოდენტმა ამის სათქმელად ათჯერ გამოიყენა სიტყვა „ანუ“ და წინადადება წინადადებას ვერ გადააბა, „და მოკლედ“, ცხრაჯერ გაიმეორა სიტყვათა მარაგის არმქონემ. მართალი იყო მოძღვარი, პრიმიტიზმი გვიტევს და ჩვენც ვნებდებით(?). ტელევიზორი გამოვრთე. ქართული ზღაპრების წიგნი ავიღე და გულდასმით დავიწყე კითხვა.

დღე მესამე

... ხო, ჩემო მეგობარო, ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ დიად თემებზე მაგრამ, ქართველების „ინტერნაციონალისტურ ტრფიალს“,

სხვა ერების შოვინიზმში გაძლიერება და შემდგომ მათი აღიარება მოჰყვა. მეკამათები? ნაციონალიზმი ეროვნულის დაცვაა, ხოლო ინტენაციონალიზმი, საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნულის უფლებების დაცვა. ჩვენთვის ორივე ფენომენი მიუღებელია და თუ საქმე დავას ეხება, ეს კომფლიქტები, შეხედულებათა ჭიდილი, მხარეები... ეს ჩვენთვის მხოლოდ დაკვირვების და შემდგომი მოქმედების საგანია. თუ კი შოვინიზმს მისცემ გასაქანს, ერთა შორის ბრძოლა, ნაციონალურ ინტერესებს შეიწირავს და ინტერნაციონალურ ასპარეზზე ეროვნულ თვითშეგნებას ლოიალურს გახდის. შესაბამისად საერთაშორისო, ესეიგი ჩვენი კანონები განსაზღვრავენ „დღის წესრიგს“. ხშირად დიდი რეფორმატორები, „პატრიოტების“ სტატუსით სარგებლობენ და თანამედროვე ცხოვრებაში რეფორმატორი კოსმოპოლიტიზმის იდეებით სულდგმულობს. საინტერესო იცი კიდევ რა არის? ის, რომ შოვინისტები, რომლებიც სხვა ერების უფლებებს უარყოფენ კოსმოპოლიტების „იარაღს“ წარმოადგენენ. რადგან მხოლოდ ერთა და სახელმწიფოთა კომფლიქტი იწვევს დამატებით მხარეთა ჩართულობას და შესაძლებელია ომსაც. ეს კი მისაღებია, რადგან რაც მეტია კომფლიქტში მონაწილე მხარე, მით მეტია საერთაშორისო კანონების გამოყენების აუცილებლობა, მაშასადამე აქაც ჩვენ გამოვდივართ ასპარეზზე. თუმცა არსებობს სახელმწიფოთაშორისო ინტერესთა კოფლიქტი, მნიშვნელობა არა აქვს როგორი სახით ხდება მხარეების ჩართვა „პოლიტიკურ ბატალიებში“, მთავარია, რომ რომელიმე მხარე სუსტდება... გამოსავალი ისევ საერთაშორისო სამართალია. საერთაშორისო სამართალი კი ჩვენი კანონებია და მსოფლიო მიეჩვევა მას, შესაბამისად „ადგილობრივი“ კანონები საჭირო აღარ იქნება. ეს უფრო დიდი თემაა და ეხლა ამისთვის მზად არა ვარ.

რაც შეგეხებათ თქვენ, ქართველებს, საკუთარი უფლებებს, საკუთარ ქვეყანაში ვერ იცავთ და ეროვნულის შელახვას მოთმინებით იტანთ და იცით ეს რას ნიშნავს?

ნაციონალურისთვის, ეროვნულისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას. ინტერნაციონალისტებიც მხოლოდ ჩვენ ვართ, ჩვენ ვართ მებაირაღენი მსოფლიოში და ერებისთვის მათი საკუთარი, ეროვნული სიწმინდეების გათელვის ხარჯზე რომ დავამყაროთ მშვიდობა და შევქმნათ ერთიანი მსოფლიოს მოქალაქეთა უფლებათა კანონები...

— თქვენ უღვთო მოძღვარი კი არა ნამდვილი ნაძირალა ბრძანდებით.

აღმომხდა გაბრაზებულს.

— ჭაბუკო! თქვენი „დედა ენა“ წაგიკითხავთ?

— არა...

— ხოდა წაიკითხე... ისტორიის სახელმძღვანელოს წაკითხვაც არ დაგავიწყდეს... დასკვნები მერე გამოიტანე. ჩვენი ძლიერება თქვენი ზნედაცემულობის ხარჯზე იკრებს ძალას. მშვიდობით მეგობარო.

უცნობი — ნაცნობი

ტელევიზორი გამოვრთე. გადაცემამ განსაკუთრებული გრძნობა გაამეფა ჩემში. არ დავმალავ, უიმედობამ შემომიტია. ჩემს მეგობარს გადავხედე, დივანზე ჩამომჯდარიყო და ვეება ტორებში ჩაემალა სახე. მდუმარედ შემომხედა. მის თვალებში გაოცება ან..., არა, კითხვებზე პასუხის მომლოდინე კაცი დავინახე. მან წყალი მოსვა. ერთ ხანს მდუმარენი ვისხედით. ნანახს ვაანალიზებდით... დუმილი ჩემმა მეგობარმა დაარღვია...

— რა გვჭირს გიორგი?

— რა გვჭირს? ყოველგვარი ეროვნულისთვის ტალახის სროლა, თავაწეული მონების და ვასლების ერთ-ერთი საშუალებაა ერთგულება დაუმტკიცონ საკუთარ „უცხო ბატონს“...

— გიორგი, როცა საერო ცხოვრებაზე უარი ვთქვი და სასულიერო ცხოვრება ავირჩიე, დღეს მორჩილებაში მყოფმა, ეკლესიურ მოვალეობად ქვეყნისა და ერის სამსახური დავისახე მიზნად, დღესაც „აქა ვდგევარ“. იცი რა მაოცებს, რომ დღეს გარეშე ბატონის ნებით „გაიცემა ნებართვა“ ერისკაცობაზე და პატრიოტიზმზე...

— მთლად მასე არაა მეგობარო...

მეგობარს გაეღიმა.

— გიორგი, ჩვენში ცხვრებზე მეტი მწყემსია, მწყემსს კი ქოფაკთა ჯოგი ახლავს თან და ამიტომაც არ წყდება გნიასი, მგელი კი უდრტვინველად იტაცებს ცხვარს...

— მწყემსიო ახსენე, ისინი ვინც „მწყემსობისთვის“ იბრძვის ხშირ შემთხვევაში მედროვენი არიან და მათთვის სულერთია ვის ემსახურება, მხოლოდ ფულს და მდგომარეობას აქვს მათთვის მნიშნელობა.

— გეთანხმები. აგერ, უყურებთ ჩვენ განმანათლებელთ, თუ როგორ ცდილობენ თაობების აღზრდას „უცხო“ მეთოდებით, ნამუსის ქუდი სურთ რომ მოხადონ ვაჟებს და მანდილი გაათელინონ ასულთ, ადამიანის სულიერი სამყარო ბავშვობაში თუ დამახინჯდა მისგან „პიროვნებას“ ნუღარ ელი. ალბათ ესეცაა მიზანი... ჩვენში „დაბოლების“ პოლიტიკა მეფობს რადგან „ეროვნული ცეცხლი“ ბჟუტავს გიორგი.

— ასეა, სამწუხაროდ ასეა...

— მერე, შენ რას შვრები? „მწერალი ვარო“ იძახი, თავიც მოგწონს ალბათ, ხიბლში ხომ არ ჩავარდი მეგობარო?

— არა, ჩვენც ვიბრძვით, მხოლოდ ასპარეზი დაგვიმოკლეს ფრიად... მე და ჩემნაირები „მასოვკაში“ მოგვაქციეს და ალბათ შესაფერის დროს ელიან, ჩვენზე, „ეშმაკებზე“ ნადირობის სეზონი რომ გამოაცხადონ.

— ხოოოო...

— დღევანდელობა ლომების წინაღამდეგ ამხედრებულ ცხოველთა ბრძოლას წააგავს შემდგომ ტურები რომ გამეფდნენ, რამეთუ ტურები ბევრნი არიან...

— კარგი ნათქვამია „ლომო“... იმ კაცზე რას მეტყვი...

— რა გითხრა? საქართველოში ვინც ფულის დაგროვება ისწავლა ხელმოცარულნი ასწავლიან ანგარიშს...

მეგობარმა გადაიხარხარა.

— კარგი ნათქვამია გიორგი. გამიგია ძაღლი ძვალით რომ სცემო არ ეწყინებაო, მაგრამ ძაღლების მეგობრობა მათთვის ერთი გადაგდებული ძვალით მთავრდება იცოდე. ჩვენ კიდევ ერთი ჭირი გვჭირს გიორგი, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ გარკვეულა რომელ ნაპირზე დადგეს და „უარმყოფელი“ მდინარე იტაცებს მათ... გიორგი, ამდენი ხანია სამწერლო ასპარეზზე ხარ გამოსული და რომელიმე პრემიის ლაურიატი თუ გამხდარხარ როდისმე?

— კი (გამეღიმა მე) „უსახელო პრემიის“ ლაურიატი ვარ, ისე როგორც ბევრი სხვა...

— სადღაც წავიკითხე, „უარყოფა მათი წესია ვისაც შექმნა არ შეუძლიაო“.

— ალბათ, ასეა... ასეა...

— კომფერენცია რომელ საათზეა დაგეგმილი?

— შვიდ საათზე დაიწყება...

— რომ დავესწრო ხომ არ გეწყინება?

— არა...

— მინდა დავესწრო და... შენ არ მიცნობ, მე არ გიცნობ...

— როგორც ინებებ...

კონფერენცია მწვავე დებატებში გადაიზარდა. ქვეყანაში მცხოვრებ უმცირესობათა უფლებებს იცავდნენ მავანნი, მავანნი ქვეყნის ტრადიციების რევიზიას სთავაზობდნენ საზოგადოებას, თავისუფლების „მეხოტბენი“, „სიტყვათა ბაირაღს“ დააგელვებდნენ აზრთა ჭიდილის ქარიშხალში. „... თავისუფლება...“, თემა დათარეშობდა კიდით კიდემდე. დავაკვირდი, „ვიღაც უცნობი“ ბერის ჩოხაში გამოწყობილი დაიძრა ტრიბუნისკენ, სხვები თითქოს ვერც ამჩნევდნენ მის არსებობას. დაუბრკოლებლად მიუახლოვდა ტრიბუნას და მიკროფონზე თითით დააკაკუნა, დინამიკებმაც უცნაური ბოხი ხმით უპასუხეს „უცნობს“. დარბაზი დადუმდა, მრავალი წყვილი თვალი ინტერესით შესცქეროდა... — გისმენთ თქვენ და მიკვირს უმეცრება სწავლულთა, რამეთუ გონება თქვენი არს არა მსახურად ერისა, არამედ მსახური „უცხოთა“, რომელთაც იწვევთ ბატონად რაითა ეყმოთ. მე მინდა გკითხოთ თქვენ, გინახავთ კი სასოწართმეული, მიწა წართმეული, გასხვისებულ სამშობლოში თავისუფალი ყმა? რატომ თლით უღელს ქედზე დასადებად, როცა არავინ გთხოვთ ამას? რისთვის გსურთ სხვისი „უბადრუკი“, საკუთარი საუნჯის სანაცვლოდ? რატომ უარყოფთ წესს უფლისმიერს დედაკაცისას და მამაკაცისას ასე უზნეოდ? სხვის მიერ ნაბოძები „მონური თავისუფლების“ სანაცვლოდ, რად გსურთ განისყიდოთ უფლება იყოთ პატრონი საკუთარი მიწისა, ცისა და ქვეყნისა? რაოდენ დაეცით თქვენ. პასუხს რას აძლევთ შვილთა თქვენთა, შთამომავალთა თქვენთა, რამეთუ ხიბლის სიბილწით საუკუნო მონობის უღელს უმზადებთ მოყვასს ერისას. ემიგრანტები უცხოეთში სათვისტომოებს ჰქმნიან რათა არ დაკარგონ ქართველობა, თქვენ? ზნედაცემული ფიქრით და უცხოთა მსტოვრობით და მათ მიერი საქმით,

საკუთარ მიწაზე გადაიქცევით ემიგრანტებად და ალბათ დიასპორებსაც შეჰქმნით, „ვაჰ დრონი დრონი“-თ, ცრემლით იგლოვებთ სამშოლოში სამშობლოსთან გაუცხოვებას... დაფიქრდით, დაფიქრდით, დაფიქრდით...

„უცნობმა“ ლაპარაკი შესწყვიტა, ერთი გადმოგვხედა მკაცრი თვალებით, ალბათ უფრო სევდით ან... მობრუნდა და დარბაზის გასასვლელისკენ გაემართა. დარბაზის კართან ისევ შეჩერდა, ხალხს გადახედა და წარმოსთქვა „მონობის მოტრფიალე მეცნიერნი“. გარეთ გავიდა და კარი მიიხურა.

რამდენიმე წუთში მობილურ ტელეფონში შეტყობინება მივიღე:

„ნათქვამია. „ადამიანებს საკუთარი ღირსების შესაბამისი მსხვერპლის გაღება უწევთ“. დაფიქრდით...“

ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

მაშინ მხოლოდ მეხუთე კლასში ვიყავი. გუგულივით ჩემს გულში რომ დაიდო ბინა პირველმა საოცარმა მონატრებამ, ერთი გოგო მენატრებოდა, დიდი ბრდღვიალა თვალები ჰქონდა, მრგვალი პირისახე, ცოტათი გაბუტული ტუჩები და ხანდახან მოწყენილი ანგელოზური მზერა. ყოველთვის ცდილობდა სერიოზული ყოფილიყო. იყო კიდევაც... ის ფრიადოსანი და კლასში გამორჩეული მოწაფე იყო. ვბორგავდი, რა მინდადა მე თვითონ არ ვიცოდი. ან ეს დაუძლველი წყურვილი, კიდევ ერთხელ მეხილა, რას ნიშნავდა? შავი „ლაკის“ ფეხსაცმელს იცვამდა უმეტესად, აი „პრიაჟკიანს“ რომ უწოდებდნენ თუ გახსოვთ? მუქი ლურჯი კაბა ემოსა ასულს, ორი ზოლი მიჰყვებოდა კაბის კიდეში, ერთი, ნათელი მოყვითალო ფერის იყო და მეორე, წითელი. პერანგი თეთრი, ქათქათა, როგორიც თავად იყო ასული. წინ, მკერდზე და საყელოზე დაქარგული მაქმანები განუმეორებელ მშვენიერებას ჰმატებდნენ ჩემთვის ისედაც იგავ-მიუწვდომელ ასულს. მუსიკაზე დადიოდა ჩვენს სკოლაში არსებულ მუსიკაურ შვიდწლედში. ჩემთვის მისი კიდევ ერთხელ ხილვა თავიდან დაბადების ტოლფასი იყო და მეც ასე ამოვყავი თავი იმ საფორტეპიანო კლასში, თავს

აღარ შეგაწყენთ ჩემი მუსიკალური „წარმატებების“ შესახებ მოყოლით, მხოლოდ იმას დავსძენ, რომ სასკოლო „კონცერტზე“ მე და მას ერთად უნდა დაგვეკრა კომპოზიტორ კაბალევსკის რაღაც მელოდია, მერე იცით რა მოხდა... როცა ვუკრავდით, ის მთელი არსებით მუსიკაზე და კლავიშებზე იყო კონცენტრირებული, მე კი მას ვუყურებდი და ღმერთმა იცის რას ვუკრავდი. „ეს ბიჭი შეყვარებულია“, უტყუარი დიაგნოზი დამისვა დამსწრე საზოგადოებამ. „ის“ გამიბრაზდა, „ცუდი ბიჭი ხარ, აღარ გელაპარაკებიო“ მითხრა და „პაკაპუკით“ გაიქცა დედამისისკენ. თვალზე ცრემლები მარგალიტებივით ეკიდა და წამწამები „მარგალიტის“ მძივებით იყო მოოჭვილი სრულიად. თავის მოკვლა მინდოდა, ვერც ბოდიში მოვუხადე... დედამ სახლში სულ საყვედურებით წამომიყვანა, „შენი გულისთვის ბავშვი რა დღეში ჩავარდაო“... ეს ამბავი 38 წლის წინ მოხდა.

ისტორია მეორე

მერვე კლასში ვიყავი, გადამრია ამ გოგომ. ძმურად გეტყვით, ისე შემოგხედავდა და მერე ღიმილსაც ისეთი ეშხით მომაფრქვევდა ტანში ჟრუანტელი ტორნადოსავით დამირბენდა ხოლმე. უარს ვერ ეტყოდი თხოვნაზე, გაგებუტებოდა და კუპრივით შავი თვალებით ისეთი სევდით მოგაცქერდებოდა რომ... რომ ეთქვა კლდიდან გადავარდიო ყველაზე მაღალ კლდეს ავირჩევდი უცილოდ. მაშინ რაგბზე დავდიოდი. აწყვეტილი ბუღასავით ვიყავი. ჩემს მეგობრებს ვუთხარი: „მე ის მიყვარს... სიგიჟემდე მიყვარს... იცით რა მითხრეს ამ ტუტუცებმა? ბიჭო შენ სულ გადაირიე? ეს ანგელოზივით გოგო გინდა გადარიო?! შენისთანა ტირანის ხელში გინდა დააჭკნო ეს მშვენიერებაო“, გადავირიე კაცი. ისეთი სიტყვებით „დამახასიათეს“, კინაღამ „მასთან“ მივედი და სიყვარულისთვის ბოდიში მოვუხადე. მეთქვა „მისთვის“?... ეგებ და ჰაააა...

დიდხანს ვებრძოდი თავს... საოცარი ის იყო რომ მან ყველაფერი იცოდა და... ეჰ...

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

მართლა მიყვარდა... მთელი გულით და აქაც ფიასკო. ბიჭებმა მითხრეს ჩვენს ძმაკაცზე, „ჭკუაზე არ არისო, ისე უყვარსო“. მერე... თურმე მასაც მოსწონდა.... ამ გოგოს გულისთვის რამდენჯერმე გულ-ჯიგრიანადაც ვიჩხუბე ჩემი ძმაკაცის მაგივრად. მერე... და მერე... სკოლა რომ დავამთავრეთ გათხოვდა. სხვა, ცოტათი ჩვენზე უფროს ჩვენივე სკოლელს გაჰყვა ცოლად.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

მიყვარდა... ჩემი სირცხვილეულობით ჯიგარი მეწვოდა, თქმას ვერა ვბედავდი და ერთხელაც კლასში გაკვეთილების მერე მივედი და ვუთხარი:

— რაღაც მინდა გთხოვო და უარი არ მითხრა.

— რა გინდა?

ჟუჟუნა თვალები ისე შემომაცეცა კინაღამ დავიბენი.

— შენ ყველაზე მაგარი ხარ ქართულში და გთხოვ, ერთ გოგოს სიყვარული მინდა ავუხსნა და... მოდი ვითომ შენ „ისა“ ხარ და... მოკლედ მითხარი როგორ სჯობია..

— კარგი, დაიწყე...

მთელი სერიოზულობით მითხრა მან.

საქმე იმაში მდგომარეობდა ჩემო ძვირფასებო, რომ მთელი კლასი ჩვენ შემოგვყურებდა გასუსული და მეც დავიწყე... ვერ გეტყვით საიდან მოდიოდა ეს სიტყვები, ან ამდენი ემოცია როდის დაგროვდა ჩემში, რომ ფინალურ მომენტში მოვეხვიე და ვაკოცე...

— კარგი იყო, დამაჯერებელი და ემოციური, მაგრამ კოცნა ნამდვილ დათვურ დატორვას უფრო ჰგავდა, ვიდრე ალერსს, მე გეტყვი, მუხლი მოიყარე და ხელზე ემთხვიე იმ გოგოს.

დამარიგა ჭკუა...

მეც მუხლი მოვიყარე და ხელზე ვემთხვიე.

— ბიჭო! მე კი არა, იმ გოგოს, ვინც შენ გიყვარს.

მოწყალე ღიმილთ განმიგმირა გული.

— ვერაფერს მიხვდი?

ვკითხე თითქმის მუდარით.

ის შეცბა. გაკვირვებული თვალებით მიმზერდა და მითხრა:

— გოგიტა, ეს სპექტაკლი საჭირო არ იყო, ვიცი რომ გიყვარვარ... კარგი ბიჭი ხარ... მადლობთ....

მერე თითის წვერებზე აიწია და ჩემს აცახცახებულ ლოყას ტუჩებით შეეხო. ჩვენი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი ოჯახი სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად.

კიდევ გავაგრძელებ ალბათ....

ჩიტო ჩიტო ნაცარა

— დილით ადრიანად ავდექი. ჯერ ბავშვი უნდა წამეყვანა საბავშვო ბაღში, მერე კი სამსახურში კისრისტეხით უნდა გავქცეულიყავი. ჯერ ძინავს პატარა „დედოფალს“, არც დედამისი აპირებს დილის ძილზე უარის თქმას. ჩაიდანი გაზქურაზე შემოვდგი და მოთმინებით დაველოდე მასში ჩაჩქაფუნებული წყლის ადუღებას. მერე იცი რა „დუსტვინა“ ამ ჩაიდანმა? მთელი ოჯახი „სმენაზე“ დააყენა. ჩემი „კნეინას“ ნამძინარევი სახე შემომეფეთა და „დილა მშვიდობისას“ მაგივრად „რას დაგვაწიოკეო“ მისაყვედურა. მერე მოწყალებაც მოიღო, „ბავშვს ბაღში მე წავიყვან და შენ შენს საქმეზე წადი არ დაგაგვიანდეს“-ო ასე მითხრა. ხოდა რაღა ბევრი გავაგრძელო ანანო და დედამისი ბაღისკენ „პარიზული“ მარშით წავიდნენ. ორივე მოკაზმულები, დახატულ-მიხატულები და ამათგან უფროსი, სუნამოთი იყო აქოთებული. მათთან ერთად მეც ეზოში ჩავედი. ჩემი მანქანის ძრავას „ვახურებდი“ და თან ჩემი „დედოფლების“ თავმომწონე და ამაყი მსვლელობით ვტკბებოდი. იცი რა ლამაზები იყვნენ“? მხოლოდ პეკინის ქუჩა უნდა გადაეჭრათ დედა-შვილს და ბაღიც იქვე იყო, ყურის ძირში... გულმა რაღაც „რეჩხი მიყო“. მანქანა „ჩავაქრე“ და მეც უკან გავყევი ჩემს ქალბატონებს. ეზოდან გასული არც კი ვიყავი, საშინელი მუხრუჭის ხმამ და ბავშვის განწირულმა კივილმა გახია ზეცა. გიჟივით გავქანდი პროსპექტისკენ... ხალხი შეკრებილიყო, პატრულის თანამშრომლები ხალხს აშოშმინებდნენ და... იქვე მოვლენის ეპიტცენტრში ტაქსი შევნიშნე... ჩემი ანანო მანქანის საბურავთან ჩაცუცქულიყო და ღიმილიანი თვალებით შეჰყურებდა ხალხს... „პეკინზე“ არნახული საცობი შეიქმნა...

— ბავშვი გაიტანა...

— არა გაჩერებაზე ავარდა და ხალხს დაეჯახა...

— ნეტა რამდენი მანქანა დაიმტვრა?...

— გიჟებივით დადიან, ეგ მანქანა თავზე უნდა დააღუნო მაგათ...

— თვალები მიხატული აქვთ ამ შობელძაღლებს...

— ვაიმე მოკვდა ვინმე?...

— არა არ მომკვდარა...

— ვაიმე რატოოო?..

— ქალო ტვინი გააქვს თავში?

— უზრდელი, ფუი...

მეტი აღარ მისმენია ხალხისთვის, ბავშვთან მივარდი...

— ანანო მამიკო... რაიმე ხომ რ იტკინე? მითხარი მამა, გადავირიე კაცი...

ბავშვმა ღიმილით შემომხედა და თავისი „ჭიკჭიკა“ ხმით მითხრა:

— მამიკო შეხედე ჩიტი, პატარა ჩიტუნია, კინაღამ იმ ძიამ მოკლა..

— ვინ ძიამ მამიკო?

და ბავშვმა ტაქსის მძღოლისკენ გაიშვირა თითი. მძღოლს შევხედე ადამიანის ფერი არ ედო. პოლიციელები გვერდში ედგნენ ცოცხალ-მკვდარ კაცს...

— ბატონო, ცუდად ხომ არ ხართ?

მიმართა პოლიციელმა მძღოლს.

— გული...

ძლივს ამოღერღა მამაკაცმა.

— დაბრძანდით მანქანაში, ყველაფერი კარგადაა, არ ინერვიულოთ... ბატონო... ეხლავე სასწრაფო მოვა...

ანერვიულდა პოლიციელი.

— ვინ არის ამ ბავშვის მამა ან დედა?

იკითხა მეორე პოლიციელმა.

— მე ვარ ბატონო.

ხმის კანკალით მიუგე მე.

— ბავშვმა პირდაპირ, ამ გაგანია მოძრაობაში მოინდომა სავალ ნაწილზე გადმოსვლა... კინაღამ მანქანამ გაიტანა, შენ თვალები არ გქონდა? დაღუპეთ კინაღამ კაცი.

ვხედავდი პოლიციელი წონასწორობას კარგავდა.

— ბოდიშით ბატონო, ბავშვი ბაღში დედას მიჰყავდა და...და...ხელი გააშვებინა.

ძლივს ამოვღერღე მე.

„სასწრაფოს“ მანქანა წივილ-კივილით მოარღვევდა ქუჩას...

— სად არის დაზარალებული?

იკითხა ოფლში გახვითქულმა ექიმმა.

— აი, ის, ტაქსის მძღოლი, გული აქვს ცუდად.

უპასუხა პოლიციელმა.

ექიმები მძღოლს მიცვივდნენ...

ვხედავდი როგორ უყვებოდა ჩემი „ნაცნობი“ პოლიციელი ექიმს მომხდარის შესახებ... ანანოს შევხედე. ხელში ის პატარა ბეღურა ეჭირა და ეფერებოდა... გავბრაზდი...

— ანანო, ეხლავე მიდი იმ ძიასთან და ბოდიში მოუხადე.

ვუთხარი ბავშვს და ტაქსის მძღოლზე მიუთითე.

ანანო მამაკაცს მიუახლოვდა...

— ბაბუაااა, მე ცუდი გოგო არა ვარ, არ გამიბრაზდე ხოოო, აი ჩიტი, მე ის გადავარჩინე..

— კი ბიძია, მაგი კი გადაარჩინე, მარა კინაღამ მე მომკალი.

უპასუხა მძღოლმა და ნაძალადევი ღიმილით გაუღიმა ბავშვს.

— შეხედე, რა ლამაზია... ნუ გამიბრაზდები ბაბუა გთხოვ, თორემ მამაჩემი გამტყეპავს.

ერთი ამოიკვნესა ანანომ და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა, მერე მძღოლთან მივიდა და გულში ჩაეკრა...

— კაი ბაბუა, დაწყნარდი, ნუ გეშინია არ გაგიბრაზდება მამაშენი, ნუ ტირიხარ, ჩემი კარგი გოგო.

მოეფერა ტაქსის მძღოლი ბავშვს.

გაუთავებელი და გაბმული საყვირების ხმა ასკდებოდა „პეკინის“ ქუჩას. მსგავსი საცობი ჯერ არ „დასიზმრებია“ თბილისს.

ანანო ჩემთან მოვიდა, თავი ჩამოეკიდა და ზლუქუნით ტიროდა პატარა.

— მამიკოოო, დედიკოს უთხარი რა�ა, არ მომწიწკნოს თმებიიიი, არც ჩიტი წამართვას...

ამის შემხედვარე მე ვის გავუბრაზდებოდი? დედამისს! რა საკვირველია.

ის დღე როგორც იქნა ნორმალურად „ჩავატარეთ“. საღამოს 9 საათი იქნებოდა კარზე ზარის ხმა გაისმა, კარები გავაღე და ჩემი „ნაცნობი“ პატრული შემრჩა ხელში.

— მობრძანდით.

შემოვიპატიჟე სახლში

— არა ბატონო, მადლობთ... აი ეს გალია... მიეცით თქვენ ასულს, ახლა ის ჩიტი რომ გაუფრინდეს საავიაციო კატასტროფის მიზეზი არ შეიქმნას...

მითხრა პოლიციელმა და უხერხულად გამიღიმა. გამეღიმა მეც. გალია გამოვართვი, ანანომ კი დიიდი მადლობა მოუხადა ძიას. ერთი ბოთლი კონიაკი ვაჩუქე ამ საოცარ კაცს და ანანომ კი ვერ წარმოიდგენთ, ოთახში გაცუნცულდა და თოჯინა მიურბენინა დარცხვენილ სამართალდამცავს. „შენს შვილს წაუღე ბიძია, უთხარი ანანომ გამოგიგზავნა-თქო“, თანაც ლოყაზე აკოცა პოლიციელს...

იმ დილით კი... საპატრულო პოლიციის ოპერატიულ სამმართველოში ქუჩაში დამონტაჟებული კამერებით აკვირდებოდნენ სიტუაციას. ცვლის უფროსი ბატონი დიმიტრი საოპერატორო დარბაზში გამოვიდა პეკინის ქუჩაზე მომხდარი შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად და

— გისმენთ.

ბრაზნარევი ხმით ჩასძახა ყურმილში ოჯახის მამამ.

— ბატონო გოჩა სამშობიაროდან გაწუხებთ, სასწრაფოდ მობრძანდით გთხოვთ.

უპასუხა ქალის ხმამ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით ქალბატონო?

— პალატის ექიმი ქეთევან შანიძე გაწუხებთ, თქვენი აქ ყოფნა აუცილებელია.

— მოვდივარ...

გოჩამ ყურმილი დაახეთქა. ერთ ხანს იყუჩა და პატარა გურამიკოს მიმართა:

— შვილო სასწრაფოდ ჩაიცვი, დედიკოსთან მივდივართ.

— ჩემს დაიკოს დაემართა რაიმე? რა მოხდა?

— არ ვიცი, დროზე ჩაიცვი.

პირველ ფიფქებს დაეპენტათ თბილისი, ჯერაც შეუბღალავი თეთრი „ქათიბი“ დაეფინა ზამთარს ქალაქის ქუჩებში. დიდრონი ხეები ჭარმაგი მოხუცებივით, თმათოვლით მოსილინი, კეთილი გოლიათებივით ჩამწკრივებულიყვნენ ქუჩების გასწვრივ და მდუმარედ ესალმებოდნენ პირველ თოვლის. ქუჩაში გავიდნენ მამა და შვილი. სიცივეს შეეწუხებინა პატარა. მამის ხელს ძალუმად ჩაბღაუჭებოდა პატარა კაცი, ფეხი რომ არ დასცდენოდა გზაზე. სამშობიაროს კარს მიადგნენ. დარაჯს სთხოვეს, ქალბატონ ქეთევანისთვის მათი მოსვლის შესახებ ეცნობებინა. დარაჯმა საავადმყოფოს კარები გააღო და სტუმრები დარბაზში შემოუშვა. მოხდენილი ნაბიჯით მოემართებოდა ექიმი სტუმრებთან შესახვედრად. აღელვებული სჩანდა დასტაქარი. გოჩას ხელი ჩამოართვა და მამა-შვილი კაბინეტში მიიწვია.

— ბატონო გოჩა...

მძიმე ხმით ამეტყველდა ექიმი.

— ბავშვს სასწრაფო გადასხმა უნდა გავუკეთოთ, მე მესმის რომ რასაც ეხლა გეტყვით თქვენთვის მძიმე მოსასმენია, მაგრამ სიმართლე უნდა იცოდეთ. ბავშვს რეზუს უარყოფითი, პირველი ჯგუფის სისხლი აქვს. დედის და თქვენი სისხლი ბავშვისთვის არ არის თავსებადი. სისხლის ბანკს დავუკავშირდით და არც მათ აქვთ ეს ჯგუფი... თუ გადასხმა დროზე ვერ გავაკეთეთ ბავშვს დავკარგავთ...

გოჩა გაფითრდა, გრძნობდა როგორ უკანკალებდა სხეული.

— რას მთავაზობთ ექიმო?

ზარდაცემული ხმით ამეტყველდა მამა.

— იქნებ თქვენს ნათესავებს, ან ნაცნობ მეგობრებს აქვთ ეს ჯგუფი.

ექიმსაც დაეტყო შფოთვა.

— დედაჩემის სისხლია... დედა გარდამეცვალა შარშან...

სიტყვებს ვერ უყრიდა თავს გოჩა.

— ეხლავე სახლში დავბრუნდები და ტელეფონით დავუკავშირდები ყველას... ვაიმე, მამიკო გენაცვალოს ჩემო გოგო...

გურამიკო მიხვდა რომ რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა, ოღონდ მისი და, რატომ უნდა დაკარგულიყო ვერ გაეგო პატარას. მამას დაეკვირდა ბავშვი, მამიკო ტიროდა. ექიმი დეიდაც ნერვიულობდა და მოაგონდა...

— მამაააა, ბებია მეუბნებოდა „ჩემი სისხლი და ხორცი ხარო“ და „ერთი სისხლი გვაქვსო ორივეს“...

— მე უფლება არ მაქვს ექვსი წლის ბავშვს სისხლი ავუღო...

შეშფოთდა ექიმი.

— დეიდა მე ჩემს დაიკოს უნდა მივცე... მერე ის ხომ კარგად იქნება?

იკითხა გურამიკომ

— კი, მაგრამ უფლება არ მაქვს ბატონო გოჩა...

— ამომიღეთ.

ბრძანა ბავშვმა.

— ის ჩემი დაა და არ მენენება...

ექთანმა გურამიკოს სისხლის თავსებადობა დაადასტურა. ლაბარატორიაში შეიყვანეს ბავშვი, მამიკოც თან ახლდა. იქვე მოშორებით მიუჩინეს ადგილი გოჩას... ექთანი პროცედურისთვის მოემზადა...

— დეიდა სიკვდილი მტკივნეულია?

მიმართა ექთანს გურამიკომ.

— რაააა?

გაოგნდა ექთანი.

— ეს რატომ მკითხე პატარა?

— სისხლს რომ ამომიღებთ მე ხომ მოვკვდები?!

ოდნავ მოწყენილი მაგრამ მტკიცე ხმით უპასუხა ბავშვმა.

— ჩქარა დეიდა, ამომიღეთ... და.. და ჩემი დაიკო გადაარჩინეთ...

ექთანს ნემსი ხელში შაცივდა. ბავშვმა ჯერ ნემსს დახედა, შემდეგ მამას მიაპყრო მზერა, გაუცინა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

— მე ამას ვერ ვიზამ.

ანერვიულებული ხმით წარმოთქვა ექთანმა.

— თქვენ თვითონ... ქალბატონო ქეთევან... ეს ბავშვი გამაგიჟებს... ის... მას ჰგონია რომ მოკვდება და მზად არის ამისთვის...

— დაწყნარდით, დაწყნარდით.

მიმართა ექიმმა ატირებულ ექთანს.

— წაბრძანდით და დაისვენეთ, ეტყობა გადაიღალეთ...

პროცედურა მორჩა. ორმოცდაათი გრამი სიცოცხლის ელექსირი გადასასხმელად მზად იყო. სპირტიანი ბამბა დაადეს გურამიკოს ნანემსარზე...

დილა გათენდა, მშვიდი ძილით ეძინა პატარა დონორს მამის მკერდზე. გოჩა ფრთხილად ეფერებოდა მძინარე ბავშვს „მადლობთ შვილო, უკვე კაცი გამზრდილხარ და მე კი ეხლა მივხვდი ჩემო ვაჟკაცო.

შუადღე მოწეული იყო გურამიკომ რომ თვალები გააჭყიტა. მიმოიხედა და იქვე სარკმელთან მდგარ მამას მიმართა:

— მა�ა, ბავშვი როგორ არის?

— გაიღვიძე მამიკო? ექიმმა მითხრა რომ ყველაფერი კარგად იქნებაო...

ოთახში ქალბატონი ქეთევანი შემობრძანდა, ხელში თეთრი ხალათი ეჭირა.

— ბატონო გოჩა, მე ყველა წესი დავარღვიე როგორც ექიმმა და ამ პატარა ცოდვასაც მომიტევებენ მგონი... თქვენი მეუღლე გიხმობთ, თქვენ და გურამიკოს...

პალატის კარები შეაღეს მამა-შვილმა. გურამიკო მორცხვად მიეტუზა კედელს. იქ უცხო „დეიდებს“ შეავლო თვალი...

— გურამიკო, მოდი შვილო.

მიმართა დედამ ვაჟს.

— გაიცანი შენი დაიკო...

გურამიკო ახალშობილს დააცქერდა...

— დედა, ის ძალინ პატარაა... ნეტა ცოტა დიდი იყოს... ვეთამაშებოდი.

— გაიზრდება და მერე ეთამაშე დედიკო...
— რა ჰქვია მაგას დედა?
— სახელი შენ დაარქვი...
— ქეთი... ქეთი დაავარქვათ
— რატომ ქეთი? მოგწონს ეს სახელი?
— ხო, ჩემს კლასელ ქეთის ჰქვია...

პალატაში მორიდებული სიცილი გაისმა, უცხო „დეიდები“ უღიმოდნენ ვაჟს.

— გიყვარს შვილო? — ღიმილით მიმართა მამამ შვილს.
— ხოოო...

დაიმორცხვა ბიჭმა და მამის ხალათში ჩარგო სახე მისი სიწითლე რომ არ დაენახათ სხვებს...

პატარა ქეთი ხარბად წოვდა დედის მკერდიდან რძეს.

წრილი დედას

ვიცი ნაწყენები დარჩით, „ორი კვირით ჩამოხვედი და ისევ გაიქეცი 20 წლის უნახავი შვილიო“ — მითხარით. ალბათ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ნუ შეეცდები ჩემი საქციელის ახსნას. არც თანადგომას გთხოვ და არც სიბრალულს. ამ წერილით მინდა აგიხსნა ჩემი საქციელი.

მე მანდ უცხო ვარ.

როცა წავედი ოცი წლის ყმაწვილკაცი ვიყავი, ყველაფერს იმედით და ოპტიმიზმით ვუყურებდი. მეგონა საწადელს მივაღწევდი ჩემი ნიჭისა და ენერგიის წყალობით. მე სამ ენაზე თავისუფლად ვსაუბრობდი, ვთარგმნიდი, ვწერდი და... ამ ცოდნით საზოგადოებრივი ტუალეტის დამლაგებლად „დამაწინაურეს“. თქვენი სახელოვანი შვილი ხუთი წელი ამ „თანამდებობაზე“ წარმატებით შრომობდა. ჰო, ესეც არის რომ სხვა სამსახურიც ვიშოვე და ფულს ვშოულობდი, ვაგროვებდი და ოჯახში ვგზავნიდი. მერე აქაური სკოლაც დავამთავრე, სახვადასხვა კურსები გავიარე და ჩემი ემიგრანტობის მეშვიდე წელს სარკეში რომ ჩავიხედე პირველად აღვიქვი საკუთარი თავი ადამიანად. ის წლები კი გაფრინდა. იცი რა მახსოვს? ის, რომ მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობდი, რადგან რეალობა ჩემთვის ჯოჯოხეთი იყო.

როცა ჩემს ძმებთან ერთად სუფრასთან დავსხედით, შენ ზეპირად იცოდი ვის რა კერძი მოსწონდა, იცოდი მათი მანერები და მხოლოდ მე ვიყავი ამოუცნობი ქარაგმა. მორიდებით მიღიმოდი დეე... არ იცოდი როგორ მომქცეოდი. ჩემი ძმების სიხარულიც ალბათ ნახევარ საათში ჩაეტია.

მე უცხო ვიყავი თქვენთვის. ჩემს ისტორიას ვერავის მოგიყვებოდით. რითი მეამაყა?

საქართველოში ორმოც წელს გადაცილებული კაცი დავბრუნდი, ოცი წლის ჭაბუკის ისტორიით. ჩემმა მეგობრებმა თითქოს გული გამიხსნეს, მაგრამ მათთვის მე მხოლოდ ახალგაზრდობის მოგონება ვიყავი და ისიც რამდენიმე წუთში ჩეატია.

იმ საღამოს მივხვდი, რომ უკვე სხვა ვიყავი. ორი კვირის თავზე საქმეები მოვიმიზეზე და დავბრუნდი. აქ, მე ბიზნესმენი მქვია. საინტერესოა რომ სამშობლშიც და აქაც ემიგრანტად დავრჩი. ჩემი ადგილი მანდ უკვე აღარ არის. აქ თავიდან დავიბადე ადამიანად ისტორიის გარეშე. თავად შევქმენი ჩემი პიროვნება და ვერასოდეს ვიტყვი, რომ წარსულიდან მოვდივარ მეთქი. აქაც მახსენებენ ჩემს „გმირულ ეპოპეას“, იუმორით შეფუთულ გესლს მესვრიან და მეც ასევე ვპასუხობ.

დღეს მე თავად ვარ დამსაქმებელი, მაგრამ ქართული იერის და წარმომავლობის გარდა ყველაფერი დავკარგე. ასეა და გთხოვ მკაცრად ნუ განმსჯი. დეე... გთხოვ, ეს წერილი მამას და ჩემს ძმებს არ აჩვენო... და კიდევ სიყვარული დამრჩა ქართული. ფული გადმოვრიცხე და მამაჩემისთვის მანქანა გამოვგზავნე, მინდა რომ ბედნიერი იყოს... იცი? „შე...“ რომ შემომძახებდა ისიც მომენატრა... ჩემი შვილები ამაყობენ ქართველობით, მაგრამ ქართული არც ერთმა არ იცის. საკვირაო სკოლაში მინდა მივიყვანო, აქ კარგად ორგანიზებული ქართული დიასპორა გვყავს და სკოლაც არის.

მანდ ყველას გადაეცი, რომ ჩვენ, ემიგრანტები, აქ საზღვარგარეთ, ჩვენი ქვეყნის ღირსებას წარმოვადგენთ, ჩვენ დროებამ შეგვქმნა და ნუ უარგვყოფენ, რადგან ჩვენ, ჩვენს სულს, ორივე ხელით ვებღაუჭებით, რომ გაუცხოებამ ესეც არ ამოგვგლიჯოს სხეულდან და არ დავცარიელდეთ. ემიგრანტების ადგილი აღარ არის საქართველოში! ხანდახან მგონია, რომ სამშობლომ ამოგვგლიჯა თავის წიაღიდან.

აქ ეკლესია გვაქვს, სადაც ვიკრიბებით ემიგრანტები. ვერ წარმოიდგენ როგორ გვიხარია ერთმანეთის ნახვა, რომელიმე ჩვენთაგანის უმნიშვნელო წარმატებაც კი ზეიმის საბაბი ხდება, ხანდახან ჩვენვე ვიგონებთ ისტორიებს მეგობრებზე, ოჯახზე, რომ თუნდაც ამ უვნო ტყუილით საკუთარი მიწაზე ჩვენი ფესვების ილუზია მაინც შევინარჩუნოთ.

დედა, არ იტირო, გთხოვ. მე ხომ შენი ცელქი ბიჭი ვარ დეე...

ნახვამდის...

შენი შვილი

წერილი ყოფილ შეყვარებულს

გამარჯობა, ალბათ გაგიკვირდება, წერილსა რათა მწერსო, მაგრამ რომ არ დამეწერა არ შემეძლო. მერვე კლასში რომ ვიყავით შენი გულისთვის მუსიკაზეც კი დავდიოდი, რომ შენი კიდევ ერთხელ ხილვის საშუალება მქონოდა. ვფიქრობდი „იქნება მუსიკით მაინც გავაგებინო მეთქი ჩემი გულისთქმა“. სოლფეჯიოზეც შენი გულისთვის დავდიოდი. ის 45 წუთი იმდენად ძვირფასი იყო ჩემთვის და არად ვაგდებდი ძმა-ბიჭების ქილიკს. სკოლაშიც ვერავინ გიბედავდა ზედმეტ სიტყვას, ყველამ იცოდა რომ მიყვარდი... მერე?... სკოლა რომ დავამთავრეთ მხოლოდ „მეზობელი“ და მხოლოდ „კლასელი“ დავრჩი შენთვის. თბილისში წახვედი და სტუდენტობა მოირგე მზითვივით. მე კიდევა, მამაჩემის დალოცვილ ვენახში ვმუშაობდი და ჭაპანწყვეტით ვქმნიდით ოჯახის სარჩოს. მეც გავხდი სტუდენტი, თელავში უნივერსიტეტი დავამთავრე და... სულ მენატრებოდი. ჩემი ძროხების გაყიდვაც ვიფიქრე, „ფული მექნება და ქალაქში მოვინახულებ მეთქი“... იმ ზაფხულს კიდევა, რომ ჩამოხველ, იგეთი მოკლე კაბა გეცვა რომ სულ თვალებში შემოგციცინებდი, ვიფიქრე, „დაბლა რომ დავიხედო უტიფრობაში არ ჩამომართვას მეთქი“. მაშინაც უარმყავი. სუფრაზე მარჯვენა დამილოცე გლეხკაცს. გლეხობას მე არა ვთაკილობ... მერე... და მერე... გავიგე რომ უცხოეთში წასულხარ სამუშაოდ. „ქმარ-შვილს იქიდან ინახასო “ მითხრეს, კი მგრამ რის ფასად?... ხვალე დედაშენის ორმოცია, მამაშენმა მთხოვა, „ფული მასესხე და ჩემი გოგო რომ გამომიგზავნის გაგისტუმრებო“, მე ვუთხარ „მაიტა მეზობლობის ხათრით ლიზა ძალოს

ორმოცს მე ვიკისრებ მეთქი“, ჯერ იუარა და მერმე დამთანხმდა ოჯახის მარტოკაცი. გოგო, ისე ჩავიდა დედაშენი სამარეში, რომ შენი ხილვის ნატვრა წაიღო მოუსავლეთში. თუმცა იქნება ზედმეტადა ვსჯი? ვინ იცის... დღეს ვენახიც მაქვს, ხეხილის ბაღიცა და ბაღ-ბოსტანიც, „პარნიკიც“ ავაშენე ჩემს მიწაზე. მერე რა რომ არც პარიზი მინახავს და არც მადრიდი? გრემის მთავარანგელოზთან რომ ამოვივლი პირჯვარს გადავიწერ და მადლობას ვეუბნები ღმერთსა, ვენახში სანამ შევალ ნეკრესს შევხედავ, წყალობასა და უფლის შეწევნასა ვთხოვ... ჩემს ცოლს ნატოს შენ იცნობ. სულ რომ დასცინოდით სხვისი გამონაცვალი სამოსის გამო, გახსოვს? დღეს კი ხუთი შვილის დედაა, ჩემი ოჯახის დედაბოძი. ოთხი ვაჟი მყავს და ერთიც ასული. ვაჟებს ქართველობის მძიმე ჯვრის ტარებას ვასწავლი და ასულსა მანდილის სიბრძნეს ნატო უზიარებს. ათი კაცი მოულოდნელად რომ მესტუმროს, დასახმარებლად გვერდზე არ გავიხედავ... კიდევ ბევრი რამის მოყოლა მინდოდა, მაგრამ არ არის საჭირო... იცი რა მეწყინა? გახსოვს ვენახიდან ნაჯაფარი რომ ვბრუნდებოდი გვერდით გამიარეთ შენ და შენმა ქმარმა, სალამი დამამადლეთ და „ფუ რა სუნი ასდისო“, შენს სანაქებო ქმარს გადაულაპარაკე. მეწყინა, ძალიან მეწყინა. მე ქართულ მიწაზე ვარ და ვცხოვრობ ისე, რომ ოჯახის ერთიანობას გულით ვიცავ. შენ? შენს გოგოს რომ მოსწერე, „მეტი აღარ შემიძლია, ჩამოდი და მომეშველეო“, განა ცოტას ვუმშვენიერეთ ჯიში და მოდგმა? რომ დედა, ეძახი საკუთარ შვილს „სხვებისთვის“? ცოდვა-მადლი არა გაქვს?... გული ამიჩქარდა... ვხვდები რომ იმაზე მეტს ვამბობ ვიდრე მეკუთვნის... ამ წერილს შენ არ გამოგიგზავნი, ჩემთვისა ვწერ, მერე ფურცელს გავკეცავ და უჯრაში ჩავდებ. ეს ბოლო წერილია... ნატო მიხმობს, მშვიდობით.

წერილი შვილს

ბედნიერი ვარ შენით, შენ უკვე ჟურნალისტი ხარ, მე კი უძლეველ ბომონთან, მიწასთან მებრძოლი გლეხი. შენი ვალია ემსახურო ჭეშმარიტებას, ნუ დაღონდები თუ სიმართლის გზაზე მდგომს უმეცარი არ გაღიარებს, უებრო წარსულის არ მქონე, ვერც ღირსეულ მომავალს მოიმკი. ფულის გარდა არის კიდევ სინდისი, მას ვერ შეიძენ.

ნუ აეტორღიალები „ძლიერთა ამა სოფლისათა“ კაცებს, რამეთუ მათი ძლიერება სხვათა სისუსტის ან დაჩაგვრის ხარჯზეა გამზიურებული. ნურც მიეყიდები, რადგან „ნაყიდს“ ყავლი გასდის და სანაგვეზეა შემდეგ მისი ასპარეზი. დაიმახსოვრე ზნეობა უნდა იყოს შენი არსის დედაბოძი და ჭეშმარიტება შეუმუსრავი გალავანი, რადგან არ არსებობს იმაზე დიდი საუნჯე კაცთათვის, იყოს სიმართლის მსახური. წარმატება შრომით მოდის და იღბალი კი შემთხვევითობაა...

დამილოცნიხარ შვილო.

შენი მამა

ᲯᲯᲕᲐᲠᲘ — ᲛᲐᲛᲐᲚᲘ

(მოთხრობა)

„ჯჯვარი-მამალი“, კახეთში ეს ერთგვარი ტრადიციის სახელია, კერძოდ ეს ტრადიცია ხორბლის თესვას და ყანის მომკას უკავშირდებოდა. როცა ხორბლის თესვა ან ყანის აღება მოთავდებოდა კოლმეურნეობა ტრაქტორისტებს და კომბაინერებს (მაშინ უმეტეს წილად კალოობა იყო) სუფრას უშლიდა და აქეიფებდა. აი ამ მოვლენას ერქვა „ჯჯვარი-მამალი“, რომელიც წელიწადში ორჯერ იმართებოდა.

(ავტორისაგან)

იმ წელსა ხორბლის თესვა უნდა დაწყებულიყო. თავჯდომარემ ფერმის გამგე დაიბარა და უთხრა:

— აბა წელსა „საჯვარი-მამლოდ“ ერთი ხბო უნდა შეარჩიო, ინდე ქვეით ყანაში დავაბათ და თანაც „ბოცმანა“ ყარაული მიხედავს, გაიგე?

— ჰოო, მაშ „ბოცმანასთან“ გავგზავნო ხომა?

— ეგრეა...

— კარგი წავედი, დღესვე ჩაუყვან ბოჩოლასა...

— კაცო საკისრიტეხოთ კი არ მითქვამს, როცა მაიცლი ჩაუყვანე...

— ჰოოო, კარგი, წავედი აბა კარგად იყავით...

იმ ჩემი ცოდვით სავსე ფერმის გამგემ, ლამაზი, ბამბის ქულასავით თეთრი ხბო გაუგზავნა „ბოცმანას“. თესვამდე ერთი თვე კიდევ იყო დრო. „ბოცმანა“, ერთი უპატრონოდ მიტოვებული კაცი იყო, ცოლი რამდენიმე წლის წინ გარდაცვლოდა, შვილები კი ქალაქში ცხოვრობდნენ და მამისთვის თითქმის ვერ იცლიდნენ.

ხოდა მოეწონა „ბოცმანას“ ჩვენი ხბო, ფინია ძაღლივით უკან დასდევდა ყარაულს პირუტყვი. დილით ადრე „მუუუუ“-ო, შესძახებდა მეგობარს და ძილს გაუფრთხობდა, მერე თამაში მოუნდებოდა და დახტოდა მინდორში. ტრაქტორისტებსაც ეთამაშებოდა ხბო, ისინიცა კაცო, სახლიდან შაქრის ნატეხებით სავსე ჯიბეებით მოდიოდნენ ბოჩოლასთან. საერთო გადაწყვეტილებით ხბოსთვის სახელი უნდა შეერჩიათ, ხოდა „საპატარძლო“ დაარქვეს. ხბომ აბა რა იცოდა რას ნიშნავდა მისი სახელი, მაგრამ ყველა რომ ეფერებოდა და შაქარს აჭმევდა ნამდვილად სიამოვნებდა. ერთ დღესაც ტრაქტორისტები დილით ადრე ჩამოვიდნენ მინდორში და საყარაულოს მიაკითხეს, გაოცდნენ, „ბოცმანა“ საპნითა ბანდა „საპატარძლოს“. ისიც მორჩილად იდგა და პატრონს ხელს განა უშლიდა. შემდეგ ყარაულმა კარადიდან ერთი ბოთლი რძე გამოაძვრინა, საწოვარა გაუკეთა და ხბოს ჩაუდო პირში. ისიც პატარა ბალღივითა თქვლეფდა რძეს და მიამიტი თვალებით შესცქეროდა პატრონს. ჭამას მორჩა. ეხლა ტრაქტორისტებს გადახედა, „მუუუუუ“... მიესალმა ალბათ. მექანიზატორებმა ეხლაღა შეამჩნიეს რომ ხბოს ძაღლივით საყელური ეკეთა...

— ეგ რა გიქნია „ბოცმანა“? ხბოსა საყელური რათ გაუკეთე? — კითხეს ტრაქტორისტებმა.

— გუშინა ჩემი ქოფაკი და „საპატარძლოი“ ინდე მინდორში თამაშობდნენ, მემრე გზაზე გავიდნენ ამ თამაშ-თამაშითა და კინაღამ „კლუჩამ“ ზილით არ გაიტანა გზაზე, ხოოდა მეცა გავუკეთე „აშეინიკი“, ეხლა ინდე დავაბამ ხოლმე და აღარ შემეშინდება...

დაამთავრა მონოლოგი ყარაულმა. „საპატარძლომ“ თავი მიატრიალ მოატრილა და ერთ მექანიზატორს მიაცქერდა, „მუუუ“... და ისევ „მუუუ“... მიაძახა კაცს...

— იე, ვაი ჩემს თავსა მგონი შაქარი უნდა.

გაიღიმა კაცმა.

— მაიტა ეხლა მე ვაჭმევ.

ღიმილით უპასუხა მეორე ტრაქტორისტმა. შაქრით ჩააიტკბარუნა პირი ხბომ, მერე ტრაქტორთან მივიდა და თავით „დაეჭიდა“, მერე დრო იხელთა და მინდორში გაიჭრა სათამაშოდ, ქოფაკიც გამოედევნა და დაიწყეს ღლაბუცი და თამაში.

— ეეე... რა ამბავში არიან კაცოოო...

იცინოდნენ მექანიზატორები...

— ხვალა თესვა უნდა დაიწყოთ არა?

ადუდუნდა „ბოცმანა“

— ხო, მაშ კაცო, საქმე ეგრე მაითხოვს....

— ესე იგი მემრე „საპატარძლო“ უნდა დამიკლათ?

ნაღვლიანი ხმით იკითხა ყარაულმა.

ყველა დადუმდა. შესცქეროდნენ მინდორში ლაღად მოთამაშე ხბოს და ძაღლს.

— კაცოო, მე ამ ხბოს ხორცსა პირს ვერ დავაკარებ.

თქვა მექანიზატორებიდან რომელიღაცამ...

— ვერც მე.

ბრძანა მეორემ.

— ვერც ჩვენა.

კვერი დაუკრეს სხვებმაც.

— „ბოცმანა“, ეგ ხბო ხომ ჩვენთვის მოგცა თავჯდომარემ? ხოდა ჩვენა კიდევა შენ გჩუქნით, „ჯვარი. — მამალს“ კონსერვებით და ინდე „კანტროს ბიჭის“ წერტში სამწვადეს ვიყიდით და იმით გადავიხდით, შენ არ ინერვიულო.

მიმართეს კაცებმა.

„ბოცმანა“ იღიმებოდა, უხაროდა რომ მისი ხბო ცოცხალი დარჩებოდა და არავინ შეუჭამდა.

ეს ამბავი შილდაში ერთმა ტრაქტორისტმა მომიყვა. მერე თხრობა რომ დაამთავრა მითხრა „საპატარძლოს“ შვილიშვილიაო ჩემი ძროხა“. გამეღიმა, მერე მოურიდებლადა ვკითხე:

— „საპატარძლოს“ მერე რა მოუვიდა?

საოცარი პასუხი გამცა...

— „ბოცმანას“ სიკვდილის მერე ჭამაზე ხელი აიღო და რამდენიმე დღეში ისიც მოკვდა..

გამიკვირდა. მერე ვთხოვე:

— აბა მისი შვილიშვილი მანახე...

— წამო და გაჩვენებ...

ვნახე, ბებიასავით თეთრი იყო და ბამბის ქულასავით ფითქინა, მაგრამ მამის გენსაც ემძლავრა და ცალი გვერდი შავი ჰქონდა თვალ-ჟუჟუნა ძროხას.

ფეხბურთის ბილეთი

მაშინ მეშვიდე კლაში ვიყავი თბილისის „დინამო“ „ლივერპულს“ რომ უნდა შეხვედროდა თასის მფლობელთა თასის გათამაშებაზე. მატჩი თბილისში ტარდებოდა და „დინამოს“ სტადიონი ფეხბურთის ქომაგებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული. ფეხბურთის ქომაგები ბილეთების გაყიდვის დაწყებას ელოდებოდნენ. დაბადების დღეზე და კიდევ „კეთილი“ ძიების ნაჩუქარი ფული ამოვაცოცე ყულაბიდან. გადავთვალე, სულ თხუთმეტი მანეთიღა დამრჩენოდა. ამბობდნენ „სტადიონზე ბილეთების გაყიდავა ხვალ დილიდან დაიწყებაო“. „ხვალე“ კი ქართულში მქონდა საკონტროლო წერა. კი, მაგრამ სკოლა ვის აინტერესებდა? დილით ადრე წამოვხტი და სტადიონისკენ გავიქეცი. იქ ისეთი ამბავი იყო, რომ... ასე მეგონა რომელიღაც ეპიკურ მოვლენების ეპიცენტრში ამოვყავი თავი და სადაც არის დიდი ბატალიების შემსწრეც შევიქმნებოდი. ისე „ბატალიებზე“ უარესი ხდებოდა იქ, ვინ ვისზე გადადიოდა ვერ გაარკვევდით, ერთი ზედახორა იდგა და უკეთეს შემთხვევაში პერანგის საყელო თუ შეგრჩებოდა მთელი, ესეიგი „ცივილური“ წესით აგიღია ბილეთი. ორჯერ ვცადე შეძრომა სალაროსთან და მეცამეტე გოჭივით ვიღაცის ორმოცდახუთმა ზომა ფეხსაცმელამა დაუნდობლად მისროლა უკან, „ლაწირაკო სად ეტენებიო?! ასე მომაძახეს. ცრემლები მომადგა, უბილეთოდ დაბრუნება სახლში იგივე იყო რაც სპარტანელისთვის ფარის დაკარგვა ბრძოლაში. ვიომე... მაგრამ რა ვიომე... სადღაც ხუთი საათისთვის გამოვძვერი რიგიდან და ხელში მეჭირა ოთხი ბილეთი „დასავლეთი ტრიბუნა, მეორე იარუსი“. ბილეთები შარვლის ჯიბეში ჩავიდე და „ტურტუკაის“ ამღებივით ამაყად გავემართე სახლისაკენ.

ამ დროს იცით ჩემს სახლში რა ხდებოდა? ჩემმა კლასის დამრიგებელმა დარეკა ჩვენს ოჯახში და დედაჩემს მოახსენა ჩემი ინდივიდუალუ-

რი „შატალოს“ შესახებ, თანაც აბსოლუტური უპასუხისმგებლო და თავს-გასული ბავშვი მიწოდა. ეეეჰ, რას გაუგებ ამ ხალხს. სახლში დედაჩემი საცემრად მოემზადა, მაგრამ ვერ დამიჭირა, ან რას დამიჭერდა, „დაჟე“ „ППС“ ბრიგადამ ვერ დამიჭირა, რომ ბილეთები წაერთმიათ ჩემთვის.

გაბრაზებული დედა დამემუქრა „მამაშენს მოვუყვები ყველაფერს და მერე ნახე შენი სეირიო“. სრულიად არა სასიამოვნო პერსპექტივა დამეხატა თვალწინ.

მამაც მოვიდა. ბუნებრივია დედაჩემმა მაქსიმალურად „მუქ ფერებში“ მოუყვა ჩემი „შატალოს შესახებ...

— მოდი აქ შე მამაძაღლო, სად ეგდე მთელი დღე?

— მრისხანე სახით შემომიტია მამამ.

დედაჩემი კი სეირის მოლოდინში არც თუ მოწყალე თვალებით მიმზერდა...

— მამა...

— ამოვღერღე მე.

— ნახე „ლივერპულის“ და „დინამოს“ თამაშზე ოთხი ბილეთი ვიყიდე..

მამამ ბილეთები გამომართვა, მის ნამდვილობაში დარწმუნდა, მერე თავზე ხელი გადამისვა და მზრუნველი ხმით მითხრა:

— ფული ვინ მოგცა მამიკო?

— ჩემი დაბადების დღეზე ნაჩუქარ ფულს მოვაკელი.

— მოვისაწყლე თავი.

დედაჩემი მიხვდა რომ ჩემი დასჯა უკვე უტოპია იყო და მამაჩემს უთხრა:

— მთელი შარვალი მტვერში ჰქონდა ამოგანგლული და თეთრი ქათქათა პერანგი კი თითქმის სულ დახეული.

— ეტყობა ბოლო კოზირი გაათამაშა დედამ და აქაც ფიასკოოოო... — ახალს ვუყიდი, ეგ არაფერი, მამიკო მათემატიკაში რა ნიშნები გყავს?

— ფრიადი.

— ამაყად მიუგე მამაჩემს. მან კი დედას მიმართა.

— კაი ქალო რა შეუწუხე ბავშვს გული? ხომ ხედავ ფრიადებზე სწავლობს და ერთი საკონტროლო თუ არ დაწერა არ დაიქცევა ამით ქვეყანა...

— დასაჯე მაინც.

— შეევედრა დედა.

— კარგი, მასე იყოს, შემდეგ მატჩზე ბილეთები რომ არ მოიტანო ყურებს აგახევ შე „შატალისტო“.

— დამემუქრა მამა.

— რა მეშველება ამ ორი გადარეულის გადამკიდე.

ოფელიასავით აღმოხდა დედას.

იმ დღეს დინამომ 3-0 მოიგო და სრულიად საქართველოსთვის ეს დღე ერთ-ერთი უბედნირესი იყო. სახლში დაბრუნებულებს სამზარეულოს მაგიდაზე ორი ჭიქა დათაფლული რძე დაგვხვდა და კიდევ წერილი; „თქვენი დანახვაც არ მინდა, არც თქვენი „ნაბალელშიკარი“ ჩახრინწული ხმის მოსმენა მსიამოვნებს. დალიეთ, თქვენთვის გავამზადე. ისე, ეგ თქვენი ტომპსონი და ჰანსენი, ამ ფეხებს რავა ცელივით იქნევდნენ, დაამტვრიეს ბიჭები, არც თქვენი დანგლიშია დიდი ხვითო. მე ნონასთან ვარ და არ დამირეკოთ, გილოცავთ თქვე გადარეულებო.

„დედა“

რავა დავურეკავდით?

„შეგონება შვილს“

შვილო მომისმინე, იქნებ გამოგადგეს. შენი აზრი არ ემთხვევა რეალობას? აზრი შეიცვალე.

არა ხარ ბრდნიერი? 1000 გზა სინჯე და არ გამოგადგა? ნუთუ ბედნიერების მაძიებელი ბედნიერი არა ხარ რომ 1001-ე წარმატების გზა რომ შენს ნაკვალევს ელის? შენც ხომ ეს გწამს?

დაეცი? გგონია რომ წარმატებამ ზურგი გაქცია? ფეხზე ადგომის საშუალება რომ გაქვს განა ეს წარმატება არ არის?

სიდიადე გხიბლავს? გახსოვდეს რომ მთვარიდან დედამიწა კვერცხისოდენა მოსჩანს.

სინათლეს ნატრულობ? მიდი იქ, სადაც ნათელია.

კარგია რომ ოცნებობ, ოცნება ხომ რეალობის ანეგდოტია.

ცოდნა ცხოვრების საჩუქარია და ამიტომ პატივი ეცი მასწავლებელს.

ერთადერთი ვინც ვერ გიღალატებს საკუთარი თავია.

ნუ დაიჯერებ სხვის რჩევას, „არ შეგიძლია“, მერწმუნე ეს მათ „არ შეუძლიათ“, სცადე, იყო წარმატებული, ნიშნავს დაიწყო სვლა წარმატებისაკენ.

მარტოობა კედლებს აგიშნებს გარშემო.

სიხარული თუ მწუხარება? — არაფერია მუდმივი.

შენს ბედნიერებაზე თავადვე ხარ პასუხისმგებელი.

აღმა სვლა, პირველი, სწორად გადადგმული ნაბიჯით იწყება.

სანამ სიტყვას იტყვი არავინ გერჩის, სიტყვას რომ იტყვი მონა ხარ მისი.

ეცადე მიწასთან ახლოს იარო.

ხანდახან ლაჩრობისთვისაც გეყოს გამბედაობა.

სათქმელს პირდაპირ ნუ იტყვი, ირიბად წადი უფრო ზუსტია.

შენი წარმატება მოშურნეების რაოდენობით განისაზღვრება.

გამარჯვებული იმდენად აქე, რომ დამარცხებულის სიდიადე გამოჩნდეს.

თუ გადიდკაცდე პირველ რიგში დაკოჟრილ ხელებს მოუალერსე.

სიკეთის ჰქმნაშიც ზომა იცოდე, იმიტომ, რომ მოვალედ ჩაგთვლიან და შენი სიკეთის ნათელი კვალი ხმლის ნაჭდევს დაემსგავსება წყალზე დარჩენილს.

უმეცართ ფორმა მოსწონთ და არ შინაარსი.

საქმე ფრთხილად აკეთე, კიბე მოსინჯე და უკან ფეხის დასადგმელი დაიტოვე.

„ჰალსტუხს“ ხშირად ნუ გაიკეთებ, რომ წაიქცე სახრჩობელად არ გადაგეგცეს.

თანამდებობა და სახელი მჟავასავითაა, რკინას ჟანგავს და ჭამს, კეთილშობილურ ლითონს კი ბრწინვალებას ჰმატებს.

საომრად თუ მიდიხარ ბრძოლის ველი და მტრის ხმლის სიგრძე შეისწავლე.

დაპირებისგან ყოველთვის შეიკავე თავი.

აკეთე ის საქმე სადაც ხელოვანი იქნები.

ისეთ საქმეს ნუ მოჰკიდებ ხელს სადაც მინიმალური კაპიტალ-დაბანდების შემთხვევაში მაქსიმალური წაგების განსაზღვრას ვერ შესძლებ.

ერისკაცს ცხელი გული და ცივი გონება მართებს.

ხმალს თუ მოიქნევ ფარის ხმარებაც უნდა შეგეძლოს.

ხშირად არც გადაჭრით უარის თქმა ვარგა და არც თანხმობა.

ყველაზე დიდი პატივი დროს ეცი, ის არ დაბრუნდება.

თუ კაცის არსი საფულის სისქის მიხედვით განისაზღვრება, მისთვის პროროვნული ღირსება სალანძღავი სიტყვაა.

ბატონის მიერ დამოძღვრილი ვასლის „ბრძნული მეტყველება“ მონათა წინაშე, ბატონის ბატონობას უთხრის ძირს.

ხშირად „თავისუფლების“ მეხოტბენი მარტოობაში დალევენ ხოლმე სულს.

ვინც უღმერთოს აღმერთებს მისი არსი ვირთხაზე დაბლა დგას.

მართლმადიდებლობა ის ჭეშმარიტებაა კაცთმოძულენი რომ გაურბიან და ქილიკით ღვარძლს რომ აფრქვევენ გზაზე.

ხშირად იდეოლოგი „ფულით“ აზროვნებს.

პოლიტიკა ფულის მიმოქცევის მიხედვით განისაზღვრება.

ჰუმანური ძალაუფლება ანარქიას შობს.

ავსული, ყველაზე დიდი კარიერისტია.

აიძულო, ხალხი საკუთარი ეროვნულისადმი სიძულვილით განაწყო მხოლოდ ჩაგრულის მანტიით შემოსილ ნაძირლებს შეუძლიათ.

საკუთარი ქვეყნის წინაღამდეგ მომართულ ორატორს ჩურჩულით გაასვენებენ მლიქვნელნი.

დემაგოგია სულწაწყმედილი ადამიანების იარაღია.

სიყვარული აწყმოა და მომავლის იმედი.

ნუ მისტირიხარ წარსულს, რადგან აწყმოში დგეხარ და მომავალი თენდება.

მლიქვნელის მიზანი საკუთარ ბატონზე გაბატონებაა.

ადამიანის ზნედაცემულობა მაშინ იწყება როცა ემსახურება იდეალს, რომელიც თავად არა სწამს და მაინც მისი მეხოტბე ხდება.

ლეგენდა „გულის მყინვარზე“

სვანეთში არსებობს მყინვარი, რომელსაც ჰქვია „გულის მყინვარი“. არსებობს რამდენიმე ლეგენდა ამ მყინვართან დაკაშირებით და მინდა ერთერთი შემოგთავაზოთ. ყაბარდო-ბალყარეთის ლეგენდების მიხედვით. (ეს ლეგენდა ერთგვარი ნაკრებია „გულის მყინვართან“ დაკავშირებული ლეგენდებისა. სხვა თქმულებებსაც შემოგთავაზებთ „გულის მყინვართან“ დაკავშირებით.)

ერთხელ ღმერთან სიკვდილის ანგელოზი მივიდა და მორიდებით უთხრა: „ღმერთო! დედამიწაზე ადამიანებს სიკვდილის დრო რომ უწევთ ვერა კვდებიან. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე არიან. არც მკვდრებში წერიან და აღარც ცოცხლებშიო“.

გაოცდა ღმერთი და მიზეზი ჰკითხა სიკვდილს. სიკვდილმა კი მიუგო: „ადამიანებს შენ შთაბერე უკვდავი სული, ისიც ადამიანის გულში იდებს ბინას და სანამ სული არ განეყრება გული ფეთქავს, ამიტომ ადამიანი ვერა კვდებაო“.

ღმერთი დაფიქრდა. სიცოცხლს ანგელოზი იხმო და უბრძანა: „წადი დედამიწაზე და ააგე სულთა ტაძარი, ვისაც ჟამი მოუწევს გარდაცვალების მის სულს შენ ჩაიბარებ და შემდგომ შენს ტაძარში მიუჩენ ბინას. ხოლო ვინც უნდა დაიბადოს მის გულში შენ დააბუდებ ჩემგან კურთხეულ სულს, რომ გულმა იფეთქოს და ადამიანმა იცოცხლოსო“. სიცოცხლის ანგელოზი დაბრუნდა დედამიწაზე. ღმერთის მამულში ააშენა სულთა ტაძარი და შეუდგა ღმერთის ნების ასრულებას, მხოლოდ სიკვდილის ანგელოზს არ ჰქონდა უფლება ტაძარში შესვლის, რადგან უკვდავ სულს არასოდეს უწერია სიკვდილი. ღმერთმა ტაძარის გუმბათი თოვლით და ყინულით დაფარა და კარი ლოდებით დაგმანა რომ უცხოთა ხელყოფისაგან დაეცვა იგი. ამბობენ, როცა ღმერთი მიწაზე ჩამოდის გულის ტაძარს ესტუმრებაო პირველად და სულებს ეკითხება დედამიწაზე ადამიანთა ყოფის შესახებ. მხოლოდ ღირსეულთ თავიდან ამკვიდრებს სიცოცხლე-ბოძებულთა გულში, რომ ქვეყანას კიდევ ერთხელ ემსახუროს ღირსეულად და საკუთარ სამშობლოს კი თავდადებით.

ლეგენდა შხარას შესახებ

(დაღესტნური და ინგუშთა მითების მიხედით)

შხარა ნართთა მეფის შუათანა ასული იყო. ლამაზი გოგო იყო შხარა და მამის ნებიერას ყველა შეჰხაროდა. სულ მთების კალთებზე დასეირნობდა, ყვავილებს უვლიდა, მთის კალთები აბიბინებული იყო ნაირფერი ყვავილებით. ეფერებოდა მეფის ასული მცენარეებს და ცის ნამს შესთხოვდა ზეცას, თან წყლის ლოცვას უკითხავდა მცენარეებს.

(წყლის ლოცვა გავრცელებულია სვანეთში. მითოლოგიურ წყლის დედაში არ აგვერიოს (მეგრ. წყარიშდიდა), რადგან წყლის დედის ღვთაება გავრცელებული იყო სამეგრელოში)

როცა ნართები დაავადდნენ და სიკვდილმა დარია ხელი უძლეველ ნართებს, მაშინ შხარამ შესთხოვა ღმერთს, რომ სიკვდილის მერეც მიეცა უფლება მოევლო ყვავილებისთვის და თავადვე მოერწყა მცენარეები. ღმერთმა შეიწყნარა მშვენიერი ასულის თხოვნა და უკვე მთად ქცეულ შხარას, მთის ყვავილების მოვლის უფლება მისცა.

შხელდას ცრემლები

(დაღესტნური და ინგუშთა მითების მიხედით)

დიდი ხნის წინ, ნართების მეფე იალბუზი მართავდა ქვეყანას. ძლევამოსილი და გიგანტი ნართების ყველას ეშინოდა და ვერავინ ბედავდა იალბუზის სამფლობელოზე თავდასხმას. მაგრამ ერთ დღეს ნართების სამეფოში ავადმყოფობა გავრცელდა. ფეხები ეკვეთებოდათ გოლიათებს, ძირს ეცემოდნენ და ქვავდებოდნენ. იალბუზმა ადგილის დედას სთხოვა დახმარება რომ ღმერთს შეეწყალებინა ნართები და მრისხანება დაეცხრო, წმინდა ღვთაება მიეახლა ღმერთს და ნართების დანაბარები გადასცა. მან კი უპასუხა: „ნართები მთებად იქცევიან და წალკოტს დაფარავენ საკუთარი მკერდით, ვიდრე მე არ ვინდომებ მათ გაცოცხლებას, ხოლო სიავე, რაც მათ თავს დავატეხე უმარილობაა, ნართების შვილნი გამრავლდებიან

ადამიანებად და წინაპართა საძვლეს დაიცავენ, მარილი იქნება მათი სასჯელ-საზრუნავი წინაპართა დიდგულობის გამო, რომ სხეული არ აუმჩატდეთ და არ დაეცნენ, ესაა ჩემი ნება“. ადგილის დედამ ყველაფერი დაწვრილებით გადასცა იალბუზს. შხელდამ გულისტკივილით მოისმინა ადგილის დედის სიტყვები და თქვა: „მე ავტირდები და ჩემი მლაშე ცრემლი დაე იქცეს მარილის ქვად, რამეთუ ჩვენი შთამომავლები ვიხსნათ წყევლისგან და სიავისგან სამარადჟამოდ“. შხელდამ ტირილი დაიწყო, დადიოდა მთელ არემარეზე და ცრემლს აფრქვევდა ქალი. ცრემლები ქვამარილად გადაიქცნენ, ზოგი ცრემლი ნაკადულში ჩავარდა და ნაკადული მჟავე წყლად იქცა. როცა ნართები ღმერთის ნებით დიად მთებად გადაიქცნენ უკანასკნელმა ნართმა, მეფე იალბუზმა ნართების შთამომავალ ადამიანებს დაუბარა: „ეს მარილის ქვები შხელდას, ჩემი ასულის ცრემლებია. მარილის ქვა დედა ბოძზე დაჰკიდეთ, რომ სიავე გაშორდეს თქვენს ოჯახს. სანამ სახლს ააშენებთ მარილის ქვა სახლის ქვეშ დადეთ, რომ უბედურება აშორდეს თქვენს სახლს. როცა საჭმელს მოამზადებთ ქვა წყალში დაბანეთ და ნაბანი წყლით მოამზადეთ საჭმელი, რომ ავადობამ ვერ დაგიმარცხოთ შთამომავლობა.“ ეს თქვა იალბუზმა და დიად მთად გადაიქცა.

ქვა მარილი, ეს შხელდას ცრემლებია, რომლითაც მეფის ასულმა საკუთარი ხალხი დაიტირა და შთამომავლებს სიავისგან თავდაცვის საშვალება მისცა.

ეს ლეგენდა დაღესტნურ-ინგუშთა მითოლოგიაში გარკვეულ ბატალიებსაც მოიცავს, მაგრამ მოვლენები სხვადასხვა გვარადაა აღწერილი და შეგნებულად გვერდი ავუარე. „შხელდას ცრემლების“ ქართულ ვერსიას კი ვერსად მივაკვლიე.

ᲩᲑᲐ ᲩᲐᲛᲑᲣᲙᲐᲜᲘ — ᲮᲐᲩᲘᲤᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

(ლეგენდა)

რუსეთში, ქალაქ პიატიგორსკის მახლობლად, სტავროპოლის მხარესა და ყაბარდო-ბალყარეთის საზღვარზე მდებარეობს ხატიფარის

ტბა. ეს ადგილი განთქმულია სამკურნალო ტალახით და მინერალური წყლით.

ამ ტბასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა.

ამ ადგილას ცხოვრობდნენ გოლიათი ადამიანები — ნართები. მათ წინამძღოლს ერქვა იალბუზი. იალბუზი თმაჭაღარა პირმშვენიერი და უშიშარი ვაჟკაცი ყოფილა.

მას სამი ასული ჰყავდა შხერა, შხელდა და ხატიფარა.

ერთხელ იალბუზის დაბადების დღეზე ასულებმა ძლევამოსილ მამას საჩუქრები მოუმზადეს. საჩუქარი მამისადმი პატივისცემის და სიყვარულის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, ამიტომ ასულები საგანგებო საჩუქრებით უნდა წარგენილიყვნენ მამის წინაშე.

პირველმა, საჩუქარი უფროსმა ასულმა შხარამ მიართვა. ოქრო და ვერცხლი მიართვა მამას შვილმა, რომელიც მთებში თავად მოიპოვა. მამა კმაყოფილი დარჩა საჩუქრით და შეაქო ასული. შემდეგ შუათანა ასულის შხელდას ჯერი დადგა. მან მამას ძვირფასი ქვები მიუძღვნა და ასე მიაგო პატივი იალბუზს. ბოლოს მამას უმცროსი ასული, ხატიფარი მიეახლა და მიმართა: „მე ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მაქვს“, ბრძანა ასულმა და მამას მარილით სავსე ტომარა მიართვა. განრისხდა იალბუზი, შეურაწყოფად და დაცინვად მიიღო ხატიფარას საჩუქარი და უბრძანა ასულს, დაუყოვნებლივ, სამუდამოდ დაეტოვებინა მამისეული სახლი. ატირებული ხატიფარა სახლიდან გაიქცა. გზად მიმავალს ტომარა ხელიდან გაუვარდა და პატარა ტბაში ჩაუვარდა.

მას შემდეგ რაც ხატიფარამ დატოვა სამშობლო, ნართებში საშინელმა ავადმყოფობამ იმძლავრა. გოლიათები იხოცებოდნენ. ვერც ოქროთი და ვერც ძვირფასი ქვებით ვერ იყიდა იალბუზმა მარილი, რომ ავადმყოფობა დაემერცხებინა. მაშინ მიხვდა მეფე რომ უმცროსმა ასულმა მართლაც ძვირფასი საჩუქარი მიართვა მამას დაბადების დღეზე.

მას მერე ათასწლეულებმა განვლეს და გოლიათი ნართები მთებად გადაიქცნენ. მეფე იალბუზი კი საკუთარი ხალხის ცენტრში ჩადგა და დიად მთად გადაიქცა. მამის გვერდით აღიმართნენ შხელდა და შხარა, ხატიფარამ კი მათგან მოშორებით დაიდო „ბინა“. იმ ტბაში სადაც მარილის ტომარა ჩავარდა, წარმოიშვა მარილიანი ტბა და სამ-

კურნალო ტალახი, რომელიც კურნავდა ხალხს სხვადასხვა დაავადებებისგან.

არის თქმულება, რომ თვით თემურ ლენგი ეწვია ამ ტბას სამკურნალოდ.

პ ო ე ზ ი ა

* * *

საკუთარ თავთან ამაღამაც მარტო დავრჩი,
ფიქრებს და ვნებებს ამაღამაც თუ გადავურჩი,
დილის ნთელი ენატრება ჩემში გონებას,
იქნებ დაგჭირდეთ? ჩემში ვებრძვი განგების ნებას.
იქნებ დაგჭირდეთ, ნუ ჩაგვრეცხავთ, ნუ გვაყრით მიწას,
ჩვენი თაობა მკვდრად შობილად რატომ შერაცხეთ?
„სიბერის დამღით“ დაგვშანთეთ და მასად შეგვრაცხეთ,
ემიგრანტებად მოგვავლინეთ მშობლიურ მიწას,
იზმ-ებს მსხვერპლად ხომ შესწირეთ მთელი თაობა,
სერ-ებს და ვიჩ-ებს დაუკოცნეთ უკანალები,
ჯართად გაყიდეთ საკუთარი ერის ღირსება,
ურცხვად მოჰპარეთ ტატოს მერანს ოქროს ნალები.
დრონი მეფობენ, ალბათ დღესაც სატანა მეფობს,
დრონი მეფობენ, სატანასაც ელის ბორკილი.

* * *

უპირველესად ვაღმერთებ ქართველს,
და მერე იმას, ვისი რა გვმათებს,
ბრძანა მურმანმა, მიმართა ქართველს,
ჰერეთი, შავშეთი, ლორე საარაკო,
ლაზეთი, აფხაზეთი, მიწა სათაყვანო,
სისხლით მორწყული ჯიქეთი, სამაჩაბლო,
ერუშეთს არ ისმის ქართული სატრფიალო,
აჭარას გვეცილება გონი საზიანო,
ქართულ მონასტრებსაც მუმლი შესევია,
უფლის გზიდან, ვიღაცას სურს ჩვენი აცილება,

ქართველი, ქართულის გულის გაციება,
უცხო თესლი ჩვენს მიწას ქარტიით გვეცილება,
ღმერთო შეაყვარე ქართველსა ქართველი,
ქართულად მღეროდეს მგოსანი ქართველი,
ქართულ ისტორიას სწავლობდეს ქართველი,
ქართველ ქალს შვენოდეს დედობის მანდილი,
შვილთა ქართველობა მამების წადილი.
უპირველესად ვაღმერთებ ქართველს,
რუქა გაშალე, ვინმესი რაიმე გვმართებს?

* * *

სანახევროდ სიყვარულის ზღაპარი,
სანახევრო რაშოვდა და რერო,
სანახევროდ ანთებული ლამპარი,
სანახევროდ როგორ დაგიმღერო?
სანახევროდ ვინ სთქვა თავდადება,
სანახევროდ სამშობლოს დიდება,
სანახევრო კურთხევა და ლოცვა,
სანახევროდ უფლის განდიდება,
სანახევრო ყველაფერი ფარსია,
სანახევრო სიყვარული არ მწამს,
სანახევრო ლუკმაც თურმე თარსია,
სანახევრო ღმერთკაციც კი არ მწამს,
სანახევროდ ნათქვამია სიმართლე,
სანახევრო ტყუილიც ვერ გრთგუნავს,
სანახევროდ შეთითხნილი ოჯახი,
შვილის აღზრდა ისიც სანახევროდ,

გული გქონდეთ, გული გქონდეთ მთლიანი,
ფუძე ჭერი, დედა ბოძი სვიანი,
ერის კაცთა ერთობა მადლიანი,
მიწა წყალი, ჩვენი, ბარაქიანი,
შვილთა ჩვენთა ქართველობა დიადი,
რწმენა ჩვენი მთლიანი და ზვიადი,
„სანახევროს“ ადგილი რომ არ დარჩეს,
მთელი ერის მუშტად შეკვრა,
ერთად ყოფნა,
ერის დაცვა,
ქვეყნის დაცვა,
გამარჯვების ლხინიც ბარაქიანი.

* * *

ნისლით დაფარე ...

რაჭის მთებს ალბათ დინჯად მფენი ნისლები ფარავს,
ნაქელალაზე, შაორიდან ატყორცნილა სამოთხის ბჭენი,
ხარისთვალაზე, საწალიკეს მზის სხივი ანცობს,
ქალი აყვანის, ცხრაჯვრის მადლით ჯვარს რომ დაიწერს,
თლუღის კალთებზე ხავსი ფარავს დღეს ნაკატლევას,
და ანცი სიო ცივწყალასკენ გაინავარდებს,
ღმერთო ჩემო დაიფარე რაჭა ნისლებით,
რომ უცხო ტომელს არ მოეწონოს, აქ არ დასახლდეს,
იქით უყეში, ბარაკონი, ციხე ხოტევის,
გლოლა და სევა ხალხისაგან თურმე დაცლილა,
ბოყვას არ ისმის, არც რაშოვდა, ქვედრულა,
და შქმერიც თურმე ძე კაცისგან შემოძარცვულა,

ნიკორწმინდაში სანთლის დამნთებს ელის ხატება,
ბარაკონს თურმე ზარის რეკვა ნატვრედ ქცევია,
ღმერთო ჩემო! ეს ედემი ნისლით დაფარე,
და მადლიანი შენი კალთა გადააფარე,
სხვის თვალს აშორე, უცხოს ვინმეს არ მოეწონოს,
პირი იბრუნოს და ამ ედემში არ დაესახლოს.

* * *

სარკმლის მიღმა შევყურებ სამყაროს,
ხანდახან უხეშს და ხანდახან საამურს,
აბსურდის ბადეში გახვეულ სალაყბოს,
ბრძენკაცთა სიბრძნისგან მოკლებულ სამყაროს.
საოცარია გლოვის ზარებიც, რომ
ეჟვნებივით წკრიალებს ახლა,
გმირთა სავანე, უსპეტაკესი, რომ
ბალ-მასკარადის სცენა გამხდარა.
ფარისეველთა სიტყვა ლიტონი,
ქვეყნად სიმართლის მედროშე გახდა,
საოცარია, ქვეყნად სიყვარულს,
მეძავის სიტყვით ვადიდებთ ახლა,
პირჯვარს ვიწერთ და გულში კი ვმრუშობთ,
და თვინიერად, დრტვინვის გარეშე,
გულზე დავიჭდეთ ცოდვილის დამღა,
საოცარია ვეძებოთ ღმერთი,
ჩვენ ხომ უარყვეთ სიწმინდე ხატთა?
საოცარია, საოცარია, ღვთის წმინდა სიტყვას პირუკუ ვსახავთ,
გაგიკვირდება? გამიკვირდება? სიცილით კვდება დემონი ალბათ.

* * *

ვდგევარ მუხლმოდრეკით ლოცვად ანთებული,
უფალო! დამილოცე სამშობლო წამებული,
აბჯარი მიკურთხე და
ხმალი დამილოცე
მეომარი ვარ ბრძოლად ანთებული,
დიდგორის ველიდან ყიჟინა მოისმის
ხმლის სიკაშკაშე ქართული ყაიდის,
გრგვინავს გრემის ზარი,
ბანს აძლევს ლაშარი,
ნეკრესმა აკურთხა ქართული ლაშქარი,
სიონში მონათლეს საბრძოლო ბაირაღი,
გელათმა გაჭედა ბრძოლისთვის აბჯარი,
სვეტიცხოველმა მირონით გვაზიარა.
მტერმა დაგვამჩნია ურიცხვი იარა,
მხნედ ქართველებო! კვნესით კი არა,
მტერთა სიმრავლე უკვირდეს ქართველს?
საიდან სადაო, არ თქმულა ოდეს,
ერთად ქართველებო! მტერი რომ ძრწოდეს,
ვიღაცას უთქვამს მიწა დავკარგეთო,
შავშეთ-ერუშეთი,
სამაჩაბლო და ლორე,
კოპწია ჰერეთი,
ლაზიკა, აფხაზეთი,
გამკვირვებია, გამკვირვებია,
რაც ჩვენი ნებით არ დაგვითმია,
ის დაკარგულად რად ჩაგვითვლია?

ჩვენი მიწა-წყალი უნდა დავიბრუნოთ,
ღმერთო! მოგვეცი ამისი ძალა.

* * *

პოეტი არა ვარ,
როგორ დავიბრალო?
მე არა ვბაძავ სხვას,
გთხოვთ ნუ შემრისხავთ,
გავკადნიერდი და
ხელი შევახე ქნარს,
მე შენ გეუბნები
უცხოდ მომღერალო,
ბულბული შეჰნატრის შენს ხმას,
ქართულად სიმღერა
მოდაში არაა?
რატომ ვეტმასნებით სხვას?
ქართველი პოეტი ზეცას სიტყვით ქარგავს,
მუსიკა ოცნებით რთავს,
ქართულად სიმღერა მაინც გვეზარება?
ხოო, ფული აღმართსა ხნავს,
ტურებს ვატარებთ და კონცერტს ვაგუგუნებთ,
უცხოურ ჰანგებზე,
უცხოურს ვაღმერთებთ თან,
ქართველ პოეტთა ქნარი კურთხეული,
სიყრუის სიმფონიას ჰგავს,
ქართულად იმღერეთ,

ქართულად იმღერეთ,
ნუ ეთაყვანებით სხვას,
ამბობენ, ედემში
ქართულად გალობენო,
იცოდე,
იცოდე,
და ნუ დაუჩოქებ სხვას.

* * *

გახსოვს ნერვებს რომ მიშლიდი?
ჩემს სიყვარულს ახლოს არ იკარებდი,
მუზებში და ლაჟვარდებში ფარფატებდი,
მე საცოდავს ღრუბლიდანაც მაგდებდი,
ბროლის ქოში, პრინცები და თეთრი რაში,
თვალწინ გქონდა, მე ყურსაც არ მიგდებდი,
ხოდა მაშინ გამაბრაზეთ ქალბატონო,
მომეწყინა თქვენთვის რევერანსები,
მოგიტაცე !!!
გახსოვს გზაში სიყვარულს მაფიცებდი,
ახლა უკვე შვილიშვილებს უკან დავდევთ,
მათ სიცოცხლეს უფალს შევევედრებით,
წელს ვერცხლის ქორწილს გადავიხდით,
მადლობთ ღმერთო, სიყვარულით ვბერდებით.

* * *

ნუ ამადლი შენს საშობლოს შენს თავს
ნუ იქნები შემომქმედი ავის,

ნუ ოცნებობ „უცხოს“ გულში ჩაკვრას,
ის, რომ შენთვის დაივიწყებს თავისს.
ნუ ამადლი საქართველოს შენს თავს,
თუ კი მადლი დარჩენილა შენში,
თუ კი ცოდნა გიკრეფია ძმაო,
მოახმარე შენი, ერის წადილს.
ნუ ამადლი საკუთარ ხალხს შენს თავს,
ნუ იქნები უმადური კაცი,
საქმე შენი ქვეყანას თუ ძარცვავს,
საკუთარ ხალხს გულზე ფეხს თუ დაჰკრავს,
ცბიერებით იცოდე რომ ვერვინ,
ვერასოდეს ვერ მიაღწევს წადილს,
ნუ ამადლი შენს სამშობლოს შენს თავს,
ნუ იქნები ხელის ბიჭი ავის,
ვაჟკაცობა თუ კი სისხლში ბორგავს,
თავს ნუ დახრი შესარცხვენად ერის,
ნუ ამადლი მშობელ მიწას შენს თავს
თუ კი რამით ისახელე თავი,
თუკი ტაში, ანდა „ბისს“ და „ბრავო“;
მოითხოვენ შემოქმედო თავისს.
ნუ ამადლით მშობელ მიწას თქვენს თავს,
რადგან მოვა წუთი ჟამიერი,
არ დადგება უცხო ჭირისუფლად,
არ იტირებს ცრემლგამშრალი ერი.
ნუ ამადლით საკუთარ ხალხს თქვენ თავს...

* * *

სიყვარულით თუკი ხელით ენძელებს ჰკრეფ,
ცივი თოვლი ხელზე თუკი გადნება,
სხვის სიხარულს გულში თუკი აფერადებ
სიყვარულით დღე მისთვის რომ თენდება,
ლექსად ათოვს,
ლექსად ათოვს,
ლექსად ათოვს,
შენს ფურცებზე რითმა რომ ამღერდება,
თუკი გიყვარს,
თუკი ნატრობ,
თუკი ხარობ,
ბნელ ღამეშიც ოცნებებით თენდება,
ლექსით ცხოვრობ,
ლექსით მღერი,
ლექსად ამბობ,
ღვინოც ქვევრში სიყვარულით ღვინდება,
პირმცინარე ფიალაში ილაღებს და...
შესვავ ტრფობით?
ისიც ტუჩზე გადნება,
პოეზიის მადლმოსილი ქნარი თურმე,
მგოსნებისთვის სიხარულით ამღერდება,
კურთხეულონო, ლექსად გითხარ რაც მებადა,
თქვენი სიტყვით,
თქვენი ლექსით,
თქვენი ბობოქარი სულით,

გლოცავთ გულით,
მიხარია თქვენი ლექსის დაბადება.

* * *

მე „ემიგრანტს“,
ნუ მიწოდებ მეგობარო.
ნუ იმეტებ
მწარე სიტყვას ჩემთვის,
„უცხოეთში საცხოვრებლად წასულაო“
თუ კი გითხრეს,
მე ნუ ჩამთვლი ნებიერსა ბედის.
გულით გეტყვი,
სიტყვას ცრემლში ნაზავებს,
სიტყვას გეტყვი,
გულით სამართლიანს,
ნუ გგონია თუ დავტოვე სამშობლო,
დამავიწყდა ჩვენი მიწის მადლი,
მენატრება მობიბინე მთა-ველი,
მენატრება მიწა, ერთი ადლი,
ნუ შეჰნატრი
მეგობარო ჩემს ყოფას,
შემომხედე,
უფესვებო მუხა ვარ
და სურნელით
გადამჭკნარი თაიგულის ეშხი.
ნუ დამარქმევ
მე „ემიგრანტს“ ძმობილო,

თუ ვერ მნახე წელსაც ჩვენს უბანში,
იქნებ მოსულს „გაგასწარი“ სახლიდან,
იქნებ სადმე ამიქციე გვერდი.
მოვა დრო და ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით,
„სად ხარ ძმაო? დამეკარგე თვალში“.
მერე იქვე ბუნებაში „ჩავსხდებით“,
მონატრებას ჭიქა ღვინით დავცლით...
ნუ მიწოდებ მე „ემიგრანტს“ ძმობილო,
თუ ვერ მნახე,
თუ არ დაგხვდი სახლში,
„უცხოეთში წავიდაო“, თუ კი თქვეს,
„უცხო მიწას შეავედრა თავი“...
ჯვარცმულ მიწას,
იცი, ვერ მივატოვებთ,
ყველა ერთად დავბრუნდებით სახლში ...

* * *

არ დამარცხდები ქართველო
მტერთან ბრძოლაში წასული,
სხვისკენ გული ნუ გაგიწევს,
ნუ დახარბდები საუნჯეს.
ნუ დამამარცხებ ქართველო,
ხანჯალს ნუ ჩამცემ ვადამდის,
ყველანი ბრძოლის ველზე ვართ,
ყიჟინით ვიკლებ ქვეყანას
ბჭე-ჯოჯოხეთი ზანზარებს.
ნუ გამიმეტებ ქართველო,

არ ენდო „უცხოთ“ ქარაგმებს,
მის ფიქრს ნუ გაიზიარებ,
ცაში ნუ შეჰკრავთ კამარებს.
„უცხოს“ ნაბოძებ ბიჭობას,
„უცხოს“ ნაბოძებ სავარძლებს,
„უცხოს“ ნაბოძებ საუნჯეს,
„უცხოს ნაბოძებ მანტიას,
ნუ შეითვისებ,
ნუ ხმადჰყოფ,
ნურც დახარბდები,
ამბორს ჰყოფ,
ჩვეს ერს მივხედოთ,
ჩვენ ენას,
ჩვენს მიწას
ღვთისგან ნაბოძებს,
ჩვენს მამა-პაპის საძვლეს და...
ტაძრებს,
უფლისგან ნაკურთხებს.
არ დაიჯერო რომ „უცხო“,
ლუკმა პურს გამოიმეტებს,
ერთი „ჩიჩია“ ხორცისთვის,
მთელ ფარას გადაიყოლებს.
გვერდი-გვერდ დავდგეთ ქართველო,
ქართული სისხლის ერთობით,
ეს რა ჭირი გვჭირს, უცქირე,
ერთურთის ჯიჯგნით ვერთობით,
ერთმანეთს მივცეთ მხარი, მხარს,

„უცხო“ რად გვინდა ბატონი?!
ვისაც ქართველი არ უყვარს
იმას . . . . . პატრონი!!!!!

ᲛᲝᲜᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ

ღმერთო დამტოვე ქართველად,
ქალი ვარ, დედის ნაშობი,
თვისტომისაგან უსჯულოდ
„საქონლად“ განაყიდები,
ღმერთო დამტოვე ქართველად,
რჯულს ნუ შემიცვლის უგვანო,
„ჯვარცმას“ მკერდიდან ნუ ამგლეჯს,
უსჯულო, ტომით ბოგანო,
ღმერთო დამტოვე ქართველად,
თუნდ ყოფა მექცეს წამებად,
გთხოვ, ნუ გამწირავ, ნუ დამცემ,
თხოვნა ლოცვებად ვაქციე,
ამყარე დედობის მადლი,
სხვა სჯულის თესლს ვერ ვახარებ,
არ მსურს ვახარო მტრის ჯიში,
არ მსურს მტრის შვილთა დედობა,
უფალო! შეგთხოვ, ნუ მაქცევ
მტრის ჯიშის მაზიარებლად.
ღმერთო დამტოვე ქართველად,
თუნდ ყოფა მექცეს წამებად,
საფლავი თუნდ არ მეღირსოს,
„წავიდე“ დაუტირებლად...

* * *

როცა წავალ არ მიტირო კარგო,
ნუ ჩაიცვამ გლოვის კაბას ჩემთვის,
გაიშლება გლოვის სუფრა ვიცი,
აზრი არ აქვს, სული ზეცას ერთვის,
როცა წავალ, ჩემს სიყვარულს ვტოვებ,
მოგონებებს დრო ისედაც წაშლის,
შენ შვილებზე იზრუნე და დარდი,
ვიცი ჩემზე მოგონებებს გაშლის.
იქ რომ წავალ, იქაც ვნახავ საქმეს:
და მოვაწყობ ჩემს ზეციურ სახლ-კარს
ეზოს მოვრთავ ეკბატანის ვარდით,
შევერწყმები ჩემთვის რაღაც ახალს.
აივანზე ჩამოვჯდები მარტო,
ვიარსებებ ისევ თქვენზე დარდით,
შვილიშვილებს მოეფერე ბევრი,
არ მოაკლო შვილებს თბილი მზერა,
დრო რომ მოვა, დრო რომ მოვა მჭევრი
გავიგებ და აქ დაგხვდები ჩემო,
სამოთხეში, იქვე კართან ახლოს,
ანთებული კელაპტარით ხელში.

* * *

იქ, სახლთან დავტოვე
ნაჭრებში გახვეული,
ჩემი პატარა,
შიმშილით გალეული,

ტუჩებს აცმაცუნებს
დედის მკერდს დაეძებს,
მკერდი კი მშრალია,
მკერდი კი მშრალია,
კეთილო ბატონო,
მოწყალე ქალბატონო,
იქნებ თქვენ იშვილოთ?
მერი ხარ, ნინო ხარ,
ქეთი თუ ყამარი,
შვილად შეითვისე,
პატარა თამარი,
აჭამე, გაზარდე...
გოგონას გჩუქნიან,
შენს ქალად აღზრდე,
მიეცი საფარი.
იმ ღამეს ჭურვები
სახლზე რომ ცვიოდა,
სიკვდილის ურვები,
სისხლით რომ ძღებოდა,
ოჯახი პირსავსე,
მზესავით ბრდღვიალა,
იმ დღეს გაფერმკრთალდა,
იმ დღეს გაღიავდა,
სიცოცხლე დაემხო,
სიკვდილი კი, არა.
მე დავრჩი ეული.
ჩემს ცაზე მწუხრია.

შენთვის მიჩუქნია,
შენთვის მომიძღვნია,
ბოძებულს უფლისგან
დედობის მანტია,
პირველი ღიმილი,
თვალები ცქრიალა,
პირველი აღუუ,
და კისკისი წკრიალა,
მე ნუ განმიკითხავ,
ნურც სახელს იკითხავ,
სიკვდილის ანგელოზს
მე გზად მოვიკითხავ,
მეც ომში მივდივარ,
ბრძოლისთვის მივდივარ,
გაიგონ სვავებმა,
გაიგონ რად ვღირვარ,
ქმარ-შვილი დავკარგე,
ოჯახწართმეული,
მე ძუ ავაზა ვარ
საომრად მოვდივარ.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ 13
ᲚᲐᲓᲝᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ 28
ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ 46
24 ᲬᲔᲚᲘ 58
ᲑᲐᲑᲣᲐ 84
ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘ 88
ᲒᲝᲒᲝᲜᲐ 127
ᲓᲐ ᲘᲫᲜᲔᲑ ᲓᲠᲝᲐ 126
ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲔᲤᲘᲪᲔᲑᲘ 135
ᲓᲠᲝᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲐᲘᲜᲓᲘ 153
ᲪᲮᲕᲐᲠᲘᲭᲐᲛᲘᲐᲨᲘ... 154
ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ 157
ᲔᲠᲗᲘ ᲧᲚᲣᲞᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ 174
ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲨᲘ 175
ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ ᲫᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ 188
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲘᲜᲓᲐᲣᲠᲘ 191
ᲗᲘᲗᲑᲔᲠᲘᲡ ᲑᲔᲭᲔᲓᲘ 192
ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲞᲐᲞᲐ 194
ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ 1 199
ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ 2 202
ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ 3 205
ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ 4 214
ᲘᲝᲗᲐᲛᲘ 219
ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲚᲝᲛᲘ 233
ᲘᲧᲝ? ᲕᲘᲜ? 236
ᲙᲕᲐᲖᲘᲛᲣᲓᲝ 237

ლეგენდა არამ კაცზე 239
რითმული პროზა. 242
მამიკო 243
მე ემიგრანტი 244
მოძღვრის წერილი 249
მუზის მოლოდინში 250
მურიკელა 255
მწუხარე დასი 259
მხატვარი 260
პირჯვარი გადაწერე სამხრეთს... 262
ჟამთგასაყარი 266
რაჭაში 273
როცა შუქი ჩაქრა 276
სამთა წიგნთა წმინდა სამეგა 277
საწნახელი 280
სულიერი ასული 285
ჩემი გადაშლილი ფურცელი.... 289
უნეგლიე რესპოდენტი 291
უსათაურო. 294
ცხელ გულზე ნაფიქრი 1 296
ცხელ გულზე ნაფიქრი 2 298
ცხელ გულზე ნაფიქრი 3 300
ცხელ გულზე ნაფიქრი 4 302
ულვთო მოძღვარი 303
უცნობი — ნაცნობი. 310
ჩემი ცხოვრების პატარა ისტორიები 313
ჩიტო ჩიტო ნაცარა 316
ძმა 319

ᲬᲠᲘᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲡ 323
ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲡ 325
ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲡ 326
ᲯᲕᲐᲠᲘ — ᲛᲐᲛᲐᲚᲘ 327
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 330
„ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲨᲕᲘᲚᲡ“ 332
ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ „ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲖᲔ“ 335
ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲨᲮᲐᲠᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 336
ᲨᲮᲔᲚᲓᲐᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ 336
ᲗᲑᲐ ᲗᲐᲛᲑᲣᲙᲐᲜᲘ — ᲮᲐᲗᲘᲤᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ 337

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

*** ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ 341
*** ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲐᲚᲛᲔᲠᲗᲔᲑ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ 341
*** ᲡᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲝᲓ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲘ 342
*** ᲜᲘᲡᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲔ 343
*** ᲡᲐᲠᲙᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ ᲨᲔᲕᲧᲣᲠᲔᲑ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ 344
*** ᲕᲓᲒᲔᲕᲐᲠ ᲛᲣᲮᲚᲛᲝᲓᲠᲔᲙᲘᲗ ᲚᲝᲪᲕᲐᲓ ᲐᲜᲗᲔᲑᲣᲚᲘ 345
*** ᲞᲝᲔᲢᲘ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠ 346
*** ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲨᲚᲘᲓᲘ? 347
*** ᲜᲣ ᲐᲛᲐᲓᲚᲘ ᲨᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲨᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ 347
*** ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲗᲣ ᲙᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲔᲜᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲰᲙᲠᲔᲤ 349
*** ᲛᲔ „ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲡ“ 350
*** ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 351
*** ᲛᲝᲜᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ 353
*** ᲠᲝᲪᲐ ᲬᲐᲕᲐᲚ ᲐᲠ ᲛᲘᲢᲘᲠᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ 354
*** ᲘᲥ, ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲢᲝᲕᲔ 354